720
1989

ISSN 0134-9848

1989/1

სპუტნიკი

ალმანახი-თეატრალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
№279
(1)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაუშენბერგი. კონსტრუქცია

სპუტნიკი

1989/ 1
იანვარი
თეგერვალი
(88)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

იასუნარი კავაგატა. ათასწ�თიანი წერო. რომანი. დასაწყისი.
თარგმნა ლილი მეედლიშვილმა 8

გერმანელი პოეზიიდან. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ 93

იური ბონდარევი. არჩევანი. რომანი. დასაწყისი. თარგმნა გივი ციცქიშვილმა 98

მურანო სიროო. ლექსები. იაპონურიდან თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა 189

ფეოდორ ტიუტჩევი. ლექსები. თარგმნა თედო ბეჭიშვილმა 197

სიბრიდ უნსეტი. მიკინგები. რომანი. თარგმნა მზია ბაჭრაძემ 202

ალექსანდრ პუშკინი. ლექსები. თარგმნა ლია ყიფიანმა 280

ლიტვური დაინები. ლიტვურიდან თარგმნა თეიმურაზ აბულაძემ 283

წერილები

ნაირა გელაშვილი. ზურაბ კაკაბაძე — მსაჯულმნელი 289

ზურაბ ჯაფარიძე. ფეოდორის ფასი 313

კარლო კაჭარავა. რობერტ რაუშენბერგი 316

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი გაქანიძე
მზია გაძრაძე
გაჩანა გრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ.გ. მდივანი)
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქებულაძე
იორამ ქემერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შაკნაზარი

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)
დავით წერედიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივნივაძე
რეზო ჭეიშვილი

გარეკანზე: რობერტ რაუშენბერგი. შვეულმფრენები. 1964.

იხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბარლაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 11. 11. 88 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 2. 02. 89 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საალრ. თ. 23,7. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 2827.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

ხაკ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

იასუნარი კავაბატა

ათასფრთიანი წერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.099

რომანი

თარგმნა ლილი მჟედლიშვილმა

თანამედროვე იაპონური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი იასუნარი კავაბატა (1899—1972) რაბინდრანატ თაგორის შემდეგ მეორე მწერალია აღმოსავლურ ლიტერატურაში, რომელსაც მინიჭებული აქვს ნობელის პრემია (1968 წ.).

„ათასფრთიანი წერო" (1951) კავაბატას ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. რომანს საფუძვლად უდევს იაპონელთა მიერ ჩაის უძველესი წესჩვეულების ანუ ტიადოს (სიტყვა-სიტყვით, ჩაის გზა) უმაღლესი ხელოვნების რანგში აყვანა და იგი ნაწარმოების მხოლოდ მოქმედების ფონი კი არა, მისი იდეაა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მწერალმა ომის შემდგომ დაწერილი თავისი რომანი სწორედ ჩაის ცერემონიალს — „ტიადოს" მიუძღვნა, ვინაიდან, იაპონელთა აზრით, ერის ხასიათის გასაღები ჩაის წესჩვეულების ესთეტიკაშია საძებარი და არა „ბუსიდოში" (სიტყვა-სიტყვით: მებრძოლი სამურაის გზა). „ტიადო" სიცოცხლის ხელოვნებაა, ის არის გზა სიწმინდისა, გზა გარესამყაროსთან ჰარმონიული ერთობისა, რასთანაც სილამაზისადმი თაყვანისცემის მთელი სიტუაციაა დაკავშირებული.

1.

ციკუძი უკვე კამაკურას ეზოში მიაბიჯებდა, რომ ჯერ ისევ ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, მისულიყო თუ არა ჩაის ცერემონიალზე. მით უმეტეს ცერემონიალი ახლა ალბათ დაწყებული იქნებოდა.

თიკაკო კურიმოტოს იმ ჩაის ცერემონიალებზე, რომელსაც იგი ტაძრის პარკ ენკაკუძის პავილიონში ყოველწლიურად მართავდა, კიკუძისათვის მოსაწვევის გაგზავნა არასოდეს ავიწყდებოდა. თუმცა მამის სიკვდილის შემდეგ კიკუძი აქ არასოდეს ყოფილა, ვინაიდან ამ მიპატიჟებას მაინცადამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, უბრალოდ, მიცვალებულის პატივისცემად უთვლიდა.

მაგრამ ამჯერად რიგით ტექსტს გარდა მოსაწვევს პატარა მინაწერიც ჰქონდა — თიკაკოს უნდოდა ერთი ქალიშვილი, თავისი შეგირდი ეჩვენებინა კიკუძისათვის.

წერილის კითხვისას კიკუძის უცბად თიკაკოს ტყლირპი წარმოუდგა თვალწინ, გაახსენდა, ერთხელ მამამ ამ ქალთან სტუმრად როგორ წაიყვანა, მაშინ ასე, რვა-ცხრა წლის ბიჭი იქნებოდა. სასადილო ოთახში რომ შეიდნენ, თიკაკო კიმონოგახსნილი იჯდა და პაწაწა მაკრატლით ტყლირპზე ბალანს იკრეჭდა. მარცხენა ძუძუს ქვედა ნახევარი, გულის კოვზამდე, ხელისგულისო-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რეპ.

დენა მუქი იისფერი ხალით ჰქონდა დაფარული, ხალზე შავი, უხეში თმა იყო ამოსული. აი, სწორედ იმ თმას იკრეჭდა მაშინ თიკაკო.

— ღმერთო ჩემო, ბავშვთან ერთად მოხვედით?!

ქალი, ეტყობა, შეცბა, წამოსახტომად წამოიწია, მაგრამ ალბათ იფიქრა, ჩემი ეს აფაციფუცება კიდევ უფრო უხერხული იქნებაო, ოდნავ შეტრიალდა, კიმონოს კალთები აუჩქარებლად გაისწორა და ობიში ჩაიტანა.

აშკარა იყო, თიკაკო კაცის კი არა, ბიჭის დანახვამ შეაცბუნა, ვინაიდან კიკუძის მამის მოსვლა მოსამსახურე ქალისაგან, რომელიც მათ კარის ზღურბლზე შემოეგებათ, უკვე იცოდა.

მამა სასტუმრო ოთახში არ გავიდა. იქვე, სასადილოში ჩამოჯდა, სადაც თიკაკო თავის გაკვეთილებს ატარებდა და კედლის ნიშაში დატანებულ კაკემონოს უგულისყურო თვალიერება დაუწყო.

— ერთ ჭიქა ჩაის ხომ არ დამალევინებდი? — უთხრა მამამ.

— ახლავე... — გამოეპასუხა თიკაკო.

მაგრამ დიდად არ აჩქარებულა. და ბიჭმა უცებ თიკაკოს მუხლებზე გაშლილი გაზეთი დაინახა — გაზეთი მოკლე, მამაკაცის ნიკაბზე ნაბარსი ჯაგარივით უხეში, შავი ბალნით იყო მოფენილი.

მზიანი დღე იდგა, სხვენიდან ვირთხების ფხაკაფხუკი ისმოდა, გალერეის წინ ვარდისფრად ყვაოდა ატმის ხე...

ბოლოს თიკაკო წამოდგა, კერიას მიუჯდა და ჩაის მომზადებას შეუდგა. მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, თავს არც ისე თავისუფლად გრძნობდა.

ამ ამბიდან ათი დღეც არ იყო გასული, რომ კიკუძემ დედ-მამის საუბარი გაიგონა. თითქოს რაღაც საშინელ საიდუმლოს უმხელსო, დედა მამას ეუბნებოდა: „წარმოგიდგენია, საწყალ თიკაკოს მკერდზე თურმე შავი, უშველებელი ტყლირპი აქვს, თურმე ამიტომ არ თხოვდება"... დედას ასე ეგონა, მამა ამ საქმის ბაიბურში არ იყო. თან ისეთი მოწყენილი ელაპარაკებოდა, ეტყობოდა, ეცოდებოდა თიკაკო.

მამას კი თავი ისე ეჭირა, ვითომ ძალიან გაუკვირდა, ჯერ რაღაცას ჩუმად დუდღუნებდა და ბოლოს თქვა:

— ჰოო... აბა, აბა... რახან ასეა, ადგეს და წინასწარ გააფრთხილოს საქმარო... წინასწარ რომ ეცოდინება... ის კი არა, შეუძლია, აჩვენოს კიდევაც... თუ კაცს უნდა, არა მგონია, ამან ხელი შეუშალოს, გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

— მეც ამას არ ვამბობ! მაგრამ განა ასე ადვილია, ქალმა კაცს წინასწარ გამოუცხადოს, შავი, საზიზღარი ტყლირპი მაქვსო, თანაც ძუძუზე?

— რა სისულელეა, ქალწული ხომ არ არის...

— რაც არ უნდა იყოს, ერიდება. ეს ტყლირპი კაცს რომ ჰქონდეს, სულ სხვაა. ქმარმა ცოლს ქორწინების შემდეგაც რომ აჩვენოს, ქალი ერთს გაიცინებს და მორჩა.

— კი მაგრამ, რა იცი, გაჩვენა თუ რა?

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ!

— ესე იგი, მხოლოდ გითხრა?

— დღეს დილას გაკვეთილის ჩასატარებლად რომ მოვიდა, საუბარს შე-

---

1 იაპონური სიტყვების განმარტება ტექსტს დართული აქვს ბოლოში.

ვყევით, სწორედ მაშინ გამიმხილა, გული გადამიშალა... როგორ ფიქრობთ, ვთქვათ, გათხოვდა, რას იზამს, როგორ შეხედავს კაცი ამას?

— მმმე რრა ვიცი... იქნებ ძალიანაც არ ესიამოვნოს... სხვათა შორის, ასეთ რაღაცას ზოგჯერ თავისებური მომხიბვლელობაც აქვს, ის კი არა, ქმრის გულში ამ ნაკლმა შეიძლება თანაგრძნობაც გამოიწვიოს, ქალისადმი უფრო მზრუნველი გახადოს, კაცის ხასიათის კარგი მხარე გამოაჩინოს... ეს, რა ისეთი ნაკლიც ეს არის?

— ნამდვილად ასე ფიქრობთ?.. მეც კი ვუთხარი, აბა რა დიდი ნაკლიც ეგ არის-მეთქი, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახის — ძუძუზე რომაა? ძუძუზე მაინც არ იყოსო!

— ჰოო...

— იცით, ყველაზე მეტად ბავშვზე ღელავს — ქმარს კიდევ არა უშავს, ბავშვი რომ მეყოლოს? ბავშვს რა ვუყო? ამის გაფიქრებაც კი მზარავსო.

— ვითომ რატომ, რძე არ ექნება თუ რა?

— რძე რატომ არ ექნება... რძე კი არა, იმაზე წუხს, ბავშვი თვალს რომ გააჭელს და პირველად იმ ტყლირპს დაინახავს. ეტყობა, სულ ამაზე ფიქრობს... მე ეს ალბათ აზრადაც არ მომივიდოდა... ის კი ამბობს, ხომ წარმოგიდგენია, ბავშვი დედის ძუძუს პირში ჩაიდებს თუ არა, ეს შავი, საზიზღარი ხალი უნდა დაინახოსო. განა საშინელება არ არის! პირველი შთაბეჭდილება გარესამყაროსა და დედაზე და ეს აუტანელი სიმახინჯე!.. რა იცი, ამან იქნებ მთელ მის ცხოვრებაზეც კი იქონიოს გავლენა... აი, ამ შავმა ხალმა...

— ეეე... მე მგონი, ტყუილად ეშინია.

— რა თქმა უნდა! ბოლოს და ბოლოს, ადგეს და ხელოვნურ კვებაზე იყოლიოს, ანდა სულაც ძიძა აუყვანოს...

— ტყლირპი რა შუაშია, მთავარია, ქალს რძე ჰქონდეს.

— რა ვიცი... მე მგონი, მთლად მართალი არა ხართ... ის კი არა, ამ ამბავს რომ მიყვებოდა, ტირილი ველარ შევიკავე, სულ იმას ვფიქრობდი, რა ბედნიერებაა, ის რაღაც ტყლირპი რომ არა მაქვს, ჩვენს კიკუძის მსგავსიც რომ არაფერი უნახავს-მეთქი.

— ჰმმ...

კიკუძი აღშფოთებამ მოიცვა: მამას როგორ არა რცხვენია, თავი ისე უჭირავს, ვითომ პირველად ესმის! მე ვითომ ვერც კი მხედავს, ვითომ ძალიანაც კარგად არ იცის, თიკაკოს ის ტყლირპია თუ რაღაცა, მეც რომ მშვენივრად დავინახეო.

მას შემდეგ ოგერ ოცი წელი გავიდა, ამ ამბავს კიკუძი ახლა, ცხადია, სულ სხვა თვალით უყურებს, როცა კი გაახსენდება, სულ ეცინება — მამაჩემი ალბათ რა დღეში ჩავარდებოდა, როგორ აღელდებოდაო.

ერთი კია, დედისა და მამის ის საუბარი მას მერეც დიდხანს არ ამოსდიოდა გონებიდან. უკვე ათი წლის ბიჭი იყო, გულში კი სულ იმის შიში ჰქონდა, ვაითუ ისეთი და ან ძმა გასჩენოდა, რომელსაც ის შავტყლირპიანი ძუძუ უნდა ეწოვა.

რაც მთავარია, საშინელებად ის კი არ მიაჩნდა, ბავშვი უცხო ოჯახში რომ დაიბადებოდა, არამედ ის, ამქვეყნად ისეთი ბავშვი რომ იცხოვრებდა, რომელსაც უშველებელი, შავბალნიანი ტყლირპით დაფარული ძუძუ ექნებოდა ნაწოვი. ასე ეგონა. ჩვეულებრივ ადამიანი კი არა, რაღაც შემზარავი, ეშ-

მაკთან წილნაყარი არსება იქნებოდა, რომელიც მუდამ ძრწოლვით აავსებდა მის გულს.

საბედნიეროდ, თიკაკოს შვილი არასოდეს გაუჩენია, არც მამამისისაგან და, არც მერე, მისი სიკვდილის შემდეგ. ჩანს, შამამ არ დართო ამის ნება. ადვილი შესაძლებელია, ის სევდიანი ამბავიც ყრმასა და ტყლარპან ძაძუზე, რომელმაც დედა მაშინ ასე ააცრემლა, სწორედ მამამისის ~~მიერ~~ ~~ყო~~ ~~ბრძანებ~~ქრებული. თიკაკოს ალბათ თვითონ შთააგონა ეს აზრი, ვინაიდან, ცხადია, მაინცდამაინც დიდი სურვილი არ ექნებოდა თიკაკოსთან შვილის გაჩენისა.

თიკაკომ კი ალბათ იფიქრა, ბიჭს არაფერი წამოსცდესო და, მოვლენებისათვის რომ დაესწრო, თავისი ტყლარპის ამბავი დედას თვითონვე უამბო.

ასეა თუ ისე, თიკაკო ბოლომდე გაუთხოვარი დარჩა. ნუთუ მართლა ის შავბალნიანი ხალი გახდა მისი ამგვარი ცხოვრების მიზეზი?

სხვათა შორის, ვერც კიკუძიმ დაივიწყა ის ტყლარპი, ვინაიდან იმ ტყლარპს, როგორც ჩანს, მის ბედსა და მომავალ ცხოვრებაშიაც უნდა ეთამაშა გარკვეული როლი.

და აი, როდესაც თიკაკომ, ვითომდა ჩაის ცერემონიალის საბაბით, კიკუძის მისწერა, ქალიშვილი მინდა გაგაცნოო, თვალწინ მაშინვე ის ტყლარპი წარმოუდგა და, რახან თიკაკოა ამ საქმეში ჩარეული, ქალიშვილს ალბათ არაჩვეულებრივად ნაზი და კრიალა კანი ექნებაო, — გაიფიქრა.

ზოგჯერ რატომღაც უცნაური აზრები აეკვიატებოდა: ნეტავი როგორ უყურებდა მამა იმ ხალს? იქნებ ხელს უსვამდა და ეფერებოდა, ის კი არა, იქნებ კბენდა კიდეეაც...

აი, ახლაც მიაბიჯებდა მთის ტაძრის შემოგარენში ტანაყრილ ხშირ ტყეში და თავში ახლაც ეს აზრები უტრიალებდა. ჩიტების გალობა-ჭიკჭიკს უხშობდა.

თიკაკოს კი, ჩანს, რაღაც უცნაური რამ ემართებოდა. მას შემდეგ, რაც კიკუძიმ ის შავი ტყლარპი დაინახა, ორიოდე წელსაც არ გაევლო, რომ ქალი სრულიად შეიცვალა, ჯერ როგორღაც მამაკაცური გახდა, მერე და მერე კი, რა სქესისა იყო, საერთოდაც ველარ გაარკვევდი.

დღესაც, ჩაის ამ ცერემონიალზედაც, ქალურად უშუალო და თავდაჯერებული კი არ იქნება, თავს მოჩვენებითი ღირსებით დაიჭერს... ვინ იცის, მის მკერდსაც, რომელზედაც აგერ უკვე ამდენი ხანია თავის იმ შავ ტყლარპს ატარებს, ალბათ უკვე ჭკნობა შეეპარაო... — გაიფიქრა კიკუძიმ და რატომღაც სიცილის გუნებაზე დადგა, ლამის ხმამაღლაც კი გაიცინა, რომ სწორედ ამ დროს ვიღაც ორი ქალიშვილი წამოეწია.

კიკუძი შეჩერდა, ქალიშვილებს გზა დაუთმო.

— ხომ ვერ მეტყვით, ამ ბილიკით იმ პავილიონამდე თუ მივალ, კურიმოტოსანი ჩაის ცერემონიალს რომ აწყობს?

—დიახ, —უპასუხა ორივე ქალიშვილმა ერთხმად.

კიკუძიმ, რა თქმა უნდა, გზაც მშვენივრად იცოდა და იმასაც მაშინვე მიხვდა, ბილიკზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ეს ლამაზ კიმონოებში გამოწყობილი ქალიშვილებიც სწორედ იმ პავილიონისაკენ რომ მიდიოდნენ, მაგრამ, განგებ იკითხა, ვინაიდან ამ შეკითხვის შემდეგ, უბრალოდ, მოერიდებოდა და უკან ველარ გაბრუნდებოდა.

ქალიშვილი, რომელსაც ხელში ვარდისფერი, ათასფრთა, თეთრწეროა-მოქარგული აბრეშუმის ფაროსანი ეჭირა, მშვენიერი იყო.

2.

კიკუძი პავილიონთან სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც წინ გასწრებულ იმ ორ ქალიშვილს ტაბები უკვე ჩაეცვა და პავილიონში შესასვლელად ემზადებოდა.

ვაჟმა ქალიშვილების ზურგს უკან ოთახში შეიხედა. საკმაოდ დიდი ოთახი იყო, დაახლოებით რვა ტატამი.[1] მიუხედავად ამისა, ხალხით ისე იყო გაჭედილი, ისე ახლო-ახლო ისხდნენ, ლამის მუხლებით ეხებოდნენ ერთმანეთს. ფერად-ფერადმა ტანისამოსმა კიკუძის თვალები აუჭრელა, სახეები ვერ გაარჩია.

კიკუძის დანახვაზე თიკაკო მაშინვე მისკენ გამოეშურა. ეტყობოდა, ერთდროულად გახარებულიც იყო და გაოცებულიც.

— ო-ო, იშვიათო სტუმარო, მობრძანდით, მობრძანდით! რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ! აქეთ, პირდაპირ აქეთ წამობრძანდით! — თქვა და იქვე ნიშასთან მდგარ სიოძიზე მიუთითა.

კიკუძიმ იგრძნო, ოთახში მყოფმა ყველა ქალმა მისკენ როგორ გამოიხედა და სახეზე სიწითლემორეულმა თქვა:

— როგორც ჩანს, დღეს აქ მხოლოდ ქალები არიან.

— დიახ... კაცები უკვე წავიდ-წამოვიდნენ, ისე რომ, ჩვენი საზოგადოების ერთადერთი სამკაული თქვენ იქნებით.

— რას ბრძანებთ, სადაური სამკაულიც მე ვარ!

— არა, არა, კიკუძი-სან, იმდენი შესანიშნავი თვისება გაქვთ!.. დიახაც, ნამდვილი სამკაული ბრძანდებით.

კიკუძიმ ხელით ანიშნა, რომ მთავარი შესასვლელიდან შევიდოდა.

ლამაზმა ქალიშვილმა ტაბი ვარდისფერ, ათასფრთა თეთრწეროამოქარგულ ფუროსაკიში გაახვია, თავაზიანად გვერდით მიდგა და ვაჟს გზა დაუთმო.

კიკუძიმ მეზობლად მდებარე ოთახი გაიარა. მთელ ოთახში ნამცხვრისა თუ ფინჯნის კოლოფები და ჩაის ცერემონიალისათვის მოტანილი სხვადასხვა ჭურჭელი იყო მიბნეულ-მობნეული. აქვე ელაგა სტუმრების ნივთებიც. კედელს იქით, მიძუიაში, მოსამსახურე ქალი ჭურჭელს რეცხავდა.

მალე ოთახში თიკაკოც შემოვიდა. კიკუძის წინ ისე ფაცაფუცით ჩაჯდა, თითქოს მის წინაშე მუხლებზე უნდა დაეცესო და სულმოუთქმელად ჰკითხა:

— რას იტყვით, ხომ ლამაზია?

— რა? ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ფუროსაკი?

— ფუროსაკი?! ფუროსაკი კი არა, იმ გოგოზე გეკითხებით, აგერ ახლა ჩვენ გვერდით რომ იდგა.

კიკუძიმ თავი გაურკვევლად დაუქნია.

— ო-ო, თქვენთან, კიკუძი-სან, კაცი, ეტყობა, ფრთხილად უნდა იყოს, როგორც ჩანს, მცირეოდენ წვრილმანსაც ვერავინ გამოგაპარებთ... მე კი ლამის გაკვირვებული ვიყავი, რა მარჯვე, რა მოხერხებულია-მეთქი. მეგონა, ერთად მოხვედით...

---

[1] იაპონიაში ოთახის ფართობი იზომება ტატამებით. ერთი ტატამი უდრის დაახლოებით 1,5 კვ. მ.

— კარგით ერთი!

— თუ შემთხვევით შეხვდით, კიდევ უკეთესი, ესე იგი, თქვენი ბედი ყოფილა... მამათქვენი კარგად იცნობდა ინამურა-სანს.

— ჰოო?

— დიახ. ინამურა-სანი ხომ ცნობილ ვაჭართა სახლიდანაა, უწინ ეგენი იოკოგამაში ხამი აბრეშუმით ვაჭრობდნენ... ქალიშვილს, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა აქვს ჩვენს გეგმაზე, შეგიძლიათ მშვიდად შეათვალიერონ.

თიკაკო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, კიკუძის ეშინოდა, სტუმრებს, რომლებთანაც მხოლოდ ეს სიფრიფანა კედელი ჰყოფდათ, მათი საუბარი არ გაეგოთ... მაგრამ ამ დროს თიკაკო დაიხარა და ყურში ჩუმად წასჩურჩულა:

— ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, ეს ერთი უსიამოვნო ამბავი რომ არა... წარმოგიდგენიათ, ქალბატონი ოტა მოვიდა და თავისი ქალიშვილიც მოიყვანა... — თქვა და თან კიკუძის შეხედა, რას იზამს, ჩემი სიტყვები როგორ იმოქმედებსო. — ოღონდ, არ გეგონოთ, მე მოვიპატიჟე... თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩაის ცერემონიალზე ყოველ გამვლელ-გამომვლელს შეუძლია შემოვიდეს. წესია ასეთი... ეს-ეს არის, ამერიკელი ტურისტების ორი ჯგუფი იყო. ჩანს, ოტა-სანმაც ყური მოჰკრა, ჩაის ცერემონიალი უნდა შედგესო და აგერ, მობრძანდა კიდევაც. ხომ არ გამინაწყენდებით? მაგრამ, თქვენ შესახებ, უფრო სწორად, იმ ამბის შესახებ, რისთვისაც მოხვედით. რა თქმა უნდა, არაფერი იცის.

— ამბის შესახებ?! კი მაგრამ... — კიკუძის უნდოდა ეთქვა, მე დღეს აქ არავითარი „ამბის შესახებ" არ მოვსულვარო. მაგრამ იდგა ენაგადაყლაპულივით და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— სხვათა შორის, ეს თქვენთვის კი არა, ქალბატონი ოტასათვის არის უფრო უხერხული. თავი ისე დაიჭირეთ, ვითომც არაფერი.

მისი სიტყვები კიკუძის გულზე მოხვდა. როგორც ჩანს, თიკაკოსა და მამამისის ურთიერთობა არც დიდხანს გაგრძელებულა, არც მაინცდამაინც სერიოზული ყოფილა. მიუხედავად ამისა, მამამისის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეს ქალი მუდამ მათ ოჯახში ტრიალებდა. მარტო ჩაის ცერემონიალისათვის კი არა, მაშინაც ეძახდნენ, სტუმრები რომ ჰყავდათ და საქმეში ხელის წახმარება სჭირდებოდათ. იგი თითქოს რაღაც საშუალო იყო კომპანიონსა და მოსამსახურეს შორის. ამოუდგებოდა დედას გვერდით და მთელ დღეს სამზარეულოში მასთან ერთად ფუსფუსებდა. უკანასკნელ წლებში კი ისე შეიცვალა, ისეთი კაცივით შესახედავი გახდა, ამ ქალზე ეჭვიანობა, უბრალოდ, სასაცილოც იყო. დედა არც ეჭვიანობდა, თუმცა ძალიან კარგადაც ხვდებოდა, რომ მის მეუღლეს, თავის დროზე, თიკაკოს ის ყბადაღებული ტყლარბი სულ საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი. ახლა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წარსულს იყო ჩაბარებული, ამიტომაც თიკაკოს დედამისთან თავი უბრალოდ და ბუნებრივად ეჭირა.

კიკუძი თანდათან მიეჩვია იმ აზრს, რომ მათი ოჯახის სასიკეთოდ ეს ქალი არაფერს დაიშურებდა, რომ იგი მზად იყო კიკუძის ყოველი ახირებული სურვილიც კი უსიტყვოდ შეესრულებინა. ამასობაში იმ მტანჯველმა ბავშვურმა ზიზღმაც თანდათან გაუარა და მისი ადგილი ოდნავმა აღდებულმა დამოკიდებულებამ დაიჭირა.

ადვილი შესაძლებელია, მათთან ამ მიტმასნებითა და მათი ოჯახის მეშვეობით თიკაკომ, უბრალოდ, არსებობის ოდლი გზა იშოვა. ჩანს, ცხოვრების

ეს ყაიდა, ისევე როგორც მისი ეს მამაკაცურობაც, ამ ქალის ხასიათსა და ბუნებაში იყო.

ასეა თუ ისე, იმ გარკვეულ უპირატესობას, რომელსაც თიკაკომ ჩაის ცერემონიალის მასწავლებლობაში მიაღწია, ცხადია, მხოლოდ კიკუძის ოჯახს უნდა უმადლოდეს.

მამა რომ გარდაეცვალა, კიკუძი თითქმის შეურიგდა თიკაკოს, ბოლო ხანდახან ეცოდებოდა კიდევაც — მთელ თავის ცხოვრებაში იმ ერთადერთი, თითქმის ილუზიური, ხანმოკლე კავშირის შემდეგ, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც ჩაიკლა თავისი ქალური სურვილებიო, — ფიქრობდა.

დედა კი მუდამ ჩვეულებრივად ექცეოდა — არც მტრობდა, არც მეგობრობდა. ეს ალბათ გასაგებიც იყო, ვინაიდან, ამ ბოლო დროს თიკაკო კი არა, ქალბატონი ოოტას ამბავი უფრო აშინებდა.

ჩაის ცერემონიალში მამამისის თანამონაწილე და მეგობარი — ბატონი ოოტა ადრე გარდაიცვალა, რის შემდეგაც მამამ თვითონ იკისრა მისეული ჩაის ჭურჭლისა და ცერემონიალისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთების გაყიდვა და ამასობაში მის ქვრივს — ქალბატონ ოოტასაც დაუახლოვდა.

თიკაკომ, ცხადია, მაშინვე იგრძნო ეს ამბავი, დაუყოვნებლივ აცნობა დედას და იმ დღიდან თავისი ყოფილი საყვარლის მეუღლეს ლამის განუყრელ მეგობრად ექცა. აქაოდა, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო, რაღას არ აკეთებდა, მამას ერთთავად უკან დასდევდა, ზვერავდა. ყოველგვარი მორიდების გარეშე, გამოეცხადებოდა სახლში ბატონი ოოტას ქვრივს და, ხან ემუქრებოდა, ხანაც ნამუსზე აგდებდა. ასე გეგონებოდა, დიდი ხნის წინათ მიძინებულმა ეჭვიანობამ მის გულში ერთბაშად გაიღვიძა და თავით ფეხამდე ხანძარივით მოედო.

კიკუძის დედა კი, ეს მორცხვი, მოკრძალებული ქალი, მისმა ასეთმა მოურიდებელმა ჩარევამ ძალზე დააბნია. გარდაუვალი სკანდალის მოლოდინში იგი ერთთავად შიშსა და გულისხეთქვაში იყო.

თიკაკო მაინცდამაინც არც კიკუძის ერიდებოდა. მისი თანდასწრებით ქალბატონ ოოტას სულ ლანძღვა-გინებით იკლებდა. ერთხელ, როდესაც ამ ამბით შეყელთებული დედა შეეცადა, როგორმე დაეშოშმინებინა, ასე უპასუხა:

— გაუშვი, ამანაც იცოდეს, ეს ჩვენი ქალბატონი ოოტა ვინ ბრძანდება, ამისი ცოდნა არც ამას არ აწყენსო.

— წარმოგიდგენიათ, — ეუბნება დედას, — ამ ბოლო დროს ქალბატონ ოოტასთან რომ ვიყავი, მისი გოგონა, ეტყობა, იქვე მეორე ოთახში იჯდა და გვისმენდა. მე ერთ ჩხუბსა და დავიდარაბაში ვარ, ველაპარაკები, ვლანძღავ, ვაგინებ, რომ უცებ მეორე ოთახიდან ვიღაცის ხმამაღალი ქვითინი მესმის...

— ვინ, ვინ ტიროდა? ბავშვი ტიროდა? — სახე მოეღრუბლა დედას.

— დიახ, დიახ, იმისი ბავშვი გახლდათ! ბავშვი კი არა, მგონი უკვე თორმეტი წლისაა! რომ იცოდეთ, რა წარმოდგენა გამიმართეს! ეს ჩვენი ქალბატონი ოოტა ხომ, მე მგონი, მთლად ნორმალური ვერ არის!.. მის ადგილას სხვა, ნორმალური ადამიანი როგორ მოიქცეოდა? როგორ და, იმ ყურისგდებისათვის გოგოს სულ კინწისკვრით გააგდებდა. იმან კი გაბოროტებულა ის თავისი ქალიშვილი, მუხლებზე დაისვა და გულში ჩაიხუტა. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთიცა და მეორეც. რომ იტყვიან, ნამდვილი არტისტები არიან. თუმცა,

ერთი ლამის უკვე ბებერია, მეორე კი ჯერ მიწასაც არ ასკილებია. აქაოდა, ვითომ ძალიან გვეტირებაო, სხედან და ცრემლებს აღვარღვარებენ.

— ასე როგორ შეიძლება? ცოდო არ არის ბავშვი?

— ვისთვის ცოდოა და ვისთვის არა. მე თუ მკითხავთ, სწორედ იმ გოგოს მეშვეობით თუ შეაგნებინებ ამ შენს ქალბატონ ოტას, ...— თქვა თიკაკომ და მზერა ახლა კიკუძიზე გადაიტანა. — რომ იცოდეთ, ეს ზოგჯერ ბავშვებსაც არ აწყენდათ... აი, განა კიკუძი-სანს კი არ შეუძლია, მამას ერთი-ორი სიტყვა უთხრას?

აქ კი დედამ თავი ვეღარ შეიკავა.

— ძალიან გთხოვთ, ენას კბილი დააჭირეთ! ეს რა შხამიანი ენა გაქვთ!

— შხამიანი? ძალიანაც კარგი, თუ შხამიანი ენა მაქვს! თქვენ კი, ოკუსან, იმის მაგივრად, რომ ეგ შხამი ერთიანად გადმოანთხიოთ და ცოტა სული მოითქვათ, მთელ ბოლმას გულში იტრიალებთ. ვერ ხედავთ, როგორ გახდით! აბა კი, ვითომც არაფერიო, სულ გაბზინებული დადის.. რომ ჰკითხო,თავი ალბათ საცოდავ მსხვერპლადაც კი მიაჩნია. ბეწვისოდენა უბედურებაც რომ შეხვდეს, თითიც რომ წამოსტკივდეს, საქვეყნოდ უნდა ივიშვიშოს, სისაძაგლე და უმსგავსობა კი ჩუმ-ჩუმად უნდა აკეთოს. არა, ხომ წარმოგიდგენიათ! იმ სასტუმრო ოთახში, სადაც ეს ქალბატონი თქვენს ქმარს ღებულობს, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას თავისი ქმრის, ამ სახლის პატრონის სურათი აქვს გამოჭიმული! პირდაპირ გაოცებული ვარ, ვერ გამიგია, თქვენი მეუღლე როგორ ითმენს!

და აი, მამის გარდაცვალების შემდეგ, ეს ქალი, რომელსაც თიკაკო ასე ლანძღავდა, ჩაის ცერემონიალზე ეგრევე უბოდიშოდ გამოეცხადა. თანაც, მარტო კი არა, ქალიშვილთან ერთად!

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, კიკუძის ტანში გასცრა.

დავუშვათ, ქალბატონი ოტა, როგორც ამას თიკაკო ამტკიცებს, დღეს აქ დაუპატიჟებლად მოვიდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, რახან მოსვლა გაბედა, ესე იგი, გამოდის, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ამ ორ ქალს რაღაც გარკვეული ურთიერთობა აქვს... ვინ იცის, ქალბატონ ოტას, ჩაის ცერემონიალის წესჩვეულებების შესასწავლად თავისი ქალიშვილი თიკაკოსთანაც კი დაჰყავდა... კიკუძისათვის ეს ყოველივე სრულიად მოულოდნელი იყო.

— რახან ასე გეწყინათ, ხომ არ ვთხოვო, წავიდეს? — ჰკითხა თიკაკომ და თვალებში შეხედა.

— როგორც გენებოთ.. ისე, თვითონ თუ მიხვდება და წავა. კიდევ უკეთესი.

— აი, მაგის იმედი კი ტყუილად გაქვთ! ასეთი მიხვედრილი რომ ყოფილიყო, არც დედათქვენს შეხვდებოდა იმდენი უსიამოვნება, არც მამათქვენს.

— მგონი, ქალიშვილთან ერთად მოვიდაო, არა?

ქალბატონი ოტას ქალიშვილი კიკუძის არასოდეს ენახა. და აი, გუნებაში გაიფიქრა: — ეს რა ულაზათოდ გამოვიდა... ქალბატონი ოტა... ქალბატონი ოტას ქალიშვილი... ათასფრთა თეთრწეროამოქარგული გოგონა... — სულაც არ უნდოდა, ამ გოგოს ქალბატონი ოტას ქალიშვილის თანდასწრებით შეხვედროდა, ქალიშვილისა, რომელსაც დღეს აგრეთვე პირველად ნახავდა.

მაგრამ თიკაკოს აბეზარი ხმა ყურებში უძვრებოდა.

ასეა თუ ისე, ოლტა-სანმა უკვე იცის, რომ აქა ვარ, ხომ არ გავიქცევი? ანდა ხომ არ დავიმალები?

ამ სიტყვებზე კიკუძი წამოდგა, იქვე, ტოკონომას გვერდით სიმი გაწია, ოთახში შევიდა და საპატიო ადგილას მუხლისთავებზე ჩაიჩოქა.

მალე თიკაკოც უკან მოჰყვა:

— ეს მიტანი-სანია, აწ გარდაცვლილი მიტანი-სანის ვაჟიშვილი, — წარუდგინა კიკუძი სტუმრებს.

ჭაბუკი იქ მყოფთ ერთხელ კიდევ მიესალმა და თავი რომ ასწია, ახლა უკვე ყველა ქალიშვილი გარკვევით გაარჩია.

წელან, ეტყობა, ღელავდა, თავდაპირველად თვალებში ერთ დიდ, ლია ფერის ლაქად ქცეული ტანსაცმელი აებლანდა: ფერად-ფერადი სამოსი სახეებს ჩრდილავდა, იერფერს უკარგავდა. ახლა კი, როდესაც ცოტა უფრო დამშვიდებული იყო, იქ მყოფნი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და ნახა, რომ ზუსტად ქალბატონი ოლტას წინ იჯდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ქალბატონმა ოლტამ. მის ხმაში ერთდროულად გაოცებაც იყო და აშკარა, გულწრფელი სიხარულიც, რასაც, ცხადია, ყველა იქ მყოფი მაშინვე მიხვდა, — რა ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს... ნუ მიწყენთ, ამდენხანს რომ ვერ შეგეხმიანეთ, ჩემი ამბავი ვერ გაგაგებინეთ...

თქვა და გვერდით მჯდარ ქალიშვილს სახელოზე ნელა მოქაჩა, თითქოს ეუბნება — არ გრცხვენია? რატომ არ ესალმები, ახლავე მიესალმეო! ქალიშვილი სახეზე წითლად წამოენთო და კიკუძის თავი მორცხვად დაუკრა.

კიკუძი შეძრწუნებული იყო: ქალბატონი ოლტას არც სიტყვებსა და არც მოქმედებაში მტრობისა და არაკეთილმოსურნეობის ნატამალიც არ იგრძნობოდა. თითქოს ძალიან გახარებულია, თითქოს ამ მოულოდნელმა შეხვედრამ მართლაც რომ უზარმაზარი სიამოვნება მიანიჭა, თითქოს აზრადაც არ მოსდის, აქ მყოფთა თვალში თავს რა უხერხულსა და ორჭოფულ მდგომარეობაში იყენებსო.

ქალიშვილს კი თავი არ აუწევია.

ეს ქალბატონმა ოლტამაც შენიშნა და ღაწვებზე შეუმჩნეველმა სიწითლემ გადაჰკრა, მაგრამ, ნირი არ შესცვლია, იგი ვაჟს ისეთი სიყვარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა, ასე გეგონებოდა, საცაა წამოდგება, მივა ამ ახალგაზრდა კაცთან და რაღაც მეტისმეტად ინტიმურსა და საალერსო სიტყვას ეტყვისო.

— თქვენც ასე გატაცებული ბრძანდებით ჩაის ცერემონიალით? — ჰკითხა ბოლოს ქალბატონმა ოლტამ.

— აჰ, არაა.. როგორც ჩანს, მამაჩემის ეს მიდრეკილება მემკვიდრეობით არ გადმომეცა...

— საოცარია! მე კი მეგონა, ასეთი რამ ადამიანებს სისხლში ჰქონდათ...

ქალბატონ ოლტას, ეტყობა, მოგონებები მოეძალა, თვალები გაუბრწყინდა, ცრემლით აევსო.

მამა' რომ გარდაიცვალა, კიკუძემ იგი უკანასკნელად თავისი მამის გასვენების დღეს ნახა.

ამ ოთხ წელიწადში ქალი თითქმის არ შეცვლილიყო.

ისევ ის თეთრი, მრგვალ მხრებთან არცთუ ისე შეხამებული მაღალი ყელი, ისევ ის ასაკისათვის შეუფერებელი წერწეტა ტანი... უწინ ასე ეგონა, თვალებთან შედარებით ცხვირი და ტუჩები ქალს მეტისმეტად პატარა აქვსო. და აი, ახლა, როცა ასე ახლოს, დაკვირვებით შეათვალიერა, ნახა, რომ ცხვირი არაჩვეულებრივად ლამაზი და გამოქანდაკებული ჰქონდა. საუბრის დროს ქვედა ბაგე ოდნავ წამოეწეოდა და ესეც გარკვეულ სილამაზეს ჰმატებდა.

მრგვალი მხრები და მაღალი ყელი ქალიშვილს ზუსტად დედამისს მიუგავდა, ბაგე და ცხვირი კი თითქოს ოდნავ უფრო მოდიდო ჰქონდა. ქალიშვილს დედაზე დიდი ტუჩები აქვსო — ეს ამბავი კიკუძის რატომღაც სასაცილოდ ეჩვენა. ქალიშვილი კი იჯდა ტუჩებმოკუმული და დიდრონი თვალები უსაზღვრო სევდით ჰქონდა სავსე.

თიკაკომ კერიაში მბჟუტავ ცეცხლს შეხედა.

— ინამურა-სან, მიტანი-სანს ერთ ფინჯან ჩაის ხომ არ მიართმევდით? ჩაის დაყენების თქვენეული მანერითა და ოსტატობით ხომ არ დაგვატკბობდით?

— სიამოვნებით...

ქალიშვილი, რომლის ვარდისფერ ფუროსაკიზე თეთრი, ათასფრთიანი წერო იყო ამოქარგული, ფეხზე წამოდგა.

და კიკუძემ მაშინვე გუნებაში გაიფიქრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს გოგო თურმე ქალბატონი ოტას გვერდით იჯდა. მერე ისევ ქალბატონ ოტას შეხედა და შეეცადა, ვარდისფერფუროსაკიანი გოგოსაკენ აღარ გაეხედა.

ინამურას ქალიშვილს თიკაკომ ჩაის მირთმევა, ეტყობა, იმიტომ დაავალა, უნდოდა ვაჟისათვის შეთვალიერების საშუალება მიეცა.

ინამურას ქალიშვილმა კი წყლით სავსე კარდალის წინ ჩაიმუხლა, თიკაკოსაკენ თავი ოდნავ შეაბრუნა და ჰკითხა:

— რას მიბრძანებთ, რომელ ფინჯანში დავუსხა?

— რომელში? — აიტაცა იმავე წუთს თიკაკომ. — მე მგონი, ამაში, აი ამაში.. მე ეს აწ განსვენებულმა ბატონმა მიტანიმ მაჩუქა, ეს მისი საყვარელი ფინჯანია.

კიკუძის შესანიშნავად ახსოვდა ეს ფინჯანი, მამა ჩაის მართლაც ამ ფინჯნით მიირთმევდა, მაგრამ... მაგრამ მამასთან ხომ იგი ბატონი ოტას ქვრივისაგან — ქალბატონი ოტასაგან მოხვდა...

საბრალო ქალბატონი ოტა! ახლა ალბათ ძალიან იტანჯება. ბატონი მიტანისათვის თვითონ საყვარელი მეუღლის ფინჯანიც არ დაიშურა, ის კი ადგა და, გააჩუქა! თან არ იტყვით, ვის აჩუქა? ვისა და, თიკაკოს... ქალბატონ თიკაკო კურიმოტოს!

თიკაკოს გულცივობითა და უტაქტობით კიკუძი გაოცებული იყო.

თუმცა უტაქტობაში თიკაკოს არც ქალბატონი ოტა ჩამორჩებოდა.

კერიის თავზე მსუბუქი ოხშივარი ისე ირეოდა, თითქოს ამ ორი, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალის წარსულს ერთმანეთში ხლართავდა. ხოლო ამ ფონზე ინამურას ჯერ ისევ ქორფა ასული ჩაის მომზადების ყველა წესს უზადო სიფაქიზით ალასრულებდა. და ქალიშვილის არაჩვეულებრივი სილამაზე კიკუძემ ერთბაშად უცნაური სიმძაფრით შეიგრძნო.

3.

ინამურას ქალიშვილს კი ის, რომ თიკაკოს იგი კიკუძისათვის უნდა ეჩვენებინა, როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსდიოდა.

ჩაი მშვიდად, აუღელვებლად დაასხა და ასევე მშვიდად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, სავსე ფინჯანი კიკუძის წინ დაუდგა.

კიკუძი ჩაის სმას მორჩა და ახლა იგი ფინჯნის ცქერით [illegible] ყოფილა. ეს იყო შავი ორიბე, რომლის ცალ მხარეს, თეთრ ჭიქურზე, მხატვარს შავი საღებავით გვიმრის ახლად ამოყრილი ლერწი გამოეხატა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ ეს ფინჯანი, — უთხრა თიკაკომ კიკუძის.

— მგონი, მახსოვს.. — როგორღაც გაურკვევლად უპასუხა კიკუძემ და ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

— შეხედავ გვიმრის ლერწს და მთები გაგახსენდება.. ფინჯანი ადრეული გაზაფხულისათვისაა, მიტანი-სანიც ამ ფინჯნით ჩაის გაზაფხულობით სვამდა... ახლა, რა თქმა უნდა, არცთუ ისე შესაფერი დროა, მაგრამ კიკუძი-სანი შეხედავს, ხელს შეავლებს და ესიამოვნება-მეთქი.

— რას ბრძანებთ, მამას ხომ იგი სულ ცოტა ხანს ჰქონდა. ფინჯანს თავისი ისტორია აქვს. თუ არ ვცდები, ვიდრე მომოიამას ეპოქის[1] ოსტატის — რიკიუს ხელიდან ჩვენამდე მოაღწევდა, საკმაოდ გრძელი გზა გამოიარა. ის ადამიანები, ვინც ჩაის ცერემონიალის ფასი და ყადრი იცოდა, საუკუნეების მანძილზე სათუთად უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ, ისე რომ, მამაჩემი აქ არაფერ შუაშია, — თქვა კიკუძემ და შეეცადა თავიდან მოეშორებინა ფიქრი იმ ადამიანებზე, რომელთა ბედიც ამ ფინჯანთან იყო დაკავშირებული. ბატონი ოოტასაგან ფინჯანი მის ქვრივს — ქალბატონ ოოტას გადაეცა, ქალბატონი ოოტასაგან იგი კიკუძის მამის ხელში მოხვდა, კიკუძის მამისაგან კი თიკაკო კურიმოტოსთან აღმოჩნდა. ამ ოთხი ადამიანიდან ორი, თანაც ორივე მამაკაცი, კარგა ხანია ამ ქვეყანას აღარ არის. ქალები კი აგერ, კიკუძის გვერდით სხედან და ჩაის ცერემონიალში მონაწილეობენ...

— ჩაის მეც სიამოვნებით დავლევდი ამ ფინჯნით. — თქვა უცბად ქალბატონმა ოოტამ.

კიკუძი ახლაც გაოცებული დარჩა: არა, რა უცნაური ქალია, ან სულელია ან მეტისმეტად ურცხვი და უტიფარი.

ქალბატონი ოოტას ქალიშვილი კი ისეთი დარცხვენილი იჯდა, შეხედავდი და შეგეცოდებოდა.

ინამურამ ჩაი ქალბატონ ოოტასაც მიართვა. ყველა იქ მყოფის მზერა ახლა ამ ქალიშვილისაკენ იყო მიპყრობილი, თვითონ კი, კვლავინდებურად მშვიდს და თვინიერს, წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა მღელვარე ვნებები ბობოქრობდა შავი ორიბეს გარშემო.

ოსტატისაგან ნასწავლ ჩაის მომზადების ყველა წესს ისე ზუსტად, სადად, ბუნებრივად, ყოველგვარი პრანჭვა-გრეხის გარეშე ასრულებდა, ასე გეგონებოდა, ჩაის ეს ცერემონიალი ჭეშმარიტად უდიდეს სიამოვნებას ანიჭებსო. მთელი მისი გარეგნობა, ყოველი მისი მოძრაობა, მართლაც რომ არაჩვეულებრივი კეთილშობილებითა და საოცარი უშუალობით იყო სავსე.

---

1 XVI საუკუნის მეორე ნახევარი

ქალიშვილის ზურგს უკან, სიოძიზე, ახლად გამოსული ფოთლების ჩრდილი ეფინა. სინათლის ანაშუქი ნაზად კიაფობდა გოგონას ძვირფას, ლიაფერის კიმონოზე. სინათლის ანაშუქი გამოკრთოდა ვარდისფერფურცლოსაკიანი ქალიშვილის თმიდანაც.

ჩაის ცერემონიალის კვალობაზე ოთახი მართლაც მეტისმეტად იყო გაჩახჩახებული, მაგრამ ეს გაბრდღვიალებული სინათლე ანათებ-ბრიშეს აკლებდა, პირიქით, კიდევ უფრო ნათელს ხდიდა ყმაწვილი ქალის სილამაზეს. მისი ცეცხლივით მოგიზგიზე, ალისფერი ფუკუსა[1] თვალში უსიამოვნოდ კი არ გხვდებოდა, კიდევ უფრო აცხოველებდა ადრეული გაზაფხულის სიკისკასესა და სინორჩის შეგრძნებას. ხელში თითქოს რაღაც წითელი ყვავილი უყვაოდა...

ასე გეგონებოდა, წუთიც და ამ ლამაზი ქალიშვილის ირგვლივ ათასი პაწაწა, თეთრი წერო აფარფატდებოდა.

— მწვანე ჩაი მუქი ფერის ფინჯანში! რა მშვენიერებაა! — თქვა ქალბატონმა ოტამ. — შეხედავ და უნებურად ადრეული გაზაფხულის სიმწვანე მოგაგონდება...

კიდევ კარგი, ის მაინც არა თქვა, ფინჯანი მანამდე ვისი იყო, ქმრის ხსოვნას გაუფრთხილდა.

მერე ჩაის ჭურჭლის დათვალიერება დაიწყეს. ქალიშვილები, მართალია, დიდად ვერ ერკვეოდნენ, მაგრამ, ზრდილობისათვის აღტაცებასაც გამოთქვამდნენ და თიკაკოს ახსნა-განმარტებებსაც ყურადღებით უსმენდნენ.

ეს მიძუსასი და ტიასიაკუ[2] თავის დროზე კიკუძის მამის საკუთრება იყო. მაგრამ თიკაკოს ამის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს. ცხადია, არც კიკუძის უთქვამს არაფერი.

ჭურჭლის დათვალიერების შემდეგ ქალიშვილები თანდათან წავიდ-წამოვიდნენ. კიკუძი ქალიშვილებისაკენ დაბნეული იყურებოდა, რომ ქალბატონი ოტა მიუახლოვდა:

— გთხოვთ, მომიტევოთ ეს კადნიერება! მაგრამ დაგინახეთ თუ არა, გული ძვირფასი მოგონებებით ამევსო...

— დიახ...

— როგორ დავაჟკაცებულხართ! პირდაპირ საოცარია... — ამბობდა ქალი და, ასე გეგონებოდა, საცაა მისი თვალებიდან ცრემლები იწვიმებდა. — — ეეჰ... დედათქვენიც ხომ... ძალიან მინდოდა გასვენებაზე მოსვლა... უბრალოდ, ვერ გავბედე...

კიკუძემ შუბლი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა, მაგრამ ქალმა ეს აინუნშიაც არ ჩააგდო.

— რა საამწუხაროა... მამა სულ ახალი გარდაცვლილი იყო, რომ დედაც მიჰყვა... წარმოდგენილი მაქვს, როგორ სიმარტოვეს განიცდით.

— დიახ.

— არ მოდიხართ?

— არა, ცოტა ხანს დავრჩები...

— იცით, მინდოდა როგორმე გაგსაუბრებოდით.

---

1 ხელსახოცი ჩაის ცერემონიალისათვის, უმეტესად თეთრი.

2 მიძუსასი — დოქის მაგვარი წყლის ჭურჭელი, რომლიდანაც კერიაზე დადგმულ ქარდალში წყალს ასხამენ.

ტიასიაკუ — ჩამჩა, უმეტესად ბამბუკის, რომლითაც ქარდალიდან მდუღარეს იღებენ.

— კიკუძი-სან! — გამოსძახა გვერდითა ოთახიდან თიკაკომ.

ქალბატონი ოოტა აშკარად გულდაწყვეტილი წამოდგა. ქალიშვილი უკვე ბაღში ელოდა. კიკუძის ორივემ თავი დაუკრა და გამოემშვიდობა. ქალიშვილი ისეთი თვალებით იყურებოდა, თითქოს რაღაცას წუხდა, რაღაცას შესჩიოდა.

გვერდითი ოთახიდან თიკაკოს ფუსფუსი ისმოდა. ეტყობა, შეგირდებსა და მოსამსახურე ქალთან ერთად იქაურობას ალაგებდა.

— რაო, ქალბატონმა ოოტამ, ასე რას გეჭიკჭიკებოდათ?

— ისეთს არაფერს.

— გირჩევთ, ცოტა მოერიდოთ. ეგ ხომ სულ თვალთმაქცობს! ისეთი გულუბრყვილო თვალებით შემოგხედავს, თავს ისეთ უწყინარ ადამიანად მოგაჩვენებს, გულში კი, ეაცმა არ იცის, რა უდევს.

— ეტყობა, თქვენი ხშირი სტუმარია, საინტერესოა, ასე როდის დამეგობრდით? — თავი ველარ შეიკავა კიკუძემ.

პავილიონიდან რომ გამოვიდა, ისე გულდაგული ამოისუნთქა, თითქოს შხამიანი ჰაერი აქვს ნასუნთქი, იმ შხამიანი ჰაერისაგან უნდა განთავისუფლდესო.

კიკუძის თიკაკოც თან გამოჰყვა.

— რას იტყვით, მოგეწონათ ინამურას ქალიშვილი? ხომ მართლაც საუცხოო გოგოა?

— კარგი გოგოა... მაგრამ, აქ კი არა, სადმე სხვა ადგილას რომ შეეხვედროდი ,ალბათ უფრო მეტად მომეწონებოდა, იქ, სადაც არც განსვენებული მამაჩემის აჩრდილი იტრიალებდა, არც თქვენ იქნებოდით და არც ქალბატონი ოოტა.

— ნუთუ მეტი საქმე არა გაქვთ, ასეთი სისულელეებით რომ იტკივებთ თავს? ყველა-ყველა და, ქალბატონ ოოტას ამ ქალიშვილთან რა ხელი აქვს?

— რა ვიცი, შეიძლება არცა აქვს... მე კი, მართალი გითხრათ, სწორედ ამ ქალიშვილის წინაშე ვგრძნობდი თავს უხერხულად.

— კი მაგრამ, რატომ? ქალბატონი ოოტას მოსვლამ თუ გუნება ასე წაგიხდინათ, ბოდიშს გიხდით. თუმცა დღეს მე იგი სულაც არ დამიპატიჟებია. ისე კი, ხომ გითხარით, ინამურას ქალიშვილთან იმას არაფერი ესაქმება-მეთქი.

— ნება მომეცით, დაგემშვიდობოთ, — უთხრა ბოლოს კიკუძემ. იცოდა, ერთად რომ გასულიყვნენ, თავიდან ველარ მოიშორებდა.

მარტო დარჩენილმა ვაჟმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. მთის ფერდობებს უნაზესი კოკრებით დაფარული ველური იელი მოსდებოდა. კიკუძემ შვებით ამოისუნთქა.

არა, მაინც რა უნდოდა, რისთვის წამოვიდა ამ ჩაის ცერემონიალზე?.. ესე იგი, თიკაკოს წერილმა აცდუნა! ვარდისფერ ფუროსაკიზე ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ქალიშვილი კი მართლაც მშვენიერია... მის შეხედვაზე გულს ნათელი გეფინება, გაზაფხულის სიქორფისა და სინორჩის სურნელით ივსები.

ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს გოგო იყო მიზეზი, მამამისის ამ ორ საყვარელთან შეხვედრა მაინცდამაინც დიდ ხიბჭად რომ არ ჩარჩენია. მაგრამ იმის გაფიქრებაზე, ეს ქალები ისევ ცოცხლები და საღ-სალამათები არიან, მამაჩემს საფლავშიაც მოსვენებას არ აძლევენ. დედა კი რა ხანია ამქვეყანას

ალარ არისო, გულს ცეცხლი ეკიდებოდა. ამ ფიქრებში გართულს ერთბაშად კელავ თიკაოს ამაზრზენი ტყლირპი გააცსენდა.

კიკუძემ შლაპა მოიხადა, ახლად გამობიბინებული ფოთლებიდან მონაბერ გრილ ნიავს შუბლი მიუშვირა და გზას ნელი ნაბიჯით გაუყვა.

უცებ შორს, ტაძრის ჭიშკართან ქალბატონი ოტა [illegible] ბნეულმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა: — რა ქნას, თავი როგორ [illegible] ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, მთის ფერდობზე ავალ, სულ ერთია, გზის მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ, ტაძრის შემოგარენიდან ისე გავიპარები, ჭიშკარში გავლა არ მომიწევსო.

მაგრამ გზიდან არ გადაუხვევია, დაადო თავი და პირდაპირ ჭიშკრისაკენ გასწია. ლოყები გაუცივდა, ქვასავით გაუხდა.

ქალბატონმა ოტამ კი დაინახა თუ არა, მაშინვე მისკენ წამოვიდა. სახე წითლად უგიზგიზებდა.

— იცით, თქვენ გელოდებოდით... მიხდოდა, ერთხელ კიდევ დამენახეთ, ვინ იცის, იქნებ ველარც კი შევხვდეთ ერთმანეთს... ეს ალბათ კადნიერებაც კია ჩემი მხრით, მაგრამ...

— თქვენი ქალიშვილი სადღაა?

— ფუმიკო? ამხანაგს გაჰყვა... შინ წავიდა.

— და იცის, რომ... რომ მე მელოდებით? — ჰკითხა კიკუძემ.

— დიახ, — უპასუხა ქალბატონმა ოტამ და ვაეს თვალებში შეხედა.

— მე მგონი, ჩაის ცერემონიალზე ჩვენმა ამ შემთხვევითმა შეხვედრამ არცთუ ისე კარგ გუნებაზე დააყენა. მართალი გითხრათ, შემეცოდა კიდევაც...

კიკუძი სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა, რათა მისი ნათქვამი ქალს ერთდროულად თავაზიანიც სჩვენებოდა და პირდაპირიც.

მაგრამ ქალბატონმა ოტამ ამაზე სრულიად გულღიად უპასუხა:

— მართალი ბრძანდებით. თქვენთან შეხვედრა ფუმიკოსათვის მეტად მტკივნეული გახლდათ.

— რა თქმა უნდა... განა ცოტა წვალება გამოიარა თქვენმა ქალიშვილმა მამაჩემის გამოისობით!

ისევე როგორც თქვენი გამოისობითაც. — ენის წვერზე მოადგა კიკუძის, მაგრამ, თავი შეიკავა.

— არა, რატომ! — ცხარედ შეეკამათა ქალბატონი ოტა. — მამათქვენი მუდამ ალერსიანად ექცეოდა ფუმიკოს... როგორ მინდა, ერთხელ მაინც დავსხდეთ ჩვენთვის წყნარად და თავიდან ბოლომდე ყველაფერი მოგიყვეთ. მიუხედავად მამათქვენის ყოველგვარი მცდელობისა, მართალია, თავდაპირველად ფუმიკო ვერა და ვერ შეეჩვია, მაგრამ, მერე და მერე — ეს მაშინ, ომი უკვე დამთავრებაზე რომ იყო, საჰაერო დაბომბვამ რომ იმატა — გოგონა უცბად შეიცვალა. მამათქვენის მიმართ ერთბაშად საოცრად თბილი და ყურადღებიანი გახდა... მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა მოხდა... არა, კი არ ეფერებოდა, ბავშვივით ზრუნავდა. ბატონი მიტანისათვის თევზი ან ქათამი რომ ეშოვა, ვინ მოსთელის, რამდენჯერ ფუმიკო მარტოდმარტოც კი წასულა სადღაც, შორეულ სოფელში. მაშინ ჯერ ისევ ერთი ციდა გოგო იყო... თან ირგვლივ სულ ბომბავდნენ და ბომბავდნენ. ძალიან ეღელავდი, აბა, წარმოიდგინეთ, გზაში რა შიშსა და გულისხეთქვაში იქნებოდა, ის კი მაინც თავისას არ იშლიდა. ეტყობა, ძალიან უნდოდა, მამათქვენისათვის ესიამოვნებინა... ხომ

წარმოგიდგენიათ, რამსიშორეს მიდიოდა... დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ საფრთხეშიაც ჩაუგდია სიცოცხლე, მაგრამ, რა უნდა მექნა!.. მამათქვენი გაოცებას ვერ ფარავდა. ვერ გაეგო, ასე რატომ შეიცვალა, რატომ გაბდა მის მიმართ ასეთი ნაზი და ყურადღებიანი... მეც გაოგნებული ვიყავი. ფუმიკოს საქციელი ისეთი გულისამაჩუყებელი იყო, ხანდახან ცრემლებს ძლივს ვიკავებდი... თან იცით... მოკლედ, ძალიან ვიტანჯებოდი... მე ხომ [illegible] ნათებდა...

კიკუძი მხოლოდ ახლალა მიხვდა, იმ დიდი გაჭირვების წლებში, დროდადრო საიდან გაჩნდებოდა ხოლმე მათ სახლში ესა თუ ის გემრიელი საჭმელი. მოიტანდა მამა საუკეთესო ხარისხის სურსათს და რალაცას მიკიბ-მოკიბავდა. სინამდვილეში კი, როგორც ჩანს, მთელ მათ ოჯახს თავი თურმე ოოტას ქალიშვილის, მისი კეთილი გულის წყალობით გაჰქონდა.

— იცით, დღემდე ვერ მივმხვდარვარ, ფუმიკო ასე თვალსა და ხელს შუა რატომ შეიცვალა, — განაგრძობდა ქალბატონი ოოტა, — მე მგონი, უბრალოდ, იგრძნო, რა მძიმე, რა საშინელი დრო იყო — სიკვდილი ხომ ყოველდღე უდრტვინველად დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში... ეტყობა, ძალიან ვეცოდებოდი, და აი, რაც შეეძლო, თავს არ იზოგავდა, მამათქვენის გულისათვის, მზად იყო, ცეცხლშიაც ჩავარდნილიყო...

ჩანს, მართლაც ბევრი რამ გადაიტანა გოგონამ, რახან მაშინ, ომის იმ ბოლო დღეებში, უცბად მიხვდა, თუ რით ცხოვრობდა და რა ასულდგმულებდა დედამისს... დედა კი თავგამოდებული ჩასჭიდებოდა თავის სიყვარულს. და აი, ფუმიკომ დაივიწყა წარსული, დაივიწყა გარდაცვლილი მამა და დღევანდელი დღის ტკივილით განიმსჭვალა, გაიგო და გაიზიარა, თუ რა მძიმე, აუტანელი იყო დედამისის სიცოცხლე, ისეთივე მძიმე და აუტანელი, როგორც მთელი მისი ეს გარემომცველი ცხოვრება.

— ფუმიკოს ბეჭედი თუ შეამჩნიეთ?

— არა, არ შემიმჩნევია.

— ის ბეჭედი მამათქვენის სახსოვარია. საჰაერო განგაში რომ დაიწყებოდა, მამა მაშინვე სახლში მოდიოდა. ფუმიკო კი, რამდენიც არ უნდა გეხვეწნა, რა იცი, გზაში რა მოუხდესო, შინ მარტო არასოდეს გამოუშვებდა. ის, რომ მასაც ასევე შეიძლებოდა ათასი მარცხი და უბედურება შემთხვეოდა, არაფრად დაგიდევდა. საკუთარ თავზე სულაც არ ფიქრობდა. ერთხელაც არის, ჩვეულებისამებრ, მამათქვენი გააცილა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... ძალიან ვღელავ, ველოდები, ფუმიკო კი არა და არ ჩანს.. თუ არ გამოუშვეს, ღამის გასათევად თავისთან თუ დატოვეს, ხომ კარგი. მაგრამ, ვაითუ ასე არ არის, მაშინ? (მაშინ რა ვქნა, რა ვიღონო? ამ შუალამისას, მარტო, ამ ბომბების ცვენასა და უბედურებაში.... შინ რომ დაბრუნდა, უკვე გათენების ხანი იყო. სად იყავი-მეთქი, რომ ვკითხე, ასე მითხრა, სახლის კარებამდე მივაცილე, ღამე კი სადღაც თავშესაფარში გავათენეო. ამ ამბის მერე მამათქვენი ჩვენთან რომ მოვიდა, გმადლობთ, ფუმი-ტიან, მადლობელი ვარო, — სულ მადლობას უხდიდა... სწორედ მაშინ იყო, ბეჭედი რომ აჩუქა... აგერ, ახლა, ჩაის ცერემონიალზე ფუმიკო ხელს ალბათ სულ მალავდა, ერიდებოდა თქვენი...

კიკუძი ქალბატონ ოოტას უსმენდა და მის სულს თანდათან უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. უცნაური ქალია! ნუთუ მართლა სჯერა, რომ ამ რალაც თავისი ამბებით კიკუძის გულში თანაგრძნობასა და სიბრალულს გამოიწვევს?!

კაცმა რომ თქვას, ქალბატონი ოლგას მიმართ ახლა იგი არც მტრობას გრძნობდა, არც სიძულვილს. ამისი მიზეზი ალბათ ქალის ის საოცარი სითბო იყო, რომელიც ვაჟის ყურადღებას ჰფანტავდა, სიფხიზლეს ეფარებდა.

ქალბატონი ოლგას ქალიშვილს კი, ეტყობა, არ შეეძლო, გულდამშვიდებულად ეცქირა დედისათვის. ალბათ ამიტომაც გახდა მის მიმართ ასეთი თავდაუზოგავი.

კიკუძის ასე ეგონა, ქალბატონი ოლგა ქალიშვილზე [illegible], მაგრამ სინამდვილეში თავისი სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა.

როგორც ჩანს, უნდოდა გული და სული გადაეხსნა; ისეთი გახარებული იყო, მის წინაშე თითქოს აწ განსვენებული საყვარლის ვაჟიშვილი კი არა, თავად ის საყვარელი იდგა. უცნაურია, მაგრამ, კიკუძის ისეთი გრძნობა ჰქონდა. ქალბატონი ოლგა იმას კი არა, ამწუთას გულს იმ მეორეს უშლიდა, მთელი სულითა და არსებით მამამისთან იყო.

ის მტრული განწყობა, რომელსაც უწინ თვითონაც და დედამისიც ქალბატონ ოლგას მიმართ განიცდიდნენ, მართალია, მთლად გამქრალი არა, მაგრამ, როგორიღაც მიმცხრალი და მინელებული იყო. ალბათ საკმარისია ოდნავ, სულ ოდნავ მოედუნებინა დაძაბული ნებისყოფა, რომ ეჭვი ალარ შეჰპარვოდა, ამ ქალს ნამდვილად მე ვუყვარვარ, ვინაიდან მე და მამაჩემი ერთი და იგივე ვართო... ცდუნება ისე დიდი იყო, ლამის ერწმუნა კიდევაც, რომ ამ ქალთან დიდი ხნის სიახლოვე აკავშირებდა.

კიკუძის ახლა უკვე მშვენივრად ესმოდა, რატომ გაწყვიტა კავშირი მამამ თიკაკოსთან, რატომ ვერ მოშორდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ქალბატონ ოლგას. იმასაც მიხვდა, თიკაკოს დღემდე ძველებურად რომ სძულდა ყოფილი მეტოქე, დღემდე არ უსვენებდა, ქირდავდა და დასცინოდა. ვაჟი ერთბაშად ბრაზმა აიტანა, უცნაურმა სურვილმა შეიპყრო — რაც შეიძლება მწარედ დაეკლა გული ქალბატონი ოლგასათვის. და თავის შეკავებასაც არ ცდილა, ეგრევე მიახალა:

— როგორც ჩანს, კურიმოტოს ჩაის ცერემონიალების ხშირი სტუმარი ბრძანდებით... საოცარია! მან ხომ სისხლი გაგიშროთ თავის დროზე?!

— დიახ... მაგრამ, მამათქვენი რომ გარდაიცვალა, ქალბატონი კურიმოტოსაგან წერილი მივიღე... ისეთ საშინელ დღეში ვიყავი, ისეთ სიცარიელეს, ისეთ სიმარტოვეს ვგრძნობდი... — თქვა ქალბატონმა ოლგამ და თავი დახარა.

— და ქალიშვილიც მუდამ ასე თან დაგყვებათ?

— არა, მუდამ არა... მაგრამ, როცა მიმყავს, მაშინაც ძალისძალად.

ამ სიტყვებით სადგურ ჩრდილოეთ კამაკურასთან რკინიგზა გადაჭრეს და ტაძრის მოპირდაპირედ აღმართული მთისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

4.

ქალბატონი ოლგა კიკუძიზე ალბათ მთელი ოცი წლით მაინც იყო უფროსი — ორმოცდახუთ წელს თითქმის ალარაფერი უკლდა. მიუხედავად ამისა, ვაჟს ისეთი გრძნობა ჰქონდა, შუახნის დიაცს კი არა, ჩემზე გაცილებით უმცროსს — ჯერ ისევ ყმაწვილ ქალს ვეხვევიო.

სადღა იყო მარტოხელა ახალგაზრდა კაცისათვის ჩვეული შებოჭილობა — ამ ქალთან თავს მართლაც რომ შესანიშნავად გრძნობდა.

ასე ეგონა, დღეს პირველად გაიგო, რა იყო ქალი. მხოლოდ ქალი კი

არა, მამაკაციც. ამით იგი აღელვებულიც იყო და გაოცებულიც, ვინაიდან აქამდე წარმოდგენაც არა ჰქონდა, ქალი ასე დამყოლი, ასე თავბრუდახვევამდე ნაზი და მომხიბვლელი რომ შეიძლებოდა ყოფილიყო. ქალი ვეკს ხიბლით ავსებდა და თავადაც იხიბლებოდა, ვაჟიც ისე ზავდებოდა ამ ქალში, როგორც უტკბილეს სურნელში.

სხვა დროს ქალთან სიახლოვის შემდეგ კიკუძის რაღაც ბიზღის-მაგვარი გრძნობა ეუფლებოდა, ახლა კი, როცა ეს ზიზღი თითქმის [illegible], მსგავსიც არაფერი უგრძვნია, მთელი მისი არსება რაღაცნაირ შვებისმომგვრელ სიმშვიდეს მოეცვა.

უწინ ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე მოშორებოდა, შორს გაწეულიყო ქალისაგან, ახლა კი დიდხანს ტკბებოდა მისი თბილი სხეულის სიახლოვით, კიდევ დიდხანს, დიდხანს ავსებდა მის ძარღვებს ქალის სხეულიდან წამოსული ნეტარებისმომგვრელი ტალღები. იწვა ქალბატონი ოტას გვერდით ნახევრად მითვლემილი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ ყოვლისშემძლე, გულზვიადი მბრძანებელი იყო, ეს ქალი კი მისი უმორჩილესი მონა და მხევალი.

ქალის ხვევნა-ალერსში თითქოს რაღაც დედობრივიც იყო.

ვაჟმა უცბად თავი მხრებში წარგო და ქალბატონ ოტას უთხრა:

— იცით, აი მაგ ადგილას კურიმოტოს შავი, დიდი ტყლარპი აქვს...

თქვა და იმავე წუთს მიხვდა, რომ რაღაც უგვანო და უკადრისი წამოსცდა. მაგრამ მთელი მისი სხეული ისეთ თვლემას მოეცვა, მის არსებას ისეთი ტკბილი სიზანტე დაუფლებოდა, კურიმოტოს მიმართ ამ წუთას ოტისოდენა სინდისის ქენჯნაც არ უგრძვნია.

— ჰო, ჰო, მანდ, აი ზუსტად მაგ ადგილას. — დასძინა კიკუძემ და ხელი ქალბატონი ოტას მკერდისაკენ გაიწოდა.

ერთი სული ჰქონდა, კიდევ რაღაც მწარე სიტყვა ეთქვა ქალისათვის. ძნელი გასარკვევია, ამით მისი გულისტკენა სურდა თუ ეს, უბრალოდ, უჩვეულო მდგომარეობაში მყოფი მამაკაცის ერთგვარი თავდაცვითი რეაქცია იყო... ვინ იცის, ამ უხეში საქციელით უფრო მეტად იქნებ საკუთარი უხერხულობის დაფარვა უნდოდა? რაც არ უნდა იყოს, განა უხერხული არ არის, დადგე და ქალის მკერდს ასე უტიფრად, ასე დაჟინებით უცქირო?

— არა, არა, არ გინდათ! — ქალბატონმა ოტამ კიმონოს კალთები ფრთხილად მოიწია. კაცმა რომ თქვას, კიკუძის სიტყვებს მასზე არცთუ ისე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, პირიქით, მეტისმეტად მშვიდადაც კი უპასუხა: — ტყლარპი? პირველად მესმის... ვითომ რა მნიშვნელობა აქვს, ტანსაცმელში ხომ არ გამოუჩნდება?

— არ გამოუჩნდება? რატომ?

— როგორ თუ რატომ?

— თუ ამ ადგილასაა?

— კარგით ერთი! გეტყობათ, ძალიან გაინტერესებთ, ისეთი ტყლარპი მეცა მაქვს თუ არა, ხომ ასეა?

— არა, არა, ეგ კი არა... მე ის მაინტერესებს, ნეტავი, რას განიცდის ის ქალი, რომელსაც მკერდზე ასეთი საშინელი ტყლარპი აქვს?

— თუ... აქ... აი, აქ, არა? — თქვა ქალბატონმა ოტამ და მკერდზე დაიხედა. — მაინც რატომ გაინტერესებთ? ახლა რატომ გაგახსენდათ? მე თუ მკითხავთ, ამას სულაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ქალბატონი ოტას წყენა არცთუ ისე იოლი საქმე გახლდათ. კიკუძის მიერ დანთხეულმა გესლმა ქალს სულაც ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ იგრძნო, ამ შხამმა თავად მას გულ-გვამში როგორ დაუარა:

— მნიშვნელობა არა აქვსო! სცდებით! იმ ტყლარპს მთელ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთადერთხელ მოვკარი თვალი, მაშინ ჯერ ისევ რვაცხრა წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ დღემდე არ დამვიწყებია.

— რატომ?

— რატომ? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ნამდვილად ასეა... იმ ტყლარპმა, მე მგონი, არც თქვენს ცხოვრებაში ითამაშა ნაკლები როლი. განა თქვენ კი გული არ გაგიწყალათ კურიმოტომ? გამოგეცხადებოდათ შინ ყოველდღე და რა დღეში არ გაგდებდათ, თავი კი ისე ეჭირა, ვითომ ჩვენგან — დედასა და ჩემგან იყო გაქეზებული.

ქალბატონმა ოტამ თავი დაუქნია და ჩუმად გაიწია. კიკუძიმ ქალს მკლავები მაგრად მოხვია:

— ეტყობა, კურიმოტო წუთითაც ვერ ივიწყებდა იმ თავის შავ ტყლარპს, ამიტომაც ჰქონდა გული ასე გესლით სავსე.

— ღმერთო ჩემო, აბა, რას ამბობთ, რა საშინელებას ლაპარაკობთ!

— გარდა ამისა, ამით ალბათ მაშაზედაც უნდოდა შური ეძია.

— შური? კი მაგრამ, რისთვის? რატომ?

— გესმით, მთელ თავის წარუმატებლობას, როგორც ჩანს, იმ თავის შავ ტყლარპს უკავშირებდა, ასე ეგონა, სწორედ იმ შავი ხალის ბრალი იყო, მამა ერთთავად ასე რომ ამცირებდა, ბოლოს კი ადგა და სულაც მიატოვა.

— ძალიან გთხოვთ, ამაზე აღარაფერი მითხრათ, რაც არ უნდა იყოს, არ მსიამოვნებს.

კურიმოტოს დიდი, შავად შებანლული ხალი ქალბატონ ოტას, ეტყობა, მართლაც ნამდვილად არ აწუხებდა, ვინაიდან იგი მისთვის მხოლოდ აბსტრაქცია იყო.

— მე მგონი, ის ძველი შფოთვა და ტანჯვა, დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, კურიმოტო-სანი ახლა თავს ალბათ დამშვიდებულად გრძნობს, თავისი შავი ხალი სულაც აღარ ახსოვს.

— ჰო, მაგრამ, რა დროც არ უნდა გავიდეს, განა განცდილი მწუხარება სამუდამოდ არ ტოვებს კვალს ადამიანის სულში?

— არ ვიცი... ზოგჯერ საშინლად ვიტანჯებით, ვწუხვართ, განვიცდით, მაგრამ აი, გავა ხანი და ის გარდასული დრო, მთელი თავისი ტანჯვა-მწუხარებით ჩვენთვის სანუკვარიც კი ხდება.

ქალბატონი ოტა ისე ლაპარაკობდა, თითქოს ჯერ ისევ ნეტარების ბუნაგში იყო გახვეული.

და აი, კიკუძიმ უცბად ისეთი რამ წამოროშა, რაც, გადაწყვეტილი ჰქონდა, არაფრით არ ეთქვა.

— ჩაის ცერემონიალზე თქვენ გვერდით ერთი ქალიშვილი იჯდა...

— ვინ? იუკიკო-სანი, ბატონი ინამურას ქალიშვილი?..

— კურიმოტომ დღეს სწორედ იმ ქალიშვილის სანახავად დამპატიჟა.

— ღმერთო ჩემო!

ქალბატონ ოტას ისედაც დიდი, ფართოდ გახელილი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა და მისი დაჟინებული მზერა კიკუძის სახეზე მიეყინა.

— ესე იგი, გასასინჯად იყავით? მე კი აზრადაც არ მომსვლია...

— რას ბრძანებთ, ეს რა გასინჯვაა?!

— არა, არა... აბა ეს სადაური ამბავია... გასინჯვის შემდეგ... გზად... ღმერთო ჩემო!.. ღმერთო!

ფართოდ გახელილი თვალებიდან ქალბატონ ოოტას ცრემლი გადმოუგორდა და სასთუმალს დაეცა, მხრები ხურვებაშეყრილივით უთრთოდა.

— რა სისაძაგლეა, ღმერთო, რა საშინელებაა! რატომ არ [illegible] რატომ ადრე არ მითხარით?

ბიბლიოთეკა

ქალმა თავი ბალიშში წარგო და ატირდა.

მისი სიტყვები ასე თუ იმოქმედებდა, კიკუძის ნამდვილად არ ეგონა.

— ის, რაც სისაძაგლეა, ასედაც სისაძაგლეა და ისედაც. გასინჯვის შემდეგ... შინ მიმავალმა... გზად... ვითომ გასინჯვა რა შუაშია! ერთმანეთთან რა კავშირი აქვს?

თქვა ვაჟმა გულწრფელად.

მაგრამ თვალწინ უცბად იმ ქალიშვილის სახე წარმოუდგა, ჩაის ცერემონიალზე ჩაი რომ მიართვა. ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ვარდისფერი ფუროსაკი თითქმის ცხადლივ დაინახა და ქალბატონი ოოტას ქვითინისაგან აცახცახებული სხეულის მიმართ აუტანელი ზიზღი იგრძნო.

— რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!.. ეს რა ვქენი, რა ჩავიდინე! — ტიროდა ქალბატონი ოოტა და მრგვალი მხრები უთრთოდა.

კიკუძი არც სინდისის ქენჯნას განიცდიდა, არც სინანულს, ასე რომ არა, ეს ყველაფერი ახლა ალბათ გულისამრევი მოეჩვენებოდა, არა რაღაც გასინჯვის, არამედ იმის გამო, ეს ქალი... აი, ეს ქალი ოდესღაც მამამისის საყვარელი რომ იყო.

დიახ, ბოლო წუთამდე იგი არც სინანულს გრძნობდა, არც ზიზღს.

მაგრამ რა მოხდა, რატომ შეემთხვა ასეთი რამ ქალბატონ ოოტასთან, წესიერად ჯერაც ვერ გაუცნობიერებია... ყველაფერი თითქოს თავისთავად მოხდა, უბრალოდ და ბუნებრივად. და აი, წევს ახლა ეს ქალი, გულამოსკვნილი ქვითინებს და რაღაც სისულელეებს ლაპარაკობს... იქნებ თავს ადანაშაულებს, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე ვაცდუნეო?.. მაგრამ, განა ასეა? განა ქალბატონმა ოოტამ აცდუნა კიკუძი? რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ, ერთსაცა და მეორესაც გულმა ერთმანეთისაკენ გაუწია. რაც მთავარია, არც ერთსა და არც მეორეს შინაგანი წინააღმდეგობის მსგავსიც არაფერი უგრძვნია, მორალსა და ზნეობაზე ფიქრს არც ერთი დაუმძიმებია, არც მეორე.

ისინი ენკაკუძის ტაძრის მოპირდაპირედ აღმართულ გორაზე ავიდნენ და სასტუმროში ერთად ივახშმეს. ქალბატონი ოოტა სულ ლაპარაკობდა, სულ უფრო ღრმად და ღრმად იძირებოდა მოგონებებში. კიკუძისაც სხვა რაღა დარჩენოდა, იჯდა და უსმენდა. ალბათ ყველაზე სასაცილო ის იყო, ყურისგდება რომ დაუწყო, მაშინვე რომ არ გააჩუმა. მაგრამ, ქალბატონ ოოტას ეს აზრადაც არ მოსვლია. უნდოდა ყველაფერი ეთქვა, მამამისის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო, თან ისე თბილად, ისე გულდასმით ჰყვებოდა, მისი ეს სითბო და გულისხმიერება თანდათან კიკუძისაც გადაედო. და აი, უცბად იგრძნო, ქალბატონი ოოტასაგან მოდენილმა თავბრუდამხვევმა სინაზემ მთელი მისი არსება როგორ მოიცვა, ამ ქალის მიმართ თავისდა უნებურად თანდათან სიმპათიით როგორ განიმსჭვალა.

ისიც იგრძნო, მამაჩემი ამ ქალთან, რა თქმა უნდა, ძალზე ბედნიერი იქნებოდა.

„ყოვლისმომცველი სინაზე...“ სწორედ ეს სინაზე იყო ყოველივე ამის მიზეზი, ყოველივე ამის თავიდათავი... თუკი რამ ცუდი და უგვანო მოხდა, ყველაფერს სათავე ამ თავბრუდამხვევ, მომაჯადოებელ სინაზეში ედო... კიკუძემ ხელიდან გაუშვა ის წამი, როდესაც ჯერ ისევ შეეძლო, თავი დაეღწია ქალბატონი ოტასაგან, მერე კი თანდათან მოეშვა, მდორე ნეტარების მორევში ჩაიძირა.

მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში რაღაც მწარე ნაღველივით ჰქონდა ჩაწოლილი... ვინ იცის, თიკაკოსა და ინამურას ქალიშვილის ამბავიც იქნებ სწორედ იმ დროს წამოროშა, როცა ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, გულიდან იმ მწარე ნაღველის ამოღებას ლამობდა.

მაგრამ მისი ეს ნაღველი მეტისმეტად მომწამვლელი აღმოჩნდა. გრძნობდა, თანდათან საკუთარი თავის მიმართ სიძულვილით როგორ იმსჭვალებოდა, სინანული და თითზე კბენა კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს სინანული მის გულში ზიზღს კიდევ უფრო გაზრდიდა, ქალბატონ ოტას კი უამრავ სისაძაგლესა და გულსაკლავს ეტყოდა.

— რაც იყო, იყო, — თქვა ქალბატონმა ოტამ, — დავივიწყოთ, ვითომც არაფერი მომხდარა.

— რა თქმა უნდა! უბრალოდ, მამაჩემი გაიხსენეთ, ეგ არის და ეგ...

— ღმერთო ჩემო!

ქალმა ბალიშიდან თავი წამოსწია და ვაჟს გაოცებულმა შეხედა. პირქვე წოლისა და ცრემლისაგან ქუთუთოები დასწითლებოდა, თვალის კაკლებიც კი შემღვრეოდა. მიუხედავად ამისა, კიკუძემ შეამჩნია, დიდი, ფართოდ გახელილი თვალები ჯერ ისევ განცდილი ნეტარების მსუბუქი ჩრდილით ჰქონდა ჩაბინდული.

— აბა, რა გითხრათ, სათქმელიც კი არაფერი მაქვს... ღმერთო, რა საცოდავი ვარ...

— სცრუობთ! ის ყველაფერი უკვე დაგავიწყდათ! — კიკუძემ კიმონოს კალთები უხეშად გადაუწია და მკერდი გაუშიშვლა. — სხვათა შორის... მაგრამ თქვენ ხომ ტყლირპი არა გაქვთ! რომ გქონდეთ, არც თქვენ დაგავიწყდებოდათ... ასეთი რამ ადამიანს არასოდეს ავიწყდება.

თქვა და თავისმა ნათქვამმა თვითონვე გააოცა.

— არა, არა, არ გინდათ, ასე ნუ მიყურებთ, მე ხომ უკვე ახალგაზრდა ალარა ვარ...

ვაჟმა ზედა ტუჩი ნადირივით წინ წამოწია და ქალის მკერდს დაეწაფა.

და, ისევ მოაწყდა ტალღა ტალღას.

მერე კიკუძის მშვიდად ჩაეძინა.

ძილში ჩიტების ჭიკჭიკი ჩაესმა. ასე ეგონა, მის ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევა იყო, ჩიტების ჭიკჭიკზე რომ ეღვიძებოდა.

დილის ნისლმა ალბათ მწვანედ შეფოთლილი ხეები განბანა, მერე ნისლმა მის გონებაშიც შეაღწია და ყოველგვარი ფიქრი და აზრი პირწმინდად ჩამორეცხა.

ქალი ვაჟისაკენ ზურგშებრუნებული იწვა. მაინც როდის იბრუნა გვერდი?.. იდაყვზე წამოწეულმა, რატომღაც ძალზე დამორცხვებულმა კიკუძემ მძინარე ქალს მწუხრის შუქით მოვარაყებულ სახეში ფრთხილად ჩახედა.

5.

თიკაკოს მიერ მოწყობილი იმ ჩაის ცერემონიალის შემდეგ თითქმის მთელი ორი კვირა იყო გასული, რომ ერთ მშვენიერ დღეს კიკუძის ქალბატონი ოოტას ქალიშვილი ეწვია.

ვაჟი მოუსვენრად აწრიალდა. ქალიშვილი სასტუმრო ოთახში შეიყვანა, თვითონ სასადილოში გავიდა, ბუფეტი გამოიღო და ნამცხვარი თეფშზე თავისი ხელით დაალაგა. მაგრამ ვერა და ვერ დამშვიდდა; ნუთუ მარტო მოვიდა ფუმიკო? იქნებ ქალბატონმა ოოტამ მის სახლში შემოსვლა ვერ გაბედა? იქნებ დგას ახლა ქუჩაში და ელოდება?

სასტუმროში შემობრუნებული კიკუძის დანახვაზე ქალიშვილი სავარძლიდან წამოდგა. თვალებდახრილს ლამაზი, სავსე ბაგეები მოეკუმა, ოდნავ წამოწეული ქვედა ტუჩი უფრო თხელი და ნატიფი უჩანდა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გალოდინეთ.

კიკუძემ ქალიშვილს ზურგს უკან შემოუარა და ბაღში გამავალი მინის კარი გაწია.

გვერდით რომ ჩაუარა, ლარნაკში ჩაწყობილი თეთრი იორდასალამების ძლივს შესამჩნევი სურნელი შეიგრძნო. თითქოს თავისი ბრგვალი მხრების გაშლისა ეშინიათ, ფუმიკო კიდევ უფრო მოიბუზა, მხრებში აიწურა.

— დაბრძანდით, — უთხრა კიკუძემ და სავარძელში თვითონ პირველი ჩაეშვა.

მერე უცბად სრულიად დამშვიდდა — დედა-შვილის საოცარი მსგავსების გამო, ქალიშვილის მიმართ ერთბაშად არაჩვეულებრივი სითბო და სიახლოვე იგრძნო.

— ვიცი, არასწორად ვიქცევი, — წარმოთქვა ქალიშვილმა ისე, რომ თავი არ აუწევია. — არ უნდა მოვსულიყავი.

— რას ბრძანებთ!.. მოხარული ვარ, ასე იოლად რომ მომაგენით.

— დიახ...

მაგრამ დაბომბვის დროს ფუმიკოს ხომ არაერთხელ მოუცილებია მამამისი სახლის კარამდე!

ეს ლამის უთხრა კიდევაც კიკუძემ, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ შეხედა.

და აი, თითქოს ზაფხულის თბილ წვიმაში მოხვდაო, მთელ ტანში სითბომ დაუარა — ისევ მოაწყდნენ მის სხეულს ქალბატონი ოოტასაგან წამოსული ვნების ტალღები... რა უფიქრელად, რა ნაზად, როგორ მთელის არსებით დამნებდა... მეც როგორი დამცხრალი, როგორი დაამებული ვიყავიო, — გაიფიქრა.

ყოველივე ამის, იმ მაშინდელი დაამების, იმ დაოკების გამო ფუმიკოსთან თავს ახლა სრულიად მშვიდად გრძნობდა. დაძაბულობამ უკვე გაუარა, მიუხედავად ამისა, ქალიშვილს თვალს ვერ უსწორებდა, სახეში შეხედვას ვერ ბედავდა.

— იცით... — დაიწყო ფუმიკომ, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა და ვაჟს ერთბანს ასე გაჩუმებული მიაჩერდა. — თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს... მე თქვენთან დედაჩემის გამო მოვედი...

კიკუძემ სუნთქვაც კი შეწყვიტა.

— გთხოვთ, აპატიოთ დედას.

— ვაპატიო?! რა?! რა უნდა ვაპატიო?! — გულწრფელად გაიოცა კიკუძემ. მაგრამ იმავე წუთს მიხვდა, რომ ქალბატონი ოლგა, როგორც ჩანს, სრულიად გულახდილი იყო ქალიშვილთან. — თუ ასეა, თუ ვინმემ ვინმეს რაიმე უნდა აპატიოს, საპატიებელი მაშინ მე უფრო ვარ. — თქვა ბოლოს კიკუძემ.

— არა, არა! გთხოვთ აპატიოთ.. თუნდაც მამათქვენის გამო...

— აკი გითხარით, თუ ასეა, პატიებას მე უნდა ვითხოვდე [illegible], კაცმა რომ თქვას, ვინღა აპატიოს? დედაჩემი რა ხანია ცოცხალი [illegible]

— ჰო, მაგრამ... იცით... იქნებ დედაჩემია დამნაშავე, თქვენი მშობლებ. ასე უდროოდ რომ დაიხოცნენ... ჯერ მამა გარდაიცვალა, მერე დედა... მე ეს ასედაც ვუთხარი დედაჩემს.

— რატომ, რატომ უთხარით? ნუთუ ოდნავ მაინც არ შეგებრალათ, ის ხომ არაფერ შუაშია?

— მათზე უწინ დედა რომ გარდაცვლილიყო, ალბათ ყველასთვის უკეთესი იქნებოდა...

ამ სიტყვების წარმოთქმისას ფუმიკო, ეტყობა, სირცხვილისაგან იტანჯებოდა. კიკუძი, ცხადია, მიხვდა: ფუმიკო მასზე — კიკუძიზე ლაპარაკობდა! ადვილი წარმოსადგენია, ეს ამბავი რა შეურაცხმყოფელი, როგორი დამამცირებელი უნდა ყოფილიყო ამ ახალგაზრდა ქალისათვის.

— გთხოვთ... ძალიან გთხოვთ, აპატიოთ! — გაიმეორა უკიდურესობამდე სასოწარკვეთილმა ფუმიკომ.

— ნეტავი რა პატიებაზე ლაპარაკობთ! პირიქით, მადლობელიც კი ვარ დედათქვენის, — მტკიცედ, გარკვევით წარმოთქვა კიკუძემ.

— ისაა... ისაა ყველაფერში დამნაშავე! ღმერთო ჩემო, რა აუტანელი, რა საშინელი ქალია დედაჩემი! — ფუმიკოს ხმა უთრთოდა, სიტყვა ყელში ეჩხირებოდა. — ძალიან გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თავი დაანებეთ, დაივიწყეთ!.. სულ დაივიწყეთ! გთხოვთ, გემუდარებით!

და კიკუძი მიხვდა, „აპატიეო" — რა ღრმა აზრს სდებდა ამ სიტყვაში ფუმიკო: — არათუ ნუ დაადანაშაულებ, დაივიწყე, სრულიად ნუ შეეხები, ნუ ააფორიაქებ, მოსვენებას ნუ დაუკარგავ.

— და კიდევ... ძალიან გთხოვთ, ტელეფონზე ნუ დაურეკავთ, იცით, ნურასოდეს ნულარ დაურეკავთ...

ამ სიტყვებზე ფუმიკოს სახე წამოენთო, თითქოს ცდილობს, როგორმე სასოწარმკვეთ სირცხვილს სძლიოსო, თავი ასწია და კიკუძის თვალებში ჯიჭერ შეხედა. ნათელი, დიდი, ლამაზი თვალები ცრემლითა და უსიტყვო ვედრებით ჰქონდა სავსე, მათში სიძულვილის ნატამალიც არ იყო.

— ყველაფერი გასაგებია... გთხოვთ, მაპატიოთ, — უთხრა ქალს კიკუძემ.

— გემუდარებით!..

ჭარბად მორეულმა სიწითლემ თანდათან მაღალი, თეთრი კისრისაკენ ჩაინაცვლა. კიმონოს თეთრით გაწყობილ საყელომდე ჩააღწია, რომელიც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენდა ქალიშვილის თეთრი, გედური ყელის სილამაზეს.

— დედა შეგპირდათ, მოვალო, მაგრამ მე არ გამოვუშვი.. ჯერ არ მიჯერებდა, წამოსასვლელად იწევდა, მე კი ხელები მაგრად მოვხვიე და ძალით დავაკავე... მეჭირა და მეჭირა ასე მკლავებშემოჭდობილი.

ქალიშვილს ხმა ახლა ცოტა უფრო დაწყნარებული ჰქონდა, თითქოს დაშშვიდდა, ისე ალარ ლელავდა.

მართლაც, სასტუმროში გატარებული იმ ღამიდან სამი დღე რომ გავიდა, კიკუძემ ქალბატონ ოლგას დაურეკა. აშკარა იყო, ტელეფონის ზარმა ქალი საოცრად გაახარა; შეთანხმების თანახმად, ისინი ერთმანეთს კაფეში უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ქალბატონი ოლგა იმ დღეს კაფეში არ მოსულა.

მას შემდეგ კიკუძის ალარც დაურეკავს და ალარც უნახავს ქალბატონი ოლგა.

— მერე კი ძალიან შემეცოდა დედა. მაგრამ იმ წუთას გიჟივით ვიყავი, მხოლოდ იმას ვფიქრობდი, როგორმე დამეკავებინა, არ გამომეშვა. სულ იმას მეხვეწებოდა, თუ არ გამიშვებ, დაურეკე მაინც, ის მაინც უთხარი, ვერ მოვალ... ერთი პირობა, ვიფიქრე კიდევაც, რაც არის, არის, ავდგები და დავურეკავ-მეთქი, ყურმილიც ავიღე, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამომდიოდა... დედა კი იჯდა, ტელეფონს შეჰყურებდა და ტიროდა. თქვენ ხომ შეხვდით, მიტანისან, ხომ ნახეთ, როგორია ჩემი დედა?..

ერთბანს ორივენი გაჩუმებულები ისხდნენ.

— აი, ჩაის ცერემონიალის შემდეგ თქვენ რატომღა მიატოვეთ? რატომ წახვედით? ხომ იცოდით, ჩემ გამო დარჩა, მე მელოდა?

— მინდოდა, დალაპარაკებოდით... მინდოდა, გაგეგოთ, რომ არც ისეთი ცუდი ადამიანი იყო...

— ცუდი?! რას ბრძანებთ! მხოლოდ კარგი კი არა, ძალზე კარგი ადამიანია!

ქალიშვილმა თვალები დახარა: პატარა, ლამაზი ცხვირი, მსხვილი, სავსე ტუჩები. სახის ოვალი არაჩვეულებრივად ნატიფი, დედასავით მომრგვალო...

— იცით, უწინ ზოგჯერ თქვენზედაც მიფიქრია... ვიცოდი, ქალბატონ ოლგას ქალიშვილი ჰყავდა, ვიდექი და ვოცნებობდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, მე და ის ქალიშვილი ერთმანეთს როგორ შევხვდებოდით და მამაჩემზე როგორ ვისაუბრებდით...

ფუმიკომ თავი დაუქნია:

— ზოგჯერ მეც ვფიქრობდი ამაზე...

კიკუძი ოდნავ დალონდა — ქალბატონ ოლგასა და მას შორის ის ამბავი რომ არ მომხდარიყო, დაჯდებოდა ახლა ამ გოგოსთან და ყოველგვარი მორიდების გარეშე, მამაზე საუბარს გაუბამდა.

მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ის ამბავი უკვე მოხდა, კიკუძემ ყველაფერი შეუნდო ქალბატონ ოლგას, ყველაფერი გულწრფელად, მთელი გულითა და სულით აპატია. ის კი არა, ამ ქალთან ურთიერთობის გამო ახლა უკვე მამასაც ალარ სძრახავდა. თუმცა, ეს ყოველივე, კაცმა რომ თქვას, იქნებ ამაზრზენიც იყო.

ფუმიკოს, ეტყობა გაახსენდა, რა ხანია აქა ვზივარო და უცებ აწრიალდა, სავარძლიდან სასწრაფოდ წამოდგა.

ქალიშვილის გასაცილებლად კიკუძიც ადგა.

— ნეტავი ისეთი დღე დადგებოდეს, დავმსხდარიყავით ჩვენთვის მშვიდად და დედათქვენის კეთილშობილებაზე წყნარად გვესაუბრა, მამაც გაგვეხსენებინა. რა კარგი იქნებოდა, არა?.. — თქვა კიკუძემ და ნათქვამმა თვითონვე გააკვირვა. მაგრამ ახლა იგი სულაც არ ცრუობდა, მიუხედავად იმისა, იცოდა, ეს აზრი საკმაოდ უჩვეულო, ის კი არა, უცნაურიც კი იყო.

— დიახ, კარგი იქნებოდა.. მაგრამ, თქვენ ხომ სულ მალე ცოლი უნდა ითხოვოთ?

— ცოლი?

— იუკიკო ინამურაზე დედამ ყველაფერი მითხრა. ხომ ხარ?, ხომ იყავით გასინჯვაზე?

— გასინჯვაზე? არა, მთლად ასე არა...

კიკუძის სახლის ჭიშკარს ოდნავ გასცდებოდი თუ ერთ-ერთ ფანდაღმართი გზა იწყებოდა და შუა გორაზე მიხვეულ-მოხვეულებში იკარგებოდა. ამ ადგილიდან სახლი უკვე აღარ ჩანდა. მხოლოდ ბაღში ატყორცნილი მაღალი ხის კენწეროებიღა იხატებოდა ცის ფონზე.

ქალიშვილის სიტყვებმა კიკუძის ის მეორე — ფუროსიკიზე ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ქალიშვილი გაახსენა.

ამ დროს ფუმიკო შეჩერდა და კიკუძის გამოემშვიდობა.

კიკუძი მაშინვე მიტრიალდა და აღმართ-აღმართ მიმავალ გზას ნელა გაუყვა.

მზის ჩასვლა ტუეში

1.

თიკაკომ კიკუძის სამსახურში დაურეკა. ყურმილში მისი ხმა რომ გაიგონა, კიკუძის გაოცებისაგან სახე დაუგრძელდა.

— დღეს ალბათ პირდაპირ შინ წამოხვალთ?

— ვერ გეტყვით, ჯერ არ ვიცი...

კაცმა რომ თქვას, ამ წუთამდე კიკუძი ნამდვილად არ აპირებდა არსად გავლას, ახლა კი, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა.

— მამათქვენის ხათრი და პატივისცემა თუ გაქვთ, ძალიან გთხოვთ, ნურსად ნუ გაივლით, პირდაპირ წამოდით. ყოველ ამ დღეს მამათქვენი ჩაის ცერემონიალს აწყობდა. იცით, დილას აქეთია სულ ამაზე ვფიქრობ... ისე ვღელავ და ვნერვიულობ, ერთ ადგილას ვერ ვჩერდები.

კიკუძიმ არაფერი უპასუხა.

— ვიდრე მე... ალო, ალო! მისმენთ? ვიდრე აქ ჩაის პავილიონს ვალაგებდი, ვიფიქრე, მოდი, ავდგები და რაღაც საჭმელს მოვამზადებ-მეთქი...

— კი მაგრამ, ახლა საიდან რეკავთ?

— აქა ვარ... თქვენს სახლში ვარ. ბოდიშს ვიხდი, მაშინვე რომ ვერ გითხარით.

კიკუძი გაოცებული უსმენდა.

— გამახსენდა, დღეს რა დღეც იყო და გულმა აღარ მომითმინა. ახლავე თუ არ წავედი, ის ჩაის პავილიონი თუ არ მივალაგ-მოვალაგე, ვერ მოვისვენებ-მეთქი. რა თქმა უნდა, თქვენც თუ ნებას დამრთავდით. ცოტა ადრე უნდა დამერეკა. გამეფრთხილებინეთ, მაგრამ... მართალი გითხრათ, მეშინოდა, კიკუძი-სან, ვაითუ უარი გეთქვათ...

მამის სიკვდილის შემდეგ ჩაის პავილიონი თითქმის გამოუყენებელი იყო. ხანდახან დედა თუ შევიდოდა. წაიღებდა თუჯის ჩაიდნით მდუღარეს და იჯდა და იჯდა თავისთვის მარტოდმარტო, ცეცხლსაც არ აანთებდა კერიაზე. ნეტავი რა უნდოდა, რას აკეთებდა იმ სიჩუმესა და მარტოობაში? ალბათ თა-

ვის საფიქრალს თუ ფიქრობდა... როცა კი იგი ჩაის პავილიონში ჩაიკეტებოდა, კიკუძი მუდამ ძალიან ღელავდა, ეჭვი არ ეპარებოდა, დედა ამ დროს არცთუ ისე სასიამოვნო ფიქრებით იყო გარემოცული.

რამდენჯერ უფიქრია ამაოდ, შევალ, მეც მასთან ერთად დავჯდებიო, მაგრამ...

ვიდრე მამა ცოცხალი იყო, ჩაის პავილიონში თიკაკო ფარულად [illegible] და იქ თითქოს არასოდეს შედიოდა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ კი პავილიონის კარი სულ გამოკეტილი იყო. ხანდახან მათი ძველი, ამ სახლს შებერებული მოსამსახურე ქალი თუ გააღებდა და გაანიავებდა, ისიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ.

— არა, მაინც რამდენი ხანია, ეს ჩაის პავილიონი არავის დაულაგებია? ტატამი იმდენი ვწმინდე, იმდენი ვასუფთავე, მაგრამ ობის სუნი ვერა და ვერ მოვაცილე. ასე როგორ შეიძლება?! — ახლა უკვე უკმეხად გააბა თიკაკომ, — ვიდრე მე ამ რეცხვასა და წმენდაში ვიყავი,ვიფიქრე, რაღაც საჭმელს მაინც მოვამზადებ-მეთქი, მაგრამ ასე სახელდახელოდ რას გავაწყობდი! თქვენს სახლში, სანთლითაც რომ ეძებო, სურსათ-სანოვაგის მსგავსსაც ვერაფერს იპოვი! მიუხედავად ამისა, ცოტა რამ მაინც მოვაბერხე. ამიტომაც გთხოვეთ, სამსახურის მერე ნურსად ნუ გაივლით, მაშინვე შინ წამოდით-მეთქი.

— ჰმ... მართალი გითხრათ, პირდაპირ გამაოცეთ...

— შარტო ალბათ მოგეწყინებათ, რომელიმე თქვენს ამხანაგს ხომ არ წამოიყვანდით? ვთქვათ, თქვენს რომელიმე თანამშრომელს?

— აი ეგ კი ნამდვილად არ გამოვა, ჩაის ცერემონიალის მცოდნე და მოყვარული მე აქ არავინ მეგულება.

— თუ არ ესმით და არ იციან, კიდევ უკეთესი! მე ხომ ეს ყველაფერი საგანგებოდ არ მომიმზადებია! უბრალოდ, გამოგვივლიან და ეგ არის...

— არა, არ გამოვა! — გაიმეორა კიკუძიმ ნიშნის მოგებით.

— ჰოო? ძალიანაც საწყენია!.. მაშ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ვინმე მამათქვენის მეგობარი ხომ არ დავპატიჟოთ?.. თუმცა, არა, მათი ასე მოპატიჟება, რა თქმა უნდა, უხერხულია. ოი, მგონი მოვიფიქრე! გინდათ, ინამურასანის ქალიშვილს დავურეკავ?

— კარგით, ახლა, გეყოფათ! არავინ არ მჭირდება.

— კი მაგრამ, რატომ? ეს ხომ მართლაც დიდებული რამ იქნება! სხვათა შორის, ქალიშვილის ოჯახი დიდად დაინტერესებულია თქვენთვის ცნობილი იმ საკითხით. არა, აბა ერთი დაფიქრდით, რა მშვენივრად აეწყო ყველაფერი — დასხდებით, რაღაცას იტყვით, ისაუბრებთ, ერთხელ კიდევ ახედ-დახედავთ, შეათვალიერებთ... მოკლედ, ახლავე დავურეკავ, რას იტყვით, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? თუ მოვა ხომ...

— რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვიქნები! საერთოდაც, კმარა, მორჩით ამაზე ლაპარაკს! — კიკუძის ლამის სუნთქვა ეკვროდა ალშფოთებისაგან, — არაფერი არ მინდა, გესმით, არაფერი არ მინდა! არ მოვდივარ... არც სახლში არ მოვდივარ!

— კარგი, კარგი... რა თქმა უნდა, ეს ამბავი ტელეფონში სალაპარაკო არ არის, ამაზე სხვა დროს იყოს, სხვა დროს ვილაპარაკოთ... ესე იგი, სამსახურის მერე პირდაპირ სახლში მოხვალთ?..

— როგორ თუ, ესე იგი?! აკი გითხარით...

— კი, მითხარით, როგორ არ მითხარით... ჰოდა, ჩათვალეთ, რომ მეც ავდექი და პატარა სიურპრიზი მოგიმზადეთ.

თიკაკოს აბეზარი, ბანგივით შემპარავი ხმა კიკუძის სულში უძვრება და თითქმის ცხადლივ ხედავს — თიკაკოს კიმონოს კალთები გადაეწევა, მარცხენა ძუძუ შავი, უზარმაზარი ტყლირპითა აქვს დაფარული.

თავი უცებ ისეთ ბუბუნს უწყებს, რომლითაც ახლა [illegible] ეკაცრიელი პავილიონია სავსე, თიკაკო რომ ხეხავს, ფხეკს და ასუფთავებს. ცოცხის გულისამრევი ფხაკაფხუკი, სველი ტილოს ტყლაპუნი პირდაპირ საფეთქლებში ურტყამს.

და ისევ ევსება გული ამ ქალის სიძულვილით... მარტო იმის გაფიქრებაც კი, ჩემ დაუკითხავად ქურდულად შეიპარა ჩემს სახლში, წმენდს, ალაგებს, სამზარეულოში რაღაც საჭმელ-სასმელს ამზადებსო... — კიკუძისათვის უკვე აუტანელი ხდება.

მხოლოდ პავილიონი რომ დაელაგებინა, ყვავილები რომ ჩაეწყო, ჯანდაბას, მოითმენდა მამის ხათრით, ამას კი...

მიუხედავად ამისა, კიკუძის ბრაზით გასიებულ, ცოფმიერეულ გულში იუკიკო ინამურას სახე სინათლის სხივივით იჭრება...

მამის გარდაცვალების შემდეგ კიკუძემ თიკაკოსთან თითქმის ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. მაშინ ეს როგორღაც თავისთავად მოხდა. ახლა კი იქნებ ფიქრობს, ამ ნორჩი, მშვენიერი იუკიკოს მეშვეობით დაკარგული ნდობა აღიდგინოს, მათ ოჯახში კვლავ მეგობრად და შინაურად მოტრიალდეს.

თიკაკოს დღევანდელი საქციელი ერთი შეხედვით თითქოს არაფრად ჩასაგდები, ღიმილისმომგვრელი უფრო იყო, მაგრამ მისი ეს დაეინება ეჭვში აგდებდა, აიძულებდა უფრო ფრთხილად და ყურადღებით ყოფილიყო.

და იყო კიდევაც, ვინაიდან თავს პირშავად გრძნობდა. ეს რომ არა, თიკაკოს ამ უტიფარ დარეკვას სულაც არაფრად ჩააგდებდა, ერთს გემრიელად შეახურებდა და ყველაფერი ამით მორჩებოდა. ახლა კი ხეირიანად გაბრაზებასაც ვერ ბედავდა, მის გულში შეპარული ზადი ჰბოჭავდა, სითამამესა და გაბედულებას უკარგავდა: ეტყობა, რაღაც იყნოსა, იცის, ჩემი ამ სისუსტის სათავე საიდანაც მოდის, თავის ახალ მსხვერპლს გახარებული თავს მესხმის, პირდაპირ სახლში მივარდებაო.

კიკუძი შინ წასვლას არ ჩქარობდა. სამსახურის შემდეგ ერთხანს გინზაზე ისეირნა და ბოლოს რაღაც პაწაწა ბარში შევიდა.

მაგრამ თიკაკო, რა თქმა უნდა, მართალი იყო — ადრე იქნებოდა თუ გვიან, შინ ხომ უნდა მისულიყო? მიუხედავად ამისა, დროს განგებ აჭიანურებდა, გულს ეჭვის ჭია ულრღნიდა.

ქაცმა რომ თქვას, ვითომ საიდან უნდა სცოდნოდა თიკაკოს, იმ ღამეს, ჩაის ცერემონიალის შემდეგ, სასტუმროში რა მოუხდა? ანდა იქნებ უკვე მოასწრო, იქნებ უკვე შეხვდა კიდევაც ქალბატონ ოტას?

და მაინც, თიკაკოს დარეკვა, მისი მომთხოვნი, თავხედური კილო აფიქრებინებდა, რომ ეს ყოველივე მხოლოდ მისი ახირებული ხასიათიდან არ მომდინარეობდა, და რომ ამის უკან სხვა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი იმალებოდა.

ანდა იქნებ ეს პრელუდია იყო — ინამურას ქალიშვილისა და მისი ურთიერთობის შემდგომი განვითარების თიკაკოსეული პრელუდია?

კიკუძის ბარში გული ალარ გაუჩერდა, პირდაპირ სადგურისაკენ გასწია. ელექტრომატარებელში იგი ფანჯარას მიუჯდა და ქვევით, რკინიგზის ვა-

კისზე სწორკუთხედად მობჯენილ, აქეთ-იქით ხეებჩაყოლებულ ფართო პროსპექტს ყურება დაუწყო.

იურაკუტიეს სადგურსა და ტოკიოს ვაგზალს შორის პროსპექტი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდა. უკვე მზის ჩასვლის ჟამი იდგა, ჩამავალ მზის სხივებზე ასფალტი მეტალის ზედაპირმოპრიალებული ზოლივით ელავდა. ხეებს კიკუძი მზის მოპირდაპირე მხრიდან გაჰყურებდა, [illegible] სიმწვანე უფრო მუქი და მსუყე, ჩრდილი კი უფრო გრილი [illegible] ეჩვენებოდა. ტანაყრილ, ხშირი ფოთლით შემოსილ ხეებს ფართოდ გადაეხსნათ თავისი ლაღი, ღონიერი ტოტები. პროსპექტის ორივე მხარეს მკვიდრი, ქვით ნაგები ევროპული ყაიდის შენობები იყო ჩარიგებული.

ქვეყანა თითქოს გაუკაცრიელებულიაო — არ იყო არც მანქანა, არც ფეხით მოსიარულე ადამიანის ჭაჭანება. იყო მხოლოდ უდაბურება, მხოლოდ მდუმარება, ჩამავალ მზის სხივებში მოლაპლაპე ასფალტის საოცრად შიშველი ზოლი და მის გადაღმა, შორს, ჰორიზონტთან, ლანდივით აღმართული იმპერატორის სასახლის კედლები...

ხალხით გაჭედილ, შემაძრწუნებლად რეალურ ელექტრომატარებლის ვაგონს არაფერი ჰქონდა საერთო იდუმალებით მოცულ ამ მდუმარე სალამოსთან. მხოლოდ პროსპექტი მოკრთოდა და მოლივლივებდა ირეალური სალამოს ზღაპრულ მწუხრში.

და აი, თვალწინ ერთბაშად იუკიკო წარმოუდგა... აი, იგი ხეივანში წყნარად მოაბიჯებს, ხელში კრეპდიშინის ლიავარდისფერი ფუროსაკი უჭირავს, ფუროსაკიზე ათასფრთიანი თეთრი წეროა ამოქარგული. საოცარი ის არის, თავად ქალიშვილს კი არა, ყველაზე უფრო ნათლად ლიავარდისფერ ფუროსაკისა და ათასფრთიან თეთრ წეროს ხედავს.

კიკუძის გრილმა სიომ დაჰბერა.

და როდესაც გაიფიქრა, ის ქალიშვილი ახლა ალბათ ჩემს სახლში ზის, მელოდებაო, გული ტკბილად აუძგერდა.

საინტერესოა, რას ფიქრობდა, მაინც რა მიზანი ჰქონდა თიკაკოს — ჯერ თანამშრომლების მოწვევა მოისურვა, მაგრამ უარი რომ მიიღო, იუკიკო დაპატიჟეო, მხოლოდ მერეღა შესთავაზა... არა, ამ ქალისა ვერაფერი გაეგო კიკუძის!

შინ რომ მივიდა, თიკაკო მის შესაგებებლად წინკარში გამოვარდა:

— მარტო ხართ?

კიკუძემ თავი დაუქნია.

— ძალიან კარგი! აქ კი აი, რა ხანია გელოდებიან, — უთხრა და ჩანთა და შლაპა ჩამოართვა. — ალბათ სადღაც შეიარეთ?

ეტყობა, სახეზე შემატყო, რომ ნასვამი ვარ, — გაიფიქრა კიკუძემ.

— მაინც სად იყავით? — განაგრძო თიკაკომ. — ცოტა ხანში კიდევ დაგირეკეთ, მითხრეს წავიდაო... საათი დავნიშნე, გამოვთვალე, გზაში რა დრო დაგჭირდებოდათ, თქვენ კი აგერ...

— პირდაპირ მაოცებთ!

დრო კი დანიშნა, მაგრამ აი მის სახლში რომ მისი ნებართვის გარეშე შემობრძანდა, როგორც მოეპრიანება ისე რომ დიასახლისობს და მასპინძლობს, ვითომც არაფერი, ბოდიშსაც არ იხდის, — გაიფიქრა კიკუძემ.

თიკაკო თავისი ოთახისაკენ მიმავალ კიკუძის უკან აედევნა, უნდოდა, ტა-

ნისამოსის გამოცვლაში მიხმარებოდა, მაგრამ მოსამსახურის მიერ გამზადებული კიმონოსაკენ ხელი რომ გაიწოდა, კიკუძემ უხეშად შეაჩერა:

— თავი გამანებეთ, მე თვითონ ჩავიცვამ! უხერხული არ არის, სტუმარი ასე მარტო რატომ მიატოვეთ!

მერე პიჯაკი გაიხადა და თითქოს თიკაკოს გაურბისო, ტანსაცმლის გამოსაცვლელად საკუჭნაოში გავიდა... უკან რომ შემობრუნდა, იგი უკვე კიმონოში იყო გამოწყობილი.

— აჰ, რა ხართ ეს უცოლო კაცები!.. მეტად მარჯვე და მოხერხებული ხალხი ბრძანდებით!

კიკუძემ რაღაც ჩაიბურდღუნა.

— ნეტავი არ მოგბეზრდათ ასე მარტოხელა ცხოვრება? განა ძნელი და მოსაწყენი არ არის ასე ყოფნა. კმარა, გეყოფათ ეს...

— ძნელი რატომ არის? მე ამას კარგა ხანია შევეგუე. თან ზოგი რამ მამაჩემისაგანაც ვისწავლე, გამოცდილება შევიძინე.

თიკაკომ ვაჟს ერთი ჯიქურ შეხედა და მაშინვე თვალი აარიდა.

კიკუძის დედისეულ სამზარეულო ხალათში გამოწყობილ თიკაკოს სახელოები თითქმის იღლიებამდე ჰქონდა აკაპიწებული. უცნაური იყო მისი შიშველი მკლავები. იგი ერთი კი არა, თითქოს სხვადასხვა ადამიანის მკლავის ნაწილებისაგან იყო აწყობილი. ხელის მტევანი უხეში და გაფიჩხული ჰქონდა, მაჯიდან იდაყვამდე სასიამოვნოდ შემრგვალებული, იდაყვიდან იღლიამდე სიმსუქნისაგან დანაკეცებული, სქელი, დონდლო და მოშვებული. კიკუძი გაოცებული დარჩა. ეგონა, თიკაკოს კუნთმაგარი, მკვრივი, ლონიერი მკლავები ექნებოდა.

— ქალიშვილი ჯერჯერობით სასტუმრო ოთახში შევიყვანე, მერე კი ალბათ ჩაის პავილიონში გირჩევნიათ... — უთხრა თიკაკომ ახლა უკვე მშრალად, რამდენადმე ოფიციალურადაც კი, — ნეტავი ელექტროგაყვანილობა მოშლილი ხომ არ არის, რაღაც არ მაგონდება, პავილიონში სინათლე ნთებულიყოს.

— თუ ასეა, სანთლები ავანთოთ. მე მგონი, ორიგინალურიც იქნება.

— სანთლები? არა, აბა, რა სასიამოვნოა!

თიკაკო უცბად შეკრთა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდა:

— იცით, იუკიკოს რომ დავურეკე, მკითხა, დედასთან ერთად ხომ არ მოვიდეო? რა თქმა უნდა, დედასთან-მეთქი, ვუთხარი. მაგრამ, ქალბატონ ინამურას გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდა. გადავწყვიტეთ მარტო მოსულიყო.

— გადავწყვიტეთო! გადავწყვიტეთ კი არა, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ. მე თუ მკითხავთ, განგებ მოაწყეთ ასე! საინტერესოა, რა იფიქრეს? არ იტყვიან, ეს რა უზრდელობაა, გვირეკავენ და ლამის გვიბრძანებენ, გინდა თუ არა, უნდა გვესტუმროთო!

— შეიძლება.. მაგრამ, მთავარია, იუკიკო უკვე აქ არის... ჰოდა, რახან მოვიდა და აქ არის, ესე იგი, ჩვენს უზრდელობაზე ახლა უკვე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ვითომ რატომაო?!

— რატომ და, უბრალოდ!.. დავურეკე თუ არა, მაშინვე მოირბინა, ესე იგი, თქვენი დაპატიჟება ძალიან გაუხარდა... ესე იგი, დიდ ინტერესს იჩენს თქვენ მიმართ... რა მნიშვნელობა აქვს, ეს ამბავი გარეგნულად ლამაზად გამო-

იყურება თუ არა. დარწმუნებული ვარ, გავა დრო და ორივენი დიდ მადლობასაც მეტყვით — ამ ჩვენმა კურიმოტომ ეს რა ქნა, ეს რა ოინი ჩაიდინაო, კარგა გულიანადაც იცინებთ... მთავარია, ორმა ადამიანმა საერთო ნახოს, ერთმანეთს გაუგოს, როგორ და რანაირად, მერე ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. მე ეს ჩემი გამოცდილებიდანაც ვიცი...

თიკაკო ისე თავდაჯერებული ლაპარაკობდა, თითქოს გეუბნებოდა: — ნეტავი რას ხტუნაობ, ხომ ვხედავ, შენს გულში რა ხდებაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ რა... უკვე ელაპარაკეთ ამაზე?

— საერთოდ, კი.

ასე გეგონებოდა, თავად თიკაკოს მოთმინება აღარ ჰყოფნის, ახლა კიკუძისაც აქეზებს, კარგი, გეყოფა, გადაწყვიტე, ნეტავი რაღას აყოვნებო!..

კიკუძი გალერეაში გამოვიდა და სასტუმრო ოთახისაკენ გასწია. უშველებელ ბროწეულის ხეს რომ ჩაუარა, სახის გამომეტყველების შეცვლას შეეცადა — რაც არ უნდა იყოს, უხერხულია, ქალიშვილს ასეთი ჩამეავებული სიფათით ხომ არ გამოეცხადებოდა!

ბროწეულის ძირში შავად დაფენილმა მსუყე ჩრდილმა ძუძუზე გადღაბნილი შავი ტყლარპი გაახსენა. ეს უსიამოვნო ზმანება რომ მოეშორებინა, კიკუძემ თავი გადააქნია. უკვე საღამო ხანი იყო, სასტუმროს შესასვლელთან ბაღის ბილიკის ფილაქანზე ჩამავალ მზის სხივთა უკანასკნელი ანარეკლი ეფინა.

სასტუმრო ოთახის ყველა სიოძი გაწეული იყო, იუკიკო ინამურა იქვე, თითქმის გალერეის შესასვლელთან იჯდა.

კიკუძის მოეჩვენა, ქალიშვილისაგან რაღაც მკრთალი ნათელი მოედინება, მისგან გამონაშუქი სინათლე უშველებელი ოთახის სიღრმეში ჩაწოლილ ბინდს ასხივოსნებსო.

ტოკონომაში დაბალი, ბრტყელი ლარნაკი იდგა, ლარნაკში ზამბახები ელაგა.

წითელი ზამბახები იყო ამოქარგული იუკიკოს ობიზედაც. შემთხვევითი, უბრალო დამთხვევაა? ალბათ, არა, არც ისე შემთხვევითი — ზამბახი ხომ გაზაფხულის ნიშანია, მისი გავრცელებული სიმბოლო!

ოღონდ, დაბალ, ბრტყელ ლარნაკში წითელი კი არა, მაღალღეროიანი, ვარდისფერი ზამბახები ელაგა. აშკარად ეტყობოდა, ყვავილები ახალთახალი მოკრეფილი იყო. ჩანს, თიკაკომ ეს-ესაა შემოიტანა, ეს-ესაა ლარნაკში ჩააწყო.

2.

კვირას, ესე იგი, მეორე დღეს წვიმდა.

გუშინდელი ჩაის ცერმონიალის შემდეგ გაშლილი ჭურჭლის მისალაგებლად კიკუძი ნასადილევს პავილიონში წავიდა.

ესეც რომ არა, უნდოდა ერთხანს მარტო მჯდარიყო პავილიონში. იუკიკოს გახსენებაზე გული როგორიღაც გაურკვეველი სევდით ევსებოდა. ასე ეგონა, პავილიონში ჯერ ისევ იუკიკოს სურნელი იტრიალებდა.

მოსამსახურეს ქოლგის მოტანა უბრძანა და გალერეიდან ქვით მოკირწყლულ ბილიკზე რომ გამოვიდა, უცებ შეამჩნია, სახურავქვეშ ერთ ადგილას

წყლის სადინარი გახვრეტილი იყო — ბროწეულის ხესთან წყალს მიწაზე ჩქრიალი გაჰქონდა.

— უსათუოდ უნდა შეკეთდეს, — უთხრა კიკუძიმ მოსამსახურეს.

— დიახ...

კიკუძის გაახსენდა, წვიმიან ამინდებში ამ გაფუჭებული სადინარიდან წამოსული წყალი რა ხანია ღამღამობით ძილს უკრთობდა.

— შეკეთებას რა აზრი აქვს, ერთის შეკეთებას ვერ ასწრებ, რომ უკვე მეორეა შესაკეთებელი. ვიდრე სულ არ დანგრეულა, მირჩევნია, ავდგე და დროზე გავყიდო ეს სახლი.

— ვისაც დიდი სახლი უდგას, ახლა ყველა ასე ამბობს, — თქვა პასუხად მოსამსახურემ. — აი, გუშინ აქ რომ ქალიშვილი იყო, იმასაც სულ ის უკვირდა, რამხელა სახლი გაქვთო. ალბათ ის ქალიშვილიც ამ სახლში აპირებს ცხოვრებას?

მოსამსახურეს, ეტყობა, უნდოდა ერჩია, ეს სახლი არ გაყიდოო.

— გუშინ ეგ კურიმოტო მასწავლებელმა წამოროშა, არა?

— დიახ, ქალიშვილი რომ მობრძანდა, ქალბატონმა მასწავლებელმა მთელი სახლი შემოატარა, ყველაფერი დაათვალიერებინა.

— ეშმაკმა არ იცის, რა ხდება!

იუკიკოს კი გუშინ ამაზე არაფერი უთქვამს.

ამ წუთამდე კიკუძის ასე ეგონა, ჩემ მოსვლამდე მთელი ამ დროის განმავლობაში ქალიშვილი სასტუმროს ოთახში იჯდა, მერე კი ჩემთან ერთად მხოლოდ პავილიონში იყო. დღეს სწორედ ამიტომაც მოესურვა, ერთხელ კიდევ გაევლო ეს გზა — გზა სასტუმროდან პავილიონამდე.

გუშინ ვერ იქნა და ვეღარ დაიძინა. დარწმუნებული იყო, ჩაის პავილიონში ახლაც იუკიკოს სუნამოს სუნი იქნებოდა, ამ შუაღამის მიუხედავად, მზად იყო, ლოგინიდან წამომხტარიყო და პავილიონში გაქცეულიყო.

იქნებ როგორმე დავმშვიდდე, დავიძინოო, ძილის წინ ასჯერ მაინც გაიმეორა გუნებაში: „იუკიკო ჩემთვის მიუწვდომელია, სრულიად მიუწვდომელი“...

ახლა კი, აი, უცებ იგებს, რომ მისი ეს „მიუწვდომელი“ იუკიკო თიკაკოსთან ერთად გუშინ თურმე არხეინად დაბრძანდებოდა მის სახლში, ყველაფერს გულდაგულ ათვალიერებდა.

ბილიკ-ბილიკ პავილიონისაკენ გასწია. მანამდე კი მოსამსახურეს დაავალა, კერიისათვის ნაღვერდალი შემოეტანა.

თიკაკო საკმაოდ შორს — კატა-კამაკურაში ცხოვრობდა. აქედან გუშინ იგი იუკიკოსთან ერთად წავიდა. ჩაის პავილიონის დალაგება მოსამსახურეს დაავალა.

კაცმა რომ თქვას, დასალაგებელი თითქმის არც არაფერი იყო, დააწყობდი კუთხეში მილაგებულ ჭურჭელს თავ-თავის ადგილას და მორჩა. მაგრამ კიკუძი არცთუ ისე კარგად ერკვეოდა, სად რა უნდა დაედგა და სად რისი ადგილი იყო.

„რა თქმა უნდა, თიკაკომ ეს უკეთესად იცის“... — თქვა კიკუძიმ ხმამაღლა.

მერე თვალში უცბად ტოკონომა მოხვდა. ტოკონომაში გრძელი, ვიწრო სურათი იყო ჩამოკიდებული.

ეს იყო მუნეიუკის პატარა მინიატურა — ტუშით ოდნავ შეფერადებულ ფონზე ტუშითვე გამოყვანილი მჭრქალი, ბუნდოვანი ხეხები.

— უკაცრავად, ვისი ნახატია, ხომ ვერ მეტყვით?

ჰკითხა გუშინ იუკიკომ.

კიკუძიმ ვერაფერი უპასუხა.

— ღმერთმა უწყის... ლექსი არ არის, ულექსოდ კი... სხვათა შორის, ის ლექსებიც, რომლებისათვისაც ასეთი სურათები იხატება, ყველა ერთ სტილისაა და ერთმანეთს ჰგავს.

— ეს მუნეიუკია. — ჩაერია საუბარში თიკაკო. — იგი აი, ამ ლექსისათვისაა დახატული: „როგორ ხასხასებს ბებერი ფიჭვი... მის მარად მწვანე წიწვებსაც კი სულ სხვა ფერი აქვს გაზაფხულობით“... მართალია, ახლა უკვე ამ სურათის დაკიდების სეზონი აღარ არის. მაგრამ მამათქვენიც, კიკუძი-სან, ხშირად ჰკიდებდა ხოლმე ამ დღეს....

— რა უნდა გაიგო. მუნეიუკია თუ ცურაიუკი, მანერაზე მიხვდები თუ რა... — შეეკამათა გუშინ კიკუძი თიკაკოს.

აი, ახლაც იდგა ამ სურათის წინ და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ნახატის ავტორი, მართლაც, ძნელი გამოსაცნობი იყო — არც სტილი, არც ხელწერა... სამაგიეროდ, ფუნჯის სუსტ, მჭრქალ მონასმში იყო რაღაც ფარული სიუხვე, სიუხვე საყოველთაო გაზაფხულისა. სურათიდან თითქოს სინედლის ძლივს შესამჩნევი სურნელი მოედინებოდა...

ეს სურათიც, ეს ლექსიცა და ბრტყელ ლარნაკში ჩაწყობილი ეს ზამბახებიც კიკუძის იუკიკოს აგონებდა.

— უკაცრავად, წყალს ვადუღებდი და შემაგვიანდა. ვიფიქრე, ცივი წყლის მიტანას, ჯობია, მდუღარე მივიტანო-მეთქი, — უთხრა მოსამსახურემ და ზღურბლზე გადმოაბიჯა, ხელში საკერიე ნაღვერდალი და ადუღებული წყლით სავსე ჩაიდანი ეჭირა.

მაგრამ ჩაის დალევა აქ კიკუძის აზრადაც არ მოსვლია. უბრალოდ, ცეცხლი უხდოდა აენთო, ვინაიდან პავილიონში საშინელი ობისა და ნესტის სუნი ტრიალებდა.

მოსამსახურე ქალის ცნობიერებაში კი, როგორც ჩანს, ანთებული კერია და ცეცხლზე შემოდგმული კარდალა ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო. და აი, იმანაც ბეჯითად შეასრულა პატრონის ბრძანება.

კიკუძიმ ნაღვერდალი კერიაზე დაუდევრად დაყარა. კარდალა კერიის თავზე ჩამოკიდა.

ჩაის ცერემონიალის ყოველგვარ წეს-ჩვეულებას მამისაგან იგი ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული, თუმცა თვითონ გატაცებული ამით არასოდეს ყოფილა. გინდა თუ არა, ისწავლეო, არც მამას დაუძალებია როდისმე.

აი, ახლაც კარდალაში წყალი უკვე თუხთუხებდა, ის კი ისევ დაბნეული იჯდა და ბოლოს მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ხელი გაიწოდა და კარდალის სახურავი ოდნავ გაწია.

ტატამის ნესტი ისე ჰქონდა გამჯდარი, პავილიონიდან ობის სუნი ვერა და ვერ განიავდა.

მჭრქალი ფერის კედლები, რომელიც გუშინ ასე მშვენივრად ეხამებოდა იუკიკოს ნატიფ ფიგურას, დღეს საოცრად მოსაწყენი და უღიმღამო ეჩვენებოდა.

გუშინ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სტუმრად ევროპულ ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი ეწვია, რომელსაც მხოლოდ ზრდილობის გამო ჩაეცვა კიმონო.

— თავისი ამ მოულოდნელი. არცთუ ისე თავაზიანი მოპატიჟებით ალბათ რამდენი საზრუნავი გაგიჩინათ ყურიმოტომ. ჩაის პავილიონში, თქვენი ეს მილებაც მისი იდეა გახლავთ! — უთხრა გუშინ კიკუძემ იუკიკოს.

— ქალბატონმა მასწავლებელმა ბრძანა, რომ თქვენს ოჯახში დღეს გახსენების დღეა — მამათქვენი თურმე მუდამ ამ დღეს აწყობდა ჩაის ცერემონიალს.

— მგონი ასეა... მართალი გითხრათ, ამ დღესა და ამ ჩაის ცერემონიალისადვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. ეტყობა, დღესაც ამიტომ არ გამახსენდა.

— ხედავთ, მე კი სწორედ ამ დღეისათვის მივიღე მოპატიჟება... იქნებ ქალბატონმა მასწავლებელმა ჩემი გამასჩარავება გადაწყვიტა? მე ხომ ძალიან ცუდად ვერკვევი ჩაის ცერემონიალში... თანაც ამ ბოლო დროს იმდენი გაკვეთილი გავაცდინე...

— რას ბრძანებთ! თვითონ ყურიმოტოსაც ეს ამბავი მხოლოდ დღეს დილას გაახსენდა და აქაურობის დასალაგებლად მაშინვე აქეთ გამოეშურა. ხედავთ, პავილიონში როგორი ნესტია. როგორი ობის სუნი ტრიალებს? — კიკუძი წუთით შეყოყმანდა. — მაგრამ.. მაგრამ, ჩვენ თუ გაცნობა გვეწერა, უმჯობესია სხვაგან, სხვაგვარად გაგვეცნო ერთმანეთი, ყურიმოტოს ჩაურევლად.. თქვენთან, ინამურა-სან, მართალი გითხრათ, თავს დაძნეშავედ ვგრძნობ.

— რატომ? ქალბატონი მასწავლებელი რომ არა, ჩვენ ალბათ ვერასოდეს შევხვდებოდით.

დიახ, ეს სრული ვეშმარიტება იყო. თიკაკო რომ არა, ცხადია, ისინი ვერასოდეს გაიცნობდნენ ერთმანეთს. კიკუძის სახეზე თითქოს მათრახი გადაუჭირეს — ქალიშვილმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, კაცი იფიქრებდა, შინაგანად იგი უკვე მზად არის მასთან შესაუღლებლადო. ყოველ შემთხვევაში ამ წუთას ასე ეჩვენებოდა კიკუძის.

მერე მისი მზერაც დაიჭირა — ოდნავ გაოცებული და ძღელვარედ გაბრწყინებული. ანდა იქნებ ესეც ეჩვენებოდა კიკუძის?

ნეტავი რას ფიქრობს ყურიმოტოს ასე აგდებულად რომ ვიხსენიებ? ყურიმოტო-სანს კი არა, ყურიმოტოს რომ ვეძახი?.. ნეტავი ის თუ აქვს გაგებული, იგი ერთ დროს მამაჩემის საყვარელი რომ იყო?

— იცით... ყურიმოტოსთან მეტად არასასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, — თქვა ბოლოს კიკუძემ და შეეშინდა. ხმა არ აკანკალებოდა. — არ მინდა, ეს ქალი ჩემს ბედსა და ცხოვრებაში ერეოდეს... მიუხედავად ამისა, თქვენს გაცნობას მე მაინც ყურიმოტოს უნდა ვუმადლოდე... რა კარგი იქნებოდა, ამის არდაჯერება და დავიწყება რომ შემძლებოდა...

ამ დროს პავილიონში თიკაკო შემოვიდა. ხონჩა-მაგიდა შემოიტანა და მათი საუბარი შეწყდა.

— თქვენის ნებართვით, ცოტა ხანს თქვენს გვერდით დავჯდები!

თქვა და მძიმედ დაეშვა ტატამიზე. მხრები ისე ჩამოყარა, თითქოს დღევანდელი მზადებისა და ფიცაფუცის სიმძიმე ჩამოიბერტყა. მერე სული დემონსტრაციულად მოიითქვა და იუკიკოს ბასრი მზერა სტყორცნა.

— კიკუძი-სან, მართალია, დღევანდელ დღეს ეს ერთადერთი სტუმარი გყავთ. მაგრამ, თქვენი ამ სტუმრით მამათქვენი ალბათ ძალიან გაიხარებდა.

იუკიკომ თავი მოიკუნტა და დაჩარა.

— რას ბრძანებთ! ბატონი მიტანის ჩაის პავილიონში შინაურულად შემოსვლის ღირსი სულაც არ გახლავართ.

ეს სიტყვები თიკაკომ ვითომ ვერც კი გაიგონა, იმ დროის გახსენებას მოჰყვა, როდესაც კიკუძის მამა ჯერ ისევ ცოცხალი იყო, როცა ეს პავილიონი ერთთავად სტუმრებით იყო სავსე.

როგორც ჩანს, კიკუძისა და იუკიკოს ქორწილი თიკაკოს [illegible] ტილ საქმედ მიაჩნდა.

მოგვიანებით, წინკარში, როდესაც ორივე ქალი უკვე შინ წასასვლელად ემზადებოდა, თიკაკომ კიკუძის შეახსენა:

— კიკუძი-სან, მე მგონი, ცუდი არ იქნება, თქვენც ესტუმრებოდეთ ინამურა-სანს... ოღონდ დღევანდელივით რომ არ გამოვიდეს, ცხადია, წინასწარ უნდა გააფრთხილოთ.

იუკიკომ თავი დაიქნია. მერე თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, უცებ დაირცხვინა, თავით ფეხამდე სიმორცხვის განსახიერებად იქცა.

კიკუძი ასეთ ცვლილებას არ ელოდა. ქალიშვილის მიმართ საოცარმა ლტოლვამ მოიცვა, თითქოს მისი სხეულის სითბოც კი შეიგრძნო. მერე ერთბაშად თვითონაც დაიმორცხვა... მაგრამ სხვაგვარი იყო ეს სირცხვილი — რაღაც ამაზრზენი ხელ-ფეხს უბოჭავდა, თრგუნავდა.

და აი, ის ამაზრზენი, გულისამრევი გრძნობა კიკუძის დღესაც არ შორდება. საბწუხაროდ, ბილწი და ბინძურია არა მარტო თიკაკო, ბილწი და ბინძურია თვითონაც.

უცბად მამა გაახსენდა, ცხადლივ წარმოუდგა, გაუხეხავი კბილებით თიკაკოს შავ, ბალნიან ტყლარპზე როგორ კბენდა და შეზარა, მოეჩვენა, რომ მის ოსებაში მამამისი მეორდებოდა.

იუკიკოსთან თიკაკოს თავი ლაღად, უშუალოდ ეჭირა, მას, კიკუძის კი რაღაც ბუნდოვანი, გაუცნობიერებელი სირცხვილი ჰბოჭავდა. საშუალებას არ აძლევდა, ქალიშვილის მიმართ ბოლომდე მტკიცე და თანამიმდევრული ყოფილიყო.

კურიმოტოსადმი თავის მტრულ განწყობილებას რომ არ მალავდა, ამით, ეტყობა, საკუთარი თავის წინაშე თავს იზღვევდა, აქაოდა, იუკიკოს ჩემი ნება-სურვილით კი არ ვირთავ, თიკაკო მაიძულებსო... ო, ეს თიკაკო! მართლაც რომ ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო ეს ქალი, შეგეძლო, ყველა ვითარებაში გამოგეყენებინა, ყველაფერი მისთვის გადაგებრალებინა.

ახლაც ამიტომ იყო კიკუძი ასე ნირწამხდარი. ეჭვი არ ეპარებოდა, იუკიკო შესანიშნავად ხვდებოდა მის განწყობას. ამას ისიც ემატებოდა, რომ თვითონვე ამცირებდა და ამუნათებდა თავის თავს — ასეთი და ასეთი ვარ... ახია... ჩემზე ყველაფერი ახიაო!..

ჭამის შემდეგ თიკაკო ჩაის დასაყენებლად გავიდა. როგორმე თავი რომ ემართლებინა, კიკუძიმ იუკიკოს მოუბოდიშასავით:

— ეტყობა, კურიმოტოს ვერსად გავექცევით, ნამდვილი ბედისწერასავითაა... ერთი კია, მე და თქვენ, როგორც ჩანს, სრულიად განსხვავებულად ვუყურებთ ამ ბედისწერას...

კიკუძის გაახსენდა, მამის გარდაცვალების შემდეგ დედამისი დროდადრო ჩაის პავილიონში როგორ ჩაიკეტებოდა ხოლმე. ეს ამბავი კიკუძის მუდამ სევდიან გუნებაზე აყენებდა... უწინ მამაც ასე იყო, შემოვიდოდა პავილიონში და იჯდა და იჯდა მარტოდმარტო. აგერ ახლა კიკუძიც აქ არის, ზის ისიც ასე

მარტოდმარტო და თავის სევდიან ფიქრებს მისცემია... ალბათ ეს ადგილი თუა ასეთი, ეს ადგილი თუ განაწყობს ყველას ფიქრისა და თვითანალიზისათვის...

ფოთლებზე ტკაპატკუპით ცვიოდა და ცვიოდა წვიმის წვეთები.

წვიმის ხმაურს უცბად ქოლგაზე წყლის შხაპუნის ხმა შეერია და კიკუძიმ პავილიონისაკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალი მოსამსახურე ქალი დაინახა.

— მიტანი-სან, ოტა-სანი გესტუმრათ...

— ოტა-სანი? ოტა-სანი თუ ოტა-სანის ქალიშვილი?

— არა, თავად ქალბატონი ოტა მობრძანდა. ისეთი სახე აქვს, ეტყობა, ძალიან ავადაა.

კიკუძი ელდანაკრავივით წამოხტა, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა.

— რას მიბრძანებთ, სად შევიყვანო, სად დაგელოდოთ?

—თუ გინდა, აქ შემოიყვანე.

— კი ბატონო.

ქალბატონი ოტა პავილიონში უქოლგოდ შემოვიდა, ეტყობა, ქოლგა წინკარში დატოვა.

კიკუძიმ ქალის მონამულ სახეს შეხედა და, წვიმაში თუ დასველდაო, — გაიფიქრა. მაგრამ უმალვე მიხვდა, ნამტირალევი იყო — ქალბატონ ოტას ცრემლი ახლაც ღაპაღუპით სდიოდა ღაწვებზე.

თავდაპირველად ქალის მიმართ, ჩანს, სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა, ცრემლი უბრალო წვიმის წვეთებად მიიღო, მაგრამ როგორც კი დარწმუნდა, ცრემლიაო, გადარეულივით ეცა:

— რა მოხდა, რა დაგემართათ!

ზღურბლს გადმოაბიჯა თუ არა, ქალი იქავე ულონოდ ჩაჯდა, იატაკზე ხელებდაყრდნობილი კიკუძისაკენ ოდნავ შეტრიალდა და თავი ძლივს დაუკრა.

მის ირგვლივ წყალი უმალ გუბესავით დადგა. ღაწვებზე კი ცრემლი ისე სდიოდა, ისე უხვად მოედინებოდა — ნეტავი მართლა წვიმის წვეთები ხომ არ არისო, — ისევ ეჭვი შეეპარა კიკუძის.

ქალბატონი ოტა იჯდა და ვაჟს თვალს არ აცილებდა. ასე გეგონებოდა, ეს მზერა მისი ერთადერთი დასაყრდენია, ეს რომ არა, თავს ვერ შეიკავებს, პირდაპირ იატაკზე მოზვავდებაო. ამის გაფიქრებაზე კიკუძი საშინელ გუნებაზე დადგა: — ახლა რომ ამდგარიყო და მიტრიალებულიყო, ნეტავი რა მოუვიდოდა ქალბატონ ოტას, რა დღეში ჩავარდებოდა?

ქალს ლოყები ჩასცვენოდა, ქუთუთოები ავადმყოფურად გასწითლებოდა, თვალის ჩაშავებულ უპეებთან ნაოჭი დასტყობოდა. საოცარი სევდა და ტკივილი იხატებოდა მის მზერაში. მიუხედავად ამისა, ტკივილს ამ თვალთა არაჩვეულებრივი ბრწყინვალება ვერ ჩაექრო — მთელი მისი სახე უსაზღვრო სითბოსა და სინაზეს ასხივებდა.

— მაპატიეთ! არ მეგონა, ოდესმე კიდევ გნახავდით... იცით, ეს... ეს... ღმერთო, რა ბედნიერებაა... თავს ველარ მოვერიე და მოვედი... მაპატიეთ....

საოცრად ალერსიანი ხმა ჰქონდა, მხოლოდ თვალები კი არა, მთელი მისი სხეული, მისი არსება სინაზის განსახიერებად იყო ქცეული.

ეს სინაზე რომ არა, საცაა ალბათ თავადაც ატირდებოდა კიკუძი, ისეთი ნატანჯი და ნაწამები სახე ჰქონდა ქალბატონ ოტას.

გულში უცებ მწვავე ტკივილი იგრძნო, მაგრამ ტკივილი უმალვე მიუ-

ყუჩდა. ახლა უკვე აშკარად მიხვდა, ვის გამოც იტანჯებოდა ეს ქალი... მიხვდა, რომ მისი ტანჯვისაცა და მისი სიხარულის მიზეზიც თავად კიკუძი იყო, და რომ თავის ამ ტანჯვას ქალბატონი ოლტა ახლა მასაც უნაწილებდა, მაგრამ იმ საოცარი სინაზის წყალობით თვითონვე ედებოდა მალამოდ.

— შემოდით, ოთახში შემოდით, ასე როგორ გაილუმპეთ!

უცბად ზურგიდან ქალს ორივე ხელი იღლიებქვეშ გაუყარა [illegible] ზე მკლავები ლონივრად შემოაჭდო და თითქმის შემოათრია ოთახში [illegible] ამ სიშმაგეში იყო რალაც სიმკაცრის მაგვარი.

— გამიშვით!.. — უთხრა ქალბატონმა ოლტამ და შეეცადა ფეხზე დამდგარიყო. — ძალიან მსუბუქი ვარ, არა?

— კი, ძალიან.

— ამ ბოლო დროს... იცით, საშინლად გავხდი...

ხელი რომ გაუშვა, კიკუძის მაშინლა გაუკვირდა: რა ქნა, როგორ ეცა, როგორ ასწია!..

— თქვენს ქალიშვილს ალბათ შეეშინდება.

— ფუმიკოს?..

ქალმა ეს სიტყვა ისე წარმოთქვა, კიკუძის ეჭვი ალარ შეეპარვია, ქალბატონ ოლტას ნამდვილად ფუმიკოც თან ახლავს, ახლა ალბათ სადღაც აქვე ელოდებაო.

— ფუმიკოც თქვენთან ერთად მოვიდა?

— არა, რას ბრძანებთ! მე ხომ... მე ხომ მის უჩუმრად... — ქალბატონ ოლტას ხმა აუკანკალდა: — ის კი არა, თვალს არ მაცილებს, ღამითაც მდარაჯობს, საკმარისია ოდნავ შევტოკდე, რომ მაშინვე თვალები უხილია... საბრალო, ჩემ გამო, მე მგონი, მთლად ჭკუაზე ველარ არის... პირდაპირ მეშინია მისი ამ... სულ იმას მეკითხება, დედა, რატომ მეორე ბავშვი არ გააჩინე, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც ბატონი მიტანისაგანო...

ქალბატონი ოლტა თანდათან დამშვიდდა, თავი მოიწესრიგა.

სამაგიეროდ კიკუძი კიდევ უფრო აღელდა, აფორიაქდა. ქალის სიტყვებიდან მისთვის აშკარა გახდა, როგორ იტანჯებოდა ფუმიკო — ხედავდა დედის ტანჯვას და იტანჯებოდა.

ისიც, რაც მან დედას ბავშვის თაობაზე უთხრა — თუნდაც ბატონი მიტანისაგანო — საშინელებაა!.. — და ისევ შეეკუმშა გული კიკუძის.

ქალბატონი ოლტა კი იჯდა და თვალმოუცილებლად, დაჟინებით მისჩერებოდა სახეში.

— რა ვიცი, იქნებ მომაკითხოს კიდევაც... დღეს სადღაც წავიდა, ალბათ იფიქრა, ასეთ წვიმაში გარეთ გასვლას ვერ გავბედავდი... მე კი აი, გამოვედი — ვიხელთე დრო და გამოვიქეცი.

— ეგონა, წვიმა შეგაჩერებდათ?

— დიახ! ფუმიკოს ჰგონია, რომ ძალიან ცუდად ვარ, ასეთ წვიმაში გარეთ გამოსვლას ვერ გავბედავ.

კიკუძემ თავი დაბნეულმა დაუქნია.

— ამ დღეებში მგონი...მგონი, თქვენთან იყო?

— დიახ. სულ მეხვეწებოდა, აპატიეთ დედასო, მე კი არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა...

— მესმის... ყველაფერი მესმის... იმიტომაც მოვედი... იცით, ძალიან მეშინია...

— გეშინიათ? რისი, რატომ? მე თქვენი ისეთი მადლობელი ვარ!

— მართლა? რა შესანიშნავია! რომ იცოდეთ, თქვენმა ამ ნათქვამმა გული როგორ დამიმშვიდა... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯებოდი... მაპატიეთ.

— რა უნდა გაპატიოთ, რა გაქვთ საპატიებელი? თქვენ ალბათ ადამიანი ხართ, ხელს არაფერი გიშლით... ანდა იქნებ ჯერ კიდევ მამაჩემის აჩრდილი არ გასვენებთ?

კიკუძის სიტყვები მას კი არა, თითქოს ვილაც სხვას შეეხებაო, ქალბატონ ოოტას სახეზე ნირი არ შესცვლია.

— რაც იყო, იყო, მოდი, ყველაფერი დავივიწყოთ. მაგრამ იცით... ძალიან მრცხვენია... არა, ამიტომ კი არა... მრცხვენია. კურიმოტოს დარეკვაზე ასე რომ გადავირიე.

— რაო, რაო? კურიმოტომ დაგირეკათ?

— დიახ, დღეს დილას დამირეკა. მითხრა, რომ თქვენ და იუკიკო თურმე... მაგრამ... ჩემგან რა უნდოდა? მე რატომ დამირეკა?

თვალები კვლავ ცრემლით ეევსო ქალბატონ ოოტას, მაგრამ მოულოდნელად გაიღიმა. და ეს ღიმილი ნაძალადევი და ცრემლნარევი კი არა, ნამდვილი, ნათელი, გულღია ღიმილი იყო.

— იუკიკო? არა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია... მართლაცდა, რა უნდოდა, რატომ დაგირეკათ?.. ნეტავი ხომ არაფერი იყოსა?.. მას მერე ხომ არსად შეხვედრიხართ, ხომ არსად გინახავთ?

— არა, არ მინახავს, მაგრამ, ისეთი საშინელი ადამიანია, მისი უცოდინარი და გაუგებარი არაფერი დარჩება. ამ დილას რომ დამირეკა, ჩანს, რაღაც იეჭვა. რა ვიცი, იქნებ ჩემი ბრალიც კია... იმ ამბავს რომ მეუბნებოდა, კინაღამ გული წამივიდა, მგონი, ვიკივლე კიდევაც... მართალია, ტელეფონზე ვლაპარაკობდით, მაგრამ, აბა, იმას რას გამოაპარებ... ბოლოს ალბათ ამიტომაც მითხრა: — ოოტა-სან, თუ შეიძლება, თავი დაანებეთ. ხელს ნუ შეუშლითო...

კიკუძი მოიღუშა. არ იცოდა, რა ეთქვა, სათქმელს თავი ველარ მოუყარა.

— აბა... აბა, მე ხელს როგორ შეგიშლით!... რომ იცოდეთ, იუკიკოს წინაშე თავს როგორ დამნაშავედ ვგრძნობ... მაგრამ, ის დარეკვა, ის შემზარავი სიტყვები... დილას აქეთია ადგილს ვერ ვპოულობ, ალარ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე... ისე მეშინია მისი, ისე მეშინია... ისეთი აუტანელი, ისეთი საშინელი ქალია... ამიერიდან ვიცი, მოსვენებას ალარ მომცემს... ახლაც ამიტომ გამოვიქეცი სახლიდან...

ქალბატონ ოოტას, ეტყობა, შეაერეოლა. მხრები უთრთოდა, პირი მოლრეცოდა, ტუჩები ისე უკანკალებდა, თითქოს საცაა გულყრა უნდა დაეწყოსო. ტუჩის კუთხეები დაშვებოდა და ერთბაშად ნათელი გახდა, რომ ეს ქალი უკვე ალარც ისე ახალგაზრდა იყო.

კიკუძი წამოდგა, ხელი გაიწოდა, ქალს მხარზე შეეხო.

ქალი მის ხელს ისე ჩაეჭიდა, როგორც თავის ერთადერთ ხსნასა და იმედს.

— მეშინია! ძალიან მეშინია!.. — ჩურჩულებდა ქალბატონი ოოტა და თვალებს აქეთ-იქით აფეთებდა. მერე უცებ მოეშვა, ჩაილვენთა: — ეს ჩაის პავილიონია?

— დიახ.

— რა შესანიშნავია...

ნეტავი ვინ გაახსენდა? კიკუძის მამა თუ საკუთარი მეუღლე, რომელიც აგრეთვე აქაურობის ხშირი სტუმარი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენ აქ პირველად ხართ?

— დიახ.

— ასე რას უყურებთ?

— ისე, არაფერს...

— ეს მუნეიუკის ნახატია, ლექსის ილუსტრაცია...

ქალბატონმა ოლგამ თავი დაუქნია და მერე თავი ძირს ულონოდ ჩაკიდა.

— ნუთუ მართლა აქ არასოდეს ყოფილხართ?

— არა, არასოდეს არ ვყოფილვარ.

— ნუთუ მართლა?

— თუმცა, არა, ვიყავი... მამათქვენის გასვენების დღეს ვიყავი... — ხმა ჩაეფერფლა ქალბატონ ოლგას.

— წყალი უკვე დულს, ჩაის ხომ არ დალევდით? დალიეთ და დაღლაც უმალ გაგივლით. აი, ერთ ფინჯანს მეც დავლევ თქვენთან ერთად.

— კი ბატონო... თუ ნებას მომცემთ, ჩაის მე თვითონ დავაყენებ...

ძლივს, ბარბაცით წამოდგა ქალბატონი ოლგა.

კიკუძემ კუთხეში მიწყობილი კოლოფებიდან ჭურჭელი ამოალაგა — ეს ის ჩაის ჭურჭელი და ის ფინჯანი იყო, რომელიც გუშინ იუკიკოს გაუწყეს.

ქალბატონმა ოლგამ ხელი გაიწოდა, კარდალას სახურავი მოხადა. მაგრამ აკანკალებული ხელიდან სახურავი გაუვარდა და კარდალაზე დაცემულმა ნაზად გაიწკრიალა.

ქალმა თავი ძირს დაბარა, ციცხვი წყალში ჩადო და მისი თვალებიდან კვლავ ცრემლმა იწვიმა. ტიროდა ქალბატონი ოლგა, უხვად ჩამოსული ცრემლი კარდალის გამობერილ გვერდებზე ცვიოდა...

— ეს კარდალა... იცით, ეს კარდალა მამათქვენს მე ვაჩუქე.

— მართლა? პირველად მესმის.

ესე იგი, კარდალა ოდესღაც აწ განსვენებული ბატონი ოლგას საკუთრება იყო. რა გაეწყობა... — სულაც არ სწყენია კიკუძის. არც ის სწყენია, ყველაფერ ამას ქალი ასე გულახდილად, დაუფარავად რომ ეუბნებოდა.

ქალბატონმა ოლგამ ჩაი დაასხა და კიკუძის მიუტრიალდა:

— ბოდიშს ვიხდი, ძალა არა მაქვს, რომ ავდგე, ჩაი მოგიტანოთ. თუ შეიძლება, თავად მოგრძანდით.

კიკუძი კერიასთან გადაჯდა

და ქალი ვაჟის მუხლებზე ისე მიესვენა, თითქოს სადაცაა გონებას დაკარგავსო.

კიკუძემ მხრებზე ხელი მოხვია. ქალი თითქმის არ სუნთქავდა, ხანდახან ზერგი თუ შეუთრთოლდებოდა და მხოლოდ ამით თუ შეიგრძნობდი, ამ სხეულში ჯერ ისევ სიცოცხლე რომ ფეთქავდა.

ვაჟი ქალს ეხვეოდა, მის ბავშვივით უსუსურ, მსუბუქ, ძალაგამოლეულ სხეულს გულში მაყურებლად იკრავდა.

3.

— ოკუ-სან!

კიკუძემ ქალბატონი ოტა უხეშად შეანჯღრია. მკლავები კისერზე ისე შემოაჭდო, თითქოს სადაცაა უნდა დაახრჩოსო. ქალ[illegible] ძვლები ამოსჩროდა. და ვაჟმა შეამჩნია, რომ წინანდელთან შედარებით [illegible] გაცილებით გამხდარი იყო.

— ოკუ-სან, მითხარით, ჩემსა და მამაჩემს შორის თქვენთვის რაიმე განსხვავება თუა?

— ღმერთო ჩემო, რა მკაცრი ხართ!

თვალი არ გაუხელია, ყრუდ, ძლივს გასაგონად წაილაპარაკა ქალბატონმა ოტამ.

ჩანს, ახლა იგი სადღაც ზეცაში დაფრინავდა, მიწაზე დაბრუნება არ ეწადა.

კაცმა რომ თქვას, ამ სიტყვებით კიკუძი ახლა ქალბატონ ოტას კი არა, საკუთარ თავს უფრო მიმართავდა. უფრო სწორად, იმ მღელვარე ფიქრებში გარკვევას ცდილობდა, სადღაც, მისი სულის სიღრმეში რომ ფუთფუთებდნენ.

ქალბატონმა ოტამ იგი შორს, სხვა სამყაროში გაიტაცა... კიკუძი არ შესწინააღმდეგებია ამ ცდუნებას, პირიქით, სიხარულითაც კი დანებდა. იქ, იმ სხვა სამყაროში კი — დიახ, სხვა სამყაროში, ვინაიდან სხვა სახელს კაცი ამას ვერაფერს მოუძებნი — კიკუძისა და მამამისს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშლილიყო, ყველაფერი უცხო, უცნაური და, ასე ვთქვათ, შემზარავიც კი იყო...

არც ქალბატონი ოტა იყო ჩვეულებრივი მიწიერი, იგი თითქოს სადღაც კაცთა მოდგმის გარეშე იდგა და ამ დედამიწას ყველა სხვა ქალის გაჩენამდე ან მათ შემდეგ მოვლენოდა. იქნებ ამიტომაც იყო, რომელიღაც წამში კიკუძისა და მამამისს ერთმანეთთან რომ აიგივებდა, მათ შორის განსხვავებას რომ ვერ გრძნობდა.

— მამაჩემი ალბათ არასოდეს დაგავიწყდებათ? ანდა, საკმარისია გაგახსენდეთ, რომ ორივენი ერთმანეთს შევენიერთნეთ, თქვენთვის ერთ განუყოფელ არსებად ვიქცეთ!

— კმარა, გაჩუმდით, ოდნავ, სულ ოდნავ მაინც დამინდეთ! ეს ხომ... ღმერთო... ღმერთო, რა საშინელებაა, როგორ მეშინია... როგორი დამნაშავე ვარ!

ქალბატონ ოტას თვალის კუთხეებიდან ცრემლი ჩამოუგორდა და ცრემლის თეთრმა ნაკვალევმა სახე თეთრად ჩამოუსერა.

— ო-ო, ნეტავი მოვკვდებოდე!.. სიკვდილი მენატრება... ღმერთო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა, ამ წუთას რომ მოვმკვდარიყავი!.. კიკუძი-სან, თქვენ ხომ ეს-ესაა კინალამ დამახრჩეთ... რატომ, რატომ არ დამახრჩეთ?

— ასეთი ხუმრობა როგორ შეიძლება!.. მგონია, მართლა გახრჩობდით.

— მართლა? გმადლობთ! — ქალბატონმა ოტამ თავი უკან გადაავდო და მისმა მალალმა, ნატიფმა ყელმა თეთრად გამოანათა. — ჩემი დახრჩობა ადვილია, იცით, ისე გაეხდი...

— არა, თქვენი სიკვდილი არ შეიძლება. თქვენ ხომ ქალიშვილი გყავთ.

— ქალიშვილი... რა თქმა უნდა... ცოდოა... მიუხედავად ამისა, მე ალბათ

მალე მოვკვდები. ძალიან, ძალიან დავიღალე. უკვე სიცოცხლის ღონე აღარა მაქვს... ფუმიკოს კი, კიკუძი-სან, თქვენ უნდა მიმიხედოთ.

— აი, ისიც რომ ისეთი იყოს, როგორიც თქვენ ხართ...

ქალბატონმა ოტამ თავი ასწია და შეხედა.

უნებურად წამოცდენილმა სიტყვამ კიკუძი შეაძრწუნა.

ქალმა? ქალმა რაღა იგრძნო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—აბა მოუსმინეთ, როგორ სცემს ჩემი გული, როგორი ამოუალბეები მაქვს... ჩემი დღეები უკვე დათვლილია... სულ ცოტაღა დამრჩა...— თქვა ქალბატონმა ოტამ და ვაფის ხელი გულზე დაიდო.

იქნებ ეს გულისცემა ახლა კიკუძის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებზე დაეწყო?

— კიკუძი-სან, რამდენი წლის ხართ?

კიკუძიმ პასუხი არ გასცა.

— ჯერ ხომ ოცდაათისაც არ გამხდარხართ... დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე... დიახ, ძალიან... ძალიან უნამუსო ქალი ვარ... არა, კიკუძი-სან, თქვენს ამას ვერასოდეს გაიგებთ...

ქალბატონი ოტა ხელებს დაეყრდნო, მუხლები მოხარა და ლოგინში წამოიწია.

კიკუძი წამოჯდა.

— მე ხომ, კიკუძი-სან, იმიტომ არ მოვედი, თქვენი და იუკიკოს შეუღლება შემებღალა... ახლა კი... მარრჩა. ჩემი საქმე უკვე წასულია...

— რახან ასეა... რახან თქვენ თვითონ წამოიწყეთ ეს საუბარი, მართალია, ჯერ წარმოდგენაც არა მაქვს, ვითხოვ თუ არ ვითხოვ იუკიკოს, მაგრამ, ჩავთვალოთ რომ თქვენ განწმინდეთ ჩემი წარსული.

— განვწმინდე?

— კარგად მოგეხსენებათ, კურიმოტო, რომელიც ასე მოწადინებულია, ჩემი შუამავალი და მაჭანკალი გახდეს, ოდესღაც მამაჩემის საყვარელი იყო. ის წარსული დღესაც სწამლავს ჩემს ცხოვრებას. თქვენ კი... თქვენ ის ქალი ხართ, რომელსაც მამაჩემი ბოლომდე ვერ მოსცილდა... დარწმუნებული ვარ, იგი თქვენთან ბედნიერი იყო.

— მალე, მალე დაქორწინდით! მალე ითხოვეთ იუკიკო...

— აი ეგ კი უკვე ჩემი საქმეა.

ქალბატონი ოტა ერთხანს დაფიქრებული შეჰყურებდა კიკუძის. მერე უცებ დაწვები გაუფითრდა. შუბლზე ხელი მიიდო:

— თვალთ დამიბნელდა... თავბრუ მესხმის...

დარჩენაზე ქალბატონმა ოტამ სასტიკი უარი განაცხადა. კიკუძიმ მანქანა გამოიძახა და სახლამდე მიაცილა, მაგრამ შინ არ შეჰყოლია. მანქანიდან რომ გადადიოდა, კიკუძის ხელისგულში მომწყვდეული თითები ქალს ყინულივით ჰქონდა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ უეცრად ტელეფონი აწკრიალდა.

— ბატონი მიტანი ბრძანდებით? — გაისმა ტელეფონში ფუმიკოს ხმა. — ეს-ეს არის, დედა...— თქვა და ყურმილში ხმა უცებ მიწყდა, მაგრამ მალე კიდევ უფრო მკაფიოდ გაისმა: — დედა გარდაიცვალა...

— რაო, რა თქვით? დედა?! რა მოხდა, რა მოუვიდა?

— დედა დაიღუპა. გულის დამბლა დაემართა... ამ ბოლო დროს ძალიან ბევრ ძილის წამალს სვამდა...

კიკუძის თავზარი დაეცა. ხმა ვერ ამოიღო.

— კიკუძი-სან, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— დიახ, დიახ! გისმენთ!

— იქნებ ვინმე ექიმი გყავდეთ ნაცნობი?

— ექიმი? კი მაგრამ...

კიკუძი გაოცებული იყო — ნუთუ ფუმიკოს აქამდე არ გამოუძახებია ექიმი? მაგრამ აი იგი მაშინვე მიხვდა საქმის ვითარებას. უსგ ივი ქალბატონმა ოტამ, თავი მოიკლა. ფუმიკოს კი უნდა, დამალოს ეს ამბავი, ნაცნობი ექიმის მოყვანასაც ამიტომ სთხოვს...

— კი ბატონო, — თქვა ბოლოს კიკუძიმ.

— გთხოვთ!

ქალიშვილმა, ჩანს, ჯერ საგულდაგულოდ აწონ-დაწონა ყველაფერი, მხოლოდ მერელა დაურეკა კიკუძის. მაგრამ ახსნა-განმარტებას არ მოჰყოლია, მოკლედ, ორიოდე სიტყვით შეატყობინა, რაც მოხდა.

კიკუძი იქვე, ტელეფონის აპარატთან ჩაჯდა და თვალები დახუჭა.

მეხსიერებას კი თავისი გზა ჰქონდა, თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ახლა იგი ქალბატონ ოტას კი არ წარმოუსახავდა, არამედ იმ მზის ჩასვლას, რომელიც კამაკურას სასტუმროში გატარებული ღამის შემდეგ, შინ მიმავალმა კიკუძიმ ელექტრომატარებლის ფანჯრიდან დაინახა. აი, იკეგამაში ჰომონძის ტაძარმა ჩაიქროლა. ტაძრის თავზე მზე ნელა ეშვება დასალიერისაკენ. ურთიერთ მრგვალი და მეწამული ნელა მიცურავს ხეების ტოტებს შორის. ხეთა შავად ჩაქუფრული კენწეროები მკვეთრად, რელიეფურად იხატება ჩამავალი მზით განათებული ცის ფონზე.

ტოტიდან ტოტზე აგორებული მუქი-წითელი მზე კიკუძის თვალებს სწვავს და იგი თვალებს ხუჭავს... და აი, უცბად ეჩვენება, რომ იუკიკოს ვარდისფერი ფუროსაკიდან აფრთხიალებული, მეწამულ დაფრინს თავდაღწეული, თეთრი, ათასფრთიანი წერო მისი მაგრად დახუჭული ქუთუთოების ქვეშ ნელა შემოფარფატდა.

ჩრდილი სინოზე

1.

სულის მოხსენების კვირა რომ ჩამთავრდა, მეორე დღეს კიკუძი ქალბატონი ოტას სახლს ეწვია.

უნდოდა, სამსახურიდან ცოტა ადრე გამოსულიყო. სამსახურის შემდეგ სტუმრობა უხერხული იქნებაო, — ფიქრობდა. მთელი ის დღე სკამზე მოუსვენრად წრიალებდა, ღელავდა, ყოველ წუთს წამოდგომასა და წამოსვლას ლამობდა. მაგრამ აგერ სამსახური უკვე მთავრდებოდა, ის კი ისევ იჯდა და ადგომას ვერ ახერხებდა.

ფუმიკო წინკარში დაუხვდა:

— ღმერთო ჩემო, თქვენ ბრძანდებით?

მისალმების ნიშნად მუხლი მოიყარა და გაირინდა. თითის წვერებით იატაკს ისე ეხებოდა, ასე გეგონებოდა, ეს რომ არა, მხრების ცახცახს ვერ შეიკავებდა. ბოლოს კიკუძის შუბლქვემოდან ამოხედა და უთხრა:

— გუშინდელი ყვავილებისათვის მადლობას მოგახსენებთ.

— რას ბრძანებთ!

— ყვავილები რომ გამოგზავნეთ, ალბათ ალარ მოვა-მეთქი, ვიფიქრე.

— რატომ? ხომ ხდებოდ ყვავილებს ზოგჯერ წინასწარ აგზავნიან, ასე არ არის?

— რა ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია.

— გუშინ აქვე, თქვენ გვერდით ვიყავი, ყვავილების მაღაზიაში, მაგრამ... ფუმიკომ თავი დაუკრა.

— მართალია, ყვავილებს ბარათი ... ალ ახლდა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, ვისი გამოგზავნილი იყო.

კიკუძის გუშინდელი დღე გაახსენდა. გუშინ იგი მაღაზიაში შევიდა, მაღაზია აუარებელი ყვავილით იყო სავსე, და ამ ზღვა ყვავილებს შორის კიკუძი ქალბატონ ოტაზე ფიქრებმა გაიტაცა.

მისი სიკვდილი გულზე ... ლოდივით აწვა. მაგრამ ყვავილები ირგვლივ ისე ნაზ, ისე ნატიფ ... ფერებს აფრქვევდა, საკუთარი ცოდვა ახლა თითქოს ისეთი მძიმე და აუტანელი ალარ ეჩვენებოდა.

აი, ფუმიკოც ისე თბილად, ... ულლიად შეხვდა...

ტანზე თეთრი ჩითის კაბა ეცვა, სახე შეუპუდრავი ჰქონდა. მხოლოდ პომადის მკრთალი ნაკვალევი ... ნაქარევ ტუჩებზე.

— გუშინ აქვე ვიყავი, გვერდით ... — ჩაიმეორა კიკუძემ. — ჯობია, ცოტას ვაცდი-მეთქი, ვიფიქრე.

ფუმიკომ ოდნავ უკან დაიწია და კიკუძი შეიპატიჟა. ალბათ ცრემლს ძლივს იკავებდა, ამიტომ ელაპარაკებოდა ასე ერთ ადგილას გაშეშებული, ბისალმების ნიშნად ლამის იატაკამდე თავწახრილი. მერე უცებ იგრძნო, საკმარისია, ერთი წუთით კიდევ დარჩენილიყო ამ მდგომარეობაში, რომ ხმამაღლა ატირებულიყო.

— თქვენმა ყვავილებმა ძალიან გამახარა, — თქვა ბოლოს ფუმიკომ და ... შესულ კიკუძის თვითონაც უკან მიჰყვა. — თქვენ კი შეგეძლოთ, გუშინაც მობრძანებულიყავით...

— გუშინ რომ მოვსულიყავი, თქვენს ნათესავებს ალბათ არ ესიამოვნებოდათ... ცუდ გუნებაზე რატომ დამეყენებინეთ?

ქალიშვილმა თავი გადააქნია:

— რას ბრძანებთ! ასეთ რამეებს დიდი ხანია, ყურადღებას ალარ ვაქცევ. სასტუმრო ოთახში ურნის წინ ქალბატონი ოტას სურათი იდო.

ყვავილები კი ცოტა იყო... მხოლოდ ის ვარდები და ვარდისფერი მიხაკები, გუშინ კიკუძემ რომ გამოგზავნა.

რა უცნაურია... ნუთუ ფუმიკომ მხოლოდ მისი ყვავილები დატოვა, დანარჩენი კი გადაყარა, ანდა ადგა და სადღაც შიმალა.

ვინ იცის, იქნებ სულის მოხსენიების ეს კვირა, ასე მარტოდმარტომ გატარა, ასე დარდსა და მწუხარებაში... იქნებ არც არავინ მოსულა, რათა მიცვალებულისათვის პატივი ეცა და ჭირისუფალი ენუგეშებინა.

— თუ არ ვცდები, ეს მგონი, მიძუსასია?

ფუმიკო მიხვდა, კიკუძი იმ ქოთანზე ლაპარაკობდა, რომელშიაც ყვავილები ელაგა.

— დიახ... მე მგონი, ძალიან უხდება ამ ყვავილებს.

— კარგი სინო[1] უნდა იყოს.

---

[1] სინო — ეგზოტიკის, ფანტაზიის ან ფანტაზიის ძველებური მაღალ... ტერული ნახელავი.

ნატიფი, ცილინდრული ფორმის ეს ქოთანი მიძუსასისათვის, მართალია, ოდნავ პატარა იყო, მაგრამ, თეთრი ვარდებისა და ვარდისფერი მიხაკების თაიგულს, მართლაც რომ ძალიან შვენოდა.

—ამ ქოთანში ხანდახან დედაც აწყობდა ყვავილებს, ამიტომ არ გაყიდა, თავისთვის დაიტოვა.

კიკუძი ურნის წინ ჩაჯდა, საკმევ ჩხირს მოუკიდა, ხელსაგულებელ სალოცავად შეატყუპა და თვალები მილულა.

ახლა იგი ცოდვას ინანიებდა, მაგრამ საოცრად ტკბილი იყო ეს ცოდვა. მონანიებას ქალბატონი ოლგას მიმართ მადლიერების გრძნობა ერთვოდა და ეს მადლიერება ამშვიდებდა, გულზე მალამოდ ედებოდა.

რატომ, რატომ მოიკლა თავი ქალბატონმა ოლგამ? მაინც რამ შეიყვანა იმ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა არ შეეძლო? რამ? სიყვარულმა თუ დანაშაულის განცდამ? რამ აიძულა, რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი?.. აი, უკვე მთელი კვირაა გონებიდან არ ამოსდის კიკუძის.

აგერ ახლაც მიცვალებულის წინ თავდახრილი და თვალებდახუჭული ქალბატონ ოლგას ვერ ხედავდა, რომ ერთბაშად ქალის სხეულის სითბო შეიგრძნო. იგი თითქოს ყვავილების მოტკბო, მათრობელა სურნელიდან მოედინებოდა. ცხადია, მეტად უცნაური რამ გახლდათ, მაგრამ კიკუძის უცნაურად არ მოსჩვენებია — მიცვალებული უკვე ილეოდა, იშრიტებოდა, სახიერებას ჰკარგავდა და მასში შემოდიოდა სითბოდ და უნაზეს მუსიკად.

მას შემდეგ, რაც ოლგა-სანი გარდაიცვალა, ღამღამობით ცუდად ეძინა კიკუძის. ძილის წამალიც კი, რომელსაც საკეში ურევდა, მის უძილობას ვერაფერს შველოდა. ჯერ იყო და, რა არ ესიზმრებოდა, მერე უცებ გაახელდა თვალს შუაღამისას და იწვა ასე თვალებგახელილი.

მაგრამ სიზმრები კოშმარული კი არა, პირიქით, ტკბილი და ნეტარების მომგვრელი იყო. ასეთი სიზმრის შემდეგ გაელვიძებოდა აღგზნებულს და იყო ერთხანს ამ ნეტარ განცხრომაში.

უკვირდა, გარდაცვლილი ქალი ასე ხშირად და მუდამ ასე ცოცხალივით რომ ესიზმრებოდა. მის ალერსს ასე ძლიერ, ასე ცხოვლად რომ შეიგრძნობდა.

ქალბატონმა ოლგამ ორჯერ უწოდა თავისთავს დამნაშავე. ერთხელ — კამაკურას სასტუმროში, სადაც მათ თავისი ის ღამე ვაატარეს, მეორედ კიკუძისთან, ჩაის პავილიონში. და ორივეჯერ ამ სიტყვებზე ქალს ყოვლად უცნაური განწყობა დაეუფლა — იგი თან გულამოსკვნით ტიროდა, თან აღტაცებისაგან თრთოდა. და აი, კიკუძი ახლა მისი ნეშტის წინ ზის და ქალბატონ ოლგასა და თავისთავზე ფიქრობს: თუ ამ ქალის სიკვდილის მიზეზი თვითონ არის, მაშასადამე დამნაშავეა თვითონ და არა ქალბატონი ოლგა... მიუხედავად ამისა, „დამნაშავე ვარო“. ქალბატონ ოლგას ის პირველი ნათქვამი, ყურებიდან არ ამოსდის.

კიკუძიმ თვალი გააბრწყინა: ზურგსუკან ფუმიკომ ამოისლუკუნა. როგორც ჩანს, იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ტიროდა, მაგრამ ცდილობდა, ხმამაღლა არ აქვითინებულიყო. ახლა კი თავი ვეღარ შეიკავა.

კიკუძი თითქოს გაქვავდა, ადგილიდან ვერ დაიძრა.

— ეს სურათი როდის გადაიღო? — ისე იკითხა, თავი არ მიუბრუნებია.

— ამ უქვსიოდე წლის წინათ... პატარა სურათი იყო, მე გავადიდებინე.

— მართლა? ეტყობა, ჩაის ცერემონიალის დროს არის გადაღებული?

— ო-ო, როგორ მიხვდით?

გადიდებულ სურათზე ქალს მხოლოდ სახე და კისერი უჩანდა.

— კი მაგრამ... როგორ... როგორ მიხვდით? — იკითხა კვლავ ფუმიკომ.

— არ ვიცი, ეტყობა, ვიგრძენი... თვალები დახრილი აქვს, სახე დაძაბული — აშკარაა, ეს ადამიანი რაღაც საქმით არის დაკავებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა აქ წინ კი არა, სადღაც გვერდით იყურება... ახლა ალბათ არც კი შეიძლებოდა ამ სურათის მიცვალებულთან დადება, მაგრამ დედას თვითონ ძალიან მოსწონდა...

— მეც ძალიან მომწონს. კარგი სახე აქვს, მშვიდი...

— დიახ... მიუხედავად ამისა, წინ კი არა, მაინც სადღაც გვერდზე იყურება... რას იზამ, აქ მას საკმეველს უკმევენ, მას კი ამ ადამიანისათვის შეხედვაც არ უნდა. სამწუხაროა... ძალიან, ძალიან სამწუხაროა...

— რა ვიცი, იქნებ მართალიც იყოთ.

— რა თქმა უნდა! ის ხომ თითქოს თვალს გარიდებს, გარდა ამისა, თავიც დახრილი აქვს...

— დიახ...

და კიკუძის ქალბატონი ოოტას სიკვდილის წინა დღე გაახსენდა. ის პატარა, მოკრძალებული ჩაის ცერემონიალი...

აი, ქალბატონმა ოოტამ ჩამჩა ხელში აიღო, ადუღებული წყალი ამოხაპა და თვალთაგან ერთბაშად მდუღარე ცრემლი წასკდა. ღაპაღუპით წამოსული ცრემლი. კარდალის მრგვალ, დაქანებულ გვერდებზე ცვიოდა... კიკუძი იძულებული გახდა, თვითონ მისულიყო, თვითონ აეღო ჩაით სავსე ფინჯანი. ჩაის სმა დამთავრებული არა ჰქონდა, კარდალაზე კი ცრემლი უკვე შემშრალი იყო. მერე ის იყო, ცარიელი ჩაის ფინჯანი ძირს დადგა, რომ ქალბატონი ოოტა მის მუხლებზე გულწასულივით მიესვენა.

— იცით, ბოლო სურათებში დედა ძალიან გამხდარია, სულ მე მგავს... — უთხრა ფუმიკომ და ენა დაება. — ამიტომაც უკანასკნელად გადაღებული სურათის დადება რატომღაც შემრცხვა... აქ კი ცოტა უფრო მსუქნადაა...

კიკუძი ერთბაშად ფუმიკოსაკენ შემობრუნდა.

ფუმიკომ თვალები დახარა. ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ვაჟს ზურგიდან შეჰყურებდა.

უკვე დრო იყო კიკუძი მიცვალებულის ცხედარს მოსცილებოდა, ფუმიკოს პირისპირ დამჯდარიყო.

დამჯდარიყოო — ადვილი სათქმელია. რა ექნა, სად ეპოვა ის საჭირო სიტყვები, რომლითაც იგი მას ამ დიდ დანაშაულს შეუნდობდა?

და აი, ერთადერთი გამოსავალი მისთვის ახლა ეს ყვავილებით სავსე მიძუსასი აღმოჩნდა. ტატამიზე ცალი ხელით დაყრდნობილი, ქოთნისაკენ ოდნავ შებრუნდა და თვალიერება დაუწყო... ვითომ რატომ არ უნდა დაეთვალიერებინა? ეს ხომ სინო იყო, დიდებული კერამიკა, ჩაის ცერმონიალისათვის საჭირო ერთ-ერთი ნივთთაგანი!

თეთრი მინანქარიდან ოდნავი მეწამული ატანდა. კიკუძემ ხელი გაიწოდა და ჭურჭლის კრიალა ზედაპირს შეეხო. ცივი იყო ქოთნის ზედაპირი, მაგრამ იმ შეფარული მეწამულიდან თითქოს რაღაცნაირ სითბოსაც აფრქვევდა.

— კარგი სინოა... ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება. ისეთი ნაზი და ისეთი ნატიფია... როგორც... როგორც, სიზმარეული...

უნდოდა ეთქვა, როგორც სიზმარეული ქალიო, მაგრამ სიტყვა ალარ დაასრულა.

— თუ თქვენ ნამდვილად მოგწონთ, ნება მომეცით, დედაჩემს სახსოვრად მოგართვათ.

— არა, რას ბრძანებთ! — კიკუძემ დარცხვენილმა შეკრა

— გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით... მე მგონი, შესანიშნავი კერამიკაა. დედასაც ძალიან ესიამოვნება.

— კერამიკა, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, მაგრამ...

— დედაც სულ ამბობდა, ძალიან კარგი კერამიკაათ. სწორედ ამიტომ ჩავაწყე თქვენი გამოგზავნილი ყვავილები ამ ქოთანში.

თვალები უცბად მწარე ცრემლით აევსო კიკუძის:

— გმადლობთ... ახლა კი ნამდვილად ალარ შემიძლია უარის თქმა.

— დედა ალბათ ძალიან გაიხარებს...

— ოღონდ ყვავილებს ჩავაწყობ, ამ ქოთანს ჩაის ცერემონიალებზე არ გამოვიყენებ.

— დიახ... დედაც ხშირად აწყობდა ყვავილებს...

— ყვავილებსაც ჩაის ცერემონიალის დროს კი არა, ისე, უბრალოდ... იქით, რაც არ უნდა იყოს, გულსატკენია, როცა ჩაის ცერემონიალის ჭურჭელს რალაც სხვა დანიშნულებისათვის იყენებ.

— შეიძლება... ისე, ვერც მე ვუდებ გულს ჩაის ცერემონიალებს. ხელს ალბათ ალარასოდეს მოვკიდებ...

ახლა, როცა საუბარი ასე თუ ისე უკვე აეწყო, კიკუძის შეეძლო, გამორიდებოდა მიცვალებულის ურნას. იგი ნიშასთან მივიდა, ძაბუტონი აიღო და გალერეაში გასასვლელი კარის წინ იმ ძაბუტონზე დაჯდა.

მაგრამ თითქოს განგებო, ფუმიკო ახლაც კიკუძის უკან აღმოჩნდა.

თანაც ამჯერად კიდევ უფრო შორს. და, ვაჟმა თავი კვლავ უხერხულად იგრძნო.

ქალიშვილი შიშველ იატაკზე იჯდა. ხელები მუხლისთავებზე ელაგა... უცბად თითები ისე გამწარებით დამუჭა, ეტყობა, შინაგანი თრთოლვის დათრგუნვას შეეცადა.

— მიტანი-სან, აპატიეთ დედას! — უთხრა ვაჟს და თავი დაბლა, სულ დაბლა დახარა.

კიკუძი შეკრთა, ასე ეგონა, ქალიშვილი საცაა პირქვე ჩამოემხობოდა იატაკზე.

— ამას რატომ მეუბნებით?! საპატიებელი მე მაქვს, მე უნდა მაპატიოთ. მე კი თხოვნასაც ვერ ვბედავ, კიცი, ჩემთვის ეს პატიებაც არ არსებობს. მრცხვენია, გული მეტანჯება... წარმოდგენა არა მაქვს, როგორ გავბედე და აქ როგორ მოვედი.

— არა, არა, თქვენ კი არა, მე მრცხვენია! — ამ სიტყვებზე ფუმიკოს სახე ტკივილმა დაუღარა. — სულ იმას ვნატრობ, ნეტავი მიწა გამისკდებოდეს, თან ჩამიტანდეს-მეთქი.

თქვა და ფერმკრთალი, შეუპუდრავი სახე შუბლიდან ნატიფ კისრამდე წითლად შეეფერა. და აი, კიკუძისათვის უცებ აშკარა გახდა, ამდენი განცდ-

დისა და მღელვარებისაგან როგორი ნატანჯი, როგორი ნაწამები იყო ფუმიკო. ეტყობა, არც ჯანმრთელობა ჰქონდა მთლად მაგარი — სიცცხვილისაგან საბოლოოდ ალაწვები წითლად კი არა, სისხლნაკლულ ადამიანთა მსგავსად, ვარდისფრად უკრთოდა.

კიკუძის გული შეეკუმშა:

— გძულვართ, ფუმიკო?

— მძულხართ?! რას ბრძანებთ! განა სძულდით ჩემს დედას?

— არა... მაგრამ, მან ხომ ჩემ გამო... გესმით, ჩემ გამო მოიკლა თავი!..

— დედას თვითონ უნდოდა სიკვდილი... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მთელი კვირაა სულ ამაზე ვფიქრობდი... ვიჯექი ჩემთვის მარტოდმარტო და ვფიქრობდი.

— ეს დღეები სულ ასე მარტო ხართ?

— დიახ, მაგრამ მე ამას მიჩვეული ვარ. მე და დედა ხომ მუდამ მარტონი ვცხოვრობდით... მაშინაც ბშირად ვრჩებოდი მარტოდმარტო.

— და... თქვენი ის ერთადერთი მახლობელი ადამიანიც ჩემ გამო წავიდა ამ ქვეყნიდან.

— არა, თქვენ გამო არა! თვითონ უნდოდა ასე, გესმით, თვითონ! რატომ ცდილობთ, მის სიკვდილში მაინცდამაინც თქვენს თავს თვლიდეთ დამნაშავედ? თუ ასეა, თუ ვინმეს დანაშული მიუძღვის, მაშინ მე ვარ ყველაზე უფრო დამნაშავე და სიძულვილითაც ყველაზე მეტად ჩემი თავი უნდა მძულდეს. მაგრამ... მაგრამ, იცით, მე მგონი, ამაზე ფიქრი საშინელებაა... განა შეიძლება, სულ იმის ფიქრში იყო, მის სიკვდილში ბრალი ვიღაც მეორეს მიუძღვისო? ამით მხოლოდ ჩრდილს მივაყენებთ მის სახელს, ჩირქს მოვცებთ მის ხსოვნას. სინდისის ქენჯნასა და დაგვიანებულ სინანულს ახლა აღარავითარი აზრი აღარა აქვს. ჩვენ ჯერ ისევ ცოცხლები ვართ, ის კი უკვე მკვდარია. რატომ უნდა დავუმძიმოთ ასეთი მძიმე ტვირთით სული მიცვალებულს?

— არ ვიცი, შეიძლება ასეცაა, მაგრამ... მე რომ არ შევხვედროდი... — სიტყვა ველარ გააგრძელა კიკუძემ.

— მე მგონი, მიცვალებულისათვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო — მიცვალებულს უნდა შეუნდო... იქნებ სიკვდილიც სწორედ იმიტომ გადაწყვიტა, თქვენგან ეს შენდობა მიეღო... ხომ შეუნდობთ, ხომ აპატიებთ დედას?

ამ სიტყვებზე ფუმიკო სასწრაფოდ წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

კიკუძემ ყველაფერ ამას უცბად სულ სხვა თვალით შეხედა. „მოკვდა, რათა შენდობა მიეღო"... გამოდის, რომ ჩვენ, ცოცხლებმა, ტანჯვა-მწუხარება უნდა შევუმსუბუქოთ იმათ, ვინც უკვე ამ ქვეყანას აღარ არის?..

მოკვდა ადამიანი.

ცოცხლად დარჩენილნი კი ზოგჯერ მკიცხავენ, ზოგჯერ ინანიებენ და იტანჯებიან. ერთშიაც და მეორეშიაც არის რაღაც თვალთმაქცური, რაღაც ფარისევლური, ვინაიდან მიცვალებულს აღარც ჩვენთან ესაქმება აღარაფერი, აღარც ჩვენს მორალთან...

კიკუძემ მზერა კვლავ ქალბატონ ოტას სურათზე გადაიტანა.

*

ფუმიკო ოთახში სინით ხელში შემობრუნდა.

სინზე ორი წითლად და შავად მოპიქული ცილინდრული ფინჯანი იდგა.

ქალიშვილმა შავად მოჭიქული ფინჯანი კიკუძის დაუდგა. ფინჯანი ჩვეულებრივი მწვანე ჩაით იყო სავსე და არა იმ დაფქვული ჩაით, რომელსაც ცერემონიალების დროს ხმარობენ.

კიკუძემ ფინჯანი ასწია, ძირიდან შეხედა და მკვახედ იკითხა:

— ვისი ნამუშევარია?

— მგონი, რიონიუსი უნდა იყოს.

— წითელიც?

— დიახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯუფთები არიან... ერთმანეთის წყვილები... — თქვა და ახლა წითელი ფინჯანი შეათვალიერა.

ჩაით სავსე წითელი ფინჯანი ფუმიკოს წინ ხელუხლებელი იდგა.

კარგი ფინჯნები იყო, გემრიელად მოსახმარი. მაგრამ კიკუძის ერთბაშად უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა:

ერთმანეთის ჯუფთი... „ცოლ-ქმარი“ ფინჯნები... ხომ შეიძლება, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ოოტა და მამამისი ჩაის სწორედ ამ ფინჯნებით სვამდნენ? ისხდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ და შინაურულად, ერთი ოჯახის წევრებივით შეექცეოდნენ: ფუმიკოს დედა წითელი ფინჯნიდან სვამდა, მამამისი — შავად მოჭიქული ფინჯნიდან...

თუ ეს ფინჯნები მართლაც რიონიუს ნამუშევარი იყო, ალბათ, არც ისე ძალიან უფრთხილდებოდნენ, სხვა რიგით ჭურჭელთან ერთად მგზავრობაშიაც თან დაჰქონდათ...

მამამისი და ფუმიკოს დედა ამ ფინჯნებიდან სვამდნენ ჩაის... იცის კი ეს ამბავი ფუმიკომ? თუ იცის, გამოდის რომ ბოროტად დასცინის კიკუძის...

მაგრამ კიკუძის ეს დაცინვაც და ბოროტ განზრახვად არ აღუქვამს. მისთვის ეს ქალიშვილის ჩვეულებრივი სანტიმენტალობა უფრო იყო.

ის კი არა, მისი ეს სანტიმენტალობა ლამის კიკუძისაც გადაედო.

ქალბატონი ოოტას სიკვდილით ორივენი დათრგუნულნი და გულდამძიმებულები იყვნენ. არც ერთსა და არც მეორეს ძალა არ შესწევდა, რაიმეს შებრძოლებოდა, მათ შორის, ამ სანტიმენტალობასაც. აგერ ამ ჯუფთმა ფინჯანმა კი, ჩანს, კიდევ უფრო დააახლოვა ისინი, საერთო მწუხარება კიდევ უფრო დაუმძიმა.

ფუმიკომ ყველაფერი იცოდა — იცოდა, რა დამოკიდებულებაში იყვნენ კიკუძის მამა, ქალბატონი ოოტა თუ თავად კიკუძი, იცოდა, რატომ და რის გამო მოკვდა დედამისი.

ფუმიკო და კიკუძი ერთგვარად თანამოაზრენიც იყვნენ — მხოლოდ მათ იცოდნენ ქალბატონი ოოტას თვითმკვლელობის ამბავი, ისინი ჰფარავდნენ, ისინი ინახავდნენ ამ ამბავს საიდუმლოდ.

ჩაის დაყენების დროს ფუმიკო, ეტყობა, ტიროდა, თვალები ჩაწითლებული ჰქონდა.

— მე მგონი, კარგად მოვიქეცი, რომ დღეს მოვედი... — თქვა კიკუძემ, — ფუმიკო-სან, თქვენ რალაც პატიებაზე ლაპარაკობდით. თქვენი ეს სიტყვები კაცმა შეიძლება ასედაც გაიაზროს და ისედაც... იქნებ იმისი თქმა გინდოდათ, ცოცხალსა და მიცვალებულს ერთმანეთისათვის ალარაფრის პატიება ალარ შეუძლიათო? მაგრამ მე მაინც შევეცდები, ჩემი თავი დავირწმუნო, რომ დედათქვენმა ყველაფერი მაპატია.

ფუმიკომ თავი დაუქნია.

— დიახ. ეს რომ არა, მაშინ ვერც თქვენ შესძლებდით პატიებას. აი, თავის თავს კი, როგორც ჩანს, ვერ აპატია...

— მე კი აგერ, თქვენ გვერდით ვზივარ... ვინ იცის, იქნებ ძალიან ცრუ, გოდაც ვიქცევი..., საშინელებას ჩავდივარ.

—რატომ?! — ფუმიკომ კიკუძის თვალებში შეხედა. — განა დედა დამნაშავეა, სიცოცხლე რომ ვეღარ შესძლო? ამაზე ხომ არ მიმანიშნებ[illegible] რომ გარდაიცვალა. თავდაპირველად მეც ძალიან ნაწყენი და [illegible] ვიყავი. დავუშვათ, მისი არავის ესმოდა, ამტყუნებდნენ და საქციელს უწუნებდნენ. მიუხედავად ამისა, სიკვდილი მაინც გამართლება არ არის-მეთქი, — ვფიქრობდი, მაგრამ... სიკვდილი ყოველგვარ მსჯელობასა და ახსნა-განმარტებას აბათილებს. იგი ყველაფერს უარყოფს. და ჩვენც აღარავითარი უფლება აღარა გვაქვს, ვინმეს ვაპატიოთ ან არ ვაპატიოთ სიკვდილი.

კიკუძისეულმა არ ამოუღია. აი, ფუმიკოც შეეხო იმ დიდ საიდუმლოს, რასაც სიკვდილი ჰქვიათ, — გაიფიქრა...

„სიკვდილი ყოველგვარ სჯასა და ახსნა-განმარტებას აბათილებს"... — თქვა ფუმიკომ და კიკუძი გაოცებული დარჩა — ფუმიკოსაგან ასეთ სიტყვებსა და მსჯელობას არ ელოდა.

აგერ, სხედან ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ და ორივენი ერთ მიცვალებულზე ფიქრობენ... ფიქრობენ სრულიად განსხვავებულად, ვინაიდან ერთისათვის იგი ქალბატონი ოტაა, მეორესათვის — მშობელი დედა.

ფუმიკო ქალბატონ ოტას, როგორც ქალს, ცხადია, ვერასოდეს აღიქვამდა, როგორც ქალს ვერასოდეს შეიგრძნობდა.

კიკუძი კი ახლა პატიებაზე ფიქრობდა, რათა შეენდო და თავადაც შენდობილი ყოფილიყო. ოცნებაში ჩაძირულს თვალები მიელულა. და მისი ამ ოცნების საგანი მხოლოდ ერთი — ქალბატონი ოტა იყო... მისი სითბო... მისგან წამოსული სიამის მომგვრელი ნეტარი ტალღები...

ასე ეგონა, ის ნეტარი ტალღები ამ წითელი და შავი ფინჯნებიდანაც მოედინებოდა.

განა შეეძლო, გაეგო ეს ფუმიკოს?

ქალიშვილს, რომელიც დედის ნაწილია, მისი ხორცი-ხორცთაგანია, წარმოდგენაც არა აქვს დედის სხეულზე, ის კი არა, დელიკატურად თვალსაც კი არიდებს. მაგრამ დედის სხეული ხშირად ასევე დელიკატურად, ზოგჯერ კი სრულიად შეუმჩნევლად განსხეულდება ხოლმე ქალიშვილში.

პირველად თავისი სახლის წინკარში შემოსული ფუმიკო რომ დაინახა, კიკუძი უმალ ნაცნობმა სინაზემ მოიცვა. ვინაიდან ქალიშვილში რაღაც საოცრად დედისეული შეიგრძნო.

ქალბატონმა ოტამ ალბათ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც ვაჟიშვილი მამის ცოცხალ განსხეულებად მიიღო. მაგრამ თუ ეს მხოლოდ შეცდომა იყო, კიკუძის დამოკიდებულება ფუმიკოსადმი შეიძლებოდა მისთვის საშვილიშვილო წყეულადაც ქცეულიყო, ვინაიდან ფუმიკოში იგი თავად ქალბატონ ოტას ხედავდა. მიუხედავად ამისა, ქალიშვილი კიკუძის უჩვეულო ძალით იზიდავდა, კიკუძი კი თავის ამ განცდას არ ეწინააღმდეგებოდა.

ფუმიკოს სავსე, ქარდაკრული ბაგეების ყოველ შეხედვაზე, გრძნობდა, როგორ მტკივნეულად ისწრაფოდა ამ გოგოსაკენ.

ფუმიკო ნაზია... კიკუძემ ალბათ რალაც საშინელება უნდა ჩაიდინოს, რ
თა ფუმიკომ წინააღმდეგობა გაუწიოს, გაუჯიქდეს.

იმის შიშით, რაიმე სისულელე არ მოვიმოქმედოთ, შეეცადა, მათ შორ
ჩამოწოლილი მდუმარება სასწრაფოდ დაერღვია.

— დედათქვენი მეტად სათუთი და მგრძნობიარე ადამიანი იყო, ალბა
ამიტომაც ვერ გაუძლო. მე კი, როგორც ახლა მეჩვენება, ზოგჯერ მეტად მკ
ცრი ვიყავი მის მიმართ. მაგრამ მეც აკი სულ სინდისი ქენჯნიდა ჩანს, მეტ
მეტად გულახდილად და უხეშად ველაპარაკებოდი ჩემს კანცლერზე. მე ხო
სულმოკლე კაცი ვარ, გარდა ამისა, მშიშარაც...

— რას ბრძანებთ, ყველაფერი თავისი ბრალია, თვითონ გაიწამა თავ
მაშინაც... მამათქვენთანაც და... თქვენთანაც... ძალიან უმძიმდა. ის ხომ ისე
თი ქალი არ იყო... მას ხომ არ შეეძლო...

ფუმიკოს ენა დაება, გაწითლდა, ეტყობა, შერცხვა ამ თემაზე საუბრ
გაგრძელება. ღაწვები ახლა უკვე ვარდისფრად კი არა, წითლად უგიზგიზებ
და.

— მაგრამ დედა რომ გარდაიცვალა, — განაგრძო ფუმიკომ, — მეორ
დღესვე სულ სხვა თვალით შევხედე მასზე ისე დავიწყე ფიქრი, როგორ
უმშვენიერეს ადამიანზე და, იცით, იგი მართლაც სულ უფრო მშვენიერი დ
მშვენიერი ხდებოდა.

— როდესაც საქმე მიცვალებულს ეხება, ალბათ მუდამ ასეა...

— იცით, სულ ვფიქრობ... ვფიქრობ... დედა იქნებ იმის გამო მოკვდ
თავის საქციელს ვერ გაუძლო... და კიდევ იმის გამო, რომ...

— აბა, ეს ასე არ არის!

— კიდევ იმის გამო, რომ საკუთარ თავს ვერ მოერია. იგი ხომ ლამ
გიჟდებოდა...

თვალები ცრემლით აევსო ფუმიკოს. ალბათ, უნდოდა ეთქვა — იგი ხო
ლამის გიჟდებოდა თქვენი სიყვარულითო.

— ჩვენგან წასული ადამიანები მუდამ ისეთები არიან, როგორსაც ჩვე
ნი გულები შემოინახავენ. ჩვენ კი არასოდეს დავივიწყებთ, მუდამ სათუთად
მოვეპყრობით მათ ხსოვნას! — თქვა კიკუძემ.

— მაინც რა მალე წავიდნენ ყველანი.

ფუმიკო, ჩანს, მიხვდა, კიკუძის ახლა მხოლოდ დედამისი კი არა, თავისი
მშობლებიც ჰყავდა მხედველობაში.

— და აი, ორივენი — თქვენცა და მეც მარტონი დავრჩით. — დასძინა
კიკუძემ და გაიფიქრა: — ქალბატონ ოტას ქალიშვილი რომ არ ჰყოლოდა,
ჩემთვის ალბათ ქვეყანა ახლა გაცილებით პირქუში და ულიმლამო იქნებო-
და, ქალბატონ ოტასთან ჩემი დამოკიდებულება ხომ ყოვლად არაბუნებ-
რივი იყო. — როგორც ჩანს, ფუმიკო-სან, თქვენ მარტო ჩემდამი როდი ხართ
ასეთი კეთილი, თურმე მამაჩემის მიმართაც დიდ სიკეთეს იჩენდით... მე ხომ
დედათქვენმა ყველაფერი მიამბო...

კიკუძემ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, წარმოთქვა ის სიტყვები,
რომელიც კარგა ხანია უკვე ენის წვერზე უტრიალებდა. მისი ხმა ახლა თით-
ქოს უფრო მშვიდად, ყოველგვარი სიყალბის გარეშე ჟღერდა. როგორც ჩანს,
დადგა დრო, როდესაც შეეძლო, მშვიდად, გულღიად ესაუბრა ასეთ რამეებზე,
ესაუბრა თავიანთ მშობლებზე, მათ ურთიერთობაზე.

მაგრამ ფუმიკო უცბად ტატამის ხელისგულებით დაეყრდნო და თავი მდაბლად დაუკრა.

— მაპატიეთ! იცით, ისე მეცოდებოდა დედა, ისე მეცოდებოდა!.. მაშინაც ხომ ლამის გაგიჟებას იყო მისული...

ჩაილაპარაკა ფუმიკომ სწრაფად, ისე რომ თავი არ აუწევია. და ჩუმად, უხმოდ ატირდა, მხრები ულონოდ ჩამოუშვა.

კიკუძი დღეს აქ მოულოდნელად მოვიდა. უწინდებოდ დარჩენილ ფუმიკოს მიკო მთელი ამ ხნის განმავლობაში ისე უხერხულად, ისეთი მოკრუნჩხული იჯდა, თითქოს უნდა დამალოს, არ უნდა, შიშველი ფეხის ტერფები დაანახოს. ისე მუშტივით იყო მოკუნტული, შეხედავდი და ცოდვით გული აგევსებოდა.

მისალმების ნიშნად თავი რომ დაბარა და გაირინდა, ტატამიმდე ჩამოშლილი მისი შავი თმის ფონზე ცილინდრული წითელი ფინჯანი კიდევ უფრო წითელი და ლალანა გამოჩნდა.

ბოლოს ფუმიკო წამოდგა, ცრემლით დანამულ სახეზე ხელისგულები აიფარა და ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანს უკან აღარ შემობრუნებულა.

კიკუძემ ხმამაღლა გასძახა:

— ფუმიკო-სან, ნება მომეცით, გამოგემშვიდობოთ.

წინკარში რომ გავიდა, ფუმიკო უკვე იქ ელოდა, ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა.

— თუ შეიძლება, გამომართვით. ოღონდ, არ ვიცი, მოსახერხებელია თუ არა ასე სატარებლად.

— უკაცრავად, რა არის?

— ეს სინო გახლავთ.

კიკუძი გოცებული დარჩა — მაინც, როდის მოასწრო, ყვავილები როდის ამოიღო ან წყალი როდის გადაღვარა, ან როდის გაწმინდა, ბუდეში როდის ჩადო და ფუროსაკიში როდის გაახვია?!

— იცით, ძალიან მეუხერხულება... ამ ქოთანში ხომ ყვავილები ელაგა. იქნებ სხვა დროს წამელო?

— თუ შეიძლება, დღეს წაიღეთ.

„ეტყობა, უკვე უმძიმს ჩემთან ყოფნა, ალბათ ამიტომაც გამიხვია ეს სინო ასე ჰაიჰარად". — გაიფიქრა კიკუძემ.

— კარგით, წავიღებ. დიდი მადლობელი ვარ.

— რა თქმა უნდა, ჯობდა, მე თვითონ მომეტანა, მაგრამ თქვენს სახლში შემოსვლა არ შეიძლება.

— რატომ?

ფუმიკომ ორაფერი უპასუხა.

—რახან ასეა... მშვიდობით, კარგად ბრძანდებოდეთ... — უთხრა კიკუძემ უკვე კარის ზღურბლიდან.

— მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით, იცით... ცოლი შეირთეთ, მალე დაქორწილდით, დედაზე ნუ იფიქრებთ...

— ამას რატომ მეუბნებით?

კიკუძი კარის ზღურბლს იყო გადაცილებული, რომ ისევ მოტრიალდა, მაგრამ გამომშვიდობების ნიშნად მდაბლად თავწახრილ ფუმიკოს თავი არ აუწევია.

3.

ფუმიკოს ნაჩუქარ სინოში კიკუძემ ყვავილები ჩაალაგა — თეთრი ეარ-დები და ლია ვარდისფერი მიხაკები...

ისეთი გრძნობა ჰქონდა, ქალბატონი ოტა თითქოს ძალოლოდ ახლა სიკვდილის შემდეგ შეუყვარდა.

ისიც ეგონა, ფუმიკო რომ არა, ჩემს სიყვარულს [illegible] ეკრასოდეს გა-ვიცნობიერებდიო.

კვირა დღეს ფუმიკოს დაურეკა:

— თქვენ ისევ მარტო ხართ?

— დიახ. მართალი გითხრათ, სევდა კიდევ უფრო მომეძალა.

— ასე მარტო ყოფნა როგორ შეიძლება?

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ...

— თქვენთან, ეტყობა, ძალიან სიწყნარეა... ტელეფონშიაც კი მესმის, მთელ სახლში როგორი მდუმარებაა.

ფუმიკომ წყნარად გაიცინა.

— რატომ არ შეიძლება, რომელიმე თქვენს მეგობარს სთხოვოთ, დროებით თქვენ სახლში გადმოსახლდეს.

—რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა. მაგრამ, იცით, ასე მგონია, ამ სახლში ვინმე უცხო რომ შემოვიდეს, დედაჩემის ამბავს მაშინვე ყველანი გაიგებენ.

კიკუძემ ვერაფერი უპასუხა.

— ქუჩაში ხომ გამოდიხართ? ან იქნებ სახლს ვერ ტოვებთ?

— სახლს? არა, რატომ... ჩავკეტავ კარს და მივდივარ.

— იქნებ ჩემთანაც შემოგევლოთ?

— გმადლობთ... როგორმე აუცილებლად შემოვივლი.

— თქვენი ჯანმრთელობის საქმე როგორაა?

— არა მიშავს, ოღონდ ცოტა გავხდი.

— როგორ გძინავთ?

— ცუდად. უფრო სწორად, სულ არ მძინავს.

— აი ეგ კი ძალიან ცუდია!

—დიახ... მალე, ალბათ, სახლის საქმეს მოვითავებ, მერე კი ერთ ჩემს ამხანაგთან ოთახს დავიქირავებ.

— როგორ თუ მოითავებთ?

— მე ხომ ამ სახლს ვყიდი.

— სახლს?

— დიახ.

— გადაწყვეტილი გაქვთ?

— დიახ... თქვენ ფიქრობთ, რომ უმჯობესია, არ გავყიდო?

— როგორ გითხრათ... ყოველ შემთხვევაში, მეც ვიფიქრებ, იქნებ ჩემი სახლიც გავყიდო.

ფუმიკომ ხმა არ ამოიღო.

— კაცმა რომ თქვას, ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ტელეფონით მსჯელობას რა აზრი აქვს? იქნებ ჯობდა, ჩემთან გამოგევლოთ... დღეს ხომ კვირაა, მთელი დღე სახლში ვარ.

— დიახ, კვირაა...

— იცით, თქვენ ნაჩუქარ ქოთანში უკვე ყვავილები ალაგია — ბალის

ყვავილები ჩავაწყე, ევროპულ ყაიდაზე. მაგრამ თუ მოხვალთ, ამ სინოს თავისი დანიშნულებით, ესე იგი, მიძუსასად გამოვიყენებთ...

— ჩაის ცერემონიალს გამართავთ?

— არა, ნამდვილს არა... უბრალოდ, ცოდოა, ასეთი სინო ერთხელ მაინც არ გამოიყენო იმისათვის, რისთვისაც არის იგი გამიზნული. ჩაის ჭურჭლის ჭეშმარიტი მშვენიერება ხომ მხოლოდ მაშინ გამოვლინდება, როცა ამ დანიშნულების სხვა ჭურჭელთანაა შეხამებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიუხედავად ამისა, დღეს ვერ მოვალ, არ შემიძლია... იცით, საშინლად გამოვიყურები, გაცილებით უფრო ცუდად, ვიდრე იმ დღეს, ჩემთან რომ იყავით.

— რა სისულელეა! მე ხომ თქვენ გარდა სტუმრად აქ არავინ მეყოლება?

— ჰო, მაგრამ...

— ესე იგი, არ მოხვალთ?

— არა, ვერ მოვალ... ნახვამდის...

— კარგად იყავით. ოი, მგონი ვილაც მოვიდა... აბა, ჯერჯერობით... — ის „ვილაც" კი თიკაკო კურიმოტო იყო.

კიკუძი დაიძაბა— ნეტავი თითაკომ მათი საუბარი თუ გაიგონა?

— წარმოგიდგენია, რა დიდებული ამინდია! ძლივს არ გამოვედი სახლიდან! ვიფიქრე, წავალ, მოვინახულებ-მეთქი... რა ხანია სულ წვიმს და წვიმს, პირდაპირ გული შეაწუხა.

და დაჯდა თუ არა, თიკაკომ, ცხადია, სინო მაშინვე შეამჩნია.

— კიკუძი-სან, თქვენის ნებართვით, ცოტა ხანს ჩაის პავილიონში ვიქნები... ხომ იცით, ზაფხულია, გაკვეთილები შედარებით ნაკლები მაქვს, ისე დაკავებული აღარა ვარ, ავდექი და შემოგიარეთ...

თქვა და ერთი კოლოფი ნამცხვარი და მარაო კიკუძისაკენ მიაცურა.

— ჩაის პავილიონში ალბათ ისევ ობის სუნია.

— ალბათ...

— ვხედავ, აგერ, ოოტა-სანის სინო გიდგათ. შეიძლება დავათვალიერო? — სხვათა შორის წარმოთქვა თიკაკომ და არც კი წამოუწევია, ქოთანთან ისე მიჩოჩდა.

ტატამიზე ხელისგულებით ღონივრად დაბჯენილი, სინოსაკენ დაიხარა, კაცივით ფართო, ძვლებამოჩრილი მხრები ასწია, თავი ძირს ჩაჰკიდა და ქოთანს ისე მიაჩერდა, თითქოს საცაა პირიდან მომაკვდინებელ შხამს გადმოუშვებს, ყვავილებს შეანთხევსო.

— იყიდეთ?

— არა, საჩუქრად მომართვეს.

— ასეთი ძვირფასი ნივთი?! თქმა არ უნდა, ძვირფასი საჩუქარია. ა-ა. ესე იგი, სამარადისო მოსაგონებლად დაგიტოვეს.

თიკაკო წელში გაიმართა და კიკუძის მიუბრუნდა:

— დიახ, ნივთი მართლაც ძალიან ძვირფასია. ჯობდა ფული გადაგეხადათ. ასეთმა საჩუქარმა კაცს შეიძლება გულიც კი გაგიხეთქოს. რა თქმა უნდა, იმისმა ქალიშვილმა მოგართვათ...

— ფული გადამეხადა? ვნახოთ, ვიფიქრებ.

— ფიქრეთ. ბატონი ოოტასეული ჩაის ჭურჭელი თქვენს სახლში ისედაც ბლომადაა. მაგრამ ის ყველაფერი მამათქვენის ნაყიდია. ყველაფერში

ფული აქვს გადახდილი. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ქალბატონ ოოტას მფარველობა დაუწყო... და აი, გამოდის რომ...

— კმარა, მორჩით ამ ლაპარაკს!

— კარგით, კარგით, აი, უკვე ჩუმადა ვარ.

ამ სიტყვებზე თიკაკო უცებ არაჩვეულებრივად [illegible] და ხალისიანად წამოდგა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა.

მალე კიკუძის გარედან მოსამსახურისა და თიკაკოს [illegible]ესმა. უკან რომ შემობრუნდა, თიკაკოს უკვე საშინაო ხალათი ეცვა.

— ოოტა-სანმა ხომ თავი მოიკლა!.. — თქვა თიკაკომ.

მისი სიტყვები თავზე მეხივით დაატყდა კიკუძის.

— რა სისულელეა, ტყუილია!..

— თქვენ ასე გგონიათ? ძალიანაც ცდებით! მე კი ნაშინვე მივხვდი... დიდი ავბედითი და უკულმართი ქალი იყო, — თქვა თიკაკომ და კიკუძის შეხედა, — მამათქვენიც სულ იმას ამბობდა, გამოუცნობელი ქალიაო. ცხადია, ჩვენ, ქალები, სულ სხვა თვალით ვუყურებთ ერთმანეთს. მაგრამ... მართლაც ოომ უცნაური ქალი იყო, არ ვიცი, გულუბრყვილო და მიამიტი... არ ვიცი, უბოროტო... ერთი კია, ასეთები გულზე არ მეხატებიან... ისე, დიდი აბეზარი და მოუცილებელი რომ იყო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ...

— ძალიან გთხოვთ, მიცვალებულს აუგად ნუ ახსენებთ!

— მაპატიეთ, კიკუძი-სან, მართალი ბრძანდებით, არ შეიძლება... მაგრამ, განა ის მიცვალებული არ არის, ახლაც ცხოვრებას რომ გირევთ, ცოლის შერთვაში ხელს გიშლით... ისე, იმ ქალბატონისაგან არც მამათქვენს უნახავს ნაკლები უსიამოვნება...

„მამაჩემს კი არა, შენ არ გინახავს ნაკლები უსიამოვნება".. —გაიფიქრა გუნებაში კიკუძემ.

მამამისისა და თიკაკოს კავშირი, ჩანს, სრულიად შემთხვევითი და ხანმოკლე იყო. როგორც ჩანს, მამამ იგი ქალბატონი ოოტას გამო კი არა, გაცილებით ადრე მიატოვა. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ოოტა თიკაკომ სასტიკად შეიძულა, ვინაიდან იცოდა, ბატონი მიტანისათვის ეს ქალი სიკვდილამდე განუშორებული და სანუკვარი იყო.

— დიახ, მეტად რთული და გამოუცნობელი ვინმე ბრძანდებოდა ის თქვენი ოოტა-სანი! — არა და არ ცხრებოდა თიკაკო. — თქვენ, კიკუძი-სან, ახალგაზრდა კაცი ხართ, გამოუცდელი. თქვენთვის იმ ქალის ბუნებისა და ხასიათში გარკვევა არც თუ ისე ადვილი საქმეა. მეტსაც გეტყვით, თქვენდა ბედად, კიდევ კარგი, დროზე მიხვდა და დროზე მოიკლა თავი... სამუდამოდ დაიღუპებოდით. ჰო, ჰო, ნუ გიკვირთ, მართალს გეუბნებით!

კიკუძემ თიკაკოს ზურგი აქცია, მაგრამ, ვითომ ვერც კი შეამჩნიეო, ქალმა აინუნშიაც არ ჩააგდო.

— სხვათაშორის, ეგ კი არა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თქვენი ამ ქორწილის ჩაშლის უფლებას არავის მივცემდი. ვინ იცის, ეგებ გრძობდა კიდევაც დანაშაულს. მაგრამ თავის სატანურ ბუნებას რომ ვეღარაფერი მოუხერხა, ადგა და თავი მოიკლა... თან ალბათ იმის იმედიცა ჰქონდა, სიკვდილის შემდეგ იმ ქვეყანას მამათქვენს შეხვდებოდა. რას იზამ, ასეთი ქალბატონი ბრძანდებოდა!..

ამ სიტყვებზე კიკუძის ზურგზე ჟიანჭველებმა დაურბინეს.

— წავალ, ერთი-ორი წუთით ჩაის პავილიონში დავჯდები, იქნებ ცოტა დავმშვიდდე. — თიკაკო წამოდგა და ბაღში გავიდა.

კიკუჩი კი იჯდა ისევ ისე გახევებული და ქოთანში ჩალაგებულ ყვავილებს შეპყურებდა.

თეთრი... თეთრი ვარდები და ლიავარდისფერი მიხაკები... თეთრი... ვარდის-ფერსხივდაკრული სინო... ვარდი, მიხაკი და კერამიკა ერთმანეთს შეხვედრია ერთმანეთში გაზავებულიყო... და აი, სინოს ფონზე თანდათან ნისლივით ლანდი აიშალა — დაცარიელებულ სახლში მარტოდმარტო დარჩენილი, ტატამიზე საცოდავად მობუზული, სევდითა და მწუხარებით დაზაფრული ფუმიკოს ლანდი.

ქალბატონი ოტტას ბუჩსაცხი

1.

კიკუჩიმ კბილები გაიხეხა და საძინებელ ოთახში რომ შებრუნდა, მოსამსახურე ქალი კედელზე ჩამოსაკიდ, გოგრის მოყვანილობის ლარნაკში აბრეშუმას ყვავილს სდებდა.

— დღეს უსათუოდ ავდგები, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

თქვა კიკუჩიმ და ისევ ლოგინში ჩაწვა. ზურგზე ნებივრად გაიჭიმა, თავი ბალიშზე გადაადგო და ტოკონომას კუთხეში ჩამოკიდებულ გოგრისებურ ლარნაკში ჩადებულ ყვავილს მიაჩერდა.

— სამსახურში არც დღეს არ მიდიხართ? — გამოსძახა მოსამსახურე ქალმა ახლა უკვე მეორე ოთახიდან.

— არა, არ წავალ, ამ ერთ დღესაც დავისვენებ... ადგომით კი უსათუოდ ავდგები.

აგერ უკვე მეხუთე დღეა, კიკუჩი გაციებულია და სამინელი თავის ტკივილი აწუხებს, ეს მეხუთე დღეა სამსახურში არ წასულა.

— ერთი მითხარი, აბრეშუმას ყვავილი სად იპოვე?

— ბაღში, ლობის ძირას. ჯანჯაფილას ყვავილებში იყო ერთი ძირი გამორეული.

ბაღში, ლობის ძირას თავისით ამოსული ველური აბრეშუმა — წვრილი, უნაზესი ღერო, წვრილი, პაწაწა ფოთლები და ერთადერთი სადა, მუქი იისფერი ყვავილი.

მაგრამ ეს პაწია ფოთლებიც, თითქოს ქამთასვლისაგან ჩაშავებულ, წითელი ლაქით დაფარულ, გოგრისებურ ლარნაკზე გადმოკიდებული ეს პატარა, მუქი იისფერი ყვავილიც, ასე გგონია, მინდვრის ამო სურნელსა და სიგრილეს აფრქვევდა.

მოხუცი მოსამსახურე ქალი კი, რომელიც მათ ოჯახს მამამისის სიცოცხლეშივე ემსახურებოდა, ზოგჯერ ნამდვილი შემომქმედი იყო.

კედელზე ჩამოკიდებულ ლარნაკს ჯერ კიდევ შემორჩენოდა აქა-იქ აქერცლილი ოსტატისეული ლაქის დამლა. გარდა ამისა, ძველ, გადაქექილ ფუტლიარზეც ეწერა, რომ ლარნაკი სოტანის ნამუშევარს წარმოადგენდა. თუ ამ წარწერას დავუჯერებდით, გამოდიოდა, რომ ეს გოგრა არანაკლებ სამასი წლისა მაინც იყო.

კიკუჩი, მართალია, დიდად არ ერკვეოდა ჩაის ცერემონიალისათვის ყვავი-

ლების შერჩევის ხელოვნებაში, მით უმეტეს, მოსამსახურე ქალს, ალბათ სულაც არაფერი გაეგებოდა ამ საქმისა. მაგრამ, კიკუძის მოეჩვენა, რომ აბრეშუმას[1] ეს ყვავილი ზუსტად ზედგამოჭრილი იყო დილის ჩაის ცერემონიალისათვის.

უყურებდა ყვავილს და ფიქრობდა: „სამასწლიან გოგრაში ნაზი აბრეშუმაა ჩადებული, რომელიც მხოლოდ ერთი დღე ცოცხლობს.

იქნებ სწორედ ამ შეხამებაშია ყველაზე დიდი [illegible] ეს გაცლებით ლამაზი, ნაზი და ნატიფია, ვიდრე სამასწლიან სინოში ჩაწყობილი ევროპული ბალის ეს დიდრონი ყვავილები?"

მერე რატომღაც აფორიაქდა: — მაინც რამდენ ხანს... რამდენ საათს ცოცხლობს აბრეშუმა?

მოსამსახურემ საუზმე შემოიტანა.

— მეგონა, აბრეშუმას ყვავილს მოწყვეტდი თუ არა, ხელში შემოგაჭერებოდა. ეს კი ჯერ ისევ ცოცხლადაა. — უთხრა მოსამსახურე ქალს კიკუძემ.

— დიახ, ჯერ ისევ ცოცხლად არის.

გაახსენდა, ქალბატონი ოტას სამახსოვრო სინოში იორდასალამების ჩაწყობა რომ უნდოდა — ქალბატონი ოტას ხსოვნის ალსანიშნავი იორდასალამების. მაგრამ ფუმიკომ სინო რომ აჩუქა, იორდასალამების ყვავილობა უკვე ჩათავებული იყო.

— ეს გოგრა სულ ალარ მახსოვდა, სად იყო, სად გამოძებნე?

— რა ვიცი, გამახსენდა...

— ამ ლარნაკში მამას თუ ჩაუდვია როდისმე აბრეშუმა?

— არ ვიცი... არა მგონია... ეს მე ისე, უბრალოდ... ჩემით ჩავდე... გოგრაშეა და აბრეშუმაც ხომ ხვიარა მცენარეებია, ჰოდა...

— რათ, ხვიარა მცენარეებიათ?

კიკუძემ გაოგნებულმა გაიცინა.

ნასაუზმევს გაზეთის წაკითხვა დააპირა, მაგრამ, გაზეთი აილო თუ არა, თავი საშინლად დაუმძიმდა და იქვე, სასადილო ოთახში ტატამიზე გაიშიმა.

ხელების წმენდა-წმენდით სასადილო ოთახში მოსამსახურე ქალი შემოვიდა.

— ჩემი საწოლი ხომ არ აგილაგებია?

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს მოითმინეთ, ჯერ ამ ოთახს მივალაგ-მოვალაგებ.

საძინებელ ოთახში რომ შებრუნდა, ტოკონომაში ალარც ის აბრეშუმა იყო, ალარც გოგრისებური ლარნაკი.

კიკუძის გაელიმა: გაუტანია... ალბათ, არ უნდოდა, მჭკნობარე ყვავილისათვის შემეხედა, გული დამლონებოდა.

მოსამსახურე ქალის ნათქვამზე, აბრეშუმაცა და გოგრაც ხვიარა მცენარეებიათ, კიკუძემ გაიფიქრა: — „ეტყობა, ამ მოხუც ქალს თავისებურად გადმოეცა ყოფილი ბატონის ესთეტიური ჩვევები".

სინო კი ისევ ცარიელი იდგა ტოკონომაში.

ახლა უცებ ფუმიკო რომ შემოსულიყო, ალბათ, გულს ატკენდა თავისი ხაჩუქრის მიმართ კიკუძის ეს დაუდევარი დამოკიდებულება.

---

[1] აბრეშუმას იაპონურად ასაგაო ჰქვია, ანუ „ხატი დილისა"

ქოთანი სახლში მოიტანა თუ არა, იმავე დღეს კიკუძემ შიგ თეთრი ვარდები და ვარდისფერი მიხაკები ჩააწყო.

განა ასეთი ყვავილები არ ელაგა სულის მოხსენიების მეშვიდე დღეს ქალბატონი ოოტას ურნის წინაც— კიკუძის მიერ გაგზავნილი თეთრი ვარდები და ვარდისფერი მიხაკები?

საჩუქრით ხელში იმ დღეს ფუმიკოსაგან შინ რომ ბრუნდებოდა, ისევ იმ ყვავილების მაღაზიაში შევიდა და ზუსტად ისეთივე თეთრი ვარდები და ვარდისფერი მიხაკები იყიდა.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ ქოთანში ყვავილები აღარ ჩაუწყვია, ასე ეგონა, საკმარისია, ამ სინოს ხელი შევახო, რომ ისე ავფორიაქდე, თავი ველარაფერით დავიოკოო.

ქუჩაში მიმავალი ხანდახან შუახანს მიტანებულ ქალს დაინახავდა, თავისდა უნებურად უკან გაჰყვებოდა, მერე უცებ გონს მოეგებოდა და შუბლშეკრული აბუზღუნდებოდა:

— ქურდივით არ ავედევნე...

ამ უცნობ ქალს კი სულაც არაფერი უგავდა ქალბატონ ოოტას, მხოლოდ თეძოს მოყვანილობით თუ მიამსგავსებდი სულ ოდნავ.

მიუხედავად ამისა, ასეთ წუთებში აუტანელი სურვილი ეუფლებოდა, დაუოკებელი გულისთქმა სუნთქვას უკრავდა... მაგრამ გაივლიდა ორიოდე წუთი და სურვილს გაოცება სცვლიდა, ერთმანეთს ეწვნოდა, ერთმანეთზე შრევდებოდა. მერე იმ ადამიანივით, რომელსაც ეს-ესაა დანაშაული უნდა ჩაედინა, ერთბაშად გონს მოეგებოდა.

მაინც საიდან... საიდან ჩნდება ეს დანაშაულებრივი გულისთქმა?.. — ეკითხებოდა კიკუძი თავის თავს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. ცდილობდა, ძირშივე ჩაეხშო აჯანყებული წადილი, ქალი კი დღითიდღე სულ უფრო მეტად ენატრებოდა, გული სევდით ევსებოდა.

ზოგჯერ ისე ცხოვლად, ისეთი ძალით შეიგრძნობდა მის სხეულს, შიშიც კი იპყრობდა, ნეტავი რა მეშველება, ეს ამბავი ასე რომ გაგრძელდეს, სულ ასე რომ დავრჩეო?..

იქნებ სინდისი ქენჯნიდა, ხსოვნა გრძნობებისა მოსვენებას არ აძლევდა?

კიკუძემ სინო ბუდეში ჩადო და ისევ ლოგინში ჩაწვა. ერთხანს ბალს დაბნეული დაჰყურებდა, რომ უცებ საშინლად იქუხა.

შორეული, მაგრამ ძლიერი ქეჭა-ქუხილი ყოველ დაქუხებაზე ახლოვდებოდა.

ელვის ანარეკლი წუთსა და წუთს ხეებს გადაურბენდა.

მალე თავსხმა წვიმა წამოვიდა და ჭეჭა-ქუხილი თანდათან მიწყდა.

მოდიოდა და მოდიოდა თქორი. ღვართქაფად წამოსულ წვიმას მოსილულ ბილიკებზე სილა ჰაერში შადრევანივით აჰქონდა.

კიკუძი ლოგინიდან წამოდგა, ტელეფონთან მივიდა და ფუმიკოს ნომერი აკრიფა.

— ოოტა-სანი აქედან გადავიდა, — უპასუხა ვილაცამ ტელეფონზე.

— რაო, რაო?! — კიკუძი სახტად დარჩა, — უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ...

ესე იგი, ფუმიკომ სახლი უკვე გაყიდა...

— ხომ ვერ მეტყვით, სად გადავიდა?

— კი ბატონო, ახლავე... თუ შეიძლება, ერთ წუთს მოითმინეთ...

ტელეფონთან. ეტყობა, მოსამსახურე ქალი იყო. ერთი წუთის შემდეგ ქალმა ყურმილი ისევ აიღო და ბატონი ტოძაკის სახლის მისამართი და ტელეფონის ნომერი უკარნახა. კიკუძემ მისამართი და ნომერი ჩაიწერა და მაშინვე დარეკა.

— დიახ, მე ვარ, ფუმიკო ვარ... უკაცრავად, რომ გაწვალებთ... მოულოდნელად ხალისიანად უპასუხა ფუმიკომ.

— ფუმიკო-სან, მიცანით? მე ვარ, მიტანი ვარ... ეს-ეს არის, სახლში დაგირეკეთ...

— მართლა? ოი, ეს რა უხერხულად გამოვიდა... თუ შეიძლება, მაპატიეთ! ლაბარაკის დროს ხმა ზუსტად ისე ჩაუქრებოდა, ისე ჩაეფერფლებოდა, როგორც დედამისს.

— კი მაგრამ, როდის გადავედით?

— რა ვიცი, გადავედი.

— მე კი არაფერი მითხარით, არ შემატყობინეთ.

— სახლი უკვე გავყიდე... კი ბატონო, ამხანაგთან ვცხოვრობ, მისი სტუმართმოყვარეობით ვსარგებლობ.

— მაშასადამე, გაყიდეთ?

— დიახ, სულ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, შემეტყობინებინა თუ არა ჯერ გადავწყვიტე. საჭირო არ არის-მეთქი, მერე კი, უბრალოდ, მომერიდა.

— კი მაგრამ, რატომ ყოყმანობდით?

— ალბათ არ ლირდა, არ უნდა მეყოყმანა... ნამდვილად ასე ფიქრობთ? თითქოს გრილი წყალი გადაავლესი. კიკუძემ მთელ სხეულში ერთბაშად საოცარი სიგრილე და სიმსუბუქე იგრძნო და, ნუთუ შეიძლება, ტელეფონზე საუბრით კაცს ასეთი რამ დაემართოსო? — თვითონვე გაუკვირდა.

— იცით, თქვენს საჩუქარს თვალიდან არ ვიშორებ... სინოს შევხედავ თუ არა, მაშინვე თქვენი ნახვის სურვილი მეუფლება.

— ბოლოს? მე კიდევ ერთი კარგი ნივთიც მაქვს — პატარა ცილინდრული ფორმის ფინჯანი. მინდოდა მაშინ სინოსთან ერთად მეჩუქებინა, მაგრამ... იცით, დედას ფინჯანია, ჩაის სულ იმ ფინჯანით სვამდა, ნაპირებში პომადის ნაკვალევიც კი ატყვია... მე...

— რათ? პომადის ნაკვალევით?

— რა ვიცი, დედა ასე ამბობდა...

— განა შეიძლება, კერამიკას პომადის ნაკვალევი დაეჩნდეს?

— არა, ნაკვალევი არა... იცით... ერთ ადგილას კიდეში ოდნავი მოწითალო ელფერი გადაკრავს, დედა კი ამბობდა, ეს ჩემი პომადისაგან არისო. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ფინჯანი სულ საგულდაგულოდ გავსინჯე... იმ ადგილას, კიდეში, ოღიაც ჩაბინდული ლაქა აქვს, ფინჯანის პირი ცოტა უფრო ჩაბუქებულია.

ნუთუ შეეძლო ფუმიკოს, ასე მშვიდად, გულგრილად ელაპარაკა ამ ამბებზე? კიკუძის ახლა ლაპარაკის გაგრძელება კი არა, მოსმენის ძალაც არ შესწევდა და საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა:

— იცით, აქ საშინელი თავსხმაა! მახდ? მინდაც ასე წვიმს?

— თქვენ რომ დარეკეთ, ისე იქუხა, შიშისაგან ლამის დავილიე.

— ნაწვიმალზე ალბათ ცოტა აგრილდება, ისეთი დახუთული ჰაერია... მე დღეს სულ სახლში ვარ, აი, უკვე მერამდენე დღეა სასამსახურში არ წავსულ-

ვარ... რას აკეთებთ? თუ რაიმე გადაუდებელი საქმე არაფერი გაქვთ, იქნებ ჩემკენ გამოგეცალოთ?

— გმადლობთ... მართალი გითხრათ, ვფიქრობდი კიდევაც. ოლონდ თუ მოსვლას გადავწყვეტდი, მინდოდა ჯერ სამსახურში მოვწყობილიყავი.

და ვიდრე კიკუძი რაიმეს თქმას მოასწრებდა, ფუმიკომ უკვე [illegible]

— მაგრამ თქვენი დარეკვა ისე გამიხარდა, ახლავე წამოვალ. [illegible] არ ღირს... ალბათ აჯობებს, ალარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს.

კიკუძემ წვიმის გადაღებას დაუცადა, მერე წამოდგა, ჩაიცვა და მოსამსახურეს ლოგინის ალაგება უბრძანა.

საოცარია, დღეს იგი თითქოს სულაც არ აპირებდა ფუმიკოს დაპატიჟებას, აი, გამოვიდა კი, რომ დაპატიჟა!

მაგრამ კიკუძი ყველაზე უფრო იმ სიმსუბუქემ გააოცა, ფუმიკოსთან ტელეფონზე საუბრის დროს რომ დაეუფლა. დაელაპარაკა თუ არა, ქალბატონი ოტასადმი დანაშაულის ის გრძნობა უმალვე მხრებიდან მძიმე ტვირთივით ჩამოეხსნა.

იქნებ ეს ფუმიკოს ხმის ბრალი იყო? ქალიშვილის ხმა ისე ძალიან ჰგავდა დედის ხმას, ფუმიკო კი არა, თითქოს ქალბატონი ოტა გაცოცხლებულა, ქალბატონი ოტა ელაპარაკებაო.

კიკუძი პირს იპარსავდა და თან თავს იქცევდა — საპნიან ფუნჯს პირდაპირ ბუჩქებზე ფერთხავდა, მერე სახურავიდან წამოსულ წვიმის წყალს შეუშვერდა და დაასველებდა.

ნაშუადღევს ეზოში ვიღაც შემოვიდა. ეს ალბათ ფუმიკო იქნებაო, — კიკუძი შესაგებებლად წინკარში გამოვარდა, მაგრამ ფუმიკოს ნაცვლად ხელში თიკაკო კურიმოტო შერჩა.

— ა-ა, თქვენა ხართ?

— რა ხანია, აქ ალარ ვყოფილვარ. წავალ, ვნახავ-მეთქი, დღეს როგორც იქნა, გადავწყვიტე. როგორ ხართ? ამ საშინელ სიცხეში თავს როგორ გრძნობთ?

— ცუდად.

— აი, აი, აი! გეტყობათ კიდევაც, ისეთი ავადმყოფური ფერი გადევთ..

უთხრა თიკაკომ და შუბლშეჭმუხვნილმა აათვალიერ-ჩაათვალიერა.

„ფუმიკოს ალბათ ევროპული ფეხსაცმელი ეცმება. მე კი ამ გეტების კაკუნი გავიგონე თუ არა, თავპირისმტვრევით გამოვვარდი..."

— თქვენც აი, კბილები ჩაგისვამთ... — თავის მხრივ ახლა კიკუძიმ აათვალიერ-ჩაათვალიერა თიკაკო, — გაახალგაზრდავებულხართ.

— ჰო, ცოტა თავისუფალი დრო გამომიჩნდა... ოლონდ ძალიან თეთრი გამოვიდა, მაგრამ... ეჰ, რაც არის, არის, ალბათ, ჩამუქდება.

საწოლი ოთახი რომ გაიარა, თიკაკომ ტოკონომას შეხედა.

— ხედავთ, შიგ ალარაფერია, სუფთაა და ცარიელი, — თქვა კიკუძიმ.

— კი, ცარიელია. რას იზამ, აგერ უკვე რამდენი ხანია, სულ წვიმს და წვიმს... ხომ შეგეძლოთ, ყვავილები მაინც... ჰო, მართლა, რა ქენით, იმ სინოს თაობაზე რა გადაწყვიტეთ?

კიკუძიმ არაფერი უპასუხა.

— მაინც რას ფიქრობთ? ხომ არ ჯობდა, უკან დაგებრუნებინათ?

— ეს უკვე ჩემი საქმეა.

— რატომ, მთლად ასეც არ არის.

— ყოველ შემთხვევაში, რას ვუზამ და როგორ მოვიქცევი, თქვენ არ გეკითხებათ.

— აკი გითხარით, მთლად ასე არ არის-მეთქი... — თქვა თიკაკომ და ახლად ჩასხმული კბილები გამოაბრწყინა. — აი, ახლაც სწორედ იმიტომ გეახელით, მინდა, ერთი რჩევა მოგცეთ. — მერე ხელი განზე გასწია, და ისე გაიქნია, თითქოს ოთახიდან ვიღაცას აძევებსო, — ამ [illegible] თუ არ მოვიშორეთ...

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაშინებთ!..

— მაგრამ მე მინდა, გარკვეული მოთხოვნები წამოვიყენოთ! რა თქმა უნდა, როგორც მაჭანკალმა!..

— თუ თქვენ ინამურა-სანის ქალიშვილი გყავთ მხედველობაში, დიდი მადლობელი ვარ, უარს გეუბნებით.

— უარი თქვათ იმ ქალიშვილზე, რომელიც მოგწონთ და ჭკუაში გიჯდებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მაჭანკალი არ გეპიტნავებათ, სადაური ამბავია! მაშვალი, არც მეტი, არც ნაკლები, ხიდია და სხვა არაფერი. კი ბატონო, გადაქელეთ ეს ხიდი და გაიარეთ... როცა დასჭირდებოდა, მანათქვენიც მუდამ უბოდიშოდ მიმსახურებდა.

კიკუძის სახეზე აშკარა უკმაყოფილება დაეტყო.

თიკაკოს კი გააფთრებას აღარაფერი უკლდა. ჩვეულებისამებრ მხრებწამოზიდული, იგი უკვე საჩხუბრად იყო აქოჩრილი.

— აბა როგორ? მე ხომ ქალბატონი ოტა არა ვარ, ჩემთან ხომ ბოდიშები არ გჭირდებათ!.. ისე, ჯობია, ყველაფერი გითხრათ... ყველაფერი მოგიყვეთ ჩემსა და მამათქვენის დამოკიდებულებაზე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მოსაყოლიც არაფერია. მე ხომ მამათქვენისათვის ნამდვილი არარაობა ვიყავი. იმ წუთიერმა გატაცებამ ისე იფეთქა და ისე ჩაქრა, აზრზე მოსვლა ვერც კი მოვასწარი... — თქვა და თვალები დახარა. — არა, გულში წყენა არასოდეს ჩამიდვია. მუდამ სიამოვნებით ვუწევდი სამსახურს... ისიც არხეინად სარგებლობდა ამ სამსახურით. როცა კი დასჭირდებოდა, უარს არასოდეს ამბობდა... კაცებს ხომ ეს ძალიან უყვართ. ისინი ხომ მუდამ სიამოვნებით იფერებენ იმ ქალის სამსახურს, რომელთანაც ოდესღაც კავშირი ჰქონიათ. სხვათაშორის, არც მე გახლავართ წაგებაში, ჩემს ამ ცხოვრებისეულ სიბრძნესა და გამოცდილებას სწორედ მამათქვენს უნდა ვუმადლოდე...

— ჰმ...

— ისე რომ, ჩემი ეს ჯანსაღი ცხოვრებისეული სიბრძნე და გამოცდილება ახლა თქვენს განკარგულებაშია.

რა იცი, ეს ქალი თავისებურად იქნებ მართალიც იყოს, — გაიფიქრა კიკუძემ. და აი, თიკაკოს რისხვა და მჭმუნვარება ერთბაშად სადღაც გაქრა... ერთბაშად მისგან უდარდელობისა და უზრუნველობის სიომ დაჰქროლა.

— იცით რას გეტყვით, კიკუძი-სან, ის ადამიანი, ვის არსებაშიაც ქალური ან მამაკაცური საწყისი მეტისმეტადაა განვითარებული, ბრძენი და კეთილგონიერი ვერასოდეს იქნება.

— აჰა, ესე იგი, სიბრძნე მხოლოდ საშუალო სქესშია, არა?

— დამცინით? აბა, აბა!.. სამაგიეროდ საშუალო სქესის რომ გახდები, ქალსაცა და კაცსაც მოხარშულს გამოიცნობ... არა, არ გიკვირთ, იმ თქვენმა ქალბატონმა ოტამ როგორ გაბედა, თავი როგორ მოიკლა? ის ერთადერთი ქალიშვილი ასე ღვთის ანაბარად როგორ მიატოვა? ახალგაზრდა ოტა-სანს

ხომ მის მეტი ამქვეყნად არავინ გააჩნდა. მაგრამ, ეტყობა, ვილაცის იმედზე ბრძანდებოდა, აი, მაგალითად, თქვენს იმედზე, აქაოდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ეს გაუწევს ჩემს ქალიშვილს მზრუნველობასო.

— როგორ ბედავთ!

— ამაზე მე ბევრი ვიფიქრე, რომ იცოდეთ, ძალიან ბევრი. [illegible] ეჭვი გამიჩნდა?.. თქვენ თუ ხედებით, ქალბატონმა ოლგამ იმ [illegible] დილით თქვენს მომავალ ქორწილს ხელი რომ შეუშალა?.. არა, გესმით, რა ხდება?.. მოკლედ, თქვენ რომ გგონიათ, არც ისე უბრალო ამბავია! თავს რომ იკლავდა, იცოდა, რასაც აკეთებდა, თავისი ანგარიში ჰქონდა.

— ეს რა შემზარავი ფანტაზია გაქვთ! — უთხრა კიკუძემ, მაგრამ ახლა იგი განადგურებული იყო ამ ფანტაზიით. ისეთი გრძნობა ჰქონდა, მოწმენდილ ცაზე კაცს მეხი რომ გაუვარდება.

— კიკუძი-სან, განა თქვენ არ უთხარით, ინამურა-სანის ქალიშვილს მირიგებენო?

კიკუძის, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, რაც უთხრა, და როგორც უთხრა, მაგრამ, სასტიკად იუარა.

— მე? მე კი არა, მე მგონი, თქვენ დაურეკეთ, ასე და ასეთ...

— დიახ, დავურეკე და ვუთხარი, მოეშვი, ხელს ნუ უშლი-მეთქი. თავიც სწორედ იმ საღამოს მოიკლა.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა.

— არა, — დაიწყო ისევ თიკაკომ, — მაინც ვინ გითხრათ, საიდან გაიგეთ, რომ მე ვუთხარი? რაო, თვითონ მოვიდა და თვითონ მოგახარათ?

კიკუძი დანაშაულზე წასწრებულივით შეცბა...

— ვიცი... ვიცი, რომ მოვიდა! მახსოვს, როგორ შეჰყვირა... როგორ შეიცხადა მაშინ ტელეფონზე.

— ო-ო-ო, აი, ეს კი შესანიშნავია! ესე იგი, ვამოდის, რომ თქვენ მოგიკლავთ.

— შეგიძლიათ, ასედაც ჩათვალოთ, ცოტა გულზე მოგეშვებათ. მე კი, მოგეხსენებათ, მიჩვეული ვარ ავკაცისა და უკეთურის როლში ყოფნას. მამათქვენიც ხომ სწორედ ამიტომ მაფასებდა — როცა კი დასჭირდებოდა, მუდამ შესანიშნავად ვასრულებდი ამ როლს. და აი, დღეს თქვენც სწორედ ამ როლში გამოგეცხადეთ. არა, მამათქვენის ხათრით არა, ისე, ჩემით...

ამ ქალის ყოველი საქციელის თავიდათავი, სიძულვილი და დაუსრულებელი, ქრონიკული ეჭვიანობაა, — გაიფიქრა კიკუძემ.

თიკაკომ კი, თითქოს საკუთარ ხელისგულზე მარჩიელობსო, აუღელვებლად განაგრძო:

— ნეტავი რაში გაინტერესებთ, თქვენს გარეშე ვინ რას სჩადის და რას აკეთებს? თუ რამე არ მოგწონთ, ჩემი თუ რამე არ გეპიტნავებათ, ადექით და გუნებაში ერთი გვარიანად შეიკურთხეთ — ეს რა აუტანელი დედაკაცია, ყველაფერში ეჩრება, რაც არ ეკითხება, ყველაფერში ცხვირსა ჰყოფს-თქო. მე კი ამასობაში ამ სახლიდან ავსულსა და ჯადოქარს გავდევნი, საქმეს ისე მოვაგვარებ, ამ კაი ქორწილს ხელი ვერავინ შეუშალოს.

— თუ შეიძლება, დამდეთ პატივი და ეს „კაი ქორწილი" ალარასოდეს ახსენოთ.

— კარგი, კარგი, რომ იცოდეთ, არც მე მინდა, ამ წმიდათაწმიდა საქმეში ქალბატონი ოლგას სახელი იყოს გარეული... — თიკაკო უცბად როგორ-

ლაც მოლბა, — სხვათაშორის, ოოტა-სანი არც ისეთი სულელი ადამიანი იყო... სიკვდილის წინ ალბათ ღმერთს ეხვეწებოდა, ნეტავი ჩემი ქალიშვილი ცოლად ითხოვოსო, თქვენთან კი, დარწმუნებული ვარ, კრინტიც არ დაძრავს...

— მაინც არ იშლით, არა, მაგ სისულელეებს!

— ტყუილს ხომ არ ვამბობ? ნუთუ მართლა გგონია, ქალბატონ ოოტას თავში აზრადაც არასოდეს მოსვლია, ნეტავ ჩემ ქალიშვილს ითხოვდესო? თუ ასეა, ამ ქვეყნისა, ჩანს, არფერი გაგეგებათ, ღრუბლებში დაფრინავთ... ის ხომ დღენიადაგ მხოლოდ ერთი აზრით იყო შეპყრობილი — სიზმარშიაც და ცხადშიაც მამათქვენის მეტი ამქვეყნად არაფერი ახსოდა. ზოგიერთმა ეს შეიძლება ხასიათის სიმტკიცედაც ჩაუთვალოს... მაგრამ, ნამდვილი შეშლილივით იქცეოდა. ის კი არა, საკუთარი ქალიშვილი აღარ დაინდო, ისიც კი გარია ამ ამბავში. ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, ადგა და თავი მოიკლა... არ ვიცი, წერას იყო ატანილი... არ ვიცი, წყევლა ჰქონდა რაიმე... ნეტავი რა ჯანდაბად უნდოდა, ყველას იმ თავის ჯადოქრულ ბადეებში რად ახვევდა?!

კიკუძემ თვალი თვალში გაუყარა. თიკაკოს პატარა, თრიოინას თვალები თრიაქნასვამივით მიენაბა და ასე თვალებმინაბული პირდაპირ სახეში შეპყურებდა. კიკუძემ მის მზერას ვერ გაუძლო და პირი იბრუნა.

ახია, რატომ მისცა უფლება, რატომ მაშინვე არ შეიჩერა, ხმა არ ჩაკმენდინა. მარტო ამ გულისტკივილის კი არა, უფრო კი ამ გაოგნების გამო, თიკაკოს შემზარავი სიტყვების შემდეგ რომ დაეუფლა და ამ წუთშიაც გონებაზე ვერ მოსულა.

ნუთუ ქალბატონ ოოტას ნამდვილად ეწადა, ქალიშვილი მიეთხოვებინა?.. კიკუძის ეს აზრადაც არასოდეს მოსვლია.

ეჭვი არ ეპარებოდა, იგი თიკაკოს ღვარძლით სავსე, ყოვლად უსაფუძვლო ვარაუდი უფრო იყო, ისეთივე აუტანელი და მოუცილებელი ღაზი, როგორც ის გულისამრევი, შავად შეჯაგრული ტყლარპი მის მკერდზე...

მიუხედავად ამისა, თიკაკოს სიტყვები კიკუძისათვის ნამდვილი მეხის გავარდნასავით იყო.

იგი შიშმა შეიპყრო.

იქნებ სადღაც გულის სიღრმეში თვითონაც ოცნებობდა ამაზე?

რამდენია, დედაზე შეყვარებული მამაკაცი, გავა დრო და, ახლა ქალიშვილს შეიყვარებს... მაგრამ კიკუძი ხომ ჯერ ისევ ქალბატონი ოოტას ბანგით არის მთვრალი? მიუხედავად ამისა, ამ გოგოსაკენ გული ისე მიუწევდა, მთელი თავისი სულითა და სხეულით ისე ისწრაფოდა, საკუთარი თავისა თავადაც ვერაფერი გაეგო... ნუთუ მართლა ჯადოთი იყო შეკრული და თავგზააბნეული?

ამ წუთას ასე ეგონა, ქალბატონი ოოტას შემდეგ სრულიად შეეცვალე, სულ სხვა ადამიანი გავხდი, თითქოს რაღაც ჩაკვდა ჩემს სულში, სამუდამოდ დაყრუვდა, სამუდამოდ ჩაიკეტა ჩემი გულის კარიო.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ მოსამსახურე ქალი შემოვიდა.

— ქალბატონი ოოტას ქალიშვილი გესტუმრათ. ასე ბრძანა, თუ ვინმე სტუმარი გყავთ, სხვა დროს გეახლებითო...

— რაო, რაო?! ხომ არ წასულა?

კიკუძი წინკარში გავიდა.

— უკაცრავად, მე ვარ...

ფუმიკომ კიკუძის სახეში შეიედა და თავი რომ ასწია, ქალიშვილის ნატივმა, მაღალმა კისერმა თეთრად გამოანათა.

მკერდისა და კისრის შესაყართან, პატარა ფოსოში, ძლივს შესამჩნევი ჩრდილი ჩამფენოდა.

გაბდა თუ სინათლეა ასეთი?.. ამ ძლივს შესამჩნევი ჩრდილის [illegible] კიკუძის სევდა შემოაწვა, მაგრამ, თან გულიდან თითქოს მძიმე [illegible] სნაო, სხეულში საოცარი სიმსუბუქე იგრძნო.

— იცით, ჩემთან კურიმოტოა...

უთქრა მშვიდად, ძალდაუტანებლად. დაძაბულობა, რომელსაც სულ რაღაც ერთი წუთის წინ მთელი მისი არსება მოეცვა, დაინახა თუ არა ფუმიკო, ერთბაშად სადღაც გაქრა.

ფუმიკომ თავი დაუქნია.

— მივხვდი, აი, მისი მზის ქოლგაც აგერ დევს...

ოთახის კუთხეში რუხი, გრძელტარიანი ქოლგა იყო მიყუდებული.

— ხომ არ გეწყინათ? თუ გნებავთ, ცოტა ხანს ჩაის პავილიონში დაისვენეთ, კურიმოტოს კი ახლავე მივაბრძანებ.

თქვა კიკუძემ და თვითონვე გაუკვირდა — ხომ იცოდა, ფუმიკო უნდა მოსულიყო, რატომ მაშინვე არ გააბრუნა, რატომ მაშინვე არ მოიშორა თიკაკო?

— როგორც გენებათ... — თქვა ფუმიკომ.

— მართლა? ძალიან კარგი!.. მობრძანდით.

შემოვიდა თუ არა, ფუმიკო თიკაკოს ისე მშვიდად, ისე გულითადად მიესალმა, თითქოს წარმოდგენაც არა აქვს, მის მიმართ ამ ქალს გული როგორი ბოღმითა და სიძულვილით აქონდა სავსე.

მეორე სამძიმრის ტრადიციულ სიტყვებს მადლობის ტრადიციული სიტყვები მოჰყვა.

თიკაკო ისე გვერდზე გადახრილი იჯდა, მარცხენა მხარი თავისებურად ისე წამოექორა, თითქოს ჩაის ცერემონიალზეა, თავისი შეგირდის მოქმედებას თვალყურს ყურადღებით ადევნებსო.

— ეჰ, რას იზამ... ახლანდელ ცხოვრებაში ნაზ, სათუთ სულს არ გაეძლება... აი, დედათქვენიც ალარ არის, დაჭკნა უკანასკნელი აზიზი ყვავილი...

— არა, დედა არც ისეთი აზიზი იყო...

— ალბათ როგორ იტანჯებოდა, ამქვეყნად ასე ეულად და მარტოდმარტო რომ გტოვებდათ.

ფუმიკოს თავი არ აუწევია. სავსე, ფუნჩულა ტუჩები მოეკუმა.

— მე მგონი, თავს მართლაც, ძალიან მარტოდ გრძნობთ, — განაგრძო თიკაკომ. — ჩემის აზრით, ზუსტად ის დროა, ისევ ჩაის ცერემონიალს მოკიდოთ ხელი.

— იცით, მე უკვე...

— დამიჯერეთ, გაერთობით, გულს გადააყოლებთ.

— დიახ, მაგრამ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ... ჩაის ცერემონიალს ჩემთვის ახლა ალარა აქვს

— ოო, ასე რატომ ლაპარაკობთ?! თავს ასე რად იმდაბლებთ? — თიკაკომ მაგიდებზე მისვენებული ხელები სურათივნად გაშალა. — წვიმიანმა ამინდებმა ჩაიარა თუ არა, მაშინვე აქეთ წამოვედი, იცით რატომ? გულახდილად რომ გითხრათ, მინდოდა მენახა, ჩაის პავილიონი რა დღეში იყო, —

თქვა და კიკუძის ჩუმად გადახედა. — ფუმიკო-სან, რას იტყვით, თქვენც ხომ არ შემომიამხანაგდებოდით?

— რა ვიცი...

— დედათქვენის ხსოვნის აღსანიშნავად, თქვენის ნებართვით, ცერემონიალისათვის სინოსაც გამოვიყენებ, კარგი?

ბოლოს, როგორც იქნა, ფუმიკომ თავი ასწია და ფანჯრის ჩრდილში შეხედა.

— ვილაპარაკებთ, ვისაუბრებთ, დედას გავიხსენებ[illegible]

— არა, გმადლობთ, არ ღირს, თორემ თავს ვერ შევიკავებ და აქაც ავტირდები.

— რატომაც არა! დავსხდეთ და ერთად ვიტიროთ. მალე კიკუძი-სანი ამ სახლში თავის ახალგაზრდა ცოლს შემოიყვანს, რა იცი, იქნებ სწორედ მე დამავალოს ჩაის ცერემონიალის მოთავეობა... მე ხომ ამ პავილიონთან მრავალი კარგი მოგონება მაკავშირებს, — თქვა ღიმილით თიკაკომ და მაშინვე მკაცრად დასძინა: — ცხადია, მოლაპარაკება ძალაში თუ დარჩა და კიკუძი-სანისა და იუკიკოს ქორწილი არ ჩაიშალა.

ფუმიკომ თავი მშვიდად დაუქნია, წარბი არ შეუხრია, ეგ არის, სახეზე უკიდურესი დაღლილობა აღბეჭდვოდა, სახეზე, რომელიც ასე საოცრად მიუგავდა დედამისს.

— აბა, რას ამბობთ, რაებს ლაპარაკობთ?! ბატონმა ინამურამ რომ გაიგოს, რას იტყვის, ჯერ ხომ გადაწყვეტილი არაფერი არ არის, — სიტყვა არ დაამთავრებინა კიკუძიმ.

— მერედა, მეც ის არ ვთქვი, მოლაპარაკება ძალაში თუ დარჩა, ქორწილი თუ არ ჩაიშალა-მეთქი. — უკან არ დაიხია თიკაკომ. — ნათქვამია, კარგ საქმეს ბევრი ხელის შემშლელი ჰყავსო... ჯერჯერობით კი, ფუმიკო-სან, ვიდრე ყველაფერი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, ჩათვალეთ, რომ პირადად მე არაფერი მითქვამს.

— დიახ! — თავი კვლავ მშვიდად დაუქნია ფუმიკომ.

თიკაკო წამოდგა, მოსამსახურე ქალს დაუძახა და მასთან ერთად პავილიონის დასალაგებლად გასწია.

— ფრთხილად, ფოთლების ჩრდილქვეშ მიწა ჯერ ისევ სველია, — უკვე ბალიდან მოისმა მისი ხმა.

3.

— ამ დილას ტელეფონით რომ გელაპარაკეთ, ყურმილში ალბათ გესმოდათ, როგორ წვიმდა. — უთხრა კიკუძიმ.

— ნუთუ მართლა შეიძლება ტელეფონში წვიმის ხმის გაგონება? არ ვიცი, ამისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია... განა შეიძლება, თქვენი ბალიდან ყურმილში წვიმის ხმა გამეგონა?

ფუმიკომ კიკუძის შეხედა და მზერა ახლა ბალზე გადაიტანა.

ბუჩქებსა და ხეებს იქით ცოცხის ფხაკა-ფხუკი ისმოდა — თიკაკო ჩაის პავილიონს გვიდა.

ბალს კიკუძიმაც გახედა.

— ალბათ არც გამიგონია, — განაგრძო ფუმიკომ, — მაგრამ ისეთი ძლიერი წვიმა იყო, ბოლოს უკვე მეჩვენებოდა, ყურმილში წვიმის ხმაური მესმის-მეთქი.

— ჰო, ძალიან წვიმდა. თან ქუხდა კიდევაც.

— დიახ, ტელეფონშიაც მითხარით, საშინლად იქუხაო.

— რა უცნაურია.. შვილები მშობლებს ზოგჯერ თურმე მცირეოდენ წვრილმანშიაც ემსგავსებიან. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, როგორც კი წამოიქუხებდა, დედა თავზე კიმონოს სახელოს წამაფარებდა. ის კი არა, ზაფხულობით, სახლიდან რომ გამოდიოდა, სულ ცაში იყურებოდა, [illegible] რუბლება, წვიმას ხომ არ აპირებსო. მეც ზუსტად ასე ვარ... [illegible] მინდა მაშინვე თავზე სახელო წავიფარო.

ფუმიკომ უცბად დაიმორცხვა. მხრებში აიწურა.

— იცით, სინოს ფინჯანი მოგიტანეთ. — თქვა და წინკარში გავიდა.

მალე უკანვე შემობრუნდა და კიკუძის წინ ფინჯანი ისევე შეფუთული დაუდო.

მაგრამ როცა დაინახა, კიკუძი ხელის მიკარებას ვერ ბედავდა, ფუმიკომ ფუთა თავისკენ მოსწია, ქაღალდი გახსნა და ფინჯანი ბუდიდან ამოიღო.

— მე მგონი, დედათქვენს რიონიოს ნახელავი ის ჯუფთი ფინჯანი უფრო უყვარდა... ჩაისაც ყოველ დღე იმ ფინჯნიდან სვამდა... — თქვა კიკუძემ.

— დიახ... მაგრამ უფრო ხშირად მაინც ამ ფინჯანს ხმარობდა. ამბობდა, შავსა და წითელ ფინჯნებში მწვანე ჩაის ფერი ეკარგებაო.

— მართალია... შავსა და წითელ ფონზე მწვანეს ის თავისი ფერი და მომხიბლაობა აღარა აქვს...

კიკუძი ბუდიდან ამოღებული ფინჯნის ხელში აღებას ვერა და ვერ ბედავდა.

— ალბათ არც ისე კარგი სინოა? — ჰკითხა ფუმიკომ.

— არა, რას ბრძანებთ!

კიკუძი კვლავ გახევებული იჯდა.

თეთრ ჭიქურს კი მართლაც გადაპკრავდა წითელი ელფერი. სიწითლე თითქოს სადღაც შიგნიდან გამოსჭვიოდა.

ფინჯნის ნაპირებს ირგვლივ მოყავისფრო ნადები ჰქონდა მოდებული. ნადები ერთ ადგილას ჩამუქებულივით იყო.

როგორც ჩანს, ჩაის სმისას ტუჩები მუდამ ამ ადგილს ეხებოდა, რის გამოც დროთა განმავლობაში ჭიქური ოდნავ შეილახა, ჩაის ფერით გაიჟღინთა.

კიკუძი ფინჯნის ჩამუქებულ ადგილს უყურებდა და თანდათან ეჩვენებოდა, რომ იგი ნამდვილად მოწითალო იყო.

— ნუთუ მართლა პომადის ნაკვალევია?

მოყავისფრო ნადები ფინჯანს შიგნიდანაც აჩნდა.

...ფერი ფერგადასული პომადის... უკვე დამჭკნარი, ფერშეცვლილი წითელი ვარდის.. თეთრ, ქათქათა ზედაპირზე ოდესღაც წვეთად დაცემული სისხლის ფერი... კიდევ უფრო ძალუმად აუძგერდა გული კიკუძის.

და აი, მთელი მისი არსება კვლავ დაუოკებელმა, ავადმყოფურად მძაფრმა სურვილმა მოიცვა...

რა საშინელებაა, რა სიბინძურეა!

ფინჯანზე რომელიღაც ბალახის ფართო, მოლურჯო-მოშავო ფოთლები იყო გამოხატული. ადგილ-ადგილ ნახატს ოდნავი წაბლისფერი დასდებოდა.

ფინჯნის მკაცრმა ფორმამ და უბრალო, რეალისტურმა ნახატმა არაჯანსაღი გრძნობა თანდათან ჩაახშო, თადათან დაამშვიდა კიკუძი.

— რა შშვენიერია! — თქვა ბოლოს და, როგორც იქნა, ფინჯანი ხელში აიღო.

— ჰო, ალბათ, არ ვიცი... მე ხომ არც ისე კარგად ვერკვევი ამ ამბებში... მაგრამ დედას ძალიან უყვარდა. ჩაის სულ ამ ფინჯნით სვამდა.

— ქალისათვის, მართლაც, საუკეთესო ფინჯანია. ქალისათვისო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა კიკუძემ და კვლავ მთელის სიცხადით შეიგრძნო, როგორი ქალური ქალი იყო ქალბატონი ოტა..

მაინც რატომ მოიტანა ფუმიკომ ეს ფინჯანი? ფინჯანი, რომელზედაც დედამისის ბომადის ნაკვალევი იყო აღბეჭდილი?

რა იყო ეს — გულუბრყვილობა თუ უგულობა?

კიკუძის ფინჯანი ხელისგულზე ედგა. მაგრამ თითებს არიდებდა, ცდილობდა, იმ უცნაურ ლაქას არ შეხებოდა.

—ფუმიკო, თუ შეიძლება შეინახეთ! კურიმოტომ რომ ნახოს, ენას აღარ გააჩერებს.

— კი ბატონო.

ფუმიკომ ფინჯანი ბუდეში ჩადო, გაახვია და წინკარში გავიდა.

ფინჯანი, რა თქმა უნდა, კიკუძის მოართვა საჩუქრად! ამიტომაც მოიტანა. მაგრამ ხელსაყრელი წუთი ხელიდან გაუშვა.

ამ დროს თიკაკო შემოვიდა.

— კიკუძი-სან, ქალბატონი ოტას სინოს ხომ არ მომცემდით?

— იქნებ ჩვენით წავსულიყავით იოლად? მით უმეტეს ჩვენთან, აგერ, ფუმიკო-სანია სტუმრად.

— აი, საოცრება! მეც სწორედ ამიტომ არ მინდა, ფუმიკო-სანი რომ არის! აკი გადავწყვიტეთ, დავსხდეთ, წავისაუბროთ, ქალბატონი ოტა გავიხსენოთო... ეს სინო ხომ საჩუქარია... გარდაცვალებულის გასახსენებელი საჩუქარი...

— კი მაგრამ, თქვენ ხომ გძულთ ქალბატონი ოტა?! — თქვა მოულოდნელად კიკუძემ.

— მძულს? აი, ეგ კი ნამდვილად არ არის მართალი! უბრალოდ, ხასიათებით ვერ შევეწყვეთ. ეგეც რომ არა, აბა, მიცვალებულის სიძულვილი ვის გაუგონია?! რა თქმა უნდა, ერთმანეთი მაინცდამაინც დიდად არ გვეხატა გულზე, რაც მართალია, მართალია. მაგრამ, ესეც მხოლოდ იმ განსხვავებული ხასიათების გამო. თან მე ხომ მას მოხარშულს ვიცნობდი!..

— აი, ადამიანის მოხარშულის ცნობა კი ნამდვილი თქვენი ხელობაა, ამ საქმის დიდი ოსტატი ბრძანდებით.

— თუ ასე გეშინიათ, ეცადეთ, სულში არასოდეს ჩამახედოთ.

ოთახში შემობრუნებული ფუმიკო იქვე ზღურბლთან ჩაჯდა. თიკაკო მისკენ მიტრიალდა და მარცხენა მხარი შეათამაშა.

— ფუმიკო-სან, ძვირფასო, მოდი ,სახლის' პატრონს ვთხოვოთ, ჩაის ცერემონიალისათვის დედათქვენის სინო გვათხოვოს.

— დიახ... კიკუძი-სან, თუ შეიძლება...

კიკუძემ კედლის კარადიდან ქოთანი გამოიღო.

თიკაკომ დაკეცილი მარაო ობიში ჩაიცურა, ქოთანი აიღო და ჩაის პავილიონისაკენ გასწია.

— ამ დილას ტელეფონზე რომ მითხარით, სხვაგან გადავედიო, 'მართალი

გითხრათ, შემეშინდა, ნუთუ მარტოდმარტომ შესძელით სახლის გაყიდვაცა და სხვა დანარჩენი საქმეების მოგვარებაც?

— დიახ... მაგრამ, ბედმა გამიღიმა, სახლი ერთმა ჩვენმა ნაცნობმა ი[illegible]და. იმ კაცს ოთისოში პატარა სახლი ჰქონდა. უნდოდა, გაგვეცვალა, მაგრამ მე მაინც გაყიდვა ვარჩიე. მარტო ცხოვრება, თუნდაც პატარა სახლში, რაც არ უნდა იყოს, ძნელი და მოუხერხებელია. 'ნაქირავებ ოთახში, კი, გა[illegible]ცილებით იოლია, მით უმეტეს, თუ მსახურობ და მთელი დღე სამსახურში გიწევს ყოფნა. ჯერჯერობით კი ერთ ჩემს ამხანაგთან ვპოვე საყუდარი.

— სამსახურში უკვე მოეწყეთ?

— არა, ჯერ არა. სამსახურის დაწყება რომ დავაპირე, აღმოჩნდა, რომ არაფერი ვიცი, წესიერად არაფრის გაკეთება არ შემიძლია. — გაიღიმა ფუმიკომ. — ვამბობდი, კიკუძი-სანთან მანამდე არ წავალ, ვიდრე სამსახურს არ დავიწყებ-მეთქი, თორემ, აბა, რა გამოვიდა, არც სახლი გაქვს, არც სამსახური, არც არაფერს აკეთებ და დადიხარ ასე უსაქმურად. ასეთ დროს კაცი თავს როგორლაც დაჩაგრულად გრძნობ.

კიკუძის უნდოდა ეთქვა, სწორედ ასეთ დროსაა საჭირო სტუმრად წასელა და გართობაო, ვინაიდან, წარმოიდგინა, როგორ იჯდებოდა ფუმიკო 'უცხო სახლში მარტოდმარტო და მოწყენილი. მაგრამ ქალიშვილს ახლა მოწყენილობისა არაფერი ეტყობოდა.

— სახლის გაყიდვას მეც ვაპირებ. კარგა ხანია, ვფიქრობ, მაგრამ თავი ვერ მოვაბი. საითაც გაიხედავ, ყველაფერი ფუჭდება, ყველაფერს მიხედვა და პატრონი სჭირდება, მე კი ამისი არც შნო მაქვს და არც ხალისი.

— რატომ უნდა გაყიდოთ, თქვენ ხომ სადაც არის, ცოლს მოიყვანთ? — ხმამაღლა წარმოთქვა ფუმიკომ.

კიკუძემ ქალიშვილს შეხედა.

— მაშასადამე, კურიმოტოს სიტყვებს იმეორებთ... ნუთუ მართლა დარწმუნებული ხართ, რომ ახლა მე ცოლის შერთვის ან გული მაქვს და ან განწყობა?

— თქვენ ამას დედაჩემის გამო ამბობთ? ესე იგი, სულ დარდობდით, იტანჯებოდით? მაგრამ ეს ხომ უკვე ჩავლილი ამბავია... ჰოდა, თქვენც უნდა ჩათვალოთ, რომ ყველაფერი წარსულს არის ჩაბარებული...

4.

მალე თიკაკომ პავილიონი მიალაგ-მოალაგა, ეტყობოდა, ამ საქმეში მეტად მარჯვე და გაწაფული იყო.

— რას იტყვით, ჭურჭელი როგორ შევარჩიე, ქოთანს თუ უხდება?

კიკუძემ არაფერი უპასუხა — ამ საქმისა მას არაფერი გაეგებოდა. ხმა არც ფუმიკოს ამოუღია. ისხდნენ ორივენი გაჩუმებულები და სინოს შეჰყურებდნენ.

ნივთს, რომელიც ქალბატონი ოტას ურნის წინ იდგა და ყვავილების ლარნაკად იყო გამოყენებული, ახლა პირდაპირ დანიშნულებით იყენებდნენ. ვისი ხელი არ შეხებოდა ამ ქოთანს... ქალბატონი ოტა... ფუმიკო... ფუმიკოს ხელიდან იგი კიკუძის ხელში გადავიდა... აი, ახლა კი მასზე თიკაკოს უხეში ხელები ჯადოქრობდნენ.

უცნაური, საბედისწერო ხვედრი დაჰყოლოდა ამ ქოთანს... კაცმა რომ

თქვას, ყოველ ნივთს თავისი ბედი აქვს, ჩაის ცერემონიალის ჭურჭელს კი — მით უმეტეს...

აი, უკვე სამასი წელიწადია, ქოთანი თავისი ოსტატის ხელიდან გამოვიდა, სამასი კი არა, იქნებ მთელი ოთხასი წელიწადიც... ვის ხელში იყო, ვინ ხმარობდა ქალბატონ ოტამდე, ვისმა ბედმა გაავლო მასზე თავისი უხილავი ხაზები?

— კერის პირას, თუჯის კარდალის გვერდით, სინოს მშვენიერი ხდება. ასე არ არის? — თქვა კიკუძემ და ფუმიკოს შეხედა. — თან, არ იტყვით, რა ნატიფი, რა დიდებული ფორმა აქვს! კარდალა კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის ამ სინატიფეს.

ღია ფერის ჭიქურიდან თითქოს რაღაც ნათელი მოედინებოდა.

სინოს შევხედავ თუ არა, მაშინვე შენი ნახვა მომენატრებაო, უთხრა ამას წინათ ტელეფონზე ფუმიკოს.

იქნებ დედამისის სხეულიც ამ რაღაც სილრმისეულ შუქს გამოასხივებდა — შუქს ქალისას?

ცხელოდა, ამიტომაც პავილიონის სიოძი კიკუძემ გახსნილი დატოვა.

ფუმიკოს ზურგს უკან, კარის ღიობში, მწვანედ შეფოთლილი ნეკერჩხალი მოჩანდა. ახალგაზრდა ქალის თმას მისი ხშირი ფოთლების ჩრდილი ეფინა.

ნეკერჩხლის მწვანე ფოთლების ფონზე ფუმიკოს თავისა და მაღალი, ნატიფი კისრის კონტური იხატებოდა. ნიდაყვებზემოთამდე გაშიშვლებულ მის თეთრ, ფერმკრთალ მკლავებს (ეტყობოდა, მოკლე სახელოიანი კაბა ამ წელიწადში დღეს პირველად ეცვა) მეტისმეტი სითეთრისაგან მჭრეალი ცისფერი დაჰკრავდა. მიუხედავად სიგამხდრისა, მხრები და მკლავები ქალიშვილს საკმაო ბორციანი ჰქონდა.

თიკაკო იქვე იჯდა და სინოს ცქერით ტკბებოდა.

— რაც არ უნდა იყოს, ასეთი სინო მხოლოდ ჩაის ცერემონიალის დროს გამოხალისდება, მხოლოდ ამ დროს გამოავლენს 'მთელ თავის მშვენიერებას. ყვავილების ლარნაკად ხმარება, უბრალოდ, ცოდვაც კია.

— მაგრამ, დედაც ხომ ხმარობდა ლარნაკად, — თქვა ფუმიკომ.

— დედათქვენის მოსაგონარი ნივთი ამ პავილიონში... განა სასწაული არ არის?! თავად ქალბატონ ოტას კი ალბათ ძალიან გაუხარდებოდა.

ამ სიტყვებით თიკაკოს, ეტყობა, ფუმიკოს გამწარება უნდოდა, მაგრამ ფუმიკომ სრულიად დამშვიდებულმა გაიმეორა:

— ამ სინოს დედაც ხშირად ხმარობდა ლარნაკად... მე კი... მე უკვე სამუდამოდ მოვეშვი ჩაის ცერემონიალებს, ისე რომ...

— აბა, ამას რატომ ამბობთ! — თიკაკომ მიიხედ-მოიხედა, — ჩაის ცერემონიალი კარგი და კეთილი საქმეა. ეს პავილიონი ხომ... როცა კი ამ კარის ზღურბლზე გადმობიჯების ნებას მომცემენ, ისეთ შვებასა და სულიერ სიმშვიდეს ვერსად ვერ ვპოულობ, როგორც აქ, აი, ამ პავილიონში... ვინ მოთვლის, რამდენი პავილიონი მინახავს, მაგრამ ამისთანას — აი, ამ პავილიონის მსგავსს, ჯერ არსად შევხვედრივარ... — თიკაკომ მზერა ახლა კიკუძეზე გადაიტანა. — აი, მომავალ წელს უკვე ხუთი წელიწადი გასდება, რაც მამათქვენი გარდაიცვალა... კიკუძი-სან, რაც არის, არის, მოდი, მამათქვენის ამ წლისთავზე ჩაის ცერემონიალი მოაწყეთ, კარგით?

— მართლაც რომ! განა სასაცილო არ იქნება, იმ საზეიმო ჩაის ცერემონიალზე სტუმრებს, ავდგეთ და, ყალბი ჭურჭლით გავუმასპინძლდეთ!

— ამას როგორ ამბობთ? ესეც რომ არა, განსვენებული ბატონი მიტანის ჭურჭელში ერთი ყალბი ნივთიც არაფერი ურევია.

— ჰოო?.. სულერთია, მაინც ძალიან სასაცილო იქნება! აბა, წარმოიდგინეთ, ჩაის ცერმონიალი და ნაყალბევი! — თქვა კიკუძემ და ახლა ფუმიკოს მიუბრუნდა: — იცით, ვერ იქნა, თავიდან ვერ მოვიშორე ეს გრძნობა... სულ ასე მგონია, პავილიონში, არ ვიცი, ობის, არ ვიცი, რაღაც შხამიანი ბოლქვის სუნი ტრიალებს... ალბათ ამიტომაც მომივიდა აზრად. [illegible] ლის მოხსენიების დღეს, წირვის ნაცვლად, ავდგები და პავილიონში ნაყალბევ ჭურჭელს შემოვიტან — შხამიანი აირები ნაყალბევს ვერ გაუძლებენ და აორთქლდებიან, მე კი სამუდამოდ დავემშვიდობები ყოველგვარ ჩაის ცერემონიალებს-მეთქი... თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც აქამდე ვყოფილვარ ამ საქმის დიდი მოტრფიალე...

— თქვენ გინდათ, სამუდამოდ გააძევოთ, არა, აქედან ეს აბეზარი დედაბერი, ყველაფერში ცხვირს რომ ყოფს და თავიდან ვერ მოგიშორებიათ. ამ პავილიონში სუფთა ჰაერი რომ დატრიალდეს, აქ იმისი ჭაჭანებაც არ უნდა იყოს... — თიკაკომ ჩუმად ჩაიცინა და ბამბუკის ფუნჯით ჩაის გამალებული მორევა დაუწყო.

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, ტყუილად იმედოვნებთ, სულ ერთია, არაფერი გამოგივათ! აი, ახალ ნათესაურ კავშირებს რომ გააბამთ, კი ბატონო, როგორც გენებოთ, ძველ ნაცნობებს სულ ნულარ მიიკარებთ.

თიკაკომ თვალით ანიშნა, ყველაფერი მზად არისო და კიკუძის წინ ფინჯანი დაუდგა.

— ფუმიკო-სან, ამ სახლის პატრონის ხუმრობას რომ უსმენთ, ალბათ ფიქრობთ, ჩემი დედიკოს მოსაგონარი საჩუქარი არც თუ ისე საიმედო ხელში მოხვდაო, მე კი, აი, შევყურებ ამ სინოს და, ასე მგონია, ჭიქურიდან ქალბატონი ოტას სახე შემომცქერის...

კიკუძემ ცარიელი ფინჯანი სადგარზე დადგა და იმანაც ქოთანს შეხედა.

მაინც რას ხედავდა იქ თიკაკო? შავად გალაქულ სახურავზე მხოლოდ მისი არც თუ ისე მიმზიდველი ცხვირ-პირის ანარეკლი მოჩანდა.

ფუმიკო დაბნეული იყო.

კიკუძის კი ვერა და ვერ გაეგო, ქალიშვილი თავს იკატუნებდა თუ ნამდვილად ვერ ხვდებოდა თიკაკოს ამ გესლიან ლაპარაკს.

უკვირდა, თიკაკოს გვერდით ასე უდრტვინველად როგორ იჯდა ფუმიკო.

ნუთუ მას არც ეს საუბარი აღელვებდა კიკუძის მომავალ ქორწილზე?

თიკაკო, რომელსაც ასე რიგად სძულდა ქალბატონი ოტაცა და, ცხადია, მისი ქალიშვილიც, სიტყვის სათქმელად პირს ისე არ გააღებდა, ფუმიკო არ გაეკენწლა, რაიმე მწარე და შეურაცხმყოფელი არ ეთქვა. ქალიშვილი კი, არა თუ გარეგნულად არ გამოხატავდა, ასე გეგონებოდა, მის მიმართ წყენასა და გულისტკივილს გულის გულშიაც არა გრძნობდა.

ნუთუ ისე დიდი, ისე ღრმა იყო მისი მწუხარება, მასთან შედარებით სხვა ყველაფერი არარად მიაჩნდა? ანდა იქნებ დედის სიკვდილით თავზარდაცემულმა შესძლო, ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებზე მაღლა დამდგარიყო?.. იქნებ ამასაც დედის ხასიათი გამოჰყვა, ვერც თავს შეეწინააღმდეგებოდა, ვერც სხვას, ვინაიდან მისი სიწმინდე ყველასა და ყველაფერზე მაღალი და დიადი იყო...

სხვათაშორის, მას, კიკუძის, ერთხელაც არ უცდია, ქალიშვილი თიკაკოს ამ თავდასხმებისაგან დაეცვა, გამოდის, რომ თვითონაც უცნაური ვინმეა, რბილად რომ ვთქვათ, დიდი ბედენა არც თვითონ არ ბრძანდება.

მაგრამ ყველაზე შემზარავი და უცნაური მაინც თიკაკოს ეს, ამ პავილიონში ყოფნა გახლდათ. აგერ, ზის ახლა თავისთვის [illegible] და თავისსავე დაყენებულ ჩაის ხრაპახრუპით შეექცევა.

— ნეტავი ჩემისთანა ბეცს ასეთი ციცქნა საათი რაში გამოადგება. ზედ ვერაფერს ვარჩევ, ვერც ისრებსა და ვერც ციფრებს... რა იქნებოდა, მამათქვენის ის ჯიბის საათი ჩემთვის გეჩუქებინათ, ა, კიკუძი-სან?

—არავითარი ჯიბის საათი მამაჩემს არ ჰქონია! — მოუჭრა სიტყვა კიკუძემ.

— როგორ თუ არ ჰქონია?! — გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა თიკაკოს. — ის საათი ხომ სულ თან დაჰქონდა, ჯიბიდან არ იცილებდა... ფუმიკო-სან, განა თქვენ კიდევ გახსოვთ, აწ განსვენებული ბატონი მიტანის ის საათი? აი, თქვენთან რომ დადიოდა, განა მაშინაც სულ თან არა ჰქონდა? ხომ გახსოვთ? ხომ ასეა?

ფუმიკომ თვალები დახარა.

— მგონი, სამის ათი წუთი უნდა იყოს, თვალში სინთალე ისე დამაკლდა, ველარაფერს ვხედავ, თითო ისარი ორად მეჩვენება.

ახლა უკვე ცოცხლად, საქმიანად წარმოთქვა თიკაკომ.

— ინამურა-სანმა ჩემთვის საგანგებოდ ჯგუფი ჩამოაყალიბა. დღეს სამ საათზე გაკვეთილი მაქვს. ვიდრე წავალ, კიკუძი-სან, მინდა ვიცოდე, რა პასუხი წავუღო. მე ხომ დღეს სწორედ ამ საქმის გამო შემოგიარეთ.

— გთხოვთ, გადასცეთ ინამურა-სანს, რომ გადაწყვეტილად უარს ვამბობ.

მაგრამ თიკაკო შეეცადა, კიკუძის ნათქვამი ხუმრობაში ჩაეტარებინა.

— კარგი, კარგი, ასე ვეტყვი, უარს ამბობს, გადაწყვეტილ უარს-მეთქი! — თქვა თიკაკომ და გაიცინა. — მთავარია, რაც შეიძლება დროზე მოგვარდეს ეს ამბავი, აი, მაშინ ნახავ, ამ პავილიონში, თქვენის ნებართვით, გაკვეთილებსაც რომ გავმართავ...

— თუ ასეა, ინამურა-სანს ურჩიეთ, ჩემი სახლი იყიდოს! დღეს იქნება თუ ხვალ, სულ ერთია, უნდა გავყიდო...

კიკუძის სიტყვებისათვის თიკაკოს ყურადღება ალარ მიუქცევია, იგი ახლა ფუმიკოს მიუტრიალდა:

— ფუმიკო-სან, შინ წასვლას ხომ არ აპირებთ? იქნებ ერთად გავსულიყავით, ცოტა ერთად გაგვევლო.

— კი ბატონო.

— აი, აქაურობას ხელდახელ მივალაგ-მოვალაგებ და..

— ნება მომეცით, მეც მოგეხმაროთ.

— როგორც გენებოთ...

მაგრამ თიკაკოს ფუმიკოსათვის ალარ დაუცდია, მაშინვე მიძუიასაკენ გასწია.

მალე იქიდან წყლის ჩხრიალი გაისმა.

— თქვენ დარჩით, ფუმიკო-სან! მასთან რა გინდათ, რატომ უნდა წახვიდეთ. — ჩუმად ჩაულაპარაკა კიკუძემ.

ფუმიკომ თავი გადააქნია:

— არა, მეშინია

— კი მაგრამ, რისი გეშინიათ?

— რა ვიცი, მეშინია.

— რახან ასეა, თვალის ასახვევად ცოტაზე გაჰყევით და უკანვე შემობრუნდით.

უარის ნიშნად ფუმიკომ ისევ თავი გააქნია და ზაფხულის თხელი, სიფრიფანა კაბის სწორებით ფეხზე წამოდგა.

კიკუძის მოეჩვენა, ქალიშვილი წასაქცევად შეტორტმანდაო — წამოდგომაც ვერ მოასწრო, ხელი დამჯდარმავე შეაშველა.

ფუმიკოს სახე წითლად წამოენთო.

წელან თიკაკომ ჯიბის საათი რომ უხსენა, მხოლოდ ქუთუთოები შეუვარდისფერდა, ახლა კი მთელ სახეზე ალმური აჰკრავდა — სირცხვილი, რომელიც წელან ყვავილის პაწაწა კოკორივით შეუმჩნეველი იყო, ფუმიკოს სახეზე ახლა მთელი სისავსით ყვაოდა.

ქალიშვილმა ქოთანი აიღო და მანაც მიძუიასაკენ გასწია.

— ა-ა, გადაწყვიტეთ, საკუთარი ხელით გარეცხოთ, არა? — მოისმა იქიდან თიკაკოს ხრინწიანი ხმა.

ორმაგი ვარსკვლავი

1.

წარმოგიდგენიათ, ორივენი გათხოვდნენ, ორივენი, ფუმიკოცა და ინამურას ქალიშვილიც, — ერთ მშვენიერ დღეს ისევ გამოეცხადა თიკაკო კიკუძის.

ცხრის ნახევარზე ზაფხულობით ჯერ ისევ სინათლეა. ვახშმის შემდეგ კიკუძი გალერეაში გაშალართული იწვა და მოსამსახურე ქალის მიერ ნაყიდ, ბადეზე მიმსხდარ ციცინათელებს დაჟინებით მისჩერებოდა... აი, ციცინათელების ოდნავ მბჟუტავი ნათება თანდათან ყვითლად აციმციმდა — დღე თანდათან მიილია. კიკუძი კი ისევ სიბნელეში იწვა და სინათლეს არ ანთებდა.

თავისი ხანმოკლე ზაფხულის შვებულება ერთ-ერთი მეგობრის აგარაკზე, ნაძირიკოს ტბის შემოგარენში გაატარა, ეს ერთი დღეა, რაც იგი აგარაკიდან დაბრუნდა.

მის დაცოლშვილებულ მეგობარს აგარაკზე ძუძუთა ბავშვი ჰყავდა. ბავშვებს შეუჩვეველ კიკუძის წარმოდგენა არა ჰქონდა, რა ხნისა იყო, რამდენი დღე იცხოვრა ამ პაწია არსებამ ამქვეყნად, ვერც იმას ხვდებოდა, თავის ასაკთან შედარებით დიდი ტანისა იყო თუ პატარა. მაგრამ ხომ უნდა მოფერებოდა, რაღაც ყურადღება ხომ უნდა გამოეჩინა ბავშვისადმი?

— ერთი არ უყურებთ, რა ჯანსაღი, რამოდენა ბიჭია!

—არა, რას ბრძანებთ! ახლა ცოტა მოიმატა, ნორმალურ წონას მიუახლოვდა, თორემ ისეთი ციცქნა და უსუსური იყო, ტირილი მოგინდებოდა, — უთხრა მეგობრის მეუღლემ.

კიკუძემ ბავშვს სახესთან ხელი გაუქნია.

— თვალს რატომ არ ახამხამებს?

— ჯერ ძალიან პატარაა, თვალის ხამხამს ბავშვები ცოტა მოგვიანებით იწყებენ...

კიკუძის ასე ეგონა, ბავშვი ალბათ ექვსი თვისა მაინც იქნებოდა, ის კი თურმე ჯერ სამი თვისაც ძლივს იყო, ბავშვის ახალგაზრდა დედაც ალბათ ამი-

ტომ გამოიყურებოდა ასე ცუდად — ლოყებჩაცვენილსა და ფერმიხდილს თმა მუდამ დაუდევრად ჰქონდა ჩამოშლილი, როგორც ჩანს, მშობიარობის შემდეგ ჯერ კიდევ რიგიანად ვერ გამოკეთებულიყო.

იმ თავიანთი სიყრმის შვილის მეტი ცოლ-ქმარს არაფერი ახსოვდა, დღე და ღამ თავს დასტრიალებდნენ, თვალს არ აცილებდნენ, ამიტომაც კიკუძი თავს მარტოდ და მოწყენილად გრძნობდა. მაგრამ ჩაჯდებოდა [illegible] მატარებელში, თვალწინ მაშინვე იმ ქალის ნაზი, თვალებგაცეცებული, [illegible] სიხარულით განათებული სახე წარმოუდგა. ისეთი ნაზი და სიფრიფანა იყო, იფიქრებდი, ნეტავი სული რაში უდგასო. ცოლ-ქმარი აქამდე, მთელი ამ ხნის განმავლობაში მშობლებთან ცხოვრობდნენ. და აი, ბავშვის შეძენის შემდეგ ახალგაზრდა დედას, როგორც იქნა, ელირსა მეუღლესთან განმარტოება, ამიტომაც ეს აგარაკი ახლა მას ალბათ ნამდვილ სამოთხედ ეჩვენებოდა. სახეზე ერთთავად ნეტარი ღიმილი უკრთოდა. იჯდა კიკუძი მატარებელში და იმ ქალის მშვიდი, თვინიერი სახე თვალიდან არ შორდებოდა.

აი, ახლაც იწვა თავის ამ ნახევრად ჩაბნელებულ გალერეაში, რომ საოცარი სევდითა და სინაზით გულაჩუყებულს ისევ თავისი მეგობრის მეუღლე გაახსენდა.

ამ ფიქრებში გართულს თავზე უცებ თიკაკო წამოადგა. როგორც ყოველთვის, ცხადია, ახლაც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე.

ოთახში ენერგიულად შემოაბიჯა და მაშინვე ხმამაღლა არაბრახდა:

— კი მაგრამ, რა მოხდა?! ამ სიბნელეში რას აკეთებთ?! — მერე კიკუძის ფერხთით ჩამოუჯდა და განაგრძო: — ოჰ, რა ხართ, ეს უცოლო კაცები! სინათლის ამნთებიც კი არავინ გყავთ!

კიკუძიმ მუხლები მოხარა, ერთხანს ასე მუხლებაკეცილი იწვა და ბოლოს უხალისოდ წამოჯდა.

— იწექით, იწექით, რატომ დგებით! — თიკაკომ მარჯვენა ხელი ისე გაიწოდა, თითქოს უნდა შეაჩეროსო. მერე მთელი წესისა და ადათის დაცვით ბიესალმა და მაშინვე ამბის მოყოლა დაიწყო.

— კოლტოში ვიყავი, უკან რომ ვბრუნდებოდი, ჰაკოხეში გზად იმ სკოლის მეთაურს შევუარე, რომელ სკოლასაც მე ვეკუთვნი. იქ ერთი ჩემი ძველი ნაცნობი დამიხვდა — ჩაის ჭურჭლით მოვაჭრე ოთძუი. კარგა ხანია, ერთმანეთი, არ გვენახა... ცხადია, მამათქვენიც გავიხსენეთ... ასე მითხრა, იმ სასტუმროს გიჩვენებ, სადაც ხანდახან მიტანი-სანი გაჩერდებოდა ხოლმეო. მართლაც, კიმ-ტიანის ქუჩის ერთ მიფარებულ კუთხეში რაღაც პატარა სახლი დგას. ეტყობა. მამათქვენი იქ ქალბატონ ოტასთან ერთად დადიოდა, ალბათ ხალხის თვალს თუ ერიდებოდა. ოთძუმიმ სწორედ იმ სასტუმროში არ შემომთავაზა ნომერი? ხომ წარმოგიდგენიათ?! თანაც ვის?! ნამდვილი ხეთაგანი არ არის?! მარტო იქ რა გამაძლებინებდა? ერთიც ვნახოთ, გამღვიძებოდა შუალამისას და გამხსენებოდა, ქალბატონ ოტა-სანსა და მიტანი-სანს შეიძლება აქ, აი ამ ოთახშიაც ეძინათ-მეთქი, გული არ გამისკდებოდა!.. ერთიც მკვდარია და მეორეც!

ხეთაგანი ის კი არა, შენა ხარ, აბა, რეებს მიედ-მოედები!.. — გაიფიქრა კიკუძიმ გუნებაში.

— კიკუძი-სან, მგონი, თქვენც წასული იყავით, ნოძირიკოზე ისეენებდით? — ჰკითხა თიკაკომ ყოვლისმცოდნე ადამიანის კილოთი.

ახლა იგი თავის ამპლუაში იყო: მოვიდა, მოსამსახურე ქალს ყველაფერი გამოკითხა და კიკუძის თავზე ქორივით დააცხრა.

— ჰო, დღეს დავბრუნდი, — ჩაიბურდღუნა კიკუძემ.

— მე კი სამი-ოთხი დღეა უკვე აქა ვარ. — შეათამაშა მარცხენა ძალი თიკაკომ. — ჩამოსვლით კი ჩამოვედი, მაგრამ ისეთი უსიამოვნო ამბები დამხვდა, ისეთი უსიამოვნო ამბები... პირდაპირ მეხივით დამატყდა. ეკონომიკურ ბიბლიოთეკა ვიცი, თვალებში როგორ უნდა შემოგხედოთ... საშინელი წიხდაუხედაობა გამოვიჩინე... თავი შევირცხვინე!.. იცით, ინამურა იუკიკო გათხოვდა, — როგორც იქნა, ამოღერღა თიკაკომ.

გალერეაში უკვე ბნელოდა, ამიტომაც კიკუძის სახეზე ალბეჭდილი გაოცების დამალვა არ დასჭირვებია. ხმამაღლა კი სრულიად დამშვიდებით იკითხა:

— მართლა?.. როდის?

— ისე მშვიდად მეკითხებით, ეს ამბავი თითქოს თქვენ არ შეგეხებოდეთ...

— მე ხომ გითხარით, თანაც არაერთხელ. იუკიკო ინამურას ცოლად არ შეეირთავ-მეთქი.

— ეჰ, ეგ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია! უბრალოდ, გინდოდათ მე მოგეცილებინეთ — ეს აბეზარი დედაკაცი რას გადამეკიდა, რა ამისი საქმეა, ვინ მოშეწონეჭა და ვინ არა, რა უნდა, სხვის საქმეებში რატომ ეჩრებაო! იქნებ ჩემის მხრივ ეს მართლაც ცუდი საქციელია, მიუხედავად ამისა, იუკიკოს დასაწუნი არაფერი აქვს, გოგოც შესანიშნავია და საქმეც შესაფერისი.

— კმარა, გეყოფათ ლაყბობა! — და კიკუძემ ისე მოკლედ, ისე უკმეხად ჩაიცინა, თითქოს გადმოაფურთხაო.

— კი მაგრამ, ხომ მოგეწონათ?

— კი, კარგი გოგოა...

— ეჰ, ხომ ხედავთ! ჰოდა მეც მაშინვე მივხვდი, რომ მოგეწონათ...

— კაი გოგოა, თუ იტყვი, ესე იგი, აუცილებლად ცოლად უნდა ითხოვო?

ასე იყო თუ ისე, იუკიკოს გათხოვების ამბავმა კიკუძი ძალიან გააოცა. ამაოდ შეეცადა, გონებაში როგორმე მისი სახე წარმოედგინა. ვერა და ვერ იხსენებდა.

კიკუძის იგი მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი.

პირველად ჩაის ცერემონიალზე, ენკაკუძეში... კიკუძისათვის შეთვალიერების საშუალება რომ მიეცა, თიკაკომ ქალიშვილს ჩაის ცერემონიალის შესრულება შესთავაზა. და აი, კიკუძის გონებაში ერთბაშად ქალიშვილის გრაციოზული ფიგურა ამოტივტივდა, მისი ყოველგვარ მანერულობას მოკლებული მიხრა-მოხრა, მის ზურგს უკან, სიოძიზე, მწვანედ დაფენილი ხეების მუქი ჩრდილი და მზის სხივებში ნაზად მოკიაფე ფურისოდე. ყოველივე ამას კიკუძი ახლა თითქმის თვალნათლივ ხედავდა, სახეს კი ვერა და ვერ იხსენებდა. კიდევ ერთი რამეც ჩარჩა მეხსიერებაში: წითელი, ძალიან წითელი ხელსახოცი და ვარდისფერი ფუროსაკი — ეს მაშინ, ტაძრის პავილიონისაკენ რომ მიაბიჯებდა იუკიკო. — და კიდევ, ათასფრთიანი, ვარდისფერ კრეპდეშინზე ამოქარგული თეთრი წერო... ყველაფერი შესანიშნავად ახსოვდა კიკუძის, ყველაფერი — გარდა სახისა.

როდესაც იუკიკო კიკუძის სტუმრად ეწვია, — ეს მხოლოდ ერთადერთხელ იყო, — თიკაკომ მაშინაც უმალ ჩაის ცერემონიალი წამოიწყო და კიკუძი ამჯერადაც მოჯადოებული დარჩა ქალიშვილით. მეორე დღეს სულ ასე

ეგონა, მთელ პავილიონში ჯერ ისევ მისი სუნამოს სურნელი დგასო... წითელ ზამბახებამოქარგული ობი თუ მრავალი სხვა წვრილმანი, კიკუძის ამ წუთშიაც ცხადლივ ედგა თვალწინ, იუკიკოს სახე კი ვერა და ვერ აღიდგინა მეხსიერებაში.

სხვათა შორის, მარტო იუკიკოს კი არა, სულ ახლახან გარდაცვლილი მშობლების სახეებსაც ძლივს იხსენებდა კიკუძი. ფოტოებს [illegible] ადგებოდა. მაშინ თუ გაახსენდებოდა — ასეთები იყვნენ, ნამდვილად ასე გამოიყურებოდნენო... ვინ იცის, ადამიანი რაც უფრო მახლობელი და ძვირფასია, იქნებ მისი სახის გახსენება და წარმოდგენაა უფრო ძნელი?.. იქნებ ადამიანის გონება უჩვეულოსა და მახინჯს უფრო ადვილად იმახსოვრებს, კიდევ უფრო ადვილად, მთელის სიცხადით აღიდგენს გონებაში?

მართლაც, აი, იუკიკოს სახეს, თითქოს ეს მისი სიმბოლური გამოსახულებაა, კიკუძი მუდამ გაურკვეველ, ერთ ნათელ ლაქად წარმოიდგენს, თიკაკოს მარცხენა ძუძუზე გაბრტყელებული შავი, უშველებელი ტყლარპი კი მუდამ ცხადლივ უდგას თვალწინ და გომბეშოს აგონებს.

ახლა ალბათ თიკაკოს გრძელი, მტკიცე აბრეშუმის შიდა კიმონო აცვია. გალერეაშიაც ისე ბნელა, იმ აბრეშუმის ქსოვილქვეშ, იმ შავი ხალის დანახვა, ცხადია, ყოვლად შეუძლებელია. თუმცა მთელი სახლი გაჩახჩახებულიც რომ იყოს, გამოჩენით, რა თქმა უნდა, მტკიცე აბრეშუმის ტანსაცმელქვეშ არაფერი გამოჩნდება. მაგრამ კიკუძი ტყლარპს მაინც თვალნათლივ ხედავს! ის კი არა, სიბნელეში კიდევ უფრო უკეთესადაც კი.

— უცნაური კაცი ხართ, კიკუძი-სან, ძალიან უცნაური! ხომ წარმოგიდგენია, ქალიშვილს შეხვდე, მოგეწონოს, ყოველმხრივ ლამაზი და მომხიბვლელი გეჩვენოს და, ვითომც არაფერიაო, ხელიდან გაუშვა!.. ქალიშვილი, რომელსაც სახელად იუკიკო ინამურა ჰქვია, ერთადერთია, მეორე იმისთანა არ არსებობს... მერე მთელს დუნიაზე ძებნას დაუწყებთ, მაგრამ მაგის მსგავსსაც ვერსად ვერავის იპოვით... მიკვირს, მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს, კიკუძი-სან, ამდენხანს ასეთ უბრალო ამბავს როგორ ვერ უნდა მიხვედრილიყავით!

მოძღვრავდა თიკაკო ნამდვილი ზნეობრივი მოძღვარივით, ოღონდ მეტისმეტად თავაზიანად, ხაზგასმული სიდარბაისლით.

— თქვენ თვითონ, კიკუძი-სან, ცხოვრებისეული გამოცდილება გაქლიათ, გამოცდილი ადამიანების რჩევას კი ყურს არ უგდებთ. აბა, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვინ მისცემს?! ამ ერთი მცდარი ნაბიჯის გამო ორ კარგ ადამიანს მომავალი უნდა გაგიმრუდდეთ. ვინ იცის, ამიერიდან იუკიკოს ცხოვრება როგორ აეწყობა! ვთქვათ, იღბლიანად ვერ გათხოვდა, მაშინ? მის ამ უიღბლობაში განა გარკვეულწილად თქვენ კი არ იქნებით დამნაშავე? დიახ, დიახ! იგი ხომ ისე თბილად, ისე კეთილად იყო თქვენს მიმართ განწყობილი...

კიკუძის ხმა არ ამოუღია.

— ქალი ისე შესანიშნავად გეპყრობოდათ, დავიჯერო, გული არ გეტკინებათ, ვთქვათ, გავიდა რამოდენიმე წელი და იუკიკომ სინანულით გაგიხსენათ, რატომ არ მითხოვეთ?

ახლა უკვე შხამს ანთხევდა თიკაკო.

ნეტავი რა თავს იკლავს, თუ უკვე გათხოვდა და თავის გზას დაადგა... — გაიფიქრა გუნებაში კიკუძემ.

— ოი, ციცინათელები! საიდან? რა უნდათ, რაღა დროის, ციცინათელაა? — წაიგრძელა კისერი თიკაკომ, — საცაა შემოდგომის მწერები აირევიან...

ფუი, რა საიშნელებაა! ცდომილი ალი გეგონება! ნამდვილი მოჩვენებებივით ლრიან!

— რა ვიცი, მოსამსახურე ქალმა იყივლა, — თავი იმართლასავით კიკუძემ.

— რა თქმა უნდა!.. ბბა მოსამსახურეს სხვა რა მოეთხოვება! აი, ჩვენ, ცერემონიალს რომ მიჰყოლოდით, ასეთ შეცდომას არასოდეს დაუშვებდით. ჩვენში ხომ არსებობს ჩვენი — იაპონური წელიწადის დროები.

და, კიკუძის მოეჩვენა, რომ ციცინათელები მართლაც უსიამოვნოდ ანათებდნენ, როგორილაც არაბიწიერ შუქს გამოასხივებდნენ. ნეტავი როგორ შემორჩნენ აქამდე? აგერ ახლა, ნოძირიკოს ტბის პირას, მეგობრის აგარაკზე, რა ჯერის მწერი არ დაფარფატ-დაჭრიჭინებდა, ციცინათელასათვის კი ოვალი ერთხელაც არ მოუკრავს.

— დიახ, კიკუძი-სან, დიახ! ცოლი რომ გყოლოდათ, სახლში ასეთ დაგვიანებულსა და სევდის მომგვრელ დროის სიმბოლოს არ შემოაპაჭანებდა... — უცებ გულღიად, გულითადად წარმოთქვა თიკაკომ. — მე კი ვფიქრობდი, კიკუძის ინამურა-სანის ქალიშვილს გავურიგებ; აწ განსვენებული მამამისის წინაშე ჩემს ვალს მოვიხდი-მეთქი...

— ვალს?

— დიახ, ვალს... არა, კიკუძი-სან, თქვენ ამას ვერ გაიგებთ... მაგრამ, აი, ვიდრე აქ იწექით, ამ სიბნელეში გორაობდით და ციცინათელების ცქერით ტკბებოდით, ფუმიკომაც უკვე მოასწრო და ისიც გათხოვდა.

— ფუმიკო?! კი მაგრამ, როდის?

ამჯერად კიკუძი მხოლოდ გაოცებული კი არა, გაოგნებული იყო. იუკიკოს ამბავი რომ გაიგო, უბრალოდ, გაუკვირდა, ეს გაკვირვება იოლად დამალა. თიკაკოს ამ ახალი მზაკვრული დარტყმის მოგერიება კი აღარც ისე იოლი გამოდგა. თიკაკომ, რა თქმა უნდა, მაშინვე იგრძნო, მის ხმაში გამეღავნებული ეს ეჭვი და შეშფოთება.

— მართლაც, რა სასწაულია, არა?! გოცებისაგან გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ. წარმოგიდგენია, ასე ერთმანეთს როგორ მიჰყვნენ?! — ვითომ დანანებით წარმოთქვა თიკაკომ, — ფუმიკოს გათხოვება, მართალი გითხრათ, გამიხარდა კიდევაც, ხელს ველარავინ შეუშლის-მეთქი... თურმე, რად გინდა, რა აზრი აქვს?! იუკიკოს ამბავი რომ გავიგე, ლამის გადავირიე, თავლაფდასხმულივით დავდიოდი, სულ კი ამ თქვენი გადაუწყვეტობის გამო...

მაგრამ ფუმიკოს გათხოვების ამბავი კიკუძის რატომღაც ვერა და ვერ დაეჯერებინა.

— ჯერ იყო, ქალბატონმა ოოტამ აგირიათ თავ-გზა, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ თავისი სიკვდილითაც კი... — განაგრძო თიკაკომ, — მაგრამ აი, მისი ქალიშვილიც გათხოვდა და, ჯადო, რომელიც ამ ოჯახს რა ხანია მძიმე ტვირთად აწევს, უნდა გაქარწყლდეს... — თიკაკომ მზერა ახლა ბაღზე გადაიტანა. — რაც იყო-იყო, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, თქვენც უკვე განიწმინდეთ... დროა შინა საქმეებზეც დაფიქროთ, ბაღს მიხედოთ, ხეები წესრიგში მოიყვანოთ. კაცი სიბნელეშიაც კი შეამჩნევს, აქაურობა როგორი ხელმიშვებულია, მთელი ბაღი ჩახუთული და ჩაბნელებულია, არც ბალია, არც სინათლე. ხეების ტოტები ულაზათოდაა აქეთ-იქით გაფარჩხული.

მამის გარდაცვალების შემდეგ, ეს ოთხი წელიწადია, კიკუძის ბაღისათვის ყურადღება არ მიუქცევია, შებაღისათვის არ დაუძახია. ტოტები კი მარ-

თლაც ისე იყო გაბარჯღული, მწვანედ შებორბლილი ხეების ქვეშ საღამოობითაც ისეთი უჭაერობა და ბული იდგა, როგორც გაგანია შუადღისას.

— ეს თქვენი მოსამსახურე, ბალს, ეტყობა, სულ არ რწყავს. ნუთუ არ შეგიძლიათ, ასეთი პატარა-პატარა საქმეები მაინც დაავალოთ!

—თავი დამანებეთ!

კიკუძის თიკაკოს ყოველი სიტყვა და ყოველი მოქმედება [illegible] ზიანებდა. მაგრამ თან იმის უფლებასაც აძლევდა, რამდენიც [illegible] ელაქლაქა. ასე იყო ყოველთვის.

ამ უსიამოვნო ამბებზე საუბარი იმიტომ გაუბა, თიკაკოს, როგორც ჩანს, გარკვეული მიზანი ამოძრავებდა: უნდოდა, გულია საუბარში გამოეწვია, თავისავე პირით ეთქმევინებინა, რას ფიქრობდა. მაგრამ კიკუძი აშკარად უჯანყდებოდა მის ამ განზრახვას. თუმცა, არაფერი წამომცდესო, გულში თან ეშინოდა კიდევაც ჩუმ-ჩუმად. ცხადია, თიკაკო ამას შესანიშნავად ხვდებოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, ხანდახან სხვათაშორის თუ აგრძნობინებდა. აბა, რა უნდა გამომაპარო, მოხარშულს გიცნობო.

თიკაკოს ისეთი თითქმის არასოდეს არაფერი უთქვამს, კიკუძისათვის ახალი და მოულოდნელი ყოფილიყო. თიკაკოს სიტყვების მთელი ის სისაძაგლე და გესლი უკვე ჩადებული იყო მისი ტვინის რომელიღაც შორეულ კუნჭულში. როცა კი ამას გაიფიქრებდა, კიკუძის საკუთარი თავი სძულდა.

ამ საღამოსაც თიკაკო იუკიკოსა და ფუმიკოს გათხოვებაზე ელაპარაკებოდა და თან ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა, რას იზამს, ეს ამბავი როგორ იმოქმედებსო. რატომ?.. რა უნდოდა?.. რას ესწრაფოდა?.. — კიკუძის ვერაფერი გაეგო. მიუხედავად ამისა, სულ ფხიზლად იყო. უწინ, ვთქვათ, იუკიკოს გამო სჩადიოდა ყველაფერს, ცდილობდა დაემცირებინა ფუმიკო, ჩამოეშორებინა... ახლა? ახლა რალაში სჭირდებოდა ეს ათასნაირი ხრიკები, და ოინები, როცა ორივე ქალიშვილი უკვე გათხოვილი იყო? ახლა რატომღა იყო ასე ჩადარაჯებული, ასე რატომ აინტერესებდა, რა გუნებაზე დადგებოდა კიკუძი?..

ავდგები, ოთახსა და გალერეაში სინათლეს ავანთებ. — გაიფიქრა ვაქმა, — მართალია, ჩემთვის სულ ერთია, თიკაკო'რას იტყვის და რას იფიქრებს, მაგრამ მასთან ერთად ამ სიბნელეში მარტოდმარტო ჯდომა, რაც არ უნდა იყოს, უხერხულია, ვითომ რა ისეთი მახლობლები არიან!.. მართალია, ყველაფერში ცხვირსაჭყოფს, ბალის ამბებშიაც კი ეჩრება... მაგრამ, მისი ეს ხასიათი კიკუძისათვის დიდი ხანია ცნობილია. მახლობლობასა და შინაურობაზე კი, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია... — მაგრამ ადგომა და სინათლის ანთება კი არა, კიკუძის ამწუთას თავის წამოწევა და განძრევა ეზარება.

სინათლის ასანთებად არც თიკაკო დაძრულა ადგილიდან, თუმცა, შემოვიდა თუ არა, რა არის, რა სიბნელეაო, მაშინვე ეს წაიბუზღუნა. სხვა დროს, როგორც წესი, მუდამ სიამოვნებით ასრულებდა ყველა ამგვარ წვრილმანს. გარდა იმისა, რომ ხასიათი ჰქონდა ასეთი, მათ ოჯახში საქმეზე ხელის წაშველებას თიკაკო თავის მოვალეობად თვლიდა. ახლა კი აზრადაც არ მოსელია, ამდგარიყო და კიკუძის მომსახურებოდა, იქნებ ასაკმა იჩინა თავი, წლებმა თავისი გაიტანა. იქნებ გაყოყოჩდა კიდევაც — ახლა ხომ იგი ცნობილი ქალი იყო, ჩაის ცერემონიალის დიდოსტატი!

— კიოტოდან რომ მოვდიოდი, ოიძუმიმ მთხოვა — ოღონდ, მე აქ არაფერ შუაში ვარ, უბრალოდ, დანაბარებს გეუბნებით... მოკლედ, თქვენთან ასე

დამაბარა, ჩაის ცერემონიალის ჭურჭლისა და ნივთების გაყიდვას თუ დააპირებს, ამ საქმეს მე მოვკიდებ ხელს სიამოვნებითო. — დაიწყო დინჯად თიკაკომ, — სხვათა შორის, კიკუძი-სან, რაც იუკიკო ხელიდან გაუშვით, დარწმუნებული ვარ, სულაც აღარ გეჩაისჭურჭლებათ. მართალი გითხრათ, გულს მაკლია... მამათქვენის სიკვდილის შემდეგ ჩაის ცერემონიალი საუდამოდ ჩაკვდა თქვენს სახლში, მე კი ჩემს საყვარელ საქმეს გამოვაკლდი. [illegible] საც ალბათ მე თუ მოვალ და მე თუ გავანიავებ., თორემ, არის [illegible] ლი და კარგამოკეტილი.

აი, თურმე რა ყოფილა! როგორც ჩანს, თიკაკო შორს უმიზნებს. ჯერ იყო, გინდა თუ არა, იუკიკო უნდა შეირთოო, მერე იყო და, ამ სახლში ჩაის ცერემონიალის მოთავეობა მოუნდომა. მაგრამ, რომ არ გამოუვიდა, იფიქრა, ჩაის ჭურჭელსა და ნივთებს მაინც გამოსტყუებდა. ჭურჭლის ვაჭარს კი, რა თქმა უნდა, ყველაფერზე წინასწარ მოელაპარაკა, წინასწარ გაურიგდა.

სხვათა შორის, კიკუძი არა თუ არ გაბრაზებულა, პირიქით, გულში შვებაც კი იგრძნო.

— აბა, შენ იცი.., ამ მოკლე ხანში სახლის გაყიდვასაც ვაპირებ, ისე რომ, სულ მალე ამ საქმეშიაც დამჭირდება ოოიძუმის დახმარება.

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია თიკაკომ, — არ ჯობია, საქმე იმ კაცთან იქონიოთ, რომელმაც ერთხელ უკვე შესანიშნავად შეასრულა მამათქვენის დავალება.

თიკაკოს, ცხადია, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული — იცოდა, კიკუძის არც ჩაის ცერემონიალისა გაეგებოდა არაფერი, არც ამ ჩაის ცერემონიალისათვის საჭირო ჭურჭლისა. ხეირიანად ისიც არ იცოდა, რა ჰქონდათ და რა არ ჰქონდათ... სამაგიეროდ, თვითონ არ გამოეპარებოდა არაფერი.

კიკუძემ ჩაის პავილიონისაკენ გაიხედა. პავილიონის წინ უშველებელი ოლეანდრეს ხე იდგა. ახლა იგი თეთრად იყო გადაპენტილი. მისი თეთრი ყვავილები თეთრ ლაქებად ილანდებოდა შავად ჩამოწოლილი ღამის მრუმე სიბნელეში.

ისეთი ბნელი ღამე იყო, ხის კენწეროები თითქოს ცას შეზრდოდნენ, ხეებსა და ცას შორის სიბნელეს ზღვარი თითქმის სრულიად წაეშალა.

2.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ კიკუძი ის არის, სამსახურიდან გამოსვლას აპირებდა, რომ ტელეფონზე დაურეკეს.

— იცით, მე ვარ, ფუმიკო ვარ, — მოესმა ყურმილში ფუმიკოს წყნარი ხმა.

— ალო.. გისმენთ...

—მე ვარ, ფუმიკო ვარ...

— დიახ, დიახ, მესმის.

— უკაცრავად, სამსახურში გაწუხებთ... იცით, სამსახურში რომ არ დამერეკა, ბოდიშის მოხდას ველარ მოვასწრებდი..

—რა იყო, რა მოხდა?

— დღეს თქვენთან წერილი გამოვაგზავნე, მგონი, მარკის დაკვრა დამავიწყდა.

— მართლა? მე კი ჯერ არ მქონია ბედნიერება, წერილი ჯერ არ მიმიღია.

— ფოსტაში საგანგებოდ ვიყიდე ათი მარკა, მაგრამ წერილი, რომ გამოვაგზავნე და შინ მოვედი, მარკები ისევ იმდენი აღმომაჩნდა... განა შეიძლება, ადამიანი ასე დაბნეული იყოს!.. ვიდრე წერილს მიიღებდეთ, მინდა ბოდიში მოგიხადოთ, ახლაც სწორედ ამიტომ დაგირეკეთ.

— ასეთი უმნიშვნელო ამბისათვის რატომ შეწუხდით?.. სასიხარულოს ხომ არაფერს მწერთ, ახალს ხომ არაფერს მატყობინებთ? — უთხრა კიკუძემ და გუნებაში გაიფიქრა: როგორც ჩანს, გათხოვების ამბავს იწერებაო.

— დიახ... ალბათ ამიტომაც ვიყავი ასეთი დაბნეული. სულ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, გამომეგზავნა თუ არა, მე ხომ თქვენთვის არასოდეს არაფერი მომიწერია... ამ ყოყმანსა და ორჭოფობაში კი, ეტყობა, მარკის დაკვრა დამავიწყდა...

— უკაცრავად, ახლა საიდან რეკავთ?

— ტოკიოს სადგურში ვარ, ავტომატიდან გირეკავთ. იცით, იმოდენა რიგია.

— ავტომატიდან? — კიკუძი ჯერ ცოტა გაოცდა, მაგრამ მაშინვე მოულოდნელად მიაყოლა: — მომილოცავს!

— გმადლობთ, მართლაც რომ მოსალოცი საქმე მაქვს... კი მაგრამ, ვინ გითხრათ, თქვენ როგორ გაიგეთ?

— ვინ და, კურიმოტომ...

— კურიმოტო-სანმა?! საიდან გაიგო? ღმერთო, რა საშინელი ქალია!

— იმედია, ამიერიდან ალარასოდეს მოგიწევთ იმასთან შეხვედრა... — თქვა კიკუძემ და ერთხანს შეყოყმანდა. — გახსოვთ, უკანასკნელად ტელეფონზე რომ ვილაპარაკეთ, ყურმილში წვიმის ხმაური რომ ისმოდა?

— დიახ, თქვენ ამბობდით, რომ... საცხოვრებლად ამხანაგთან რომ გადავედი, მაშინაც სულ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, შემეტყობინებინა თუ არა... ახლაც დიდხანს ვიორჭოფე... და აი, ბოლოს მაინც თქმა ვარჩიე...

— მიხარია, თქვენს ამბებს თვითონვე რომ მეუბნებით. კურიმოტოსაგან ეს ახალი ამბავი რომ შევიტყვე, მეც თქვენსავით კარგა ხანს ვიყოყმანე, არ ვიცოდი, მომელოცა თუ არა...

— იცით, საშინელებაა, როცა კაცს უგზოუკვლოდ დაკარგულად ჩაგთვლიან... — ნაზი, მილეული ხმა ფუმიკოს ზუსტად დედამისს უგავდა.

კიკუძის სუნთქვა შეეკრა.

— რა ვიცი, ალბათ ჯობდა, სულ გადავკარგულიყავი... — ქალიშვილი წუთით შეჩერდა და მცირეოდენი პაუზის შემდეგ განაგრძო. — ახლა მე ერთ პატარა, მოუწყობელ ოთახში ვცხოვრობ. სამსახურიცა და ეს ოთახიც ერთდროულად ვიშოვე.

— მართლა?

— აი, საშინელი სიცხე და პაპანაქება რომ იყო, სწორედ მაშინ დავიწყე სამსახური, მართალი გითხრათ, ძალიან ვიღლები...

— აბა რა იქნება, თან სამსახური, თან გათხოვება...

— რაო რა თქვით? რა გათხოვება?

— კიდევ ერთხელ გილოცავთ!

— როგორ არ გრცხვენიათ ,აბა, ეგ რა ხუმრობაა?!

— კი მაგრამ, ხომ გათხოვდით?

— გავთხოვდი? მე?!

— ასე არ არის?

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ! განა შემეძლო, ახლა, ასეთ მდგომარეობაში გათხოვებაზე მეფიქრა? აბა, რა ხანი გავიდა, რაც დედა გარდამეცვალა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რა ვიცი...

— თქვენ ეს ალბათ კურიმოტო-სანმა გითხრათ?

— დიახ...

— კი მაგრამ, რატომ, რისთვის? ვერაფერი გამიგია!.. მიტანი-სან, თქვენც ადექით და მაშინვე დაიჯერეთ, არა?

თითქოს საკუთარ თავს ეკითხებოდა ფუმიკო.

კიკუძის ერთბაშად გულზე მოეშვა,ის კი არა, მხიარულ გუნებაზედაც კი დადგა.

— აბა, ეს რა ტელეფონზე სალაპარაკო ამბავია? ფუმიკო-სან, მოდი, შევხვდეთ ერთმანეთს, კარგი?

— კი ბატონო!

— ახლავე ტოკიოს სადგურში გავჩნდები, თუ შეიძლება, მომიცადეთ.

— ჰო, მაგრამ...

— ან იქნებ სხვაგან გირჩევნიათ? სხვაგან ხომ არ შევხვედრილიყავით?

— იცით, არ მინდა, ქუჩაში დავდგე. ხომ არ აჯობებდა, პირდაპირ სახლში მოვსულიყავი?

— რა თქმა უნდა... მაგრამ, მოდი, შევხვდეთ სადმე და შინ ერთად წავიდეთ.

— ერთად რომ წავიდეთ, სულ ერთია, სადღაც უნდა დავდგე და დაგელოდოთ.

— იქნებ სამსახურში მოსულიყავით?

— არა, მირჩევნია, მარტო წამოვიდე.

— კარგი, მე ახლავე გამოვდივარ. ჩემზე ადრე თუ მიხვალთ, ძალიან გთხოვთ, შინ შეხვიდეთ და თქვენს ნებაზე მოისვენოთ.

ფუმიკო ალბათ ელმავალში ჩაჯდებოდა. ტოკიოს სადგურიდან ელმავლით წამოვიდოდა და ცხადია, მიასწრებდა კიკუძის. კიკუძის კი რატომღაც ეშვიც არ ეპარებოდა, ფუმიკოც სწორედ ამ მატარებლით მოდის, რომლითაც მე მივდივარო და ვაგონიდან გადმოსულმა ბაქანზე თვალიერება დაუწყო.

ფუმიკო შინ მართლაც პირველი მივიდა.

მოსამსახურისაგან რომ გაიგო, უკვე ბალში მელოდებაო, კიკუძემ წინკარიდან პირდაპირ ბალისაკენ გასწია.

ქალიშვილი თეთრი ოლეანდრის ჩრდილში ქვაზე იყო ჩამომჯდარი.

თიკოს უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ მოსამსახურემ საღამ-საღამოობით ხეებს, ეტყობა, რწყვა დაუწყო — ბალის ძველი ავზი, როგორც ჩანს, ჯერ ისევ წესრიგში იყო.

ქვას, რომელზედაც ფუმიკო იჯდა, ნესტისაგან ქვედა მხარე ჩაშავებული ჰქონდა.

ოლეანდრი თეთრი... ოლეანდრი წითელი... წითელი ოლეანდრის ალისფერი ყვავილები, ფოთლების მუქ სიმწვანეში, შუადღის თაკარა მზესავით ენთო. თეთრი ოლეანდრი ირგვლივ სიგრილეს აფრქვევდა. ნაზად მობიბინე ყვავილები ჩარჩოსავით შემოსდგომოდა ქალიშვილს და ისიც იმ ყვავილებივით

თეთრი და ქარქარა იყო. ტანთ თეთრი, გადაქეცილ ხაყელისა, და ჯიბეებზე ვიწროდ ლურჯქობაამოვლებული კაბა ემოსა.

ფუმიკოს ზურგს უკან, მწვანე ფოთლებს შორის შემობერილი, ჩამავალი მზის სხივები, კიკუძის ფეხებთან ეფინა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

კიკუძის სიარულზედაც კი ეტყობოდა, ფუმიკოს [illegible] როგორი გახარებული იყო.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

როგორც ჩანს, ქალიშვილს უნდოდა, პირველი მისალმებოდა კიკუძის. მაგრამ, „მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, სამსახურში დაგირეკეთ", — მხოლოდ ამ სიტყვების თქმა მოასწრო და ისეთი მობუზული წამოდგა, თითქოს სადღაც უნდა შეძვრეს, უნდა დაიმალოსო. იქნებ მოეჩვენა, ახლავე თუ არ ავდექი, კიკუძი მოვა, ხელს მომკიდებს და ძალით წამომაყენებსო.

— ტელეფონზე ისეთი შემაძრწუნებელი ამბავი მითხარით... აი, მოვედი, რომ დაგარწმუნოთ, ყველაფერი ტყუილია-მეთქი.

— თქვენ ამას გათხოვებაზე ამბობთ? გულახდილად გითხრათ, მეც ძალიან გამიკვირდა...

— რა?

— რადა, ერთიცა და მეორეც. ერთი ის, რომ გათხოვდაო, მეორე კი ის, გათხოვება თურმე აზრადაც რომ არ მოგსვლიათ. მოკლედ, ერთზედაც და მეორეზედაც გაშტერებული დავრჩი.

— ერთზედაც და მეორეზედაც?

— რა თქმა უნდა!

კიკუძემ ქვის ფილებით მოკირწყლულ ბილიკზე შეაბიჯა.

— ოთახში შემობრძანდით... — უთხრა ფუმიკოს და გალერეის კიდეში დაჯდა. — აქ რატომ დამელოდეთ, სახლში რატომ არ შეხვედით?.. ამას წინათ აი, აგერ, გალერეაში ვისვენებდი. სწორედ იმ დღეების დაბრუნებული ვიყავი ნოძირიკოს ტბიდან. გავიხედე, კურიმოტო გამომეცხადა.

ამ დროს რომელიღაც ოთახიდან მოსამსახურის ძახილი მოესმა და ალბათ ვახშმის ამბავი უნდა მკითხოსო, — გაიფიქრა, თუმცა სამსახურიდან წამოწვლისას წინასწარ დაურეკა, ვახშმის თადარიგი წინასწარვე დაიჭირა. კიკუძი სახლში შევიდა და მალე იქიდან თეთრი ტილოს კიმონოში გამოწყობილი დაბრუნდა.

ფუმიკომ მანამდე კოსმეტიკა გაიახლა. სახე მოიწესრიგა, ვიდრე კიკუძი დაჯდებოდა, ერთხანს შეიცადა და ბოლოს ჰკითხა:

— მაინც რაო, რა გითხრათ კურიმოტო-სანმა?

— რა უნდა ეთქვა, გათხოვდაო, ეგრეევე მომახალა...

— თქვენც ადექით და დაიჯერეთ, არა, მიტანი-სან?

— აბა რა უნდა მექნა? ამისთანა ტყუილს ვაცი, უბრალოდ, ვერც კი წარმოიდგენ!

— და ეჭვიც არ შეგეპარათ, არა? — ფუმიკოს დიდი, ნათელი თვალები ცრემლით აევსო. — ნუთუ ახლა მე გათხოვება შემიძლია? ან თავი მაქვს და ან გული? ალბათ ვერც ვერავინ წარმოიდგენს, რამდენი ტანჯვა, რამდენი მწუხარება გამოვიარეთ მე და დედამ, არც მე... — ფუმიკო დედაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ცოცხალზე... — და არც დედას, ის ტანჯვა და მწუხარება ჯერ ოდნავადაც არ გაგვნელებია... ბევრი გვითანაგრძნობდა, კეთილად გვეკიდებოდა. მაგრამ ისეთებიც საკმარისად იყვნენ, ბოროტად რომ გვეჭ-

ცეოდნენ. ჩვენ კი მაინც იმედს არ ვკარგავდით, ასე გვეგონა, ბოლოს და ბოლოს უსათუოდ გაგვიგებდნენ. ან იქნებ ეს ილუზია უფრო იყო, საკუთარი თავის ანარეკლი საკუთარი სულის სარკეში?

თითქოს საცაა ხმამაღლა ატირდებოდა ფუმიკო.

კიკუძი ერთ ხანს გაჩუმებული უსმენდა და ბოლოს უთხრა:

— ფუმიკო-სან, გახსოვთ, ერთხელ რომ გკითხეთ, როგორ [illegible]ნა შემიძლია, მე ახლა ცოლი ვითხოვო-მეთქი. თავსხმა წვიმა [illegible] ხომ გახსოვთ? აი, იმ დღეს...

— დიახ... საშინლად ქუხდა და ელავდა...

— თქვენც დღეს სწორედ ანალოგიურ კითხვას მისვამთ, — თქვა კიკუძიმ.

—არა, ეს სულ სხვაა...

— თქვენ მაშინ ასჯერ მაინც მითხარით, ცოლს თხულობთო.

— მაგრამ... ჩემსა და თქვენს შორის ხომ, მიტანი-სან, ძალზე დიდი განსხვავებაა... — ეუბნებოდა ფუმიკო და ცრემლით სავსე თვალებს არ აცილებდა... — დიახ, ძალზე დიდი განსხვავებაა.

— მაინც?

— ჯერ ერთი, ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა სულ სხვაა, თქვენი კი სულ სხვა.

— საზოგადოებრივი მდგომარეობა?

— რა თქმა უნდა.. მაგრამ არა მარტო ეს... საზოგადოებრივი მდგომარეობა, ვთქვათ, სულაც არ ვახსენე. მთავარი ისაა, მე და თქვენ სრულიად განსხვავებული ბედისანი ვართ. მთელი ჩემი ცხოვრება უსაზღვრო ტანჯვით არის სავსე, ჩემთვის ყველაფერი სიბნელით არის მოცული.

— თუ თქვენ ცოდვის სიღრმესა და სიმძიმეზე მიმანიშნებთ, მაშინ პირველ რიგში ჩემზე უნდა ვილაპარაკოთ.

— არა! — ფუმიკომ თავი მტკიცედ გადააქნია და თვალზე ცრემლი მოადგა. ცრემლი ნელა მოწანწკარებდა მის ღაწვებზე, მკერდზე ტკაპატკუპით ეყრებოდა. — დედამ მთელი ის ცოდვა თავისზე აიღო და სიკვდილი არჩია. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, მე ეს ცოდვად სულაც არ მიმაჩნდა. ცოდვა კი არა, ეს მისი ტკივილი და უბედურება იყო. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება... ცოდვა ხომ სამუდამოა, ადამიანი მას ვერასოდეს მოიშორებს, ტკივილს კი თავისი დრო და თავისი დასასრული აქვს...

კიკუძიმ თვალები დახარა.

— მაინც რატომ მიგაჩნიათ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება ტანჯვით არის სავსე, რომ თქვენი ბედი უსიხარულოა? ამით ხომ ჩრდილს აყენებთ დედათქვენის სიკვდილს?

— ეტყობა, კარგად ვერ გითხარით — მე მხოლოდ იმისი თქმა მინდოდა, თუ რაოდენ ტრაგიკული და უსაზღვროა ჩემი მწუხარება.

— მაგრამ, მწუხარება ხომ...

უნდოდა ეთქვა, მწუხარება ხომ სიყვარულსაც ახლავსო, მაგრამ აღარაფერი უთხრა.

— ასე რომ, ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა... თქვენ, მიტანი-სან, უკვე საცოლეც გყავთ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იუკიკო-სანი თანახმაა, ცოლად გამოგყვეთ... — განაგრძო ფუმიკომ. — კურიმოტო-სანს ჯერ დედა მიაჩნდა თქვენი ქორწინების ხელის შემშლელად, ახლა მე მთვლის დაბრკოლებად... ის ჩემი გათხოვების ამბავიც, მე მგონი, სწორედ ამიტომ მოიგონა. აბა, მაგ ტყუილს სხვაგვარად რითი ახსნი?

— იმან ისიც მითხრა, ინამურა-სანი გათხოვდაო.

ფუმიკოს სახეზე წუთით უკიდურესი გაოცება აღებეჭდა.

— შეუძლებელია!.. არა, რა თქმა უნდა, არ მჯერა... ეგ ხომ მტკნარი სიცრუეა!.. — ჯიუტად გადააქნია თავი ფუმიკომ. — როდის? მერე როდის იყო ეს ამბავი?

— ინამურა-სანის ქორწილი? ალბათ სულ ახლახანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტყუილია!

— ასე თქვა, ორივენი გათხოვდნენო. თქვენი ამბავიც ამიტომ დავიჯერე... რა იცი, იუკიკო იქნებ გათხოვდა კიდევაც.

— არა-მეთქი, ხომ გეუბნებით. ტყუის!.. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ პაპანაქება სიცხეში ქორწილს ვინ გადაიხდის, საქორწილო ტანისამოსს ვინ ჩაიცვამს? ხომ სულ გაიხვითქა.

— თქვენის აზრით, ზაფხულში ქორწილს არავინ იხდის?

— მე მგონი, არავინ... რაიმე გამონაკლისი თუ მოხდა, თორემ... ისე, ხომ შეიძლება, ქორწილი შემოდგომისათვისაც გადაიდოს...

ფუმიკოს ცრემლი ლაპალუპით სცვიოდა მუხლებზე, იჯდა თავდახრილი და ცრემლით დასველებულ კალთას თვალმოუცილებლად დასცქეროდა.

— რატომ, რატომ იცრუა ასე კურიმოტო-სანმა?

— თან, წარმოგიდგენია, რა მარჯვედ, რა მოხერხებულად მომატყუა! ცხადია, ტყუილია, მაგრამ, ეს ტყუილი ასე რატომ ატირებს ფუმიკოს? მართალი კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ არის... მართალია მხოლოდ ის, რომ თიკაკომ ფუმიკოზე მტკნარი სიცრუე თქვა.

იუკიკო, ეტყობა, ნამდვილად გათხოვდა. და აი, თავისი გაცრუებული მაჭანკლობით გაბოროტებულმა თიკაკომ, ეტყობა, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ფუმიკო კიკუძისათვის ჩამოეშორებინა. ის ტყუილიც, როგორც ჩანს, ამიტომ მოიგონა...

მაგრამ ვერც ამ განმარტებამ დააკმაყოფილა კიკუძი. ის კი არა, ახლა უკვე აღარც იუკიკოს გათხოვების ამბავი ეჩვენებოდა სარწმუნოდ.

— ასეა თუ ისე, ვიდრე ნამდვილად არ დავრწმუნდებით, იუკიკო-სანი მართლა გათხოვდა თუ არა, კურიმოტოს ეს ხუმრობა ასედაც შეიძლება აიხსნას და ისედაც.

— ხუმრობა?!

— მოდი, ჩავთვალოთ, რომ ეს, უბრალოდ, ხუმრობა იყო და მეტი არაფერი.

— მე რომ დღეს თქვენთვის არ დამერეკა, განა დარწმუნებული არ იყავით, ნამდვილად გათხოვდაო? აბა, ეს რა ხუმრობაა...

ამ დროს ისევ დაუძახა მოსამსახურემ კიკუძის.

უკან რომ მობრუნდა, ხელში კონვერტი ეკავა.

— აი, ესეც თქვენი წერილი, ფუმიკო-სან! თქვენი უმარკო წერილი... — თქვა ღიმილით და კონვერტს გახსნა დაუპირა.

— არა, არ გახსნათ!

— რატომ?

— არა, არ მინდა. თუ შეიძლება, დამიბრუნეთ! — ფუმიკო არ ამდგარა, კიკუძისაკენ დამჯდარი მიჩოჩდა და ხელი წერილისაკენ გაიწოდა. — მომეცით!

კიკუძემ კონვერტი სასწრაფოდ ზურგს უკან დამალა.

ქალიშვილმა მარჯვენა ხელი კონვერტს წაატანა და მარცხენით ინსტიქ-

ტურად ვაჟის მუხლს დაეყრდნო. აი, ხელები სხეულს თითქოს აქეთ-იქით ეწევიან, სხეული წუთით თითქოს წონასწორობას კარგავს... მაგრამ, აი, ხელები მალე ისევ შეთანხმებულად იწყებენ მოქმედებას — მარჯვენა კვლავ წერილისაკენ მიიწევს, მარცხენა კვლავ სხეულის შეკავებას ცდილობს. თავი თითქმის ვაჟის მკერდზე აქვს მიდებული, სხეული გრაციოზულად ჯადოსნილი. თითქოს: ჰა და ჰა, საცაა დაეცემა. ის კი სხეულს ისე მსუბუქად, ისე მოხდენილად აკავებს, კიკუძი გაოცებული რჩება... და აი, მარცხენა — რომელიც ქალიშვილი საკუთარი სიმძიმის შეკავებას ცდილობდა. კიკუძის მუხლზე ახლა ნიავივით მსუბუქად ასვენია.

რა მოქნილი, რა მარჯვე და გრაციოზულია! აკი ასე ეგონა, საცაა მის მუხლებზე მოზვავდებოდა, მისი სხეულის სიმძიმეს შეიგრძნობდა. ის კი, არა თუ არ დაცემულა, წესიერად არც კი შეხებია. მიუხედავად ამისა, კიკუძი თრთოლვამ აიტანა, ისეთი ძალით, ისეთი სიძლიერით შეიგრძნო ქალი — ქალბატონი ოტა...

მაინც როგორ... როგორ შეიკავა თავი ფუმიკომ? როდის მოადუნა მის მუხლზე დაბჯენილი მარცხენა? დიახ, ეს იყო ახალგაზრდა ქალის წარმოუდგენელი სიმარჯვე, საოცარი წინდახედულობა. ქალური სიფრთხილის იდუმალი გამოვლენა...

კიკუძის ასე ეგონა, საცაა მძიმე ტვირთივით ჩამოაწვებოდა მუხლებზე, ამის მაგიერ კი, მთელი მისი არსება ქალის საოცარმა სითბომ და სურნელმა აავსო.

თავბრუდამხვევმა, დამბანგავმა, მათრობელმა სურნელმა, რომელშიაც ყველაფერი იყო — გრძელი, უსასრულო დღეც, ზაფხულის თაკარა სიცხეც და მთელი ეს ცხოვრებაც. სწორედ ასეთი სურნელი უდიოდა ქალბატონი ოტას ალერსსაც...

— მომეცით! ძალიან გთხოვთ, მომეცით!..

კიკუძის წინააღმდეგობა ალარ გაუწევია. წერილი პატრონს დაუბრუნა.

— ახლავე დავხევ.

ფუმიკო შეტრიალდა და წერილი ნაფლეთებად აქცია. თეთრ, მაღალ კისერსა და თეთრ, შიშველ მკლავებზე ოფლი ცვარივით ეყარა.

წელან, ლამის რომ დაეცა, თავი ლამის ძლივს რომ შეიკავა, ჯერ საშინლად გაფითრდა, მერე, ეტყობა, დასცხა, გაწითლდა. სახეზე ცეცხლივით წამოეწოთ.

3.

ჩვეულებრივი ვახშამი, რომელიც მახლობელი რესტორნიდან მოიტანეს, არაჩვეულებრივად უგემური გამოდგა.

კიკუძის, ჩაის სხვა დანარჩენ ჭურჭელთან ერთად, წინ ცილინდრული ფორმის ფინჯანიც ედგა — მოსამსახურე ქალმა, ჩვეულებისამებრ, ჩაი ახლაც ამ ცილინდრული ფორმის ფინჯანით მოუტანა.

კიკუძემ უცბად მთელი თავისი ყურადღება ფინჯანზე გადაიტანა.

ფინჯანს ფუმიკომაც მიაქცია ყურადღება.

— ჩაის თქვენ თურმე ამ ფინჯნით მიირთმევთ?

— დიახ...

— რა უხერხულია... — თქვა ფუმიკომ. თუმცა მის ხმაში ამ წუთას გა-

ცილებით ნაკლები უხერხულობა იგრძნობოდა. ვიდრე თავად კიკუძი განიცდიდა ამას ამჯერად, — ჯერ გაჩუქეთ, აი, ახლა კი ვნანობ... წერილშიაც სწორედ ამის თაობაზე გწერდით.

— რის თაობაზე?

— რის და, ფინჯნის... ასეთი უმნიშვნელო საჩუქრის გამო დიდ ბოდიშს გიხდით.

— უმნიშვნელო? რას ბრძანებთ, შესანიშნავი ფინჯანი!

— მე მაინც მგონია, რომ არც ისეთი კარგი სინოა. ეს რომ არა, დედა ყოველდღიურად არ იხმარდა.

— მართალი გითხრათ, დიდად ვერც მე ვერ ვერკვევი. მიუხედავად ამისა, მე მგონი, კარგი სინოა! — კიკუძიმ ფინჯანი ხელში აიღო და შეატრიალ-შემოატრიალა.

— მაგრამ ამაზე გაცილებით უკეთესიც ხომ ბევრია! ფინჯანს ხელში აიღებთ, უკეთესი გაგახსენდებათ, შეადარებთ და გული დაგწყდებათ...

— რას უნდა შევადარო, სახლში მე მხოლოდ ეს ერთი სინო მაქვს!

— ვთქვათ, სადმე სხვაგან ნახეთ... შეხედავთ და — ჩემსას სჯობიაო — გული შეგეცვლებათ. ეს კი ჩვენთვის — ჩემთვისაც და დედასთვისაც მეტის-მეტად გულსატკენი იქნებაო.

კიკუძის ყელში რალაცამ წაუჭირა!

— ნეტავი სად რა უნდა ვნახო! მე ხომ ჩაის ცერემონიალებზე არ დავდივარ. მე ხომ სამუდამოდ ჩავიქნიე ხელი ამ საქმეზე.

— ხომ შეიძლება, შემთხვევით ნახოთ სადმე. ესეც რომ არა, აქამდეც ალბათ არაერთხელ გინახავთ.

— იცით რა, ისე გამოდის, თუ ყველაზე უკეთესი და გამორჩეული არ არის, ვერავის ვერაფერს აჩუქებ.

— დიახ, — თქვა ფუმიკომ, თავი ასწია და კიკუძის თვალებში შეხედა. — ნამდვილად ასე ვფიქრობ... წერილშიაც სწორედ ამას გთხოვდით: ფინჯანი გატეხეთ, ნამტვრევები სადღაც შორს გადაყარეთ-მეთქი.

— გავტეხო? ასეთი ფინჯანი როგორ უნდა გავტეხო? ოთხასის თუ არა, სამასი წლის ხომ იქნება? ავდგე და გავტეხო ასეთი ნახელავი?! რა იცი, ოდესღაც იქნებ სხვა დანიშნულებისათვისაც იყენებდნენ, ჩაის დალევა ამით აზრადაც არ მოსდიოდათ... გადიოდა წლები, ვიღაცები უვლიდნენ, ელოლიავებოდნენ, ფრთხილად, სათუთად გადასცემდნენ ხელიდან ხელში. ბუდეში ფაქიზად და საიმედოდ შენახული, მავანსა და მავანს, იქნებ, მგზავრობაშიაც თან დაჰქონდათ... ასე გადადიოდა იგი თაობიდან თაობაში. ახლა კი ამ თქვენი ჭირვეულობის გამო ავდგე და გავტეხო ეს საუკუნეებგამოვლილი ფინჯანი? თან, როგორც ამბობთ, ერთ ადგილას, კიდეში, თურმე ქალბატონი ოტაპ ტუჩის პომადის ნაკვალევიც ატყვია...

დედა ამბობდა, კერამიკა ტუჩის საცხს ისე იწოვს, ასჯერაც რომ გარეცხო, ვერაფრით მოაცილებო, — თქვა ერთხელ ფუმიკომ. კიკუძიმ, მართლაც, რამდენი არ ხეხა და არ რეცხა, იმ ჩამუქებულ ადგილს ვერა და ვერაფერი მოუხერხა. მართალია, ლაქა წითელი კი არა, ღია ყავისფერი იყო, მაგრამ რაღაც მოწითალო ფერი მაინც დაჰკრავდა. მოკლედ, ქაცი თუ მოისურვებდა, შეეძლო, პომადის ფერგამოხუნებულ ნაკვალევადაც ჩაეთვალა. ისე, ხომ შეიძლებოდა, თვითონ სინოსაც ჰქონოდა ეს ოდნავი მოწითალო ელფერი? გარდა ამისა, აბა, რა აუცილებელი იყო, ეს ტუჩის ნაკვალევი უსათუოდ ქალბა-

ტონი ოოტას ტუჩის ნაკვალევი ყოფილიყო? ამ ფინჯნით მანამდეც, ვინ იცის, რამდენი ქალი სვამდა ჩაის. იქნებ ეს ნაკვალევი მისმა ადრინდელმა მფლობელებმა დატოვეს? ჩაის დალევის დროს ბაგე ხომ მუდამ ერთ გარკვეულ ადგილს ეხება... და მაინც, ქალბატონ ოოტას იგი ალბათ სხვაზე ხშირად მიჰქონდა ბაგესთან, ვინაიდან იგი მას ყოველდღე ხმარობდა...

ნეტავი თვითონ მოუვიდა ქალბატონ ოოტას აზრად, ყოველდღიურ ფინჯნით ესვა ჩაი, ყოველდღიურ სახმარად გაეხადა. თუ მამამ ურჩია [illegible] ვა გონებაში კიკუძის.

ამას გარდა, მამამისსა და ფუმიკოს დედას, რითნიოს ნახელავი ის ორი ცილინდრული ფორმის წითელი და შავი ფინჯანიც, ალბათ, ხშირად ეჭირათ ხელში. ორი ერთმანეთის ჯუფთი, ცოლ-ქმარი ფინჯანი... იმ ფინჯნებითაც ჩაის ისინი ალბათ უბრალოდ და შინაურულად სვამდნენ.

ქალბატონ ოოტას ხანდახან მამა იქნებ იმასაც კი სთხოვდა, სინოს ქოთანში ვარდები ან მიხაკები ჩაელაგებინა. ანდა, იქნებ, მიაწვდიდა ქალს ფინჯანს და უძველესი სინოთი ხელდამშვენებული ამ მომხიბვლელი ქალის მზერით ტკბებოდა...

და აი, მათი გარდაცვალების შემდეგ ქოთანიც და ეს ფინჯანიც კიკუძისთან აღმოჩნდა. ახლა კი, აგერ, ქალბატონი ოოტას ქალიშვილი — ფუმიკოც მასთანაა.

— არა, ეს ჭირვეულობა არ არის. მე ამას სრულიად სერიოზულად გეუბნებით: ფინჯანი უსათუოდ უნდა გატყდეს... — თქვა ფუმიკომ. — როდესაც მე ის ქოთანი გაჩუქეთ, ისე გაგიხარდათ, გამახსენდა რომ კიდევ ერთი სინოს ნივთიც მქონდა და მაშინვე გავიფიქრე, იმ სინოსაც კიკუძის ვაჩუქებ-მეთქი. მინდოდა, ყოველდღიურ სახმარად გქონოდათ. ახლა კი ვუყურებ და ასეთი უმნიშვნელო საჩუქრის გამო, სირცხვილით ვიწვები.

— რას ბრძანებთ! ჩინებული სინოა! ისე, თუკი რამ საბარცხვინოდ, უფრო მეტიც, ცოდვადაც შეიძლება ჩაითვალოს, ასეთი ფინჯნის ყოველდღიური ხმარებაა!

— მიუხედავად ამისა, ცუდი ფინჯანია!.. რამდენიც გნებავთ, იმდენია ამაზე უკეთესი, იმის უბრალო გაფიქრებაც კი, შეიძლება ხელში ეს სინო ეჭიროს, გუნებაში სხვა, უკეთეს სინოს ადარებდეს-მეთქი, ჩემთვის მართლაც რომ აუტანელია.

— ესე იგი, თქვენის აზრით, მხოლოდ იმის გაჩუქება შეიძლება, რაც ყველაზე უკეთესია?

— გააჩნია, ვის ჩუქნი და რა ვითარებაში ჩუქნი...

ფუმიკოს სიტყვები კიკუძის გულში ჩასწვდა.

ესე იგი, ნივთი, რომელსაც კიკუძი მისგან ქალბატონი ოოტას სამახსოვროდ მიიღებს, უსათუოდ შედეგრი უნდა იყოს... რომ ეს თვითონ კიკუძისათვისაც იქნება უკეთესი, და რომ იგი, კიკუძი, ქალბატონი ოოტასა თუ ფუმიკოს გახსენებაზე, ბაგით იქნებ თუ თითებით, რაღაც უსაზღვროდ კარგსა და მშვენიერს უნდა შეეხოს...

ეს ალბათ ფუმიკოს ყველაზე სანუკვარი სურვილი იყო. ამის დამამტკიცებელი კი, ის სინო ანუ სინოს ის ქოთანი გახლდათ.

მისი ცივი, ამავე დროს შინაგანი მხურვალებით აღსავსე ელვარება კიკუძის ქალბატონი ოოტას სხეულს აგონებდა. ამ მოგონებაში არ იყო უხამსობა, არ იყო სიმწრის, არ იყო სირცხვილის ნატამალიც კი. ვინაიდან ყოველი

მშვენიერი ყოველგვარ უხამსობაზე, სიმწარესა და სირცხვილზე დიდია... ბუნებას სურდა, შეექმნა ქალი და შეექმნა ქალბატონი ოტა — იგი ბუნების ჭეშმარიტად სრულყოფილი ქმნილება გახლდათ, სრულყოფილების განსჯა კი არავის ეწიფების, რამეთუ სრულყოფილებას არც წუნი აქვს, არც ხინჯი...

როცა კი ამ ქოთანს უყურებდა, თავში მუდამ ასეთი აზრები უტრიალებდა კიკუძის.

გარდა ამისა, სინოს ყოველ შეხედვაზე ფუმიკო აგონდებოდა. იმ დღეს, იმ წვიმიან დღეს, აკი უთხრა კიდევაც ტელეფონზე — მხოლოდ ტელეფონზე შეეხებედა... და აი, ფუმიკოსაც სწორედ იმ დღეს გაახსენდა, შინ კიდევ ერთი სინოს ფინჯანიც რომ ჰქონდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ფუმიკო არ სცდებოდა: ფინჯანი ნამდვილად მხარს ვერ აუბამდა ამ ქოთანს.

— მამაჩემს ერთი სამგზავრო ზარდახშა აქვს, — თქვა ბოლოს კიკუძემ,— — იმ ზარდახშაში ერთი ფინჯანია და იგი აშკარად ჩამოუვარდება ამ სინოს.

— მაინც, როგორი ფინჯანია?

— რა ვიცი, მე იგი თვალითაც არასოდეს მინახავს.

— ხომ მაჩვენებთ?.. დარწმუნებული ვარ, მამათქვენის ფინჯანი გაცილებით უკეთესი იქნება. თუ ეს ასე აღმოჩნდა, ამ ფინჯანს მაშინვე გავტეხავ, კარგი?

— არა, ვერ გაჩვენებთ. თქვენთვის იმის ჩვენება საშიშია...

ჩარჩოზად მორთმეულ საზამრთოს კურკას მარჯვედ და ლაზათიანად რომ აცლიდა, ფუმიკომ ერთხელ კიდევ სთხოვა:

— იმ ფინჯანს ხომ ვერ მაჩვენებდით?

კიკუძემ მოსამსახურე ქალს ჩაის პავილიონის გახსნა დაავალა, ვინაიდან, დარწმუნებული იყო, ზარდახშა სწორედ პავილიონში უნდა ყოფილიყო. მერე წამოდგა და ბაღში გავიდა:

„მე, აი, წარმოდგენაც არა მაქვს, ზარდახშა სად არის, კურიმოტო კი მაშინვე მოიტანდა — იმან ხომ აქ ყოველი კუთხე-კუნჭული იცის!..."

კიკუძემ უკან მიიხედა. ფუმიკო თეთრი ოლეანდრის ჩრდილში იყო გახვეული, წინდებსა და ბაღის გეტებში გამოწყობილი ნელა მოაბიჯებდა ხის ფესვებზე.

ზარდახშა მიძუიაში, გვერდითა თაროზე აღმოჩნდა.

კიკუძემ იგი პავილიონში შემოიტანა და ფუმიკოს წინ დაუდო. ქალიშვილი დარბაისლურად, წელგამართული იჯდა, შეფუთული ზარდახშის გახსნას მშვიდად ელოდა.

— შეიძლება? — უთხრა ბოლოს ფუმიკომ და ზარდახშისაკენ ხელი გაიწოდა.

— სიამოვნებით, ოლონდ, ძალიანაა დამტვერილი.

ამ სიტყვებით კიკუძემ ზარდახშა ბაღში გაიტანა და მტვერი გადაფერთხა.

— იცით, მიძუიაში, თაროზე, მკვდარი ჭრიჭინობელა ეგდო, უკვე მატლიც კი დასეოდა...

— პავილიონში კი სისუფთავეა.

— დიდი ხანი არ არის, რაც კურიმოტომ დაასუფთავა, აი, იმ დღეს, თქვენი და იუკიკოს გათხოვების ამბავი რომ მახარა. უკვე სალამო ხანი იყო, ის კი

არა. ბნელოდა კიდევაც, ალბათ ეს მკვდარი ჭრიჭინობელაც იმიტომ ვერ შეამჩნია.

ფუმიკომ ზარდახშა გაიხსნა და რაღაც შეხვეული, როგორც ჩანს, ფინჯანი ამოიღო. ფუთაზე თავწაბრილი, აბრეშუმის ზონარს ხსნიდა და თითები ოდნავ უთრთოდა.

იგი როგორღაც მხრებჩამოშვებული იჯდა. კიკუძიმ გვერდიდან შეხედა და მისი ყურადღება კვლავ ქალიშვილის მაღალმა, ნატიფმა კისერმა მიიპყრო.

ჯიუტად ტუჩებმოკუმულ ფუმიკოს ქვედა ბაგე ოდნავ წინ ჰქონდა წამოწეული. საოცრად საყვარელი და გულის ამაჩუყებელი იყო მისი ეს ლამაზი ბაგეცა და ყურის სავსე ბიბილოც.

— კარაცუ...[1] — თქვა ფუმიკომ და კიკუძის შეხედა.

კიკუძიმ ეზლოს მოიწია.

ქალიშვილმა ფინჯანი ტატამიზე დადგა.

ცილინდრული ფორმის ეს პატარა ჭურჭელი, როგორც ჩანს, ყოველდღიური ხმარებისათვის იყო განკუთვნილი.

— რა სადა, როგორი მკაცრი ხაზები აქვს! სად ესა და სად ის სინო!

— განა შეიძლება კარაცუსა და სინოს შედარება? ეს ხომ სხვადასხვაა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კერამიკა?

— რატომაც არა! საკმარისია, ეს ორი ფინჯანი ერთმანეთის გვერდიგვერდ დააწყო, რომ მაშინვე ყველაფერი აშკარა გახდეს.

კარაცუს სიწმიდითა და მისი მკაცრი ფორმით მოხიბლულმა კიკუძიმ ფინჯანი ხელში აიღო.

— ის სინოც ხომ არ მოვიტანო?

— მე თვითონ მოვიტან. — ამ სიტყვებით ფუმიკო წამოდგა და პავილიონიდან გავიდა.

როგორც კი ის ორი ფინჯანი გვერდიგვერდ დადგეს, კიკუძიმ და ფუმიკომ ერთმანეთს ერთდროულად შეხედა.

მერე ორივემ ასევე ერთდროულად შეთქმულებივით მზერა კვლავ ფინჯნებზე გადაიტანა.

— ეს, ხომ კაცისა და ქალის ფინჯნებია. ერთად დააწყობ თუ არა, მაშინვე აშკარაა, რომ ასეა. — თქვა ოდნავ შეცბუნებულმა კიკუძიმ.

ფუმიკომ თავი დაუქნია. ასე გეგონებოდა, ლაპარაკის ღონე აღარ ჰქონდა. კიკუძის კი ჩანს, თავისავე ნათქვამი თვითონვე ეუცნაურა. — იგი შემკრთალი და დაბნეული იყო.

სადა, მოუხატავი კარაცუს ოდნავ გარგარისფერ ნაფიფქმოდებული ლაკვარდიდან მეწამული ათინათი ატანდა. მკვიდრი, მამაკაცური ხაზებით გამოირჩეოდა.

— ეს ფინჯანი ალბათ მამათქვენის საყვარელი სამგზავრო ფინჯანია. ზუსტად მისი გემოვნების შესაფერი.

ფუმიკოს, ჩანს, აზრადაც არ მოსვლია, რა საშიშროება იფარებოდა მის სიტყვებში.

კიკუძიმ კი ვერ გაბედა და ვერ უთხრა, ეს სინოს ფინჯანი ქალბატონ ოოტას მაგონებსო. მიუხედავად ამისა, ფინჯნები ახლა ერთმანეთის გვერდიგვერდ ისე ეწყო, როგორც ფუმიკოს დედისა და კიკუძის მამის ორი გული.

---

[1] კარაცუ — კერამიკის ერთ-ერთი სახეობა.

ორი ძველთაძველი ფინჯანი, სამასი თუ ოთხასი წლის წინანდელი ოსტატის ნახელავი. ყოველგვარ ღვარჭნილობას მოკლებული. მკაცრი, სადა ხაზები... თუმცა ამ სიმკაცრესა და სისადავეში იყო რაღაც თავისებური მგრძნობელობა, იყო ძალა... არაჩვეულებრივი სიმყარე.

ერთმანეთის გვერდიგვერდ დადგმული ორი ფინჯანი... ორი მშვენიერი სული... კიკუძი ამ წუთას თითქმის ცხადლივ ხედავდა მამამისს, ხედავდა ფუმიკოს დედას — ქალბატონ ოოტას.

ორი ფინჯანი... ორი რეალური ნივთი. რეალური და უნაკლოდ მშვენიერი... ახლა ეს ორი მშვენიერი ფინჯანი ფუმიკოსა და კიკუძის შუა დგას. ისინი კი სხედან და ამ უზადო ნივთებს შეჰყურებენ. და არც ამ ნივთებში, არც ამ ცოცხალ ადამიანებში, არ არის არავითარი ბიწი. ყოველი არის სუფთა და ყოველივე არის სპეტაკი. ახლა მათ უკვე უფლება აქვთ, ისხდნენ ასე ერთმანეთის გვერდიგვერდ და...

ნუთუ ამ მკაცრმა ხაზებმა, ამ მოელვარე ზედაპირმა განუქარვა კიკუძის შეცოდებისა და დანაშაულის ის გრძნობა? სულის მოხსენიების კვირამ ჩაიარა თუ არა, განა მაშინვე უთხრა ფუმიკოს, აი, ვზივარ ახლა აქ, თქვენ გვერდით და იქნებ ამით ძალიან... ძალიან ცუდ საქმესაც ჩავდივარო.

— რა სილამაზეა... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კიკუძემ. — ეინ იცის, მამა იქნებ ხშირად უტრიალებდა ამ ფინჯნებს, ხშირად ათვალიერებდა... თუმცა კი მამაჩემისთანა კაცისათვის ეს არც თუ ისე ჩვეულებრივი საქციელი იყო. უყურებდა და ყველაფერი ქარვდებოდა — აღარც დანაშაული იყო მის გულში, აღარც ცოდვა...

— ცოდვა?.. ო, ღმერთო!

— ასეა... ამ ფინჯნების შემხედვარეს, ეჭვი არ შეგეპარება, ამათ პატრონს ან ცოდვა ჰქონოდა, ან რაიმე უგვანო საქმის ჩადენა შესძლებოდა. მამაჩემის სიცოცხლე კი მეტისმეტად მცირე და ხანმოკლე იყო...

— სიკვდილი ყველას ფეხდაფეხ დაგვყვება... ღმერთო, რა საშინელებაა... — წაიჩურჩულა ფუმიკომ. — სულ იმას ვცდილობ, მასზე... დედაზე არ ვიდარდო... განა შეიძლება, ადამიანმა ყოველ წუთს სიკვდილზე იფიქრო, როცა ის სიკვდილი ერთთავად თავზე შენც აჩრდილივით გადგას.

— დიახ, ასეა... მართალი ხართ... არ შეიძლება, კაცი სულ სიკვდილსა და მიცვალებულზე ფიქრობდე. ასე გგონია, მაშინ შენც უკვე ამქვეყანას აღარა ხარ.

მოსამსახურემ ჩაიდანი შემოიტანა. ალბათ იფიქრა, ჩაის ცერემონიალისათვის მდუღარე ენდომებოდათ, ეინაიდან ფუმიკო და კიკუძი კაი ხანია უკვე პავილიონში ისხდნენ.

— ამ ფინჯნებით ხომ არ გვესარგებლა, პატარა ჩაის ცერემონიალი ხომ არ მოგვეწყო? ვითომ გზაში ვართ... — შესთავაზა კიკუძემ.

ფუმიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ესე იგი, ვიდრე გაეტეხავდე, თქვენ გინდათ, დედაჩემის სინო უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოგვემსახუროს? — თქვა ფუმიკომ, ჩაის ზარდახშიდან ბამბუკის ქუჯი ამოიღო და გასარეცხად გავიდა.

ცაზე ჯერ ისევ ზაფხულის მზე ანათებდა...

— ვითომ გზაში ვართ... — ჩაილაპარაკა ფუმიკომ და პატარა ფინჯანს ბამბუკის პატარა ქუჯი მოურია.

სასტუმროში, არა?

— სასტუმროში? რატომ, ვთქვათ, მდინარის ნაპირას ანდა სადმე მთაში? ეჰ, მდულარე კი არა, ცივი წყალი უნდა აგვეღო, ვითომ მთიდან მოჩუხჩუხე ჩანჩქერის წყალია...

ფუმიკომ ფინჯნიდან ქუჯი ამოიღო, თავი ასწია და ვაჟს წუთით თავისი შავი თვალები შეანათა, მაგრამ იმავე წუთს თვალები ძირს დაბარა. ... ახლა ფინჯანზე გადაიტანა. მერე ჩაით სავსე ფინჯანი ხელისგულზე ... კიკუძის გაუწოდა და ფინჯანიცა და ფუმიკოს მზერაც სადღაც მის მუხლებთან გაიყინა. და აი, კიკუძი ერთბაშად ისეთმა გრძნობამ მოიცვა, ფუმიკო თითქოს ტალღად ეფინებოდა, მთელს მის არსებას ეუფლებოდა.

მერე ქალიშვილმა დედამისის სინო წინ დაიდგა, იჯდა, ჩაის ურევდა და ბამბუკის ქუჯს ფინჯანში რაკარუკი გაჰქონდა.

— რა ძნელია! — თქვა ფუმიკომ და რევას თავი ანება.

— დიახ, პატარა ფინჯანია, ძნელი მოსარევია.

მაგრამ ფინჯანი არაფერ შუაში იყო — ქალიშვილს, უბრალოდ, ხელები უკანკალებდა.

ფუმიკომ თავი ძირს დაბარა, ახლა იგი ეტყობა საკუთარ თითებს დაჰყურებდა.

— დედა ჩაის დაყენების უფლებას არ მაძლევს...

— რათ, რათ?

კიკუძი წელში გაიმართა, მერე წამოდგა და ფუმიკოს მხრებში ხელი ისე ჩაავლო, თითქოს ამ ადგილას რაღაც ჯადოსნური ძალით მიჯაჭვულ ქალიშვილს წამოდგომაში უნდა მიეხმაროსო.

ფუმიკოს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

*

კიკუძის მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მეორე დილას კი, გალეღრეის დარაბის ღრიჭოში მზის პირველმა სხივმა შემოანათა თუ არა, მაშინვე წამოდგა და ჩაის პავილიონისაკენ გასწია.

ბაღში, ქვის პირსაბანი თასის წინ, ქვის ფილაქანზე, გუშინ საღამოს აქეთია სინოს ნამტვრევები იყო მიბნეულ-მობნეული.

კიკუძიმ ოთხი მოზრდილი ნატეხი აიღო და ერთმანეთს მოარგო — ფინჯანს მხოლოდ ერთი პატარა ნატეხილა აკლდა კიდეში.

დაკარგული ნაწილი ქვებში ერთხანს დაეძებინა, მაგრამ ძებნას მალე ისევ თავი მიანება.

მერე მაღლა აიხედა, აღმოსავლეთით, ხის შავ შტოებს შორის, ცაზე ერთადერთი უშველებელი ვარსკვლავი კაშკაშებდა.

რამდენი წელიწადია ალიონზე ცისათვის აღარ შემიხედავს, ცისკრის ვარსკვლავი აღარ დამინახავს... — გაიფიქრა კიკუძიმ.

ცას ღრუბლის ჭარავანი მოსდებოდა. ვარსკვლავი ღრუბელსა და ღრუბელს შორის ჭიატებდა, რის გამოც იგი კიდევ უფრო დიდი და ბრდღვიალა ჩანდა, მკრთალ, მოციმციმე შარავანდში იყო გახვეული...

განა საკოდაობა არ არის, იდგე და ნამტვრევებს აგროვებდე, როცა თავს ზემოთ ასეთი ბჟღვრიალა, შუქმფინარი ვარსკვლავი დაგკაშკაშებს!

თქვა კიკუძიმ და ნამტვრევები ისევ ძირს დაყარა.

გუშინ საღამოს ფუმიკომ ფინჯანი ქვის პირსაბან თასს მიათხლიშა და ნამსხვრევებად აქცია. კიკუძიმ ქალიშვილის შეჩერება ვერ მოასწრო.

ჩაის პავილიონიდან ისე გამოვარდა, თითქოს უნდა გაქროს, უნდა გაუჩინარდესო. კიკუძემ ისიც კი ვერ დაინახა, ფინჯანი როდის აიღო.

— ეს რა ქენი! —; ერთი კი წამოიძახა და მეტი ვეღარაფერი მოასწრო.

იმ დროს გარეთ უკვე ბნელოდა. ქვებს შორის ნამტვრევების ძებნას აღარ მოჰყოლია, მაშინვე ფუმიკოს ეცა და, არ წაიჭცესო, შეშინებულმა იღლიებში ხელი გაუყარა.

მაგრამ ფუმიკო ქვის თასის ძირში ისე ჩაჯდა, ისე [illegible] ჩაშალა, თითქოს ფინჯანი კი არა, თვითონ იყო ნაწილ-ნაწილ დაშლილ-დარღვეული.

— აი, ხომ აბის უკეთესი სინო..; — წაიჩურჩულა ძლივს გასაგონად.

ეტყობა, მარტო იმის გაფიქრებაც კი, კიკუძის შეუძლია ფინჯანი სხვა უკეთეს სინოს შეადაროსო, მისთვის აუტანელი იყო.

კიკუძემ ის ღამე ისე გაათენა, თვალზე რული არ მიჰკარებია.

ფუმიკოს მართალი, სიმწრით სავსე სიტყვები გულიდან არ ამოსდიოდა.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, გატეხილი ფინჯნის სანახავად ბაღში გამოვიდა. მაგრამ ცაზე უცბად ვარსკვლავები დაინახა და ნამტვრევების ძებნას თავი მიანება.

მერე ისევ ცას შეხედა და გაოცდა:

სადღა იყო ის შუქურვარსკვლავი —იმ ერთ წუთში, ვიდრე იგი მიწაზე დაყრილ ნამტვრევებს დასცქეროდა, ვარსკვლავი უკვე ღრუბლებს მიჰფარებოდა.

კიკუძი კი იდგა და ისევ აღმოსავლეთს გაჰყურებდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებულად ძვირფასი რამ დაჰკარგვიაო. ცაზე იმ ვარსკვლავს დაეინებით ეძებდა.

აკი არც ისეთი ხშირი და გაუვალი იყო ღრუბელი! მაშ რა იქნა, რატომ არ ჩანდა ვარსკვლავი? ღრუბელი ძირს, ჰორიზონტამდე იყო ჩამოწოლილი, იქ სადაც სახლის სახურავებს ზემოთ ცა ეიწრო, მოვარდისფრო ზოლად იყო გაჭიმული.

— ბაღში ხომ არ დავტოვებ... — ჩაიბურდღუნა კიკუძემ, მიწაზე დაყრილი ნამტვრევები ისევ წამოკრიფა და ღამის კიმონოს უბეში ჩაიყარა:

ამ ქვებში დამტვრეული ფინჯნის ასე მიტოვება, მეტად მწარეა და გულსატკენი. ესეც რომ არა, თიკაკო რომ მოვიდეს, რომ ნახოს, ენას აღარ გაიჩერებს.

ერთი პირობა ისიც გაიფიქრა, ნამტვრევები იქვე, პირსაბანის ძირას ჩაეფლო. ფუმიკომ ხომ ასე უყოყმანოდ დაამსხვრია ფინჯანი, მეც ავდგები და სამუდამოდ მივაბარებ ამ მიწასო. მაგრამ გადაიფიქრა. ნამტვრევები ქაღალდში გაახვია და კედლის კარადაში შეინახა.

მერე შებრუნდა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

რატომ ეშინოდა ფუმიკოს შედარების? როდის, რატომ ან რისთვის უნდა შეედარებინა ეს სინო? კიკუძი საგონებელში იყო ჩავარდნილი. რატომ, რატომ იფიქრა ასეთი რამ ფუმიკომ?

არა, არავითარი შედარების სურვილი არა აქვს კიკუძის... გუშინ საღამოს მერე ფუმიკოს ვერავის და ვეღარაფერს შეადარებს. იგი მისთვის ახლა ყველაფერია, თავად მისი არსების ნაწილიც კი.

გუშინდლამდე კიკუძის წუთითაც არ ავიწყდებოდა, ფუმიკო ქალბატონი ოტას ქალიშვილი რომ იყო. მხოლოდ გუშინდლამდე... ახლა კი ეს უკვე დავიწყა.

გუშინდლამდე კიკუძის მხოლოდ დედისა და ქალიშვილის მსგავსება ხიბ-

ლავდა, ვინაიდან ქალიშვილში ქალბატონ ოლგას ხედავდა. ახლა კი ფუმიკო მხოლოდ ფუმიკოა... მხოლოდ ფუმიკო...

კიკუძი ერთბაშად თითქოს სიბნელიდან გამოვიდა. სიბნელიდან, რომელიც ასე დიდხანს ეხვია გარს. იქნება ხსნა ფუმიკოს შეუბღალავ სიწმინდეში იყო? თავად ფუმიკო კი არა, იქნებ მისი ეს სიწმინდე ეწინააღმდეგებოდა კიკუძის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწინ თითქოს რაღაც საშინელი წყევლა აწვა, ბოჭავდა, მარწუხებს უჭერდა, და აი, როდესაც ეგონა, კიდევ უფრო მძიმე წყევლა უფსკრულში გადაჩეხვით ემუქრებოდა, ერთბაშად სრულიად განთავისუფლდა. ეს კი იმ სასწაულს ჰგავდა, საწამლავის უმაღლეს დოზას რომ მიიღებ, წამი-წამზე სიკვდილს ელოდები, სიკვდილის მაგიერ კი თურმე განკურნებულხარ, ყოველგვარი სენისა და ტკივილისაგან განთავისუფლებულხარ.

სამსახურში მივიდა თუ არა, კიკუძიმ კანდას რაიონში, შალის ქსოვილების საბითუმო მაღაზიაში დარეკა.

მაგრამ, ფუმიკო სამსახურში არ აღმოჩნდა. იგი ჯერ მოსული არ იყო.

დღეს კიკუძიც მთელი ღამის უძილო წამოვიდა. იქნებ ფუმიკოსაც მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა. ანდა იქნებ შერცხვა, შინიდან გამოსვლა ვერ გაბედა და გადაწყვიტა. დღევანდელი დღე მარტოდმარტო, ოთახში გამოკეტილს გაეტარებინა.

ნასადილევს ერთხელ კიდევ დარეკა კიკუძიმ. მაგრამ ფუმიკო არც ამჯერად აღმოჩნდა სამსახურში და ნოქარს მისამართი ჰკითხა.

ფუმიკოს გუშინდელ ბარათში ალბათ მისამართიც ეწერა. მან კი წერილი კონვერტიანად დახია. ნაგლეჯები ჯიბეში ჩაიყარა. ვახშამზე რომ ისხდნენ, საუბარი ფუმიკოს ახალ სამსახურზე ჩამოვარდა. ისე რომ, იმ საბითუმო მაღაზიის სახელი კიკუძიმ შემთხვევით დაიხსომა. ბინის მისამართი კი არ უკითხავს — აბა, მისამართს რას აქნევდა, როდესაც ფუმიკომ თავად მის გულში დაიმკვიდრა სამარადისო ადგილი.

და აი, სამსახურის შემდეგ კიკუძი შინ მანამდე არ წავიდა, ვიდრე უენოს პარკს გალმა ის სახლი არ მოძებნა, სადაც ფუმიკოს ოთახი ჰქონდა დაქირავებული.

მაგრამ ფუმიკო არც სახლში იყო.

წინკარში მატროსულაში გამოწყობილი თორმეტიოდე წლის გოგონა გამოვიდა. ეტყობოდა, სკოლიდან ახალი მოსული იყო, ტანსაცმლის გამოცვლა ვერ მოესწრო. გოგონამ კიკუძის მოუსმინა. ოთახში შევიდა და მალე ისევ უკანვე გამობრუნდა.

— ოლგა-სანი შინ არ გახლავთ. ამ დილას სახლიდან რომ გადიოდა, ასე დაიბარა, ამხანაგთან ერთად სხვა ქალაქში მივემგზავრებიო.

— სხვა ქალაქში? კი მაგრამ, სად? რომელ საათზე?

გოგონა ისევ შინ შევიდა, სულ მალე უკანვე გამობრუნდა და შეშინებულივით განზე გადგა.

— არ ვიცი, ვერ გეტყვით... არც დედაა ახლა სახლში.

გოგონას სასაცილო, თხელი, მეჩხერი წარბები ჰქონდა.

ჭიშკრიდან რომ გადიოდა, კიკუძი მიბრუნდა და სახლს შეხედა. საკმაოდ რიგიანი სახლი იყო, წინ რაღაც პატარა ბაღიც ჰქონდა, მაგრამ, აბა, რა გაეგო. ამ ორსართულიან სახლში რომელი ოთახი ეკავა ფუმიკოს?

უცბად ფუმიკოს სიტყვები გაახსენდა — სიკვდილი ყველას ფეხდაფეხ დაგვყვებაო და ტანში გასცრა.

მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. ოფლით გახვითქული, გაფითრებული სდხე მანამდე იწმინდა, ვიდრე ცხვირსახოცი ერთიანად არ გაშავდა.

ცივმა ოფლმა კიკუძის ახლა ბეჭები და ზურგი დაუსველა.

— არა, არ შეიძლება... არ შეიძლება მისი სიკვდილი! — თქვა ხმამაღლა.

განა ფუმიკომ არ აღადგინა იგი მკვდრეთით, განა იმან არ დაუბრუნა ამ ცხოვრებას... არა, ახლა მას სიკვდილის უფლება აღარა აქვს.

მაგრამ მისი გუშინდელი ის გულახდილობა, მისი სიწრფელე... იქნებ ეს სასიკვდილოდ განწირული ადამიანის გულახდილობა იყო?

ან იქნებ დედამისივით ფუმიკოც თავისმა სიალალემ, ცოდვის სიცხადემ შეაშინა?

„ცოცხალი კი მხოლოდ კურიმოტო დატოვეს“... — თითქოს ვიღაც უხილავ მტერს მიახალა სახეში, გულს დაგროვილი ბოღმა და შხამი ამოანთხიაო, კვლავ ხმამაღლა წარმოთქვა კიკუძემ და წავიდა, უენოს პარკში ხეების ჩრდილს შეერია.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ:

ᲑᲔᲢᲔᲑᲘ — მაღალქუსლიანი ხის ფეხსაცმელი.

ᲘᲙᲔᲑᲐᲜᲐ — ლარნაკში ყვავილების ჩაწყობის ხელოვნება. ყვავილები ლარნაკში.

ᲙᲐᲙᲔᲛᲝᲜᲝ — ხურათი — გრაგნილი ანდა აბრეშუმსა ან ქაღალდზე შესრულებული კალიგრაფიის ნიმუში.

ᲙᲐᲮᲣᲠᲘ — ბამბის ქსოვილი.

ᲙᲝᲢᲐᲪᲣ — საბნით გადახურული ოთახის მაყალი.

ᲛᲘᲫᲣᲘᲐ — ოთახი ჩაის პავილიონში, სადაც იაპონელები ჩაის ჭურჭელს რეცხავენ.

ᲝᲑᲘ — კიმონოზე მოსაჭერი დეკორატიული ქამარი.

ᲠᲘ — მანძილის საზომი: 3,927 კმ.

ᲡᲐᲥᲔ — ბრინჯის არაყი.

ᲡᲘᲝᲫᲘ — იაპონურ სახლში გასაწევ-გამოსაწევი შიდა ტიხარი.

ᲡᲘᲐᲙᲣ — სიგრძის საზომი: 31,8 სმ.

ᲡᲘᲐᲛᲘᲡᲔᲜᲘ — სიმებიანი მუსიკალური საკრავი.

ᲩᲐᲑᲘ — იაპონური დაბალყელიანი წინდები, რომელიც შეკერილია ქსოვილისაგან.

ᲩᲐᲢᲐᲛᲘ — იატაკზე დასაგები ნამჯის 1,5 კვ.მ. ზომის ლეიბი; ფართობის საზომი.

ᲢᲝᲙᲝᲜᲝᲛᲐ — თაროებიანი კედლის ნიშა.

ᲣᲛᲔᲑᲐᲡᲘ — ქლიავიდან დამზადებული საჭმელი.

ᲤᲣᲠᲝᲡᲘᲓᲔ — ლამაზი საგარეო კიმონო.

ᲤᲣᲠᲝᲡᲘᲙᲘ — ფერადი ბოხჩა.

ᲤᲣᲡᲣᲛᲐ — იაპონური სახლის გარეთა გასაწევ-გამოსაწევი კედელი.

ᲮᲐᲡᲘ — ჩხირები, რომლითაც იაპონელები საჭმელს ჭამენ.

ᲮᲘᲑᲐᲢᲘ — ოთახის გასათბობი მაყალი.

ᲪᲐᲪᲐᲛᲐ — იაპონური შარვალი.

ᲯᲝᲠᲘ — მოკლე ზედა კიმონო.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

გერმანული პოეზიიდან

ლექსები

გერმანულიდან

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ათიოდე წლის წინ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თხოვნით პწკარედიდან ვთარგმნე რამდენიმე გერმანელი პოეტის ლექსი გერმანელ რომანტიკოს კომპოზიტორთა საგუნდო მუსიკის საღამოს მოსაწყობად.

გთავაზობთ ამ თარგმანებს.

მთარგმნელისაგან

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ტყის მეფე

ცხენს ვინ მოაგელვებს გვიან ღამით, ქარში?
— ეს მამაა თურმე და იმისი ვაჟი —
მოსასხამში შვილი შეუფუთავს მყუდროდ
და პატარა სხეულს დიდი მკერდით უთბობს.
— რამ შეგაკრთო, შვილო, სახეს რატომ მალავ?
— ო, ტყის მეფე ნუთუ ვერ იცანი, მამავ?
ვერც მის გვირგვინს ხედავ, ან მანტიის ბოლოს?
— ვხედავ, შვილო, მაგრამ ეს ნისლია მხოლოდ.
„საყვარელო ბავშვო, წამო ჩემთან ერთად,
მე მთელი დღე მხოლოდ ვითამაშებ შენთან,
ზღვისპირ მინდვრებია ფერადი და ჭრელი,
ოქროს სამოსელით მოგრთავს დედაჩემი“.
— მამა, გესმის, მამა, ჩურჩული და ჩქამი,
გესმის რას მპირდება მე ტყის მეფე, მამი?
— ჩუ, დამშვიდდი, შვილო, გულზე მომეკარი,
ეს ჩამოყრილ ფოთლებს აჩხრიალებს ქარი.
„მშვენიერო ბიჭო, არ გსურს ჩვენთან ლხინი —
ჩემს ქალწულებს უკვე მორევიათ ჟინი,
უკვე ღამის ფერხულს უვლიან და მღერენ
და შენც ნანას ტკბილად გიმღერებენ მერე“...
— ჰოი, მამა, ნუთუ შენ ვერც ახლა ხედავ

ტყის ქალწულებს აგე, ჩაბნელებულ ხევთან?
— ვხედავ, შვილო, ვხედავ — მღვიმე მოჩანს მკრთალად,
მაგრამ იქ ხომ მხოლოდ ტირიფები დგანან.
„მე მიყვარხარ, შენი სახე თავბრუს მახვევს,
ძალით წარვიტაცო ლამის შენი სახე...“
— მამი, ჩემო მამი, უკვე ხელსაც მკიდებს
და ამბორით სული შემიხუთა კიდეც...
მამა შეაძრწუნა, შესძრა შვილის კვნესამ.
დეზი ჰკრა და ცხენსაც ფრთები გამოესხა.
მიაღწია ბოლოს თავის ციხე-ერდოს,
მკლავზე უსიცოცხლო შვილის გვამი ედო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტბაზე

ბუნების ხსენს და სისხლს ვწუწნი ხარბად,
თაფლით და ცხიმით ვარ გაზიპული,
რა კეთილია, სათნო და კარგი,
მკერდზე რომ ვყავარ მიწყივ მიკრული!
ელამუნება ნავს მწვანე ტალღა
ნიჩბების მწყობრი ტაქტით და ტემპით
და გზა-გზა, ცაში გასულნი მაღლა,
ეგებებიან ჩვენს სრბოლას მთები.
რად თვლემთ თვალებო, რას იხიზნებით,
შორს ძველებური ოქროს სიზმრები,
თუნდ ოქროს იყოს, მეუცხოება, —
აქ ტრფობაც არის და თვით ცხოვრებაც!

ნაადრევი გაზაფხული

რა ადრე იწყებით, დღეებო შვების,
კვლავ მოგდევთ ფიცხელი მზე, ტყე და მთები.
ღელენიც მოვლიან, განცხრომავ ძველო.
— ეს ის მინდორია, ანდა ის მდელო?
სილურჯის მთესველი ზეცა და სივრცე!
წითელი თევზები, ნახტომის სიგრძე.
ფრთათა ფერადებით ირთვება ჩხარი,
სულში მერამდენედ აყლერდა ქნარი!
ხე და ბუჩქს ედება ზუზუნი გაბმით
და მზისფერ ედემად მოწვეთავს თაფლი.
რაღაც თრთის ჰაერში და ისე კრთება,
რომ სულს, ვით ალერსი, უნდება თვლემა.
ქარი გავეშებით აწყდება ურძანს
და იქვე შეშდება ჰაერი უცბად.
ისევ თქვენ, მუზებო, თავს უნდა იდვათ
ასეთი უზადო ხალისის ზიდვა, —
ბული რომ გაფრენას ჩიტივით ლამობს,
თქვით, განა რა ხდება, ლამაზო დანო?

ულანდი

განსვენების ველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ალმართავს მწუხრის კორდზე
ოქროსფერი ღრუბლის ბორცვებს
და ალპებს რომ ცაში ვხედავ
მომადგება თვალზე ცრემლი
მათ შორის თუ ჰგიებს ნეტავ
ჩემი განსვენების ველი?

რიუკერტი

შენ ხარ მოვანება

შენ ხარ მოვანება,
მდუმარე საუნჯე,
ენებათ ხმოვანება
და რაც მას აუნჯებს.
შენ გიძღვნი და გწირავ
გულსაც და თვალებსაც
ცხოვრების საწინდრად,
მდურვად და ალერსად.
გული უშენობით
ტყვეა უკარები.

შემოდი, შემოდი,
მოხურე კარები.
უჟმური განაგდე
და გული ჭიანი
მართ მეცხრე ცათამდე
ალავსე სიამით.
შენით გრძნობს სინათლეს
ეს ჩემი თვალები,
დაე, სულ ბრწყინავდნენ
სრული ელვარებით!

პლატენი

სამშობლოში დაბრუნება

როგორ მსურდა შენი ხელის
ისევ მეგრძნო სითბო ძველი,
სიყვარულის ღმერთი თვითონ
ბედნიერად გვრაცხდა თითქოს,

მაგრამ ვაჰ, რომ შენ იმ ქვეყნად,
ვით მამულში, ჰგიებ ეხლა, —
სამშობლოში მიდის ნავი,
იქ მომიწევს შენთან შეყრა.

ზურგის ქარი

დაბერე, ქარო, ტაცუნა იალქნებს
და ნავი აქოჩრილ ტალღას მიაგდე!
ეს გული ლამის
ჩიტივით გაფრინდეს, —
მე უკვე ვხედავ მშობლიურ ნაპირებს.

მშვიდობით, ჰელვეცის მთაო და
კბოდევ,
მე აქ სილამაზით ვტკბებოდი ოდენ,
მაგრამ იმ ნაპირზე დავტოვე სატრფო,
ვისთვისაც ნიადაგ ვტირი და ვგოდებ.

მატილდა ვეზენდოკი

ზმანებები

რა ლამაზი ზმანებები
იძირება სულში — მაშინ
ისე ხომ არ ვიკარგები,
ვით მსუბუქი ქაფი ზღვაში?
რა ნიადაგ ყვავილობენ,
რა ყველაფერს ედებიან,
ანდა სულს და დამთვრალ
გრძნობებს
რა ტკბილ ზღაპრებს უყვებიან!
ჩუმად ფშვნიან ოქროს თაველს,
ზენაარი მზე რომ ჰბადებს
და სულს შიგან აქარგავენ
ყოფნა და არყოფნის ხატებს,
სულში, როგორც მზეი თოვლქვეშ,
ისე ხარბად უკოცნიან
ფესვს და ჯერ გაუშლელ ფოთლებს
ენძელას და ია-იას —
უჭკნობად და უბერებლად
მათი ხატი საყვარელი
და უტკბესი სურნელება
სულს რომ მიჰყვეს სამარემდის.

შეჩერდი

დრო და ჟამის ჩარხო, უსასრულოდ მსრბოლო,
მარადისი ყოფის საწყისო და ბოლოვ!
სკნელებო და გარსო, ლურჯო და მზისფერო,
გარს რომ შემორტყმიხართ დედამიწის სფეროს!
მიწყივ შემოქმედო ღვთაებრივო ძალავ,
შეჩერდი და შესდეგ! რუდუნება კმარა!
ჩემთვის ყოფნა მინდა, მინდა ვიყო ჩემად,
თორემ თქვენს სრბოლაში არაფერი მრჩება;
დაიურვეთ აზრი, დაიოკეთ სუნთქვა,
დაასვენეთ სული ერთი წამით თუნდა,
შეწყდეს ვარსკვლავთ ფეთქვა ერთი წამით მხოლოდ,
ერთხელ მაინც ვიგრძნო სასრული და ბოლო,
რათა, ჩემთვის მშვიდად მითვლემილმა სადმე,
ჩემი ფიქრებით და ზმანებებით დავტკბე,
ავწყა ჩემი შვება და გავზომო ურვა,
ნებად სატრფოს სულში იბანაოს სულმა,
მშვიდად, დანდობილად თვალი თვალმა შესვას,
გვაპოვნინოს თავი სიყვარულის კვესმა —
მაშინ ეკარგება აზრი ყველა იმედს,
ალარ აყლერებენ სურვილები სიმებს,
ცხოვრების არსს სული მხოლოდ მაშინ სწვდება
და ღვთაებაც მაშინ ამხელს საოცრებას!

ანგელოზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვობაში მიყვებოდნენ
ამბებს ანგელოზზე ოდენ:
— ხშირად თმობდა თაღებს ცათა
და მზე მიწიერი წვავდა,
სად მაშვრალ გულს, მოკლულს ურვით,
შემწედ კაცი არვინ უვის,
სად ნიადაგ გასდის სისხლი
და სულ მისი კვნესა ისმის,
სად ღმერთს იმას შესთხოვს მხოლოდ,
რომ როგორმე იხსნას ბოლოს...
იგი მოდის სწორედ მაშინ
და მაღლდება სული ცაში.
— ახლა მეც ვგრძნობ — ცათა მეფის
მოვლენილა იგი ნებით
და ჭირისგან დახსნილს შვებით
ცისკენ მიმაფრენენ ფრთები.

ჟურნალ ბონდარევი

არჩევანი

რომანი

თარგმნა გივი ციცქიშვილმა

თავი პირველი

სტუმრების წასვლის შემდეგ სიცარიელემ და სიჩუმემ დაიკავა წინკარში სარკის აქეთ-იქით ჯერ კიდევ ენთო ორი ბრა, ოთახებში ჯერ კიდევ არ ჩაექროთ ჭაღები, ტახტის თავზე ნაზად ანათებდა ტორშერის იასამნისფერი გუმბათი. ყველგან სიგარეტის კვამლისა და უცხო ნელსაცხებლის სუნი ტრიალებდა; გადაადგილებული სავარძლები, ნამწვით პირთამდე სავსე საფერფლეები, ხალიჩაზე მოფანტული დამწვარი ასანთის ღერები, კოქტეილის დაცლილი ბოკალები, შიგ ჩატოვებული საწრუპავებით, სამზარეულოში აკოკოლავებული თეფშები — ყველაფერი ეს ათხრებული ბინის გულსატკენ ქაოსზე მიანიშნებდათ და რაღაც სევდას ჰგვრიდათ.

ხელოვნებაზე დაუსრულებელი ლაპარაკით, პირფერობითა და საამო ღიმილით მოქანცულმა ვასილიევმა ცოლის უკანასკნელი სტუმრები ლიფტამდე მიაცილა, მისი სამზარეულო წინსაფარი გაიკეთა და მეტისმეტი გულმოდგინებითაც კი შეუდგა სასადილო ოთახში ჭურჭლის ალაგებას. მაგრამ მარიამ მაველარებელი თვალით შეაჩერა (ახლა არ გინდათ...), დივანზე ჩამოჯდა, ხელები მხრებზე შემოიჭდო და ფანჯრისკენ მიბრუნდა, რომლის მიღმა მუქლურჯად მოჩანდა თებერვლის ღამე.

— მადლობა ღმერთს! — თქვა მან. — ფეხზე ძლივს ვდგავარ.

— იცი, რომელი საათია? — ჰკითხა შეშფოთებულმა ვასილიევმა. — ორი დაიწყო... გვარიანი დრო გასულა! კარგია, ზეიმის მიზეზი რომ არ გაამხილე, თორემ დილამდე სადღეგრძელოებს ბოლო არ ექნებოდა. როგორ არის, მაშა — ანგელოზის ცოლი თუ სახელის დღე?

— ძალიან დავიღალე, — ჩაილაპარაკა მარიამ, სიგარეტს მოუკიდა და ცალყბად გაუღიმა. — გმადლობთ, საყვარელო... მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ეგ ხომ უმნიშვნელო დეტალებია, არ ღირს... ღამე მშვიდობისა! მე ცოტა ხანს მარტო ვიჯდები. წადი, დაიძინე, გეთაყვა...

ვასილიევმა იგრძნო ქალის სიტყვების არაგულწრფელობა და ეს ფამილარულ-კლასიკური „არ ღირს", ეს სალონურ-დარბაისლური „გმადლობთ, საყვარელო" როგორღაც უსიამოდ ჩამოეფარა ქალს და სადღაც შორს, მისთვის უცხო მანევრულობის სამყაროში განაცალკევა, რაც წინათ მხოლოდ იშვიათ უთანხმოების დღეებში შეიმჩნეოდა, უთანხმოებისა, რომელიც თავბრუს ახვევდა და მერყევ გრძნობას უქმნიდა, როგორც აქანავებულ ხიდზე გადასვლისას.

— ჰო, ვალოდია, წადი, გეთაყვა, წადი. — მოღლილი დაჟინებით გაუმეო-

რა მარიამ, აბოლებული სიგარეტი მიადო საფერფლის კიდეს და წითელი ღვინო დაისხა. — თუ ჩემი სტუმრების შესახებ სერიოზული რამე გინდა მითხრა, ახლა არ არის საჭირო — მე არ მსურს...

— შენი სტუმრებიდან ცოტა ვინმეს ვიცნობ, მაშა.

— ალბათ იმიტომ იყავი ასე კარგი. ყველა ქალი მოხიბლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ ღვინო მოსვა; ვასილიევმა დაინახა, როგორ ამოებურცა ყელი, როგორ დარჩა მოწითალო სველი ზოლი ტუჩებზე, რომელთა ნაზი გემო ასე ნაცნობი იყო მისთვის.

— მაშა, რა თქვი? ქალები? მოვხიბლე? ეგ არ მიფიქრია.

— გთხოვ, გავჩუმდეთ...

არა, ვასილიევს არ ახსოვს, რომ წინათ სტუმრების წასვლის შემდეგ მისი ცოლი ასე მარტო მჯდარიყოს დივანზე, ფეხიფეხგადადებული, უგულისყუროდ ესვას ღვინო, ჩაფიქრებულს გაებოლებინოს სიგარეტი, თან აქეთ-იქით ექანავებინოს წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი, — ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ ამას ჩათვლიდა რაღაც მეტისმეტად მხიარულ თამაშად, რომელიც შესთავაზეს (ანცი გართობისთვის) რომელიმე უხამსი საზღვარგარეთული ფილმის, იმ ბანალური ფარსის მიბაძვით, მის მიერ რომ იყო თარგმნილი შემსყიდველი კომისიისთვის მთავარ სამმართველოში მოწყობილ გასინჯვაზე, და მზად იყო, როგორც ზოგჯერ ხდებოდა ხოლმე წინათ, გაეგონა მისი მხიარულად და ტკეპნით ნათქვამი: „მაშ, ა-ა-სე, მსიე, ჩვენ გავაცილეთ სტუმრები. წავიდნენ სახელგანთქმული ადამიანები! შვებით ამოვისუნთქეთ! რა ვქნათ ახლა? სახელოსნოსაკენ გასწევ? თუ შენს ცოლთან დარჩები?“ ის ახლა არ მოელოდა ამგვარ ფრაზას, ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული უცქეროდა, თუ როგორ წრუპავდა მარიანაფაზებს შორის ღვინოს, მაგრამ რატომღაც ვერ ბედავდა გაჰკვირვებოდა ქალის ეს სურვილი, რომელიც ჭირვეულობას თუ გამოწვევას უფრო ჰგავდა, და ამიტომ ვითომდა ხუმრობით მოუქნელად უთხრა:

— ძალიან ხომ არ შეტოპე, მაშა? მოხდა რამე?

— ღმერთო! — ქალმა თვალები დახარა, თითქოს რაღაც ტკივილს ძლევსო, და ვასილიევმა დაინახა ცრემლით დამძიმებული მისი წამწამები. — ნუთუ არ გესმის სულ უბრალო რამ — მარტო მინდა დავრჩე. გამიგე, გეთაყვა, მარტო მინდა დავისვენო ამქვეყნად ყველაფრისაგან...

— მაპატიე, მაშა, — დამნაშავესავით თქვა მან და ოთახიდან გავიდა.

დერეფანსა და წინკარს ისევ საზეიმოდ ანათებდნენ ბრინჯაოს სანთლისმაგვარი ბრები, თავქარიანები და ძილგამკრთალნი ღამეული ბინის სიჩუმეში, ტელეფონის მაგიდის ახლოს კი ვერცხლისფერ სიცარიელეს ასხივებდა სარკე. ვასილიევმა თვალი შეავლო თავის დაჭანცულ, მოღუშულ, ფერწასულ სახეს („ყველაფერს სჯობია ახლა სახელოსნოში წავიდე...“), მერე გამორთო სინათლე; ეს ნაგვიანევი ელექტროილუმინაცია, რის გამოც თვალის დახამხამებაში იდუმალმა სიბნელემ მოიცვა სარკე. შემდეგ დიდხანს იცვამდა წინკარში საყვარელ თბილზე თბილ ჭურთუკს, რითაც ზამთრობით სახატავად მიდიოდა ხოლმე, დიდხანს უკირკიტებდა ბეწვისყელიანი ფეხსაცმლის შესაკრავს, თან ფიქრობდა, ამ გვიან ღამეს სახელოსნოში წასვლა უაზრობაა, მაგრამ მარია დუმდა, არ აჩერებდა, წინკარში არ გამოდიოდა, რომ გასასვლელამდე მიეცილებინა და საკოცნელად მიეშვირა ლოყა, როგორც იცოდა ხოლმე.

— წავედი, მაშა, — თქვა მან, თან ცდილობდა ჩვეულებრივად ელაპარაკა

და საკუთარი თავისთვის შთაეგონებინა, რომ არავითარი სერიოზული არ მომხდარა. — გავალ, სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ. ღამე მშვიდობისა!

— ნახვამდის, ვალოდია, დილით დაგირეკავ, — სასადილო ოთახიდან გამოეპასუხა მარია თავაზიანი, თითქმის ალერსიანი ხმით. ვასილიევმა კარი გაიკეტა და კიბის ბაქანზე გავიდა.

მძინარე მრავალბინიანი სახლის მერვე სართულზე ყვავილებიანი ბალერინის ქვეშ ელოდა ლიფტს. უცებ ჩაფხუკუნება და ჩურჩული შემოესმა და ფანჯრისკენ გააპარა თვალი. სადაც ბატარეის ახლოს (როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე) შეყვარებულნი იდგნენ. გოგონა თითქოს ეცნაურა და იმწამსვე მკაფიოდ მოესმა ქალიშვილის გაკვირვებული, მჟღერი ხმა:

— მამი, სად მიდიხარ? ან რატომ?

ვასილიევს მაინცდამაინც არ ესიამოვნა, რომ ასე გვიან თავისი გოგონას გვერდით დაინახა ახოვანი, უკვე არც ისე ახალგაზრდა მსახიობი სვეტოზაროვი, ლამაზი კაცი, ანეკდოტების მოტრფიალე, მსმელი, თაღლითი, ორჯერ დაქორწინებული და ორჯერ განქორწინებული, ოპერეტების არშიყის მანერების მქონე, და ტანში შეურაცხყოფილმა ჟრუანტელმა დაუარა ქალიშვილის გულუბრყვილო გამოუცდელობისა და მეტისმეტი განურჩევლობის გამო.

— ალბათ დროა, რომ შინ იყო, ვიკა, — უთხრა ვასილიევმა და გულწრფელი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა სვეტოზაროვი. — თქვენც, მომხიბლავი გარეგნობის ახალგაზრდავ, უკვე დროა გაუშვათ საბჭოთა სტუდენტი, რომელიც შვიდ საათზე უნდა ადგეს ლექციაზე წასასვლელად.

— ვიქტორია, უფროსებს უნდა დაემორჩილოთ, — მსუყე ბარიტონით წარმოთქვა სვეტოზაროვმა, რითაც კეთილგონივრული მორჩილება გამოხატა. — ვლადიმირ ალექსეევიჩ, სულგრძელად მომიტევეთ, რომ ვერ გავითვალისწინე, ახე გვიან მომიხდებოდა მოსვლა... მზად ვარ მონასტერშიც მოვინანიო ცოდვები, ოღონდ მისამართი არ ვიცი. სალოცავი არსად მეგულება.

— გთხოვთ მონასტრის ნაცვლად ლიფტში შემობრძანდეთ. მე აგიხსნით, როგორ მოიქცეთ.

— მამი, გეყოფა! — სიცილით შეესიტყვა ვიქტორია. — დაიწყო ახლა რჩევა-დარიგებანი! ანატოლი სასაცილო ამბებს მიყვება, მე სიცილით ვკვდები! გაგიგონია მცირე სამხატვრო თეატრის რეპეტიციების შესახებ? არც მასალსკისა და ერშოვის ამბავი? არც ის გსმენია, როგორ შეხტებოდნენ ხოლმე სცენაზე მყოფნი „ბრეკის" ყოველ სიგნალზე?

— სამწუხაროდ და სავალალოდ, არ მსმენია, — თქვა ვასილიევმა და დამცინავად მიმართა სვეტოზაროვს, რომელმაც წამით თვინიერი ბავშვის გულისყურიანი სახე მიიღო. — ბატონო ანატოლი, ნუთუ არ მოგბეზრდათ ენის ამდენი არტიკულირება? დახედეთ საათს, მონასტრების მომხიბლავო ტრფიალო. ცოტა უხერხული დრო ხომ არ არის?

— არტიკულირება? ხა-ხა! რა ბრძანეთ? — მოკრძალებით გაიცა სვეტოზაროვმა. — ჩემი უმეცრების გამო ვერ ჩავწვდი აზრს, ვლადიმირ ალექსეევიჩ! რა არ მომბეზრდა?

— რადა, სულმოუთქმელი ლაქლაქი.

— თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ. რისთვის? მე ეს არ დამიმსახურებია! მე უდანაშაულო დამნაშავე გახლავართ!

— ძალიან ვნანობ.

„რა მემართება? რატომ ვლიზიანდები, როცა თავი უნდა შევიკავო?.."

გაჩერდა განათებული ლიფტი, ობოლსავით სდიოდა გათოშილი საბოსის, სუსხიანი ზამთრის, იატაკზე დატკეპნილი თოვლის სუნი. და როცა მეოცე საუკუნის ამ მოხერხებული კაბინით ქვემოთ დაეშვა, დილამდე ძილით მიყრუებული და დამშვიდებული უცხო ბინების მილმა, ვასილიევს ჭმუნვა მოეფინა თვალები დახუჭა და გაახსენდა, რა ტყუილად დაკარგა დრო, რა ფუჭი და ამათ იყო ყველაფერი, რასაც აკეთებდა და ლაპარაკობდა მთელ საღამოს. ... ბიბლიოთეკა რიგ დაღალა ზრდილობიანმა შესიტყვებამ სტუმრებთან, რომლებისთვისაც უცხო არ იყო თავდაჯერებით დაეკანონებინათ განსაკუთრებული კრიტერიუმები ხელოვნებაში და, რა თქმა უნდა, მხატვრობაშიც, რომლებსაც თავიანთ მსჯელობაში შეეძლოთ ადვილად გადაელახათ (საკუთარი სიმშვიდის გულისთვის) ცხოვრების ფრიად თავსამტვრევი გზაჯვარედინები. — და უცებ იგრძნო, რომ ამ ბოლო დროს არაერთხელ განუცდია სულის სიღრმეში ბუნდოვანი და ბედნიერი სიმშვიდის მომგვრელი სურვილი — ოდესმე წასულიყო მოსკოვიდან დიდი ხნით, რამდენიმე თვით, ერთი წლით, ხუთი წლით. წასულიყო ერთხელ სახლიდან ან სახელოსნოდან, ისე რომ არაფერი არ დანანებოდა, დასახლებულიყო სადმე ვოლოგდის ცისფერი ტბების პირას, აუჩქარებლად ეჭვრიტა ყოველივე ბუნებრივი, პირველყოფილი, ეცხოვრა მეთევზეებთან, ეჭამა უბრალო სოფლური საჭმელი, ეხატა ჩრდილოეთის ლრუბლიანი პეიზაჟები, მეთევზეთა დაუხვეწელი პორტრეტები, მზითა და არყით ჩაშავებული სახეები...

ერთი-ორი თვე გული ვერ დაუდო მუშაობას. საათობით იწვა სახელოსნოში ძველ, ჭრიალა დივანზე, კითხულობდა ტოლსტოის ცხოვრების უკანასკნელი წლების „დღიურებს“. იჟღინთებოდა დიდი ადამიანის აღსარების ტკივილით, მაგრამ შემდეგ თვითგვემითა და სკეპტიციზმით დამცხრალი ვასილიევი კვლავ ებრუნდებოდა საკუთარ თავს, გრძნობდა რა იძულებითი გაუბრალოების მცდარობას და თანამედროვე პარადოქსალურობას. მოსკოვს, ხმაურსა და ფუსფუსს მოშორებული თავშესაფარიც, რომელსაც წარმოდგენაში ელოლიავებოდა, ფხიზელი განსჯის შემდეგ ეჩვენებოდა დამამშვიდებელ „პლენერად“, ტურისტულ ან საკურორტო ადგილად, ხელოვნებაში ცნობილ კაცს რომ უკავია ხოლმე გარკვეული ვადით. მისთვის ცხადი იყო, რომ ორმოცდათოთხმეტი წლის ასაკში უკვე აღარ ამოძრავებდა აღარავითარი პატივმოყვარული იდეა (როგორც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ), გარდა ორი ურღვევი ვნებისა — ბუნების ძველისძველი, უხეში და ნაზი სილამაზის სიყვარულისა და თავისი საქმის ან ნებაყოფლობითი ტკბილი კატორღისადმი გიჟური ერთგულებისა, ურომლისოდაც მისთვის ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა არსებობას.

იმ დღეებსა და თვეებში, როცა მუშაობას გულს ვერ უდებდა, როცა მასში ყველაფერი მიმქრალი იყო და თითქოს თვლემდა, მას შეეძლო ადვილად ერწმუნა, რომ მისი ნიჭი (თუკი ადრე ჰქონდა) ჩაკვდა, დაიკარგა, და ასეთ მიფერფლილ პერიოდებში ჩვეულებრივ მაღალი შეფასებანი, მაქებარი სტატიები წვრილმანად, მაღალფარდოვნად და ყალბად ეჩვენებოდა, მორიგ გამოფენაში მონაწილეობა („იქ აუცილებლად უნდა იყოს თქვენი ნამუშევრებიც“) ნაგვიანევად და ზედმეტად მიაჩნდა, ხოლო საზღვარგარეთ მოგზაურობა, სადაც ხალისით იწვევდნენ ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ, იმდენად რომელიმე უნივერსიტეტში ან კერძო სალონში გამართული ვერნისაჟით კი არ იზიდავდა, გესლიანი კრიტიკოსებითა და უსირცხვილო ჟურნალისტებით რომ იყო გამოტენილი, არამედ „ტრადიციონიზმსა“ და „მოდერნზე“ გამართული იმ დახვეწილი და ცხარე დიალოგებით, როცა იგი თან უსმენდა, თან კოქტეილს წრუპავდა და,

„ინტელექტუალური“ ყბედობის წინააღმდეგ ბრაზით ანთებული, ნახევრად სერიოზულად კამათობდა, ამ მოსაბეზრებელ კოლაჟებს, პოპ-არტებს, მაოდადაიზმებს უარყოფდა და მათ განზრახ უპირსპირებდა სიურეალიზმს, და არა რეალიზმს, რის შემდეგაც ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, თუ როგორ შემობრუნდებოდა კამათი და სად სუფევდა რიტორიკული ქაოსი, მსგავსი ძველი და ახალი სამყაროს[1] თანამედროვე მხატვრობაში გაბატონებული ქაოსისა. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო დისკუსიები ჭეშმარიტების სტოიკური ძიებისა (აბა იქვნეულობის საუკუნეში ვინ გაბედავდა მასზე მიეთითებინა?), არამედ ეს იყო თავისებური თამაში, გართობა, გონების საქანელა, თავისუფალი დროის მოკვლა, შემოსავლიანი პროფესია უფროსი, ცივილიზაციით დაქანცული ადამიანებისა რომლებსაც თან ეჯავრებათ და თან უყვართ მხატვრები. არც მათთან ურთიერთობა ყოფილა ვასილიევისთვის უინტერესო მანამდე, სანამ არ შეამჩნია განმეორებათა ერთგვაროვნება: ერთი და იგივე ლაპარაკი, ერთი და იგივე საკითხები, ერთიმეორის მსგავსი ოტელები, „სტანდარტფრიუშტუკები“, „ლენჩები“, პორტიერებისა და კელნერების ერთნაირი ფიზიონომიები.

და ვასილიევიც უკვე უარს ამბობდა მიწვევაზე, თავი დაანება საზღვარგარეთ მოგზაურობას. ერთხელ, კლუბის რესტორანში, ყური მოჰკრა სანუკვარ ფრაზას: „ხვალ როგორც იქნა შევალ ცალკე კუპეში, ჩავწევები მომზადებულ ლოგინში, ერთი ლაზათიანად გამოვიძინებ და ზეგ უკვე პარიზში ვიქნები“. თითქმის ამხდარი ოცნების გულის გადამლევი წადილით ალსავსე ამ ფრაზის გაგონებაზე ვასილიევმა გაოცებით გახედა მეზობელ მაგიდას და იქ დაინახა კოლეგებში მჯდარი პატივცემული აკვარელისტი, ოდნავ შემთვრალი, რომელსაც სიამით მიედო ხელისგული მსუქან ჟოლოსფერ ლოყაზე და ასე გამოხატავდა დაუძლეველ სწრაფვას ვაგონში დასვენებისადმი. აკვრელისტის ამ ფრაზასა და თვალთმაქცობაში ვასილიევმა საძინებელი ვაგონის ცალკე კუპეში დასვენებაზე ოცნება კი არ შეიგრძნო, არამედ ლტოლვა საზღვარგარეთისაკენ — მწვანე, მზიან, ფაქიზად მოვლილ ბულვარებში გამოფენილი ათასნაირი ჯურის ადამიანებისაკენ, შუა საუკუნეების მოპრიალებულ ქვაფენილზე აღმართულ წვეტიანი ტაძრებისაკენ, სითბოსა და მსუბუქი ჰაერისაკენ, სავაჭრო ქუჩებში სარკეებიანი ვიტრინების ბრწყინვისა და ხმაურიანი ხალხმრავლობისაკენ, ღამეული კაბარეების წითელი სინათლეებისა და რეკლამებისაკენ, ნახევრად ცარიელი, მყუდრო პატარა კინოთეატრებისაკენ, სადაც ნებადართულია თამბაქოს მოწევა, — ანუ ყოველივე იმისაკენ, რაც ჯერ კიდევ ორი წლის წინ თავადაც იზიდავდა.

აკვარელისტმა მყის შეამჩნია ვასილიევის მზერა და უშნო წარბები აძგიბა, რაც გაბრაზების ან წყენის დროს იცოდა ხოლმე (ღმერთო, შენ დაგვიფარე მეოცე საუკუნის ნევროზებისაგან!) მაგრამ ვასილიევმა უშფოთველი სიმშვიდით უთხრა, „თანაგიგრძნობთ“. — „მაინც რას თანამიგრძნობთ?“ — შეეკითხა კოლეგა, სახე წამოუჭარხლდა და დაფანჩული წარბები კიდევ უფრო აძგიბა. „ასეთ ფუსფუსში რომ ხართ“, — მიუგო ვასილიევმა, რომელმაც საჭიროდ არ მიიჩნია განემარტა, რომ ფუსფუსი საზღვარგარეთ ყოველი გამგზავრების წინ მუდამ დაკავშირებულია სასიამოვნო მოგზაურობისა და, რა თქმა უნდა, უჩვეულო, მუდამ სასიხარულო ცვლილებების მოლოდინთან: ევროპული ვაგზლები და აეროპორტები, ბარში დღენიადაგ ყავის სმა, ხელის ჩამორთმევა, ქუდის მოხდა, თავაზიანი გაღიმება, „რის დალევას ინებებთ?“, „ხომ არ წავიდეთ საღა-

[1] „ძველი სამყარო“ — ევროპა, აზია, აფრიკა; „ახალი სამყარო“ — ამერიკა (მთარგ.).

მოს რომელიმე გახმაურებულ, უხამს ფილმზე?" და ვარდისფერი საპნის ქიმიური სურნელება სააბაზანო ოთახში, ოზონატორის სუნი ტუალეტში, ქათქათა კაფელები, განათებული სარკის წინ პირის გულმოდგინე პარსვა, დილდილობით ახალ-ახალი გრილი პერანგები, სალამოს მილებებზე კისერზე რომ გვეტმასნებიან საყელოთი, თვალების ყალბი ყუჟუნი, მიამიტი გოცება იმის გამო, რომ რუსეთში მაინც არის ხელოვნება და, წარმოიდგინეთ, კარგი მკერვალები, ცოცხალი გაზეთების ყველგან მყოფი რეპორტიორები, ოტელების ვესტიბიულებში ფორთოხლის კოქტეილით გაწყობილ მაგიდებთან რომ ელიან რაღაცას, სტერეოტიპული „არაპროვოკაციული" შეკითხვები, ბარე ათგზის რომ დაგისვამენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში... „თანაგიგრძნობთ, ამდენს რომ ზრუნავთ, სხვა არაფერი", — უბრალოდ დაასრულა ვასილიევმა, ხოლო სულმთლად წამოჭარხლებულმა მისმა კოლეგამ რაღაც არაბუნებრივად ჩაიხითხითა და თავმომწონედ წარმოთქვა: „თქვენ ან სნობი ხართ, ვასილიევ, ანდა შურიანი". — „ერთიც გახლავართ და მეორეც", — მიუგო ვასილიევმა, მაგრამ მაშინვე მწარედ ინანა, რომ ზომაზე მეტად გაძღა, თითქმის გულისზიდვამდე მოუმსუყდა გული „საზღვარგარეთით", დაიღალა, ხარბი ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა, და ახლა არავითარი მიმზიდველი აღარ აკავშირებდა არც პარიზთან, არც ნიუ-იორკთან, არც სტოკჰოლმთან, ქალაქებთან, რომლებიც ასე წარმტაცნი, მომჯადოებელნი არიან შორიდან და ასე ჩვეულებრივნი — ახლოს. მას არ შეეძლო გულისყური მოეკრიბა ამ ქალაქებში, ისინი არ იწვევდნენ მსუბუქ დამათრობელ აღგზნებას, პატივმოყვარულ შემართებას, რაც ხანდახან წინ უძღოდა მუშაობის დაწყების სურვილს. საზღვარგარეთიდან არც ერთი რიგიანი ნაშრომი არ ჩამოუტანია. მხოლოდ ესკიზები და ნაჩქარევი ნახატები რჩებოდა უბის წიგნაკში, როგორც რაღაც ჰანგი თუ მოგონება, როგორც გამკრთალი სიზმრის შორეული ანარეკლი. და მაინც გამონაკლისად მიაჩნდა ვენეცია. სადაც ორჯერ ჩავიდა როგორც ტურისტი, მესამედ კი იტალიელ მხატვართა ასოციაციის მიწვევით იყო შარშან შემოდგომაზე მარიასთან ერთად; მაშინ უკვე კარგად იცოდა წყალზე გაშენებული ქალაქის გრძნეულება, ახსოვდა შუკების, სანაპიროებისა და არხებზე გადებული ხიდების, წმინდა მარკოზის ტაძრისა და მოედნის ახლოს მდებარე სტუმართმოყვარე რესტორნების სახელწოდებანი...

არც აქ დაუხატავს რამე, რადგან ეშინოდა ასლის გადამღების როლში არ აღმოჩენილიყო, სწამდა, რომ ყველაზე ცუდ მხატვარსაც შეუძლია „გადმოაბულბულოს" ვენეციის პეიზაჟი, საუკუნეობით რომ იწოვდა სინათლის იდეას, განწყობასა და მოჭარბებულ სილამაზეს.

აქ, ვენეციაში უკანასკნელად ჩამოსვლისას ვასილიევმა სერიოზულად იგრძნო მტანჯველი დაქანცულობა, იგრძნო, რომ შეუძლოდაა. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა მარიასთან უთანხმოებამ. იგი არაფრით არ ჰგავდა უწინდელ კინკლაობას, რომელიც ისევე წარმავალია, როგორც წვიმა მზის პირის ბანისას.

თავი მეოთხე

თებერვლის ქარბუქმა თავიდან ფეხებამდე დაფარა თოვლით, ღვინის, სიგარეტებისა და სურნელოვანი სითბოსაგან გამოაფხიზლა.

შუალამე გადასულიყო. მთელ კვარტალში მძვინვარებდა ქარბუქი. ბაღლა ზუზუნებდნენ გათოშილი ალვის ხეები, ქუჩაში აღმართულ ბოძებზე ქარისაგან ჭრიალებდნენ და ცახცახებდნენ შეჭირხლული ფარნები.

თოვლს ტრამალის შუაგულის სიცივე მოჰქონდა. და ვასილიევმა, თოვლისაგან თვალმოჭუტულმა, ხარბად შეისუნთქა მისი ქარბუქისეული სისპეტაკე. გახედა მოძრავ საბურველში გახვეულ სახლებს; ფანჯრიდან გაფრენილ ერთადერთ სინათლეს ეძებდა, და გაიფიქრა, რომ კარგა ხანია არ ეყოფილა მოსკოვში ასეთი სოფლური ქარბუქი, ზამთრის ღამის ასეთი პირველყოფილი სუნი. ამ სუნს მოჰქონდა ბუნდოვანი ღელვა შორეულისა, მარადიულისა, გარდასულისა, და მან უკვე გადაიფიქრა სახელოსნოში წასვლა [illegible] გაუწია ავდრიანი შორეთისაკენ — ზამოსკვორეჩიეს გადანამქრული შუკებისაკენ, სადაც ლობეებს ხეები დაშრიალებდნენ, ნახევრად დანგრეული, მივიწყებული, პირქუში საყდრებისაკენ. ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდათ დაჟანგული მესრები, ვაჭართა სამსართულიანი სახლებისაკენ, რომელთა ქვისთაღოვან ჭიშკრებში მოჩანდა თოვლში გახვეული პატარა ეზოები თავ-თავიანთი ფარდულებითა და ძველი სამტრედეებით, ასწლოვან ცაცხვებქვეშ გამართული მაგიდებით, — ეზოები, რომლებიც სილამაზით არაფრით ჩამოუვარდებოდა არც პარიზულს და არც იტალიურს.

ორმოცდათოთხმეტ წლამდე ვასილიევი ზამოსკვორეჩიეში ცხოვრობდა. უყვარდა მისი შუკები, მისი შესახვევები, ესიზმრებოდა კიდეც ისინი, თუმცა ომის შემდეგ მრავალ წელს ცხოვრობდა სულ სხვა რაიონში, სხვა ეზოში, ოდნავაც რომ არ ავონებდა წარსულს, მშობლიურს.

„ღამე, ქარბუქი და სოფლის სუფთა ჰაერი, — გაიფიქრა ზამთრის ავდრიანი ღამისაგან აღგზნებულმა და წარბებგათოშილმა ვასილიევმა. — ერთი ასეთი ღამისთვის ღირს სიცოცხლე, დალახვროს ეშმაკმა! ზამოსკვორეჩიეში მინდა წავიდე! რამდენი წელია იქ არ ვყოფილვარ! ახლა ლოპატინს გავაღვიძებ და დილამდე ვიხეტიალებთ მოსკოვში, ფეხით გავალთ პაველეცკის ვაგზლამდე, გადავხედავთ რაბების სანაპიროს, ოზერკოვსკაიას, ვიშნიაკოვის შესახვევში მდგარ ეკლესიას...“

მისი მეგობარი მხატვარი-გრაფიკოსი ალექსანდრე გეორგიევიჩ ლოპატინი იქვე ახლოს ცხოვრობდა, ვასილიევისაგან სულ ორი კვარტალის სავალზე, ჩიხივით მყუდრო ერთ პატარა ჭუჩაზე. ჭუჩას აქეთ-იქით ჩასდევდნენ ალვის ხეები, რომლებიც ისე ყვაოდნენ ივნისში, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში უამრავი ბუმბული რიალებდა ჰაერში, თეთრად ეფინებოდა ტროტუარს, გროვდებოდა სადარბაზოების მყუდრო კუნჭულებში, ნაზ ტალღებად ევლებოდა მანქანების საქარე მინებს. მსგავსად პირველი თოვლისა; ზამთრობით კი აქაურობა რაღაც ველური და პროვინციულად ქარბუქიანი იყო. ალვის ხეები ნამქერში ეფლობოდნენ, ქარში მოცახცახე ტოტებს აჭრიალებდნენ და გათოშილ ნუკრებს უკაკუნებდნენ ზემო სართულების ფანჯრებს.

ლოპატინი მარტოხელა კაცი იყო(ოთხი წლის წინათ გაეყარა ცოლს), გამოირჩეოდა დაუდევარი ცხოვრებით, ზაფხულობით გამუდმებით მგზავრობდა, სადაც დაუღამდებოდა, იქ ათევდა ღამეს — სოფელში, სადგურში, კოცონთან, მაგრამ ზამთრობით ღიდი ხნით რჩებოდა მოსკოვში, მოიმარაგებდა სიგარეტებს, გამოტენიდა მაცივარს სურსათ-სანოვაგით და ჩაიკეტებოდა, განმარტოვდებოდა თავის ბინაში, მხოლოდ კვირაში ერთხელ გამოვიდოდა ხოლმე გარეთ და ცოცხით ხელში სანდუნის აბანოსაკენ გასწევდა. ხშირად განთიადისას წვებოდა დასაძინებლად, დგებოდა გვიან (გამომცემლობების შეკვეთებზე უმთავრესად ღამღამობით მუშაობდა), და მისი ოთახის ერთი ფანჯარა მწვანე ლაქასა-

ვით მოჩანდა მყუდრო ქუჩის სიბნელეში. ზოგჯერ ეს ფანჯარა მხსნელი შუშხუნა იყო ვასილიევისათვის.

სახლს რომ მიუახლოვდა, ზემოთ, ალვის ხის სიმაღლეზე აიხედა, სადაც კიაფობდა ხოლმე ნაცნობი ფანჯარა, მაგრამ ფანჯარა ჩაბნელებული იყო.

„სძინავს?" — გაიფიქრა საგონებელში ჩავარდნილმა ვასილიევმა, მაგრამ მაინც ავიდა მეოთხე სართულზე და ჯიუტად დააჭირა თითი ღილაკს. [illegible] მიუგდო კიბეზე გამეფებულ ძილისმიერ სიჩუმეს, ზარის ხმას, რომელიც ისე დაირხა ბინაში, როგორც მშფოთვარე წრეები დამდგარ წყალში. ორი-სამი წუთის შემდეგ კარს იქით გაისმა ნაცნობი დაბალი ბანი:

— ნეტა რა ეშმაკმა მოგათრია ამ შუაღამისას? რომელი ხარ?

კარს იქით გაბმული ხვნეშა და თამბაქოს მწველი კაცის ხველება გაისმა, მერე საკეტმა გაიჩხაკუნა და წინკართან შემოჭრილი შუქის ღიობში აღიმართა გრძელი ღამის პერანგით შემოსილი, ფეხშიშველი ლოპატინი. გაბურძგნილი წვერი მკერდამდე სცემდა და უეცრად ამტყდარი ალიაქოთით ძილგამფრთხალ დიაკვანს ამსგავსებდა.

— მე ვარ, საშა, — უთხრა ვასილიევმა. — მაპატიე, გეთაყვა, როგორც განგაშზე, ისე რომ გაგაღვიძე, მაგრამ თუ უარს მეტყვი, ახლავე წავალ, სულ არ მეწყინება...

— შემოდი, შემოდი, თხუპნიავ, — აროხროხდა ლოპატინი, ვასილიევს გადაეხვია და გამთბარი წვერი მიადო ცივ ლოყაზე. — გამაღვიძე, ჰოდა, მობოდიშებას თავი გაანებე, გესმის? ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა თან ჰკვიანურია და თან სულელურიც, გესმის? უჰ, რა სუსხი შემოგყვა გარედან! გაიხადე. მომეცი აქ შენი ჟურჭი. შე ჭაჯო, ვინ გიკერებს მაგ საკიდს? მარია, ვიკა? თავად არ შეგიძლია? როგორ ინებებ ჩამოკიდებას? ღილკილოთი? იძულებული ვარ ღილისა და საკიდის დაკერება გასწავლო; მე, ჩემო ძმაო, ამ საქმის უბადლო ოსტატი ვარ! არა, ოსტატი კი არა, გენიოსთა გენიოსი! ცხოვრების სისასტიკემ მასწავლა. შემოდი, შე ჭაჯო, შე მაწანწალავ, შე მოსკოველო მელამიავ, შემოდი, სანამ ქეჩოში არ ჩაგავლე ხელი და გარეთ არ გაგისტუმრე!

ლოპატინმა წინკარიდან თავის პატარა საბელოსნოში გაიყვანა ვასილიევი. საბელოსნო იატაკიდან ჭერამდე წიგნების სტელაჟებით იყო გაჭედილი. აქ ეყარა წიგნები, საქალალდეები, ძველი ჟურნალების დასტები. ასეთივე ქაოსი სუფევდა უზარმაზარ საწერ მაგიდაზეც,სადაც მიყრილ-მოყრილი იყო მუყაოს ფურცლები, ხელნაწერები, ნახატები, სხვადასხვაგვარი საფერფლეები, გაცვეთილი წიგნაკები, ფოტოსურათები, ჩიბუხები, თამბაქოსა და სიგარეტ „დუკატის" კოლოფები და მათ შორის მაგიდის ლამპის ქვეშ რჩებოდა პატარა კუნძული, რომელზედაც სუფრასავით ეფინა გაზეთი და ამ გაზეთზე იდო ქაღალდი ზედ თეთრად შესრულებული სამუშაოთი. გაზეთი აჭრელებული იყო ცალკეული სიტყვებით, გადახაზული ფრაზებით, რომლებზედაც ეხატა კვადრატები, არყის ხეები, ადამიანთა ფიგურები და ფრინველები. თავად ლოპატინი ამ უცნაურობას ხსნიდა წარსული მოხეტიალე ცხოვრებით, კერძოდ იმით, რომ ხატვა უხდებოდა სხვადასხვა ვითარებაში და ნაირ-ნაირ მაგიდებზე — სამზარეულოს, ბალის თუ მეთევზეთა მაგიდაზე, რომელიც ზღვის ტალღებისა და მარილისაგან იყო დაღარული, — ჰოდა, გაზეთის დაფენის ეს ჩვევაც იქიდან შემორჩა, ოღონდ ამას კიდევ ახალი ჩვევა დაემატა: განსაკუთრებით რთულ ილუსტრაციას ჯერ გაზეთის გვერდზე დაბეჭდილი სიტყვების, შტრიხებისა და ასოების მეოხებით ეძებდა, შემდეგ კი გააზრებული, დაზუსტებული ნახატი გადაჰქონდა ქაღალდზე.

— დაჯექი, რაკი პერანგის ამხანაგის ამარა წამომაგდე ამ შუაღამისას, დაჯექი! აგერ დივანზე მოიკალათე და გააბოლე, — ვლადიმირულ კილოზე ეუბნებოდა ლოპატინი, თან დივნიდან ხვეტდა წიგნების დასტას და ადგილს უთავისუფლებდა. ალბათ ამ წიგნებს საღამოს ათვალიერებდა. თვითონაც მოემზადა გასაბოლებლად. — მაგარი გინდა? რუსული „გოლუაზი" გნებავს? „დუკატი" კაი რამეა. ჰოპოსანივით ფხაჭნის ყელს!..

— ჩაიცვი, საშა, — უთხრა ვასილიევმა და დივანზე ჩამოდაჯდა. ძილზე უარესი სისულელე არ არსებობს, გთავაზობ დიდებულ მოციონს.

— საით, მეგობარო? — ლოპატინმა სიგარეტს მოუკიდა, ასანთის ღერი საფერფლეში ჩააგდო და ხველება აუტყდა. — საით და რისთვის? ისევ ფილოსოფია? მოხუცის ნაწერები წაიკითხე? თუ ვან-გოგის წერილები? ვიმედოვნებ, არავითარი დრამატული არ მომხდარა?

— ერთიც ვნახოთ და...

— რაო? რას ნიშნავს „ვნახოთ?"

— ქარბუქი, თოვლი... შენ კი გძინავს... წავიდეთ, ქუჩებში ვიხეტიალოთ. ზამოსკვორეჩიემდე მივიდეთ, რაბების სანაპირომდე. პაველეცკის ვაგზლამდე. მშვენიერი ღამეა, თოვლს კი ტრამალის, მგლებისა და სიბნელის სუნი უდის...

— რა მოხდა? რაღა მაინცდამაინც ზამოსკვორეჩიე? თუმცა — საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, — თავი დაუქნია ლოპატინმა, რომლის წვერიც თამბაქოს კვამლში გაეხვია. — სიამოვნებით გავაბოტებ ღამეულ ქარბუქში! რაო? როგორ თქვი? ტრამალის, მგლებისა და სიბნელის სუნი უდისო? და ეს ცივილიზებულ მოსკოვში? შენ წარმოსახვა და ფილოსოფია დაგღუპავს, ვალოდია! შესანიშნავია! რანაირი რეალისტი ხარ!

ვასილიევმა სიგარეტი მოფშვნიტა და ფიქრიანად თქვა:

— წარმოგიდგენია, ოდესღაც ზამოსკვორეჩიეში თოვლს საზამთროს სუნი უდიოდა, საშა. მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში... არაყი გაქვს? თითო სირჩა არ გვაწყენს გზაში. წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

— წინააღმდეგი? Jamais![1] შენ კი, მე მგონი, უკვე ინერციით მოქმედებ, ჰა? — უთხრა ლოპატინმა, ფეხშიშველი წატყაპუნდა განჯინისაკენ, იქიდან ლიმონის წვრილ-წვრილი ქერქებით შეყვითლებული არაყის გრაფინი გამოიღო და სირჩები შეავსო, თან ჭკვიანი თვალებით გახედა ვასილიევს. — მაშ, წასვლისა დავლიოთ? ჩვენი ყარიბობისა იყოს. ჰა, რას იტყვი, ვალოდია?

„არა, ასეთი რამ ინერციით არ უნდა ხდებოდეს, მე არ მინდა დალევა, — გაიფიქრა ვასილიევმა სირჩის აწევისას, თან როგორც გადასალახავ წინაღობასთან მდგარი ცდილობდა მიმხვდარიყო, თუ მის გამჭრიახობასა და ცხოვრებისადმი ინტერესს როდის შეენაცვლა სულისშემხუთველი მოუსვენრობა, რომელიც მალულად შემოუტევდა ხოლმე, და რაღაც არაფიზიკური ტკივილით ულრღნიდა გულს. — რას იზამ, ეს არც დღეს დაწყებულა და არც სტუმრების წასვლის შემდეგ... არა, ყველაფერი რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ვენეციაში, იმ დღეებში, როცა მარიასთან ერთად წავედი სამოგზაუროდ..."

— წასვლისა დავლიოთ, საშა.

„ნეტავ... ეს ეშმაკის წამალი მიშველიდეს!.." — გაიფიქრა ვასილიევმა, იგი შიშს განიცდიდა გაურკვეველი ტკივილის წინაშე, ტკივილისა, რომელიც სასოწარკვეთას ჰგავდა, რაღაც სასიკვდილოს, საშინელს მოასწავებდა, რაც მასა და

[1] არასოდეს! (ფრანგ.)

მარიას შეიძლებოდა გადახდომოდათ და რაც ვასილიევმა პირველად შარშან შემოდგომაზე იგრძნო.

— როგორი საქმეა ახლა ამ დილაუთენია შენთან ერთად სმა, ჰა? — უთხრა ლოპატინმა და ხმაურით ამოუშვა სიგარეტის კვამლი. — თან ასეთი ცივცხლივით არყის სმა. თანაც ხეირიანად რომ არ გაგიხელია თვალი. ჰა? მოდი თითო გადავკრათ!

ცალი შიშველი ფეხით მეორე ფეხის კოჭი მოიფხანა, ვასილიევს სარჩა მიუჭახუნა, დალია, ცხვირით ჰაერი შეისრუტა და საწოლ ოთახში გავიდა, იქ შიფონერის კარი ააჭრიალა და ჩაცმისას გამოსძახა:

— ვალოდია, მეგობარო, ყური მიგდე, ნურც შემხვედრ გეგმას გამორიცხავ: კუთხეში ტაქსი დავიჭიროთ, იაროსლავის ვაგზლამდე გავქანდეთ, ავიღოთ ბილეთი რომელიმე მატარებელზე, ჩავსხდეთ თბილ კუპეში ერთი კაი ბოთლით, რომელსაც მე წამოვიღებ, და... გავწიოთ მშვენიერი ჩრდილოეთისაკენ! რომელიმე პროვინციულ ქალაქში ორი-სამი დღით! ტაძრებისაკენ, დარაბების ქვეშ მოხვეტილი ნამჭერებისაკენ. ვარდისფერ დაისში მონავარდე ჭილყვავებისაკენ. ჰა? შესანიშნავია, ბიჭო... აბა გაიხსენე, რა წარმტაცია ჩრდილოეთის რუსული პროვინციული სოფელი ზამთარში! დილით კიდევ მთელ მის თეთრ მშვენებას გადავავლებთ თვალს! ყოველგვარი რუსული ფილოსოფიის გარეშე! რაოდენი სევდა და თავისუფლებაა ,მეგობარო, დაბინავდე სადმე წინაისტორიულ საძაგელ სასტუმროში!..

ვასილიევს თითქოს დამამშვიდებლად ჩასწვდა გულში ლიმონისქერქიანი არაყი, რომელშიც, ეტყობა, რალაც ბალახი ერია, ლოპატინის როხროხიც, ლოპატინისა, რომელიც მზად იყო თითქმის უყოყმანოდ დაეჭირა მხარი მისი ნებისმიერი, თუნდაც სრულიად უგუნური იდეისათვის. ახლა იგი დუმდა და ფიქრობდა, რომ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ არის დაკარგული ყველაფერი, რაკი ქვეყნად არის ლოპატინი, ბევრის მნახველი და ბევრის გამგები.

„ჰოო, მას ჩემს სუსტ მხარეებში უყვარს თავისი სუსტი მხარეები, თავისი მაწანწალა ბუნება და თავისი სრული თავისუფლება, — გულში ფიქრობდა დიანზე წამოწოლილი ვასილიევი. — მაგრამ მე ხომ თავისუფალი არა ვარ. პირიქით, არც მინდა ვიყო ისე თავისუფალი, როგორც ლოპატინს ესმის. მე წინანდებურად მიყვარს მარია, და ეს უკვე თავისუფლება აღარ არის. და ეს არათავისუფლება მე ყოველგვარ თავისუფლებაზე უფრო მინდა. მარიასადმი სიყვარულია ეს?.. ეგებ უკვე აღარც მიყვარს ვინმე და ეგოისტური ეჭვიღა შემომრჩა? კი მაგრამ, რა ხდება ჩვენ შორის?“

— მენატრება ჩრდილოეთის რუსული ქალაქები, — აროხროხდა ლოპატინი, რომელიც ოთახში შემოვიდა და უხეშ, შინნაქსოვ სვიტრზე დაფენილი წვერი შეისწორა. — არც ისეთი კომფორტია, არც ისეთი კაფელი, მაგრამ განუმეორებელი ჯადო კი აქვთ... ვერავითარ დასავლურ სილამაზეს ვერ შეადარებ. მარტო დილის ჟოლოსფერი თრთვილით მოცული წკრიალა სიჩუმე რად ღირს! ახლა — ყინვა, მზე, სითეთრე. მდინარეზე აბოლებული სქელი ყინულჭრილები, აქა-იქ ჩარჩენილი ბუშტებით... ულამაზესი რუსი ქალები ალერსიანი ცისფერი თვალებით, მარტო იმათი ღულუნა ხმა ხომ ჭკუაზე შეგშლის!.. ჰა? მზის ჩასვლა მთლად ზღაპრული ნეტარებაა, ძმაო, სარკმლები მეწამულისფერ სხივებს ირეკლავენ და ძველისძველი სამრეკლოების თავზე გაუთავებლივ ირევიან ჭილყვავების გუნდები. გახსოვს, რა დიდებულად გავატარეთ მთელი კვირა ნოვგორო-

დის მახლობლად? მადლობა ღმერთს, იქაც შემორჩა ზოგ ადგილას ძველი რუსეთის ნაშთები!

— არსად არ მინდა წასვლა, საშა, — უთხრა ვასილიევმა.

მან მოიგონა შარშანწინდელი მგზავრობა ნოვგოროდის ოლქში, უეცარი ზამთრის მგზავრობა. მაშინაც ღამით გაემგზავრნენ. გამგზავრების აზრი „არაგვში" დაებადათ, ვასილიევის მეორე პრემია რომ დაასველეს. გამგზავრება იძულებითი იყო, არც მაინცდამაინც გონივრული. იგი გაქცევას ემსგავსებოდა. ეს გახლდათ გაქცევა მოსკოვის დამქანცველი ფუსფუსისაგან, ფუჭი ნევროზულობისაგან, რაც დაკავშირებული იყო ტელეფონის ზართან, მისალოცი დეპეშებთან, წერილებთან, სახელოსნოში მხატვართა ჯგუფების დაუსრულებელ შემორბენასთან, რომლის მიზანიც მილოცვა და დალევა იყო. აი, სწორედ მაშინ გაუჩნდა იმედი თავის გადასარჩენად გაქცეულიყო იქ, სადაც იქნებოდა სიჩუმე, მოჭრიალე თოვლი, სუფთა ყინვიანი ჰაერი, რომელსაც სიძველის, დათრთვილული ხის, ნეტარებისა და თეთრი ქვის სიმტკიცის სუნი დაჰკრავდა. იძულებითი ლტოლვა თავაწყვეტილი სიგიჟიდან მშვენიერი რუსული ზამთრისაკენ.

„ლტოლვა, ლტოლვა, სულ სადღაც გავრბივარ. საით? — გაიფიქრა ვასილიევმა და მოიღუშა. — ახლაც უცერემონიოდ მოვედი ალექსანდრთან, რადგან ვიცოდი, რომ ყველაფერს მომიტევებდა, თავადაც ავღელდი და ეს კაციც ავაფორიაქე..."

— მაშ ყოველი შემთხვევისათვის ჩემოდანი წამოვიღო, არა, ვალოდია? — სერიოზულად ჰკითხა ლოპატინმა, წიგნების გროვიდან გაცვეთილი საკვოიაჟი თუ პორტფელი გამოაძვრინა და ვალოდიას აჩვენა. — ის არის, მაშინდელ მგზავრობაში რომ გვქონდა. თეთრეული, სასმელი, კბილის ჯაგრისები, საპარსი... დანარჩენს ადგილზე ვიყიდით.

— არსად არ მინდა, საშა. არც ზამოსკვორეჩიეში. არსად, საშა... — ხრინწიანი ხმით უთხრა უცებ ვასილიევმა და დაქანცული, თითქმის გულწასული ადამიანივით მიესვენა დივანზე.

ლოპატინმა მხრები აიჩეჩა და გესლიანად შეჰყვირა:

— ესეც კაი ამბავი! როგორ თუ „არსად"? სულ არსად? — და გადაიხარხარა. — რა ეშმაკისთვის გამომაწყვე სალაშქროდ? კვირაში შვიდი პარასკევი გაქვს, შე მაცდურო, შენა!

— მინდა ცოტა ხანს ვიყო შენთან, — უთხრა ვასილიევმა და თვალები დახუჭა. — მომენატრე. დიდხანს არ გვინახავს ერთმანეთი, რაღაც ძალიან დავიღალე.

ლოპატინმა უსიტყვოდ მიაგდო კუთხეში საკვოიაჟი, რაღაცნაირად ამოიოხრა, კანაფით შეკრულ ძველი გაზეთების დასტაზე ჩამოჯდა და ბოლოს უთხრა:

— თითქმის თვე-ნახევარია არ მინახავხარ. ასეა, ხომ? როგორ ცხოვრობ. ჩემო ვალოდია, ამ ბოლო დროს?

— ღმერთმა ქნას და არც ქნას, — მიუგო ვასილიევმა, თვალები გააბილა და მაგიდაზე დადებულ კოლოფიდან სიგარეტი გამოაძვრინა. — ოდესღაც სტუდენტობის წლებში ვეწეოდი „დუკატს". სიგარეტი კი არა, ყელის მხვრეტია.

— არ გიმუშავია, ვალოდია?

— არა.

— რატომ მერე?

— გულს ვერ ვუდებ, საშა. უკვე ძარგა ხანია. უფრო სწორად, ცოტა წავთითხნე, მაგრამ რაღაც არ გამომდის...

— მაგ ამბით მაინცდამაინც ვერ ალმაფრთოვანე, არც ქუდს შევისვრი მალლა! არ გინდა და გეზარება თუ გზნება გაკლია?

— ერთიც არის და მეორეც, საშა. წარმოიდგინე, მესამეც... ამაზე არ მინდა ვილაპარაკო. ჯობს შენი სტუდენტური ყელის მხვრეტი გავაბოლოთ...

— კარგი, გავჩუმდები, მოდი გავაბოლოთ, რახან დალევა არ გინდა. შენ როგორ არის საქმე?

— ღმერთმა ქნას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და არც ქნას, — დაცინვით დაასრულა ლოპატინმა და, თითქოსდა ისეთ არააუცილებელ საუბარს წყვეტს, რომელიც არც ერთის გონებრივ დაძაბულობას არ მოითხოვსო, მკაცრად ჰკითხა: — ვალოდია, შეგიძლია კიდევ უფრო შორს გამისტუმრო, მაგრამ ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხე: ავად ხომ არა ხარ? არა?

— ავად არა ვარ, — უთხრა ვასილიევმა და, სახემოღუშულმა, შუბლი მოიწმინდა. — თუმცა არავინ იცის, ვინ არის ავად: თავად თუ ის, ვინც ავად ჰგონია. აი, მაგალითად, თქვენი ლიფტიორის აზრით, შენ, რა თქმა უნდა, ფსიქოპათი და არანორმალური ტიპი ხარ: წვერი ყაჩაღივით მოუშვიაო, შინ და გაზეთების საყიდლადაც კი ფეხშიშველი დადისო, აღრძოლებულ სიგარეტს ეწევა და თან უქნარა და მუქთახორაოო, რადგანაც სამსახურში ყოველ დილით არ დაიარებაო. რას იტყვი? ტყუილია თუ? აბ, აღარ მინდა...

სიგარეტს აღარ მოუკიდა, ისევ კოლოფში ჩადო. თითქოს მზად იყო გულიანად გაეღიმა, მაგრამ აღარ გაუღიმია, ოდნავ მოიღუშა და დივანზე უფრო მოხერხებულად წამოწვა, გულხელი დაიკრიფა, გეგონებოდათ აქვე, ამ თბილ დივანზე, მაგიდის ლამპის მწვანე შუქზე, წიგნების მყუდრო ქაოსში, ლოპატინის ბინა-სახელოსნოში, ფანჯრის იქით გამეფებულ ქარბუქის ხმაურში ჩაძინებას აპირებსო.

ლოპატინი ნელა იწეწავდა წვერს, საიდანაც ოდნავ გამოჩანდა ანთებული სიგარეტი. შიშნარევი ალერსით შეჰყურებდა ვასილიევს, თითქოს სულაც არ კიცხავდა არათანმიმდევრულობისათვის, მაგრამ ცდილობდა ბოლომდე გაეგო, რა უნდოდა ამ კაცს, რა იყო მოსალოდნელი მისგან შემდეგ წუთს. ვასილიევი გააღიზიანა ამ თვალყურად ქცეულმა ზრუნვამ, და ტუჩთან გაჩენილმა ნაოჭმა შეუცვალა სახე.

— მიპასუხე, საშა, — ნელა ჩაილაპარაკა ვასილიევმა. — შენთვის ნაცნობი გრძნობაა ეჭვი? ანაქრონიზმი ხომ არ არის, ჰა? ეგებ სულელური კითხვაა?..

— შენ მიერ დასახელებული გრძნობა ყველასათვის ცნობილია, — ირონიულად მიუგო ლოპატინმა და მაგიდის ლამპის თალფაქს მიაბოლა სიგარეტი. — ეჭვს არა აქვს არც სქესი, არც ასაკი, მაგრამ ამ გრძნობას ზოგი ადამიანი მრისხანე შურისგებისა და ეფექტის აღტყინებამდე მიჰყავს, იხილე ოტელო და ასობით სასამართლო საქმე ცოლებისა და ქმრების მკვლელობის შესახებ, ზოგი კი კბილის ტკივილამდე, დეპრესიამდე, არაადამიანური ტანჯვის მდგომარეობამდე, რაც ყოველგვარ წამებაზე უარესია, რადგან ბოლო არ უჩანს. რა არის შეკითხვის მიზეზი, ვალოდია?

— გეკითხები, ნაცნობია თუ არა შენთვის? — გაუმეორა ვასილიევმა, იდაყვდაყრდნობილმა წამოიწია და ლოპატინს სახეში ჩააცქერდა. — პირადად შენთვის? შენ ხომ იყავი ბოლოს და ბოლოს დაქორწინებული ლამაზ ქალზე?

— ჩემს ყოფილ ცოლზე თავდაპირველად აბსოლუტურად არ ვეჭვიანობდი, სანამ ეგრეთ წოდებულ მეგობარ ქალებთან არ დაიწყო ღამის გათევა... აი მაშინ

კი შევიცანი ეჭვიანი კაცის ვნებანი, და უკვე მზად ვიყავი ის მეგობრებიც დამეხოცა და თავიც მომეკლა. მე უძლურებისაგან ვლრიალებდი ბებერი ლომივით, მთელი ქალაქი შემოვირბინე მის ძებნაში!.. იდიოტური დრო იყო! მაგრამ ელენა იშვიათი ეგზემპლარი გახლდათ. უბრალოდ ერთი ნათრევი ლამაზმანი იყო და სხვა არაფერი. ახლა თავისუფალი ვარ, მეგობარო, გესმის, თავისუფალი ვარ ქალებისგან, სიყვარულისგან და, მაშასადამე, ეჭვისგანაც. ქორწინება, ვალოდია, ისე მიშლიდა ხელს, როგორც... ფუთიანი ხუნდები, როგორც ფეხებზე შებმული დოლაბები. ეტყობა, მე ოჯახური სანტიმენტებისთვის არა ვარ გაჩენილი. ჭირვეულობა, საყვედურები, მეუღლის მოვალეობანი, ეს არ გავაკეთე, ის არ ვიყიდე, ზედმეტი სირჩა დავლიე, მთელი ოთახი თამბაქოს ბოლში გავბვიე, გესმის, და სხვა ამგვარი ალმზრდელობითი პირობები და ყოფითი დეტალები — ყველაფერი ეს ნამდვილი კატორღა იყო ჩემთვის.

— მე ალბათ ვეჭვიანობ ცოლზე, — წყნარად თქვა ვასილიევმა, რომელიც უსმენდა და არც უსმენდა ლოპატინს, და, თავზე ხელებშემოდებულმა, არაბუნებრივად მშვიდი ხმით დაასრულა: — სწორედ ეს არის. საშა, ნელ ცეცხლზე წვა...

— ხომ არ აჭარბებ? — დაიკვნესა თუ დაიღმუვლა გაკვირვებულმა ლოპატინმა, მერე ეს გაურკვეველი ბგერები ხველებით დაფარა და ხმამაღლა ჰკითხა: — დიდი ხანია?

— რა არის დიდი ხანი?

— რა და... რაც შენი წამება დაიწყო. როდის იგრძენი... ეგ სიმპტომები?

— ისე მეკითხები, როგორც ექიმი.

— როგორც შენი მეგობარი.

— ეს ვენეციაში ვიგრძენი. რატომ ვენეციაში — ვერ აგიხსნი. თუმცა იქ ბევრი რამ მოხდა, საშა. მე გადამხდა, მეც და იმასაც. არა, არაფერი ისეთი არ მომხდარა. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. მაგრამ რაღაც მოხდა...

— შეგიძლია ყური არ მიგდო მე სულელს, მაგრამ შენი გაგება მიჭირს, ვალოდია.

— მე კი ყველაფერი გამეგება, გგონია?

თავი მეხუთე

მატარებელი გვიან საღამოს ჩავიდა ვენეციაში. სქელი ნისლი გასდევდა უცნაურ ბაქნებს, სადაც ერთიმეორის მიყოლებით მიგორავდნენ ვაგონებისკენ პნევმატური ურიკები ზედ მდგარი მებარგულებით, წარამარა რომ გაჰყვიროდნენ ომახიანი ხმით, ხოლო თითქმის ცარიელი მატარებლის ღია სარკმლებიდან იშვიათად გადმოიხედავდნენ ხოლმე ლოდინით მოღლილი სახეები, რომლებიც ზემოდან დასცქეროდნენ ამ ურიკებს, სველ ბაქანს, სინათლეებს რომ ირეკლავდა, მცირერიცხოვან მგზავრებს, წინა ვაგონებიდან რომ მიიბაწრებოდნენ რუხი წყვდიადით მოცული შემინული ვაგზლისაკენ.

ისინი მკვირცხლი მებარგულის თანხლებით დაუყვნენ მოლიპულ კიბეს, რომელიც სადგურის წინა მოედნის ძელფენილისაკენ ეშვებოდა, და იმწამსვე ეცათ შემოდგომის, სველი ქვის, მახლობელი წყლის მომწარო სუნი. ყველაფერი ისეთ ნისლიან წყვდიადში იყო დანთქმული, რომ შეიძლებოდა დაგენახათ მხოლოდ პატარა მოედნის ნაწილი, რომლის იქითაც ბჟუტავდნენ ფარნების ჩა-

მორეცხილი ლაქები. მაღლა კი, ბურუსით მოცულ სიცარიელეში, „კოკა-კოლას“ რეკლამის მჭრეალი წითელი კონუსი.

— რა სინესტეა! — თქვა მარიამ და მოსასხამის საყელო აიწია. — სად არის შენი სანაქებო ვენეციის? თუ, მგონი, საყვარელი ვენეციაც? — თვალთან თითს ვერ მიიტან, ისე ბნელა.

— საღამოობით ამ დროს აქ ნისლი იცის, მაშა, — მიუგო ვასილიევმ, მაგრამ დილით მზე ამოვა და მაშინ ნახავ.

მარიამ პირი იბრუნა და თითქმის ბრაზით გახედა ნესტიან, თვალშეუვალ წყვდიადს, სულ მთლად რომ დაემალა სახელგანთქმული ქალაქი განათებული ოტელებით, სასახლეებითა და არხებზე გადებული ხიდებით, საღამოსეული ცხოვრებით, რომელიც თითქოს ჩაეხშო მოძრავ სქელ საბურველს, შორეულ სინათლეებს რომ ოდნავ ატარებდა.

მებარგულმა სასწრაფოდ დაავლო ხელი ჩემოდნებს და მარჯვე და მკვირცხლი თავაზიანობით შეეშველა კატარლაში გადამსხდარიყვნენ. მათ მჭრეალი პლაფონებით სუსტად განათებული სალონის ცივ ტყავის საავარძლებში მოიკალათეს. მარიამ გააბოლა, თან თვალს არ აშორებდა შუშებს, რომლებზედაც წყლის მღვრიე შრეები მოცურავდნენ, იშლებოდნენ და თითქოს ბოლავდნენ. ბოლოს ძრავა ამუშავდა, კატარლა აძიგძიგდა, ახმაურდა, ტალღას აჰყვა, შემობრუნდა და მგზავრები ნისლში შეაგდო. მათ ჩაუარეს წყალში ამომართულ სასახლეთა ბუნდოვან გამოსახულებებს, უსასრულოდ გამწკრივებულ ნავმისადგომებს, სადაც შიშველანძიანი იახტები ,მოტორიანი ნავები და გონდოლები მოჩანდნენ.

— მაშა, არ გინდა გემბანიდან გადაიხედო? — შეეკითხა ვასილიევი.

— არა, — უგულისყუროდ მიუგო მარიამ, და ვასილიევი მარტო აჰყვა სალონიდან ამავალ ტრაპს.

მაგრამ მაღლა ისე სცემდა პირსახეში ნისლი, ისე უხუთავდა სულს შემოდგომის ტენი, რომ აქ, ამ მსუსხავ ჰაერში, ჩახშობილი სინათლეებით მარცხნივ და მარჯვნივ მოქანავე თვალბედითი სიმღვრივის პირისპირ დგომა უსიამო და სიცივის მომგვრელი იყო. ხუთიოდე წუთს მაინც გაუძლო, მერე კი დაბლა, სალონში ჩავიდა, რომელიც გამთოშავი სინესტის შემდეგ ძალიან თბილი ეჩვენა. სალონი მყუდრო იყო, შინ ნელსაცხებლისა და სინთეზური გადასაკრავების სუნი ტრიალებდა. მარია საავარძელში იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ლიმმორეული ელაპარაკებოდა ახალგაზრდა იტალიელ ბოცარელის, ესეისტს, კრიტიკოსსა და ფერწერის მცოდნეს, რომელიც ვაგზალში დახვდათ. ვასილიევმა ლაწვებზე მოწითალო ლაქები შენიშნა იტალიელს, შენიშნა, როგორ იწიწკნიდა კოხტა შავ წვერს მღვდლის მგრძნობიარე თითებით და თან ალერსიან თვალს არ აშორებდა მარიას მრგვალ, ლამაზ ჩამოქნილ მუხლს, რომელიც მოკლე ლაბადის კალთის ჩამოცურებისას გაშიშვლებოდა. წინათ ვასილიევი თითქმის არ აქცევდა ყურადღებას იმას, რომ მარიას თავის ასაკში (თვრამეტი წლისა კარგა ხანია ალარა ვარო, ამბობდა ხუმრობით) ჯერ კიდევ შეეძლო მოეხიბლა მამაკაცები, რომლებსაც მოულოდნელად აიძულებდა მაღალი საზოგადოების არშიყული იერი და მაამებლური სიტყვა მიეღოთ და მისთვის იმაზე ხანგრძლივად ეცქირათ, ვიდრე ამას დიდი ხნის ოჯახური მეგობრობა მოითხოვდა. მაგრამ ეს თავდაპირველად მხოლოდ მამაკაცური პატივმოყვარეობის გრძნობას უღვიძებდა და ცოლს კიდევ უფრო აყვარებდა. ვასილიევს წინათ არასოდეს მიუქცევია დიდი ყურადღება მის ინტერესზე პარფიუმერიისადმი. ბუნების სხვადასხვაგვა-

რი საშუალებებისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ ძველ რომში ქალებს დიდხანს შეუნარჩუნებდათ სინაზესა და სიფაქიზეს. ამიტომ მარშან ზაფხულს ყირიმის პლაჟზე უეცრად განცვიფრდა, როცა დაინახა შუადღის მზით გასხივოსნებული ცოლის შოკოლადისფერი სხეული, ჯერ კიდევ ზარჩი და მიმზიდველი, ჯანმაგარი, ძლიერი, როგორც ტანმოვარჯიშე ქალს, ... არც მუცელი ემჩნეოდა, და იმ დღეს განსაკუთრებული დაკვირვებით, ... კი მალულად, ათვალიერებდა მარიას, ყურს უგდებდა მისი ბმის ... ...

ბლობის საამო შეგრძნებითაც გაელვიძებინა მისი ცნობისმოყვარეობა. ბოლოს უთხრა:

— იცი, მარია, ჩვენ ვენეციის ნამდვილ შემოდგომას შეესწარით. განა შეიძლება სადმე ნახოს კაცმა ასეთი ნისლი?

მარიამ მზერა შეაჩერა სალონის მინაზე, რომლის შორიახლოს [illegible] დნენ სინათლის ბუსუსებიანი ლაქები, და არაფერი უპასუხია. ვასილიევს [illegible] ჩენა, რომ მის მშვიდ გამოხედვაში დაინახა ზამთარი და თოვლი, [illegible] ლმა ცივმა ტალღამ გადაუარა, როგორც მარტობის ჟამს ემართებოდა ბოლმე.

„ალბათ გაჯავრებულია ჩემზე და მიმალავს“ — გაიფიქრა ვასილიევმა — „რა დაემართა? სულ დუმს, მე კი არაფერს ვეკითხები, და ეს აუტანელია...“

და მან წამით შეიგრძნო სულისშემხუთველი მოუსვენრობა, რალაც საშინელი გულაცრუება ყველაფრისადმი, რაც იზიდავდა და რის მიმართაც გულგრილობას იჩენდა მარია, რომელსაც შეეძლო ასე გულსატკენად დადუმებულიყო, თუმცა მათ შორის უსიამოვნების არაფითარი მიზეზი არ არსებობდა.

...ათიოდე წუთის შემდეგ კატარლა მიადგა ქვეიტერასას, რომელიც ნისლში ოდნავ გამოკრთოდა, მის ხავსმოდებულ საფეხურებს, დაბალი ფარნების შუქზე რომ ლაპლაპებდა. მაღლა, ტერასის იქით აჩახჩახდა ოტელის ძველებური სადარბაზო, რომელიც სქელ შრეებს ქვეთდა და ელექტრონით განათებული კორიდორის თეთრ სწორკუთხედში შედიოდა.

მოტორის გუგუნის, ფეხქვეშ იატაკის ძაგძაგისა და მძაფრი სინესტის შემდეგ, ლაბადების სახელოები რომ დაეცვარა, პატარა ოტელის პატარა ვესტიბიული განსაკუთრებით წყნარი, მყუდრო და მშრალი ეჩვენათ; იგი ძველი ხის სითბოთი და სიგარის სურნელით იყო გაჟღენთილი. ძალიან ლამაზმა, ქალივით ტანწერწეტა პორტიემ, რომელსაც შავი კოსტიუმი ეცვა და პრიალა თმა წმინდად გადაევარცხნა, სახეგაბადრულმა („ბოანასერა, ბოანასერა!“) ჩამოართვა პასპორტები, მეფოკუსესავით ამოაძვრინა ბუდიდან გასაღებები და ჩაუმქრალი ღიმილით მარჯვედ ჩაუგდო გამოწვდილ ხელში შავთვალა ბიჭს, წითელფოჩიანი ქუდი რომ ეხურა; ისიც, ასევე პირმოცინარი. არტისტული სინარნარით დასწვდა ჩემოდნებსა და ფეხაკრეფით აპყვა მოაჯირმოჩუქურთმებულ ვიწრო ხვეულ კიბეს, რომლის საფეხურებზეც ნაბიჯების ხმის მშთანთქავი ალისფერი ფარდაგი ეფინა.

ისინი მეორე სართულზე ავიდნენ და შეაბიჯეს დიდ, ძველებურ ყაიდაზე მოწყობილ ნომერში, სადაც ფანჯრებიდან წყლის სიახლოვის გამო შმორის სუნი ტრიალებდა. ოთახში იდგა ფართო საწოლი, ტუალეტის ტრელაჟი, ხალერდგადაკრული პუფი. კედლები ჩაშავებული გრავიურებით იყო მორთული. ბიჭმა ვირტუოზულად დააწყო ჩემოდნები ხის სადგარებზე, ხალისით გამოართვა ფეხის ჭირა და ჩაბნელებულ დერეფანში მიიმალა. ვასილიევმა კარი მიხურა და, მარიასთან მარტოდ დარჩენილმა, მაშინვე იგრძნო ოთახში გამეფებული სამარისებური სიჩუმე. მარიამ დაუდევრად ჩამოკიდა მოსასხამი და ჭრიალა კარადა გამოაღო, მაგრამ რატომღაც არ შესდგომია ჩემოდნიდან ნივთების ამოლაგებას. მდუმარედ მოუკიდა სიგარეტს და ვასილიევს ზურგი შეაქცია.

ვასილიევმა იცოდა, რომ მარია ან სულ დადუმდებოდა, ანდა თავშეკავებით, გულგრილად უპასუხებდა შეკითხვებზე (როგორც მას ეჩვენებოდა და რაც აუტანელი იყო მათ ურთიერთობაში), და უეცრად შეეშინდა უხერხულობის სიცივისა, შეუმჩნეველად რომ შემოპარვოდათ, და, ამ რამდენიმე დღის ტანჯვის

უმიზეზობით გულდამძიმებულმა, წყენით გაიფიქრა: „რა ეშმაკად გვინდა ასეთი სასჯელი ჩვენ ორს აქ, ვენეციაში? ბოლოს და ბოლოს ჩხუბი შინ უფრო ადვილია..."

ზურგიდან მიუახლოვდა და იმ ადამიანის სახით, რომელიც ყველაყრელ გადაწყვეტილებას სთავაზობს, თავაზიანად უთხრა:

— მაშა, დღეს ჩვენ თავისუფალი საღამო გვაქვს. შეიძლება სადმე წმინდა მარკოზის მოედნის მახლობელ რესტორანში გავატარეთ დრო. ბოდი წმინდა იტალიური რამე. შევუკვეთოთ. შეგვიძლია კინოშიც წავიდეთ. მე მირჩიეს, ცნობისმოყვარეობის გულისთვის რომში ახალი ინგლისური ფილმი ვნახოთ. რაღაც უჩვეულო სენსაციაა. მგონი, „ორნი" თუ „სამნი". — ვასილიევმა წარბების ოდნავ დამცინავი მოძრაობა შენიშნა და გაუბედავად დასძინა: — ეგებ მაინც რესტორანი ჯობს? რას იტყვი?

— არ მინდა, — უთხრა მან. — უკვე საშინლად მომბეზრდა. შემძაგდა რესტორნები. ეს პიცები და სპაგეტებიც. ყელში ამომივიდა. გესმის?

ვასილიევი დუნედ შეესიტყვა:

— მაგრამ ხომ უნდა ვივახშმოთ, მაშა!

მარიამ სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო და გულგრილად მიუგო:

— მე დღეს მშვენივრად გადავივლი უვახშმოდ.

მარია, ეტყობა, ხვდებოდა, უკანასკნელ დღეებში რა ძნელი გახდა ორივესათვის მათ შორის წარმოქმნილი უტყვი შეუთანხმებლობა, ვასილიევს კი არ უნდოდა რაიმეზე გაემახვილებინა ყურადღება მარიასთან საუბარში, რადგან ეშინოდა, რომ ამჟამად სრულიად ზედმეტ უსიამოვნებას ვერ აიტანდა და უეცრად დაეკარგებოდათ ვენეციას გამომგზავრების მთელი ინტერესი, რომელიც უამისოდაც თითქმის დაეჩრდილა ერთმანეთისგან მილებულ წყენას.

და მან ხუმრობანარევი მორჩილებით უთხრა:

— ყველაფერზე თანახმა ვარ, მაშა.

— თანახმა ხარ? ყველაფერზე? — ჰკითხა გაოცებულმა მარიამ და ისე შეანათა თვალები, რომ ამ მზერამ რაღაცნაირი ტანჯვით შეუკუმშა გული. — თანახმა ხარ? თანაც ამბობ, ყველაფერზეო? ღმერთო ჩემო, რა იაფია ამ ჩვენს დროში სიტყვები!.. „ყველაფერზე თანახმა ვარ". კარგი, წავიდეთ კინოში, რახან აგრეა, — აჩქარებით უთხრა მან და სარკის წინ პუფზე ჩამოჯდა, თან სარკეში შეავლო თვალი თავის სახეს. — კი, ბატონო, წავიდეთ კინოში, ინგლისურ სენსაციაზე. და თუ ძნელი არ არის, სინიორ ბოცარელისაც დაურეკე, დაპატიჟე. მასთან ერთად გვიჯობს. კარგად იცნობს ქალაქს.

— მეც ასე თუ ისე ვიცნობ ვენეციას. კინოთეატრსაც მივაგნებთ, — გაუბედავად უთხრა ვასილიევმა. — ეს ძალიან ადვილია.

— არა, არა, დაპატიჟე, გეთაყვა, ჩვენი ძვირფასი კრიტიკოსი.

კინოთეატრის ერთ ციცქნა დარბაზში, რომელსაც ძლივძლივობით ანათებდა ეკრანი და სადაც სინთეზური მოსასხამების მძაფრი სუნი იდგა, ფილმი უკვე დაწყებული იყო, როცა მებილეთე ქალმა პატარა ფარანი დაანათა ბილეთებს, სასწრაფოდ გაუძღვა მათ და მეხუთე რიგის შუაგულში დასხა, რომლის წინაც თვით ეკრანამდე უკაცური ბინდბუნდი ჩამოწოლილიყო და მხოლოდ მარჯვნივ მოჩანდა ორი გაბურძგნილი თავი, წითლად ღუოდა ანთებული სიგარეტების ორი წერტილი და იქიდან ამოდიოდა კვამლის შეერთებული სპირალები, რომლებსაც ეკრანის მოცისფრო ნათება მსჭვალავდა.

წინ გამეფებული უკაცურობა რამდენადმე ხელს აძლევდათ. მაგრამ ხუთი-

ოდე წუთის შემდეგ ვასილიევს მოეჩვენა, რომ მარია გაოგნებული შემოსცქეროდა. მას მოუნდა სავარძლის საიდაყვეზე მოეძებნა მისი ხელი, ალერსიანად ჩაებლუჯა წვრილი მაჯა და მონანიებით, მშვიდობიანად ეთქვა: „რა ეშმაკად წამოვედით ამ ინგლისურ სენსაციაზე. წავიდეთ რა აქედან!“ — მაგრამ უცებ მაინც ვერ გადაწყვიტა ადგომა. სწორად ამ დროს იგრძნო, რომ მარია დაძაბული იჯდა, ხოლო მის გვერდით წყნარად ფშვინავდა სინიორ ბოცარელი.

მარია ვასილიევის მარცხნივ იჯდა, ნიკაპით ხელზე დაყრდნობილი, დაბნეული ეკრანს კი აღარ უყურებდა. არამედ ქვედა ტუჩი დამცინავად გამოებურცა და თვალს არ აშორებდა თმააბურგძნილ შეყვარებულებს, რომლებიც სლუკუნით, გაბმული კვნესითა და დუდუნით ეხვეოდნენ ერთმანეთს მეოთხე რიგში, თან ხარბად ეჭაჩებოდნენ სიგარეტს ყოველ გახანგრძლივებულ კოცნაზე.

ხოლო იქ, ეკრანზე, სადაც ყველაფერი ცოდვა-ცთუნებებით აღსავსე და სულის მომწამვლელი იყო, შეყვარებული ახალგაზრდა ვექილი, ჩინებულად აღზრდილი, ცნობილი გვარის მდიდარი ოჯახის შვილი, უწყინარ, ნაზ ქერათმიან ქალიშვილზე დაქორწინებული, საგონებელშია ჩავარდნილი, წუხს, ვერა და ვერ გაუგია მეუღლის მუდმივი დარდის, გულგრილობის, თაფლობის თვეში ქმართან სიახლოვის ცუდად დაფარული ზიზღის მიზეზი. მაგრამ ერთხელ, შინ უდროო დროს მოსულს, ახალგაზრდა ცოლი ხვდება ბედნიერი, აღგზნებული მის კოლეჯის მეგობარ ქალთან ერთად (ესოდენ უნუგეშოდ რომ ტიროდა ეკლესიაში ჯვრისწერისას); მეგობრები გართული არიან ბილწი თამაშით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხან მამაკაცის ტანისამოსს იცვამენ და ხან ქალისას. სამთა შორის მომხდარი მშფოთვარე საუბრის შემდეგ გულდამძიმებული, დაბნეული გმირი ბოლოს და ბოლოს თანხმდება საზრიანი მეგობრის შემოთავაზებულ წინადადებას — სამივემ ერთად სცადონ ცხოვრება, და ამ სამთა საქორწინო ცხოვრების წვრილმანები — ქალაქური საწოლი ოთახი, ქალაქგარეთ მდებარე ვილა, ზღვისპირა ოტელის ნომერი — ახალგაზრდა ვექილისათვის თანდათანობით იქცევა მის ახალ სიყვარულად, მის ვნებად, მუდმივი ეჭვებით რომ მოწამლულა ორივე ქალისადმი...

— თქვენ ბოლომდე უყურეთ ფილმს, მე კი ქუჩაში დაგელოდებით, — თქვა მარიამ და წამოდგა, გასასვლელისაკენ გაემართა, სადაც ფარდის თავზე ბჟუტავდა წითელი ფარანი.

— სინიორ ბოცარიელი, თქვენ რას ფიქრობთ? — ხმადაბლა შეეკითხა ვასილიევი და თვითონაც წამოდგა. — მე მოთმინება დავკარგე.

— თქვენთან, თქვენთან, თქვენთან, — თავი დაუქნია ბოცარელიმ და სასწრაფოდ წამოხტა, მზად იყო დაუყოვნებლივ გაჰყოლოდა პატივცემულ სინიორ ვასილიევს, სადაც მოესურვებოდა.

საღამოს ქალაქში წინანდებურად ჩამოწოლილიყო ნისლი, შემოჰხვეოდა სინათლეებს, დაკეტილი მაღაზიების ვიტრინებს, ნეონით რომ იყვნენ განათებულნი და წააგავდნენ თეატრალურ სცენებს, რომელთა წინ იშვიათად მიმოდიოდნენ ადამიანები. ვიწრო შუკები, პირთამდე რომ აევსო მოძრავ წყვდიადს, ნაბიჯების ხმას ახშობდნენ. ცოტა მეტი სინათლე იყო მოედნებზე, სადაც ზოგჯერ ელიმართებოდა უზარმაზარი ჩამორეცხილი ტაძარი (მის გისოსიან სარკმლებში მეწამულისფრად ბჟუტავდა ელექტრონული სანთლების ანარეკლი), და ისევ ვიტრინების ნეონით გამსჭვალული ჭუჭების ნისლიანი დერეფნები, ისევ უხილავ არხებზე ვადებული ხიდების ნახევარმრგვალი და მერწევი ჩრდილე-

ბი, რომელთა ქვეშიდან უბერავს ნესტიანი ქარი და ამოდის დახავსებული ლიპი ქვის სუნი.

დიდხანს მიდიოდნენ და დუმდნენ.

— ვერ გამიგია, — წარმოთქვა უცებ მარიამ, ხელები ლაბადის ჯიბეებში ჩაიწყო და მოიბუზა. — მთელი მსოფლიო ჭკუაზე შეცდა. სამაგალ სიმახინჯეში ეძიებენ სიმართლეს და სურთ ადამიანებს შთააგონონ საკუთარი თავისადმი. რატომ? რისთვის? თქვენ შეგიძლიათ ასახსნათ, სინიორ ბოცარელი? იცით, ამ ფილმის შემდეგ არც კაცების ყურება მინდა და არც ქალების.

სინიორ ბოცარელიმ თავაზიანად გაიღიმა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ შეკითხვა საკმაოდ ვერ გაიგო, ამიტომ შემცბარმა სთხოვა:

— შეიძლება იტალიურად, სინიორა მარია?

— ვცდი, — თქვა მან და ამოიოხრა. — კი, ბატონო, იტალიურად იყოს.

მან შეკითხვა გაუმეორა, და ბოცარელიმ დამტვრეული რუსულით უპასუხა:

— მე ვფიქრობ, პანსექსუალიზმი.... წარმოიშვა როგორც ინტელექტუალთა თვითგანმტკიცება, სინიორა მარია. მათ... ესე იგი, ინტელექტუალურ ადამიანებს, აბსოლუტურ იმპოტენტებად თვლიდნენ. ჰოდა, ისინი გაჯავრდნენ და გააკეთეს... რა ჰქვია... სექსუალური რევოლუცია, მაგრამ... როგორ ვთქვა უკეთ?.. თვითონ ძველებურად იმპოტენტები დარჩნენ. — და მან თითქოს შიშით მოისვა ხელი ფაქიზად დავარცხნილ წვერზე.—მე ასე ვფიქრობ, სინიორა მარია.

— უცნაური აზსნაა, — თქვა ქალმა და ფიქრიანად შეკრა წარბი. — თქვენ გწამთ თქვენი ირონიული მითი? თქვენთვის ყველაფერი ნათელია? ბედნიერი ადამიანი ყოფილხართ, თუკი ასე ადვილად ეთანხმებით საკუთარ თავს.

— ჩემი აზრით, ეს სექსუალიზმი, სინიორ ბოცარელი, ცინიკოსმა ვაჭარმა და გაქნილმა პოლიტიკოსმა მოიგონა, — წარმოთქვა უზომოდ განაწყენებულმა ვასილიევმა. — თავისებური საქონელია, სალბუნი და მეხამრიდი...

— ყველაფერი პოლიტიკაზე რატომ დაგყავს? — ჰკითხა გაბრაზებულმა მარიამ.

„როგორ არ მინდა, რომ ამაზე ილაპარაკოს!“ — გაიფიქრა ვასილიევმა, რომელიც რატომღაც ახლა დაეჭვდა იმაში, რომ მარია თავისი პროფესიის გამო არაერთხელ იტყობდა, და თანაც, როგორც ჩანს, მასზე უფრო მეტს თანამედროვე იტალიური და ფრანგული რომანებიდან, რომლებსაც სათარგმნელად კითხულობდა.

— არა მარტო პოლიტიკაზე, მაშა.

— ყველაფერი პოლიტიკა როდია, ძვირფასო ვალოდია. ფაშიზმიც და ყოველგვარი გადახრებიც კოხის ჩხირივით არიან ჩაბუდებული ადამიანში, — თქვა მარიამ. — ეს რომ ასე არ იყოს, — აქეთ-იქით არ ვივლიდით და ასეთ აბდაუბდას არ ვუყურებდით.

— ო, დიახ, სინიორა მარია, დიახ! — თანხმობის ნიშნად წამოიძახა ბოცარელიმ და ალერსიან თვალებში ალტაცების სხივი ჩაუდგა. — მოთხოვნილება შობს წინადადებას. თუ მოთხოვნილება არ იქნა, მაშინ... არც წინადადება იქნება. მე ვსწავლობდი მორალს და ვიცი, რომ რუსებს მაინცდამაინც არ უყვართ „პორნო“. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ... ეს „პორნო“, მაინც შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლინებაა, თავისუფლებისა, რომელიც აბსოლუტი არ გახლავთ. აქაა ტრაგედიის დასაწყისი...

— დასაწყისი? — გაკვირვებით ჩაილაპარაკა მარიამ... — მაგრამ რა არის საერთო ხელოვნებასა და პათოლოგიას შორის?

— ო, სინიორა მარია! — უუფლებო საყვედურის კილოთი წამოიძახა ბოცარელიმ. — განა პათოლოგია რა არის თანამედროვე ცივილიზაცია? ნარკომანია? ძალადობა? სექსის ესკალაცია? არსაიდან არსაით მოძრაობა? შეხედეთ რომის, მილანის, პარიზის ქუჩებს! საით მიემართებიან მანქანებში ჩაფლული ეს მჯდარი სხვადასხვაგვარი ადამიანები? დიახ, მე ვფიქრობ, რომ არსაიდან არსაით, მსოფლიო ძალიან დაიღალა. ხოლო ეს ინგლისური „რიმეიკი" დუმილის მონასტრებია: ინგლისური ინტელექტუალები დაივანებენ ხოლმე აქ და თვეობით დუმან, როგორც მუნჯები. ახლა „რეტრო" — წარსულში დაბრუნება... ახლა მაგერიჯი...

— მაგერიჯი რაღაა?

— მე აგიხსნით. ეს არის ჯგუფური ლტოლვა სწრაფი სიკვდილისაკენ... ეს ახალგაზრდა ჰიპებს შორის ხდება. აბა რას გააწყობს აქ ხელოვნება?

— რა სამწუხაროა ყველაფერი ეს, რა საშინლად სამწუხარო! — თქვა მარიამ და ლაბადის საყელო აიწია. — რა მოუვათ ადამიანებს ოცი წლის შემდეგ? საით მიდიან? უფსკრულისაკენ?

— ძალიან სამწუხაროა, — დაუდასტურა ბოცარელიმ და კვლავ დამაჯერებელი გატაცებით დაიწყო: — ახლა მსოფლიოში აღარავის სჭირდება ადამიანი. ადამიანის სულზე მხოლოდ ინტელექტუალთა მცირე ჯგუფი ლაპარაკობს. მათ რაღაც სურთ და რაღაცის ეშინიათ. ამიტომ ყბედობენ ჰუმანიზმის შესახებ. მოწამლულ დედამიწაზე ცივილიზაციის დაღუპვის შესახებ. მაგრამ, სინიორა მარია, ეს არის საკუთარი თავის, მსოფლიო კულტურის და არა ადამიანის დაღუპვის შიში; ადამიანისადმი ისინი გულგრილნი არიან.

ისინი მიდიოდნენ სველ წყვდიადში, ქვით მოფენილ შუკებში, ზოგჯერ საფეხურებს აჰყვებოდნენ და არხებზე გადებულ თალოვან ვიწრო ხიდებზე ვადადიოდნენ, თან ქვემოთ თეთრად გამომზირალ ხარვეზებში ფარნის შუქზე მოლივლივე წყალს დალანდავდნენ ხოლმე დროდადრო. აქ, ამ პატარა ხიდებზე, განსაკუთრებით იგრძნობოდა ბნელი სახლების კედლებიდან მონადენი შემოდგომისეული სინესტე, ქალაქს დიდი ხანია ეძინა, ოქტომბრის საღამოს ავდარს აქეთ-იქით მიმოეფანტა ამ დროისათვის მცირერიცხოვანი ტურისტები, ძეხორციელი არსად ჩანდა და მხოლოდ ნისლი მეუფებდა ყველგან. ნისლი ეკვროდა აწ ყოვლად უმაქნისი ვიტრინების გაჩახჩახებულ კუნჭულებს, ნელნელა ეტმასნებოდა ღამის ბარების მოწითალო ფანჯრებს.

ორჯერ იყო ვასილიევი ვენეციაში გაზაფხულზე, ხსოვნაში ჩარჩა მზიანი, ხალხმრავალი ქალაქი, მაგრამ ამ შემოდგომისეულ ბნელ ვენეციას, სევდისმომგვრელ უკაცურობას, შმორის სუნს, უსიამოვნო ფილმს და უსიამოვნო საუბარს ბოცარელისთან ოტელისაკენ მიმავალ გზაზე — ყოველივე ამას თითქოს მარცხის, სიცრუის ელფერი დაჰკრავდა, და იგი ძლივძლივობით ისუნთქავდა ტენიან ჰაერს.

„ნეტავ რა მაშფოთებს ახლა? — ფიქრობდა ვასილიევი. — ნუთუ მართლა უქეიფოდ ვარ?"

— ღმერთო, როგორ მინდა მოწევა! — თქვა აკანკალებულმა მარიამ და ნიკაპი ლაბადის საყელოში ჩარგო. — მაინც რა სინესტეა აქ!..

— თქვენ თქვით?... გთხოვთ, სიონირა მარია. — ჩაილაპარაკა ბოცარელიმ,

ნაბიჯი წარდგა და თავის დაკერით სიგარეტი გაუწოდა. მაგრამ მარიამ ლიმილით შეაჩერა და მადლობა გადაუხადა:

— გმადლობთ. ქუჩაში არ ვეწევი.

— ვერ დაგეთანხმებით, სინიორ ბოცარელი, — რაც შეიძლება თავშეკავებით წარმოთქვა ვასილიევმა, რომელიც გრძნობდა, ეს-ეს არის გაცხარდებით, და რცხვენოდა. — თქვენ მწარე სიტყვები თქვით ინტელექტუალებზე. მე მიყვარს ისინი, მთელი მათი ნაკლოვანებებით, უმადურობით. ცხოვრება მარტოოდენ მოწყენილობა და უტილიტარული მექანიკა იქნება. თქვენ ლაპარაკობთ როგორც კრიტიკოსი, ხოლო ჩვენს დროში, სამწუხაროდ, კრიტიკა ან ურცხვი რეკლამაა, ანდა ტალანტის საჯაროდ სიკვდილით დასჯა. მით უმეტეს მხოლოდ ღმერთებს ძალუძთ თავიანთ მსგავსთა მოკვლა და არა ცოთმილ ანგელოზებს. მომიტევეთ, სულაც არ მინდა გაწყენინოთ, მაგრამ კრიტიკოსები, თითქმის ყველანი, ცოთმილი ანგელოზები ხართ. იმის მიხედვით, თუ რა სიძულვილით ლაპარაკობდით ინტელექტუალებზე, მივხვდი, რომ თქვენც...

კმაყოფილ ბოცარელის ახალგაზრდული ქათქათა კბილები გამოუჩნდა ბერის ხმელ-ხმელ ფერმკრთალ პირისახეზე.

— სინიორ ვასილიევ, მე ცუდად არ დავწერე თქვენი რომაული გამოფენის შესახებ! მე თქვენ არ გაგანადგურეთ. პირიქით, ზოგი რამ ძალიან მომწონს. „თოვლი", „გამოთხოვება", „ქალი წითლებში", „პორტრეტი" მე განვსაზღვრე თქვენი მანერა არა როგორც სოციალისტური რეალიზმი, არამედ სოციალიზმის რეალიზმი.

— განა საქმე ტერმინებშია? — სახე მოეღუშა ვასილიევს. — გინდ სამშობლო გითქვამს და გინდ მამული, რა განსხვავებაა.

— სამშობლო, მამული, — მორცხვად დააქნია თავი ბოცარელიმ. — მე ასე ვიტყვი. კრიტიკოსი თანამედროვე ხელოვნებაში — ეს კურტიზანი ქალია, მას ყველა უნდა უყვარდეს. მე კი ყველა არ მიყვარს. ჩემი ტრაგედია ისაა, რომ მე მძულს ზოგიერთი მხატვარი. სინამდვილეში კი უნდა მიყვარდეს, ანუ კურტიზანივით უნდა განვასახიერებდე სიყვარულს.

— ეს, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში ასეა! — მკვახედ თქვა ვასილიევმა. — სამწუხაროდ იმიტომ, რომ ადამიანის ცხოვრება მარტოოდენ საბაბია ხელოვნებისათვის, ხოლო შემოქმედება — ეს პიროვნებაა, მისი გამოხატულება! ეშმაკსაც წაუღია კურტიზანობა ხელოვნებაში, სინიორ ბოცარელი!

— შენ არ უკვირდები საკუთარ თავს, აგრე არ ვარგა, ვალოდია, — წყნარად უთხრა მარიამ და ფეხებზე დაიხედა. — აგრე შეიძლება აწყენინო ადამიანს...

— მე არ მწყინს! — გულუბრყვილოდ წამოიძახა ბოცარელიმ, მგრძნობიარე ხელები გაასავსავა და ამით გამოხატა თავისი ნათქვამი. — რა თქმა უნდა, თქვენ, ესოდენ დამოუკიდებელ ტალანტს, სერიოზულად არ შეგიძლიათ მოეკიდოთ კურტიზანის პროფესიას. მე თვითონაც ძლივს ვითმენ საკუთარ პროფესიას, მაგრამ სხვა არ მაქვს. მე ძალიან მესმის, რომ ყოველი შემოქმედება გამოვლენილი ანომალიაა და მასში ფსიქიატრი უნდა ვაერკვეს... და არა საცოდავი კრიტიკოსი.

— გაზვიადება რა საჭიროა?

— არარსებული სამყაროს ტილოზე საღებავებით ანდა ქაღალდზე სიტყვებით შექმნა განა ანომალია არ არის? თუნდაც თქვენი, სინიორ ვასილიევ, რეალიზმი...

რა ჰქვია? სინამდვილის ასახვა კი არა, თქვენი სუბიექტის... თქვენი პირადი „მეს" სარკეა. და ასეთი აქტი ნორმალური ადამიანების მოქმედებაა? ნორმალურია ჩვენი სამყაროს შემქმნელი ღმერთი? იერონიმ ბოსხი მეთხუთმეტე საუკუნეში ცხოვრობდა, თავისი წარმოსახვით კი სიმახინჯის საშინელი თანამედროვე სამყარო შექმნა. მისი სურათია „ჯვრის ტვირთვა". ვინ არიან იესუს გარშემო? ულმობელი, სადისტი პიროვნებანი, რომლებიც წარმოადგენენ, როგორც ისტორიამ ვვიჩვენა, კაცობრიობის უმრავლესობას. არა სხვა პლანეტიდან მოსულებმა, არამედ ულმობელმა ადამიანებმა აცვეს ჯვარს სიყვარულით აღსავსე უჩვეულო კაცი. მომიტევეთ, მე ძალიან, ძალიან გადავუხვიე საუბრის თემიდან. მაგრამ მე მუდამ ვფიქრობ: რა უნდა ქნას მხატვრის ტალანტმა — მიუტევოს კაცობრიობას სისხლიანი ცოდვანი, ომები, მკვლელობანი თუ განურისხდეს მას? უყვარდეს თუ სძულდეს?

— მიუტევოს და არ მიუტევოს. უყვარდეს და სძულდეს, — ჩაილაპარაკა ვასილიევმა, რომელიც წელანდელ გაუმართლებელ თავშეუკავებლობას ნანობდა, მერე კი წყნარად დაასრულა: — მე მჯერა, რომ ხელოვნება კაცობრიობის თვითშემეცნებაცაა და თვითდასჯაც.

— რა ბრძანეთ, სინიორ ვასილიევ? თვითდასჯა? — ჰკითხა ბოცარელიმ და, აღტაცებულმა, თვალები დააჭყიტა, თითქოს მთავარ, მისთვის აუცილებელ აზრს წააწყდაო. — აქვს თუ არა ამას რაიმე დამოკიდებულება მაზოხიზმთან?..

— რა ეშმაკად გინდათ, ყველაფერი ერთსა და იმავეზე რომ დაგყავთ, მომიტევეთ! არავითარი დამოკიდებულება! თვითდასჯაში იგულისხმება ისტორიული დანაშაული მთელი დაღვრილი სისხლისათვის, მთელი ჯანჯვა-წამებისათვის, თვითდასჯა კაცობრიობის თავდაცვისთვის არის აუცილებელი. გამიგეთ, სინიორ ბოცარელი? ხელოვნება მოწოდებულია დაიცვას ადამიანში ადამიანური! ამ ყოველგვარი თავის მომაბეზრებელი დე სადების, ზახერ-მაზოხებისა და ფროიდების გარეშე!

— აგრე რატომ ბრაზობ? — უთხრა მარიამ და მხრები აიჩეჩა. შენ ცოტა არ იყოს უხეში ხარ, ვალოდია.

— ნუთუ? — ხმადაბლა წარმოთქვა ვასილიევმა. — ნამდვილად არ მინდოდა.

„რაღაც ვერა ვარ კარგად, — ფიქრობდა იგი და ვერ მიმხვდარიყო, რატომ ჰქონდა ჩაბუდებული გულში ბრაზი იმ უაზრო ფილმისადმიც, საყვარელ ვენეციაში ჩამოწოლილი სულისშემხუთველი ტენიანი ნისლისა და საკმაოდ ჭკვიანი, მეტისმეტად ყბედი იტალიელი კრიტიკოსისადმი, რომელიც მგრძნობიარე ხელებით, ხმელ-ხმელი პირისახითა და მოკლე წვერით მღვდელს წააგავდა. — თუ მე თავის დაჭერა არ შემიძლია, რატომ უნდა მოვაჩვენო თავი ამ ბიჭს, სინიორ ბოცარელის, სანიმუშოდ აღზრდილ რუსად, რომელიც მაღალი საზოგადოების თავაზიანობის ხათრით წარმოთქვამს მხოლოდ ორ ლამაზ სიტყვას: „რამეთუ" და „ფრიად"? ეშმაკმა წაიღოს ეს ნორმები! ჯანდაბას იქით ჰქონია გზა! ისევ გრძნობები? ერთი უგულო გონება მომცა და — ყველაფერი მშვიდად იქნება. და მსოფლიოში ყველაფერი კანონზომიერი გახდება, მეც უზომოდ კმაყოფილი ვიქნები იმით, რომ მესამედ ჩამოვედი ვენეციაში, რომ მალე გათენდება დილა, და მე არხების თავზე დავინახავ მზეს. მაგრამ რაღაც ვერა ვარ კარგად. უგუნებოდ ვარ, თითქოს მეტირება კიდეც. არასოდეს არ ყოფილა ასე..."

— ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგადაა, — ხალისიანად თქვა ვასილიევმა, ისე რომ ყალბი ნოტი ძლივს დაფარა. მერე კი უფრო მეტი ხალისი განაგრძო, თან გრძნობდა, რომ უგვანო რაღაცას ამბობდა: — „ბედნიეროდ, იმ სულელური ფილმის შემდეგ ცოცხალი გადავრჩით, ანუ ალბ. ახლა არ გვაწყენს წავისაუზმოთ და თითო ჭიქა დავლიოთ.

— რას ამბობ? ღამის თორმეტი საათია. საშინლად დავიღალე, მაგრამ მე ხელს არ შეგიშლი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

მარიამ ერთი ალმაცერად გახედა, და ამ მზერაში ვასილიევმა წამიერი ზამთრისეული სიცივე იგრძნო, და ისევ შეუგუბდა სული, თითქოს გული უჩერდება ან თვალებში მოწოლილი ცრემლები უშლისო ხელს. მერე თავი შეიკავა, თან გაბრაზდა კიდეც. ასეთ არანორმალურ მდგომარეობაში რომ იყო, რაც მას იმითაც ამცირებდა, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა თითქმის სრულიად უმიზეზოდ თავში სისხლი ავარდნოდა და გაფიცხებულიყო.

—ნუ დამემდურებით, სინიორ ბოცარელი, — წარმოთქვა ვასილიევმა. — გულწრფელად ვნანობ, რომ მწარე-მწარე სიტყვები გითხარით; კაცმა რომ თქვას, ისინი სრულიად უსარგებლონი არიან.

ოტელის ვესტიბიული ისე გაჩახჩახებული ალარ იყო; ახალგაზრდა ლამაზი პორტიე, რომელიც მაგიდის ლამპის შუქზე ილუსტრირებულ ჟურნალს ფურცლავდა, ალერსიანი ღიმილით მივიდა გასაღებების თაროებთან, ნომრის გასაღები ჩამოიღო და კონვერტთან ერთად გაუწოდა ვასილიევს. სქელსა და მოგრძო კონვერტს დახრილი ასოებით ეწერა ინგლისურად: „მ-მ ვასილიევას“ და ორჯერ იყო ხაზგასმული.

— შენი წერილია, მაშა, — უთხრა ვასილიევმა და დაინახა, როგორ აენთო ქალს შიშით თვალები, როცა კონვერტზე დაწერილ ხაზს გაადევნა თვალი, როგორ აუთრთოლდა ხელში ფურცელი, როცა სწრაფად წაიკითხა წერილი, რომელიც, ეტყობა, რამდენიმე აბზაცისაგან შედგებოდა.

— მე მწერენ, — წარმოთქვა მაშამ და წერილი დაუდევრად ჩაჩურთა ჩანთაში, მაგრამ ხმა მეტისმეტად დაძაბული ჰქონდა და ალბათ ამიტომ შეეცადა თავაზიან ღიმილში გაეხვია სინიორ ბოცარელი: — ღამე მშვიდობისა. ხვალამდე. A rrivederci![1]

და ხელკავითაც კი მიიყვანა ვასილიევი კიბემდე.

მაგრამ როგორც კი ნომერში შევიდნენ და სინათლე აანთეს, მარიას ლაბადა არ გაუხდია, მკვეთრად მიბრუნდა მისკენ და ჩალამებული, ისეთივე შეშინებული თვალებით ჩააცქერდა სახეში, მერე „ღმერთო ჩემო“ წაჩურჩულა. ჩანთა ტრელაჟზე დააგდო და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, თან დროდადრო თავს ხრიდა და ნიკაპს ლაბადის საყელოში რეავდა. ვასილიევი უყურებდა და დუმდა. წინასწარ გრძნობდა, რომ ამ წუთს უნდა მომხდარიყო ის, რისაც ეშინოდა, რაც არ უნდოდა, მაგრამ ამასთანავე როგორც აუცილებლობას, ისე ელოდა.

— არ ვიცი, როგორ გითხრა, — დაიწყო მან, თან აჩქარებით მოუკიდა სიგარეტს და ოთახში აქეთ-იქით სიარული განაგრძო. — მე არ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, როგორ გითხრა ყოველივე ეს...

[1] ნახვამდის (იტალ.).

— რაზე მელაპარაკები? — შეეკითხა ვასილიევი, უეცრად გონება გაუნათდა და გაიფიქრა: „აი ახლა მოხდება რაღაც...“

— არ ვიცი, როგორ გითხრა, თუ ვის შევხვდი რომში, — გაიმეორა მარიამ და მოუთმენლობისაგან სახე დაემანჭა. — თუმცა თავად წაიკითხე მისი წერილი. ჩემს სახელზეა, მაგრამ შენთვის არის განკუთვნილი.

„აი ახლა... ყველაფერი ახლა მოხდება... და მარიას სურს ესაუბროს, სურს თავიდან მოიშოროს რაღაც საიდუმლო, მტანჯველი...“

ვისგან არის? — რაც შეეძლო მშვიდად ჰკითხა ვასილიევმა, ჩანთიდან ამოღებული კონვერტი გამოართვა, თავისთვის მოულოდნელად ჩაიცინა და მხსნელის კილოთი წარმოთქვა: — ღირს კი, მაშა, სხვისი წერილის წაკითხვა? მაქვს უფლება?..

— წაიკითხე, წაიკითხე! — მბრძანებლური ჩურჩულით შესძახა მან. მოუთმენლობისაგან სახე დაემანჭა, შეეცვალა, დაუმახინჯდა და განდგომილი, მოწამებრივი გაუხდა.

ვასილიევმა უნებლიეთ გახსნა ოტელის ანაბეჭდიანი პრიალა ფურცელი და წაიკითხა ნერვული დახრილი ასოებით რამდენიმე რუსული წინადადება.

„ძვირფასო და დიდად პატივცემულო მაშა!

თუ ღმერთი გწამს, მომიტევე იმისათვის, რომ ჩემ მიმართ კეთილი განწყობილების შემორჩენილ ნაწილს ვიყენებ. არ მინდა, რომ ვლადიმერთან ჩემი შეხვედრა უეცრად მოხდეს. ასეთი მოულოდნელობა, მე მგონი, გამალიზიანებელი და უსიამოვნო იქნება. ისევე, როგორც რომში შენთან შეხვედრა, რომელმაც საწყალი ქალი თითქმის გულისწასვლამდე შეგაშინა. გადაეცი ვალოდიას, ყველაზე წმინდას გაფიცებ, რომ ხვალ დილის 8-დან 10-საათამდე თქვენი ოტელის რესტორანში დაველოდები. თუ 10-მდე არ მოვა, ღმერთი იყოს მისი მსაჯული. მე კი მის მოუსვლელობას არც ჩემს სასჯელად მივიჩნევ და არც ჩემდამი სიძულვილად. ილია“.

— ილია?

მეორეჯერ წაიკითხა წერილი და რაღაც ბუნდოვნად აუმოძრავდა გონებაში, რაღაც ძველმა მოუსვენარმა გრძნობამ გაუელვა, მაგრამ მაშინვე ეს გრძნობა კი არა, რაღაც შორეულის, გარდასულის გახსენება შეუძლებელად, არყოფნაში გამქრალი დროის ხსოვნის ღალატად ეჩვენა.

— ილია? ვინ არის ეს ილია? — შეეკითხა ვასილიევი, რომელიც უკვე გონებიდან იგდებდა ამ შეხსენების ლანდს, ამ სუსტ ,უიმედო მიხვედრას, და დანაწევრებით წარმოთქვა: — მე მგონი, ჩემს ნაცნობებში არც ერთი ილია არ არის. მაშ რომელია? ან რაზე სურს ჩემთან ლაპარაკი?

— ის არის, ის! გესმის, ის! — შესძახა მარიამ, ფანჯარასთან მივიდა და რატომღაც გასწია მძიმე ფარდა; ნისლი ჩამოწოლილიყო არხის თავზე, აქაიქ ფარნის მოთეთრო ლაქებით გაგლეჯილი ნისლი. — ის არის, ნამდვილად ილიაა! ის ცოცხალია, ის რომში ცხოვრობს! ის შენს გამოფენაზე იყო, მან ყველაფერი იცის შენ შესახებ! — გაიმეორა თითქმის ატირებულმა, ისე რომ ფანჯარას არ მოშორებია: — დიახ, ჩვენ შეიძლება გაგვიკვირდეს, არ დავიჯეროთ, მაგრამ ის არის, ილია რამზინი! და მას შენთან შეხვედრა სურს. მე

კი ეს საშინლად არ მომწონს თუმცა რომში ველაპარაკე! თუ ჩემი აზრი გინდა იცოდე, ნუ შეხვდები მას! თქვენ სხვადასხვა ადამიანები ხართ, ყოველივე ეს უაზრობაა, სრული უაზრობა!..

— არა, ეს შეუძლებელია! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა ვასილიევმა, რომელსაც ბოლომდე მაინც ვერ დაეჯერებინა ეს ამბავი, და ხელი გაიქნია,— ილია რამზინი? რომში ცხოვრობს? უაზრობაა! მისტიკა! ილია უკრაინაში დაიღუპა ორმოცდასამ წელს. მე და ის ერთ ბატარეაში ვიბრძოდით, ოცეულებს ვმეთაურობდით. ილია რამზინი? ის ილია? რომში შეგხვდა? რაც არ შეიძლება, არ შეიძლება!

მარიამ გაბრაზებით შეაწყვეტინა და ფანჯარას ზურგი აქცია:

— რატომ გაიძახი ასე დაჟინებით, ეს შეუძლებელიაო? ეგებ იმასაც ფიქრობ, რომ ეს წერილი მე თვითონ დავწერე? დიახ, მე მას ერთხელ შევხვდი რომში, როცა შენ სპინელას სტუდიაში მიღებაზე იყავი, და მთელი საათი ვესაუბრე მას, ცოცხალს. არავითარ ნაყალბევს ადგილი არ ჰქონია, ვალოდია!— მწარე დამაჯერებლობით დასძინა მარიამ. — წარმოგიდგენია — არავითარი ფიტული, არავითარი სანთლის ფიგურა მადამ ტიუსოს მუზეუმიდან. ნამდვილ, ცოცხალ ილიას ველაპარაკე! და შენ ამაში ხვალ დარწმუნდები, მაგრამ მე არ მინდა, რომ თქვენ შეხვდეთ ერთმანეთს, სულაც არ მინდა! ასანთი მომეცი, გეთაყვა, სიგარეტი ჩამიქრა... — ენის ბორძიკით უთხრა მან და ხმა აუთრთოლდა. — ღმერთო ჩემო, როგორი ცრუმორწმუნე ვარ. ის ახლა ჩვენ ორზე ფიქრობს. უბედური...

„ილია? მაშ ის ცოცხალია? კი მაგრამ, როგორ მოხვდა აქ? ტყვედ ჩავარდა? ცოცხალი გადარჩა? ნუთუ ილია? უკანასკნელად ორმოცდასამ წელს ვნახე... ომის შემდეგ ილიას ეძებდნენ. დედამისს მოსდიოდა პასუხები: ცოცხალთა სიებში არ ირიცხებაო, უგზო-უკვლოდ დაიკარგაო... ოცდაათი წელია არავითარი ცნობა არ გამოჩენილა მის შესახებ. ნუთუ აქამდე.. არის ზოგი რამ, რაც შეუძლებელია ირწმუნო!..."

— უბედურო? — ჰკითხა ვასილიევმა და ჯიბეში ასანთი მოძებნა. — მითხარი, როგორ გამოიყურებოდა: შენ იცანი? შეიძლებოდა ცნობა? უკანასკნელად, მგონი, ორმოცდაერთში ნახე?

— მგონი, თექვსმეტ თუ ჩვიდმეტ ოქტომბერს, როცა მოსკოვში საშინელი დღეები იდგა... თქვენ მაშინ მოჟაისკიდან დაბრუნდით.

ასანთი გაკრა, რომ სიგარეტის მოსაკიდებლად მიეწოდებინა, მაგრამ გაუტყდა. და მარიამ მოუთმენლად შეხედა ლაბადის აწეული საყელოდან მუქი ნაცრისფერი თვალებით, მიუახლოვდა და თითებიდან ასანთის კოლოფი გამოაძრო.

— ჩვენს საუკუნეში არაფერი არ უნდა გვიკვირდეს, ვალოდია, თუმცა ყველაფერი უცნაურია...—აჩქარებით ალაპარაკდა მარია. — რას იზამ, ილიას გაჭირვებით იცნობს კაცი, ჭაღარა რომ არ ჰქონდეს... თანაც მის ჩაცმულობასა და თვალებში რაღაც უცხო არ გამოსჭვიოდეს... ხელების მოძრაობაშიც თითქოს...

— შენ თქვი, უბედურო?

მარიას შეაჟრჟოლა, გეგონება, ნისლით მოცულ ფანჯარასთან გაითოშაო.

— იმიტომ რომ.. .იმიტომ რომ იგი იმედოვნებდა წარსული დაენახა

ჩვენში. როგორლაც მამცივნებს... თუ ახლა ცხელი აბაზანა არ მივიღე, ვენეციური სინესტე კარგს არაფერს დამაყრის.

ტუჩები მოიკვნიტა და ლაბადა სწრაფად გაიხადა, მერე გაღებული ჩემოდნიდან საღამური პიჟამა ამოიღო და საბაზანოსაკენ გასწია, ვასილიევმა კი იმწამსვე გაიფიქრა, რომ იგი ბოლომდე არ ამბობს, მალავს რაღაცას, რომელიც ილიასთან უაზრო შეხვედრასთან დაკავშირებულს, შეხვედრასთან, [illegible] არ ჰქონდა ლოგიკური ახსნა, რადგანაც დაღუპული თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული ილია, ლეიტენანტი რამზინი, მისი თანაკლასელი, სიყრმის მეგობარი, ცოცხალი იყო და რომში კი არა, სადაც გამოფენა გაიხსნა, აქ, ვენეციაში აპირებდა მასთან შეხვედრას.

საბაზანოს კარს იქით არ ისმოდა მარიას მოძრაობა, შორეულად და ზომიერად მოჩქეფდა ონკანებიდან წყალი. ამ ეული და ერთფეროვანი ჩქეფისაგან ნომერი რაღაც არამყუდრო, მიუსაფარი გახდა, და ვასილიევმა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა, მოუსვენრად დაიწყო ოთახში სიარული. ბოლოს კი, საბაზანოს კარს რომ გაუსწორდა, თქვა:

— მაშა, ბარში წავედი სიგარეტებზე, მალე მოვალ!

თავი მეოთხე

ღამის წყნარ ბარში, სადაც უფრო ხალვათობა იყო, ვასილიევმა იყიდა ორი კოლოფი „სელემი“, რბილი, მენთოლიანი სიგარეტები, მარიას რომ მოსწონდა, მერე, როგორც იქცეოდა ხოლმე, რადგან უცხო ენა არ იცოდა, მეტისმეტად გულდაჯერებულმა, თვალით ანიშნა ბარმენს სადღაც ჯუნგლებში მდგარ უამრავ სარკეებში არეკლილ ბოთლზე და მსოფლიოს ყველა რესტორანში გასაგებ ნახევრად ინგლისურ, ნახევრად გერმანულ ენაზე უთხრა:

— ჯინ უნდ ტონიკ, ფლიზ, ბიტე ზერ.[1]

სახემსუქანმა ბარმენმა, ლია ჟოლოსფერი ჟილეტი რომ ეცვა და ვირტუოზულად ათამაშებდა ბოთლს, ყინულსა და კათხებს, ქათქათა კბილებით, სიცილიური შავი თვალებითა და ჰალსტუხში გარჭობილი ქინძისთავით დააბრმავა ვასილიევი და ისე მიესალმა, თითქოს დიდი ხნის საპატიო ნაცნობი ყოფილიყოს, თუმცა პირველად ხედავდა, გერმანელად მიიჩნია და თავაზიანად მიუგო: Ein Moment. Danke, vielen dank.[2]

მარჯვნივ, დახლს იქით იჯდა საკმაოდ თანმედროვე გარეგნობის ახალგაზრდა წყვილი; ორივე ერთნაირად გრძელთმიანი, ტანთ უხეში სვიტრები ეცვათ. ქალს სიგარეტი ეჭირა თლილ თითებში, ნამძინარევივით წრუპავდა სასმელს კათხიდან და უაზრო თვალებით იცქირებოდა წინ, თან ლიმილი უნაოჭებდა ბავშვურად ფუმფულა ტუჩებს. კაცს მხრებზე ხელი მოეხვია, ყურში ჩასჩურჩულებდა, ლოყას, კისერს, ტუჩებს უკოცნიდა, ქალი კი კვლავ უგრძნობლად იღიმებოდა და ბავშვურ ტუჩებს მანჭავდა, გარინდებულიყო, ეტყობა, ნარკოტიკულ თავდავიწყებას მისცემოდა. მათ გვერდით ისხდნენ და კოქტეილს წრუპავდნენ ხანშიშესული ამერიკელები, ალბათ ცოლ-ქმარი, კაცი — გამხდარი, წმინდად პირგაპარსული, საგრძნობლად გაახალგაზრდავებული, კუბოკრული

[1] ჯინი და ტონიკი, გეთაყვ. (გერმ).

[2] ერთი წუთით, გმადლობთ, დიდად გმადლობთ (გერმ.).

სპორტული კოსტიუმით, მოხუცისათვის შეუფერებელ მახვილ თვალს ავლებდა ბარს, ახალგაზრდა წყვილს, დახლთან მდგარ ვასილიევს და თან რაღაცას ეუბნებოდა თანამგზავრ ქალს, გეგონება, პირში ცელულოიდის ბურთებს ათამაშებსო, ხოლო ქალი, ისიც გაახალგაზრდავებული, ფერუმარილწასმული, ტანსრული, საკმაოდ კოხტა შლაპით (რომელიც უთუოდ მაშინ ეკრდა, როცა ხელახლა ჩამოვიდა პარიზში, 8 საათზე, „ბოინგით", კენედი-ოროლი, ნიუიორკი — ორლის აეროდრომი) საწრუპავით სვამდა [illegible] ბოხი ხმით იცინოდა და მშვენიერ გამობურცულ ფაიფურის კბილებს აჩენდა. ვასილიევმა გაიფიქრა, რომ მათი ცნობისმოყვარეობა, მათი დაუფარავი სიხალისე კარგად იყო დასაბუთებული უდარდელი მოგზაურობით დასავლეთ ევროპაში, სადაც ამერიკაზე ნაკლებ სასიამოვნო როდია ფულის ფლანგვა და კომფორტით, სერვისით, ადგილსამყოფლის ცვლით, კარგი მადითა და მუზეუმებით ტკბობა.

ვასილიევის მარცხნივ ჰიქა ვისკის მარტოდმარტო უჯდა და მძიმედ ქშინავდა პირმოლუშული სქელ-სქელი კაცი, რომელიც თვალს არ აშორებდა ყავის ავტომატს, თბილ, ტროპიკულ სურნელს რომ აკმევდა; ღაჟღაჟა კისრის ნაკეცი პიჯაკის საყელოზე გადმოშვებოდა, ზურგი მრგვალი, ბალიშისმაგვარი ჰქონდა; ის ჰგავდა ყოფილ მოჭიდავეს თუ ძალოსანს, რომელსაც ბლომად ფული აეღო და ახლა უმიზნოდ მოგზაურობდა აქეთ-იქით; გაბანჯგვლულ ხელებზე ცისფრად ულივლივებდა ბეჭდები, ხოლო თითებზე ეტყობოდა, რომ ბანქოს და სხვა აზარტული თამაშების მოყვარული იყო.

ასეთი ჩვეულება ჰქონდა ვასილიევს — დაწვრილებით უთვალთვალებდა ადამიანებს, ზოგჯერ სრულიად დაუფარავად ადევნებდა თვალს და თან გონებაში ინიშნავდა, მაგრამ ახლა სხვა რამ აინტერესებდა. მან წარმოიდგინა, რომ ილია, ვინც რომიდან მოჰყვებოდა, აქ, რომელიღაც ოტელში შეჩერდა და უთუოდ ან რესტორანში შეხვდებოდა, ან ბარში. რესტორანი, რომელსაც ჩაუარა, გამოცარიელებული იყო, ორი ბრა, მინის კარების აქეთ-იქით რომ ეკიდა, ახლა ოდნავ ბჟუტავდა, მხოლოდ ვესტიბიულის ბარი იყო დანთქმული მოწითალო კვამლიან ნათელში, წყნარად შარიშურობდა მუსიკა, დამამშვიდებლად მოცურავდა იქიდან, და ვასილიევი დახლთან ჩამოჯდა და მიიხედ-მოიხედა. არა, ბარში არ იყო კაცი, ვინც შეიძლებოდა მეყსეულად ეცნო და მიეჩნია ილიად, რომლის სახეც სიყმიდან ჩარჩენოდა გონებაში.

სიგარეტი გააბოლა, ყინულივით ცივი ტონიკიანი ჯინი დალია (ყინულის ბრტყელი ნაჭერი კბილებზე შეეხო), „დუბლი" შეუკვეთა და კვლავ მოათვალიერა ბარის მცირერიცხოვანი მუშტრები, უკვე ველარც ხვდებოდა, ასე ძალიან რად უნდოდა, რა ქვეშეცნეული გრძნობა უბიძგებდა, რომ ამწუთას ენახა ილია. მაგრამ ამ გრძნობამ უეცრად გააფრთხილა, და გონებაც ჩუმად უკარნახებდა გამოცდილებით დაბრძენებული კაცის თავშეკავებულ პოზიციას.

„ესე იგი მასთან შეხვედრას გავურბივარ? — საკუთარი თავისადმი ზიზღით გაიფიქრა ვასილიევმა, — რისა მეშინია? ილიასი? მასთან ლაპარაკის შედეგის? არა, მე ვალდებული ვარ ცოცხალი ვნახო ჩემი ყოფილი მეგობარი, რომელთან ერთადაც სკოლასა და ომში სამი ფუთი მარილი მიჭამია... ნუთუ მართლა ცოცხალია ილია? ვერ წარმომიდგენია, რომ ვნახავ!..".

— **Noch ein mahl?**[1] — გულღიად წარმოთქვა ბარმენმა საერთაშორისო ურთიერთობაში გასაგები ეს სიტყვები. და ვასილიევმა დაინახა, როგორ შეანჯღრია მან კოქტეილი და მხიარულად გააპარა თვალი ხნიერი ამერიკელი ქალისა და კაცისკენ, რომლებიც ხან დახლზე გაშლილ „კორიერე დელა სერას" ათვალიერებდნენ და ხან კუშტი შესახედაობის სქელ-სქელ კაცს, ყოფილ [illegible] ვეს მიაჩერდებოდნენ ხოლმე.

— გრაციე, ნოხ აინ მალ ბიტე[2], — მიუგო ვასილიევმა თავის მიერ გამოგონილი იტალიურ-გერმანული ნარევით, თან ცდილობდა გამოეცნო ბარმენის გამოცოცხლების მიზეზი, და მაშინვე დარწმუნდა, რომ ამერიკელი ცოლ-ქმრის ყურადღება არა სქელ-სქელი კაცის, არამედ მისკენ იყო მომართული, და ამ თამაშში ბარმენიც მონაწილეობდა, როგორც ამერიკელებისა და ვასილიევის შუამავალი.

მკვირცხლმა ბარმენმა თვალისმომჭრელი და ამასთანავე მომბოდიშებელი ღიმილით („**Excuse me very sorry!**")[3] ფრთხილად გამოართვა ამერიკელებს გაზეთი, ფრთხილად მიუჩოჩა ვასილიევს, მოძრავ მსუქან სახეზე ბედნიერი გაოცება გამოეხატა და საპატიო აღტაცებით აღვსილმა წარმოთქვა:: „ო, ვერი გუდ! ბონ! კა-რა-შო!" და საგაზეთო სვეტის თავში ვასილიევმა დაინახა ფოტო, რომელზედაც იგი ნახევრად მობრუნებული იდგა რომის სალონში გამოფენილი თავისი სურათების გვერდით. გაახსენდა, რომ გუშინ დილას ოტელში მარიას დახმარებით ინტერვიუ მისცა დონკიხოტური სიმაღლის ქღალთმიან ქალიშვილს, ფეხშიშველს, უღმერთოდ შეღებილს, რომელიც გამალებით ჩხაპნიდა ბლოკნოტში სტენოგრაფიულ ნიშნებს, გაიფიქრა, რომ „კორიერე დელა სერამ" გამოაქვეყნა გუშინდელი ინტერვიუ და ან ბარმენმა იცნო, ან ამერიკელებმა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძნელად დასაჯერებელი იყო, ამ ოტელში, თანაც ღამის ბარში, რუსი მხატვარი ენახა ვინმეს.

— სინიორ ვას-სილ-ევ? — შემპარავი ხმით დამარცვლა ბარმენმა და შემდეგ წარმოთქვა გრძელი ფრაზა, რომლის აზრიც, ეტყობა, გამოიხატებოდა საამო მადლიერებაში, რადგან გასაგები იყო მხოლოდ ერთი სიტყვა „გრაციე".

„ღმერთო, შენ დამიფარე საზღვარგარეთული პატივმოყვარეობისაგან", — გაიფიქრა ვასილიევმა, საკუთარ თავმოყვარეობას დასცინა და შიშით წარმოიდგინა, თუ ენის უცოდინარობის გამო რა დამქანცველი საუბარი შეიძლებოდა გამართულიყო მათ შორის, შეამჩნია ცნობისმოყვარე მზერა და თავის კანტური მოახალგაზრდავო ამერიკელი ცოლ-ქმრისა, რომლებიც მზად იყვნენ გაეცნოთ იგი, გვერდით მისხდომოდნენ, „გრაციე, გრაციე". წაიდუდუნა და სასწრაფოდ გადაიხადა ფული, თან ისე დაიჭირა თავი, თითქოს ბარმენიც და ამერიკელებიც შეცდნენ.

რალაც უხერხულად გრძნობდა თავს, რომ სწორედ ახლა, სწორედ აქ, ბარში, გამოჩნდა გაზეთი ინტერვიუთი და ის იცნეს, რაც მაინცდამაინც ხშირად არ ხდება, რადგან კარგად აქვს შესწავლილი ადამიანთა უგულისყურობა, — მოჩვენებითი სახელგანთქმულობის დასამტკიცებლად შემთხვევითობათა თანხ-

---

[1] კიდევ? (გერმ.).

[2] გმადლობთ, კიდევ, გეთაყვა (გერმ.).

[3] მაპატიეთ, დიდი ბოდიში (ინგლ.).

ვედრა არ სიამოვნებდა, არ ანუგეშებდა და იძულებითი ყურადღების სიყალბეც ქანცავდა.

მეორე სართულზე. ნომერში რომ ადიოდა, ვასილიევი მოულოდნელად შეჩერდა კიბის მოსახვევში, კბილები გააღრჭიალა და გაიფიქრა: „არასოდეს ვაპატიებ თავს, თუ ილია არ ვნახე! არასოდეს ვაპატ[illegible]

ნომერში მოწითალოდ ბჟუტავდა ღამის ლამპა[illegible] მაგრამ, შევიდა თუ არ ვასილიევი, გაშლილი ლოგინის სასთუმალთან ლიმონისფერი თალფაქიდან გამოკრთა სხივი, რომელიც მარიას ბალიშზე მიდებულ თავს ანათებდა. მისი სახე ალმოსავლურად ნატიფი, ქალწულური, ფერმკრთალი ეჩვენა ხაოიან პირსახოცქვეშ, ჩალმასავით რომ შემოვლებოდა მის ჯერ შეუმშრალ თმას.

— არ მეძინება, — უთხრა ქალმა — არც დიმედროლი მშველის.

— სიგარეტები, — თქვა კაცმა, „სელემი" მაგიდაზე დააგდო, საწოლთან მივიდა და მარიას მზერას რომ შეეფეთა, უცებ დაუოკებელი სინაზე იგრძნო მისდამი — ავადმყოფური სიფერმკრთალისადმი, ნატიფი სახისადმი, ძალიან შეწუხდა და მზად იყო პატიება ეთხოვა, თუმცა არ იცოდა, რისთვის: მას ხიბლავდა, იზიდავდა ეს ერთადერთი ქალი, მთელი ერთად ცხოვრების განმავლობაში ბოლომდე მაინც რომ ვერ ამოეცნო, და მოუკლავი წყურვილი, მრავალ წელს რომ არ განელებოდა, მოსვენებას არ აძლევდა.

დაიხარა და ტუჩებით ოდნავ შეეხო მისი ბაგის კიდეს.

— მაშა...

— ძალიან დავიღალე. — საბრალო ხმით უთხრა მან და კაცმა მისი თვალების სილრმეში რაღაც ჩუმი ტკივილის ანარეკლი ამოიკითხა. — შემიბრალე. ვალოდია, თავი დამანებე.

მერე თვალები დახუჭა და კედლისკენ გადაბრუნდა.

თავი მეხუთე

ღამით რომელილაც მთვრალმა წამოიწყო სიმღერა. მერე შორიახლო მოტორის ყრუ ხმა გაისმა, ნაგვიანევმა ტალღამ გაიდგაფუნა და ყველაფერი მიყუჩდა.

ვასილიევი გულალმა იწვა და ყურს უგდებდა ყოველ ბგერას, მარიას სუნთქვას, თან ადგილიდან არ იძროდა, რომ ქალი არ გაეღვიძებინა. მის გონებაში მოედინებოდნენ ადამიანთა განუწყვეტელი ხმები. თითქოს წინა დღით ჩაწერილი მაგნიტოფონის ლენტი ბრუნავსო. ბნელიდან მუხლუხოებივით მოცოცავდნენ უზარმაზარი გაზეთის ასოები, აკვიატებულად იწყობოდნენ უცნობ სიტყვებად, რომლებიც რაღაც პირამიდას ქმნიდნენ, ალბათ საშიშროებისა და გაფრთხილების ნიშნად, მაგრამ რის გამო აფრთხილებდნენ ან რა ხიფათი მოელოდა, ამის გაგება თუ წაკითხვა არ შეეძლო, და ეს აწვალებდა, ოფლს ასხამდა: „ილია! ილია! ცოცხალია?..."

ძილ-ღვიძილში უნდოდა წარმოედგინა, როგორ ჩავიდოდა დილაადრიან დაბლა, რესტორანში, და იქ, კუთხეში მდგარი მაგიდიდან წამოიმართებოდა ძველი ილია უტიფარი შავი თვალებით, რომლებსაც ალბათ ათას კაცში გამოარჩევდა, მეტისმეტად თავმოყვარე, გაბედული ილია, ორმოცდასამ წელს უკვალოდ რომ გაქრა უკრაინაში ღამის ბრძოლის შემდეგ... რას ეტყვიან ერთმანეთს? რა გრძნობა დაუუფლებათ?

გამთენიისას დაესიზმრა, ვითომ მარტოდმარტო იყო აგარაკზე, რომელსაც მთვარის უსიცოცხლო ნათელი ეფინა. შუალამისას გამოაღვიძა ძაღლის გააფებულმა ყეფამ იმ ოთახის კედელთან, სადაც ეძინა, ხოლო როცა ყეფა მიწყდა, თითქოს ძაღლი დაახრჩვესო, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც მკვლელობის წინ იცის. ამ მთვარისეულ სევდაში, რომელიც აბლაბუდასავით მოსდებოდა მთელ აგარაკს, მან გაიგონა, როგორ ატყდა შუშების [illegible] როგორ მოიღო ჯახანი ჩარჩომ და მძიმე ნაბიჯებით როგორ გამოემართა ვილაც კვადრატული კაცი მისი სახელოსნოს კარისაკენ. ხოლო სიჩუმეს მთელი სამყარო გაეთანგა და ამ სამყაროსეულ უიმედობაში ისეთი სიმძიმილი იყო, რომ მარტოობაში სული შეეხუთა და აი უკვე ეთხოვებოდა თავის უბედურ ცხოვრებას, რომელსაც მისი მეგობრები იღბლიანად და ბედნიერად მიიჩნევდნენ... მერე მთვარისეულ ბინდბუნდში ვილაცამ მარიას ხმით უთხრა, უკანასკნელად შეებრალებინა თავისი თავი, თავისი ოჯახი, მაგრამ მას შერცხვა ხმამაღლა ეთხოვა პატიება, გული კი გასკდომაზე ჰქონდა, და როცა, სულშეხუთული, გონს მოვიდა, მიხვდა, რომ მოკლული ძაღლის უკანასკნელი ყეფა, მდუმარება, მოლოდინის შიში — ყოველივე ეს მხოლოდ სიზმარი იყო, რომ იგი მოსკოვის მახლობლად აგარაკზე კი არ იმყოფებოდა, არამედ მისგან ძალიან შორს, უცხო ოტელში და ბოლოს და ბოლოს თავი უნდა დაელწია ძილისათვის...

„ჰო, ვენეციაში ვარ, — ცხადად გაიხსენა მან, ფრთხილად, რათა მარია არ გაელვიძებინა, ტუმბოზე მდგარ საათს დასწვდა, მაგრამ ბინდბუნდში ისრები ვერ გაარჩია და ისევ დაწვა. იმწამსვე მთვარით გამსჭვალული ფანჯრის იქით შეშფოთებით დაიყეფა ძაღლმა და მყისვე გაჩუმდა, თითქოს ვილაცამ დაახრჩოო, ხოლო მას კვნესაც კი აღმოხდა, ხელახლა რომ ჩაიძირა შებრუნებულ სიზმარში, — რადგან იცოდა, რომ ნერვული გადაღლილობის პერიოდებში სიზმრებში ეს დამქანცველი გამეორებანი მის შეუძლოდ ყოფნას მოასწავებდა.

შხაპი ისხურა, პირი გაიპარსა, უზმოზე სიგარეტი მოსწია და დილის რვა საათზე რესტორანში ჩავიდა. კვლავ დაქანცულობას გრძნობდა ტანში.

ამ ადრიან ხანს რესტორანში ხალვათობა იყო, ფარდები ყველგან გადაეწიათ, დაბალი დილის მზე ფანჯრებს იქით ნისლს ფანტავდა და ალმაცერად აფენდა სხივებს სქელ სუფრებს, გახამებული ხელსახოცების თეთრ კოშკებს, გასასვლელებში დაფენილ წითელ ხალიჩებს. მინის ღია კარს იქითა დიდი ივანიც მხიარული და მზიანი იყო, აქ სამი მხრიდან შემოდიოდა სინათლე.

„ნუთუ ილია იქ არის?“

ვასილიევმა თავდაპირველად გარკვევით კი ვერ დაინახა, ისე წარმოიდგინა ილია, რომელიც მას ელოდებოდა; ივანზე ჯერ კიდევ შორიდან შეამჩნია ერთადერთი მუშტარი, რომელიც განაპირა მაგიდას უჯდა, საიდანაც მოხერხებული იყო რესტორანში შემოსავლელთა თვალთვალი. არა, ილია შესასვლელთან ახლოს კუთხეში მდგარ მაგიდას კი არ უჯდა, როგორც წუხელ წარმოიდგინა, არამედ ივნის მალალი შემინული კედლის მახლობლად ჩამომჯდარიყო, პირი აქეთ ჰქონდა მოქცეული, რესტორნის მთელ სივრცეს გასცქეროდა და პირდაპირ ვასილიევზე ეჭირა თვალი, ის კი ილიასკენ მიდიოდა და თითქმის არ უსმენდა სქელ-სქელ ღაჟღაჟა იტალიელ მეტრდოტელს, რომელიც სოლიდური და მეგობრული თავაზიანობით ეკითხებოდა რაღაცას.

— Ja, ja, danke schön[1], — ინგარიშმიუცემლად წაიდუდუნა ვასილიევმა, რომელსაც თავისი სიტყვები არ ესმოდა და არც რაიმე გონივრულ აზრს დებდა მასში, რადგანაც მაგიდასთან მჯდომი კაცი, რომელშიც ილია შეიცნო, ნელ-ნელა წამოდგა და სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო. მაგრამ ეს ილია ლეიტენანტი ილია რამზინი კი არ იყო, არამედ სულ სხვა ვინმე, ტანმაღალი, ჭალარა, წმინდად პირგაპარსული, ტანზე კარგად მომდგარი ცალ-მკერდზე ფეფარული ნაცრისფერი კოსტიუმით. ეს იყო ფაქიზი უცხოელი, რომელიც ვასილიევს თავიდღეში არ ენახა. თუმცა ამასთანავე ეს უცხოელი იყო ილია, რომელსაც ყავისფერ, ალბათ გარუჯულ სახეზე თითქოს ქვლავ უწინდებურად, ულვიოდა საშიში და გამჭოლი შავი თვალები, მაგრამ თავისიანი, სიყრმიდანვე ახლობელი ილია კი არა, არამედ მეორე, გამოცვლილი, ვრცელი, გაურკვეველი ცხოვრება რომ გაეცლო უცხო შორეთში, ვით სხვა პლანეტაზე.

— გამარჯობა, ილია, — წარმოთქვა ვასილიევმა და დაძაბულად გაუწოდა ხელი, ისე რომ მზერა არ მოუწყვეტია ილიას ესპანური თვალებისაგან, დაქინებით რომ შემოსცქეროდნენ, ხოლო თავში გაუელვა ფიქრმა, თუ რაოდენ არაბუნებრივად თავშეკავებული იყო მათი შეხვედრა, ბედნიერად თუ დამლუპველად რომ წყვეტდა მათ ბედს პირველი მოქმედებებით თუ პირველი სიტყვებით.

— გამარჯობა, ვლადიმირ, — ხმადაბლა მიუგო ილიამ, ძალზე მაგრად ჩამოართვა ხელი და დიდხანს არ გაუშვია, თითქოს ამით გამოხატა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას მისთვის, და განსაკუთრებით ნატიფი თავაზიანობით დასძინა: — გმადლობ. ალბათ ჩემთან შეხვედრა არც ისე იოლია შენთვის... გმადლობ.

ვასილიევს კარგად ახსოვდა მისი ხმა, მაგრამ ახლა თითქმის ვეღარ ცნობდა, რადგან დამცინავი და მბრძანებლური ინტონაციების უწინდებური ბუნებრიობა დაჰკარგოდა. ახლა იგი ფრაზებს წარმოთქვამდა მტკიცედ, გამოკვეთილად, და ამ ჭალარა, რამდენადმე დახვეწილი უცხოელის გარეგნული გამოცვლილი სახე, მისი უზადოდ შეკერილი კოსტიუმი, მისი ნახევრად მომრგვალებული, კარგად მოვლილი ფრჩხილები და გასათუთებული თითები კი არ ეხამუშა, არამედ — ასე მკაფიოდ გამოთქმული ყოველი სიტყვა, და მას უეცრად შიში მოჰგვარა იმ წარსულ წლებზე ფიქრმა, რომლებმაც ასე დააშორიშორა ისინი.

„ნეტავი მე როგორი ვეჩვენები?" — გაიფიქრა ვასილიევმა, უეცრად შემკრთალმა დროის შეგრძნებისა და მისი სასტიკი უკულმართობისაგან, რომელიც არაფერს არ ინდობს, და მხოლოდ ხმადაბლა თქვა:

— მოდი ჩამოვსხდეთ. დგომა როგორლაც უხერხულია. ჯერ ალბათ არ ვისაუბრებთ. მარიას დაველოდებით.

— რა თქმა უნდა, გაკვირვებული იქნები, — მკაფიო, გამოკვეთილი ხმით წარმოთქვა ილიამ, როცა ორივენი დასხდნენ და მან სიგარეტები მიუჩოჩა ვასილიევს. — ჩემს ნახვას არაფრით არ მოელოდი. ნონსენს! ხომ მართალია? ჩემმა დიადმა სამშობლომ დიდი ხანია დამმარხა. ჯარისკაცული თანრიგით. ან, უფრო სწორად — ოფიცრულით... მე კი ცოცხალი აღმოვჩნდი. ფანტასტიკაა, ხომ?

ნაძალადევად გაიღიმა და ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა, თავისი თუ ჩასმული, და ვასილიევმა კარგად ვერ გაიხსენა, როგორ იღიმოდა ილია

[1] დიახ, დიახ, დიდად გმადლობთ (გერმ.)

მრავალი წლის წინათ, მაგრამ თითქოს რაღაც ნაცნობი, უწინდებური მოაგონა ამ ქათქათა კბილებმა.

— მითხარი, ილია, — წარმოთქვა ვასილიევმა და ნაძალადევი სიმშვიდით შეათვალიერა მისი პედანტურად გაპარსული ყავისფერი პირისახე, თავის მომვლელი კაცის ამ უცხო სისათუთით რომ განაცვიფრა. — მითხარი, ილია, — უფრო გაბედულად გაიმეორა, დაუძლეველ მოუთმენლობას დაყოლილმა. — მითხარი, ილია, როგორ მოხდა ეს ყველაფერი? ჰო, შენ მართალი [illegible] შეხვედრა ჩემთვის სრულიად მოულოდნელია. მოკლედ, ბოლო[illegible] [illegible] და. არა... სანამ არ დაგინახე, არ მჯეროდა..

— ახლა გჯერა? — ჰკითხა ილიამ და მის ქათქათა კბილებში კვლავ გამოკრთა უწინდებური კადნიერი ღიმილი. — ეგებ ილია რამზინის ორეული ზის შენ წინაშე? ზის და ნამდვილი ილიას ნიღბით იტყუებს თავის სკოლის ამხანაგს, საბჭოთა მხატვარს... ვერაგულად იტყუებს ობობას ქსელში? იტყუებს და გირვანქებს, ფრანკებსა და მარგალიტებით სავსე ჭიქას სთავაზობს. შენ ალბათ არ გაგიგონია ეს საძაგელი სიმღერა?

— არა.

— მე კი ბედნიერება მქონდა რუსეთიდან ჩამოსული ერთი შანსონიესაგან მომესმინა, — კვლავ გამოკვეთა სიტყვები ილიამ, კვლავ გაუსვა ხაზი გამოთქმაში მახვილის ზედმიწევნით სისწორეს, რომელიც ჯერაც არ დავიწყებოდა. — აი რა: ეს ქსელები და ათასნაირი პოლიტიკური ჩმახი მე ისევე მჭირდება, სულგრძელად მომიტევე, როგორც ლუქსემბურგულ ქოფაკს ჩასახვის საწინააღმდეგო აბები. მე მინდა, ვლადიმირ, პირველ ყოვლისა იცოდე: მე მძაგს პოლიტიკა, ამიტომ საარვ... გახსოვს, ომის დროს საარვისო მიწა რომ იყო?.. გახსოვს — ნეიტრალური ზოლი?.. ჰოდა, ვერავითარი თაფლაკვერებით ვერ მიმიტყუებს ახლა კაცი — ვერც მარჯვნივ და ვერც მარცხნივ. მე პოლიტიკის გარეშე კვერი ვარ, ბებიასაც გამოვექეცი და ბაბუასაც. ღმერთი არც იქ არის და არც აქ.. — და ილიამ ერთი ლაზათიანად შეიკურთხა, მაგრამ უხიაკად წარმოთქმული ფრაზა ღიმილით შეარბილა. — რაზეც ზოგჯერ ძალიან ვწუხვარ კიდეც, — დასძინა მან. — აქ, დამპალ დასავლეთში, როგორც რუსეთში წერენ, არ ისმის რუსული დედის გინება, რასაც შესანიშნავად ვიყენებდით ომის დროს. ვერავინ გაიგებს... მაგრამ მე სხვა რამეზე გეუბნები. ღმერთი აი აქ არის... — განაგრძო ილიამ და გულზე თითი დაიკაკუნა. — აქ, გერმანულად რომ ვთქვათ, „შტრენკ ფერბოტენ!" ხოლო რუსულად: შესვლა. სასტიკად აკრძალულია. ვხედავ, რასაც ფიქრობ ჩემზე. მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ მე არ დამვიწყებია და მახსოვს მოსკოვი, ეზო და ომი... შენც, ასე თორმეტი წლიდან. ასეა, ვლადიმირ, ჩემს ცხოვრებაში ათას სიცრუეს შევხვედრივარ, ამიტომ ჯერ სიმართლე მითხარი: დედაჩემი ცოცხალია?

ჰკითხა ილიამ და გამომცდელად შეხედა, ეტყობა, მაინცდამაინც არ იყო განწყობილი დაეჯერებინა მისთვის, მაგრამ ჩანდა, როგორ უნდოდა მიეცა ეს კითხვა, რომელიც ალბათ უკვე მისცა მარიას რომში, და რა დაუფარავი სიხარბით ელოდა ახლა პასუხს, რომელიც მისთვის ასე ბევრს ნიშნავდა.

— რაისა მიხაილოვნა ერთი წლის წინათ ვნახე, — დინჯად მიუგო ვასილიევმა. — ბიბლიოთეკაში აღარ მუშაობს, პენსიაზე გავიდა. ჩვენი სახლიდან თითქმის ყველანი ახალ რაიონებში გადავედით ,ისა და მოხუცი ციგანკოვები დარჩნენ მხოლოდ. გახსოვს მეწაღლეების ოჯახი?

— მახსოვს, მაგრამ ცუდად. როგორ არის ჩემი ტანჯული დედა? მან სამოც-

დაათს გადააბიჯა... მამაჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო, — გაბზარული ხმით ჩაილაპარაკა ილიამ, სანთებელა გააჩხაკუნა და ალი სიგარეტთან მიიტანა, ლითონის წერტილი აკიაფდა მის გუგებში. — თუ ვინმეს წინაშე მიმიძღვის დანაშაული ან ცოდვა, — ეს მხოლოდ წმინდან დედაჩემის წინაშე! — წარმოთქვა თავის თავზე უეცრად განრისხებულმა. — წიგნები ყველაფერს ეხმარა. დედაჩემისთანები ქვეყნად ერთეულები არიან. ნეტავ მისთვის მაჩვენებინა ის ბიბლიოთეკა, უკანასკნელ წლებში რომ შევაგროვე! წიგნებზე რომ არა, დიდი ხნის დაღუპული ვიქნებოდი... რა პენსიით ცხოვრობს? ალბათ ორმოცდაათ მანეთს ღებულობს? რა მოწყალება გამოიმეტეს ჩემი საცოდავი დედისათვის?

— როგორც მახსოვს, რაისა მიხაილოვნა ოთხმოც მანეთს ღებულობს. — უთხრა ვასილიევმა, რომელსაც ილიას მჩხვლეტავი კითხვები წყენას ჰგვრიდა. — იცი, ბოლოს და ბოლოს შენგან, შენი... ომისშემდგომი ბედისაგან იყო დამოკიდებული რაისა მიხაილოვნას ბედნიერება. შენ ხომ მისი ერთადერთი შვილი იყავი და...

— და? დედაჩემს კინაღამ დავაკარგვინე ამოდენა საბჭოური პენსია, ოთხმოცი მანეთი?

— ესე იგი? შენი ირონია ვერ გავიგე, ილია.

— მე მომკლეს ან უგზო-უკვლოდ დავიკარგე. ცხადია, ასე ვითვლებოდი დაღუპულთა შესახებ პატაკებში. მაგრამ არავინ იცოდა. რომ ამ დროს ტყვეობაში უმ თალგამურას ვხეთქავდი. არც შენ, თუმცა მე და შენ უკანასკნელ ბრძოლამდე ერთად ვიყავით. „ლეიტენანტი რამზინი, საცეცხლე ოცეულის მეთაური, ბრძოლიდან არ დაბრუნებულა“. ასე წერდნენ პატაკებში?

— აგრე.

— მე კი ამ დროს გერმანელებს ჩავუვარდი ტყვედ.

— ტყვედ ჩაუვარდი? შენ გინდა თქვა, რომ ტყვედ ჩაგიგდეს?

— ვალოდია, ძვირფასო! მე მუდამ თაყვანს ვცემდი შენს სიმშვიდესა და პატიოსნებას... ბავშვობიდან!..

— ძალიან ვთხოვ, ილია, თავი დაანებე მაგ კულტურულ ტონს. რა ოხრად გინდა!..

— ვალოდია, ჩემო ძვირფასო სიყრმის მეგობარო!..

— რაო, ილია, ჩემო ძვირფასო სიყრმის მეგობარო?

— რა განსხვავებაა: „ჩამიგდეს“, „ჩავუვარდი“, „ხელთ მიგდეს“... ტყვედ არ ითვლება ის, ვინც დატყვევებამდე თავს იკლავდა, ხოლო ტყვეობაში ჟანგიანი ლურსმნით იჭრიდა ძარღვებს, დენიან მავთულზე ეცემოდა, ქვას თავს უხათქუნებდა. ისინი იხოცებოდნენ. ის კი, ვისაც სიცოცხლე უნდოდა, მიუხედავად იმისა, ჩაუვარდა თუ ჩაიგდეს, — მაინც ტყვე იყო.

— მაშ ტყვედ ჩაუვარდი? თუ გერმანელებმა ჩაგიგდეს? კარგად მახსოვს ის ღამე ტყის პირას, როცა ქვემეხებისკენ მივბრუნდით... მახსოვს, როგორ დაიწყო და დამთავრდა ბრძოლა. მახსოვს, როგორ მოადგნენ გერმანელები ხრამს, სადაც თქვენ იყავით...

— ზემდეგი ლაზარეეი; სადაზვერვო ათეულის მეთაური არ დაგახსომდა? ფართოსახიანი იყო, ბრგე, დათვივით ჯმუხი, ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავე.

— მახსოვს. არწივი ეხატა მკერდზე. შენთან ერთად გაიჭრა ქვემეხებისაკენ. არც ის დაბრუნებულა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა...

— მოკლეს. ორი ტყვიით განგმირული დაეცა ჩემ გვერდით. მე და ის

ერთად დავეშვით ფლატეზე. ღელეს მივაშურეთ. შესანიშნავად მახსოვს ეს დათვივით კაცი. გვარიც მშვენიერი ჰქონდა, წმინდანის სახელისგან წარმომდგარი — ლაზარევი. მთელ ბატარეაში იცნობდნენ. კაი ენატანიაც იყო. შესანიშნავად დამამახსოვრდა სამუდამოდ. ომის შემდეგ სანთლებს ვუნთებდი მართლმადიდებლურ ეკლესიებში და „სულთათანას" ვაგალობინებდი...

— მაინც როგორ ჩავარდი ტყვედ?

— ხელთ მიგდეს. რა თქმა უნდა, ხელთ მიგდეს. მეავტომატეებს — ურდო შემომესია და „ჰენდე ჰოჰ!"[1] გონმიხდილი, მძიმედ დაჭრილი, კონტუზირებული, უხელო, უფეხო. შენ ეს გაოცებს? რუსეთში ასე წერდნენ ტყვედ ჩავარდნილთა შესახებ?

— მაგისთანა ხუმრობებს არ ვლებულობ, ილია. მე მგონი, გახსოვს, რად გვეღირდა ომი.

— ვის? ხალხს? შენ თუ მე?

— თუნდაც შენ შენი ტყვეობა, ეშმაკმა დალახვროს!

— მე, ვალოდია, ჯოჯოხეთის ყველა წრე და განსაწმენდელიც გავიარე, თანაც გენიალური გიდი — უბადლო ვერგილიუსი არ მყოლია. სამოთხეში ვერ მოვხვდი, არ დამიმსახურებია. ბევრი ადამიანის სისხლი დავღვარე. დიდად სამწუხაროა, მაგრამ ხელები იდაყვებამდე სისხლით მაქვს მოსვრილი. დღედაღამ უნდა ვლოცულობდე და ცოდვებს ვინანიებდე, თუ ქრისტეს სული მწამს. ხოლო სრული მორჩილება, სიყვარულის სიკეთე სიყვარულის სახსენებლად და სადიდებლად სულში არ მომეძევება. მაგრამ სხვათა სისხლი შენც დაგიღვრია...

— რომელ დაღვრილ სისხლზე ლაპარაკობ?

— შენც და მეც ხომ საცეცხლე ოცეულებს ვმეთაურობდით, აბა ერთი იანგარიშე, რამდენი ჩვენი ჯურვის ნამსხვრევი მოხვდა მიზანს ყოველ ბრძოლაში. მეც და შენც ცისტერნობით სისხლი დაგვიღვრია. ფაშისტი არამზადების სისხლი, როგორც ომში ვამბობდით. აღარას ვამბობ რუსების მიერ გაღებულ ზღვა სისხლზე. ჰომო საპიენსის მიერ ჰომო საპიენსის მოკვლა კი ყველაზე მიუტევებელი ცოდვაა. ჰოდა... დიდი ხანია დადგა დრო, რომ მონასტერს მივაშუროთ! ყველა მეომარმა — რუსმაც და გერმანელმაც! მუხლმოყრილნი უნდა ვლოცულობდეთ სულის ხსნისათვის, მაგრამ ხსნა არსად არის. ვინ მომიტევებს ცოდვას? ღმერთი? ძალიან შორსაა. ხალხი? არამზადებმა და ცოდვილებმა თავად უნდა გამოისყიდონ დანაშაული მოყვასის წინაშე. ვის ძალუძს ახლა გამასამართლოს მე — როგორ ჩავვარდი ტყვედ: დავნებდი თუ ხელთ მიგდეს? შენ? არა ვგონებ, ვლადიმირ. ქვემეხები ჩვენ ერთად მივატოვეთ. ასევე ერთად მივუბრუნდით. გაჭრითაც ერთად გავიჭერით. პოლკის მეთაურმა მაიორმა ვოროტიუკმა? იმისთანა კაცის ჩამოხრჩობაც ცოტაა, თანაც ყოველ დროში. ხალხმა? დიდი, მაგრამ ზოგადი ცნებაა და მას ხშირად იყენებენ დემაგოგები, როცა ხალხის სახელით ლაპარაკობენ.

— გასაგებია, ილია. შეგიძლია აღარ გააგრძელო. მაშ, არავის არ ძალუძს?

— არავის. ახლა მსოფლიოში არ არის სამართლიანი სამსჯავრო, ვლადიმირ.

— კი მაგრამ, დალუპულები?! თუ ყველაფერი დავიწყებულია? მე და შენ ამის უფლება არა გვაქვს...

---

[1] ხელები მაღლა! (გერმ.).

„ვინ მომცა უფლება, რომ ასე მოსამართლესავით ველაპარაკები? ეს რა დაკითხვაა? არ ვენდობი?“

— ხომ არ გინდა ბრალი დამდო, რომ ოცი მილიონი რუსი იმიტომ დაეცა, რომ მე ტყვედ ჩავვარდი? თუმცა რომელი ოცი მილიონი? რა თქმა უნდა, შემცირებულია. შენ გგონია, ამაში მე მიმიძღვის ბრალი?

ილიას ვიწრო თვალები, ოდესღაც სიჭაბუკეში რისხვით, ერთმანეთებოდნენ ხოლმე, ახლა გამომცდელად მისჩერებოდნენ ვასილიევს. [illegible] ემედით, თუმცა გულში არ იყო თანახმა, ცდილობდა ილიას სახეში ეპოვა ის, რაც მისი ქცევების მუდმივი არსი და ლეიტენანტ რამზინის უცვლელი გადაწყვეტილების არსი იყო. მაგრამ ეს უწინდებური აკლდა ილიას მოწკურულ საში“ თვალებს, რომლებიდანაც მხოლოდ აღგზნების ნაპერწკლები გამოკრთოდა.

— არა, ვლადიმირ, ტყვეები აქ არაფერ შუაშია. მე ვიცი, ვინ უნდა გააამართლონ დაღუპულთა გამო, — მკაფიოდ თქვა ილიამ, — მაიორი ვოროტიუკები, ხეირიანად ორვერსიანი რუკის კითხვაც რომ ვერ უსწავლიათ. გახსოვს, როგორ დადიოდა ჩვენი უბადლო პოლკის მეთაური: ზამთრობით ქრომის ჩექმები ეცვა, ზაფხულობით გარმონივით ჩაკეცილი ბრეზენტის ჩექმები, ყაწიმები გადაეჯვარედინებინა, ზაფხულობით ქუდის საჩიხი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, კეფა აქოჩროდა, ზამთრობით ფაფახი ეხურა... პირველი ქაცი იყო სოფელში. სანინსტრუქტორებში ყველაზე ლამაზი გოგოც სულ გვერდით ჰყავდა თაღლით ორდინარეცთან ერთად. ახლა ხმას აღარ იტყვი — აჟღერებული, ამღერებული: სწორ-დი-ი-! შენი არ ვიცი და მე კი ისე მახსოვს, თითქოს ომი გუშინ დამთავრებულიყოს. ტელეფონში ორადორ სიტყვას ჩაყვიროდა: „წინ!“ და „აბა, ჰე!“ და ბრძოლის შემდეგ ექვსიოდე ქაცი რჩებოდა თითო ასეულში. კარგად გახსოვს მაიორი ვოროტიუკი?

— მახსოვს.

— ზემდეგი ლაზარევი?

— მახსოვს.

— მაშ „keineilei Probleme!“[1]

— ილია, მე მგონია, რომ რატომღაც გაურბიხარ ჩემს შეკითხვებს.

— გავუბრიკავარ? შეკითხვებს? არა, ვლადიმირ, მე არც ღვთისა მეშინია და არც ეშმაკის. მე ცხოვრება განვვლე და რაღაც-რაღაცები ვნახე. ქვეყნის ღვინოები დამილევია და ქვეყნის სიგარეტები მომიწევია. ყველა მარკის ქალები გამისინჯავს — შავკანიანი ცირკეებიც კი. მითხარი, თუ ღმერთი გწამს: ვისი ან რისა უნდა მეშინოდეს? სიკვდილისა? შენ, ვლადიმირ, ისევე როგორც ყველა რუსი უცხოეთში, ფრთხილი ხარ და გინდა... იცოდე: როგორ გადავრჩი.. გენერალ ვლასოვთან სამსახურით ხომ არა?

— მე სხვა რამ მინდოდა მეკითხა, ილია, — წარმოთქვა ვასილიევმა, რომელმაც შავ თვალებში დაცინვა შეამჩნია და იგრძნო მწარე ნაღველი, თითქოს ორივე მათგანს ტანჯავდა და მოსვენებას არ აძლევდა ილიას ცხოვრების საიდუმლოება, წარსულს რომ არ ემორჩილებოდა. — მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა... შენ რუსი ოფიცერი იყავი, ხოლო რუს ოფიცერს, როგორც ცნობილია, ტყვეობაში...

— ყველას არ გასძრობია სული, — ყალბი ალერსით გააწყვეტინა სიტყვა ილიამ. — მე კბილებითა და ფრჩხილებით ვიყავი ჩაფრენილი სიცოცხლეს. უფ-

---

[1] არავითარი პრობლემა (გერმ.).

რო მეტსაც გეტყვი. მხოლოდ იქ მივხვდი, რა არის სიცოცხლე და რა არის ლეშად ქცევა...

„საიდან აქვს ეს ნაქდევი საფეთქელზე?“ — საკუთარი თავისადმი ზიზღით გაიფიქრა ვასილიევმა და იმწამსვე გასამართლებლად წარმოიდგინა ტყვიით მიყენებული ჭრილობა მარცხენა საფეთქელში, იმ ველურ, ავბედით ღამეს მიყენებული ჭრილობა, როცა მათ ნაბრძანები ჰქონდათ გამოეტრიალებინა ნაღვლიანი დატოვებული ქვემეხები. იგი ამ გასამართლებელ ფაქტს ჩაეჭიდა — [illegible]

— საფეთქელში იმ ღამეს დაიჭერი?

ილია. ეტყობა, მაშინვე მიხვდა, რის თქმა უნდოდა ვასილიევს, წარბები ასწია, რითაც ქედმაღლური გულთბილობა გამოხატა, საფეთქლებზე თანაბრად დავარცხნილ თმაზე ნასათუთევი გრძელი თითები გადაისვა და თქვა:

— არა, ეს სხვა არის. ერთ საეკვო დაწესებულებაში ატეხილი ჩხუბის ნაკვალევია. ორმოცდარვა წელს. იმ ღამეს კი, — მან განსაკუთრებით გააამახვილა ყურადღება სიტყვაზე „იმ ღამეს“, — აბსოლუტურად უვნებელი ვიყავი. სრულ ჭკუაზეც გახლდი. აკი გითხარი, მაშინ კბილებითა და ფრჩხილებით ვიყავი ჩაფრენილი სიცოცხლეს. მაშინ...

— ახლა?

— ახლა გროშ-კაპიკადაც არ მიღირს სიცოცხლე.

ილიამ გაიღიმა და ქათქათა კბილები გამოაჩინა. ვასილიევს გაახსენდა პატარა ოქროს „ფიქსი“ (მერვე კლასში ილიას გვერდით კბილზე გვირგვინი ჰქონდა ჩამოცმული), ქურდული ელვარებით რომ გააოცა ყველა, და გაიფიქრა, რომ ისე დიდი ხნისა და შორეული იყო ეს ამბავი, სურვილი დაებადა თავიდან მოეშორებინა მეხსიერების ასეთი დაჟინებითი მოზღვავება.

— ბოლოს და ბოლოს, — წარმოთქვა ვასილიევმა, — ბოლოს და ბოლოს, — გაიმეორა მან და თან ზიზღით შეამჩნია, რომ იმას არ ამბობდა, რაც უნდოდა ეთქვა, — ბოლოს და ბოლოს არცთუ ისე მესმის ჩვენი ორაზროვანი ლაპარაკი...

ილია ხელში ატრიალებდა, ფშვნეტდა მოუკიდებელ სიგარეტს, და მისი გაპარსული სახე, ყვითელი, ხმელ-ხმელი, უზადოდ გამონასკვული ჰალსტუხი, ჯაღარაც, უკან გადავარცხნილ თმაში აქა-იქ რომ გამორეოდა, — ყველაფერი სოლიდური იყო, ყველაფერი მეტყველებდა განვლილი ცხოვრების წლებზე, ოდესღაც ძლიერი, გამრჯე კაცის დაღლილობაზე, კაცისა, რომელიც საქმეებს განერიდა და ახლა თავისი გარეგნობით, ჩაცმულობით, ჯერ კიდევ შემორჩენილი სიმხნევის შენარჩუნებით იყო დაკავებული.

— არ ვიცი, შეიძლება თუ არა შენთან ამაზე ლაპარაკი?.. — უთხრა ილიამ, თან კვლავ ფშვნეტდა მოუკიდებელ სიგარეტს, — მე არ მინდოდა შეგხვედროდი რომში, სადაც ათასნაირი ვაჟბატონები გეხვეოდნენ ირგვლივ.

— ათასნაირი?

— ნუ ეჭვობ, ცნობილო მხატვარო! — ილიამ სიგარეტის ფილტრი გაკვნიტა და ისევე მოუკიდებელი ჩადო საფერფლეში. — ცხადია, ჯეიმს ბონდი იქ არ ყოფილა. მაგრამ არამკითხეები აუცილებლად იქნებოდნენ. ვენეციაში მეტი თავისუფლებაა. და მე გადავწყვიტე. მე მინდა გავიგო... და სწორედ შენგან... — მან ისევ ამოიღო საფერფლიდან სიგარეტი და ისევ დაუწყო ხელში ფშვნეტა. — სწორედ შენგან...

— რა გინდა გაიგო?

— მინდა გავიგო... სწორედ შენგან. აი რა გავიგო, ვლადიმირ. როგორ

ფიქრობ: შემიშვებენ რუსეთში დროებით, რომ დედაჩემი ვნახო? უფრო სწორად, მომცემენ თუ არა ვიზას? ოღონდ ვაუკაცურად მითხარი: შეგიძლია გაიგო?

— ეგ გინდოდა გეკითხა?

— ეს, — მიუგო ილიამ, თან კვლავ ანგარიშმიუცემლად სრესდა სიგარეტს და დაძაბულად დასცქეროდა თავის ნერვულ, ფერმკრთალ ჩაბალ ხელებს თითებს.

— ვიზას? არ ვიცი, — წარმოთქვა ვასილიევმა და ილიას ასანთი დაუდო წინ. — რა, სანთებელაში ცეცხლი აღარა გაქვს?

— გმადლობთ. მაქვს.

ილიამ ხელში ნაშფვნეტი სიგარეტი გატეხა, საფერფლეში ჩააგდო, მერე მაგიდიდან სანთებელა აიღო, ჩამოჰკრა, ცეცხლი გამოკრთა, ჩააქრო და შეიჭმუხნა თუ გაიღიმა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ. მე სამი სიგარეტის მოწევის უფლება მაქვს დღეში. ერთი უკვე მოვწიე შენს ლოდინში. მაშ ვერ მიპასუხებ ჩემს კითხვაზე, ვლადიმირ?

— ვერა.

— სამწუხაროა. — თვალები დახარა, მოუსვენრად დაიწყო სანთებელას ხელში ტრიალი და, ამით გართულმა, ვასილიევისათვის არც შეუხედავს, ისე წარმოთქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად: — კიდეც რომ დამხვრიტონ, მაინც მინდა დედაჩემი ვნახო. კიდეც რომ დამხვრიტონ...

„ჰო, აი ნამდვილი ილია! — გაიფიქრა ვასილიევმა. ცხადზე ცხადად წარმოუდგა მისი ეს ძველი ჩვეულება: ფიქრის დროს მანამდე ჰქონოდა დასაქმებული ხელები, სანამ საბოლოოდ არ გადაწყვეტდა რამეს, და სანთებელა ილიას ამ ძველი თვისების გასახსენებლად ტრიალებდა ახლა მის ხელში.

— მე ბევრი რამ ვიცი რუსეთზე საბჭოური გაზეთების მეშვეობით, — ჯიუტად წარმოთქვა ილიამ. — ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მამაჩემი სიკვდილის შემდეგ არის რეაბილიტირებული ნიკიტა ხრუშჩოვის დროს. მინდა რამდენიმე დღით ჩამოვიდე... დედაჩემი ვნახო.

— კიდეც რომ დაგხვრიტონ? ეგ რად თქვი, ილია?

— მე თითქმის არავის ვენდობი. ზოგჯერ უვადოდაც კი შეიძლება აზღვევინონ კაცს.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ არ დაბრუნდა, ახლა კი დაბრუნება გვიანია. იმისთვის, რომ ტყეობაში კი არ ამოსძვრა სული ან წუმპეში კი არ ჩაიხრჩო, როგორც ასობით რუსი უცხოეთში, არამედ წესიერი გზით გამდიდრდა კიდეც, რა თქმა უნდა, მოკრძალებულ ფარგლებში. აი ზემოხსნებული „რისთვის". ცოტაა განა? მაგრამ ვლასოვთან არ ვმსახურობდი. თუმცა ზაქსენჰაუზენში გადამიბირეს. უცხოელთა ლეგიონში არ მიბრძოლია, სამხედრო დამნაშავეებში ან ჯალათებში არ ვწერივარ. „ყველაფერი იყო, გარდა ჩამოთვლილისა.

გამომცდელად, დაჟინებით მიაჩერდა ვასილიევს და იმწამსვე, ამ მზერის შესარბილებლად, წარმოთქვა:

— დავბერდი. ამიტომ მესიზმრება ჩვენი ეზო ლუქნიკოვსკაიაზე, ხის ჭიშკარი და ფანჯრის ქვეშ მოშრიალე ცაცხვები. და კიდევ — რატომღაც გაზაფხულის დილა სამტრედეში. და, იცი, ფრთების, ქანაფის სუნი... მე მინდა... მე

მინდა ვნახო დედაჩემი. მომეხმარე, ოდნავ მაინც თუ გწამს ჩემი. თუ არა და, პირდაპირ მითხარი, არა-თქო!

ვასილიევი ტერასის ფანჯრისკენ შებრუნდა, რომელსაც ცრიალ სხივებს ჰფენდა დიდ არხზე ვერცხლისფერ დისკოსავით გადმომდგარი მზე, ხოლო ნისლი გალუმპულ სანაპიროს მიჰყვებოდა, დილის წყალზე ოხშივარივით ადიჩადიოდა. უკვე სილურჯე შეემატა თითქმის ზაფხულის ცას და არხის თავზე გამოჩნდა ტაძრების წვეროები, მუზეუმთა გუმბათები. მაგრამ შუადგომისეული ვენეციის ეს წყნარი მზიანი დილა, მისი ლამაზი ლაქვარდი, შორეთში აციმციმებული გუმბათები — ყველაფერი ყალბად ეჩვენა იმ მშვენიერსა და ნალვლიანთან შედარებით, რომლებიც გაჰყვნენ მათი ცხოვრების დაუბრუნებელ წლებს, სამტრედეებისა და გაზაფხულის დილების საუკეთესო ხანას, როცა მას და ილიას ბრმად სწამდათ ზამოსკვორეჩიეს ამხანაგობის დაუწერელი კანონები. მით უფრო მწარე იყო, რომ წარსული ფერადდებოდა მათი ბავშვობის, მათი სიჰაბუკის საამო ბურუსით, საითაც არაერთხელ გაუხედავს ვასილიევს, როცა საკუთარ ბედზე ფიქრობდა. დიახ, ის აღიარეს, შეაქეს, ცნობილი კაცი გახდა, არც ფული აკლია, ამიტომ თვალთმაქცობა არ სჩვეოდა და თავის საქციელს სიცრუით არ ამართლებდა. ამიტომ, ორჭოფული მდგომარეობით გატანჯულმა, მას შემდეგ, რაც ილიამ უთხრა, თუ ჩემი გჯერა, მომეხმარეო, საკუთარი თავისადმი ზიზღით გაიფიქრა, რომ აქ ორივენი მიადგნენ უფსკრულს და ამ უფსკრულში თვალის დახამხამებაში დაიღუპება ჰაბუკური, ხელშეუხებელი, წმინდა, მათი საზიარო, რაც ესოდენ აუცილებელი იყო წარსულში, საუკუნოდ განვლილ დროში.

— ოჯახი თუ გყავს? — ჰკითხა ვასილიევმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ. — ცოლი? შვილი?

— ქვრივი ვარ. გერმანელი ქალი მყავდა ცოლად. ვაჟი, რუდოლფი უკვე დიდია, მიუნხენში მუშაობს. ცოლის გარდაცვალების შემდეგ რომის მახლობლად ვცხოვრობ. აქ უფრო მშვიდად ვარ, რუსებიც უფრო ცოტანი არიან.

— რა ვქნა? რით შემიძლია დაგეხმარო? — უფსკრულის პირას მდგარი კაცის შეგრძნებით ამოთქვა ვასილიევმა. — რით?

— საბჭოთა საელჩოს მინდა მივმართო რომში, — ცივად თქვა ილიამ. — მხოლოდ ერთსა გთხოვ: შეხვედრისას უამბო ელჩს, რა იცი ჩემ შესახებ. სხვა არაფერი. სრულ თავდებობას შენ ვერ გამიწევ. — მან მაგიდას დაჰკრა სანთებელა და მერე სუფრაზე ხაზი გაავლო. — რაც ოდესღაც იყო ჩვენ შორის, დავიწყებას მიეცა! სამწუხაროა, მაგრამ ვერ-რაფერს გააწყობ!..

სუფრაზე სანთებელათი გახაზა მეორე საზღვარი, და ამ ორმა გვერდიგვერდ გავლებულმა ხაზმა როგორღაც გაყო, საბოლოოდ გამიჯნა ისინი, — და ვასილიევმა გარეგნული სიმშვიდით თქვა:

— ალბათ ელჩს გამგზავრების წინ ვნახავ. ოღონდ აი რა მინდა გკითხო...

სათქმელი არ დაუმთავრებია, რადგან ილია სასწრაფოდ გასწორდა წელში, დაძაბული წამოდგა, პიჯაკის ღილი შეიკრა, და ვასილიევმა კარის ფართო თაღში თვალი მოჰკრა მარიას, რომელიც გამოცარიელებულ რესტორანს მოჰყვებოდა და ტერასისაკენ მოეშურებოდა მეტრდოტელის საპატიო თანხლებით; მეტრდოტელს თავი გვერდზე გადაეხარა, რითაც სასიამოვნო მორჩილებას გამოხატავდა. ხოლო წელში გასწორებული ილია იდგა და ფერმიხდილი შავგვრემანი სახიდან ალერსიანი ყურადღება მანამდე არ მოშორებია, სანამ მარია ოდნავი ღიმილით არ მოუახლოვდა მაგიდას, და მაშინ ილიამ, განსაკუთრებუ-

ლი თავაზიანობის გარეშე, გამოსწია თავისუფალი სკამი და დაჯდომა შესთავაზა. მარიამ ორივეს დაუკრა თავი და დაჯდომისას თქვა:

— დილა მშვიდობისა, როგორც ვხედავ, ჯერ არ გისაუზმიათ?

— მე რა ვიცი, თქვენ რას მიირთმევთ ხოლმე საუზმედ? ჩემთვის საკმარისია შვრიის ფაფა, ორი კვერცხი და ჭიქა რძე. ინგლისური დიეტა — თქვა ილიამ და პირველად გაიცინა რაღაცნაირად ყლრიალა უცნობი ხმით. — მაგრამ იყო დრო, როცა დილას რძით არ ვიწყებდი. ამიტომ ზედმეტად არ შემაჩნია გკითხოთ: ხომ არ გნებავთ, მარია, კარგი ღვინო? თქვენ რას იტყვით, ვლადიმირ?

— ძალიან ვეჭვობ.

— ღვინით დილის დაწყება, ჩემი აზრით, ბონივრული არ არის. მე ინგლისური დიეტის მომხრე ვარ, — მიუგო მარიამ და შეღებილი ფრჩხილებით კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო; ილიას მიერ გამოწვდილ სანთებელას ალი შიშისმომგვრელად გაკრთა ქალის მუქ ნაცრისფერ თვალებში და მაშინვე შეერია მზის სინათლის ნაკადს. მარიამ კეფაზე ფაქიზად დავარცხნილ თმაზე შეიტანა ხელი. სახე ახალგაზრდული ,ხალისიანი ჰქონდა, გუშინდელი დაღლილობა ოდნავაც არ ეტყობოდა, და ვასილიევმა გაიფიქრა, რომ დილის აბაზანა, სახის რაღაც ჯადოსნური მასაჟი, მალულად რომ იკეთებდა, საოცრად აახალგაზრდავებდა ხოლმე მარიას დილდილობით. — გუშინ ნისლი იყო, დღეს კი რა მშვენიერი დილაა, — თქვა მან და არხს გახედა, სადაც ძრავის თანაბარი გუგუნით ნავმისადგომს ტოვებდა თოვლივით ქათქათა მოტორიანი ნავი, რომლის შხეფებიანი საქარე მინა მარაოსავით ლაპლაპებდა მზეზე. — მაშ ინგლისური დიეტა გადაწყვიტეთ?

— მე ჭიქა ცხელი რძეც მეყოფა, — თქვა ვასილიევმა, რომელსაც არ შიოდა.

— ძალიან კარგი. ჰერ ობერ! — ილიამ რაღაც ანიშნა მეტრდოტელს. ეს იყო ჟესტი რესტორნებს ჩვეული ადამიანისა, ხოლო მეტრდოტელი, გუდმოდგინედ რომ ასწორებდა თვალისმომჭრელი ფანჯრის ფარდას, მაგიდიდან ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით, წამსვე მოეახლა. მისი ვარდისფერი ლოყები კმაყოფილებას ასხივებდა სტუმრების კარგი განწყობილებისა და მშვენიერი დილის გამო, თითოეულ მათგანს მან წინ დაუდო მენიუ, დიდი, მოოქრული საქაღალდე, საპატიო იუბილარს რომ მიართმევენ ხოლმე.

ილიას მენიუისათვის არც დაუხედავს, რამდენიმე სიტყვა უთხრა გერმანულად მეტრდოტელს; იმანაც ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და იდუმალი ქარაგმული ტონით ჩაილაპარაკა: „Jawohl, ein Moment“[1] — და ყოფილი სამხედრო კაცის მოკლე, დრეკადი ფეხებით საქმიანად გაშორდა.

— ალბათ გერმანელი ჰგონიხართ, — უთხრა მარიამ და ცნობისმოყვარეობის გულისთვის გადაფურცლა მენიუ, ხმამაღლა წაიკითხა კერძების ფრანგული სახელწოდებანი. — ოჰო, ღმერთო მოწყალეო, დილის ხორციანი კერძები ლამე გუძაესაც გაახარებდა! — მოოქრული საქაღალდე დახურა და საფერფლის კიდეზე ჩამოდებული სიგარეტი აიღო. — ილია, ერთი მითხარი, — ოხვრით წარმოთქვა მან, — ვის უფრო ეცხოვრება დასავლეთ სამყაროში — ამერიკელს, გერმანელს, იტალიელს თუ, ბოლოს რუსს? თუ შეგინიშნავს ეს?

ილიამ მკაცრად უპასუხა:

---

[1] დიახ, ახლავე (გერმ.).

— არავის! იმედები, ღმერთებისა არ იყოს, დიდი ხანია მოკვდნენ. სამოცდაათიანი წლები კრიტიკულია, ოთხმოციანი წლები საბედისწერო იქნება. ამიტომ — ან, ან...

— რა „ან"?

— ან ცივილიზაციის ყველა სიამოვნება, ნაგვის გროვად მიწ[illegible] და საუკუნის ბოლოს თვითგანადგურება, ანდა ჯანსაღი აზრი [illegible] სო ქრისტე...

— შენ გწამს, ილია, კეთილგონიერებისა? — შეეკითხა ვასილიევი, რომელიც, მისი მტკიცების სისასტიკეზე დაფიქრებული, ეთანხმებოდა კიდეც და არც ეთანხმებოდა. — მე მგონია, რომ უკანასკნელ წლებში ადამიანებმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგეს. და ამან ყველა გათიშა.

— პოლიტიკოსთა სიხარბემ, სისხლმა და უთაობამ გათიშა, — ჩაილაპარაკა ილიამ, თან სანთებელას ათამაშებდა ხელში. — მე დიდი ხანია მოვიშორებდი ჩემს გაცვეთილ გარსს, ოღონდ... ოღონდ ერთი რამ მაჩერებს ქვეყნად — ამაო ცნობისმოყვარეობა: რა იქნება შემდეგ? მაგალითად, ღირდა ამქვეყნად ტანჯვა იმისათვის, რომ თქვენ მენახეთ...

და მან მოლიმარი თვალები შეავლო მარიას ჩაფიქრებულ სახეს, ქალს კი არ უპასუხია, ფეხი ფეხზე გადაიდო, ცხვირი ოდნავ ასწია და დაბნეული გასცქეროდა, როგორ დაცურავდნენ შორს მზით განათებულ არხში მოგუგუნე ქათქათა მოტორიანი ნავები, და მაშინ ვასილიევს ბუნდოვნად გაუელვა: „ნუთუ მარიას რაიმე შემორჩა ილიასადმი იმ სკოლისეული, ორმოცდაერთი წლის შემოდგომისეული გრძნობიდან?.. რა ხდება? ნუთუ ვეჭვიანობ?"

— ერთსაც გთხოვ, ვლადიმირ, — თითქოს სხვათა შორის უთხრა ილიამ და იმ ფანჯარას შეხედა, რომელშიც მარია იყურებოდა. — გადავწყვიტე სურათი ვიყიდო შენი გამოფენიდან. „ფსკოვის დილა" ჰქვია. თუ წინააღმდეგი არა ხარ, მაშინ მე...

— დადებითად არ შემიძლია გიპასუხო, — არ დაამთავრებინა ვასილიევმა. — მირჩევნია გაჩუქო, ვიდრე მოგყიდო. მოვიფიქრებ.

„როგორ მინდოდა მრავალი წლის წინ მასთან შეხვედრა, — ფიქრობდა ვასილიევი ერთი საათის შემდეგ, როცა ილიას გამოემშვიდობა. — ჩვენ რაღაცით სრულიად განსხვავდებოდით ერთმანეთისაგან, მე ბევრ რამეში ვგრძნობდი მის უპირატესობას, მაგრამ მყავდა კი შემდგომში მასზე უკეთესი მეგობარი? რა აუტანელია, რომ ჩვენ გვესმის არაბუნებრიობა... რომელთანაც ვერაფერს გააწყობს კაცი!.."

წმინდა მარკოზის მოედანზე შემოდგომის კვამლიანი სიცივის სუნი ტრიალებდა, წუხანდელი ნისლით დაცვარული მოედანი მზეზე ლაპლაპებდა. აქ მხიარული ქარბუქივით, ფრთების ყურისწამღები ფათქუნით ტრიალებდნენ მტრედების უზარმაზარი გუნდები, დოქების სასახლის მწვანე სახურავებსა და სანაპიროებს დაჰფრენდნენ და კვლავ ხმაურით ეშვებოდნენ მოედანზე, თავზე და მხრებზე ასხდებოდნენ სამ ამერიკელ დედაბერს, პურის ნამცეცებს რომ ისროდნენ ირგვლივ და სიცილით იკლებდნენ იჭაურობას. უკვე აღარ მუშაობდნენ საზაფხულო კაფეები, ტენტები და ფერადი ქოლგები შემოდგომურად აეკეცათ, სკამ-მაგიდები გვერდზე მიედგათ, ხოლო მოციმციმე, მუქი ლურჯი წყლით სავსე დიდი არხის მხრიდან მონაბერი ქარი ამოძრავებდა და ნავმისადგომებისკენ მოერეკებოდა გაზეთის ნაგლეჯებს, დაჭმუჭნილ სიგარეტის კოლო-

ფებს, ცელოფანის ცარიელ პაკეტებს, მთელ ამ ტურისტულ ნაგავს მოშრიალე კარუსელებივით ატრიალებდა გაზაფხულამდე გამოცარიელებული მაღაზიის ვიტრინების წინ.

— მაშა, მოდი აქ გავჩერდეთ, — თქვა ბოლოს ვასილიევმა, რომელსაც ილიასთან საუბრის შემდეგ ოტელიდან აქამდე ხმა არ ამოუღია. — ... სად ვართ?. — დასძინა მან და შეეცადა სულის ნათელი დაებრუნებინა. — ... ჩვეულო ქალაქში, რაღაც მშფოთვარემ და დაუსრულებელმა რომ დაბინდა. და ოქტომბრის ცინცხალ დილას, სანაპიროზე ნესტიანი ჰაერის მსუბუქ ქროლვას, არხში მსრბოლი კატარღების საქარე მინების სარკისებურ ლაპლაპს ისე აღიქვამდა, როგორც მერყევ დროებით რეალობას.

— ზოგჯერ, მაშა, წმინდა მარკოზის მოედანი მშფოთვარე გაზაფხულზე წყლით იფარება ხოლმე, და ტაძრის ქვის ფილები... — წარმოთქვა ვასილიევმა და ენა დაება, რადგან წარბებშუა წყენის წვრილი ნაოჭი შეამჩნია მარიას.

— ტურისტული განმარტებები საჭირო არ არის. მოდი ცოტა ხანს გავჩუმდეთ, მივხვდები. — უთხრა ქალმა, თან გრძნობამორეულ ამერიკელ დედაბრებს უთვალთვალებდა, პურის ნამცეცებს რომ უყრიდნენ მოედანზე მტრედებს. — არ ვიცი, გითხრა თუ არა, რამ გადაარჩინა. — წამოიწყო მარიამ ერთი წუთის შემდეგ და თან თვალი გადაავლო არხს, ნავმისადგომს, თავისუფალ გondოლებს, მაღალ ბოძებთან რომ ირწეოდნენ, წყლიდან ამოზრდილი სასახლეების თავზე გადმოხურულ ლაჟვარდ ცას. — მოხდა ისე, რომ ორმოცდათხუთ წელს ბანაკიდან წამოიყვანეს ტყვეები, რომლებსაც ამერიკელთა მიერ დაბომბილი რომელიღაც გერმანული ქალაქი უნდა გაეწმინდათ. იქ ილია ქარხნის ნანგრევებში მუშაობდა და ერთხელ რაღაც სასწაულად გაიცნო ერთი გერმანელი ქალი, ვინმე მარტა ზაიგლერი. არც მაინცდამაინც ახალგაზრდა იყო, ცოტა კუზიანიც, მაგრამ.... ნაღდად გრეტჰენის თვალები ჰქონდა... — მარიამ დამცინავი გულგრილობით აიჩეჩა მხრები. — როგორც ხვდები, ეს წააგავს ილიას. ილია გერმანულად გამოელაპარაკა ქალს, ამ უკანასკნელმა კი ბანაკის კომენდანტს სთხოვა სამუშაოდ გაეგზავნა ხოლმე ილია მისთვის. ორმოცდახუთში, განთავისუფლების შემდეგ, ილია მასთან დარჩა. სასაცილო ამბავია, ხომ: და, როგორც მივხვდი, მას უყვარდა მდიდარი გერმანელი კუზიანი... რომელსაც ნაღდად გრეტჰენის თვალები ჰქონდა. — მარიამ კვლავ მხრები აიჩეჩა და ტუჩები მოიკვნიტა. — ათი წლის წინ ილიას ცოლი გარდაეცვალა და მას დაუტოვა, როგორც თავად თქვა, პატარა, მაგრამ კარგი საკერავი ნემსების ქარხანა, რომელიც თურმე ამას წინათ გაყიდა და რაღაც აქციები შეიძინა. აბა, რა გავაკეთოთ ახლა მომხიბლავ ვენეციაში?

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ილიაზე ფიქრი თავიდან არ მშორდება, — თქვა ვასილიევმა. — მოდი სანაპიროზე გავიდეთ, მაშა. მე შენ გაჩვენებ მანსარდას, სადაც ორი წლის წინათ ვცხოვრობდი, — დასძინა ვასილიევმა და მას კვლავ მოუნდა, მაგრამ ვერ მოახერხა დაებრუნებინა მსუბუქი, ახალგაზრდული განწყობილება, რომელიც შარშანწინ ვენეციაში ჩამოსვლისას ჰქონდა.

...მაშინ კი საამო იყო გაზაფხულის დილას თბილ, ჯერ კიდევ ნოტიო სანაპიროზე სეირნობა, სადაც უკვე ღია კაფეებში საუზმობდნენ ტურისტები: სიამეს ჰგვრიდა მის ქვაფენილზე სიარული მანსარდაში გამართულ სახელოსნოში მუშაობით დაღლის, შემდეგ და იმედის, სიყვარულისა და აპრილის დაუსრულებლობის რწმენით უღელვებდა გულს.

თავი მეექვსე

უკანასკნელ ათ წელიწადში ვასილიევის სახელოსნო ბევრმა მხატვარმა მოინახულა; ისიც სიამოვნებით უჩვენებდა თავის ყოველ ნამუშევარს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მიღებულ ყველა სიტყვას, ყველა ამ „უნიკალურს", „საოცარია", „იცი, რას გეტყვი", ყველა ამ აღტაცებულ თუ იჭვნეულ შენიშვნებს, ჭერისკენ თვალის მიპყრობას, ზურგზე ხელების დაწყობას, რაღაცნაირ ზმუილსა და ღრმააზროვან ჩახველებას, დიდის ამბით წარმოთქმულ „ჰმ"-ს და განცვიფრებისა და ზრდილობიანი უკმაყოფილების ყველა ჟესტს გულწრფელობასთან ერთად დიდი ხანია დაჰკარგოდათ პირველყოფილი სიახლე, ხშირად თავადაც აღიქვამდა ამას, როგორც თანამოძმეებთან ურთიერთობის აუცილებელ გამონათქვამებს, ურომლისოდაც კარჩაკეტილი ცხოვრება შეუძლებელია.

კვირა დღის დილა ჩვეულებრივ იმით იწყებოდა, რომ მოვიდოდა რომელიმე „მესურათე", უჩვეულო ფიზიკური ძალის პატრონი, ამტანი, ხშირად წვერმოზრდილი, ულოსმცემელივით კუნთმაგარი, რომელსაც მაგარ ფრჩხილებში ჩამჯდარ საღებავს ვერაფრით ვერ ამოაშორებდა კაცი. „მესურათეს" გამოუძინებელი ხმა ზოგჯერ უზომოდ ბოხი ჰქონდა და ბოხბოხებდა, ეშმაკურ პირისახეზე დასიებული თვალები საეჭვოდ დასწითლებოდა; საუბარი წამდაუწუმ გადადიოდა ყოფით თემაზე — მეგობართა შემოსევით გამოცარიელებულ მაცივარზე, სადაც წყეული შაბათის შემდეგ ცუდი არ იქნებოდა ერთი ბოთლი ცივი ლუდი მაინც ჰქონოდა. — სტუმარი ილაყბებდა, იცინებდა, თვალს შეავლებდა მოლბერტს, რომელზედაც ახალი სამუშაო იყო გაშლილი, სტელაჟებს, კედლებზე გაწეულ-გამოწეულ ფარდებს, რაიმე წვენს მოითხოვდა, „რაც მაცივარში აღმოჩნდებოდა, პამიდვრისაც კი", სიამოვნებით გამოცლიდა და უწყინრად ტოვებდა იქაურობას, და კოლეგის დილის ტანჯვა-წამებისაგან განთავისუფლებულ ვასილიევსაც გულს მოეშვებოდა ხოლმე. შემდეგ სადილობის წინ შემოიხედავდა მეზობელი (დერეფანში მეორე კარი მარცხნივ) პეიზაჟისტი ახაპკინი, სასიამოვნო, წყნარი ხმის თვალებმიბნედილი კაცი, რომელსაც ზამთრობით ყვითელი, „ელვიანი" შესაკრავებით გაწყობილი კურტაკი ეცვა, ზაფხულობით — შოკოლადისფერი შორტები, მისი გაბანჯგვლული გამხდარი ფეხებისათვის მეტისმეტად სრული, ნაზად დააკაკუნებდა, ნაზად შემოაღებდა კარს, უხმაუროდ შემოვიდოდა, ფრთხილად შემოდგამდა ფეხს, ისევ უკან გადადგამდა, თითქოს ცეკვის რომელიღაც დახვეწილ ილეთს ასრულებსო, და მხოლოდ შემდეგ გადმოსცდებოდა ზღურბლს და ამღერებული ხმით, მორიდებით წარმოთქვამდა ერთსა და იმავე ფრაზას: „გამარჯობათ, შეიძლება შემოვიდე? მომიტევეთ, ვლადიმირ ალექსეევიჩ, ხომ არ შეგაწუხეთ?"

ეს დახვეწილი ცეკვა კარის ზღურბლთან კარგა ხანია შეამჩნია ვასილიევმა და საყვარელი, ნიჭიერი, მარტოხელა მხატვრის ცრურწმენით უცნაურობად მიიჩნია იგი, მხატვრისა, რომელიც მოკრძალებული სიტყვაძუნწობითა და ფაქიზი სისადავით მოსწონდა. ჩვეულებისამებრ ახაპკინი მობოდიშებით მოავლებდა თვალს სახელოსნოს, მდუმარედ მიიდებდა ნიკაპზე ხელს, შემცბარი შეხედავდა პალიტრას, ტილოს და, გარინდებული დუდუნებდა: „რა ბრწყინვალე კოლორიტია, ვლადიმირ ალექსეევიჩ!.. თვით ედუარ მანესაც შეშურდებოდა თქვენი". ახაპკინს უყვარდა ვასილიევის მანერა დ სტილი, მის არც ერთ გამოფენას არ ტოვებდა, იყო მისი ერთგული თაყვანისცემელი და შეეძლო საათობით ეცქირა მისი ნამუშევრებისათვის. ხოლო როცა ერთხელ ვასილიევმა

ნახევრად ხუმრობით უთხრა, ედუარ მანე, თვით ცნობილი „ოლიმპიის“ ქალ-
რადი ტონების მიუხედავად, უფრო სალონურ მხატვრად უნდა მივიჩნიოთ, ვი-
ნემ თანამედროვე დასავლური მხატვრობის მამამთავრად. ახაპკინმა ძრწო-
ლვით შეხედა, სიტყვა არ უთქვამს და მაშინვე გაიძურწა კალისკენ, რან შიშით
იყურებოდა უკან, თითქოს ცემას უპირებდა ვინმე. ამის შემდეგ ვასილიევს
აღარასოდეს გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება სახელგანთქმული მხატ-
ვრისადმი, რადგან კერპებისა და მასწავლებლების თაობაზე [illegible] ატეხა.
სხვა რომ არაფერი ვთქვათ ,უმადურობაა. მით უფრო სასიამოვნო კაცი იყო
მისთვის უწყინარი ახაპკინი, რომელსაც არც კამათი სჩვეოდა, არც შურიანობა,
არც სახელოსნოში სტუმრობით აბეზრებდა თავს და არც აღტაცებული, უან-
გარო თაყვანისცემით სინათლით აღსავსე საღებავებისა და საერთო მხატვრო-
ბისადმი, რასაც თვით სინამდვილეზე და საკუთარ ცხოვრებაზე მაღლა აყე-
ნებდა.

საღამოობით მხატვარ კოლიცინის მეთაურობით ერთბაშად მოდიოდა ექ-
ვსი კაცი, ნაცნობი თუ უცნობი. ნაცნობები მოურიდებლად შემოცვიდებოდ-
ნენ (მსახიობები, მწერლები, რედაქტორები), შემოჰქონდათ რესტორნის მძაფრი
აღგზნება, უცნობები კი, რომლებსაც „ვასილიევის ნახვა“ ეწადათ, მოწიწებით
ქუჩდებოდნენ ზღურბლთან, თითქოს უცხო ტაძარში არიანო, ხოლო კოლიცი-
ნი, პეწენიკი, მოვერცხლისფრო თმა ლომის ფაფარივით რომ ედგა თავზე, ვასი-
ლიევს გადაკოცნიდა და შენარჩუნებული ახალგაზრდული ტანადობისათვის
შეუფერებელი მსუყე ბარიტონით გაიძახოდა: იძულებული ვართ ზოგიერთი
საინტერესო რამ ვუჩვენოთ დაინტერესებულ ხალხს, რომელიც საამაულო ტა-
ლანტებს უნდა იცნობდესო, და მაშინ დემოკრატიულად უნდა ეჩვენებინა სუ-
რათები, თაროებიდან ჩამოეღო, მოლბერტზე დაემაგრებინა, მერე კედელთან
მიედგა, მერე ერთიმეორეზე მიეყუდებინა და მთელი სახელოსნო აევსო. სახე-
გაცისკროვნებული სტუმრებიც, რაკი მხატვარი ესოდენ მისაწვდომი აღმოჩნ-
და, თხოულობდნენ და მოითხოვდნენ სულ ადრეულ ომისშემდგომ ნამუშევ-
რებს, რომლებითაც ჯერ კიდევ სურიკოვის სასწავლებელში გაითქვა სახელი,
არტილერისტის შინელი რომ ეცვა, — ყინვიანი ლილისფერი მწუხრით მოცუ-
ლი ზამოსკვორეჩიეს შესახვევები; ლობეებმინამქრული ჩიხები; ქარბუქი, ლუდ-
ხანა ტრამვაის გაჩერების ახლოს, ადამიანთა დათოვლილი შავი რიგი; საღა-
მოს სინათლეები ცაცხვებიან წყნარ ეზოებში; არხზე გადებული თაღოვანი
ხიდები, ღამეულ სანაპიროზე ქარში მოქანავე ფარნები.

ადრეული ნამუშევრები, რომლებსაც ასაზრდოებდა და აღავსებდა გან-
წყობილება, თუმცა, როგორც ვასილიევს ეჩვენებოდა, ღრმა აზრი და კადნიე-
რება, ფერითი ტევადობა აკლდა, ასე თუ ისე იწვევდნენ კოლიცინის გულწრ-
ფელ ინტერესს. იგი დიდხანს იდგა მათ წინ გულხელდაკრეფილი, ხან შორ-
დებოდა, ხან უახლოვდებოდა; წარბებს მაღლა სწევდა, შეშუპებული ლოყები
უვარდისფერდებოდა, ბებერი ლომის მსგავს სამკუთხა თვალებში მოციმციმე
ნამი ჩაუდგებოდა ხოლმე, მაგრამ არც საქებარი სიტყვა დასცდებოდა და არც
საყვედურ, მხოლოდ გაურკვეველი დასკვნა გამოჰქონდა ბოლოს: „ჰო-ო, ახალ-
გაზრდობა საინტერესო რამ არის“. ეს ფრაზა ორაზროვანი იყო და სურვილისა-
მებრ შეიძლებოდა აღექვა კაცს, მაგრამ ვასილიევს მიაჩნდა, რომ მისი ადრე-
ული ნაშრომები, ასე ვთქვათ, უკმაყოფილების გრძნობას უკარგავდა კოლი-
ცინს, ერთმანეთთან აახლოებდა და ორივე გადაჰყავდა ახალგაზრდობის იმ იმე-
დების მომცემ ხანაში, როცა მომავალი ყველას ერთნაირად ესახებოდა და არა-

ვინ სერიოზულად არ ფიქრობდა არც გამოფენებზე, არც სახელზე, არც მუზეუმებისათვის სურათების მიყიდვაზე. მას შემდეგ, რაც მაღალი წოდებები მიანიჭეს და მაღალი მდგომარეობა და თანამდებობა დაიკავა, კოლიცინი ქენაღიდებას ეწაფებოდა, თუმცა მის ხელოვნებათმცოდნეობით წიგნში მხატვრობა ომისშემდგომი თაობის შესახებ ვასილიევმა ცნობისმოყვარეობით ამოიკითხა, რომ იგი თურმე თვალსაჩინო წარმომადგენელია „მკაცრი სტილის“ ორმოცდაათიანი წლების დასასრულს წარმოიშვა, რომ ამ მკაცრი მიმართულების მხატვართა გამოცდილებას სურს ისეთი დაინახოს ცხოვრება, როგორიც არის, ისე რომ არც შეარბილოს რამე, არც შეალამაზოს, და სწორედ აქ არის მისი ღირსებანიც და ნაკლოვანებანიც. მაშინ ვასილიევს ჯერ კიდევ არ დაეკარგა პატივმოყვარული ინტერესი იმის მიმართ, რასაც მასზე წერდნენ, და ფრონტელი თაობის მკვეთრი განსაზღვრა — მკაცრი სტილის წარმომადგენლები — საკმაოდ ზუსტი ეჩვენა, რადგან მომაბეზრებელი გადალესილი „აკადემიზმი“ და ხელოვნებაში გულის აჩუყება ზიზღს ჰგვრიდა.

ერთად სწავლობდნენ სურიკოვის სასწავლებელში, და ხანგრძლივმა დრომ დაახლოვა ისინი, რაც უფლებას აძლევდა კოლიცინს, ფერმწერს, პროფესორს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, უცხოეთის კომისიის თავმჯდომარეს, ხშირად შემოეკლო სახელოსნოში არა მარტო პირადი, არამედ საზღვარგარეთის საქმეების გამოც. ზოგჯერ თავისი კომისიის მუშაობის ხაზით სთხოვდა ვასილიევს მიეღო უცხოელები და სურათების ჩვენება რუსული სტუმართმოყვარეობით მთავრდებოდა; შეზარხოშებული, აღგზნებული უცხოელები შუალამისას ტოვებდნენ იქაურობას და სიცილით, შეძახილებით, ხვევნა-კოცნით ემშვიდობებოდნენ ლიფტთან, შლაპები უვარდებოდათ, ბოდიშს იხდიდნენ. შემდეგ ვასილიევი სახელოსნოს ალაგებდა, გამოცარიელებასა და სინდისის ქენჯნას განიცდიდა დაუშურებლად გაცვეთილი ნერვული უჯრედებისა და ამაოდ გაფლანგული ძვირფასი საათების გამო.

მის ცხოვრებაში მომხდარ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით — გამოფენები, იუბილეები, ლაურეატობა, სამხატვრო აკადემიაში არჩევა — მისი სახელოსნოს კარი უკვე სულ ღია იყო, განსაკუთრებით შაბათობით და კვირაობით. მასთან უბოდიშოდ მოდიოდნენ სამუშაო დღეებშიც სულ უცნობი ადამიანები, ნაადრევად თუ დაგვიანებით ულოცავდნენ; ზოგი ეპირფერებოდა, ზოგი ფულს სთხოვდა, ყოვლად სამარცხვინო აღტაცებას გამოთქვამდნენ, საღილად რჩებოდნენ, — და მთელი დღე უაზრო სიცარიელეში ინთქმებოდა.

მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ მზაკვრულად უახლოვდებოდა შემოქმედებითი სიკვდილი. მიხვდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გასცლოდა, განდგომოდა მთელ სამყაროს, ცოდვილივით აღკვეთილიყო შორეულ მონასტერში, ბედთან აღარ ეთამაშა, რამეთუ გაუთავებელი ზეიმები მეტისმეტად გაგრძელდა. ისინი სწყვეტდნენ ყოველდღიურ სამუშაოს, რომლით გატაცებაც არსებობის ერთადერთ გამართლებულ ფორმად მიაჩნდა. და ვასილიევმა ერთბაშად გადაწყვიტა ყველა დემოკრატიული ძაფი გადაეჭრა, სახელოსნოს ზღურბლთან მომდგარი ყველა ხიდი დაეწვა და ჩაღრმავებოდა მონასტრულ განმარტოებულ მუშაობას, რომლის გარდაც არაფერს შეუძლია ამოიგოს კაცის დანიშნულება ქვეყნად.

მან სთხოვა ლიფტიორ ქალს იატაკი მოერეცხა საგულდაგულოდ განიავებულ სახელოსნოში, რათა ერთხელ და სამუდამოდ განედევნა აქედან უსაქმურობის, ყბედობის, პატივმოყვარეობისა და წარმატების სულისკვეთება. თავ-

თავის ადგილას მოათავსა და პირით კედლისკენ მიაბრუნა სურათები, რათა შეექმნა სივრცე, უსხეულობა, თავისუფლება, დაამზადა ტილოები, სამ დღეში განდეგილის სენაკს დაამგვანა სახელოსნო და კვლავ მიუბრუნდა დაუმთავრებელ სამუშაოს, თუმცაა სულიერი შვება ჯერაც არ ეგრძნო. ეს იყო რეჟისორ შჩეგლოვის პორტრეტი.

როცა სახელოსნოში ეძინა ან ძალიან ადრე მოდიოდა, ჩარეტებოდა და თანაზიარი, ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული კოლეგების, ცალკე ეკუნსა და ზარის რეკვას ყურს არ ათხოვებდა. არც ტელეფონთან მიდიოდა. თუ ცოლი ან ქალიშვილი არ ურეკავდნენ, იმათ კი სიგნალი ჰქონდათ დათქმული, ვასილიევს მუშა ცხენად მიაჩნდა თავი, და დერეფნიდან მოღწეულ უსაქმურ ადამიანთა ხმები ნაღველს ჰგვრიდა და აშმაგებდა. მას აძრწუნებდა ამაოდ დაკარგული დრო და წყევლიდა „მშვენიერებით მაცდუნებელსა და სულთა მპყრობელი კაცის“ უსაზღვრო პატივმოყვარეობას, როგორც ოდესღაც ხუმრობით უთხრა ლოპატინმა, რომელიც ცდილობდა წარმატებათა წადილის, ბედის წყალობისა და კოლეგების არაგულწრფელი სიყვარულისაგან დაეხსნა იგი.

ამაოდ წკრიალებდა პლედგადაფარებული ტელეფონი, დერეფანში ნაბიჯები ახლოვდებოდნენ, მერე ერთ ადგილზე ცმუკავდნენ და ისევ შორდებოდნენ. კარზე ხან დაჟინებით აკაკუნებდნენ, ხან ფარულად აფხაკუნებდნენ, ვასილიევი არ უპასუხებდა, და ამ ხმებში ბრაზიც ეჩვენებოდა და ეჭვიანობაც — თითქოს არ აპატიებდნენ განმარტოებას და მუშაობას, თავის თავში გადასახლებას; მან თითქოს ბევრი იმათგანი მოატყუა, ვისაც სურდა მათთვის მუდმივად მისაწვდომი ყოფილიყო.

მაგრამ ერთ ღამეს (მთელ კვირას არ გამოსულა სახელოსნოდან) ვასილიევი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. იგი წამოხტა. ნამძინარევმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, დივანის თავზე დაკიდებული ღამის ლამპა ჩართო და საათს შეხედა: პირველი საათი იყო დაწყებული. მას ეშინოდა გვიანი, მოულოდნელი ზარისა, რადგან ზოგი მათგანი მცდარი იყო. ზოგი — ავისმომასწავებელი, ყურმილი მოგვიანებით აიღო და გაიგონა კოლიკინის მეღერი ხმა. მეგობარი, ეტყობა, მაინცდამაინც ფხიზელი არ იყო და ერნიკული სიხალისით ლაპარაკობდა:

— ხომ არ გაგაღვიძე, თანამედროვე ფერწერის ჰომეროსო? მაპატიე თავხედობისათვის და, ბოლოს ხომ მაინც გიპოვე ღამით! იცი, რას გეტყვი!.. ახლა შენი პოვნა უფრო ძნელია, ვიდრე მინისტრისა ან მღვიმელი სქიმოსნისა. როგორ ინებებთ გავიგოთ: იატაკქვეშელი გახდი თუ ბერად აღიკვეცე? ეგებ სიამაყე დაგეუფლა?

— ყური მიგდე, ოლეგ, — ბრაზით უთხრა ვასილიევმა. — შენ საათს დახედე? ასეთ დროს ყველა წესიერ კაცს სძინავს, პატივცემულო ამხანაგო მდივანო...

— რაც გინდა, ის დამიძახე! — სიტყვა მოუჭრა კოლიკინმა. — მაგრამ რაკი დაგიჭირე, დაუყოვნებლივ უნდა გნახო. მისმენ თუ არა? დაუყოვნებლივ უნდა გნახო. ახლავე ამოვალ შენთან. ავტომატიდან გირეკავ. ხუთი წუთის შემდეგ გააღე კარი. შენ სახლთან რომ ავტომატია, იქ ვიყინები.

— ეს ხომ გაუგონარი იდიოტიზმია! ამ შუაღამისას რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

მაგრამ იქ, სადარბაზოს მახლობელ ავტომატის ჯიხურში, ზამთრის ღამის უკაცრიელ სიჩუმეში, ყურმილი დაკიდეს. და გაღიზიანებულმა ვასილიევმა გაიფიქრა, რომ კოლიკინი, ჩვეულებისაებრ, სასტუმროს ოესტორნიდან ბრუნ-

დებოდა უცხოელებთან აეროდრომზე შეხვედრისა და ვახშმის შემდეგ და, შეეფიანებულმა, გადაწყვიტა მის სახელოსნოში შეევლო, რადგან ეგონა, რომ ამით სრულყოფდა თავის გრძნობებს.

მაგრამ როგორც კი გაცხარებული და, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, პრომოლუშული კოლიკინი შემოვიდა ირმის ტყავის ქუდითა და გალეფილი ბეწვის ქურქით, როგორც კი სახელოსნოს ზღურბლზე გადმოდგა ფეხი, — ვასილიევი მიხვდა, რომ იგი არც გრძნობების სრულყოფისთვის მოსულიყო და არც რესტორნიდან. კოლიკინი სრულიად ფხიზელი იყო, თანაც უჩვეულოდ გაფითრებული. კოლიკინმა ხანში შესული ბრძენი ლომის მოღლილი, მოყვითალო მწვანე მოღლილი თვალები ეჭვით მოავლო სახელოსნოს, კედლისკენ სტოიკურად მიბრუნებულ სურათებს, მერე მოლბერტზე შეაჩერა, სადაც დაწყებულ სურათს ქსოვილი ეფარა, და უნდობლად ჰკითხა:

— ვილაცამ მითხრა, ღამღამობით მუშაობსო.

— ღამღამობით ძილს არაფერი მირჩევნია, შენც ამასვე გისურვებ.

— დიდი მიქელანჯელო სანთლების შუქზე მუშაობდა. თითქმის მთელი რენესანსიც. რუსი გენიოსებიც, — აჩქარებით ლაპარაკობდა კოლიკინი. — ისინი კატორღელებივით მუშაობდნენ, სახელოსნოში მიჯავჭულნი, უკვდავებისათვის მუშაობდნენ. უკვდავება იყო მათი ხვედრი. ჩვენ კი რა მოგველის?

— ყოველ შემხთვევაში საკუთარი სამოსიდან არ უნდა ამოვხტეთ. უშარვლოდ ყოფნა საძრახისია, ხომ იცი!

— საძრახისი უნიჭობაა ყოველთვის. როგორი სამოსიც არ უნდა ეცვას კაცს, ვალოდია.

მისი მსუყე ხმა, რომელსაც ხან სოლიდური ელფერი დაჰკრავდა, ხან კი ლმობიერი, ახლა დაბალი, ულიმლამო და აღგზნებისაგან მოგუდული იყო:

— ვიცი, ვალოდია, რომ მხატვრის დიდება კვამლის ჩრდილია, ბედის ანირება. შენ კი მაინც ხატავ და იმედოვნებ, რომ მხატვრობაში საკუთარ კვალს დატოვებ, რადგან საღებავებით ფიქრი შეგიძლია. ხომ გაქვს იმედი? ყოველ ნიჭიერ კაცს იმედი აქვს, სხვაგვარად ის არაფერს შექმნიდა. ასეა, ვალოდია? თუ არ არის ასე? რაღა ქნას იმან, ვისაც ბატარა ნიჭი აქვს? ტანჯვასა და უძლურებაში იცხოვროს? რა ქნას ბალახის ღერომ ასკილის ბუჩქის გვერდით?

— უნდა იზარდოს. მაგაზე გინდოდა ჩემთან ლაპარაკი? — ბრაზით ჰკითხა ვასილიევმა და აღგზნების გასანელებლად ყასიდად დაამთქნარა, მერე კი სიგარეტს მოუკიდა. — ხომ არ ფიქრობ, რომ დისკუსია უაზროა? უმჯობესია მითხარი: ვის შეხვდი ან ვინ გააცილე? ჩაჯექი აგერ სავარძელში. იმით არის კარგი, რომ მეცხრამეტე საუკუნისაა. წარსულის ბრწყინვალებაა.

მაგრამ კოლიკინი არ ჩამჯდარა სავარძელში. ხავერდის გასრესილ ჩავარდნილ სავარძელში, რბილი სილრმით რომ იტყუებდა კაცს თავის ბურჟუაზიულ წიაღში. ორივე ხელით გადაიგდო უკან ხშირი მოვერცხლისფრო ფაფარი, საყელოზე რომ დაფენოდა, და ისე, რომ მოქნილი, თითქმის ქალური ხელები საფეთქლებიდან არ მოუშორებია, ამღვრეული თვალები სევდით მიაპყრო კედლისკენ მიბრუნებულ ერთ-ერთ სურათს.

— დღეს დილიდან ვმუშაობდი, დავიღალე, არაქათი გამომელია, — უგუნებოდ თქვა კოლიკინმა. — და ვერაფერი ვერ დავიჭირე: თეთრი თოვლი, თეთრი ხეები, თეთრი სახლები, თებერვლის ლურჯი ცა და უკვე გაზაფხულის შეგრძნება. თეთრი და ლურჯი. და რაღაცნაირი იისფერი. ვერ ვიპოვე, ვერ დავიჭირე, ვერ ჩავავლე! გავიტანჯე. მაგრამ თებერვლისეული გამჭვირვალება

და მზეზე აელვარებული თრთვილი ვერ დაკიბირე. აღმაფრენა კი მქონდა. შემოქმედებითი თავისუფლების აღმაფრენა!..

— აგრე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ. — უკვე ნამდვილად [illegible] ვასილიევმა. — რა აღმაფრენა? მიწაზე იარე, ისა სჯობია. [illegible] და სანელოსნოს ჭერს აარტყამ თავს. რემონტი კი, ხომ იცი, [illegible]

— სერიოზულად მინდა გკითხო, პატივცემული [illegible] კოლიკინმა და თავი ბრაზით გააქნია. — გაქვს ხოლმე სრული უძლურების წუთები? როცა არაფრის უნარი არ შეგწევს. არის წუთები, როცა გრძნობ, რომ არ ძალგიძს გადმოსცე საკუთარი თავი... ფერებში... ტილოზე? თუ ბედნიერი ხარ და ეგეთი რამე არ გემართება? ჰო, შენ გეუბნები! ადვილია ცხოვრება, როცა საკუთარი გენიალობა გწამს.

ვასილიევი მოიღუშა და სიგარეტი გაიქნია.

— მე ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ გენიალური ვარ. მით უმეტეს, რომ იყო წუთები, როცა საკუთით დარწმუნებული ვიყავი, რომ ხელოვნებაში ვირი კი არა, ვირთა ვირი ვიყავი. უფრო სწორად, რიგიანი ვირი კი არა, ვირის აჩრდილი. აბა რა გიპასუხო, ოლეგ, ღამის პირველ საათზე? შემიძლია დაგუმატო, რომ მხატვრობაში შეუძლებელია გამოხატო, თუ რა ძალუძს გრძნობას, როცა გონება თვლემს. თუ როგორ იქცევა გრძნობა ასეთ შემთხვევაში — ეს ლიტერატურის საგანია.

— ჩემი მისამართით თქვი, ვალოდია?

— ჩემი, შენი და მთელი მხატვრობის მისამართით. მხატვრობაში ორი მესამედი უძლურებაა.

— გაჩუმდი, ვასილიევ! დღეს ერთი შენი პეიზაჟი გამახსენდა, — შეტოკდა კოლიკინი, თან ჩვეულებისამებრ ორივე ხელით უკან გადაიგდო თმა და კედლის ახლოს გაიარ-გამოიარა, სადაც შებრუნებული სურათები იყო მიყუდებული. — შენი პეიზაჟი, საგაზაფხულო მინდვრები, ისეთი თოვლი ხრამში, გზაზე დამდგარ გუბეებში არეკლილი მზე... სადა გაქვს? ის აქ იყო, აი აქ. მაჩვენე რა! დღეს გამახსენდა, მინდოდა მენახა... წარმატებად მიგაჩნია? თავად როგორ უყურებ? ჰა?..

და თითქოს ალალბედზე შემოაბრუნა ერთი სურათი, სულ კუთხეში რომ იყო — საზაფხულო პეიზაჟი, რომელიც მარშან დახატა ვასილიევმა, — და უკან დაიხია, რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა და როგორღაც მთვრალივით დაიწყო ქანაობა; ხან აიწევდა ფეხისწვერებზე, ხან დაიწევდა, წამებულივით იღიმებოდა, ხოლო მისი მოქნილი ქალური თითები სწრაფად შეერთდნენ და ერთმანეთს გადაეჭდნენ ზურგზე.

— ეაცმა რომ თქვას, არ გამომივიდა, არადა, რა უბრალო მოტივია, — დანანებით თქვა ვასილიევმა. — დაუჭერელი წამი, ჩემი უძლურება სინათლის წინაშე, თუ გნებავს...

— მე არ შევმცდარვარ. — სხაპასხუპით წაიდუდუნა კოლიკინმა, თითქოს ბოდავსო. — შენს გაზაფხულში, კუთხე ამოვარდნილია. კუთხეში სიცარიელეა. აქ კი, სადაც ჩრდილებია... სითბო აკლია, მეტი სითბოა საჭირო. მეტი... ა-რა, შენ გააჭუფრე, მაგრამ აქ ვერ მოახვედრე მიზანში, ვერ ჩაავლე... ნაღდად ვგრძნობ, რომ ააცდინე. მხოლოდ ცა. აი აქ კი მოახვედრე — შესანიშნავი წყარო სინათლისა, გაზაფხულისა. ყველა დანარჩენი არ გამოგივიდა, უსიცოცხლოა, მიზანში ვერ მოახვედრე. შენც, შენც უძლური ხარ ხოლმე, ოსტატო ვასილიევ. თუმცა ასჯერ უფრო ნიჭიერი ხარ, შენც უძლური ხარ ზოგჯერ!

სასაცილო და უხამსი რამაა, მაგრამ დღეს როგორღაც შენს წარუმატებელ გაზაფხულზე, ამ პეიზაჟზე ვფიქრობდი! — განაგრძნო იმ ადამიანის მძიმე ხმით, რომელსაც თავისი გულწრფელობა სძაგს. — წარმოიდგინე, დღეს მთელი დღე შენზე ვფიქრობდი!.. ბოლოს და ბოლოს გაგიმართლა ხელოვნებაში, მაგრამ ენერგი მაინც არა ხარ! არც შჩედრინი ხარ! და არც შენი ნამუშევრები, მივიანი მაინცდამაინც!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად გინდა ეგეთი პათოსი? მონოგრაფიისთვის ხომ არა?

— გენიოსი არა ვარ! დღეს გავიფიქრე, რომ ალბათ ღმერთმა დამსაჯა. ჩემგან არაფერი გამოვა. ყველაფერი დაეკარგე. ჩინოვნიკი გავხდი და ჩემი ნიჭიდან ნატამალიც კი აღარ შემომრჩა! გმადლობ შენი პეიზაჟისათვის — არა, მარტო მე როდი მაქვს თითზე საკბენად საქმე! მარტო მე როდი ვარ ასეთ დღეში!..

ნაძალადევი ღიმილით ათრთოლებული სახე გასტანჯვოდა და შეშლოდა, ამღვრეული, დაწითლებული თვალები გამოხატავდნენ ნერვულ აშლილობას და ლამის სასოწარკვეთას, რომელიც ესოდენ ნაცნობი იყო ვასილიევისათვის, ესოდენ სტანჯავდა იმ წუთებში უკეთურად გულახდილ კოლიცინს, ვისაც თურმე დაუსრულებელი ტანჯვა-წამების მწვავე ცეცხლის ძიებაში ხდებოდა სული.

იმ დილას ვასილიევი ხატავდა რეჟისორ შჩეგლოვს, მარიას ღვიძლ ბიძას. ხმელ-ხმელ, ხანში შესულობის მიუხედავად მკვირცხლ, მოძრავ კაცს, რომელიც მოურიდებელ პოზაში წამდაუწუმ ფეხზე ფეხს გადაიდებდა ხოლმე, რის გამოც ვიწრო მწვანე შარვალი თხელ კოჭზე ეწეოდა და ჭრელი წინდები და სქელლანჩიანი მოდური ყელიანი ფეხსაცმელი მოუჩანდა. მას არ შეეძლო მშვიდად პოზირება, განუწყვეტლივ ეწეოდა, ლაპარაკობდა, ოხუნჯობდა, როგორღაც მჭეჭარედ ახველებდა, და უღიმღამო სახე ყოველ წუთს ეცვლებოდა; ხან უცნაურად გაუმხიარულდებოდა, ხან ეშმასავით მზაკვრული უხდებოდა, ხან დაღლილი სატირის ბრძნულ სახეს მიუგავდა, და ყოველ ამ ცვლილებას ახდენდა სათვალის შუშებიდან გამომზირალი წამოზიდული თვალებით და ენერგიული პირის გესლის გამომხატველი ნაოჭებით. მისი სიტყვების ირონიულ სიმწკლარტეს, რომელიც ყოველი არსის, მათ შორის საკუთარი თავისადმიც იყო მიმართული, ეტყობა, არ შეეძლო დაშრეტილიყო, ერთ რამეზე შეჩერებულიყო და ამით გაეთავისუფლებინა ვასილიევი ყოველგვარი აუცილებლობისაგან, რათა შეკითხვებით მიეზიდა ეს კაცი.

— ეს, რა თქმა უნდა, გრანდიოზულია, მაგრამ არ მესმის, — ეუბნებოდა შჩეგლოვი, თან მინაზებული არისტოკრატიულობით ოდნავ იჩლექდა ენას და სავარძლის საიდაყვეზე რკინის საფერფლეში ფერფლავდა სიგარეტს. — კაცი შეიძლება შეიშალოს! ამდენი ხანია უტრიალებთ ბებერ საფრთხობელას, მასხარას, რომელსაც თავისი პორტრეტის შესაქმნელადაც კი არ შეუძლია ჭკვიანად მოაჩვენოს კაცს თავი! პოზაც ვერ დამიჭერია. დამითხოვეთ — უნარი არ შემწევს! ვერ გამიგია, რაში გჭირდებათ ყოველად უნიჭო მსახიობი. ფრთახატული ფარშევანგის მაგივრად მოდურ პარიზულ შარვალში გამოწყობილი ბებერი მაჩვზღარბი? თუმცა, იცით, ამქვეყნად სასიამოვნო, შესანიშნავი თამაში და მსახიობობა ყველაფერია. რა? არა? ბალაგანი, სცენა, ერთი და იგივე პიესა — და განსაცვიფრებელი დრამატურგია! — დამეთანხმებით, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე თამაშობს და იშვიათად წარმოადგენს თავის

თავს — შეუნდოს ღმერთმა. ვთქვათ ,მშობლიური ხელოვნება — გონებისა და გრძნობათა გასართობი თამაში. სიყვარული? სქესთა ყველაზე უფრო გრანდიოზული თამაში. სიმართლე — დამალობანას ეშმაკური თამაში. სიცრუესთან. სიცრუე — სიმართლის თამაში. შემდეგ კრებები, თათბირები და სხვა ამგვარი — განა ესეც თამაში არ არის ასაკოვანი ადამიანებისა, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობენ, რომ სერიოზულად გამოიყურებოდნენ? — ანდა, ვთქვათ, სახელი და ძალაუფლებისმოყვარული მცდელობანი — ყველაზე ძლიერთა და ყველაზე ხარბთა თამაში. მხოლოდ სიკვდილი წყვეტს ყოველგვარ თამაშს, მაგრამ... მერე სხვების თამაში იწყება — პანაშვიდი, დაკრძალვა... დამეთანხმებით, სიცოცხლე და სიკვდილი — ეს გრანდიოზული თეატრია! ხოლო თვით თეატრი — სიცოცხლისა და სიკვდილის უსუსური მინიატურა...

ხმამაღლა არ იცინოდა, მხოლოდ გესლიანად ხითხითებდა და კრუსუნებდა, სათვალის შუშებიდან გამჭოლავად იმზირებოდა. მერე ხარბად მიჰქონდა სიგარეტი ღვარძლიანად გაწელილ ტუჩებთან. ხარბად ამოისუნთქავდა კვამლს გრძელ ნაკადად და წამდაუწუმ ღებულობდა იმ კაცის პოზას, რომელიც იძულებულია მხიარულად გაატაროს დრო უსაქმურობაში. ვასილიევი ჩქარობდა, თითქმის ურტყამდა ტილოზე ფუნჯს. კარგად ესმოდა მისი ხმა. სიცილის გამომხატველი ერთფეროვანი კრუსუნი, მაგრამ შჩეგლოვის სიტყვები და სიცილი მის გულს არ სწვდებოდა, მათ გაგებას ხელს უშლიდა ყინვიანი თოვლის შუქი. მხიარული, უკვე თებერვლისეული, დილის ფანჯრებში, ქვემოთ თვალისმომჭრელი გვიმრები რომ იყო მოხატული, ზემოთ კი არაზამთრისეული ცის სილაჟვარდეს გაემსჭვალა დათრთვილული მზიანი დილაც, შჩეგლოვის სათვალიდან გამონაკრთობი დაუდგრომელი ეშმაკობაც. სახელოსნოს ჩვეულებრივი ავეჯიც, თავისთავში, მარტოობაში ეს ნებაყოფლობით გადმოსახლებაც, როგორც ზოგჯერ იტყოდა ხოლმე, ურომლისოდაც შეუძლებელია აზრის მოკრება, წონასწორობის ბედნიერი მდგომარეობის პოვნა, — ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის, როცა იგი მთლიანად ინთქმებოდა მუშაობაში, და მაინც სრულად ვერ შეთვისებოდა ამ მდგომარეობას, თითქოს დიდი ხნის შიში მაინც ბჟუტავდა მის სულში.

„არა, ეს ვენეციის შემდეგ არ მომსვლია. არა, ორი წლის წინათ დამეწყო რაღაც იდუმალი შფოთვა ჩემი შვილის იმ საშიში ავადმყოფობის შემდეგ. თუ უფრო ადრე?..“

— თქვენ უცნაური სახე გაქვთ, ძვირფასო ვლადიმირ ალექსეევიჩ, თქვენ არ მისმენთ?

— გისმენთ, ედუარდ არკადიევიჩ. აი... აქეთ გამოიხედეთ, ტილოს ოდნავ მარჯვნივ, — თქვა შემკრთალმა ვასილიევმა და ფუნჯით უჩვენა, საითაც უნდა გაეხედა. — აი აგრე. გმადლობთ.

— ვუყურებ არაგმირული ადამიანის ცხოვრების გენიალურ, გრანდიოზულ პიესას. მაგრამ ვინ არის ავტორი? სად არის სვიფტი? სად არის სალტიკოვ-შჩედრინი? აფსუს! დრამატურგთა შორის გაბატონებულა ძალმომრეობა ბაზრული ტალანტებისა, რომლებიც ერთმანეთს პატივმოყვარულად აბიჯებენ ფეხს.

შჩეგლოვი ლაპარაკობდა, თან ნატიფ ხელს ფრთხილად, ალერსით უსვამდა სავარძლის საიდაყვეს და მჩხვლეტი ნაპერწკლებით მოკიაფე მზერა მიეპყრო ტილოს ოდნავ მარჯვნივ:

— აი მამაკაცის ცხოვრება: ოც წლამდე ახალგაზრდა ინდივიდუმს ჰგო-

ნია, რომ უკვდავია და ირგვლივ ყველაფერი წარმტაცია, სულ ფანფარები, სიყვარულით სავსე პატივისცემა, თანამშრომელთაგან მორთმეული დაფნის გვირგვინები, ალმოჩენათა მსოფლიო ალიარება, თაყვანისმცემელ ქალიშვილთა ჭვითინი, და, რა თქმა უნდა, პერიკლე, სოკრატე და ლევ ტოლსტოი მის წინამე უსუსური ღლაპები არიან. მერე თავს იჩენს რეალობა: ოცდათხუთმეტ წლამდე — ჭალები. აქ იგი შეიცნობს სხვადასხვა შესანიშნავ გემოვნებისეულ [illegible] კარამელიდან და თაფლიდან მოყოლებული ძმრამდე და მდოგვამდე [illegible] რა თქმა უნდა, უმთავრესად — დისტილირებულ წყალს. და, წყურვილმოუკლავი, ორმოცი წლის შემდეგ განიცდის საშინელ შიმშილს. ანუ სურვილს, რომ კარგად ჭამოს, და ერთი მადიანად რომ გადაჭრავს სირჩა არაყს, როგორც ღვთისმსახურების პროლოგს, მაშინ შეიცნობს პირის გემოს. მერე რა ხდება? მერე — ორმოცდაათის შემდეგ — კვირაობით გაზეთით ხელში დივანზე წოლა, ტელევიზორი და ძილი, რომელიც მაძღრისი ტრაპეზით მიღებული სიამოვნების დამაგვირგვინებელია. მაგრამ ზოგჯერ პატარა ჩაქუჩივით დაჭრავს კეფაში: ნუთუ აღსასრული მოახლოვდა? სამოცის შემდეგ: ზოგ პიროვნებას — ლაღი ახალგაზრდობის მოგონებით ტკბობა, ზოგს — ავადმყოფობათა პანიკური შიში და ბაღებში მდგარი სკამებისა და სახლმმართველობებისადმი სიყვარული, ღამღამობით კი ყველას ერთი რამ აწუხებს — უძილობა და მარადიული მარტოობის შიში. როგორ მოგწონთ ასეთი გრანდიოზული სურათი?

შჩეგლოვის მზერა ჯოჯოხეთურად გაბრწყინდა, გახალისებული, სივრცის ერთ წერტილს მოსწყდა, ფანჯარაზე მზის თრთვილით მოხატულ გვიმრიანში გაინავარდა, თითქოს იქ თამაშ-თამაშით ამზადებსო შემდგომ აზრს; ვასილიევი შეეცადა მისი ფორმულებისათვის სამოსელი შემოეძარცვა და ჩასწვდომოდა რაღაც გამოუთქმელს, მთავარს, რასაც არასოდეს შეჰხებოდა ეს კაცი, ისევე როგორც არც თავის ყველასაგან დამალულ, თუმცა არც ბერმონაზვნურ და არც ასკეტურ მარტოსულ ცხოვრებას შეჰხებია ოდესმე, მაგრამ ამაოდ. იგი მარიას ღვიძლი ბიძა იყო. ვასილიევი დიდი ხანია იცნობდა ედუარდ არკადიევიჩს, ყველგანმყოფ, დაუშრეტელი ენერგიის უასაკო კაცს, მაგრამ არასდროს ენახა არც სერიოზული, არც ჩაფიქრებული, არც თავის თავში ჩაღრმავებული; სარკაზმით გაბრწყინებულ მის თვალთა სიღრმეში მხოლოდ იშვიათად ჩნდებოდა რამდენიმე წამით რაღაც შემოდგომისეული, ნაღვლიანი, თითქოს გაშიშვლებულ ბაღში ფოთოლცვენის შარიშურით, ნოემბრის წვიმის წკაპუნით შებოჭილი რაღაც გრძნობა.. .მაგრამ შემოდგომის ეს შეგრძნება მხოლოდ ვასილიევის წარმოდგენა შეიძლებოდა ყოფილიყო, და რადგან შეარჩია შჩეგლოვი, რთული ნატურა, რომელსაც პორტრეტისათვის პოზირება არ შეეძლო, ალბათ ამიტომ მუშაობდა ასე დიდხანს და სვენებ-სვენებით, გაასწორებდა, გადააკეთებდა, ვინაიდან ვერ ნახულობდა იმას, რაც მის ბუნებაში უნდოდა ეპოვა.

„რა მინდა ვიპოვო ამ კაცში? გამოვიცნო, რა აზრები მოსდის მოხუცებულობის გრძელ ღამეებში? როგორია სინამდვილეში?"

— ვლადიმირ ალექსეევიჩ, სიტყვამ მოიტანა და თავს ნებას მივცემ შევნიშნო, — განაგრძო ამასობაში შჩეგლოვმა. — დიდი პიროვნებები ეჭვობდნენ და ეძებდნენ, ამგვარად, ცოტა სიხარული ჰქონდათ ამქვეყნად, რადგან ჭეშმარიტების გულისთვის სწირავდნენ თავს ადამიანთა მოდგმას, რომელიც მაშინვე როდი იჩენდა მათდამი მადლიერებას. პირიქით, შურიანთა ლეგიონი,

ჩვეულებრივ ადამიანთა არმია წამლავდნენ, დასცინოდნენ, წვავდნენ და ჯვარს აცვამდნენ პიროვნებებს, რომლებიც მათ არ ჰგავდნენ, დიახ, ასე იქცეოდნენ! ამგვარად: აქვს თუ არა ადამიანს უფლება რაიმეში დაეჭვდეს? არა? როგორ დავწეროთ — გეჰემოთი თუ გიჰიმოთი? როგორ, გვიბრძანეთ, „გე“ თუ „გი“?... ვინ არის მართალი — გენიოსი თუ ჩვეულებრივი ადამიანები?

შჩეგლოვის საჩვენებელი თითი ჰაერში აიჭრა და [illegible] მოხაზა კითხვის ნიშნები. პერანგის გახამებულ მანჟეტზე საკმაოდ [illegible] ოქროს საკინძმა გაიელვა, ხოლო ფერმკრთალ წვეტიან ნიკაპქვეშ მოკლე შავი ჰალსტუხი აუფრიალდა.

— სად არის ჭეშმარიტება? სად? ერთნიშნაა თუ არა იგი? ხომ არა აქვს წინა და უკანა მხარე? კლასიკური სიცხადე „ჰო“ თუ „არა“, მაშინ გაჩნდება, როცა მტკიცედ განვსაზღვრავთ, რა არის ბედნიერება. ჰა? მაშ რა არის? ორ ჯერ ორი? აგვისტოს ცაზე მოწყვეტილი მშვენიერი ვარსკვლავი? თუ ხორციელ სიამეთა ჯამი? თუ ყოველდღიური სამყარო წარსულითა და აწმყოთი? თუ სიშმაგე, ასე ვთქვათ, შთაგონება, თქვენ რომ გაქვთ ხოლმე, ვლადიმირ ალექსეევიჩ? თუ ბედნიერება ცისფერ სიზმართა სამოთხეში ცხოვრებაა? თუ ადამიანისადმი სიყვარული? ჰა? მაგრამ ჰუმანიზმია თუ არა, როცა ექიმი მშობიარობისას გონჯ ბავშვს გადაარჩენს და ამით მთელი ცხოვრების მანძილზე ჰკიდებს დედას უმძიმეს ჯვარს? მაგრამ არის ერთადერთი შესაძლებელი აბსოლუტი: ადამიანი ბედნიერი შეიძლება იყოს ბავშვობაში, როცა ერთგვარი სულიერი გაურყვნელობის მდგომარეობაში იმყოფება. ეს პერიოდი კი რაოდენ სწრაფწარმავალია ჩვენს ცხოვრებაში! მაშ როგორ უფრო სწორია დავწეროთ: გეჰემოთი თუ გიჰიმოთი? ა? ხა, ხა... ჰა? მით უმეტეს რომ თვით სიტყვა აზრის ჩრდილია, უფრო სწორად — აზრის უბადრუკი სამოსელი. მაშ „გე“ თუ „გი“? თუ მაინც — ბეჰემოთი?

— არც ხელოვნებაში სიშმაგე და აღმაფრენაა ბედნიერების აბსოლუტი, — ჩაილაპარაკა ვასილიევმა და შეეცადა შჩეგლოვის ღვარძლიანად გაწელილი თხელი ტუჩების თავისებურება გამოეხატა ტილოზე. — სიშმაგე არ შეიძლება ბედნიერი იყოს სრულყოფილების დევნაში, დაუკმაყოფილებლობას კი ბოლო არ უჩანს...

— უეჭვე-ლი-ა! — არტისტულად აიქნია ჰაერში ხელი შჩეგლოვმა, რომელსაც ბოლომდე არ მოუსმენია, და მოკრძალებით განაგრძო: — აღსანიშნავია ახალი და გრანდიოზული პარადოქსი! რაც უფრო ანგრევენ ადამიანები საუკუნეობრივს, მით უფრო პრიმიტიული ხდება, სამწუხაროდ, მათი გრძნობები! სათნოების მსხვილი კუპიურები ოჯახურ კინკლაობად და სამსახურებრივ ხრიკებად დახურდავდა. აღსანიშნავია, რომ ჰიპერტროფირებულად მიმდინარეობს რაციონალური გონებისა და პრაქტიციზმის სრულყოფა, მაშინ როცა გული ყველასაგან დავიწყებულია. რა გაეწყობა! პლასტმასის საუკუნეში შექსპირულ ვნებებს არსებობა აღარ შეუძლიათ. რაღაცნაირი საყოფაცხოვრებო სიყვარული შემოვიდა. სიძულვილი ტაშკენტური ხახვის რიგში მომხდარი საბაზრო გაუგებრობაა. თავმდაბლობა სიბრიყვედ და დოყლაპიობად მიაჩნიათ, უტიფრობა — ხასიათის სიმტკიცედ. გაუთავებელი ბღენძიობა და სირეგვნე! — ე-ეს, რა თქმა უნდა, გრანდიოზულია! თაღლითისათვის სილის გაწნა, მამაკაცური ღირსების ნეტარ დროს რომ იცოდნენ, — ო რა უგუნურება და უაზრობაა, რა არქაული დონკიხოტობა! მხოლოდ სულის მღრღნელი შური გაფურჩქნილა ჯადოქრული ვარდნარივით ახალ მეშჩანობაში. ა?.. ჰა?.. შურთ გატაცებით, რო-

ვორც შეშლილებს. შურთ ყველაფერი: ფული, მოდური კაბა, ახალი ბინა, ჯანმრთელობა, მინიატურული, მცირეზე მცირე წარმატებაც კი. ა? ჰა... და ამის შედეგად ფარულად, მაგრამ ავხორცულად უხარიათ სხვისი წარუმატებლობა, მეზობლის ჩამოქცეული ჭერი, ჯიბლიბო, უფულობა, ავადმყოფობა და ნუ შეძრწუნდებით! — ყოფილი იღბლიანი კაცის სიკვდილიც კი: ის უკვე ეჭვარის, მე კი ჯერ აქა ვარო. ან: რა კარგი და სამართლიანია, რომ ის ვოსტროვი კოვოს სასაფლაოზე დაკრძალეს და არა ნოვოდევიჩიზეო. შურს ყველას — მეზოვესაც, მსახიობსაც, მინისტრის მოადგილესაც. რა? მინისტრს? ო, მე ვაზუსტებ: მას — არა, არავითარ შემთხვევაში, ის, უეჭველია, მოკლებულია უგვანო, მანკიერ გრძნობას. მაშასადამე, შური მსოფლიოს მეძავთა ყოვლისშემძლე დედოფალია. სანუკვარი და მომჯადოებელი ქალია. ეი საით მიემართებიან ბატარა ვნებათა ნერვული უჯრედები: ამ კურტიზანის თაყვანის საცემად, რომელსაც სხვისი საწოლისა და ოდეკოლონის სუნი ასდის! მომხიბლავი რამ არის, ხომ მართალია?

— თქვენი თუ შურს ვინმეს? — ჰკითხა ვასილიევმა, რომელსაც უნდოდა სული მოეთქვა ამ გესლიანი თავდასხმისაგან, ირონიითა და ღვარძლით გაჟღენთილი ფრაზებისაგან, შჩეგლოვის დამცინავი გონების ულმობელი თამაშით რომ თავი მოაბეზრეს. — ვის შურს თქვენი?

— ჩემი? მე ბედი მწყალობს. მე სავსებით თანამედროვე ადამიანი ვარ. თავად მშურს თანაც — საშინლად!

— ვისი გშურთ?

— ყველა მამაკაცის, ვინც ლამაზ ქალთან ერთად მიდის ქუჩაში.

— რამდენი წლისა ხართ, ედუარდ არკადიევიჩ?

— გმადლობთ კომპლიმენტისათის. თექვსმეტ-ნახევრისა. ახლა კი, ძვირფასო ვლადიმირ ალექსეევიჩ, დროა რეპეტიციაზე მოვუსვა. თუმცა მსახიობები ჩემს, როგორც რეჟისორის, დაუსწრებლადაც შესანიშნავად გაართმევდნენ თავს საქმეს. ალბათ მობეზრდათ კიდეც ჩემი ყურება!

— კიდევ ხუთ წუთს გაგაჩერებთ...

— ჩვენი შეცდომა ის არის, რომ თვალაუხელელი ლეკვებივით ჭეშმარიტების გარშემო დავფორთხავთ და გვგონია, რომ უკვე დიდი, სოლიდური ძაღლები ვართ.

— მე მგონი, თქვენ ცხოვრებას დასცინით, ედუარდ არკადიევიჩ, — უთხრა ვასილიევმა. — გესლს ანთხევთ ამ სიცილით. მაგრამ რატომ მაინცდამაინც თქვენ? თქვენთვის ხომ არასოდეს უწყენინებია ცხოვრებას?

შჩეგლოვი სავარძელში გადაწვა და მარშივით დააკაკუნა ხის საიდაყვეზე.

— ქვეყნად თითქმის ყველანი განაწყენებულნი არიან, ჩემო ძვირფასო და ნიჭიერო ვლადიმირ ალექსეევიჩ. მე კეთილი ბებერი ძაღლი ვარ და ვიცი, ცხოვრება თქვენგან დროდადრო სიყვარულით სილის გაწნას მოითხოვს, არადა, თვითონ გაგაწნავთ სიძულვილით სილას. ვხედავ, ძვირფასო, რომ თქვენ ასეთი პრევენტიული სტრატეგიის წინააღმდეგი ხართ.

— ეს სისულელეა. ჩვენ ზღვა სიტყვებში, ენამახვილობაში და ცხოვრებისადმი იქედნურობაში ჩავიხრჩობით და დავილუპებით. — თქვა ვასილიევმა, რომელიც მოლბერტთან იდგა ,მაგრამ უკვე რამდენიმე წუთს აღარ მუშაობდა, მოიღუშა და ფუნჯიანი ხელი დაუშვა. — ვისთვის არის განკუთვნილი თქვენი რიტორიკული ბაღის ყვავილები? მსახიობებისათვის? ჩემთვის? მე არ მიყვარს დამწვარი გოგირდის სუნი და სხვა საძაგლობა.

— არავისთვის. მე მათ გზაზე მოვაბნევ ხოლმე და სხვისი სიამოვნ
ვტკბები. — თავაზიანი გულგრილობით გაიცინა შჩეგლოვმა.

„ჰო, ცოტა არ იყოს დავიღალე, — გაიფიქრა ვასილიევმა. — მაგრამ რ
მგვრის ეს კაცი მოუსვენრობის გრძნობას, თითქოს რაღაც ეგზუდურება მ
დარიყოს? თვალაუხელელი ლეკვებივით ჭეშმარიტების გარშემო დავფ
ხავთო. ნეტავ თუ ახსოვს ორმოცდაერთი წლის ოქტომბერი ან თავისი
მაშა, მე და ილია იმ დღეებში? ჩვენ მაშინ ლამაზი [illegible] ლ
ლი ლეკვები ვიყავით, თვითონაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო...“

თავი მეშვიდე

ჰო, ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოქტომბერი იყო.

იმ დროს, როცა გერმანელთა ტანკები მოსკოვის გარეუბნებისკენ მო
დნენ, დილის სუსხით გაქვავებულ სოფლის ტალახს ფშვნიდნენ, აბრტყელ
დნენ და გზისპირას მდგარ არყის ხეებს რკინის მუხლუხების ღჭრიალითა
მოტორების ღმუილით აყრევინებდნენ უკანასკნელ ფოთლებს, ალაგ-ალაგ
გადარჩენოდათ ზამთრის პირზე ჩრდილოეთიდან დაქროლილ სუსხიან ქარ
რომლებიც ულმობლად დათარეშობდნენ შემოდგომის ტყეებში, საიდ
ჯერ კიდევ გამორბოდნენ ალყიდან თავდაღწეული თავდაცვის წინა ხაზის
გრონთა ნაშთები, იმ დროს, როცა ვარშავისა და მოჟაისკის გზატკეცილ
გადაკვეთაზე გერმანელთა სატვირთო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები
ფურგონები ირეოდნენ ,ბოლო სოფლები ქვეით ჯარსა და ფრონტისკენ მ
რილ იმ სხვადასხვაგვარ ზურგითა სამსახურებს ეკავათ, წინასწარ რომ იცო
ნენ რაიონები, ქუჩები და სახლები, სადაც უნდა განლაგებულიყვნენ
სეთის დედაქალაქში, ღამღამობით ცეცხლის ალში რომ იყო ხოლმე გახვეუ
მის თავზე კი ცისქვეშა სართულებს დასტრიალებდნენ „იუნკერსები“,
დროს, როცა კალუგა აღებული იყო, სერპუხოვთან და მოჟაისკთან ბრძოლ
არ ცხრებოდა და გერმანელები, სმოლენსკის მძიმე ბრძოლების შემდეგ ბრ
სკის ფრონტის სამი არმია ალყაში რომ მოიქცევს და ახლა ტულის ხელში
დებისა და მოსკოვის დაცემის დღეს აზუსტებდნენ, — სწორედ იმ დროს ვ
დიმირი და ილია, ათასობით სხვა მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთ
მოჟაისკის მიმართულებით ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს თხრიდნენ, ხო
შემოჭრილმა გერმანელთა ტანკებმა გზა რომ მოუჭრეს, ბოლოს ჯარისკაც
ჯგუფს შეუერთდნენ ,მშვიდობიანად გამოაღწიეს ტყეებით მოსკოვისაკენ
მშივრებმა, ტალახში ამოთხვრილებმა და აღგზნებულებმა, მთელი ქალაქი
მოიარეს და განთიადისას შემოდგეს ფეხი ზამოსკვორეჩიეს მშობლიურ ტ
ტუარებზე. გორკის ქუჩაზე ორჯერ გააჩერეს პატრულებმა ,მესამედაც, კინ
თეატრ „უდარნიკის“ ახლოს, ისევ გაუსინჯეს საბუთები (კომკავშირული ბ
ლეთების გარდა სხვა მოწმობები არ ჰქონდათ), ლეიტენანტმა, ფერად დ
კერებზე ახალი ლალისფერი კუბიკები რომ ეკეთა, ჯიბის ფარნით თავით ფ
ხამდე გაანათა, ეჭვით შეათვალიერა მათი კომკავშირული ბილეთები და მ
რი ბანით ჰკითხა, საიდან მოდიხართ, საით და რა მიზნითო. აქ ილია გაფიცხ
და კბილებში გამოცრა, ამ იდიოტური შეკითხვების მოცემას ის გირჩევნ
გერმანელი დივერსანტები დაიჭიროთო, და მაშინ უფროსმა პატრულმა, მ
შემოტევით გაოცებულმა, დოკუმენტები დაუბრუნა და უბრძანა: „გაიარეთ

ქალაქში არსად არ ენთო სინათლე. სილიანი ტომრები ბარიკადებად ე
ყო პირველი სართულების ფანჯრებქვეშ. ძლივსსაცნაური. ცივ სიბნელეში ჩ

ბრული, ოქტომბრის ქარით ვამსჭვალული ქუჩები თრთვილისა და მახლობელი თოვლის სუნს გამოსცემდნენ. ყველგან, თავს ზემოთ, ზუზუნებდნენ ანტენები სახურავებზე, რომელთა მიღმაც შავ ცაზე ვარსკვლავებს ფარავდნენ და ყინულოვან სიმაღლეებში ჩრდილებივით დაცურავდნენ საჰაერო დაბრკოლების აეროსტატთა თევზისებური სხეულები.

მავთულების ამ ზუზუნსა და ქარიანი ღამის სტვენაში გამოირჩეოდა ქვაფენილზე რაღაც სწრაფი მოძრაობის ხმები, რომლებიც ჰგავდა და არც ჰგავდა ჯარების ჩვეულებრივ გადაადგილებას. წამდაუწუმ გვერდით ჩაუვლიდნენ ხოლმე ყუთებითა და ტომრებით დატვირთული უჯარისკაცო სატვირთო მანქანები, მსუბუქი ავტომობილები, სამეურნეო ოთხთვალები და ჩაშავებულ მასად გროვდებოდნენ მოედნებზე. საიდანაც ოდნავ ყრუდ ისმოდა მარეგულირებელთა ბრძანებები, ცხენების ფრუტუნი, შოფრებისა და მეოთხთვალეთა ლანძღვა-გინება. კოლონის თანდათანობით შემჭიდროებული მასა თხელდებოდა, უხვევდა, სადოვაიაზე იწელებოდა, და კვლავ მოჰქროდნენ შეშფოთებული სიგნალებით უფროსების „ემკები“, რომელთა ქვედა ფარებიდან შენიღბვის ლურჯი შუქი გამოკრთოდა, და გვერდს უვლიდნენ ცხენებსა და ოთხთვალებს, რომლებიც ფორნებივით მორაბრახებდნენ ასფალტზე, ტრამვაის რელსებზე.

აქ კი, სადაც ქუჩები ერთდებოდა, მოედნების წინ, მხოლოდ ვიწრო გასასვლელი დაეტოვებინათ და ისე იდგნენ „ზღარბულები“, დახრილად ეკიდა მიწაში ჩარჭოლი მსხვილი რელსები, ეს ტანკსაწინააღმდეგო ნაგებობანი, რომლებსაც მამაცურად და მახინჯად შეეცვალა ქალაქი, და ამ ცვლილებაში იყო რაღაც ახალი, საზარელი, ისევე როგორც დამწვრის სუნში. პირველად რომ იგრძნეს აქ, მოჟაისკთან, როცა ქარს ცეცხლმოდებული სოფლებიდან მოჰქონდა ფერფლი. აქ, მოსკოვში ნახანძრალები არ ჩანდა, ფერფლის სუნი კი სუფთა ჰაერთან ერთად ტალღებივით მოგორავდა და ზოგჯერ გეჩვენებოდა, რომ სადღაც ეზოებში ქაღალდს წვავდნენ.

მას შემდეგ, რაც პატრულებმა რამდენჯერმე გააჩერეს, ვლადიმირმა შესთავაზა ზაცეპისაკენ მიმავალ გზაზე არსად გაჩერებულიყვნენ, წამით შეერბინათ ჭიშკრების თაღებქვეშ, შესულიყვნენ სადარბაზოებში, გამოჩნდებოდნენ თუ არა მათკენ მომავალი ადამიანები, რადგან შორიდან არ შეეძლოთ გაერჩიათ, პატრული იყო თუ არა. მაგრამ ზაცეპის ირგვლივ მდებარე შესახვევებში არავინ შეხვედრიათ, არც სინათლე გამომკრთალა ფანჯრებიდან, არც მანქანას გადასვლია ქვაფენილზე. ყველა სადარბაზო დაეკეტათ, ყველა ჭიშკარი ჩაერაზათ; ქარი დაქროდა ეზოებში აღმართულ ცაცხვებში, ქუფრი ჩრდილები ქანაობდნენ, ღობეებს ეხახუნებოდნენ, ფოთოლთა გროვები თუნუქისებური ელვარებით მოჰქროდნენ ასფალტზე. შარიშურით ხვდებოდნენ ფეხებში და მოძრავ გროვებად ჭუჭდებოდნენ ჭიშკრებქვეშ. აქ, შესახვევებში იგრძნობოდა ოქტომბრის პირველი სუსხი, ღვინის სარდაფის სუნი, ხოლო მოქანავე ხეებს შორის ცის თვალუწვდენელ სივრცეში თეთრად და წითლად კიაფობდა ორი დიდი ვარსკვლავი.

— მარსი და იუპიტერი. — თქვა უცებ ილიამ. — ხედავ, როგორ ანათებენ?

— მარსი, მგონი, ომის ღმერთია, — მიუგო ვლადიმირმა. — გახსოვს?

— რა ეშმაკად მინდა ძველი რომის ისტორიიდან ათასგვარი ჩმახის დამახსოვრება! ვის სჭირდება? თან ეგებ არც მარსია და არც იუპიტერი.

მაგრამ მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ამასწინანდელი ლუჟნიკოვსკაია,

მხიარული, მზიანი, მწვანე; ქუჩის კუთხეში ვერც ერთმა ვერ მოითმინა და ... ვიანთი ეზოს ჭიშკრისკენ გაეჭანენ, ხოლო როცა აქოშინებულები მიადგნ... ჭიშკარს, საიდანაც ცაცხვებით გარშემორტყმული მათი ... ლი მოჩანდა, სწორედ იმ წუთს სახანძრო გარაჟთან ქუჩის მეორე მხარეს, ... დაც ჩვეულებრივ მორიგის ჯიხური იდგა, ვილაცამ მკვეთრად, ... ხმით ხრინწიანად გამოსძახა: „ვინა ხარ მანდ? სდგ... !" — ... მტრულად გაიჩხაკუნა შაშხანის საკეტმა.

— თქვენიანები ვართ, თუ არ ხუმრობ! — სანგრებში გაგონილი ჯარისკაცული ფრაზით შეეხმიანა ვლადიმირი, რომელიც აღტაცებული იყო, ბოლო... და ბოლოს სახლამდე რომ მოაღწიეს.

— ვერ მოგართვეს! — გადაიხარხარა ილიამ. — სროლა მაინც თუ იცი? რ... გაღრიალებს?

და ჭიშკარში შეცვივდნენ, ხარხარებდნენ, ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, მაგრამ როგორც კი ცაცხვების შემოდგომისეული ხმაურით ავსებულ ეზოში აღმოჩნდნენ, მაშინვე შემოეფეთათ ფანჯრების ქალალდის ჯვრებით დახაზული წყვდიადი, და ისინი დადუმდნენ; თან აქეთ-იქით იხედებოდნენ, თან ნელ-ნელ... მიიწევდნენ პარმაღისაკენ, რომლის ჩაშავებული სახურავი ეზოს თავზე დაკიდებული ორი ვარსკვლავის შუქს ფარავდა.

ტამბური დაკეტილი იყო. ორ-ორჯერ, სამ-სამჯერ დარეკეს, მაგრამ კარი არავინ გაუღო; ბარე ათ წუთს ჯიუტად უბრახუნებდნენ მუშტებს და ეჯაჯგურებოდნენ, მაგრამ არც მაშინ გაუღიათ. ალბათ მთელ სახლში არავინ იყო. მაშინ ილიამ შეიგინა, პარმაღიდან გადმოხტა, ხელის ფათურით მოძებნა სახლის კედელთან ახლოს მდგარი ცაცხვი, მის გაშიშვლებულ ტოტზე, როგორც ღერძზე, ისე აიწია და მაღლა, თავისი ოთახის ფანჯრებისკენ იწყო ავრომა, რაც ბავშვობაში არაერთხელ გაუკეთებია. ვლადიმირი დაბლა იდგა და ხედავდა, როგორ აძვრა მეორე სართულამდე, იქ ტოტებზე დაეკიდა და ისე გაბედულად და ხმამაღლა დააკაკუნა ფანჯარაზე, რომ ეჭო რამდენიმე გასროლასავით მოედო ეზოს. მერე მაღლიდან მოისმა მისი ხმა: „დე-ედა, სადა ხარ? ყველანი დაყრუვდით?" — ხეს ჩამოჰყვა და ძირს დაეშვა, თან გულდაწყვეტილი ამბობდა:

— ახლა დედა გააღებს. ვერ გამიგია: რამ შეაძვრინათ თაგვებივით სოროებში?

კარი გააღო რაისა მიხაილოვნამ, რომელსაც საჩქაროდ ჩაეცვა ხალათი, და სუსტი ხმით წამოიყვირა: „ილუშა, ილუშა!.." — და უკან დაიხია, თან ნავთის ლამპა ეკავა ხელში, და მის ჯერ კიდევ ლამაზ, შავწარბა სახეზე შიშის გამომეტყველება შეცვალა ტანჯული სიხარულის გამომეტყველებამ: „რა კარგია, რომ ეს თქვენა ხართ, ბიჭებო, რა კარგია!.." ხოლო ილიამ ლმობიერად აკოცა ლოყაზე დედას, ლამპა გამოართვა და სწრაფად შეჰყვა კიბეს, თან გადმოსძახა:

— ნახვამდის, ვალოდკა! ხვალ დილით შემოიარე!

— ვალოდია, ერთ წუთს მოიცადე, — აჩქარებული ხმით შეაჩერა რაისა მიხაილოვნამ. — მოიცადე, გეთაყვა .მოიცადე. უნდა გითხრა... თქვენები სვერდლოვსკს გაემგზავრნენ. აქ ევაკუაცია იყო. ყველანი გახიზნეს ბავშვებითურთ. ზოგი ურალში, ზოგი შუა აზიაში. ერთი თვის წინ გაემგზავრნენ. ჭარხანასთან ერთად. წერილები დამიტოვეს შენთვის გადმოსაცემად.. გასაღებიც... მაგრამ შენ ჯერ ჩვენთან... ჩვენთან იყავი...

— მით უკეთესი! — შესძახა გახარებულმა ილიამ. — ჩვენთან წავიდეთ, ეგერ მხიარულად ვიქნებით! საჭმელს კი რამეს ვიშოვით. ხომ მართალია, ედა?

— მომეცით გასაღები, — სთხოვა ვლადიმირმა. — ჯერ ჩემთან წავალ.

ის, რომ დედ-მამა და ოთხი წლის ძმა ერთი თვის წინ ქარხანასთან ერთად (სადაც მამა მუშაობდა) სვერდლოვსკში გაემგზავრნენ, ისე რომ არც კი დალოდებიან, ისიც, რომ დატოვებული გასაღები მათ გულგრილ სიმშვიდეს ადასტურებდა, იმ წუთს ძალზე ეწყინა ვალოდიას.

დატოვებული გასაღებით კარი გააღო. პირველ ოთახში ხელის შეხებით ამომრთველი იპოვა, და უძლურმა შუქმა ძლივს გაანათა იქაურობა.

მეზობელ ოთახშიც ასევე სუსტი აბაჟურის შუქი დაეკიდა ბინდბუნდში და ოდნავ გამოაჩინა ნაცნობი ავეჯი, შესანიღბი ქაღალდით დაფარული ფანჯრები! საწერი მაგიდის გვერდით მდგარი წიგნების კარადის შუშები ისისფრად ბზინავდა; ჭრაჭუნობდა იატაკის ფიცრები. დედის პუდრის სურნელი იდგა ირგელივ; ამ ნაცნობ სურნელს ერეოდა ცივი მტვრის სუსტი სუნი, თაგვის ფაჩუნი დაცარიელებულ სახლში — და ვლადიმირს გული ჩასწყდა.

იქ, მოჟაისკთან, როცა წითელარმიელთა ჯგუფს შეუერთდნენ, ტყეებში დაეხეტებოდნენ და მოსკოვისაკენ გზა მოჭრილი ჰქონდათ, ასე როდი ესახებოდა შინ დაბრუნება. მას თვალწინ ედგა საღამო და ვახშმობის მყუდრო ჟამი, ელექტრონის თბილი შუქით განათებული ეს ოთახები, სუფრასთან მსხდომი მშობლები, მისი მოყვარული ადამიანები და თავისი თავი, თუ როგორ ჰყვებოდა პირველი დაბომბვის, გერმანელთა მიერ ღამით მოფანტული ფურცლების თუ ალყის ამბავს.. .მაგრამ შინ არავინ დალოდებია — და კარადაში დარჩენილი დედის ტანსაცმლის სუნმა, მიტოვების უსიცოცხლო ნიავით გაყინულმა, გული გაუმსჭვალა. ეგებ ყოველივე ეს დასაწყისი იყო ახალი ცხოვრებისა, რომელსაც დიდი ხანია ელოდა და რომელიც ხიფათით აღსავსე უცნობი მხარისაკენ იზიდავდა.

სცადა წერილები წაეკითხა, მაგრამ ვერც ერთი პწკარი ვერ გაარჩია და, სასოწარკვეთილმა, დილისთვის შეინახა. კონვერტები ჯიბეში ჩაიდო, მერე პირი ონკანის ყინულივით ცივი წყლით დაიბანა და, კარი არ გამოუკეტავს, ისე გაჰყვა რამზინებისაკენ მიმავალ დერეფანს.

რამზინების დიდი ოთახი შუშაგაკრიალებული ნავთის ლამპით იყო გაჩახჩახებული. ილია კამოდის წინ იდგა და ნელა, სიამოვნებით ივარცხნიდა სარკეში სველ თმას. თეთრი სპორტული სვიტრი, რომელსაც სკოლის საღამოებზე იცვამდა ხოლმე, მხრებზე შემოტმასნოდა და ეს სვიტრი, საზეიმოდ მბზინავი სველი თმა, ვლადიმირისკენ მოპყრობილი მგზნებარე თვალები აშუქებდნენ მხიარულ თავდაჯერებას თავისი თავითა და თავისი ბედით კმაყოფილი ადამიანისა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ელირსა, შორეულ ქვეყნებში დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ოჯახური სიკეთით დამტკბარიყო.

— ისე, დედაჩემო, მე და ვალოდიას არ გვაწყენს, თუ ცოტას გადავკრავთ! ოდესღაც პორტვეინი გქონდა ბუფეტში ყოველი შემთხვევისათვის! — თქვა მან ისე, რომ არც კი მიბრუნებულა რაისა მიხაილოვნასაკენ, რომელიც სუფრას შლიდა, და ვლადიმირს სარკეში თვალი ჩაუკრა. — ჩვენ, დედაჩემო, მშვიდობით გამოვაღწიეთ ალყიდან, მდინარის გადმოლახვისას ორ დაბომბვას გადავურჩით, ერთხელ ნალმსატყორცნის ცეცხლში მოვყევით, მაგრამ არაფერიც არ მოგვსვლია! მოვედით სახლში. ყველაფერი რიგზეა. დაჯექი, ვალოდკა, ახლა

კარტოფილს შევსანსლავთ და პორტვეინსაც გადავხუხავთ გერმანელი არამზადების გულის გასახეთქად!

— რა უხეშად ლაპარაკობ, ილუშა, თითქოს სხვის სიტყვებს იმეორებდე, — უთხრა რაისა მიხაილოვნამ და ვლადიმირი სუფრასთან მოვიხმიეა. — ნუთუ თავდაცვით სამუშაოებზე სმას მიეჩვიეთ? ეგ როგორ შეიძლება?

— კარგი, დედაჩემო, რძისა და წყლის გარდა, სხვა რამის სმაც გვიხდებოდა, — მიუგო ილიამ და მარჯვედ დაავლო ხელი რაისა მიხაილოვნას მიერ სუფრაზე დადგმულ პორტვეინს, საცობს ლუქი შემოაცალა, საცობიც ამოსაღებ ჩახრახნა და ბათქუნით ამოაძრო კორპი. — ახლა კი „ჰენდე ჰოჰ“. ახლა საზეიმოდ აღვნიშნავთ, როგორც წესი და რიგია. შენც ჩვენთან ერთად დალევ, დედაჩემო?

— ნუ პამპულაობ მაგ შენი პორტვეინით! — შეაჩერა ვლადიმირმა, რომელიც შეაცბუნა ილიას ზედმეტმა გაბედულებამ და იმან, რომ იგი მეტისმეტად ახლებურად ეძახდა, დედაჩემოო, ეს კი უჩვეულოდ ეღერდა.

რაისა მიხაილოვნამ თეფშებზე დააწყო კარტოფილი, რომელსაც მადისაღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა, მოხარშული თევზის წვრილ-წვრილი ნაჭრები, ცოტ-ცოტა კარაქი, და შინაური საჭმლის, ახალდაყენებული ცხელი ჩაის სურნელებამ, გაქათქათებულმა სუფრამ — მშობლიური მოსკოვური სახლის კეთილმა სულმა ოთხი თვის წინანდელ, ჯერ კიდევ ომამდელ სკოლის დროს, ზაფხულის მხიარულ, უზრუნველ დროს დაუბრუნა ისინი. ახლა უკვე ყველაფერი სხვა იყო, ომს ყველაფრისთვის შეეხო თავისი მხუთავი ხელი, მაგრამ მოსკოვში დაბრუნებითა და სარჩა ტკბილი პორტვეინით აღგზნებულთ ამასწინანდელი მშიერ-მწყურვალი ხეტიალი მოჟაისკის ქარიან ტყეებში, სადაც გზატკეცილზე მოტორები გუგუნებდნენ და გერმანული ლაპარაკი ისმოდა, ახლა ნაკლებ საშიშ, ნერვების საამოდ გამღიზიანებელ ომის თავგადასავლად ეჩვენებოდათ. ამ წუთებში ერთადერთი რამ აწუხებდა ვლადიმირს — ოჯახის ევაკუაცია სვერდლოვსკში, — და მას მოუნდა დაუყოვნებლივ წაეკითხა დედის წერილები ,მის ჯიბეში რომ შარიშურობდნენ. ის ალარ უსმენდა ილიას თხრობას სასანგრო სამუშაოებზე გატარებული აგვისტოს ხალისიანი და შთოფიანი ღამის შესახებ, როცა, ნიჩბებით შეიარაღებულები, ჭვავის ყანაში გათენებამდე ეძებდნენ (მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მიაგნეს) გერმანელ პარაშუტისტებს, ფრთხილად ამოიღო ჯიბიდან კონვერტები და ჯერ ერთი მათგანი, რვეულის ფურცელზე დედის ნაწერი წერილი წაიკითხა:

„ძვირფასო შვილო ვალოდია! გვაპატიე, რომ ველარ მოგიცადეთ და მივემგზავრებით სვერდლოვსკს, სადაც მამას ქარხანაა ევაკუირებული. მივდივართ უკანასკნელი მატარებლით, ყოველდღე გელოდით, რადგან კომკავშირის რაიკომში გვითხრეს მე და მამაშენს, რომ თქვენი სკოლის ბავშვები აგერ-აგერ უნდა დაბრუნებულიყვნენ თავდაცვითი სამუშაოებიდან. ყველანი ვაჯანჯლებდით გამგზავრებას, მერე კი მამას უბრძანეს. გთხოვ გაგვიგო. ხვალ ვაპირებთ გამგზავრებას. ვიმედოვნებ, მჯერა, შვილო, რომ კარგად ხარ. ახალ მისამართს, ჩავალთ თუ არა, მაშინვე გაცნობებთ. გკოცნი, ძვირფასო ვალოდია. შენი დედა. 19 სექტემბერი 1941 წ.“.

წერილი შეინახა და ახლა მეორე წაიკითხა, გზიდან რომ იყო გამოგზავნილი, ყაზანში ჩაეგდოთ. დედა სწერდა, შენი დარდი მაწუხებს, ვალოდია, რო-

ორც კი „სანგრებიდან“ შინ დაბრუნდები, მაშინვე აიღე რკინიგზის ბილეთი და სვერდლოვსკში წამოდი, სადაც ჩვენს ქარხანას მოაგნებო, ბილეთისა და ფულის ფული შიფონერში, შენი თეთრეულის ქვეშ არისო.

— ...აქამდე ვერ მომინელებია, დედაჩემო, რომ ვერც ერთი დივერსანტი ვერ დავიჭირეთ, — ენერგიულად განაგრძობდა თხრობას ილია და ... ბოლოილებს კარაქს უსვამდა. — თურმე ღამით გადმოესხათ „იუნკერსებს“ ... ბუტებით ,ისინი კი ჭვავის ყანაში დამალულიყვნენ. გესმის, დედაჩემო? შორიახლო ჩასაფრებულიყვნენ, სოფლის განაპირას, სადაც ფარდულებში გვეძინა. ჩვენ კი არც შაშხანა გვქონდა, არც რაიმე იარაღი, სათხრელი ინსტრუმენტის გარდა. რალას ვიზამდით, წამოგვყარეს განგაშზე, გვიბრძანეს — ნიჩბებით შევიარაღებულიყავით, ყანისთვის ალყა შემოგვერტყა და დივერსანტები დაგვეჭირა. წარმოგიდგენია, დედაჩემო, დილამდე დავფორხავდით ამ ჭვავის ყანაში, მაგრამ ამაოდ. ეტყობა, იმ არამზადებმა ტყეში შეგვასწრეს, პარაშუტები კი სადმე მიწაში ჩაფლეს. აფსუს, ვერც ერთს ვერ მივაგენით!.. ხომ ხედავ, ვალოდია? როგორ ვოცნებობდი, ერთი მაინც...

— მეც, — თქვა ვლადიმირმა და გაიხსენა აგვისტოს ვარსკვლავიანი ღამე. ლონზე იასამნისფრად განათებული, ირგვლივ ჭარბი ცვარნამით დასველებული ჭვავი, გალუმპული ტანისამოსი, ლიპი ლეროების შარიშური, დროდადრო დაძაბული გადაძახილ-გადმოძახილი, დასავლეთით მოციაგე ზეცა და ვერდით მომავალი საბრძოლო ნიჩაბმომარჯვებული ილიას აზარტულად გაფაციცებული სახე.

— როგორ უნდა დაგეჭირათ? იმათ იარაღი ჰქონდათ, თქვენ კი... ეს შეუძლებელია! — ძლივს ამოთქვა რაისა მიხაილოვნამ. — განა გაწვრთნილი დივერსანტი დაგელოდებოდათ, როდის ჩაარტყამდით ნიჩაბს? რა მიამიტი, რა ბამბდობი ბიჭები ხართ ჯერ კიდევ! ვინ იცის, რა მოგელით!..

— აბსოლუტურად არაფერი! — და ილიამ ისევ ანიშნა ვლადიმირს, შეხე, ... უწყინარი და გამოუცდელი დედა მყავსო, სირჩები პორტვეინით შეავსო და ალერსიანი დაცინვით თქვა: — შენ, დედაჩემო, ძუძუს ბავშვები ნუ გგონიავართ, თორემ, იცი, სასაცილო რამ გამოდის.. .არ ვარგა აგრე... გაგიმარჯოს, დედაჩემო! — გადაჭრა, გაიცინა, ჩანგლით კი არა, თითებით ჩაიდო პირში ... ელი კარტოფილი და მადიანად შეექცა. — ჰა, როგორ არის აქ მოსკოვში საქმე? გბომბავენ? მოეაისკთან ღამღამობით გვესმოდა, როგორ მოძვრებოდნენ ... ქეთ. მერე, რას შვრებით? განგაშს აცხადებენ და თქვენც თავშესაფარში გარბიხართ? საშიშია, დედაჩემო, არა?

— სარდაფში არ ჩავდივარ, ილუშა, უაზრობაა, მეტროს სადგური კი შორსაა, — მიუგო რაისა მიხაილოვნამ. — როცა საზენიტო ქვემეხები ისვრიან, მაშინ საშიშია. მაგრამ ყურებს ბამბით ვიცობ და თავის დასამშვიდებლად „ნივას“ დამატებას ვკითხულობ. ასე უფრო ჩქარა გადის დრო, ილუშა. და თითქმის ... ერც ამჩნევ, როგორ დასტრიალებენ თავს ჩვენს რაიონს. ალბათ მოსკოვის ... ბჭეს და კრასნოხოლმის კომბინატს უმიზნებენ. ზაფხულში დაბომბვის შედეგად ზაცეპის ბაზარი დაიწვა და თითქმის მთელი კვარტალი ნანგრევებად იქცა ოვჩინიკოვების აბანოების მახლობლად...

— შენ მუდამ ყოჩაღი იყავი, დედაჩემო. იმიტომაც მიყვარხარ! — საკმაოდ ... ხეშად მიეალერსა ილია. — მშიშარა არასოდეს ყოფილხარ. ბედს კი მაინც ... ერსად გაექცევი, ესეც ცხადია. გახსოვს ლერმონტოვის „ფატალისტი“? ზოგ

ჯერ მაგონდებოდა ხოლმე იქ, სანგრებში, და ალყაში რომ მოვყევით, მაშინ მოკლედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. როგორც გიწერია.

ილიამ მხიარული ქედმაღლობით გადახედა დედას, ამ უკანასკნელს ეს მხიარულება არ შეუმჩნევია, ჩაიდანს ჩვრის სათბურა მოხსნა, ჭიქები ... ლოს მიიწია და ჩიას დასხმას შეუდგა, მერე, ფიქრში წასულმა, ვლადიმირს ... აპყრო ოდესღაც ლამაზი, მაგრამ ჭკნობაში შესულ[illegible] ახის გამ[illegible] მობიერებელი თვალები.

ბიბლიოთეკა

— რას გაჩუმებულხარ, ვალოდია? რას იწერება დედაშენი?

— სვერდლოვსკში მელოდებიან, რაისა მიხაილოვნა. მაგრამ მე არსად[illegible] არ წავალ. სისულელეა, ზუგრში რა მინდა, რა გავაკეთო იქ?

— სისულელეა?

— ხვალ უნდა მივიდე სამხედრო კომისარიატში, რომ ფრონტზე გამგზავ[illegible]ნონ. აბა სადღაც ურალში რად უნდა გადავიხვეწო. ასე გადავწყვიტე...

ვალოდიას ენა დაება. რაისა მიხაილოვნამ შეიცხადა:

— გადაწყვიტე? ასე გადაწყვიტე? შენც ასე გადაწყვიტე, ილია? ხვალ?..

რაისა მიხაილოვნას ხელები ჩამოუვარდა, მერე პატარა, ახალგაზრდულად დავარცხნილი, კეფაზე მსხვილად თმაგამონასკვული თავი დაბნეულად მიაბრუ[illegible]ნა ილიასაკენ, რომელიც აქამდე მოჩვენებითი კმაყოფილებით ხვრეპდა ჩაის, ახლა კი სუფრის ქვეშ ისე მაგრად დააბიჯა ფეხი ვლადიმირს, რომ იგი წამსვ[illegible] მიხვდა საჩოთირო შეცდომას და, შემცბარმა, დაამთავრა:

— ეს მე გადავწყვიტე, რაისა მიხაილოვნა, ილუშამ კი არა. დაე მან თვ[illegible]თონ...

— შენ რაღა გადაწყვიტე? — წყნარად ჰკითხა რაისა მიხაილოვნამ.

ილიამ ჩაი დალია, სული მოითქვა. ლამბაქზე კოვზი გააწკარუნა და დაბეჯითებით უპასუხა:

— მე ჯერ არაფერი მომიფიქრებია, დედაჩემო. ვნახოთ, აღდგომა და ხელეო, თქვა ღამის დარაჯმა და დღისით გაელვიძა.

ხელები თავზე შემოიდო, ნეტარებით გაიზმორა და ამით გაზვიადებულად გამოხატა საამო სიმაძღრე, კმაყოფილება, უზრუნველი ტკბობა ოჯახური მდგომარეობით; აშკარად არ უნდოდა, რომ დედამისს ყველაფერი სცოდნოდა, ამიტომ თავი არ გაუცია და ვიწრო შავ თვალებში ღიმი ჩაუდგა.

ილია ცხოვრობდა დედასთან ერთად, უმამოდ, რომლის ფოტოსურათიც ერთხელ უჩვენა ვლადიმირს. ალბომში ჩაკრული ფოტოსურათი ძველი იყო, კუთხეებგაყვითლებული, სადაც წითელი არმიის ღიაფერისთვალება მეთაური, ჭაბუკური სიმამაცით აღსავსე, ბანტით გაწყობილი ფრენჩით და გვერდზე დაკიდებული ხმლით თუჯის მესერთან იდგა. ილიამ აუხსნა, რომ მამამისი სამოქალაქო ომის შემდეგ მუშაობდა გენერალურ შტაბში, შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში და გარდაიცვალა ოცდათვრამეტ წელს სადღაც ჩრდილოეთის სამხედრო მშენებლობაზე. და, მოკვდაო, რომ თქვა, ბოროტად შეატოკა ბაგე. ასე იყო თუ ისე, ეტყობა, ოჯახს რაღაც საიდუმლო ჰქონდა, რადგან ვლადიმირი ზოგჯერ ხედავდა, თუ რა უხეშად ეპყრობოდა ილია დედამისს ხალხში, თუმცა ხშირად ისიც უნახავს, თუ საღამოს როგორ იჯდა ილია პრიმუსის წინ და როგორ ფცქვნიდა კარტოფილს, სანამ დედამისი მოვიდოდა ბიბლიოთეკიდან. შავგვრემან სახეზე ხან სიფითრე გადაჰკრავდა და ხან სიწითლე გადაუვლიდა, როცა მათ ბინაში გამოჩნდებოდა ხოლმე აბეზარი სახლმმართველი კოზინი, რათა რაისა მიხაილოვნასათვის შეეხსენებინა, დროულად გადაეხადა ყირა-

ბრძანებით დაწესებული გადასახადი, სახლმმართველი გაურკვეველი მიზეზით პირადად ამოდიოდა მეორე სართულზე რამზინებთან და ნიადაგ გაბერილი პორტფელით ამოჰქონდა მრისხანე წერილობითი უწყება ბინის ქირის გადასახადის შესახებ, რომელსაც თვითონ აწერდა ხელს. მაგრამ ერთხელ (უკვე მეცხრე კლასში სწავლობდნენ) ილია კიბეზე შეხვდა სიფხიზლისაკენ მომწოდებელ კოზინს, გზა გადაუღობა, თვალმოჭუტულმა, ბუკუნა ცხვირთან მიუტანა კრივში ნავარჯიშევი მუშტი და დამაჯერებელი მუქარით უთხრა: „თუ კიდევ დავინახე, რომ დედაჩემს მოსვენებას არ აძლევთ ,მოწმეების გარეშე მაგ თვალებს ისე დაგილურჯებთ, რომ სარკეში თავი ვერ იცნოთ!“ კოზინს ჭირის ოფლმა დაასხა და, დამუნჯებული, იმწამსვე ლოტოს კოჭივით დაგორდა კიბეზე, მერე კი ავი თვალით ამოხედა ქვემოდან. ის იყო და ის, რამზინებთან აღარ ასულა.

— აღდგომა და ხვალეო, — გაიმეორა ილიამ, სუფრის ქვეშ ვლადიმირს ფეხი გაჰკრა, და რაისა მიხაილოვნას ჰკითხა: — ეზოში დარჩა ვინმე? თუ ყველანი გაიხიზნენ? ბორკა ოკუნევი აქ არის? იცი, დედაჩემო, სანგრებში ავად გახდა, ფალარათი ჰქონდა თუ ყაზბობა — არ ვიცი, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გააგზავნეს მოსკოვში. წელი არ მოსდევს. ეგ ხომ სულ ეგეთი ჩია იყო!

— როგორ ლაპარაკობ, ილუშა! ბორია თავაზიანი, ზრდილობიანი ბიჭია. ოკუნევები ტაშკენტში გაიხიზნენ... ოქტომბრის დამდეგს გაემგზავრნენ, საჰაერო თავდასხმები რომ გახშირდა. ოქტომბრის დამდეგიდან ხომ თითქმის ყოველლამ ცხადდება განგაში. მხოლოდ დღეს არის, საბედნიეროდ, სიმშვიდე.

— ნუ გვაშინებ, დედაჩემო, მე და ვალოდკას ისედაც ჩვენი დაგვემართა, თუმცა დაბომბვაც გვინახავს და ვიცით, რა ბედენაცაა! — ილიამ გადაიხარხარა, სუფრიდან ბოთლი აიღო და ნავთის ლამპის შუქზე შეატრიალ-შემოატრიალა, თითქოს შუშის ფერით ტკბებაო. — მაშა სერგეევა სადღაა? ალბათ ისიც ტაშკენტშია, თუ სადმე ურალის მახლობლად ირუჯება მზისგულზე?

ეს დაუდევრად, სხვათა შორის ჰკითხა, ისე რომ ამ კითხვისათვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია, მაგრამ ვლადიმირმა იგრძნო, როგორ წამოენთო სახე, რადგან ყველაფერი, რაც სკოლაში მაშას და ყველას განმაცვიფრებელ მის ქცევებს უკავშირდებოდა, იმდენად გამოუცნობი, წარმტაცი და იდუმალი იყო, რომ მისი სახელის გაგონებაზე და მისი მოხდენილი ტანისა თუ მოკლედ შეკრეჭილი თმის დანახვაზეც კი რეტი ესხმოდა.

— არა, ის აქ არის, — მიუგო რაისა მიხაილოვნამ. — მაშა გუშინ ვნახე. დედამისი გახდა ავად და თეატრთან ერთად ველარ გაემგზავრნენ, მოსკოვში დარჩნენ.

როცა რაისა მიხაილოვნამ თქვა, არა, ის აქ არისო, ილიამ ზანტად დაამთქნარა, ხმაურით გასწია სკამი, წამოდგა, ჰოლანდიურ შორენკეცის ღუმელთან მიეიდა და ვითომდა ვაჟკაცური ამოხველებით მიადო ხელები მის კედელს.

— დედაჩემო, ჩვენი ღუმელი თითქმის გაციებულა. შეშა თუ არის ფარდულში? რით ათბობ?

— ნაყარნუყარი ქაღალდებით, ილუშა. — მიუგო რაისა მიხაილოვნამ. — იცი, რაღაც ფანტასტიკური რამ მოხდა. პირდაპირ გოგოლისებური ამბავია. ვიღაცამ მოგვპარა არყის ხის შეშა, უკანასკნელ ნაფოტამდე წაიღო. ერთი კვირის წინ საღამოს შევედი ფარდულში, რომ ღამისათვის ღუმელი გამეხურებინა, და... რას ვხედავ? წამოიდგინე ჩემი გაოცება და წყენა. ბოქლომი წესრიგშია, კარზე ჰკიდია, შეშა კი აღარ არის. სასაცილო და უცნაური, ვერ გამიგია!

— უტვინობა მომძლავრდა! — წაიბუზღუნა ილიამ და ღუმელის კართან ჩაცუცქდა. — ნეტა ვიცოდე, ვის მოეპრიანა იმ შეშის მოპარვა!

— თქვენც ამდგარიყავით და ჩვენი შეშა აგეღოთ, რაისა მიხაილოვნა, — უთხრა ვლადიმირმა. — მორჩა და გათავდა.

—ფარდული ცარიელია, ვალოდია, — მიუგო რაისა მიხაილოვნამ. — არც ჩვენი შეშაა და არც თქვენი. პირდაპირ კომედიაა: უცნაური ქურდები არიან — ცულის მეტი არაფერი დაუტოვებიათ. მოიცათ, ბავშვებო, ახლავე, დავანთებ ღუმელს. აუარებელი ძველი გაზეთები მაქვს, ძველი ჟურნალებიც.

ნახევარი ოთახი ეკავა წიგნების კარადებს, სადაც მოთავსებული იყო მსოფლიო ლიტერატურის მთელი ბიბლიოთეკა, რასაც მრავალი წლის განმავლობაში სიყვარულით აგროვებდა რაისა მიხაილოვნა, თავისი ხელფასის დიდ ნაწილს ბუკინისტურ მაღაზიებში რომ ტოვებდა. ამ კარადებიდან ილია გულუხვად აძლევდა წასაკითხად წიგნებს მთელ კლასს და მთელ ეზოს, და წაკითხული წინები, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, დაუყოვნებლივ უბრუნდებოდა, მაგრამ, ეტყობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ილიასთან ურთიერთობა საკმაოდ სახიფათო იყო. ვალოდიას უყვარდა რამზინების ეს ოთახი, გამომშრალი კარადების რაკუნი, რევოლუციამდელი ენციკლოპედიების ძველი მტვრის მომწკლარტო სუნი, რუს და დასავლეთ კლასიკოსთა წიგნების ყუებზე თელისებური ნატვიფრები და სამოქალაქო ომის შესახებ დაწერილი რომანების გვერდებგაცვეთილი ტომები, მიმზიდველი ყდები სათავგადასავლო ჟურნალებისა, რომლებიც მის თვალწინ შლიდნენ მსოფლიოს წარმტაც ცისფერ შორეთს, სამოთხისებური ქვეყნების ლაჟვარდოვან ნაპირებს, მარჯნის კუნძულების სურნელოვან ჰაერს, ველური ჯუნგლების ტროპიკულ მხუთრს, ვარდისფერი ზღვის დილით მოვარდნილი ტალღის გრილ თქაფუნს და გადაყანთრული იახტის ქიმქვეშ მზეზე ფარშავანგის ფრთებივით აფერადებულ ქაფქაფა ფურთუნებს... და ყოველივე ამაში იყო სიმამაცის, ცხოვრების სისავსის, ერთგული მეგობრობისა და სიყვარულის აღთქმა.

— ახლავე დავანთებ, ბიჭებო. ოთახი გათბება, — აფუსფუსდა რაისა მიხაილოვნა და კარადის ქვედა უჯრიდან ამოიღო კანაფით შეკრული გაზეთების გროვა და ჟურნალების სქელი დასტა, რომლებიც უცებ ხელიდან გაუსხლტა და იატაკზე მოიფანტა.

ვლადიმირი წამოხტა, რაისა მიხაილოვნას შეეშველა, ჟურნალი აიღო და თვალში მოხვდა ესოდენ ნაცნობი, ესოდენ განსაცვიფრებელი ყდა — „ვოკრუგ სვეტა“ — და ნაცნობი ილუსტრაცია: უზარმაზარ ასთაკვს ოკეანის მრავალფენიანი სიღრმიდან ბრტყელტუჩასმაგვარი გიგანტური მარწუხი ამოუყვია და კვნეტს რკინის გვარლს, რითაც ეშვება ბატისფერო, რომელიც უძლურია პროექტორის შუქით ჩააღწიოს წყლის სიღრმეში. ეს იყო კონან-დოილის რომანის „მარაკოტის უფსკრულის“ ილუსტრაცია, რომელიც გაგრძელებით იბეჭდებოდა ჟურნალში, სულ ახლახან გატაცებით რომ კითხულობდნენ.

— რაისა მიხაილოვნა, — ხვეწნით უთხრა ვლადიმირმა. — ნუ დაწვავთ....

ილიამ, რომელიც ღუმელის ღია კარში ტენიდა გაზეთების მოჭმუჭნილ გროვას, შეაწყვეტინა:

— რა ეშმაკად გინდა ახლა ეგენი? აქ მომეცი, დედაჩემო, ეგ საბავშვო ბაგისათვის საჭირო მხატვრული ლიტერატურა! — მან ხელიდან გამოართვა რაისა მიხაილოვნას ჟურნალების დაშლილი დასტა. ღუმელის ახლოს იატაკზე

დაყარა და მხიარული გაშმაგებით დასძინა: — თავს მოვიჭრი, ვალოდკა, თუ მე და შენ ეს ბავშვური გულუბრყვილო მონაჩმახები წავიკითხოთ ოდესმე!

— ილუშა, რატომ ლაპარაკობ აგრე დარწმუნებით?!

— მე მართალს ვამბობ, დედაჩემო. ასანთი მომეცი.

ცეცხლის ალი დაჭმუჭნილი გაზეთის კიდეს მისწვდა, მაღლა, ქაღალდის გრეხილაკენ ავარდა და უფრო გაღვივდა, უფრო აჩახჩახდა, სწრაფად მოედო ღუმელს და აგუგუნდა, და ილიამ იმწამსვე ულმობლად დაიწყო [illegible] გლეჯა, დაჭმუჭნილი ფურცლების ღუმელში შეჩურთვა, რითაც კიდევ უფრო აღვივებდა ცეცხლს, და იმის მიხედვით, თუ როგორ ხევდა სკოლაში საყვარელი ჟურნალების „ვსემირნი სლედოპიტისა“ და „ვოკრუგ სვეტას“ ყდებს, იმის მიხედვით, თუ რა თავხედურად ულიმოდა თვალები, რომლებიც ცეცხლის ალს ირეკლავდნენ ,მის მოქმედებაში იგრძნობოდა რაღაც შურისმაძიებლური კმაყოფილება, თითქოს იგი სასკოლო წარსულთან შემაერთებელ აწ უკვე უმაქნის ხიდებს წვავსო. ნუთუ მათგან დიდი ხნით ან იქნებ სამუდამოდაც მიდიოდნენ ადრიანი მზიანი დილა, მსუბუქ სიოზე მოქანავე, ქარვისფერი მზის სხივებით გამსჭვალული ფარდები, მაგიდის კიდეზე მდგარი მაღვიძარას წკრიალი, მაგიდისა, სადაც ღია ფანჯრიდან შემოსული ჰაერის თრთოლვაზე მთელ ღამეს ნაზად შრიალებდნენ ფურცლები?..

— რაისა მიხაილოვნა, — უთხრა ვლადიმირმა, — მომეცით ფარდულის გასაღები. მე ახლავე მოვალ.

— შენ საით? — მოჭუტული თვალები შეავლო ილიამ, რომელიც განზრახვას მიუხვდა, და ქაღალდებით აბრიალებული ღუმლის კარი მიხურა. — ჰო, გასაგებია. წავიდეთ.

ფარდულში მიწურ იატაკზე თეთრად მოჩანდა ტკეჩი, ასანთის ალმა გააანათა ფიცრის კედლები, კუთხეში მიგდებული ცული, ილიამ რომ კომბალივით შეატრიალ-შემოატრიალა და ზღურბლთან დააგდო.

— ერთი გამაგებინა, სახლმმართველი კოზინის მითითებით ხომ არ აგვწაპნეს შეშა? ა, ვალოდკა?

— კოზინი, რა თქმა უნდა, თალლითია, მაგრამ შეშა საჭიროა, — თქვა ვლადიმირმა, ცული აიღო და ფარდულიდან გამოვიდა. — რამე უნდა მოვიფიქროთ.

ოქტომბრის განთიადისწინა ხანი იდგა ეზოში, ცაცხვების შავი კენწეროები უძირო ცას მიბჯენოდნენ, ვარსკვლავებს შორის ქანაობდნენ, მოახლოებული თოვლის სუნი ტრიალებდა ირგვლივ (ასე იცოდა ხოლმე შემოდგომის ღამეს); მთელი ეზო, ხეების ყრუ ხმაურში ჩაძირული და სულთმლად დაცარიელებული, შეშფოთებით თრთოდა ქარის დაქროლვისას, შორიდან, ზაცეპის მხრიდან, ტალღებად რომ მოჰქონდა გუგუნი და ავტომობილების ნაწყვეტ-ნაწვეტი სიგნალები; ქუჩების სიბნელიდან კვამლი აღწევდა, ოღონდ იგი ღუმლისა არ იყო.

— მოსკოვში რაღაც ჭადრაკულად არის საქმე, ვალოდკა, — უთხრა ილიამ და ეზოზე დამხობილ ცას შეხედა. — გაუგებარია. ნუთუ უნდა გავიქცეთ? მაგრამ მოსკოვიდან გაქცევა შეუძლებელია. მოდი ხვალ მაშასთან შევიაროთ, ა? — უთხრა ილიამ და ჯიბეში ჩარჩენილი თამბაქოს მტვრიდან პაპიროსი გაახვია (მოჟაისკთან უკვე სერიოზულად დაიწყო წევა). ყინვიან ჰაერს წეკოს მომწარო მჟავე სუნი მოედო.

— ხვალ სამხედრო კომისარიატში... — ჩაილაპარაკა ვლადიმირმა, თითქოს

არც უსმენსო. ბალჩაში გაკრულ დახეთქილ ფიცარს ცული მოსდო და ლუსმნებიანად მოგლიჯა. — ხვალ სამხედრო კომისარიატში ყველაფერს გავიგებთ.

ფიცარი რომ მოაძრო, წელში გაიშალა და ქარის გუგუნში, ტოტების ჭრიალში მოესმა ღამეული ჭუჩებიდან მოდენილი მოძრაობის შორეული ხმები. მერე ეზოს ბუნდოვან სილრმეში შეიგრძნო მიწისა და ახფალტის ჭკვეთრი სინესტე, აშმორებული ნაყარი ფოთლების სუნი, და მოსკოვში ამჟამად ყოფნის მანძილზე პირველად შეეპარა დამთრგუნველი, შეძაფუხებული გრძნობა, რომელიც თანდათან იზრდებოდა. არა, მან არ იცოდა, რა მოელოდა ხვალ, არც ის იცოდა, რატომ უხსენა ილიამ მეორედ მაშა, თუმცა შარშან ჯერ კიდევ გაზაფხულზე ძლივს ამჩნევდა სკოლაში და ზიზღით ამბობდა, ამ ოთახის ვარდის, ამ გრძელფეხება და ცხვირაბზეკილი ფერიას ყურება მხოლოდ კვირადღეობით შემიძლიაო, ხოლო ამის პასუხად მაშა მოურიდებლად ეუბნებოდა, შენზე უარესი ცხოველი ზოოპარკშიც კი არ მინახავსო. არა, ეს სიძულვილი არ იყო...

— შენ გინდა მაშასთან შეიარო, ილია?

ვალოდიამ თავი ასწია და ილიას მხარს იქით, პარმაღის კუთხეში სახურავის თავზე დაინახა ორი დიდი ვარსკვლავი, ერთი ჩახჩახა წითელი, მეორე — კაშკაშა თეთრი, როგორც სამყაროს ზღვრამდე გავარვარებული ორი თვალი, რომლებიც წყვდიადის უსასრულო სივრცეებიდან უცქეროდნენ დედამიწას, და რომლებიც შემდგომ, მრავალი წლის შემდეგ, მოაგონდა მას როგორც ავისმომასწავებელი ნიშანი, მით უმეტეს, რომ ერთმანეთის გვერდით მყოფი ორი ცეცხლოვანი ვარსკვლავი, მათი დაახლოება, ძველი კალენდრის მიხედვით, რომლის შესახებაც მან მოგვიანებით შეიტყო, ორ რამეს ნიშნავდა: ხელმწიფის სიკვდილს და დიდი სახელმწიფოს დაღუპვას.

— რატომაც არ უნდა შევიაროთ? შევიაროთ, — მოურიდებლად უთხრა ილიამ, უხეშად, მამაკაცურად, დააფურთხა პაპიროსს და წკიპურტით ისროლა ბუჩქებში. — რა, შენ წინააღმდეგი ხარ? მე მგონი, შენ გულგრილი არ იყავი მისდამი, ა?

— სისუ-ლელეა! — ზიზღით მიუგო ვლადიმირმა.

როცა დაჩეხილი ფიცრები ამოიიღლიავეს და ბინაში დაბრუნდნენ, ნავთის ლამპა ეკონომიის გამო ჩაწეული იყო, რაისა მიხაილოვნა დაბალ ტაბურეტზე იჯდა ღუმლის ღია კართან და ფიქრიანად უკეთებდა ცეცხლს დაჭმუჭნილ ძველ გაზეთებს. მის მწუხარე სახეს, კედლებს, კარადებში დაწყობილ წიგნებს წითელი ათინათი დასთამაშებდათ. ილიამ მხიარულად წარმოთქვა:

— ახლა შეშას შევუკეთებთ და როგორც სანდუნის აბანოში, ისე იქნება. რეგვენი სახლმმართველის ჯინაზე! ხომ ასეა, ვალოდკა! რატომ ვიტანჯებოდით სანგრებში? ა? მა-აშ!

„შეშა“ ხმაურით დაყარა ღუმელთან, იატაკზე დაჯდა და დაჩეხილ ფიცრებს ღუმელში ყრიდა, ეტყობოდა, რომ საქმიანობის წადილით შეპყრობილი, მზად იყო დაუოკებელი სიფხიზლისათვის, მაგრამ ვლადიმირმა თქვა:

— გმადლობთ, რაისა მიხაილოვნა. მე ჩემთან წავალ.

რაისა მიხაილოვნამ შეაჩერა:

— ვალოდია, ეგებ ჯობს დივანზე გაგიშალო? დარჩი დღეს. მარტოკას მოგეწყინება გამოცარიელებულ ბინაში, თან ცივა კიდეც.

— დედაჩემო, ჩვენ მიწაზე გვეძინა, თავქვეშ მუშტამოდებულებს, — გადა-

იხარხარა ილიამ, — შენ კი ამ წვრილმანებზე... მაშ კარგი, ხვალამდე, ვოლდემარ!

ვლადიმირი მოიღუშა: არ უყვარდა, როცა ილია ასეთ გულითად მწიგნობრულ ყაიდაზე მიმართავდა, რაშიც თითქოსდა ჟღერდა უფროსის არასერიოზული დამოკიდებულება უმცროსისადმი.

ელექტროგანათება სუსტი იყო და ამიტომ ოთახებში მოწითალო ბურუსი იდგა, საიდანაც მოუხეშავი გვერდით ინაკვთებოდა ძველი ბუფეტი, კუთხეში გამოციებული ღუმლის შორენკეცები ბზინავდა, ხოლო გაუთბობი ოთახების ფანჯრებზე ლაქებად მოჩანდა შუქშენიღბვის ფარდები, ესოდენ ნაჩქარევად რომ დაეტოვებინათ დედას და მამას. მაგრამ ფიქრმა თავისუფლებაზე, ხვალინდელი მოქმედების სრულ დამოუკიდებლობაზე, ფიქრმა იმაზე, რომ მას გაუმართლა (არა, კარგია, რომ სულ მარტოა სახლში!), შვება მოჰგვარა და დაამშვიდა. ნაფტალინიანი შიფონერის სიბნელეში მან იპოვა თავისი საზამთრო პალტო, დაწვა დივანზე, თავქვეშ დივნის ყურთბალიში ამოიდო, პალტო ნიკაპამდე დაიხურა — და სიჩუმე ჩამოწვა ოთახებში, აავსო მთელი სახლი, ეზო ვარსკვლავებქვეშ, ზამოსკვორეჩიეს ქუჩები, შესახვევები, ჩიხები. ზაცეპის მხრიდან ალარ ისმოდა ავტომანქანების ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიგნალები, მხოლოდ ხანდახან ზრიალებდნენ შუშები. ეტყობა, ქალაქს შეუმჩნევლად არყევდა რაღაც.

„მაშა", — გაიფიქრა ვალოდიამ და თვალები დახუჭა, თითქოს ცივი აბლაბუდა შემოხვეულიყო, ისე იყო მოკუნტული და განიცდიდა სიხარულის, სიყვარულისა და სიოცხვილის გაურკვეველ გრძნობას, რაც მაშინაც კი ებადებოდა, როცა შორიდან მოჰკრავდა ხოლმე თვალს მაშას, მის მოქნილ სიარულს, მისი პელერინიანი ვიწრო პალტოს ტალღისებურ რხევას. ასეთი პალტო ხომ არავის ეცვა სკოლაში!..

თავი მერვე

სატვირთო მანქანების გუგუნმა გააღვიძა. გათოშილი წამოხტა დივნიდან გამოციებული ოთახის სიბნელეში. დილის სინათლე შემოკრთომოდა შესანიღბავი ქაღალდის ჭუჭრუტანებიდან, და მან შრიალით ასწია ქაღალდი ფანჯრის ჩარჩოზე.

ოქტომბრის უღიმღამო დილა იყო. პირველი თრთვილი მარილივით იდო გართხმულ ფოთლებზე, ქვაფენილს რომ დაჰყინვოდნენ, და ამ ქვაფენილზე ვალოვაიას მიმართულებით ნელა მოდიოდნენ გამწკრივებული სატვირთო ავტომანქანები, რომლებსაც ცივ ჰაერში ბოლი ასდიოდათ. მოტორების გუგუნში მოისმოდა აფორიაქებულ ადამიანთა ხმები. ისინი მანქანების გვერდით მოაბიჯებდნენ ქაოსური ბრბოს სახით; თვალში მყის გეცემოდა დრაფის პალტოები, ბამბურები, თბილი ყურებიანი ქუდები, თითქოს წუხელ უეცრად მოვიდა ზამთარი და მოიტანა სასტიკი ყინვა. და ეს აღგზნებული, პირმოღუშული ადამიანები, ეს თრთვილით შეთეთრებული ტყვიისფერი დილაც, გაბმული ხმაურიც, სატვირთო მანქანების გუგუნიც, უხეში ყვირილიც, ჩემოდნები და თოფრებიც, სახურავებზე ჩამომჯობილი მოლრუბლული ზეცაც — ყოველივე ეს წუხილად მოსდებოდა ვლადიმირის ნამძინარევ გონებას, და მან გაიფიქრა, რომ ქუჩებში ხდებოდა რაღაც დაუოკებელი, საშიში ამბავი, რაც უკვე ენახა, ალყაშემორტყმული მოქაისკიდან თავის დაღწევას რომ ლამობდნენ. ვლადი-

ძირი მივარდა რეპროდუქტორის მდუმარე ჯამს, რომლის ჩართვაც გუშინ დავიწყებოდა, და ჩანგალი როზეტში ჩართო. სამხედრო მარშის მჟღერი დარტყმები, სასულე ორკესტრის ხალისიანი ხმები საზეიმოდ შემოიჭრნენ ოთახში, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ იყო ხოლმე პირველი მაისის დილას ან ნოემბრის დღეებში. მაგრამ ქუჩაში მსრბოლმა ამ ბრბომ, საზეიმო მარშის ამ ხმებმა მოახლოებული გარდუვალი ხიფათის ისეთი უეცარი გრძნობა აღუძრეს, რომ ჟრუანტელმა დაუარა. ლოყებზე კანი დაუჩხვლეტა და დაუჭიმა. თითქოს ცხადლივ დაინახა მოსკოვის დაცარიელებულ გზებზე ქუჩებში შემომძვრალი გერმანელთა ტანკები. და ამ წარმოუდგენელმა სურათმა და სველ სახურავებზე მოლუშული გაჯირჯვლებული ცის მკრთალმა ანარეკლმა, ზურგს უკან მარშის ხმებმა, ფეხების ბაკუნმა, ფანჯრებქვეშ ყვირილმა სხეული გაუყინა, კბილები ვააღრჭიალა და აჩქარებით დაიწყო ჩაცმა. მაგრამ ამ დროს მოისმა კარზე კაკუნი და ილიას ხმა დერეფნიდან:

— ვოლდემარ, ადექი! მწყობრში დასადგომად გამოდი! ნიჩბები წამოიღე! წავიდეთ სასაუზმოდ. შემწვარი კარტოფილი უკვე სუფრაზეა! სწრაფად!..

— შეეშვი მაგ სულელურ ვოლდემარს! — ბრაზით შეუღრინა ვლადიმირმა და კარი გაიღო. — ნახე, ქუჩაში რა ხდება?

— ვნახე, ვნახე, — უკმეხად უთხრა ზღურბლზე მდგარმა გამოძინებულმა, პირდაბანილმა, თმადავარცხნილმა ილიამ, რომელსაც მეთხილამურის სვიტრი ეცვა, სპორტულად რომ შემოტმასნოდა კუნთმაგარ მკერდზე. — მერე რა? ეტყობა, რადიოლამპების ქარხანას საევაკუაციოდ გზავნიან. წამო, ვისაუზმოთ და სამხედრო კომისარიატისკენ გავწიოთ.

ქუჩაში მიმავალნი გამონაბოლქვ აირებში იყვნენ გახვეულნი — გამწკრივებული სატვირთო ავტომანქანები, რომელთა ძრავები თავისუფალი სვლით მუშაობდნენ. გრძელ ჯაჭვად გაიჭიმა ლუენიკოვსკაიაზე, ეტყობა, რიღაცამ შეაჩერა, ხოლო პირმოღუშული ადამიანები ქუჩდებოდნენ, მიდიოდნენ თუ მირბოდნენ ზაცეპის მიმართულებით. ილიამ ვერ მოითმინა და პირველსავე შემხვედრს მიაძახა:

— სად მიდიხართ?

არავის უპასუხია.

ბოლშაია ტატარსკაიაზე ქარხნის ყურთამდე გაღებულ ჭიშკართან იკრიბებოდა, თანდათან იზრდებოდა და ხმაურობდა ბრბო, რომელიც გზასა და ტროტუარებს ავსებდა. სწორედ ამ დროს მოთმინებადაკარგულმა ვლადიმირმა ძიმართა დრაფისპალტოიან ჩია ტანის სახედანაოჭებულ კაცს, რომელიც ფარანქვეშ გაშმაგებით ეწეოდა გაზეთის ქაღალდში გახვეულ თამბაქოს:

— რა, ისევ ევაკუაცია?

— ვერა ხედავ? — მეჩხური ულვაში აებუძგა დრაფისპალტოიან კაცს. — გარბიან, თვალები ავტომობილის ფარებივით დაუჭყეტიათ! დაინახე?

— მერე, სად მიდიან?

— როგორ თუ სად? შენ რა, პრესნელი ვანკა ხომ არა ხარ? არ იცი, რომ გერმანელებმა ფრონტი გაარღვიეს და ახლო მოსკოვს უტევენ? იცი, მთავრობა სად არის? კუიბიშევშიაო, ამბობენ, აი სად!.. გაიგე?

— მაგას პანიკიორები ავცრელებენ, ბიძაჩემო! — საუბარში ჩაერია ილია. — ვინა თქვა, რომ მთავრობა კუიბიშევშია? კორნეი ჩუკოვსკის საბავშვო ზღაპრებში ამოიკითხეთ?

დრაფისპალტოიანმა კაცმა გადააფურთხა, დანაოჭებული სახე ავად შეეჭ-ბუნნა.

— უჰ, შე მამაძაღლო, ჭკუის სწავლება მომინდომე? მაშ, ზღაპრებს ვიამ-ბობ? ჭორებს ვავრცელებ? შენ თვითონ ვინა ხარ, რომ მუშა ხალხს ჭკუა ვინ-და ასწავლო? მაგ პანიკორის გულისთვის ყურებს დაგაგლეჯ, უტვინო ლაწირაკო!..

— ტყუილუბრალოდ ილანძღები, ბიძაჩემო, — აუღელვებლად უთხრა ილიამ, მოჭუტულ თვალებში საშიში ღიმი ჩაუდგა, ელვისებურად სწვდა სახე-დანაოჭებული კაცის მისი ყურისკენ მოუთმენელი რისხვით წამოწეულ ხელს და ისე მაგრად მოუჭირა, რომ კაცმა შეყვირა და თამბაქოს კვამლით გაყვით-ლებული კბილები გამოაჩინა. — ეგ კი რევოლუციამდელი ჩვევებია, უკვე დი-დი ხანია მოძველდა, — დაამთავრა გულგატეხილმა ილიამ. — ყურის აწევა მეცხრამეტე საუკუნეში იცოდნენ, თანაც ვაჭართა ოჯახებში.

— უჰ, შე ლაწირაკო, შენა! ხულიგნობას ბედავ? პატრულებს დავუძახო? პატრულებს?..

— მშვიდობით, ბიძაჩემო, კარგად იყავით! დაუძახეთ პატრულებს.

შეუძლებელი იყო აგეხსნათ დაუოკებელი რისხვა ამ მეჩხერულვაშებიანი კაცისა, რომელიც თავისი ასაკით ალბათ მამად შეეფერებოდათ, ასევე აუხსნე-ლი იყო მისი ცდა, რომ ილიასათვის „ყურები დაეგლიჯა". მაგრამ მათ მაშინვე გადაავიწყდათ ეს შემთხვევითი შეტაკება, რადგან უეცრად ხალხი ქარხნის ჭიშ-კარს მიაწყდა და ისინიც თან გაიყოლია. სუნთქვა ჭირდა, ისე შეჭუჩულიყვნენ ღია ჭიშკრის წინ, თითქოსდა რაღაც ახალ ცნობას მოელიანო; ჩოჩქოლობდნენ რაღაცას ნერვულად და ხარბად ეძებდნენ, თვალით შესასვლელისაკენ მიიწევ-დნენ, სადაც ბამბურებში გამოწყობილი წითელსამკლავურებიანი მუშები იდგ-ნენ. ჭიშკარს იქით მოჩანდა დაცარიელებული ეზო, საამქროების აგურის შენო-ბები, მოასფალტებულ სივრცეში კორპუსებს შორის მდგარი „ემკა", ტყავის-პალტოიანი ტანდაბალი კაცის ახლოს თავმოყრილი ადამიანების პატარა ჯგუ-ფი. უცებ ეს კაცი როგორღაც გაბრაზებული შეტრიალდა, ტყავის პალტის კალთები წააფრიალა და ადამიანთა იმ ჯგუფის თანხლებით აჩქარებით გაემარ-თა გასასვლელისაკენ, ჭიშკართან გაჩერდა, მუშტი შემართა, მკაცრი, სას-ტიკი მრგვალი სახე წამოუჭარხლდა და განკარგულებების გაცემას დაჩვეული ადამიანის მბრძანებლური ტონით შესძახა: „ა-ამხა-ნაგო მუშებო!" — და ხალხს უეცრად გადაურბინა ხანმოკლე ჩურჩულმა: „დირექტორი, დირექტორი.." — ადამიანები ამოძრავდნენ, კიდევ უფრო ახლოს მიიწიეს ჭიშკართან, სასოებით ეძებდნენ ტყავის პალტოს და დასარტყმელად ჰაერში ბრაზით შემართულ პა-ტარა მუშტს.

— ამხანაგო მუშებო! ყველა თქვენგანისათვის ცხადია, რომ გერმანელ ფა-შისტთა ურდოები დედაქალაქის კედლებს მოადგნენ, მდგომარეობა მეტისმე-ტად სერიოზულია! საქმე ეხება საბჭოთა ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხს, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხს! მტერი მოეაისკსა და მალოიროს-ლავეს მოუახლოვდა! ამიტომ მე თქვენ მოგიწოდებთ რკინისებური დისცი-პლინისა და სიფხიზლისაკენ, პანიკორების, დეზერტირებისა და ჭორიკნების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ, იმათ წინააღმდეგ, ვინც შიგნიდან ძირს უთხრის ჩვენს სიმტკიცეს, ერწმუნოებას, სულმოკლეობას თესავს ჩვენს რი-გებში!..

— სხვათა შორის, იმ ულვაშებიანი სუბიექტისათვის ქეჩოში უნდა ჩაგვევ-

ლო ხელი, — ჩაფიქრებით თქვა ილიამ, რომელიც ჭიშკრისკენ გაღწევას ცდილობდა; ეტყობა, ნანობდა, რომ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. — ძალიან საეჭვო სიფათი ჰქონდა. შენ ვერ შეამჩნიე, რომ ჯაშუშის ვიტრინა აქვს? თითქოს ულვაშებიც მიუწებებიაო. დავბრუნდეთ, შევამოწმოთ?

— კარგი, სისულელეს თავი დაანებე!.. — დატუქსა ვლადიმირმა, რომელიც ილიას აღარ უსმენდა და შექუჩებული ადამიანების მხრებსა და ზურგების თავზე ხედავდა მაგარ მუშტს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებთან ერთად რომ აპობდა ჰაერს:

— ...უნდა შევუდგეთ კომუნისტური და მუშური ასეულების და ბატალიონების ფორმირებას!.. დადგა ჟამი... ყოველი ჩვენგანის მძიმე განსაცდელისა!..

მისი უკანასკნელი სიტყვები უკვე შორიდან მოესმათ — ბოლოს, როგორც იქნა, თავი დააღწიეს ქარხნის ჭიშკართან შექუჩულ ხალხს, ხალხის ჯაჯანი და სუნთქვა უკან დარჩათ, და ახლა ქუჩა გზაჯვარედინამდე საოცრად დაცარიელდა. ცაცხვები ყველგან ჩაშავებულიყვნენ, სიფრიფანა ყინულად ქცეული ფოთლები შავად მოჩანდნენ ქვაფენილზე. მაგრამ ამ ქუჩის, მისი ყუნარი სახლებისა და ზამოსკვორეჩიეს ჩაჩუმებული ხისლობიანი ეზოების უკაცურობამ და ბრბოს ახლახან ფიზიკურად განცდილმა დაძაბულობამ ორივეს რატომღაც გაუღვიძა მათ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილების მწვავე გრძნობა, და მათ ერთმანეთს გადახედეს. ილიამ იდაყვი წაჰკრა ვლადიმირს.

— გაიგე?

— გავიგე.

რაიონული სამხედრო კომისარიატის ეზოში ხალხს მოეყარა თავი და ხმაურ იდგა. ალვის ხეებქვეშ ყველგან შექუჩულიყვნენ ახალ ბამბურებში, საუმოდგომო ქალაქურ პალტოებში გამოწყობილი ჭაბუკები, ყველგან თამბაქოს სწევდნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ზოგი ტალახიანი პარმაღის საფეხურებზე ჩამომჯდარიყო, ზოგი საზაფხულო ფეხსაცმელებში გაყინულ ფეხებს აბაკუნებდა ასფალტზე, ზოგი პირმოღუშული კითხულობდა ქალაქ მოსკოვის კომენდანტის ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც გაზეთ „პრავდის" გვერდით იყო გაკრული, სადაც თვალში გეცემოდათ მსხვილი სათაური: „მტერი კვლავ გვიტევს!" თითქმის ყველანი, ვინც ამ ეზოში იყო, სამობილიზაციო უწყების თანახმად მოსულიყვნენ, და ყველანი ელოდნენ თავის რიგს ოცდამეექვსე ოთახში. მეორე სართულზე, მაიორ ხმელნიცკისთან, როგორც გამოარკვია ილიამ, და, გამოარკვია თუ არა, მაშინვე შესთავაზა „დურიკოვის ძველმანის ბაზრის" გვერდის, ავლის გეგმა, საღამომდე ფებზე დგომას ვერ შეძლებდნენ. გეგმა უბრალო, სწორი და თავხედური იყო: უნდა ასულიყვნენ მეორე სართულზე და ოცდამეექვსე ოთახის კართან მდგომთათვის ეთქვათ მოხალისეებს ურიგოდ წერენო, და ამგვარად შესულიყვნენ საიდუმლო ოთახშიმაიორ ხმელნიცკისთან.

ჩაფიქრებული გეგმა იოლად განახორციელეს, მაგრამ როცა შევიდნენ და მოუმზადებლად განაცხადეს, რომ ორივეს სურდათ მოხალისეებად ჩაწერილიყვნენ არმიაში, სქელ-სქელმა მელოტმა მაიორმა, ახალგაზრდა ცხვირწვეტა ლეიტენანტის გვერდით რომ მოკალათებულიყო მაგიდასთან, უძილობისაგან გამოღამებულ თვალები ასწია და მათ თავს ზემოთ უაზროდ გაიხედა, ხოლო ლეიტენანტმა, რომელიც ქალური მარჯვე თითებით იქექებოდა საქაღალდეების

ჯოვაში, საქმეს თავი მიანება და ქათქათა მოცინარი კბილები გამოაჩინა, თით-ქოს დიდი ხნის ძმაკაცებს შეხვდაო.

— აი, ამხანაგო მაიორო, — ყმაწვილური ხმით უთხრა მან. — გაიგონეთ?

— გასაგებია, — ბუზღუნით მიუგო მაიორმა და თვალების გამომეტყველ-ება არ შესცვლია, ისე ჰკითხა ილიას: — რამდენისა ხარ?

— რა, ამხანაგო მაიორო?

— რამდენი წლისა ხარ-მეთქი? თან რომელ თვეში ხარ დაბადებული, ოღონდ არ მომატყუო ,საბუთებით შევამოწმებ. მიპასუხე. ზუსტად, მოკლედ და მიუკიბ-მოუკიბავად. გასაგებია?

— ჩვიდმეტისა. ათ მაისს ვარ დაბადებული.

— გასაგებია. არ მოგიტყუებივარ, — გულგრილი მოწონების ნიშნად ჩაი-ღაბარაკა მაიორმა და უძილო თვალებით ახედა ვლადიმირის შუბლს. — შენ რამდენისა ხარ? შენც ჩვიდმეტისა? თუ თექვსმეტის?

— არა, ჩვიდმეტის! — წყენით უთხრა ვლადიმირმა. — აგვისტოში ვარ და-ბადებული. რატომ გეგონეთ თექვსმეტისა?

— აბა, შინისკენ გასწით, ყმაწვილებო. ჯობს სულაც წახვიდეთ, ბიჭებო. მოსკოვიდან. რაც შეიძლება, შორს. აი რას გირჩევთ.

მელოტმა მაიორმა მოღლილი მოძრაობით მოისვა ხელი გულმოდგინედ შეკრეჭილ საფეთქელზე და მოიღუშა (ალბათ თავი სტკიოდა), ცხვირწვეტა ლეიტენანტი კი, რომელსაც მოწონების ნიშნად აღარ გამოუჩენია მოცინარი კბილები, ლამობდა მაიორის ზურგს უკან მალულად რაღაც აეხსნა წამოჭარხ-ლებული ყმაწვილური სახის მოძრაობით და იქამდე ჰქონდა მიპყრობილი თვა-ლები ჭერისაკენ, სანამ მაიორმა არ გააწყვეტინა ეს საიდუმლო ნიშნები.

— ლეიტენანტო გულკინ, თვალებით ჟესტიკულაციას მოეშვით და კეფა-ში ნუ მასუნთქავთ, დაუძახეთ დანარჩენებს, უწყებიანებს!

— მოიცადეთ! — აჩქარდა მელოტი მაიორის გულგრილობით გაფიც-ხებული ვლადიმირი. — ჩვენ სანგრებში ვიყავით მოჟაისკთან, ამხანაგო მაიო-რო, და... დავბრუნდით, რათა არმიაში წავსულიყავით. ჩვენ არ გვინდა ევაკუ-აცია.

— აჰა-ჰა, ბიჭებო, ძმებო სალდათებო! — მაიორმა პირზე ხელი აიფარა და ისე ძლიერ დაამთქნარა, რომ დაწითლებულ თვალებზე ცრემლები მოადგა, ფერე ამოიოხრა და თქვა: — ოჰ, რა სისულელე გიტრიალებთ მაგ ჭაბუკურ თავებში! სულ მღერით და მღერით, თქვენ უკუდო ბულბულებო, თქვენა! საბ-ჭოთა საინფორმაციო ბიუროს დღევანდელი ცნობა მოისმინეთ? იცით, რომ გერმანელები მოსკოვს მოადგნენ? გესმით, რომ მდგომარეობა დასავლეთ ფრონ-ტზე სერიოზულად გაუარესდა? თვალს მიხვევთ თუ რა? აბა როგორ წაგიყ-ვანთ ვადამდე ,მითხარით, გეთაყვა, ზამოსკვორეჩიეს ბიჭებო? მოხალისედ ჩა-რიცხვა ნებადართულია თვრამეტი წლიდან ორმოცდაათ წლამდე. თქვენ კი თვრამეტს მთელი ერთი წელი გაკლიათ! ერ-თი წე-ლი! — გაწელა მან, და მო-თენთილ გამოუძინებელ სახეზე უზომო სევდა გამოეხატა. — მაინც არ ამოგ-დით თავიდან ჩაპაევი, ხომ? ტყვიამფრქვევის საზიდრები, ხმლები და სხვა გა-ართობი სათამაშოები!

— არა, ამხანაგო მაიორო, — თავმოყვარედ ჩაერია ილია. — ეგ ჩვენ ვი-ცით! ტანკის წინააღმდეგ ტრუსების ამარა ვერ წახვალ....

ცხვირწვეტა ლეიტენანტს სიცილი წასკდა, მაგრამ მაშინვე ამოიღო ცხვირ-სახოცი, სერიოზული სახით ჩარგო ცხვირი და მკლერი ხმით თქვა:

— ამხანაგო მაიორო, ჩვენ ხომ გვაქვს განწესი საარტილერიო სასწავლებელში. რა თქმა უნდა, იქაც თვრამეტი წლის ჭაბუკებს ღებულობენ, მაგრამ...

— დიდი ამყოლ-დამყოლი და შუამავალი მყავხარ, არწივო, ოლონდ საფრენი სივრცე არ გყოფნის, — ბრაზით შეაწყვეტინა მაიორმა. — თვალდაც უფრო უკეთეს ადგილას წასვლა ხომ არ გადაგიწყვეტია? ბავშვები ხართ, ბავშვები, თავში გიქიქინებთ, თუმცა შესახედავად კი ხართ ფაფანაკები, ერთი წუთით ცხოვრობთ. კარგი, რაკი რჩევა-დარიგებითა და სიტყვებით ვერ შეისმინეთ, ცხოვრება შეგასმენინებთ. ერთხელ კი არ ჩაგინისკარტებთ, სულ მთლად დაგკორტნით და მაშინ ნახავთ თქვენ სანახავს! მაშ, საარტილერიო სასწავლებელში? გაწვევის ვადამდე? ევაკუაციის მაგივრად? — სევდიანი ბრაზით იკითხა მაიორმა, სახეზე მძიმე ნაოჭები დაასხდა, გამოუძინებელი, ყველაფრის გამგები თვალები ამოულამდა და, როგორც კი შეამჩნია, რომ ვლადიმირსა და ილიას სახე გაუნათდათ, წარბი შეკრა და დიდმნიშვნელოვნად უბრძანა: — ლეიტენანტო გულკინ, ჩაიწერეთ მისამართები! ერთი-ორ დღეში გამოგიძახებთ, თუ ყველაფერი თავ-თავის ადგილას დარჩა ანდა არ გადაიფიქრეთ!

სამხედრო კომისარიატიდან რომ გამოვიდნენ, იმ ადამიანებივით ღელავდნენ, რომლებსაც შეიძლებოდა არ გამართლებოდათ, მაგრამ გაუმართლდათ. და ამ გამართლებაში შემთხვევითობა კი არ იყო მთავარი, არამედ ბედის წყალობა ,მათი წინანდელი ცხოვრების დასრულება და ახლის, სერიოზულის, ნალოდინევის დაწყება...

— ლეიტენანტი რომ არა, ყველაფერი ამაოდ ჩაივლიდა! — აღელვებით შესძახა ვლადიმირმა. — ის უგულო მაიორი სიტყვასაც არ გვათქმევინებდა! ევაკუაცია და მორჩა!

— ის კოდალა კი ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს, — მხარი დაუჭირა ილიამ, რომელიც სიამოვნებით აბოლებდა ქუჩაში. — შესახედავად ჩიაა, დედას ბიჭია, ისე კი, რო უნდა, ისე ესმის ყველაფერი. ყური მიგდე, ვოლდემარ, რაღაც უნდა გითხრა, — გულუბრყვილო უშუალობით წარმოთქვა ილიამ და თან კმაყოფილებით მიხედა ალვისხეებიან ეზოში მდგარ რაიონის სამხედრო კომისარიატის ბათქაშჩამოცვენილ შენობას. — სახლში საქმე არაფერი გვაქვს. მოდი მოსკოვში გავიარ-გამოვიაროთ, ეგებ რამე გავარკვიოთ. სასაუზმეშიც შევირბინოთ და ცოტა წავიხემსოთ.

— რამდენჯერ მითქვამს შენთვის: ჯანდაბას იქით წასულხარ მაგ შენს ვოლდემართან ერთად! სად ამოიკითხე ეგ იდიოტური ვოლდემარი?

— კარგი, ჰო, ტლინკებს ნუ ყრი, სიყვარულით გეუბნები, ვალოდკა, სიყვარულით.

ეს განუწყვეტელი მოძრაობა, რომელიც თვალნათლივ ჯირჯვდებოდა სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანებით, მთელ ზაცეპასა და ვალოვაიას ავსებდა, შეუწყვეტლივ მიჰყვებოდა სადოვაიას და სერპუხოვის მოედნის გავლით კურსკისა და ყაზანის ვაგზლისაკენ მიემართებოდა. ქარხნის მოწყობილობითა და არქივებით დატვირთული მოგუგუნე მანქანების ექვსი რიგი; მწკრივად მიმავალი პალტოგაცვეთილი ადამიანები; სუნი ჩრდილოეთის სუსხისა და გაცივებული ფერფლისა, წვრილ-წვრილ ფანტელებად და ნახშირის მტვერივით რომ ეყარა დათრთვილულ ფანჯრის რაფებზე; დაკეტილი მაღაზიების ვიტრინებში გაკრული ფიცრის დაფები, გზაჯვარედინებზე დადგმული „ზღარბულები“, სილით გამოტენილი ტომრებით მოწყობილი ქუჩის ბარიკადების ხახადაფჩენილი

გასასვლელები; შოკოლადის ფაბრიკის მახლობელ შესახვევებში ვედროებითა და კოლოფებით საეჭვოდ მოფუსფუსე ადამიანები, ნასვამი და წვერგაუპარსავი კაცები, ხორცის კომბინატის შორიახლოს რომ შეკუჩებულიყვნენ, გასასვლელი ეზოების შუაგულში მდგარი მილიციელების შეძახილები, სროლის ხმები, რომელთა ექო ძალუმად ედებოდა ღობეებში მოქცეულ ოქტომბრის ჰაერს; შეიარაღებული სამხედრო პატრულები და კუთხეებში საბუთების შემოწმება; კედელთან მიჯრილი მდუმარე რიგები სასადილოების ახლოს, სადაც ტაბლოებით იძლეოდნენ უყუათო სადილებს, მიმწვარი მარგარინის სუნი რომ ასდიოდა; ისევ მოგუგუნე, განუწყვეტელი მოძრაობა მანქანებისა სადოვაიაზე; დაცარიელებულ შენობათა ჩაკეტილი სადარბაზოები; ძროხების საზარელი ბღავილი ყალუგის მოედანზე, ქაოსური ჯგრო მშიერი საქონლისა, რომელიც გერმანელთა მიერ დაკავებული ან ქვემეხების ცეცხლში გახვეული სოფლებიდან რომ მოერეკათ, მწყემსების გაჯავრებული შეძახილები, მათრახის ტკაცუნი სახლების ფანჯრებსა და თაღებთან, ასფალტზე რახრახით მომავალი ტრაქტორები, სათიბ და სანიავებელ მისაბმელებს რომ მოათრევდნენ საქონლის კვალდაკვალ; სამოტიოკზე ნავთის წერტში საეჭვო მიზეზით უეცრად გაჩენილი ხანძარი, ჩაქროლებული წითელი მანქანების ზარისა და საყვირის ხმები, ოქროსფერი მუზარადების შემაშფოთებელი გაელვებანი, ხანძრის შორიახლოს შეკუჩებული ბცირეოდენი ხალხი, მათ გვერდით — მილიციელები, ფრთხილი საუბარი ქალაქში შემოსულ რაკეტის მსროლელებსა და დივერსანტებზე („გუშინ ერთი დაეჭერიათ სხვენზე, რაკეტის სასროლი და რევოლვერი ჰქონდა თურმე!", „ღამით, თვითმფრინავები რომ დაგვესხნენ თავს, მორიგე ხედავს—მოსკოვის ჰიდროელსადგურის პირდაპირ სახურავზე ხან აინთება ფარანი, ხან ჩაქრება, თურმე თვითმფრინავებს ანიშნებს, სად დაბომბონ", „ახლა ისინი ხიდების აფეთქებას ბიპყოფენ ხელს, ის დივერსანტები...");; მანქანებით გაჭედილი ენთუზიასტთა გზატკეცილი, ერთმანეთში არეული გუგუნი, ციებ-ცხელებიანის მოუთმენლობით შეპყროობილთა ყვირილი, სახეები, თვალები, დაბნეული ადამიანები, ღამით სასწრაფოდ რომ წამოეკრიფათ ბარგი-ბარხანა და მოსკოვიდან იჩქაროდნენ ქალაქგარეთ მიმავალი გზატკეცილისკენ, ალმოსავლეთის რკინიგზებისკენ — ვოლგის, კუიბიშევის, გორკის, ყაზანის მიმართულებით, საითაც დაუყოვნებლივ გაიხიზნა იმ დღეს ზოგიერთი ქარხანა და დაწესებულება; დასავლეთის ჩამკვდარი გარეუბნები, სადაც მხოლოდ მუშათა ბატალიონების კოლონები მიმოდიან ქვაფენილზე, ნაბიჯების ხმაური, სამხედრო ბრძანებები, ჩაძოცვენილი გათოშილი ფოთლების ხრაშუნი, ქვაფენილზე ზარბაზნის თვლების დგანდგარი, საალალო ოთხთვალების რახრახი; უკანასკნელი ხის სახლები, ფარდულები, ხრამისკენ დაქანებული შემოდგომის მინდორი, თრთვილს რომ დაუფარავს და მისი კრისტალები ხისტ ნაწვერალზე ციმციმებენ; მინდვრის მარჯვნივ, გზატკეცილზე კუზიანი სამხედრო „ემკები", დასავლეთით, სადაც ცა უსიამოდ ჩამოუმძიმებია სუსხიან ზამთარსა და თოვლს, თითქოს მიჯნასავით არის გაელებული შორეული ტყეების შავი ზოლი. აქედან დაიძრა მოსკოვისკენ ულმობელი, საზარელი, უცხო, რაღაც ერთი კვირის წინ ფიქრადაც რომ არ მოუვიდოდა კაცს, ვინც იმედს ამყარებდა რაღაც განსაკუთრებულ, უეცრად ამოქმედებულ ძალაზე, რომელსაც უნარი შესწევდა შეეჩერებინა და გაენადგურებინა გერმანიის ძლიერება.

მთელი ეს მოღუშული დღეც, ყოველივე ის, რაც მათ ნახეს, იყო უსასრულო და მოკლე, მსგავსად სასოწარკვეთასა და იმედს შორის არსებული დროისა,

და ყოველივე ეს იყო მოსკოვი, აფორიაქებული ფრონტისპირა, მათთვის ახალი, მოახლოებული ხიფათით, ბოლომდე გაურკვეველი მთავარი მოვლენები მოლოდინით ამაღელვებელი, როგორც ბევრჯერ ხდება ხოლმე ისტორიაში ბედის შემობრუნების მომენტში, შეუცნობელი საფრთხისწინ.

ვილაცამ უთხრა ვლადიმირს და ილიას, არბატის უბანში სასტრსათო მაღაზიები მუშაობენო, და მათაც ორჯერ მოიარეს არბატის ... ლია საფუნთუშის თუ გასტრონომის ძებნაში. მაგრამ ყველგან ბოქლომები ეკიდა კარებზე, ვიტრინებიც ხის დაფებით იყო ამოქოლილი, ერთ ადგილას შუშა ნამსხვრევები ეყარა ტროტუარზე საიუველირო მაღაზიის ფირნიშქვეშ ჩანამტვრევი ადგილიდან იმზირებოდა ბრიქუში სიცარიელე, უპატრონოდ მიტოვებულ დაწესებულებაში რომ არის ხოლმე, და გული მიგიწევდა შეგეხედა შიგ, ამ უკაცურ ქვის სიცივეში, სადაც, ეტყობა, წუხელ იქნა ჩადენილი დანაშაული. წყნარი, ჩამკვდარი იყო არბატის შესახვევები, შემოდგომის ქარი დათარეშობდა იქ, გაზეთების ნახევებს ,აფიშების ნაგლეჯებს დააქანებდა ლობის ძირებში, დაათრევდა ასფალტზე ,მიახვეტავდა ფარნების გარშემო. ძველი კერძო სახლების დაკეტილი სადარბაზოების ახლოს, ატლანტთა ამობურცული დაკუნთული ტორსებით რომ იყო დამშვენებული, რომლებსაც ისევე დაუღალავად ეკავათ მხრებით აივნები, როგორც ასი წლის წინათ... და ამ დროს, შესახვევის კუთხეში, თითქმის შეუმჩნეველ უფირნიშო სარდაფში, მაღაზიის პოვნის იმედი რომ გადაუწყდათ, მოხრაკული ხორცის სუნით მიაგნეს რაღაც სასწაულით მომუშავე სამწვადეს და, გახარებულები, ჩავიდნენ ხმაურიან, დახუთულ, თამბაქოთი გაკვამლულ დარბაზში, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო პირებით იყო გაჭედილი. აქ თაღოვან ჭერქვეშ დატანებული პატარა სარკმლები დახუთული ჰაერისაგან შეორთქლილიყო და ოქტომბრის უღიმღამო დღე თითქმის ვერ ატანდა, თამბაქოს კვამლში ნათურები ძლივს ბეუტავდნენ. მთვრალი ხმები ერთმანეთში ირეოდნენ სარდაფის ქვის კედლებში, — ზემოთ კი დაცურავდა მოხრაკული ხორცის სუნი, რომელიც ისე რეტდამსხმელად ეცათ ცხვირში, რომ ორივემ ნერწყვი ჩაყლაპა, წინასწარ იგრძნეს, რა მადიანად ჩაკბეჩდნენ ცვრიანი ხორცის ნაჭერს.

ძლივძლივობით მონახეს ადგილი პატარა დარბაზის კუნჭულში სამზარეულოს კართან, საიდანაც ხახვის სუნი გამოდიოდა და წამდაუწუმ გამორბოდა ორი ხნიერი შეწუხებული ოფიციანტი, რომლებსაც ბამბის შარვლებს ზემოთ ჭუჭყიანი წინსაფრები ეკეთათ. ილიამ შინაურული ყესტით შეაჩერა გასასვლელში ოფიციანტი, თავისთან მოიხმო, სწრაფად შეუკვეთა ორმაგი ულუფა, თითო ჭიქა წითელი ღვინო („რომელიმე პორტვეინი ან მშრალი") და მწვადის მოლოდინში, მშივრებმა, გააბოლეს, თან სარდაფს და გვერდით მდგარ მეზობლებს ათვალიერებდნენ. გახვითქული ყმაწვილი, ბობრთმიანი, კაჭკაჭის კვერცხივით ჭორფლიანი, ძალზე სრული ბამბულა რომ ეცვა და გული გაეღელა, დაუფარავი სიამოვნებით ამთავრებდა რკინის თეფშზე დასხმულ სოუსს, შიგ შავი პურის ჭერქს აწებდა და თვალდახუჭული წუწნიდა გაქონილი ტუჩებით. მის გვერდით ბულდოგის ყბებით მძიმედ მუშაობდა მთასავით კაცი, დაბერილი მოლუშული თვალებით სუფრის ერთ წერტილს მიშტერებოდა, ილლიაში გახრესილი ბეწვის ქუდი ამოეჩარა.

— ერთი იმ ცქვლიფას უყურე, — უთხრა ილიამ და თან წარბით ანიშნა ბობრთმიან ყმაწვილზე. — ხედავ, როგორ ილუკმება? ისე ამწლაკუნებს პირს, კაი მუსიკას სჯობია. საშურველი ენერგიის პატრონია!

— მერე რა? განა რამეს გიშლი? — ქვემოდან მიაპყრო ბობრთმიანმა ყმაწვილმა ნათელი, ბავშვური მზერა და თეფშის კიდის ლოკვას მოჰყვა. — ეგება შშიერი ვარ! ეგება ჭამა-ყლაპვა მინდა! — ჭინჭყლიანად ამბობდა და თან თითებს იწუწნიდა. — ორი დღეა ხეირიანად არ მიჭამია, მეც ხო ადამიანი ვარ. უტოლოდ აბა სად შეძვრები. მე ხო მოსკოველი არა ვარ, არც ნათესავები ბიბლიოთეკა მოსკოვში.

— შენ რა — მოსკოვში ჩამოხვედი? — შეეკითხა ვლადიმირი, რომელსაც ძისი ჭინჭყლიანი ლაპარაკი ეუცნაურა.

— ჰო, თავად კალუგიდან ვარ. ქალაქისკენ გამოვწიე, როცა გერმანელები მემოვიდნენ. ბებო შინ დარჩა, მოხუცია, დაჩაჩანაკებული. არ გამომყვა. აბა სად უნდა წავიდე, ჩემი ადგილი შავი მიწა არისო. მეც ავდექი და აქეთ გამოეტიე, როცა ფაშისტების ტანკები ქალაქის ცენტრში ისროდნენ. გზატკეცილზე რო გამოვედი, ერთმა მობერიკაცო წითელარმიელმა ნახევარტონიან მანქანაში ჩამსვა, მერე კი ფეხით წამოვედი: სუ ფეხით ჩამოვთლახუნდი მოსკოვამდე. ოთხი დღეა აქა ვარ...

— ყოჩაღ, კარგი ლაპარაკი გცოდნია! — შეაქო ილიამ და თან ქედმაღლური გულითადობით გაუწოდა საუცხოო პაპიროსის გახსნილი კოლოფი, რომელიც მამასისხლად იყიდა გადამყიდველისაგან მეტროს მახლობლად. — ინებეთ, კალუგელო მაესტრო! ეწევი?

— არა, — მიუგო ყმაწვილმა და თან ბობრი თმა შუბლზე გადაიყარა. — მაგნაირ სისულელეებს ვერიდები. არც შენ გირჩევ.

— უპ, შენი! — შესძახა ილიამ. — რაკი რჩევა-დარიგებას იძლევი, სულელი ყოფილხარ.

— არც შენ გადაგდის თავზე ჭკუა! — მოულოდნელად აიფოფრა ყმაწვილი, და თავდაცვისათვის მომზადებული ნათელი თვალები აახამხამა. — რას ირჭინები ბებერ თხასავით? მე შენთვის ხელი არ მიხლია, ნურც შენ მახლებ ხელს!

— ყოჩაღ! — ისევ შეაქო ილიამ. — გაბრაზება კარგი გცოდნია. კალუგელები სულ ეგეთები ხართ? ოთხი დღეა მოსკოვში ხარ, კულტურა კი მაინცდამაინც არ მოგდევს. ხელი იდაყვამდე პირში ჩაგიდია და მუსიკალურადაც იწუწნები. საუცხოოა! რა გქვია შენ?

— შენ თვითონ ხარ საუცხოო! ვთქვათ ვანია მქვია, მერე რა?.. იცი რა, ორ ღამეს იძინე თქვენი ნივერმაგის თაროზე და მერე გაიგებ, რა არის მუზიკალური და რა — ბუზიკალური! ერთი ამ მასწავლებელს დამიხედეთ! — თქვა განაწყენებულმა ყმაწვილმა და მოწუწნული თითები სუფრის ქვეშ მუხლებზე შეიწმინდა. — ვაგზალში მეძინა მერხქვეშ, დილამდე შევაფარე თავი: სიცივე ძვალ-რბილში ატანს, თან წამდაუწუმ საბუთებს ამოწმებენ, ქუჩაში გაგდებენ — ეგ არის! მერედა, რა საბუთები უნდა მქონდეს, მე ხომ ლტოლვილი ვარ? ორჯერ კომენდატურაში წამიყვანეს. ის კი არა, თავად ვთხოვე, წამიყვანეთ-მეთქი, თანაც უფროსთან. მინდოდა მეთქვა: ჯარში წამიყვანეთ, იქ მინდა-მეთქი. რა დროს შენი ჯარიაო, როცა ჯერ თექვსმეტისა ხარო, ორი წელი გიკლიაო, ასე მითხრეს, ჰოდა, პირდაპირ ვაკუირებულებთან შემაგდეს ეშელონში, სადღაც ყაზახეთში რო მიდიოდა... მეც ავდექი და მოვუსვი. აბა, ვაკუირება რა ჯანაბად მინდოდა, შვილი არ გამაჩნია და ძირი, ერთი ბებო მყავდა და ისიც კალუგაში დარჩა, სიარული არ შეეძლო. მივდივარ გუშინ მოსკოვში, მგელივით მშია, რა ვქნა. არ ვიცი: ვიფიქრე: რაღაცა უნდა გავაბერხო, თორე ვაკუირებას ვერსად წავუვალ-მეთქი. ვხედავ: ქუჩაში მებრძოლები მოდიან შაშხანე-

ბით და მღერიან: «Белоруссия родная, Украина золотая». გვერდით ულვაშა ზემდეგი მოსდევს მამლაყინწასავით, პირმოღუშული. ფეხებზე ქოთის ჩექმები აცვია, ფეხები კი ასანთის ღერებივით წვრილი აქვს. ვიფიქრე: მოდი უკან ავედევნები. ეგებ ვერავინ შემამჩნიოს, მწყობრში ხომ ბამბულიანებიც არიან-მეთქი. ავდექი, დანარჩენებთან ერთად ემღერიდი, ლაბ-ლაბ ფეხმძიმეს გავიოდი, ყაზარმამდინაც კი მივედი. აქ კი ეზოში შემოწმებას და სიის ამოკითხვას მოჰყვნენ. ასანთისფეხება ზემდეგი მომშტერებოდა, მომშტერებოდა, მერე ჩემთან მოთხლაშუნდა, ულვაშები ტარაკანასავით ააცმაცუნა: „ვინა ხარ? სადაური ხარ? ჩვენი არა ხარ? გთხოვ დატოვო მწყობრი!". ჰოდა, თავქუდმოგლეჯილმა ბოვუსვი. მოვდივარ და ვფიქრობ: ნუთუ ისევ ვაგზალზე მერხქვეშ უნდა გავათიო ღამე? ამ დროს თქვენი თეატრის მახლობლად, ყველაზე დიდი რომ არის, ყმაწვილებმა გზაზე გადაირბინეს და რატომღაც მე გამომძახეს: „ჰაიდა!" — ეტყობა, თავისიანად მიმიღეს. მეც გავყევი. ჩვენს ცენტრალურ ნივერმაგში კარები ღიაა, არავითარი ბოქლომი, არც გამყიდველები, არც ხალხი. ბიჭები ერთად რომელიღაც სართულზე ავძვერით, საცა ქსოვილები იყო ათასნაირი,ვაგონს და ურიკას აავსებდა! ერთმა ყმაწვილმა, მოჟაისკიდან იყო გამოქცეული, თქვა: ჩვენ ქურდები როდი ვართო, ჩვენ აქ დასაძინებლად მოვედითო. შენაო, მითხრა, შალის ან ვალურის რულონი გაბსენი, შიგ გაეხვიე და რამდენიც გინდა, იძინე, რულონში თბილად იქნებიო! ორი ღამე გავათიე იქა. ხენწიფის ნათლიასეეფა. გუშინ კი ყველანი კისრისტეხით გამოგვაგდეს.

— გლახა დგომიარობაა, — ხრინწიანად თქვა ფართოსახიანმა მთასავით კაცმა, ისე რომ სუფრის ერთი წერტილისათვის ქუში თვალი არ მოუშორებია. ყბებსაც ისევ ბულდოგისებურად, ისევე ერთნაირად ამოძრაველებდა.

სამივემ მთაკაცისკენ გაიხედა, იმას კი ზედაც არ შეუხედავს, ანგარიშმიუცემლად ჩაიდო პირში შავი პურის ნატეხი და ღეჭვა-ღეჭვით, ისევ ისე ხრინწიანად თქვა:

— გლახა დგომიარობაა...

— ეგ მართალია, — ამოოხვრით დაეთანხმა ბობრთმიანი ყმაწვილი. — უბედურ დღეში ვარ. რა ვქნა?

— ღამის ქოთანი უნდა იყიდო, — დამცინავად უთხრა ილიამ. — სხვა რა უნდა ქნა? რომელიმე საბავშვო ბაღთან ერთად უნდა გადაიხვეწო სადმე. ჯარში? ა-არა, არ წაგიყვანენ, ჩემო მეგობარო ვანია. ორ წელიწადს მოგიწევს ლოდინი. ჰოდა, ორიოდე წელიწადს ქოთანზე უნდა იჯდე.

— კიდევ? კიდევ მაბრაზებ? — აიფხორა ვანია და, აღშფოთებულმა, თეთრწამწამებიანი თვალები ააბამხამა. — რაზე ამითვალწუნე? ჩემი სიფათი არ მოგდის თვალში?

— კარგი, ილია, რას ჩააცივდი! რა დაგიშავა? — უთხრა ვლადიმირმა, რითაც უნებურად დაიცვა ვანია, მაგრამ მის ნათქვამზე, ჩემი სიფათი არ მოგდის თვალშიო, სიცილი წასკდა, და ამ სიცილმა, რომელიც ილიასაც გადაედო და თავად ყმაწვილსაც, უცნაურად იმოქმედა მზერაგაყინულ მთაკაცზე.

მან ბოლოს და ბოლოს გააჩერა ძლიერი ყბები, აზრიანად მიმოიხედა და ძარღვებდაწითლებული სახე მოეღრიცა.

— რას ჭიხვინებთ, ულაყებო? რა გახარებთ? — ღვარძლიანად თქვა მან. — თავში გიფრიტინებთ? ცოტა გაანძრიეთ ეგ გოგრები! — დაკოჟრებული და თამბაქოს წევით გაყვითლებული თითი მიიკაკუნა შუბლზე. — რატომ არ ფიქ-

რობთ, რა მოგივათ, გერმანელებმა რომ მოსკოვი აიღონ? რა გახარხარებთ უაზროდ, როცა სატირლად გაქვთ საქმე! ან თქვენს დედებზე რატომ არ ფიქრობთ?..

არა, ისინი არ ფიქრობდნენ არც დედებზე, არც ფრონტის საგანგებო ვითარებაზე, არც მოსკოვში არსებულ უკიდურეს მდგომარეობაზე, არ სჯეროდათ, რომ საფრთხე დიდი და სასიკვდილო იყო, ვერ წარმოედგინათ, რომ გერმანელებს შეეძლოთ შემოსულიყვნენ ქალაქში, დაპატრონებოდნენ ბაზრებს, ... დან ცნობილ ყველა ამ ქუჩას, ტრამვაის, გზაჯვარედინებს, სადოვაიას, წითელ მოედანს, გორკის ქუჩას, მხიარულ ბალს, ზამოსკვორეჩიეს შესახვევებს, რომლებიც ზაფხულობით აყვავებული ცაცხვებით, გრილი უკანა ეზოებით, ფარდულებითა და სამტრედეებით იყვნენ ცნობილნი... არამცთუ ვერ წარმოედგინათ, რომ ყოველივე ეს შეიძლებოდა მტრულ უცხო ძალას დამორჩილებოდა, არამედ იმის გამო, რომ ჯერ ბოლომდე არ განეცადათ დაღუპვის შიში, რომ ჯერაც შემორჩენილი ჰაბუკური რწმენა იფარავდათ, სხვათა ეჭვსაც ძლივძლივობით ითმენდნენ და ზიზღით უყურებდნენ და უარყოფნენ უძლურებას, როგორც ლაჩრულ სულმოკლეობას.

— ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ გერმანელები მოსკოვს აიღებენ? — ჰკითხა ვლადიმირმა და ილიას გადახედა. ეს უკანასკნელი აუჩქარებლად ეწეოდა პაპიროსს და თავი გულგრილად ეჭირა.

— პანიკორები ძალიან მომრავლდნენ, — ჩაილაპარაკა ილიამ. — სულ წუწუნებენ და წუწუნებენ, მიუხედავად მოსკოვის კომენდანტის გენერალ სინილოვის ბრძანებისა, რომ წუწუნა, ჭორიკანა და დეზერტირი ადამიანები ადგილზე დახვრიტონ.

— მაშ, აბუჩად მიგდებთ, თქვე ლაწირაკებო, ყურპანტურა გმირებო?

მთაკაცი წამოჭარხლდა, აქსუტუნდა, ბულდოგისებური ყბები შეკრა და ყვრიმალები მკვეთრად გამოებურცა — რაღაც მუქარის გამომხატველი, ბნელი ჩაბუდებულიყო მთელ მის გარეგნობაში, და შეშინებულმა ვანიამ უგუნური შეტაკების თავიდან ასაცილებლად წვრილი ხმით შესძახა:

— კარგი ბიძია, რატომ წამოჭარხლდით მოხარშულ კიბოსავით? თქვენ ხომ არავინ გეხებათ, ზიხართ თქვენთვის, ესენი კი მხოლოდ ლაპარაკობენ! გნებავთ — გვესაუბრეთ, ბრძნული სიტყვა გვითხარით და ჩვენც მოვუსმენთ უფროს ადამიანს!

— უჰ, თქვე ბენტერებო, თქვე ჭკუის კოლოფებო, მოსვენება არ არის თქვენგან! — აბუბუნდა და აცმუკდა სკამზე მთაკაცი, თუმცა ვანიას თავაზიანმა ჩარევამ ბრაზი რამდენადმე გაუნელა და თქვა: — თქვენ რა, ძუძუმწოვრები ხომ არა ხართ? მოსკოვში ათასი ჯურის ხალხი ვაგზლებში ჯოგებად დარბის, თქვენ კი ბაიბურში არა ხართ? აი სად არიან პანიკორები! აი ვინ არის დასახვრეტი! სადოვაიაზე მანქანების ჭედვაა, ექვს რიგად მიდიან, ყველანი გორკისა და კუიბიშევისკენ გარბიან!

— ევაკუაციაა, — მოჩვენებითი გულგრილობით თქვა ილიამ. — რა გაეწყობა!..

— კაი ჭკვიანი ხარ! ზოგს ევაკუაცია, ზოგს კი გაროხიანი ბულიონი ჩუმჩუმად! ჩვენი ბუღალტერი და მოლარე ხელფასზე წავიდნენ ბანკში და იმის შემდეგ იმათი ასავალ-დასავალი არავინ იცის, ერთი ტომარა ფული გაიტაცეს, ესეც შენი... ქარხანა ორი დღეა უმასალოდ დგას, ხელფასმა ჭირი მოგვამა, ბრიყვებს ჭკუა ასწავლა, ჩვენი ბუღალტერი სემიონ ბორისიჩი კი ახლა ალ-

ბათ გორკშია და მუშების სახელმწიფო ფულით ჩაის სვამს და არაყს აყოლებ. მეტი საქმე არა აქვს, დაამზადებს ქარხანა ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებ. თუ არ დაამზადებს. აი რა მოსდევს შენს ევაკუაციას! მეტი არაფერ ჩემი მტერ. შენ ეგ ვერ გაიგო!..

მთაკაცმა სიტყვაზე წაიბორძიკა და ჩასისხლიანებულ [illegible] მიაპყრ. უეცრად გაღებულ სამზარეულოს კარს, საიდანაც [illegible] გაბიბთული ფარდ. უკნიდან გამოვარდა ხნიერი შეშინებული ოფიციანტი ჭუჭყიანი წინსაფრ. და ისე შეჰყვირა, რომ კისერზე ძარღვები დაებერა:

— მოქალაქენო! საჰაერო განგაში! მოქალაქენო! განგაში!..

— რაო, რაო? რატომ გაჰყვირი ასე უაზროდ? — მოისმა აქეთ-იქიდ. ხმები. — რადიოთი გადმოსცეს? თუ მოგეჩვენა?

სარდაფში ლაპარაკის ხმა თანდათან ნელდებოდა, თავები ხნიერი ოფიციანტისკენ ბრუნდებოდნენ. მერე შემოსასვლელ კართან ჩოჩქოლი შეიქნა. რამდენიმე კაცი ზედიზედ გავარდა გარეთ, ქვის კიბეზე ფაციფუცით აბაკუნ. დნენ, ტროტუარზე ფანჯრებქვეშ გაიელვეს. მეზობელ მაგიდაზე ვიღაცამ შიშით თქვა:

— აი სულელები! სიკვდილს საღ გაექცევი?

— მეტრო „არბატსკაიას“ მიაშურეს ბიჭებმა.

— რა ხშირად გვესმიან თავს. თუმცა — მოჟაისკიდან აქამდე „იუნკერ. სებს“ რამდენიმე წუთი ფრენა სჭირდებათ! მოჟაისკის აეროდრომიდან მოფ. რინავენ.

— აქ შენს მეტროზე უარესი როდია! შეხე, ჭერი ბეტონისაა, როგორ ბომბსაფარში! არ-რა-უშავს! გა-ა-უძლებს!

— რას? ხუთკილოგრამიანს თუ ტონიანს? ანგალი ვინმე ხარ, აი! ზურგზ ჯავშანი გაქვს!

— საღ ჯანდაბაში უნდა გაიქცე? შეგიძლია კარგა ხანს მეგობრებთან ერ. თად წყნარად იჯდე. სიკვდილზე უარესი რაღა უნდა იყოს!

— ეჰ, განგაშზე სირბილი მომბეზრდა!

— მაშ რა ვქნათ? ვისხდეთ?

— რამ გაგაშეშა! — გამხეცებულებმა შეჰყვირეს სარდაფის კუნჭულიდან ოფიციანტს, რომელიც ხმელ-ხმელი, წვერმოშვებული სახით დაბნეული ათვალიერებდა მაგიდებს. — აბა, მოიტა შენი მწვადი, შემწვარი ლანჩა. სანამ ყველანი დავუბომბივართ! აბა, სირბილით!

და ოფიციანტი უკან-უკან გაიქცა სამზარეულოს კარისკენ, თან რატომ. ღაც ჭუჭყიან წინსაფარზე იწმენდდა აცახცახებულ ხელებს. მერე ზურგით გაიხლართა ფარდაში, იდაყვების ფათურით გაძვრა და სუფრაზე მსხდომთა ნერვულ და შემაფუცხუნებელ ხარხარში გავარდა სამზარეულოში. ილიამ ქედმაღლურად თქვა:

— მშიშარა ჭროლა კურდღელი... — და მაშინვე ალმფოთებით მიაძახა ოფიციანტს: — ყური მიგდეთ, ამხანაგო, დავიხოცეთ შიმშილით! რამდენ ხანს უნდა გელოდოთ?

— ასე რის საფუძველზე იხარჯები? რატომ იმაღლებ ხმას უფროსი ადამიანივით? — გაგულისებით გააწყეტინა მთაკაცმა — ის არის მშიშარა? იქნებ იმას წვრილშვილი ჰყავს? ყველანი გმირები ხართ, როცა საულვაშეზე ღინღლა ამოგივათ ხოლმე. ბრექვა ადვილია, როცა კისერზე არც ცოლი გაწევს და არც შვილი! ეჰ. ყმაწვილებო, ყმაწვილებო! გიწვნევიათ კი, რა არის ოჯახის რჩენა?

გმირობითა გაქვთ გამოჭედილი თავი? ომი თამაში გგონიათ! აბა ერთი სიჯეთ და ტანკსაწინააღმდეგო სათამაშოები აკეთეთ დღეში ცამეტ საათს! — მან ყავისფერი კოკრებით დაფარული დიდი მარჯვენა ხელისგული აჩვენა ყველას და დაამთავრა: — აი ამ ეროთი ბუღალტერს კისერს მოვამტვრევდი! მაგ, ვგულისხმობ, აქ ამირებთ გმირობის ჩადენას? თუ მეტროში, გონივრულად?

— დავიხოცეთ შიმშილით,— თქვა ვლადიმირმა, რომელმაც იმედგაცრუებულმა ბიბლიოთეკა დაარღვია.

— რაო? მე კი ისე ვეჭამე, მუცელი გასკდომაზე მაქვს, — საქმიანად განაცხადა ბობრთმიანმა ვანიამ. — თქვენი კამპანია მაინცდამაინც არ შემფერის. მეტროში გავთბები მაინც, ამ სარდაფში კი გაბლიკდება კაცი, არ ათბობენ.

— ჰაიდა, ცინგლიანო!

მთაკაცმა მაგიდიდან მოთელილი ქუდი აიღო და როცა გასასვლელისკენ გასწია, აღმოჩნდა, რომ მაინცდამაინც ტანმაღალი არ იყო, მხრები და კისერი კი უზომოდ ფართო ჰქონდა, მისი გაცვეთილი კირზის ჩექმები გაშმაგებით მიგრუხუნებდნენ ცემენტის იატაკზე გამხდარი ვანიას წეროსებური ნაბიჯების გვერდით. მათ უკან კარი მიიხურა, რის შემდეგაც კირზის ჩექმებმა ფანჯრებს ჩაუარეს, ყმაწვილის წვრილი ფეხებიც მიჰყვნენ, და იმწამსვე (ვლადიმირს ჯერ არც მოეშორებინა ფანჯრისთვის თვალი) ხნიერმა ოფიციანტმა გიჟივით გამოიშლიგინა ფარდიდან, ჩახრაკული ხახვისა და მიმწვარი ხორცის სუნი მოაფრქვია, მათ მაგიდაზე ჩხარუნით ჩამოალაგა ლითონის თეფშები და ორი ჭიქა წითელი ღვინოც ჩამოდგა. ალტაცებულმა ილიამ გაიცინა და შესძახა: „ო! დავურტყათ!" — სიამოვნების მოლოდინში შეიყნოსა ჰაერი, აქაოდა, გველირაა ნეტარებაო, გაფარჩხული კალის ჩანგლით დასწვდა ხახვმიკრული ხორცის ნაჭერს და კბილებით ჩაეფრინდა.

„მაშ, საჰაერო განგაშია?" — გაიფიქრა ვლადიმირმა, რომელიც თავის თავზე ბრაზობდა, რომ ილიაზე უფრო შეაშფოთა ქუჩაში ჩამოვარდნილმა სიჩუმემ და სარდაფში თანდათან მინელებულმა ყაყანმა, მაგრამ როგორც კი სუფრაზე თეფშები გამოჩნდა, მან (სამწვადის ხშირი სტუმარივით) აიღო ხელში ცივი ლიპი ჭიქა და, თუმცა მაშინ ყოველგვარი ღვინო ეჯავრებოდა, ვეკაცურად მოსვა ერთი ყლუპი სითხე, რომელსაც გაყინული რკინის გემო ჰქოლდა, და თქვა: „კაი რამეა!" — მერე მწვადს მიუბრუნდა და მადიანად ჩააკნატუნა.

შემდეგ წუთს სუფრაზე ჭიქები ათამაშდა, ღვინო გადმოიღვარა, თეფშები აზრიალდა: ფანჯრებქვეშ, თითქოს კარიდან ორიოდე მეტრის დაშორებით, გაშმაგებით და გამაყრუებლად დაიქუხეს საზენიტო ქვემეხებმა, გამალებით აკაკანდნენ ტყვიამფრქვეველები, მაგრამ იმავ წამს გრგვინვა-ქუხილმა შეაზანზარა მიწა, ელექტროშუქი სარდაფში მიიბეჟუტა და ჩაქრა. გაორთქლილი ჭერიდან წვიმასავით წამოვიდა მსხვილი წვეთები ,მაგიდებზე თხლაშუნით ჩამოიყარა ბათქაში, ვიღაცამ ყრუ ხმით თქვა: „კრემლს დაარტყა... ახლა კიდევ ჩამოაგდებს..." — და ყველანი გაიტრუნენ. მათ თავზე ქანქარებივით ირხეოდნენ ჩამქრალი ნათურები. ჭერისკენ აპყრობილი მიტკლისფერი სახეები გარინდულიათ, მერე აულაპლაპდათ, თითქოს ცხიმით დაეფარათო, და, შიშით დაელოდნენ ციდან ჩამოვარდნილი მრავალტონიანი სასიკვდილო ბომბით გარღვეული ბეტონის მასის უეცრად ჩამოქცევას.

ვლადიმირმა საშინელი გულისზიდვა იგრძნო. ასეთი რამ უკვე განიცადა: მოქაისკთან მდინარეზე გადასვლისას, მაგრამ, გარდა ამისა, ეს იყო ხარბი ცნობისმოყვარეობა საკუთარი თავის, სხვათა მზერის, ხალხმრავალ სარდაფში სკვ-

ლილის მოლოდინისადმი („არა, არა, ახლა არავითარი ხიფათი არ მოგველის"), და, შექუჩებული ხალხის ჭუჭყიანი ტანისამოსის ამ მეავე სუნის, ცხიმიანი ოფლით დაფარული მათი სახეების, სიკვდილისწინა შიშის ზიზღით დათრგუნვილმა, ილიას შეხედა და, საკუთარი გამბედაობით გახალისებულმა და თან საოსწარკვეთილმა, შესძახა:

— წავიდეთ! ვნახოთ, ქუჩაში რა ხდება!

ILIA CHAVCHAVADZE
BIBLIOTHEQUE

ილიამ ჩანგლით ამოიღო ღვინიან ჭიქაში ჩავარდნილი ბათქაშის ნატეხი, დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, დაუყოვნებლივ გადათვალა სამმანეთიანები, თვალი მოავლო, და ხნიერი ოფიციანტი რომ ვერ ნახა, ფული ამოდო აზრიალებული თეფშის ქვეშ, რომელზედაც მწვადის ნარჩენი იდო, წამოდგა და ბალაგანის მასხარასავით შესძახა:

— პატივცემულო მოქალაქენო, ალბათობის თეორიის თანახმად ბომბი აქ არ ჩამოვარდება! მშვიდად მიირთვით თქვენ-თქვენი მწვადები!

რამდენიმე შეშინებული შეძახილი დაადევნეს უკან: „ეჰე, ბალღებო, უკან დაბრუნდით!" ხოლო როცა სარდაფის მძიმე კარი გააღეს და ზღურბლს გადააბიჯეს, საზენიტო ცეცხლის გრიალით ,ახლო ქვემეხთა სწრაფი სროლით, ძსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ყრუ ხმაურით, საჰაერო ჭურვების ბათქაბუთქით გაყრუებულები მაშინვე შეეფეთნენ პალტოიან კაცს, წითელსამკლაურიან მორიგეს, რომელიც რკინის ფარდულიდან იყურებოდა; თავი აეწია, თვალები მოეჭუტა, თითქოს დამაბრმავებელ შუქს არიდებსო.

— ეჰე!.. არ შეიძლება! სა-ით? — შესძახა მან, კბილები გააღჭრიალა და კარისკენ მიაგდო ისინი. — აგერ იდექით! იქ არ შეიძლება. არ შეიძლება! ვერ ხედავთ, ცენტრს ბომბავს! გამოექცათ ეგ ოხერი, ეგა!

აქედან, ფარდულიდან ისინი ხედავდნენ ქუჩის ნაწილს, ქვის მესერს იქით აღმართულ შიშველ ალვის ხეებს, ხედავდნენ სახურავებს ზემოთ ცის ნაწილს, ღრუბლების თეთრი და შავი ნაფლეთებით რომ იყო დაფარული და ვარსკვლავისებურად ციმციმებდა, და თითქოს ყველგან იფრქვეოდა ზემოდან სუსხიანი თქორი, ბურუსივით იფანტებოდა და დაწიწილაკებული ცეცხლივით ედებოდა იქაურობას, და ყველაფერი, რაც მაღლა ჩანდა, სხვადასხვა მიმართულებით იყო დასერილი საზენიტო ტყვიამფრქვევების ტრასებით, რომლებიც მარაოსავით იშლებოდნენ და იკეცებოდნენ, უკუიქცეოდნენ, ჯვარედინდებოდნენ, ცისკენ ილტვოდნენ, სადღაც ვარსკვლავებსა და კომეტებს შორის ეძებდნენ უხილავ მიზანს ტრასების უსასრულო პუნქტირები გამალებით მიქროდნენ დედამიწიდან, ღრუბელთა პირველ სართულებს მსჭვალავდნენ და ისეთი ნელი ლილისფერი ალითლებით მიცურავდნენ შორს, ციურ სიმაღლეებში, რომ თვალს ვერ მისწყვეტდით ამ ცის მიღმა მოძრავ ცეცხლოვან კონუსებს, ამ ავბედით და არაბუნებრივ ილუმინაციას ქალაქის თავზე. მძვინვარე ფოიერვერკის ტკაცატკუცით, წკრიალითა და გრგვინვით ჩახშობილი უცხო მობუყბუყე ხმა ძლიერ-ძლიერებით აღწევდა იქიდან, ზეცაში აჰქონდა რკინის სიმძიმე და მუქარით ალსაქმე მონაწილეობით გამოირჩეოდა ამ გაშმაგებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სინაღლის მიღმა წამოსული ვარსკვლავთა წვიმის, აფეთქებების გაშმაგებულ და რეტდამსხმელ ზვიმში. და თუმცა მარცხნიდან შორეულ სახურავებს შორის მკრთალი ლილისფერი დაფიონი შემოდიოდა, თუმცა აქ ცას ცეცხლი ედებოდა და ჩვენამდან სულ უფრო მეწამული ფერით ივსებოდა, ვლადიმირი არ გაწიცლდა შემაძრწუნებელ შიშს, თითქოს თავისი უკვდავებაც სწამდა, ხალხისაგ, და გრძნობდა, თუ რა უცნაურად ეჯადოებდა მთელი ეს ავბედითი სი-

ლამაზე, რომელიც ნახტომებით, პარაბოლებით და სინათლის ქაოსის პულსი-
რებით ძლიერდებოდა.

ისიც საკვირველი იყო, რომ მოგვიანებით, ფრონტზე, სავსებით შეიცვა-
ლა დანაკარგი, შემთხვევითობა და განუშორებელი შიში, იგი დროდადრო ჩა-
მოვარდნილ ლამის სიჩუმეში, გუშაგების შემოწმებისას გაჰყურებდა ხოლმე
განთიადს, ჰორიზონტს რომ აფერადებდა, გაჰყურებდა დიდხანს, ეროვნული
გასცქერიან მზის ჩასვლას, და იმ განთიადში იყო მშვიდობა, წყნარი ბინდ-
ბუნდი, აკაციის სურნელი...

მაშინ, მოსკოვში, ვლადიმირი ვერ ხვდებოდა და არც უფიქრდებოდა, საი-
დან მომდინარეობდა ის უხილავი ძალა, რომელიც მას იმორჩილებდა — ინს-
ტინქტებისა თუ ბიოლოგიური თავდაცვის სილრმიდან, თავდაცვისა, რომელიც
უფლებას არ აძლევდა გარკვეულ დრომდე სხვისი უბედურებისა და დაღუპ-
ვის სახით გაეაზრებინა საკუთარი უბედურებისა და საკუთარი დაღუპვის შე-
საძლებლობა, მაგრამ მისი გული აღვსილი იყო საზენიტო ცეცხლის ძლევ-
ამოსილებისა და მხიარული ბობოქრობის შეგრძნებით, და მან აღელვებით
უთხრა ილიას:

— ეშმაკმა დალახვროს, რა დიდებულია!

— მაშ, — გაურკვევლად მიუგო ილიამ და თან რკინის ჩარდახს ახედა,
საიდანაც ხშირი რაკარუკი და ფხაჭუნი ისმოდა. — კულტურისა და დასვენე-
ბის პარკში საშემოდგომო კარნავალია. ერთი შეხედე, რა ლამაზი რამეები
ცვივა ციდან! — და მან საფეხურიდან აიღო საზენიტო ჭურვის გრძელი ნამს-
ხვრევი, ნაცრისფერი ლითონის დაკბილული ნატეხი, დამრეცი ჩარდახიდან
რომ ჩამოვარდნილიყო. — იცი, ვალოდკა, ასეთი რამ ზემო სართულიდან რომ
ჩამოვარდეს და კაცს თავში მოხვდეს, სულს გააფრთხობინებს, ჰოდა, ისე გა-
მოვა, რომ საკუთარმა ნამსხვრევმა მოუღო ბოლო.

ვლადიმირმა ხელით მოსინჯა ნამსხვრევი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაპ-
კარგოდა სითბო და წვეტიანი კიდეებით სჩხვლეტდა თითებს, ერთი ბეწო
კოსმიური სხეულის მპოვნელი კაცის ინტერესით შეათვალიერა და სინანუ-
ლით თქვა:

— საზენიტო ქვემეხები ბევრია, მაგრამ რატომ ერთი მაინც ვერ ჩამო-
აგდეს?

— შენ, სასიამოვნო შესახედაობის ჭაბუკო, ვერა და ვერ მიმხვდარხარ,
რას ნიშნავს „იუნკერსის" ჩამოგდება...

მორიგეს სიტყვა არ დაუმთავრებია, ცად აღაპყრო თვალი, თითქოს მლოც-
ველივით უგდებდა ყურს იმ უგუნურებას, რომელიც კვლავაც ბობოქრობდა
მათ თავზე, ხოლო იქ, რომელიღაც უხილავი საჰაერო გვირაბებიდან, ცის მა-
ღალი კუნჭულებიდან მოწყდა და მთელი სისწრაფით მიწისკენ დაეშვა ტრამ-
ვაი, დაბლა-დაბლა ეშვებოდა გაშმაგებით მომკივანი რელსებით, თან ისე ყუ-
რისწამღებად კვეთდა ჰაერს გიგანტური ლითონის სხეულის ამ კიკილით,
ღრჭიალითა და ღმუილით, რომ შანთივით გახვრიტა ყურები იმ ველურმა
ხმამ, რომელმაც დაფარა მიწა.

შვეული რელსები სახურავებს ზემოთ გაწყდა — ტრამვაი უკვე თავდა-
ყირა მოექანებოდა მიწისაკენ, ოღონდ მისი თვლები რელსებზე ალარ ღრჭია-
ლებდა, ხოლო ლითონის სხეულის ღმუილმა უკიდურეს სიშმაგეს მიაღწია.
მერე რაღაც უზარმაზარი და მძიმე დაენარცხა მიწას, სარდაფის ჩარდახქვეშ
ცემენტის იატაკი შეარყია, და სახლებს უკან გრიგალისებურმა გრგვინვამ

მიწისძვრასავით შეაქანა ქუჩა. აფეთქებამ ცეცხლოვანი ქარბორბალასავით თვალისმომჭრელად გაანათა იქაურობა, ახლომახლო აზრიალდა და დაიმსხვრა შუშები. ქარმა ჰაერში ააფრიალა ქვაფენილიდან ატაცებული ფუნჯის ფურცლები, აფიშების ნაგლეჯები, გაზეთების ნახევები, — რკინის მიგზეულის სითბომ დაჭკრა, თითქოს მიწა გაიპო არბატის ირგვლივ.

და ვლადიმირმა, რომელიც შეზანზარებულმა იატაკმა საფეხურებთან მიაგდო, დაინახა მორიგის გაქვავებულ მზერაში ჩაბუდებული ყრუ შიში, ილიას ფერწასული, ბრაზიანი სახე, მიპყრობილი მეზობელი სახლის დაფერდებული კედლისაკენ, ნაპრალის ზიგზაგს რომ გაეპო და ფასადის ბათქაშქვეშ მდებარე აგურის წითელი წიაღი გაეშიშვლებინა, საიდანაც ნაკადებად იფრქვეოდა მტვერი.

— ა-უჰ, რა დასცხო! — ხმამაღლა თქვა ილიამ და ჩამქრალი თვალები მიაპყრო ვლადიმირს. — აქ რომ ჩამოვარდნილიყო. ჩვენი ბუნდღა აღარ იქნებოდა...

— ააცდინა, — ძლივძლივობით ამოთქვა ვლადიმირმა, რომელიც ცდილობდა აუღელვებლად ეპასუხა ილიასათვის, თუმცა საზენიტო ცეცხლით შექმნილი სანახაობითი აღგზნება წამსვე გაუქრა: საზენიტო ქვემეხმა ხელი ვერ შეუშალა გერმანელთა თვითმფრინავს, რომ ქალაქის ცენტრში ჩამოეგდო გიგანტური და საზარელი რამ, მიწისძვრის დარად რომ შეარყია ირგვლივ მდებარე ქუჩები.

— ჩამოაგდებენ თუ არა იმ ოხერს. — თქვა ილიამ და შეიგინა. — საით ისვრიან ეს ჩერჩეტები?

— ტონიანი... ჩამოაგდო. კრემლს უმიზნებდა, მაგრამ მარცხნივ მოახვედრა... საცხოვრებელს... — ჩურჩულით აცნობა მორიგემ; ნიკაპი უთრთოდა, თვალებში კვლავ ჩაყინოდა შიშისზარი, ხოლო სახურავებს იქით თანდათან უფრო ფართოვდებოდა და იზრდებოდა განთიადი, ჩამომძიმებული ღრუბლები, ქვემოდან დიდი ხანძრის ალი რომ მოსდებოდათ, მეწამულისფრად თუბთუხებდნენ.

— ნუთუ ვერ ჩამოაგდებენ? — შურისმგებლურად თქვა ვლადიმირმა. — რა არის, ბოლოს და ბოლოს?..

ხოლო ცა უწინდებურად გრგვინავდა, მრისხანედ ელავდა ნამსხვრევებით, იმსჭვალებოდა ტრასებით, იხვრიტებოდა ტყვიებით, სულ მთლად დაგლეჯილიყო მოგუგუნე ლითონით, რომლის გარღვევაც შეუძლებელი ჩანდა. მაგრამ ბომბდამშენის ოდნავ გამოსაცნობი ყრუ გუგუნი უკვე იქაურობას ტოვებდა და ნელა მიცოცავდა ცის გავარვარებულ რკინის ტომარაში. თვალნათლივი წარმოდგენა ციური ტომრისა, რომელიც მიწიდან ზენიტამდე მრავალი ტყვიამფრქვევის ჯერით და ჭურვების ნამსხვრევებით იყო გამოტენილი და რომლის გახურებულ სილრმეში თანდათან ნელდებოდა უვნებლად გადარჩენილი თვითმფრინავის ყრუ გუგუნი, შემდგომ დიდხანს სდევდა ვლადიმირს.

...ბინდბუნდში შეიარეს მაშა სერგეევასთან.

წინკარიდან ჩანდა, რომ ოთახი არეულ-დარეული იყო, თითქოს აქ მთელ დღეს ემზადებოდნენ და ვერა და ვერ მომზადებულიყვნენ სამგზავროდ. ალბათ ამიტომ მიიჩნია ილიამ საჭიროდ, რომ ზღურბლზე ეთქვა, დაუპატიჟებლად შემოვიჭერითო, მაგრამ მაშამ გაიცინა, ხელისგულები ნავივით ამოიდო ნიკაპზე, თითქოს ღმერთს უმადლოდა ამ ბედნიერ მოულოდნელ შეხვედრას, და შესძახა: „ოჰ, ბიჭებო, როგორ გამახარეთ, პირდაპირ ვერ წარმოიდგენთ!“ —

ორივეს რიგრიგობით აკოცა ლოყაზე ტუჩებით, რომლებსაც რალაც ტკბილეულის სურნელი დაჰკრავდა, დაულაგებელ ოთახში შეიყვანა და გახარებულმა თქვა:

— ოჰო, რა კარგად გამოვიდა! გაიცანით, გეთაყვა, ესენი ილია და ელენა მირი არიან, ჩემი მეგობრები, გთხოვთ შეიყვაროთ. ძია ედუარდ ... ვოლოდ! დედა, ნახე, ვინ მოვიდნენ ჩვენთან, ესენი ხომ სანგრებში ...

— ძალიან მოხარული ვარ! ძალიან! ყოველმხრივ! უზომოდ სასიამოვნოა ყოველგვარი მნიშვნელობით! — ირონიულად შეეხმიანა შუა ხნის ხმელ-ხმელი კაპიტანი, მაუდის ახალ გიმნასტურაში რომ იყო გამოწყობილი, შინაურულად, უქამროდ, და კვლავ დახარა გადავარცხნილი თმით შენიღბული მელოტი თავი სკამზე მდგარი ჩემოდნისკენ, ეტყობა, ოთახში მიყრილ-მოყრილი ნივთებისა და სურსათის ჩალაგებით იყო გართული. — ჯობს ახლავე მოიფიქრო, ტამარა, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება, — დამაჯერებლად წარმოთქვა მან, ალბათ შეწყვეტილ საუბარს განაგრძობდა და არც ილიას აქცევდა ყურადღებას და არც ვლადიმირს. — დიახ, მოიფიქრე და გადაწყვიტე, ძვირფასო ჩემო! შენ რალაც მთვარეულივით ხარ!..

მაშას დედა, ტამარა არკადიევნა, მსახიობი, დივანზე წამოწოლილიყო. პლედს ზემოთ თეთრი ბეწვის ქურქი ეხურა და იდაყვდაყრდნობილი კითხულობდა კუპრინის სქელ ტომს, ყელი ორენბურგული თივთიკის თავსაფრით შეეხვია, ანგინის დროს რომ იციან ხოლმე (ტუმბოზე სასთუმალთან მოჩანდა ფხვნილები, აფთიაქის იარლიყიანი შუშა), ნატიფი სახე წყლის ფერის ნათელი თვალებით, რომელთა მზერაც ქუჩაში შეხვედრისას ვლადიმირს შიშს ჰგვრიდა, გაფერმკრთალებოდა, გახდომოდა, ნელა მოხამხამე თვალებქვეშ მოლურჯო ჩრდილები ავადმყოფურად ჩამუქებოდა. ტამარა არკადიევნამ ორივეს ალერსიანად გაულიმა, გამომცდელად შეხედა მაშას, და კვლავ ნაღვლიანი ფიქრი ჩაუდგა წიგნსმიპყრობილ თვალებში. აქვე, დივნის ბოლოს იჯდა წელში მოხრილი უცნობი გამხდარი ყმაწვილი, რომლის წვეტიანი მუხლები და ნაღვლიანი მოხამხამე თვალები არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდა კაცს, და ვლადიმირმა გაიფიქრა: ეს ვსევოლოდი ვისი ტიკი-ტომარაა?

— ჰო, ჩემო ტკბილო, ჩემო ოქრო, ჩემო მშვენიერო დაიკო, ჩემო თვალისჩინო, ზეგ უკვე გვიან იქნება! — განაგრძო ხმელ-ხმელმა კაპიტანმა, რომელსაც მაშამ „ედუარდ არკადიევიჩი" უწოდა, და ჩემოდანში ქვედა საცვლების ზემოთ დააწყო ყავის ქილები, შოკოლადის ფილები, კაკაოიანი შედედებული რძე; ეს იყო მთელი ომამდელი სიმდიდრე, რომელიც მომხიბლავი იარლიყებით ბრწყინავდა. — ის, რომ ხვალ დილით იუგოსლავიაში მივფრინავ, არც გაქცევაა და არც ევაკუაცია. ეს გარემოებათა ბედნიერი დამთხვევაა, და მე მიხარია, რომ რალაც მომენტამდე გადავიღებ პარტიზანთა მოქმედებას. რალაც მომენტამდე, გესმის, ჩემო დაიკო?

— რას ნიშნავს „რალაც" მომენტამდე? — შეეკითხა ტამარა არკადიევნა, რომელსაც წიგნისთვის თვალი არ მოუწყვეტია, და ატლასივით წარბებს შორის ნაოჭი გაუჩნდა. — მართლა აგრე მიგაჩნია?

— მე მიმაჩნია, ჩემო ოქრო, რომ ახლა... აი ამ დღეებში თითოეული წყვეტს თავის ბედს... არსებითად ჩვენ ტრაგიკული დილემის წინაშე ვართ...

ამ დროს მაშამ თქვა:

— ნუ მოვისმენთ შემზარავ კამათს. გუშინდელიდან ჩვენს სახლში დაიწყო აურზაური, თითქოს გერმანელები მოსკოვში შემოვიდნენ. მე კი არ მჯერა,

არ მჯერა, არ მჯერა, სასაცილოდაც კი მიმაჩნია ამ ტრ-რაგიკული დილემების მოსმენა. მოდი ბიძაჩემის შოკოლადი ვჭამოთ და, გეთაყვა, მოჭყევით, მოჭყევით, რას შვრებით, როგორა ხართ?..

მაშამ ხელი წამოავლო მაგიდაზე დადებულ შოკოლადის გახსნილ ფილას, საუცხოო ვერცხლის თხელ ქაღალდში რომ იყო გახვეული, ... წიგნის თაროებთან მდგარ რბილი, ხავერდისგადასაფარებლიან ტახტთან მიიყვანა (ეს იყო მისი კუთხე ამ ნაძერწჭერიან დიდ ოთახში), სავარძლებში ჩასვა, თვითონ ტახტზე წამოსკუპდა და, მხიარულად წარბშეჭმუხნილი, მოჭყვა ტკიცინა ვერცხლის ქაღალდში გახვეული შოკოლადის ფილის თანაბარ ნაწილებად დაყოფას.

— ბიძაჩემი კაი კაცია; კინოქრონიკასთან ერთად იუგოსლავიაში გზავნიან და, რაც მთავარია, მეფური მშრალი ულუფა მისცეს, — ჩურჩულით თქვა მან და თან მოცინარი ნაცრისფერი თვალებით ანიშნა ედუარდ არკადიევიჩზე, რომელიც მკვირცხლად ჩურთავდა ჩემოდანში ნივთებს. — აჰა, გამომართვით და რამდენიც გინდათ ჭამეთ. იცოდეთ, „ოქროს იარლიყია“, გახსოვთ, ეს ფილები საუცხოო მარაოსავით რომ ეწყო სერპუხოვკის საშაქარლამოების ვიტრინებზე? ახლა კი — ფაფუ! ვერ მოგართვეს!.. როდის დაბრუნდით, ბიჭებო? გუშინ? დღეს? როდის? თქვით, რა!..

— წუხელ, — მიუგო ილიამ. — თან, როგორც ხედავთ, სრულიად ჯანმრთელები. და გადავწყვიტეთ შენ მოგვენახულებინე.

— ძვირფასებო, რა საამოა თქვენი ყურება! სახეებიც როგორ გაგიუხეშდათ, გაგერუჯათ! როგორც წითელარმიელებს!..

მაშამ დასტვინა, დამტვრეული ფილის თითო-თითო ნაჭერი ჩაუდო ორივეს ხელში, და ვლადიმირმა იგრძნო შოკოლადის თბილი სურნელი, რომელიც მაშას უსახელო ზედატანის საამო ბეწვის სუნს შეერია, როცა იგი მათკენ დაიხარა და სახეზე შეთქმულურ-ანცური ღიმი აუთამაშდა, მოაგონდა ომამდელი დეკემბრის საღამო, ქარბუქი და ყინვა ქუჩაში, გამოცივებული ჰოლანდიური ღუმელი, ამ ოთახის ზამთრისეული სიჩუმე, ორივენი რეტდასხმული რომ იწვნენ მტვრითა და სუნამოთი გაჟღენთილ ხალიჩაზე (ხალიჩა ახლაც ეგო ოთახში), გული შეეკუმშა, როცა მოაგონდა მისი მკვრივი და ნაზი ტუჩების შეხება, და ჟრუანტელმა დაასხა ვლადიმირს არაფერი დავიწყებოდა ორი წლის წინანდელი ბედნიერი საღამოდან, მაშას კი თითქოს არაფერი ახსოვდა, და მის გამოხედვაში, ხმაში, ღიმილში ოდნავი ანარეკლიც კი არ იყო მათ შორის იმ ალბათ ჯერ კიდევ ბავშვური გაურკვეველი სიახლოვისა, რის შემდეგაც მაშას აღარასოდეს მიუპატიჟებია თავისთან.

— მე არ მიყვარს შოკოლადი, — თქვა ვლადიმირმა, რომელიც გულის სიღრმეში უნებურად ეწინააღმდეგებოდა ყოველივე იმას, რასაც აკეთებდა ან რაც შეიძლებოდა გაეკეთებინა ახლა მაშას, და გაიფიქრა: აი რატომ ჰქონდა ტუჩები ტკბილი, როცა ორივეს ლოყაზე გვაკოცა, და განზრახ უხეშად დაუმატა: — ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ჭამო ასეთი გულისამაჩუყებელი სულელური რალაცა?

— მე კი მიყვარს, მომეცი აქ. — ხუმრობით და უპირატესობის გრძნობით თქვა ილიამ, ასევე ხუმრობით გამოართვა მისი წილი, შოკოლადის ნაჭრები შეაერთა და ისე ხმაურით და მადიანად მოაკვნიტა, რომ მაშამ ყურები თითებით დაიცო და მისთვის ჩვეული გაჭიანურებით თქვა:

— ჰოი, საცოდავო მეეტლევ მეცხრამეტე საუკუნის პეტერბურგის ტრაქ-

ტირიდან! შეიბრალე საზოგადოება, შოკში ნუ აგდებ ქალიშვილებს! კარგი, თავი დაანებე სისულელეებს! (და ილიამ იმწამსვე მიიღო პრანჭია ქალიშვილის სახე, აზიზად ღეჭავდა და ზიზღით, ჭირვეულად პრუწავდა ტუჩებს). კარგი, თავი დაანებე, თავი დაანებე, თორემ სიცილის მაგივრად ავტირდები. (მან გადახედა ედუარდ არკადიევიჩს, დედას, და თვალებში ვედრება აუკიაფდა) გვიამბეთ, გეთაყვა, რა ნახეთ იქ? ცოცხალი გერმანელი მაინც [illegible] ამბობენ, უკვე... არა, მოიცა, ილუშა, სავარცხელი მომაწოდე, ხომ გაქვს? რა საშინლად მოგზრდიათ წვერი სანგრებში! პაპუასებს ჰგავხართ! მეშინია, რომ გიყურებთ! ახლავე მომეცი სავარცხელი!

ილიამ დაუდევრად მოიჩხრიკა ჯიბეები, რა თქმა უნდა, კვლავ ხუმრობით განაგრძო დაწყებული თამაში, მიაწოდა სავარცხელი, ჯერ გაზვიადებული გალანტურობით შეუბერა, რითაც კვლავ გამოხატა მორჩილება, ხოლო მაშა ტახტიდან ჩამოხტა, სავარძელში მჯდომარეს მიუახლოვდა, და ნელა დაუწყო შავი თმის უკან გადავარცხნა თვალმაქცურად მორჩილი, უძრავად მჯდარი ილია იღიმებოდა და თან სულ ახლოდან უცქეროდა ოქროს ღილს, მეთაურის უსახელო ზედატანზე რომ ეკერა მაშას, ზედატანზე, რომელიც ახალი ბეწვის საამო სურნელს აკმევდა. და მაშას ამ უჩვეულო თავისუფალ მოქცევაში, თითქმის მუხლებით რომ ეხებოდა ილიას და მას შეეძლო გულგაღეღილ ზედატანქვეშ დაეკოცნა მაშას სვიტრი, რომელსაც მისი სუნი უდიოდა, იყო რაღაც დამათრობელი წამება, მოჩვენებითი მანკიერება, ისევე როგორც ნეტარ სიზმარში, ახალი წლის წინა დაკემბრის ღამეს რომ ნახა ვლადიმირმა ერთხელ. ილია, ეტყობა, არ იცნობდა ამ გრძნობას, აუღელვებლად ეანცებოდა მაშას და, როგორც ყოველთვის, სრულიადაც არ ცდილობდა მოენადირებინა მისი გული — გარკვეული ხნიდან აღარ აინტერესებდა „სკოლის ბაღში სკამზე მსხდომთა უწყინარი ძახილი“, — და, ცხადია, არც ამ წყნარ ოთახში გატარებული ზამთრის საღამოს ამბავი იცოდა, როცა მაშა ასე ჩინებულად ცდილობდა ეთამაშა თავის მიერ წარმოდგენილი თავქარიანი ქალი, ხოლო მისი ალერსით მთვრალი ვლადიმირი რეტდასხმული კოცნიდა მის ბატარა მკერდს, ხაკერდოვან ჟრუანტელის მომგვრელს.

— აი, ასე ჯობს. ახლა თანდათან უფრო გცნობ, — გაიგონა მაშას ხმა და დაინახა, თუ მის თვალთა შუქმფინარი სიწმინდე წამით როგორ შეუერთდა ილიას მზერაში გამომკრთალ ქედმაღლურ ღიმილს, და იგი ვლადიმირისკენ მიბრუნდა ,ხელი შეახო თმაზე. — შენც? რატომ მიყურებ აგრე?

— მე? სულაც არ გიყურებ. — პირი მოარიდა და, ნათქვამის უნებური სიმკვახის გასამართლებლად ბრაზით თქვა: — არ მიყვარს, როცა კატასავით მვარცხნიან.

— მე თუ კატას გავონებ, განსაცვიფრებელი დაკვირვების უნარი გქონია. — ილია სავარძელში მიესვენა და მოურიდებლად ათვალიერებდა ოთახს; მან სწრაფად იცოდა გაშინაურება და ჰქონდა საშურველი თვისება — ნებისმიერ ვითარებაში გადაელახა წინააღმდეგობა და უხერხულობა — მაშა, დილიდანვე დავეხეტებოდით მოსკოვში, შემოვიარეთ, რომ გაგვეგო, ხომ არ გამგზავრებულხართ უკვე. მთელი ეზო დაცარიელებულია. ყველანი გაიხიზნენ. შენ არ მიდიხარ?

— არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. თუ წავედით ,მხოლოდ დედასთან ერთად, როცა გამოჯანმრთელდება, — ჩაილაპარაკა მაშამ, ტახტზე ჩამოჯდა და ხალვათ უსახელო ზედატანში გაეხვია. — ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე. არ მინდა.

არ მინდა. ჯობს მითხრათ, ბიჭებო, რა ხდება მოსკოვის აბლოს? ნუთუ ასე საშიშია?

პასუხის მოლოდინში ნიკაპი გაუსვა ბამბულას ბეწვს. ვლადიმირმა გაიფიქრა, რომ მაშას ტუჩები გაეკინა, წარმოიდგინა მათი გრილი ალუბლისებური სიმკვრივე, შინაგანი ენერგიით შეიგრძნო მისი ხმა, მისი სახის, მისი მუხლების სიახლოვე, მუხლებისა, რომლებიც შალის ... ოდნავ მსხვილი მოუჩანდა, და სიხარულის ენუანტელმა დაუარა, მის ყოველ დანახვაზე სუნთქვას რომ უკრავდა... მაგრამ ეს ენუანტელი, დღესასწაულის მოლოდინს რომ ჰგავდა, და ამავე დროს უბედურების წინაგრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გონებას ურევდა და ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ენამკვახესა და უხეშს ხდიდა.

ილია ნახევრად სერიოზულად მოუყვა, როგორ თხრიდნენ მოჟაისკთან სანგრებს, როგორ იჭერდნენ ერთ ღამეს ყანაში, ნიჩბებით შეიარაღებულნი, თვითმფრინავიდან გადმოსხმულ გერმანელ დივერსანტებს, რომლებიც ვერა და ვერ დაიჭირეს; ისიც უამბო, ერთი კვირის წინ განგაშზე ყველანი რომ წამოყარეს, ტანკებით გარემოცულებმა მსროლელთა რომელიღაც უკუქცეული პოლკის ნაშთებთან ერთად ალყას რომ თავი დააღწიეს და ტყე-ტყე წამოვიდნენ მოსკოვისაკენ...

— ო, ჰერაკლეებო და ალექსანდრე მაკედონელებო! ო, ჩვენი დროის გრანდიოზულო გმირებო! — გაოფლილი შუბლის სრესით წარმოთქვა ედუარდ არკადიევიჩმა და ჩაულაგებელი ჩემოდნიდან მკვეთრად შემობრუნდა მაგიდისაკენ, სირჩა კონიაკი დაისხა, გამობურცული თვალები წამებულივით მიაპყრო ჭერს, დალია, გრანდიოზულო ჰერაკლეებოო, ერთხელ კიდევ თქვა და კვლავ წამებულივით მოჰყვა შუბლის სრესას, თვალების მიბნედას, ოთახში მაგიდასა და დივანს შორის სიარულს, სადაც, ბლედ და ქურქწახურული ტამარა არკადიევნა, ფიქრში წასული, ნაღვლიანად კითხულობდა წიგნს. — თქვენმა გრანდიოზულმა ნაამბობმა სული შეძრა, ჭაბუკებო! — წარმოთქვა უცებ, თან რამდენადმე მანერულად და ნაღველნარევი გესლით იჩლექდა ენას. — ბავშვობისა და ყრმობის რა საოცარი ხანაა! წინ, რა თქმა უნდა, ორი ბედნიერი ცხოვრებაა, ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა კი უსასრულოა! ყველა მეგობარი ლამაზი, კეთილშობილი და უკვდავია, მტრები კი ფეხმრუდები, დინგმრუდები და უძლურნი არიან! ნეტავ ერთ დღეს, ერთ საათს, რამდენიმე წუთს მაინც მაცხოვრა ბავშვობის ამ ლამაზ, საგსებით გრანდიოზულ მდგომარეობაში! ცისფერ და ლაჟვარდოვან სიზმართა საშოთხეში! აი, ბედნიერი ხანა, როცა ამქვეყნად ყველაფერი ზღაპრივით გეჩვენება! გესმის, ტამაროჩკა, ძვირფასო? ჭეშმარიტად არ მსურს ვიყო ასაკოვან, გონივრულ, პრაქტიკულ მშვენიერებაში, მაგრამ ბავშვობა კი მსურს, უფალო, მომიტევე ამაო ოცნებისათვის! ხანავ საამოვ, ორთავ თვალთა მომჯადოებო! მგონი, პუშკინს აქვს ასე, ჩემო ბიჭუნებო?

— თქვენ სცდებით, — პირქუშად მიუგო ვლადიმირმა და გაწითლდა. — პუშკინს აგრე არა აქვს, „დროვ შემოდგომის, ორთავ თვალთა მომჯადოებო“. თანაც... რომელი „ბიჭუნები“ ვართ ჩვენ?

— განსაკუთრებით მოსწრებულად თქვით ცისფერსა და ლაჟვარდოვან სიზმრებზე, — ვლადიმირის მხარდასაჭერად ჩაურთო ილიამ. — ბიჭუნებისა და პუშკინის შესახებაც.

— ბიძია! — შესძახა აღშფოთებულმა მაშამ. — რატომ უგდებთ ყურს

ჩვენს ლაპარაკს? უცნაურიც კია, სამარცხვინოც. თქვენ სულაც არ შეგფერით და... საერთოდ, საერთოდ რატომ ამბობთ აგრე?

ედუარდ არკადიევიჩმა ნაძერწი ჭერისკენ აღაპყრო ხელები, გაბრაზდა და წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა.

— მომიტევე, მომიტევე, ღვთისსწორო დედოფალო ყირგიზ-კისელთა ურდოსი! შემთხვევით მოვკარი ყური, გრანდიოზული ვირი ვარ, ეს ალბათ, თუ სასმენელნი ჩემნი ძლიერ განათლებულნი არიან, ძვირფასო ჩემო! — მკვირცხლად მიუბრუნდა მაგიდას, კონიაკის ბოთლი აიღო, მაგრამ, სანამ დაისხამდა, გამობურცული თვალები მიაპყრო ილიას და ვლადიმირს. — ხომ არ ინებებთ, ყმაწვილკაცებო, ერთმანეთს მივუჭახუნოთ კაი სომხური კონიაკით სავსე სირჩები? უკაცრავად პასუხია და მეორე დღეა მისკენ ებმა თავი, ხოლო კონიაკი ზოგჯერ შველის. გნებავთ? ჰო, არა, მესმის, ჯერ ადრეა, მოვა დრო და ყველაფერს შეიცნობთ, იწვნევთ შეცნობის სიმწარეს, უდიდეს ნაღველს და სევდით მოცულნი იფიქრებთ საკუთარ ყოფაზე! ო, შესანიშნავია, მზის სურნელი დაჰკრავს!.. — ამოიკვნესა მან, პატარ-პატარა, საჭაშნიკო ყლუპებით გამოსცალა სირჩა და მადიანად მიაყოლა შოკოლადის პატარა ნატეხი, თან ქამარშემოურტყამი გიმნასტურით მიმოდიოდა ოთახში. — ჰო, სიტყვამ მოიტანა და წარსულისა და აწმყოს შესახებ, — წარმოთქვა მან და მოქნილი თითებით სწრაფად მოისინჯა შუბლი, თითქოს ამოწმებდა, გაუარა თუ არა ბოლოს და ბოლოს თავის ტკივილმა. — ჰო, სად არის წარსული, საამო, ომამდელი მოწმენდილი დილა? წარსული — ეს მეტაფორაა. აწმყო ბნელი, მოლუშული და ტრაგიკულია თავისი შეუცნობლობით. მომავალი არავინ უწყის. ოჰ, ეშმაკმა წაიღოს, როგორ მტკივა თავი! არც პირამიდონი მშველის და არც კონიაკი, თუმცა გუშინ თავი შევიკავე და მეხანძრესავით წვეთი არ დამილევია! არ დამილევია, არა! ეს ნერვულ ნიადაგზეა, აბსოლუტურად ნერვულ ნიადაგზე! ქალური ამბავია! ფროიდისტული! არ შემიძლია დავივიწყო, არ შემიძლია. ტამარა, დილით ერთ ჩემს მეგობარს რომ ველაპარაკე. სტუდიიდან რომ მოვდიოდი ,სახლში შევუარე. წარმოიდგინე სურათი: ამას წინათ კოხტად გამოწყობილი, სასიამოვნო, სუფთა, ახლა პირგაუპარსავი, ჭუჭყიანი მხვდება, თექურები აცვია, ზის სავარძელში ღუმელთან და რაღაც ქაღალდებს და ფოტოსურათებს წვავს. თვალები დასწითლებია, გიჟს მიუგავს. სულ ერთსა და იმავე სიტყვას დუდუნებს: „სიცრუეა, სიცრუე!..“ გრანდიოზული უაზრობაა, სცენა დოსტოევსკიდან. ეშმაკნი! მისი ვაჟიც — საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი, ბავშვობიდან პოლიომელიტის შემდეგ დაკოჭლებული, ჭკვიანი, ლამაზი ბიჭი, ჰოლანდიური ღუმლის ახლოს ზის და ქაღალდებს ხევს; და ორივეს, იცი, საშინელი კი არა, მაჩვზღარბივით სახეები აქვთ. „აბა, ჟენეჩკა, ვეკითხები ,მიდიხარ ალმა-ათაში თუ რჩები ,ძვირფასო?“ მან, იცი, რაღაც სულელურად, ბოთესავით გაიცინა. „წუხელ, — მეუბნება, — მორიგეობამ მომიწია და კარგად, ძალიან კარგად დავინახე, როგორ დანაღმეს მდინარე მოსკოვზე გადასასვლელი ხიდი. ჭიშკართან საბარგო მანქანა იდგა, ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ყუთებით დატვირთული, — ესე იგი, აბსოლუტურად ყველა ხიდი დანაღმეს. და არა მარტო ხიდები. ლუბიანკაზე და ცენტრში არქივებს წვავენ. ესე იგი, ომი წაგებულია, მოსკოვი განწირულია. რაც შემეხება მე, — ამბობს, — მე აბსოლუტურად არაფერი არ მწამს! შეუძლებელია გააერთიანო ადამიანთა ჯოგი, როცა თითოეული მათგანი თავისთვის იგლეჯს ლუკმას, ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო. ღატაკებს ლოზუნგი გადმოუგდეს:

„დასცხე მდიდრებს, ექსპროპრიაცია უყავი, ჩამოართვი!“ ჩამოართვეს. ექსპროპრიაცია უყვეს, დაანაწილეს, — გაუმჯობესდა რამე?“ და ასე მეუბნება: „მე და ჩემმა ბიჭმა გადავწყვიტეთ: ვრჩებით. მე უპარტიო ვარ, ხოლო მიშა კომკავშირელია, რას იზამ, სხვა დროა, სხვა სიმღერებია. მიშა კომკავშირულ ბილეთს მიწაში ჩაფლავს და იმუშავებს მშვიდად“. და, იცი კოტლი და საცოდავი მიშენკა თავს უქნევს: „ჰო, ჩავფლავ და ვიმუშავებ!“ უგუნურება. აპოკალიფსური კოშმარი! არ შემიძლია, ტამარა, თავიდან არ მშორდება ჟენიასთან ლაპარაკი, ვერ წარმოიდგენია, როგორ გადაწყვიტა! გაგიჟდება კაცი! თუმცა.. — ედუარ არკადიევიჩმა საფეთქლები მოისრისა, გვერდებიდან გაქაჩლებულ ადგილზე გადმოტანილი თმა აიჩეჩა და გაჩუმდა, თან დის თავს ზემოთ ნაღვლიანი ფერფლისფერი თვალები მიეშტერებინა სივრცის რომელიღაც წერტილისათვის. ტამარა არკადიევნამ წიგნს თვალი მოაშორა და ახლა უსუსურად უცქეროდა, თვალებით ეეედრებოდა სააშკარაოზე არ გამოეტანა ის, რაც უცხო ადამიანებს არ უნდა სმენოდათ და სცოდნოდათ. — თუმცა, — განაგრძო ედუარდ არკადიევიჩმა, რომელსაც უგულისყურო განდგომილება ეუფლებოდა, — თუმცა ვითარება უაღრესად ტრაგიკულია! — თქვა მან და პირი მოარიდა. — გაუგებარი, უაზრო, გონებისათვის მიუწვდომელი! თექვსმეტ ოქტომბერს გვაცნობეს, გერმანელებმა ფრონტი გაარღვიესო, და პანიკა დაიწყო. გერმანელები აქვე არიან — წარმოგიდგენიათ! კალუგა აიღეს, ისინი მოსკოვის აგარაკებზე არიან... ელექტრომატარებლებში გერმანელი ჯარისკაცები სხედან და ფეხსაცმელს იცვლიან — გრანდიოზული სურათებია! ეს ხომ შეუძლებელია, შე-უძ-ლე-ბე-ლი! მოსკოვში ეგრეთ წოდებული უკანასკნელი ევაკუაციაა, გააქვთ ქარხნები, ადამიანები ფუთააკიდებულნი გარბიან. გორკის ქუჩაზე. ძარცვა დაიწყო, დაგვიფაროს ღმერთმა, თუმცა ყველა კუთხეში გამოკრულია გენერალ სინილოვის ბრძანებები. პირდაპირ ქუჩებში ხვრეტენ პროვოკატორებსა და მძარცველებს. გერმანელები კი გვიტევენ. ხვალ შეიძლება მოსკოვში იყვნენ. ხვალ! არავინ არაფრის გარანტიას არ იძლევა! ხვალ?.. თუ ზეგ?.. გრანდიოზული კოშმარია! რა გამოვიდა? როგორ გამოვიდა? ვინ მოგვცემს პასუხს?! — ჩამწყდარი ხმით ალმოხდა ედუარდ არკადიევიჩს და შთამაგონებლად ალაპყრო ჭერისკენ ხელები. — იყავი მზად შრომისა და თავდაცვისათვის. ყველაზე წინ, ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად. რამდენი გრანდიოზული სიტყვა თქმულა! რა გამოვიდა? გერმანელები არხს მოადგნენ, ისტრის წყალსაცავთან არიან, ხიმიკების ახლოს. შეგიძლია მიპასუხო, ძვირფასო ტამარა? შეგიძლია ამიხსნა — როგორ მოხდა? თქვენ კი შეგიძლიათ მიპასუხოთ რამე, ნორჩო კომკავშირლებო? როგორ? რანაირად?

— ჩემი აზრით, შენ ალარ უნდა დასვა კითხვები, — უთხრა ტამარა არკადიევნამ დაბალი, ჩახრინწული ხმით, თან შეშფოთებით გაისწორა კისერზე თივოიკის ორენბურგული თავსაფარი. — ოლონდ ბავშვებს თავი დაანებე, გეთაყვა .მათ არაფერში მიუძღვით ბრალი.

— გთხოვ გამიგო! — კაცმა მწიკვი მიიდო შუბლზე, მერე მოიშორა და თითები გაშალა. — არც შენი დარჩენა შეიძლება აქ და არც მაშასი, ეს უგუნურებაა, რომლის ახსნაც არ შეიძლება! შენი ანგინა და შენი ბედი — სასაცილო არ არის? სძლიე საკუთარ თავს, მშვენიერო დაო! შიმშილში, სიცივეში და გაურკვეველ ყოფაში აქ დარჩენას თუნდა ერთი კვირით ორი ქალისათვის სერიოზული სახსრების გარეშე... ორი ქალისათვის თითქმის დაცარიელებულ სახლში — ეს არა მარტო რისკია, არამედ თვითმკვლელობაც! წარმოიდ-

გინე უფრო ცუდი რამ — თქვენ ვერ მოასწარით გამგზავრება, მოსკოვში კატასტროფა მოხდა. რა საბსრებით იცხოვრებთ თქვენ — გაყიდით საყურეს, ბეჭდებს, ძველმან-ჩვრებს? სადამდე გეყოფათ? მერე? არბატის პანელზე გაბვალთ? ჰო, კარგი, მაპატიე! მე ვლელავ, რა თქმა უნდა, მაგრამ არსი, ანე თუ ისე, ერთია. ახლა მოსკოვში ანგინით ავადმყოფობა ხომ დაუშვებელია ეფიენებაა! ტაშკენტს უნდა გაემგზავრო, ძვირფასო ჩემო, ხვალვე! უნდა გაემგზავრო!

— არ შესმის, ბიძაჩემო, — წყნარად თქვა მაშამ, თან ბეწვის უსახელო ზედატანში ჩაიფუთნა, თითქოს სიცივემ აიტანაო. — თქვენ ამბობთ, თითქოსდა ხვალ... ხვალ მოსკოვში გერმანელები შემოვლენ. ნუთუ თქვენ ასე ფიქრობთ? რა, ისინი მართლა შემოვლენ?

— მაშა, ჩემო ძვირფასო დისწულო! — შესძახა განცვიფრებულმა ედუარდ არკადიევიჩმა. — ეს თვით ღმერთმაც არ უწყის! არც არავინ იტყვის, არც წინასწარ გვაცნობებს, სამწუხაროდ, თუნდაც გერმანელთა ტანკებმა მოსკოვს ალყა შემოარტყან და გზები გადაჭრან! მაგრამ ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ მდგომარეობა ფრიად სერიოზულია, რის მსგავსიც ჩვენს ხსოვნაში არ ყოფილა! დიახ, მაშენკა, ჩემო ნორჩო, მომხიბლავო არსებავ, შენს ასაკში ადამიანი უდრეკი ოპტიმისტია, მაგრამ ასეთ დღეებში უზრუნველად ყოფნა მომაკვდინებელი თავქარიანობაა!.. შენ გესმის, მაშენკა, რას ნიშნავს, რომ ქალები დარჩნენ ქალაქში, სადაც, შესაძლოა, ქუჩის ბრძოლები დაიწყება! ქანა დარკვით ბარიკადებზე გაბვალთ? მსახიობი ქალი და გოგონა — მამაცი მეომრები!..

ედუარდ არკადიევიჩის სიტყვები, მისი ენერგიული თითებისაგან, რომლებითაც ხან მაღალ შუბლს ისრესდა, ხან ნერვულად და ხანგრძლივად ატკაცუნებდა, როცა ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი, მისი ხმიდან, თითქოს შხამიან ნემსებს რომ აბნევდა თავის ირგვლივ, შიშს გამოხატავდა — და ვლადიმირს ფალიასავით აენთო გულში მისდამი მტრობა. ილია თვალმოჭუტული შეჰყურებდა ედუარდ არკადიევიჩს, სულგანაბული უსმენდა, მის არც ერთ სიტყვას არ უშვებდა, პირიც მოთმინებით მოეკუმა, თითქოს ისეთ ბრძოლაში იწვევდნენ, რომელშიც მაშინვე არ უნდა ჩაბმულიყო. ვლადიმირმა ველარ მოითმინა:

— თქვენ მშიშარა ხართ და მეტი არაფერი!..

(ო, მრავალი წლის შემდეგ ვლადიმირი აღარ იტყოდა ამას, მაგრამ მაშინ, ორმოცდაერთი წლის ოქტომბერში კიდევ გააჩნდა ის გულწრფელი სიწმინდე, სიჭაბუკის ის გულუბრყვილო რწმენა ადამიანთა სამყაროს სამართლიანობისა და პატიოსნებისადმი, რომელიც შემდეგ ოთხ წელიწადს აგიზგიზებდა თავგანწირვის კოცონს).

— გმადლობთ, ჭაბუკო, გმადლობთ! მე მშიშარა ვარ? შესანიშნავია, ჩინებულია! — ოდნავ დაცინვით უთხრა ედუარდ არკადიევიჩმა და თავი დაუკრა, რის გამოც ნაადრევ მელოტზე ხელოვნურად გადაფარებული თმა ჩამოუვარდა, მერე კი მშვიდობიანად განაგრძო: — თქვენს ასაკში, მეგობარო, ჩემი ახლანდელი ასაკის ყველა ადამიანი გამობენტერებულად მიმაჩნდა. ეს სიტყვა მაშინ მოდაში იყო. ასე რომ მე თქვენ სავსებით თანაგიგრძნობთ! — მან ისევ დაუკრა ვლადიმირს თავი და ირონიულად მადლიერება გამოასხივა, რის შემდეგაც ტამარა არკადიევნას სასთუმალთან შეჩერდა და მგზნებარე, დამაჯერებელი ტონით წარმოთქვა: — მაგრამ რა მშიშარადაც არ უნდა წარმოვუდგე ახალგაზრდა გმირებს, მაინც დაჟინებით მოვითხოვ, ჩემო დაიკო, შენს გამგ-

ზავრებას დილის მატარებლით! და გეკედრებით დღესვე მოემზადოთ. ა! მომეცი, მომეცი, გეთაყვა, მე თვითონ ვნახავ! შენ დაუსრულებლად იზომავ სიცხეს! — სწრაფად გამოსტაცა თერმომეტრი, ორჯერ დაბერდა ულოგბლად და, გაოცებულმა ,მხრების აჩეჩით ჩაილაპარაკა: — ძვირფასო! [illegible] ვიცი, რა ვქნა! ოცდაჩვიდმეტი და ცხრა. მაგრამ საკუთარ თავს [illegible] აიძულო, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტო! გაიგე, ამის გ[illegible]ძლებელი იქნება!..

ტამარა არკადიევნამ იდაყვზე წამოიწია, წარბები მოეღუშა.

— შენც გამიგე — უთხრა და საბრალოდ ამოიოხრა. — მეშინია... მინდა გავემგზავრო, მაგრამ არ შემიძლია. მთელი კვირაა მტანჯავს მაღალი სიცხე. დავუძლურდი. სადმე გზაში მოვკვდები. გინდა, რომ სადმე სოფლის სასაფლაოზე დამმარხონ?.. ძალ-ღონე გამომელია, ედუარდ...

— გრანდიოზულია! მშვენიერია!.. მაგრამ ბავშვები? — შესძახა ედუარდ არკადიევიჩმა და აცახცახებული თითები გაფარჩხა. — ეს ხ-ხომ უგუნურებაა, სიგიჟეა! ბავშვებთან ერთად უფსკრულის პირას დარჩენა!.. რა ეშველება ვსევოლოდს? მაშას? გიფიქრია ამათი ბედის შესახებ?

ვსევოლოდმა, სახედამუწუკებულმა, ნაღვლიანმა ყმაწვილმა, სულ ტამარა არკადიევნას ფეხთით რომ იყო მოკუნტული და შიშით ატანილი ისმენდა ედუარდ არკადიევიჩის უსასრულო შეშფოთებულ საუბარს, უეცრად ლოყებზე მიიდო პატარა მუშტები, აცახცახდა და ბავშვურად აზმუვლდა. თან სულ დაბლა და დაბლა იხრებოდა მუხლებისაკენ, თითქოს ვილაცა ქეჩოში აწვებათ, და ჩურჩულით იმეორებდა: „მერე მე? მე რაღა მეშველება?“ და ვლადიმირმა დაინახა, როგორ დაუმანჭა ზიზღმა სახე მაშას, რომელმაც აღშფოთებით შეჰკივლა:

— გაჩუმდი, გეთაყვა, ვსევოლოდ! სირცხვილია იმის ყურება, თუ როგორ ემზეკესები ქალაჩუნას! თქვენც ნულარ გვტანჯავთ, ბიძაჩემო! სანამ დედა არ გამოჯანმრთელდება, მანამდე არსადაც არ გავემგზავრებით! თქვენ საშინელი რამ მოგიფიქრებიათ. ჩვენ ჯერ აქ ვიქნებით, ვსევოლოდიც ჩვენთან დარჩება! ახლა კი გაჩუმდით, თორემ ავკივლდები და ლაპარაკს არ გაცლით! აი ასე, გესმით? — მაშამ ყურისწამღები კივილი მორთო, მერე ნაძალადევად გაიცინა, სწრაფად წამოხტა, დივანზე დედასთან გადაჯდა, გადაეფოფრა, ამშვიდებდა, მხრებზე ხელს ჰხვევდა, თმას უკოცნიდა (ტამარა არკადიევნამ თვალები დახუჭა, კედლისკენ გადაბრუნდა და ასლუკუნდა, და ვლადიმირმა გაიფიქრა, რომ ისა და ილია აქ ზედმეტი, უდროოდ მოსული სტუმრები იყვნენ, და, რათა ნანახი უსიამოვნებისაგან თავი დაეღწია და აღარც მაშას თავგანწირული კივილი გაეგონა, ახლაც ყურებში რომ ედგა, მეტისმეტი ბუნებრიობით უთხრა ილიას:

— სალუტი ხომ არ აჯობებს?

ეს იყო სკოლაში ცნობილი ფრაზა, რომელიც ნიშნავდა იძულებით დამშვიდობებას საგანგებო პირობებში, ილიაც მიხვდა. წამოდგა და მეყსეულად წარმოთქვა:

— ქალაქ მოსკოვის კომენდანტის ბრძანებაში დღეს წაიკითხე: დეზერტირები და პანიკიორები ადგილზე დახვრიტეთო! თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხომ არა ხართ?..

მან გამანადგურებელი მზერა ესროლა ედუარდ არკადიევიჩს, კარისკენ გასწია და, თითქოს შესვენებაზე ჯიუ-ჯიტსუს ილეთს უჩვენებსო, ტერფის წიბო

ისე დაუდევრად დაჭრა მაგიდის კიდეს, რომ კონსერვის ქილებით გარშემორტყმული კონიაკის ბოთლები აწკრიალდნენ, და თავაზიანად მიმართა ტამარა არკადიევნას, რომელიც გაოგნებული უცქეროდა:

— მოგვიტევეთ, ჩვენ მაშასთან მოვედით და არ ვიცოდით, რომ ხამალული ოჯახური საუბარი გქონდათ.

— რაო, რაო? — ჩურჩულით ჰკითხა ტამარა არკადიევნამ. — რატომ „ხამალი“? რატომ „ოჯახური“? რას ამბობს, ილია? თქვენ რაღაც უზრდელად და უხეშად იქცევით...

— ვაჰ, რა ვრანდიოზული რაინდები გყოლია, მაშენკა! ასეთებმა შეიძლება მცემონ კიდეც! ღმერთო, ბნელ შესახვევში არ შემახვედრო! — ტაკიმასხრული შიშით წარმოთქვა ედუარდ არკადიევიჩმა, ტაკიმასხრული გულმოდგინებით გადაიწერა პირჯვარი და, თითქოს გული მისდისო, ძლივძლივობით მოითქვა სული. — გასწით, თუ ღმერთი გწამთ, გასწით, სანამ... სანამ პატრულს ან მილიციას დავუძახებდე. გასწით, გასწით აქედან, ახალგაზრდებო, და სხვის საქმეში ნუ ეჩრებით, გემუდარებით!..

— ბიძაჩემო, თავი დაანებეთ, გეთაყვა, ტაკიმასხარაობას! — შეჰყვირა მაშამ და კელავაც ისეთი ყურისწამლები კივილი ატეხა, რომ დედამისს თავი ბალიშზე გადაუვარდა და ყურები თითოიკის თავსაფრით დაიცო, ხოლო ედუარდ არკადიევიჩი სავარძელში მიესვენა, თვალები გადაკარკლა და ხელებით პატიებას ითხოვდა. — ესეც თქვენ! ესეც თქვენ ჩემი მეგობრებისათვის! — სიცილით თუ ტირილით შესძახა მაშამ. — მე თქვენ სიტყვასაც არ გათქმევინებთ! კრინტს არ დაგაძვრევინებთ!

— გტოვებთ, მივდივართ, კარეტა, ჩქარა ჩვენი კარეტა, — ჩაიცინა ილიამ და მდუმარე ვლადიმირს თავით ანიშნა. — შეურაცხყოფილ გრძნობას სადაც აქვს საყუდელი.

გამოვიდნენ ქუჩაში, რომლის ტროტუარებსაც შეჰყინვოდათ ჩამოცვენილი ფოთლები, და სწორედ აქ წამოეწიათ მაშა; სუსხიანმა ქარმა გაუწეწა თმა, შეუკრავი გრძელი პალტო შემოატმასნა ფეხებზე. ვლადიმირს ისიც კი მოეჩვენა, რომ წამოქროლილმა სუსხმა გრძელი შავი წამწამები აუპრიხა და თავი უკან გადააწევინა, ის კი იდგა მათ წინ, სახეში შესცქეროდა ორივეს, ცდილობდა გაელიმა, მხიარულად ელაპარაკა, და წამში გადაიქცა უწინდელ მაშად, რომლის ერთი შემოხედვაც სუნთქვას უკრავდათ.

— ბიძაჩემისთვის ყურადღება არ უნდა მიგექციათ, — სხაპასხუპით დაიწყო ნარნარი ხმით. — თავის ჭკუაზე არ არის, რა თქმა უნდა, ვსევოლოდი მისი გერია პირველი ცოლიდან, და მას სურს, რომ ბიჭი ჩვენ გამოგვყვეს, გაიგეთ?

— გასაგები არაფერია. — მიუგო ილიამ. — ჩემი აზრით, შენი მშვენიერი ბიძა პანიკიორთა ხიდან ჩამოვარდნილი ნაყოფია.

— თანაც სუბიექტია! — კვერი დაუკრა ვლადიმირმა. — თან პირველხარისხოვანი მოლაყბეც გახლავს.

— ოჰ, რა შუ-უმი სულელები ხართ! — გაბმით თქვა მაშამ. — მაგრამ მაინც მიყვარხართ, ორივენი. კარგი, უცნაური სულელები, რომლებსაც არაფერი ესმით.

მაშა მარცხენა ხელის ორი თითით მიეალერსა ლოყაზე ილიას, მარჯვენა ხელით ვლადიმირს შეეხო ნიკაპზე, ორივეს ალერსიანად მიაპყრო თვალები, აპრეხილი წამწამებიდან რომ დაკვესეს, და ვლადიმირს თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ მისი თბილი თითების შეხებისგანაც და მისთვის გაუგებარი

მზერის ამ სხივოსანი უფსკრულისგანაც, რაღაც სანეტაროს, იდუმალს, მანკიერს რომ აღუთქვამდნენ და ჟრუანტელს ჰგვრიდნენ. მაშამ ჰკითხა:

— რა უნდა გააკეთოთ მოსკოვში? თქვენ რჩებით? ამ სულელურ აურზაურში ლაპარაკის საშუალებაც არ მოგვცეს. რა უნდა გააკეთოთ. მინდა ვიცოდე.

— ჩვენ? ჩვენ ჯარში მივდივართ, — ადვილად მისაბაძ [illegible] ჯელწრფელობით თქვა ვლადიმირმა, პაპიროს „პუშკინის" კოლოფ[illegible] ილიას გაუწოდა. — ჩვენ დღეს სამხედრო კომისარიატში ვიყავით.

— ვალოდკა არ იტყუება, — მხარი აუბა ილიამ, სიამოვნებით აიღო პაპიროსი, ასანთი გაკრა და ჯერ ვლადიმირს მოაკიდებინა. — ჩვენ ეს საკითხი თითქმის გადავწყვიტეთ.

— თქვენ ეწევით, ბიჭებო? — გაიკვირვა მაშამ. — იქ, თავდაცვით სამუშაოებზე დაეჩვიეთ? რა უცნაურები ხართ, მართლაც რომ დავაჟკაცდით.. ჯარში მიდიხართ, მე უკვე მივხვდი, რომ ჯარში მიდიხართ, — გაიმეორა მან და ტუჩზე იკბინა. — ოჰ, მეც როგორ მინდა ჯარში წასვლა! მაგრამ არაფერი, არაფერი არ გამოვა. დედას ვერ მივატოვებ.

პაპიროსის კვამლისაგან თვალმოჭუტულმა ილიამ, რომელიც, ეტყობა, არავითარ სიძნელეებზე არ ფიქრობდა, თქვა:

— მაშენკა, შენ ჯარისათვის მეტისმეტად ლამაზი ხარ. კაცებს შორის დუელები დაიწყება. ასე რომ დედასთან იჯექი და ჩვენ დაგველოდე. უფრო სწორად ვალოდიას დაელოდე. მე მარცხენა მხარზე ხუთი ხალი მაქვს — ესე იგი, ყარიბის ხვედრი მელოდება, როგორც ერთმა ბოშა ქალმა მიმარჩიელა. თუნდაც მომკლან ,არაფერია: იტირებენ და გაჩუმდებიან. ხომ ასეა?

(რამ ათქმევინა მაშინ ეს ავბედითი სიტყვები?)

მაშამ თვალი გაუსწორა ილიას, თითქოს უნდოდა გამოეცნო მიზეზი მისი ამოუცნობი არასერიოზულობისა, მისი უდარდელი ხუმრობისა, რაზეც არ შეიძლებოდა ეხუმრა, მაგრამ თვითონაც თავქარიანი უზრუნველობით უთხრა:

— რა საოცრად სასაცილოა ყველაფერი! ხუთი ხალი მარცხენა მხარზე? და რაოდენ რომანტიკული. მერიმეს რომელიღაც ესპანური მოთხრობები! კარმენმა ხომ არ გიმკითხავა, ილია?

— უფრო უარესმა, — ილიამ თვალთმაქცურად ამოიოხრა — თუმცა ფანტასტიკური სილამაზის ბოშა ქალი კი იყო. ორმეტრიანი წამწამები ჰქონდა, ფეხები ქალღმერთს მიუგავდა.

— უფრო უარესმა? ვისზე უფრო უარესმა? — ხშირი წამწამები აახამხამა მაშამ. — როგორ გავიგოთ — „უფრო უარესი?"

— უარესი იმ გაგებით, რომ ისეთები, როგორიც კარმენი იყო, ქვეყნად აღარ არიან. — ილიამ სინანულით დაბერტყა ფრჩხილით პაპიროსი. — სილამაზე დაკნინდა, სანტიმენტები კი კარგა ხანია სამუზეუმო გახდა. ქვის ცულივით მოძველდა.

მაშა დაძაბულად გასწორდა წელში.

— სისულელეა! სიბრალულსაც კი არ იწვევს. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ ქვასავით უხეში ხარ. შენი ბოქსი და შენი კუნთები ამის საკმაო დადასტურებაა. რა მუზეუმი გაუხსნიათ? სად?

— გახსნიან. სანტიმენტების მუზეუმს. ჩვენ ძალის უხეშ საუკუნეში ვცხოვრობთ. სხვათა შორის, არ ვხუმრობ! — კვამლი გადასცდა ილიას, გაეცინა და შესანიშნავი, ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა. — მე მართლა გა-

ვიფიქრე, რომ შენ გამო ჯარში შეიძლება დიდი აურზაური ატყდეს. დარტყმულები ხომ ჯერ კიდევ ბევრნი არიან, თანაც ყველას ულამაზეს ვაჟკაცად და სანტიმენტალური სისულელისათვის დაბადებულად მიაჩნია თავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგ სისულელემ სულით ხორცამდე შემაძრწუნა! — შესძახა მაშამ და გოცებულმა ,მხრები აიჩეჩა. — ეგებ... ეგებ ჩემზე ეჭვიანობ?

— მართალია, — უთხრა ილიამ.

— კი მაგრამ, როდიდან?

— რა მნიშვნელობა აქვს?

— რატომაც არა აქვს? ხმა დადის, რომ შენ საკმაო წარმატებით ეარშიყებოდი სპორტული სკოლის ფრენბურთის სექციის მწვრთნელს. არ მახსოვს, რა ერქვა... მგონი, პოლინა, ხომ?

ილიამ პაპიროსი ბოლომდე მოსწია, წყალსადინარის ცხაურზე შეაგდო, სადაც ნაღვლიანად ციმციმებდა ყინულის ნარჩენი, იქიდან კი გამოჩრილიყო წვიმისაგან ჩამოურეცხავი, შეყინული ნაგავი, მაშას იდაყვში სწვდა, მიიზიდა და ისეთი ასაკოვანი კაცის ფამილარობით დაიწყო ლაპარაკი, რომ ძნელი იყო გაგება, ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა:

— შენ ცუდი გოგო როდი ხარ; ვალოდკასი რა მოგახსენო და მე კი, მგონი, მომწონხარ. შენ უფრო გრძელი წამწამები გაქვს, ვიდრე იმ ბოშა ქალს.

— ეგ რაღა არის? უწყინარი ხუმრობა? თუ სიყვარულის ახსნა დონ ჟუანის სტილში? — მაშამ უშფოთველ სახეში შეანათა თვალები ილიას, შემცივნებულმა, საყელო აიწია და ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო. — მაგას რად ამბობ? აჰ, ვხვდები! თავდაჯერების დემონსტრირებაა... პოლინა გგონიეარ თუ რომელიღაც სხვა სპორტსკოლის ცოდვილი ტურფა?

— არავინაც არ მგონიხარ. არც რამის დემონსტრირებას ვახდენ. — გამოცდილი კაცის მოჩვენებითი კილოთი უთხრა ილიამ. — უბრალოდ დამშვიდობების დროა და მოდი ერთმანეთი გადავკოცნოთ...

მაშამ თავი გადასწია.

— როგორ თუ გადავკოცნოთ?

— შუბლზე პატარა ბავშვებს ჰკოცნიან. შენ კი, რა თქმა უნდა, ტუჩებში უნდა გაკოცო. გინდა გაჩვენო, როგორ?

— ეს სასაცილოა. სინჯე, თუ გამოგივა.

მაშა თავაწეული იდგა და უცქეროდა, ჯიბეებიდან ხელებს არ იღებდა. გაკვირვებით მომრგვალებული გაღიმებული ტუჩები რაღაც მოახლოებული ხიფათისათვის შეეშვირა, და ილიაც, არც აცია, არც აცხელა, თითქოს ამას ჩვეულებრივად ყოველდღე ასე აკეთებსო, იდაყვებში სწვდა, მიიზიდა და ისე დაეკონა მის გაღიმებულ ტუჩებს, რომ მაშა უკან გადაიხარა, მერე ჯიბეებიდან ხელები ამოიღო, გულმკერდზე მიაყრდნო, ფრთხილად მოიშორა, სულშეხუთულმა, შემკრთალი პირი გაითავისუფლა და თითით დაიფარა, თან უცნაური ჩურჩულით უთხრა:

— ასე უხეშად რატომ იქცევი, რაკი მემშვიდობები, ნუთუ გინდა, რომ შენი უხეშობა დამამახსოვრდეს? არა, შენ რომელიღაც ფავნი ხარ, პითეკანთროპი...

— ნუთუ? უხეშობა? პითეკანთროპი? — ალერსიანად ჩაიცინა ილიამ. — გემრიელი ტუჩები გაქვს და ეგ არი. შეიძლება კიდევ?..

— არა, არ გინდა! — გაფითრებული მოშორდა მაშა და ყალბი, გადაჭარბებული აჩქარებით მივიდა ვლადიმირთან, რომელიც იმწამსვე ტანჯვით ჩაი-

ძირა მისი მიბნედილი თვალების სილრმეში — ჩვენც ხომ უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთს? მაშ შენც მაკოცე, გეთაყვა...

ვალოდიას ბოლმა მოაწვა და ხმა ვერ ამოიღო, მაშინ როცა ილიას არც მაშას კოცნა გასჭირვებია და არც მასთან ლაპარაკი, რადგან ეს საქმეებით დასაშვებად მიაჩნდა მათ მეგობრობაში, და როცა ილიამ მის სიტყვებს უხეშობაში გამოცდილი მამაკაცური ალერსიანი ჩაცინებით უპასუხა, ისევ მისი შეხუმრებითი დაჟინებული საქციელით შეშინებულმა მაშამ როგორც ხსნას, ისე მიაშურა გამოსამშვიდობებლად ვლადიმირს, — ესეც უსუსურობამდე გაშიშვლებული და გაუგებარი ეჩვენა, თუმცა გამოხედვაც, წამწამების თრთოლვაც, ტუჩების დაბნეული კვნეტაც — ყველაფერი ამხელდა მაშას. ვალოდიამ პირი მოარიდა, რომ მისი სახე აღარ დაენახა, და მდუმარედ გაჰყვა ქუჩას, რათა არ გამოემჟღავნებინა ის, რისიც რცხვენოდა. ცრემლები უხუთავდა სულს და ალბათ შვების საგრძნობად საჭირო იყო მათი მოშორება. მაგრამ ეს მას არ შეეძლო...

ნაადრევი სიბნელე წვებოდა ქუჩაზე, ლითონის სუნი დაჰკრავდა თრთვილს, რომელსაც დამწვარი ქაღალდის სუნი შერეოდა. ცვიოდა და ცვიოდა ჰაერში ფერფლი, ქალაქის შუაგულში მობობოქრე ხანძრის ათინათი ეფინებოდა ლობეებს და ხეთა გაშიშვლებული ტოტები შავად მოჩანდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მურანო სირო

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაპონურიდან
თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

მეოცე საუკუნის იაპონურ პოეზიაში გამორჩეული ადგილი უკავია საუკეთესო პოეტსა და ლიტერატურათმცოდნეს მურანო სიროს (დაბ. 1901 წელს), რომლის შემოქმედება თავისი ქვეყნის უმდიდრესი კულტურის წრაფვალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობა, მაგრამ ამასთანავე ძალზე თამამი, მეტად ნაყოფიერი ნოვატორული ძიებებით არის აღბეჭდილი. იგი იაპონურ ლიტერატურაში თანამედროვე პოეზიის, ე. წ. გენდაიისა (კლასიკური იაპონური სალექსო ფორმებისა და ევროპული თავისუფალი ლექსის ერთგვარი ნაზავი) უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. მურანო სიროს ღრმად აქვს შეთვისებული ძენ-ბუდიზმი, ევროპული პოეზია, უახლესი გერმანული ფილოსოფია, რაც რამდენადმე ასახულია საქართველოს მიხეულ ხედვაში და რამაც მისი ლირიკის მედიტაციურ ბუნებაზეც იქონია გარკვეული გავლენა. აქ წარმოდგენილი ლექსები მცირე ნაწილია თანამედროვე იაპონური პოეზიის კრებულისა, რომელიც გამოსაცემად აქვს მომზადებული საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიას.

მოგზაურობის ფერგადასული ჩანაწერები*

ეგებ სულ მალე ჩემი ძვლები
მინდორში ქარმა გამოითეთროს —
მკერდზე რა გამთოშავად დამიბერა.
ბასიო

თუკი გსურს პირისპირ დაუდგე მარადისობას,
სამშობლოს ზურგი უნდა შეაქციო,
დაადგე შორეულ,
მეტისმეტად შორეულ გზას.
გადაივლი
წერწათი დაფარულ ბალჩას,
გადაჭრი ტყეს იმ სოფლის განაპირას,
აჯანყებულთა რაზმებმა რომ გადაქელა.
გზას კი უფრო და უფრო შორს მივყავარ.
უსაშველოდ იწელება დაშლილი რელიეფი,
რომელსაც ადამიანები დაბლობს ეძახიან.

* ეს ლექსი წარმოადგენს დიდი იაპონელი პოეტის მაცუო ბასიოს (1644—1694) მოგზაურობის დღიურის რემინისცენციას.

* * *

ეს ვისი ძვლებია?
ან იქნებ ნამყაა?
უეცრად ფეხი წაიკარი, მუხლი გადაიტყავე,
და ეგრევე იძირები ბელტებში,
თან ფიქრობ, ისე ღრმად ჩავეფლობი,
მიწის გულში ტაძრამდე ჩავალწევ.
ამ სოფლის საღამოთი
როცა ცა ნათდება მთვარის ამოჩენამდე,
დიდბანს ბრუნავს ტანში გაციებული სისხლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ახლომახლო ხალხიც იყო,
თუმცა არარა დაუნახავთ,
მათ თვალებში არაფერი ირეკლებოდა.
მწუხრში გახვეული ჭალა და სახლები
თითქოსდა გაქვავდნენო.
როცა ამ გულსაკლავ, ბინდისფერ სოფელში
მესერს მივეყუდე,
მინდვრიდან გაბმული ყვნესა შემომესმა,
დასაკლავად წამოქცეული,
დანამიბჯენილი ხარის ზმუილს რომ წააგავს.

შავ წვიმაში

ტანჯვა თუ არ გამოგიცდია,
ვერც სიყვარულს ჩაწვდები.
რილკე

კაცი შუაზე იხლიჩებოდა და,
გზის ბოლოში,
მაინც იცდიდა.
სიკვდილის შავი ღვართქაფი.
ცხელი წვიმის სიმღერა
დასთქრიალებს ზღვისპირეთს.
აქაური ქალები, ფეხმოკეცილნი,
ჩაბნელებულ კარვისქვეშ მჯდომარენი,
მიმოზას ყვავილებს გაჰყურებენ.
ამ სასწაულად იისფერი ყვავილების ირგვლივ.
ფიქრი რომ წამიღებს,
აფარფატდებიან უცნაური მოლანდებები,
უსახონი და უსახელონი.

ზაფხულის სიახლოვე

იქ, სადაც კანიფის ყანა ირწევა,
ბავშვების მომლოდინე საზაფხულო არდადეგებივით,
წიწიბურასა და ენდროს კვლებში,
სახეგანათებული,
მელოდება სიკვდილი.
ო, ჩემი სამშობლოს
გზასაცდენილო მზეო,
რარიგ მაცხუნებ
და მიწვავ კანს.
მოხდება ხოლმე, მდინარის მყუდრო ნაპირას,
ჭრიჭინობელის კრუალს გაიგონებ,
და მერე,
გაუთავებლად ყურში გიდგას ეს ხმა,
დღითაც და ღამითაც.

ხიდი

დიდი ქალაქის საღამო
სისხლს ანთქრევს;
ათასი ჭრილობიდან დაძრული,
არხში ჩაედინება,
იქვე ტბორდება.
ზედ ხიდია გადებული,
ამ ხიდს არც მომავლისკენ მიყავხარ,
არც წარსულში გაბრუნებს.
უბრალოდ, იგი,
ორ ნაპირს აკავშირებს,
გადაკვეთს მკვდარ დინებას
და ორ საღამოს აერთებს.
შუაღამე რომ დადგა, აქაურობას
ჭარმაგმა მამაკაცმა და ახალგაზრდა ქალმა მოაკითხეს,
ერთმანეთისთვის ჩაეჭიდნათ ხელი,
თითქოს გამბედაობა არ ჰყოფნითო.

გასიოს მოტივი

ტან-ფეხი გამეყინა.
როცა ძაღლის ჩონჩხს წამოვედები,
საღამოხანის სიმარტოვე
კიდევ უფრო ფითრდება.
სოფლის კარიბჭეს, ძლივას რომ მივატანე,
ფერდებჩაცვენილი ძროხა დარაჯობს.

ეზო-კარებში სულიერი არ ჰაჰანებს.
ეკლიანი მავთულით შემოკავებული,
ეს პაწია სოფელი,
რა ხანია, ალყაშია მომწყვდეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომის დღე

ერთხელ —
მიცვალებულთან ერთად მივსეირნობდი
ცის უსასრულო, ლურჯ გზაზე, სადაც
იუპიტერს კოსმოსისგან მესერი მიჯნავს.
ყვავილს დავწვდი, ღილკილოზე დავუბნევ-მეთქი.
მას კი ამ დროს გამხდარი მკერდი დაეძაბა,
მისჩერებოდა უნაპირო ლურჯ ცას,
შორეთისკენ დაძრულ ღრუბლებს,
ნეტავი რა სტაცებდა მზერას?
გზისპირ ბლუჯებად ეყარა გამხმარი ხვართქლა,
აბუზულმა ქათამმა გადაირბინა,
დაბინდულ სიგრილეში ხოჭოს ბეუილი გაისმა.
მე ვერ ვთქვი ის, რისი თქმაც მსურდა —
მრავალი ჩემი სიტყვა,
ვერ გავიგონე, რისი მოსმენაც მეწადა —
მრავალი სიტყვა.
და მერე დიდხანს ფხაჭნიდა ნალვლიან მდუმარებას
ჰივჰაეის მისუსტებული წრიპინი.

საჩრდილოგელქვეშ

შუბლზე რომ ხელები მოგიჩრდილავს,
პატარა ციდან ისე ეშვება სქელი საჩრდილობელი,
თუმცალა ყველა მთავარი საფიქრალი აქაა თავმოყრილი,
მთელი დღე
ვუმზერ ამ მიჯნის ზემოთ —
როგორ აქრობს შემოდგომა ვარდის ჩრდილს,
თვითმფრინავი, მაკე კალიასავით,
როგორ მძიმედ მიფრინავს,
ამ დროს უკაცრიელი მინდვრებიდან
როგორ მოირწევა ფერმიხდილი სიკვდილი.

იანვრის სიმღერა

გავცქი ფრიალო კლდეს,
გამოჩნდა გადამწვარი ველი,

თითქოს კარიბჭე ჯოჯოხეთის,
შემთხვევით შემოხეტებული ადამიანები,
პირველად მზერდნენ თავიანთ ამქვეყნიურ ცხოვრებას—
გათოშილს, დამღრალი მისკანტის
მუქ ჩრდილში შეყუჟულს.
ბალახს მიწებებია შავი, ცარიელა ნაჭუჭი —
იქიდან ჯერ არ გამოჩეკილა ფუსფუსა მწერი.
ეს გამქვირვალე დაბლობი,
ეაზრობის უკიდურესი საზღვარია.
ერთხელ ასკილის მეჩხერ ტოტებს ავყურებდი,
ძვირფასი ქვების ეს იშვიათი საკრებულოც
დიდი ხანია ჩამოიშალა და დაჭკნა.
შორს კი მზე,
თითქოს მუნკის* სურათებზე დაცრიატებსო,
აღვივებს მინავლებულ ცეცხლს.
დაღვრემილი ციდან,
მცირე ხანი რომ გაივლის,
მანქანის მაგვარი ღმერთი ეშვება,
დაბლა ჩამოდის,
იისფერი კიმონო აცვია,
ო, რა უცნაური გაზაფხული დგება.

მდინარე ზამთარში

მიიკლაკნება მდინარე.
მიედინება დაცარიელებული
სოფლის განაპირას.
ეს მდინარე სოცარი სიცხადით ირეკლავს
უცნაურად მოკრიალებულ ცას, ავდრის მაცნეს,
მშიერ მინდვრის თაგვსა და
გამხმარ მინდვრის ქრიზანთემას.
გაღმა-გამოღმიდან, ამ მდინარეზე,
არავინ ეხმიანება ერთმანეთს,
ფსკერიდან ხამუშ-ხამუშ,
ყოვლად უაზროდ,
მიხვეტავს შლამს,
რისი წაღებაც შეუძლია, მიაქანებს.
მუნჯი მდინარე,
ხმელ ბალახებში გაწოლილი
უსახელო მდინარე.
მიედინება,
ორთავე ნაპირი ეკლიანია.
ჭინჭრის ნასახსაც ვერსად დაინახავ.

---

* ედვარდ მუნკი (1863—1944) — გამოჩენილი ნორვეგიელი მხატვარი.

რისი მდინარე, ოდნავლა თუ გაიბრწყინებს,
დინების გარდა ვითომ არაფერი ძალუძდეს,
ვითომ არ ერქვას სულ სხვა, დაფარული სახელი.
დღენიადაგ მოედინება სათავიდან დაბლობისაკენ,
არ შეერთვის გამოხუნებულ ტბებსა და ჭაობებს,
არც აქაფებულ ზღვაში ვარდება.
უბრალოდ მიედინება,
ვითომ მდინარეა.
ზოგჯერ ამ მდინარის ფსკერიდან,
დინების პირზე ამოსრიალდება
ლიფსიტების ცქაფი ლანდები.

წვიმიანი დღეების სიმღერა

ასეთ დროს, ვისაც თხელი თავისქალა
აქვს, წვიმა ტვინამდე ატანს.
ე. ჯეინერი

წვიმის ბრჭალები უმოწყალოდ კორტნიან
გაზაფხულის აფუებულ სახეს.
ფურისულები, ტიტები, ქრიზანთემები —
ყველაფერი წყლად მიდის.
ადამიანებსაც, ვის წარმოსახვაშიც ტივტივებენ
ეს ყვავილები, ცვილივით უდნებათ ტვინი.
ზოგიერთის გულიც დნება.
დნება ბოროტმოქმედის ზუსტად გათვლილი,
შხამად მწვეთარი ზრახვებიც.
მოწამლულის საბედისწერო კრუნჩხვებიც დნება.
თანდათან, ნელა.
წვიმა საბურველივით
ფარავს გაზაფხულის მკვდარ სახეს.
ყოველი საგანი — იების სილურჯე,
დნება, უჩინარდება აღნაგობა მათი,
სულებს კი მიმწუხრი ნთქავს.
არ დარჩა, არ დარჩა არაფერი,
გარდა ნაღებინები შხამისა,
დარდიანი, ღალატით მოკლული ქაცის,
გარდა შხამისა, მისი პირიდან რომ ჟონავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიფაბუკე

ეს ხმა
შორეთიდან ისმის,
როგორც ძილში ფშვინვა ახალგაზრდა დედისა;
რძის ორთქლით გაღენთილ საღამოთი,
ზაფხულის წვიმით გალუმპულ ტოტებზე,
ბალღების ჟრიამულივით გადადის.
შრიალებს ყრუ ტალღების დარად,
სადღაც მივარდნილ სანაპიროს რომ ეტყლაშუნება.
ეს ხმა, შორეთიდან წამოსული. ფერს მიცვლის მე,
ლამაზად მრთავს და მიცვალებულს მამსგავსებს.
ვეება, ჩაშავებული ჭაობის გარშემო
განუწყვეტლივ ცვივა ყვავილის ფურცლები.

ხორცის ფარდულის ორფეოსი

როცა ჩავუვლი ამ დაკეპილი ხორცების ფარდას,
ქუჩისკენ რომ გადის,
სული უცნაურად მიმსუბუქდება.
უთავოდ დარჩენილი სხეულები
როგორღაც ნაზად გადახრილან ერთმანეთისკენ,
ისე აჩეხილნი, დანის დასარტყმელი ადგილიც ალარაა.
ეს სიახლოვე, თავად რომ იქცევა ჭრილობად,
მთელ სიგანეზე შლის
გაყინულ, უტყვად გაფენილ, უსწორმასწორო ფარდაგს;
ეს არც რღვევის მოლანდებებია,
არც განუწყვეტელი თავბრუსხვევა.
მენდეთ, გაცილებით დამთრგუნველია,
ეს გავს თვით სიცოცხლის დასასრულს.
წითელ კიმონოსავით გაწელილ ნისლიდან
ამოჩრილა პაწია, სიმხურვალეგაცლილი ჩლიქები,
და მაინც ჯიუტად ბეკნის სიცარიელეს,
აუწერლად ნაღვლიანი.
ზედ ქუჩის პირას გამოდებული.

ღამეული მდინარე

სადღაც ჭყივის ჩათვლემილი თოლია.
სულშეხუთული, მაზუთნაყლაპი ლიფსიტა
წამით ამოხტება წყლიდან
და მაშინვე სილრმეში დაყვინთავს.
ეს არ არი ზღვა,
არც წყარო და ნაკადული.

ეს ღამის ფსკერის მდინარეა, უსახელო.
არ იძვრის, შეყენებულა
ბედის მდინარე,
ცხენების ოფლით გაჯერებულ
თბილ ბურუსში.
ფარანში მთელ ღამეს სისხლი დუღს.
მისი წიალიდან
ბარბაცით გადმოდიან
წარსულის აჩრდილები,
ხრიალით ანთხევენ
მიუტევებელ ცოდვათა ნარჩენებს.
ადამიანთა გონების ფსკერზე
ფოფინა მდინარე გატვრენილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპრილის ყვავილები

ლატაკი ვიყავ,
ნალვლიანს საქმე არ მელეოდა,
დავკარგე ზოლი ჰორიზონტის,
ამ მკრთალ ხაზს აბოლებს
ბილიკი ვიწრო,
ბნელი დერეფანი,
მეც იქით წავფრატუნდი,
უეცრად სამყარო,
ნისლში დანთქმული,
აპრილის ყვავილებით გაიჟღინთა.

□

ფეოდორ ტიუტჩევი

ლექსები

თარგმნა თედო ბეძიშვილმა

დამშვიდება

გადაიქუხა, იკვამლება ბებერი მუხა,
ეხლომ მიდამოს მოაფინა მუხის ამბავი.
ამოდის კვამლი ტოტებიდან უხმოდ და უხვად
ზე ეფინება მწვანე ბალახს წვიმით განბანილს.
კარგა ხანია დაილვარა ჩიტთა გალობა,
ლივლივებს ტევრში ხმები ციდან გამოხმობილი
და ცისარტყელა მოხასხასე ორივე რკალით
მწვანე გორებზე დგას ლამაზად ჩამოყრდნობილი.

* * *

როდის იელვებ და აინთები,
ნეტავ, რუსეთის ბედის ვარსკვლავო?
თუ ოპტიკური ხარ მოლანდება
და თვალი ბნელში უნდა ვაწვალოთ?

ნუთუ შენს ხილვას დანატრულ მზერას,
ბნელში რომ მუდამ გეძებს იმედით,
ატყუებ, როგორც ცრუ მეტეორის
მიმოფანტული ცივი სხივები?

მატულობს ჯავრი, შუქი არ მოჩანს.
შავი დღე გელის, დაიმახსოვრე!
შეხე, ზღვამ ვისი ჩაძირა დროშა —
ან ახლა აღსდექ, ან — არასოდეს!

* * *

ღრუბლებმა გადაიარეს
მზე ცის დაადგა სარკმელს,
სხივებში ბრწყინავს მდინარე,
როგორც ფოლადის სარკე...

სიცხე და ხვატი მატულობს,
ჩრდილი ხეს უწვდის ხელებს,
თაფლის სურნელით ავსილი
ნიავი უვლის ველებს.

რა სასწაული დღე არის,
რა უცხო ხმები ჟღერენ!..
ასე იდინებს მდინარე
ათასწლეულთა მერეც.

* * *

მდუმარებაში მხურვალე ხვატის
ჰექა-ქუხილის წინათმგრძნობელად —
უფრო მძაფრდება სურნელი ვარდის,
უფრო ხმიანებს ჭრიჭინობელა.

აჰა, ქათქათა ღრუბლების ზევით
ქუხს, ზეცამ წარბი კუშტად შეყარა,
მოოქროვილი ელვის სარტყელი
ვეება წელზე შემოერკალა.

რალაცა ვნებით, ჭარბით, ცხოველით,
გაჯერებულა მთელი ბუნება,
ვით ღვთაებრივი, წმინდა სასმელი
ძარღვებს საამოდ ესალბუნება...

გოგონავ, შენი ზღვასავით მკერდი
რა მღელვარებით ფორიაქდება?
რა გეზმანება, რა [illegible],
ანდა თვალებშ[illegible] კრთება?

ალებული, ნორჩი ლაწვები
ახლა სიფითრეს ამოუქარგავს...
თქვი, გული ყელში რატომ გაწვება,
ბაგეებს ფერი რამ დაუკარგა?

ნაზ აბრეშუმის წამწამებს შუა
ორი კურცხალი უკვე მოქონავს...
ეს წვიმის მოსვლის ნიშანი თუა,
ავდარს თუ იწყებს, ჩემო გოგონავ...

რუსი ქალისადმი

მოშორებული მზეს და ბუნებას,
შუქს, ხელოვნებას და ფუფუნებას,
მოშორებული ნამდვილ ცხოვრებას —
შენი სინორჩე თანდათან ჭკნება,
გაციებული გრძნობები ქრება
და ოცნებები განგეშორება.

სიცოცხლე შენი მიდის უჩინრად
სადღაც მივარდნილ და ყრუ მხარეში,
რომელზეც თვალი არვის უჭირავს...
ასე ცას ერთვის კვამლი ნელიად,
როს შემოდგომის მრუმე კაეშნით
სავსე ჯანლია და სიბნელეა...

უკანასკნელი სიყვარული

წლების დასასრულთან, ბოლო სიყვარული,
როგორ ნაზია და როგორ მშვიდი არის...
გვინათე, გვინათე შუქო მინავლულო,
ბოლო ტრფიალების ჟამი ბინდიანი!

ზეცის ნახევარზე ჩრდილი გადაღვრილია,
ზეო ჩამავალო, დაისს ეფარები...
დაიცა, დაიცა, დღეო გადახრილო,
გაგრძელდი, გაგრძელდი, წამო ნეტარების!

თუმცა ძარღვში სისხლი, უკვე იყინება,
გულს ძველი სინაზე მაინც არ ეთმობა...
ო, რა ტკბილ-მწარე ხარ, ბოლო სიყვარულო,
შენ ხარ ნეტარებაც... და უიმედობაც!

* * *

მზე ილიმება. ტალღები ბრწყინავს,
ისმის სიცოცხლის სიმღერა მეღერი.
ბალი ქცეულა სიმშვიდის ბინად,
დაწმენდილია ლაჟვარდის ფერი.

მდინარე ამოდ გვედუდუნება,
ჰაერს ტრფიალის სურნელი ასდის...

აყვავებულა მთელი ბუნება,
თვრება სიცოცხლის უშრეტი მადლით.

მაგრამ ამ თრობის კორიანტელშიც
ამ სიუხვეში შვების და ლხენის —
არაფერია უფრო ნათელი,
ვიდრე მოწყალე ღიმილი შენი!

* * *

რაც უნდა ავად ლესონ ენები
რაც უნდა ბევრი ეცადონ, მაინც
თვალების შენის ბუჭი, მშვენება
ყველა დემონზე ძლიერი არის,

მათში ისეთი ანთია სხივი,
ისეთი წრფელი, ისეთი სრული,

რომ ვერაფერმა ვერ აამღვრია
ეს უნათლესი, ულრუბლო სული.

არ მოსცხებია ნამცეცი გესლის,
ბრიყვული ჭორის, ავი ენების...
კვლავ უბიწოა, უსპეტაკესი
მზაკვართა მიერ შენაჩვენები...

ჩვენი საუკუნე

ხორცი კი არა, ახლა უფრო სული იხრწნება,
ადამიანმა წარიკვეთა თანდათან სასო,
ლამის ბნელიდან სინათლეში ლამობს გაღწევას,
როს შუქს იხილავს, რატომღაც ბრაზობს.

ურწმუნოებით გამომშრალი, გამოფიტული,
გაუსაძლისის ლამობს გაძლებას...
შეცნობილი აქვს უღმერთობით რომ იღუპება,
რწმენა სწყურია,
მაგრამ არ სურს ხელის განძრევა.

არასდროს იტყვის მუხლმოყრილი, მავედრებელი,
დახშულ კარებთან რაც არ უნდა ათიოს ღამე:
„მიშველე ღმერთო, მწყალობელო, მე მჯერა შენი,
ჩემს უღმერთობას უშველე რამე!“

უკანასკნელი კატაკლიზმი

საბედისწერო როს ჩამორეკს არყოფნის წამი,
როს დედამიწა მტვრად და ქვიშად განიავდება,
ყველაფერს ხილულს კვლავ ლივლივით გადუვლის წყალი
და წყლის სარკეში უფლის სახე დაილანდება.

* * *

არ ვიცი, ჩემს სულს, სნებიანს,
ცოდვილს
მადლი ღვთიური იქნებ მიელის,
იქნებ ამაღლდეს ოდესმე ცამდის,
განქარდეს გრძნობა სიცარიელის?

ხოლო თუ მიწამ სულს უგალობა,
თუ აქაც ვიგრძენ შვება ღვთიური —
ეს შენ იქნები ჩემი წყალობა,
ჩემი ზმანება ამქვეყნიური.

* * *

მახსოვს — დრო ლაღი და ბედნიერი,
მხარე — ძვირფასი და საყვარელი.
დღე ილეოდა. ვიყავით ორნი.
ხმობდა დუნაი მშვიდად მარები.

მთაზე, სად თეთრად ამოღერილა
ციხის ნანგრევთა მკაცრი პროფილი —
იდექი ნაზი, ნორჩი ფერია,
ხავსიან ლოდზე ჩამოყრდნობილი.

საუკუნეთა დაქანცულ მკერდზე
მიაბიჯებდი ნორჩი, ალალი
და სინანულით გეხვიათ მხრებზე
შენ და ნანგრევებს მზე ჩამავალი.

ნაზი სურნელით ქარი თვრებოდა,
კლავდა სურვილი შენთან დარჩენის.
ნორჩ მხრებზე თეთრად გეფინებოდა
ვაშლის ყვავილთა თეთრი ფანტელი.

იყურებოდი შორს უდარდელად,
წითლად ღუოდა ზეცის კიდური.
დღე ღამდებოდა. უფრო ხმამაღლა
მღერდა დუნაი გადაბინდული.

შენ უზრუნველი და გულალალი
დღეს სხივდაფენილს მიაცილებდი
და დროის, ტკბილის და წარმავალის,
უკვე ჩვენს თავზე რბოდნენ ჩრდილები.

* * *

როგორ ტკბილად თვლემს, რა ნეტარად, ბალი მუქმწვანე,
მტრედისფერ ღამის გრილ მკლავებში გარინდებული.
ვაშლის ხეები, მოყვავილე, მშვიდად სუნთქავენ,
ტკბილად ანათებს მთვარე შორი და დიდებული.

თითქოს დღეს შექმნა შემოქმედმა სამყარო მთელი,
ისე ელვარებს ღამის ცაზე ვარსკვლავთ კრებული.
რალაც ალმტაცი, შორეული მოისმის ხმები,
აქვე, ლიკლიკა ნაკადულთან შეწყვილებული.

ქვეყანას ღამის საბურველი მსუბუქად აწევს,
დაცხრა ყოველი, დღის ტვირთისგან მიქანცებული.
მძინარ ქალაქზე, როგორც მაღალ ტყეების თავზე,
იღვიძებს ხმები შორეული და ღამეული.

საიდან ისმის შეუცნობი ხმა თუ ძახილი?
ნუთუ მოკვდავთა ნაოცნებარს, სიზმრად წამოშლილს,
სხეულგანძარცვულს, მოჩურჩულეს, მაგრამ უხილავს,
სული ჩაედგა და წრიალებს ღამის ქაოსში?..

* * *

ამ ბრბოსთვის, ახლა გულდაგულ რომ
ძილქუშისაგან ამოქოლილი —
თავისუფლებავ, როდის ამოვა
შენი მნათობი დაოქროვილი?
რომ მოელვარე სხივმა ბრიალამ
გაფანტოს ძილი, ბურუსი, ბნელი...
მაგრამ ამდენ ხნის მწარე იარა —
ჩაგვრის და ტანჯვის ნიშანი ძველი,
სულის სიმდაბლე, სიცარიელე,
გონისამრევი, გულისგამთელი,
ვინღა განკურნოს, ვინ გააცთელებს? —
მარტოდენ ქრისტეს წმინდა ნათელი!..

* * *

გაერთე, სანამ 'რუმე ღრუბლები
გადმოიღლიან 'შენი ცის მხარეს.
გაერთე ტრფობით, გაერთე ბედით,
არ შეურიგდე სიცოცხლეს ბედითს,
გულისხმას მიჰყევ და გაიხარე!
როს გიმზერ, უმალ სევდით ვიესები,
თავს დამტრიალებს ფიქრი მრავალი,
მზერა ცრემლებით დამენისლება,
რისთვის? ჩვენს შორის რა შეიცვლება?
მე — მიმავალი, შენ — მომავალი!
იყო ოცნების აცისკროვნებაც,
ძილში მესმოდა ხმა განთიადის.
მაგრამ უმალვე მკაცრმა ცხოვრებამ
ცრემლად მიქცია ვნებაც, ოცნებაც.
რიჟრაჟს კვალდაკვალ მოჰყვა წყვდიადი!
მაგრამ თუ როსმე ზაფხულის ალხში,
შენი აპრილი ნახო ზმანებად —
იქნება ეს დღეც ინატრო მაშინ,
როგორც მთვლემარე დილის სიზმარში
უცებ გამქრალი ბუნდოვანება...

* * *

აღმოსავლეთით ჯერ სიწყნარეა,
დგას მდუმარების წამი დიადი.
არ ილანდება ჯერ განთიადი,
ირგვლივ ბურანი და სიზმარია.
ჯერ ბნელში დგანან გლუვი ქედები,
დილა მთის თხემებს ოდნავ ანათებს.
სძინავს სოფლებს და სძინავს ქალაქებს,
მაგრამ ცად რატომ არ იხედებით?
აი, გამოკრთა აისის ხოლი,
თითქოს გაწითლდა ფარული ვნებით,
თითქოს სამყაროს გაშალა მხრები
რიჟრაჟის მღვრიე ბინდბუნდში მწოლი...
სულ ცოტა ხანიც — აიწვერება
მზე მადლიანი, მზე სხივნათელი
და მოწკრიალე ზანზალაკებით
გამოაღვიძებს ქვეყნიერებას...

ციცერონი

რომის რიტორის ამბობენ ნათქვამს,
გამიგონია სიტყვა ასეთი:
„გვიან ავდექი და დილის ნაცვლად
მე რომის ღამეს თავს წავადექი!"
ასეა! მაგრამ რომის დიდების
დამტოვებელი, ხედავდი მაინც —
რომის სისხლიან ვარსკვლავის დაისს,
შემოსვლას მწუხრის და შებინდების.
ნეტა მას, ვინაც მოასწრო ნახვა
საბედისწერო, უკვდავი წამის!
ვისაც ძლიერთა, ვისაც მაღალთა
გვერდიგვერდ ედგა საჯდომი სკამი!
ვინაც დიადთა შორის იცხოვრა,
ნახა ამბები გასაკვირალი..
იმა საქმეთა ცოცხლად მხილველმა
უკვდავთა თასი შესვა თვითონაც!

სიგრიდ უნსეტი

ვიკინგები

რომანი

თარგმნა მზია ბაქრაძემ

სიგრიდ უნსეტი ცნობილი ნორვეგიელი მწერალი ქალია (1882—1949). მის შემოქმედებას ღრმა ეროვნული ძირები აქვს და იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ნორვეგიელი მწერლების ბიერნსონის და იბსენის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია.

სიგრიდ უნსეტმა 1920-22 წლებში გამოაქვეყნა ისტორიული ტრილოგია „კრისტინ, ლავრანსის ასული", რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა. იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ხოლო 1928 წელს ამ ტრილოგიაში მწერალმა ნობელის პრემია მიიღო.

„ვიკინგები" (1909) შექმნილია უძველესი ისლანდიური საგების გავლენით და მას შენარჩუნებული აქვს ამ საგების თხრობის სტილი. ნაწარმოებში პატრიარქალური წყობის ფონზე დიდი ოსტატობით არის ასახული სიყვარულის და შურისძიების მარადიული თემა.

„ვიკინგებს" ზოგი პატარა რომანად მიიჩნევს, ზოგი მოთხრობად. სხვადასხვა თარგმანში მას ხან „ვიგა-ლიოტი და ვიგდისი" აქვს სათაურად, ხან „ვიკინგები".

I

ისლანდიაში, აღმოსავლეთის ფიორდების ნაპირებთან ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც ვეტერლიდე გლუმსენს ეძახდნენ. ზაფხულობით ვეტერლიდე თავისი ხომალდით ხშირად დადიოდა ხოლმე სავაჭროდ.

ვეტერლიდეს ერთი დისწული ჰყავდა, სახელად ლიოტი. ლიოტის მამა, სკუმედალელი გისურ ხაუკსენი მოკლეს, როდესაც ლიოტი ჯერ კიდევ ბალღი იყო. მისი დედაც, სტეინვორი, ძალგაზრდა გარდაიცვალა. ობოლი ბიჭი აღსაზრდელად ჯერ ტურბიერნ ჰოლეგმა წაიყვანა ეირეში, მერე კი ვეტერლიდემ თავის ოჯახში შეიფარა და საკუთარი შვილივით შეიყვარა.

ლიოტი ადრე დავაუკაცდა. თხუთმეტი წლისა გაბედული ვიკინგი დადგა უკვე და ტურბიერნის ვაჟიშვილებთან ერთად ზღვაში გადიოდა. გულადობითა და იარაღის მარჯვე ხმარებით სახელიც მალე გაითქვა. იმითაც გამოირჩეოდა, რომ სიტყვის პატრონი იყო, მაგრამ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ადვილად ვერ ეგუებოდა ადამიანებს და განმარტოება ერჩია. განსაკუთრებული მიზეზების გამო, რაზეც შემდეგ ვისაუბრებთ, მეტსახელად ვიგა-ლიოტი შეარქვეს.

ლიოტი ოცი წლისა იყო, როცა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვეტერლიდესთან ერთად ნორვეგიისაკენ გაემგზავრა. შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ საუცხოო დიდი ხომალდი ჰქონდათ, რომლის მესამედი ნაწილი ლიოტს ეკუთვნოდა.

II

ზაფხულის წყნარი ამინდი იდგა, როცა ვეტერლიდეს ხომალდი ფოლ-დენის ფიორდში შევიდა. მთელი დღე კოკისპირულად წვიმდა, ქარი კი ოდ-ნავადაც არ ქროდა და მეზღვაურებს ნიჩბების ღონივრად მოსმა მოუხდა. მდინარე ფრუსიეს შესართავში მიმობნეულ კუნძულებს შორის ერთ-ერთ-ლოთ; ეს მდინარე ფიორდს ერთვოდა. საღამო ხანს წვიმამ როგორც იქნა გადაიღო, ხშირი ნისლი გაიფანტა და მთის წვერებისაკენ აიყარა. ვეტერლიდე და ლიოტი ხომალდის ცხვირზე იდგნენ და მდინარის ნაპირებს გასცქეროდ-ნენ. იმხანად მდინარის ორივე ნაპირი ხშირი ტყით იყო დაფარული, მის აყო-ლებაზე გლეხების პატარ-პატარა კარმიდამოები მოჩანდა, დიდები კი ორი თუ სამი იქნებოდა.

შემაღლებულ ნაპირთან აქა-იქ მებადურების ნავები იდგნენ. მეთევზეები გოცებულნი უყურებდნენ დიდ ხომალდს, შესართავში რომ შემოდიოდა. ვე-ტერლიდემ გასძახა, სადაურები ხართო; რაკი მეთევზეებმა დაინახეს, ახლად მოსულები მშვიდობიანი ხალხი იყო, უპასუხეს, ვადინის მკვიდრნი ვართ, ამ მხარეში ყველაზე დიდ მამულში ვმუშაობთ, გუნარს ვემსახურებითო. ვეტერ-ლიდემ ჰკითხა, საღამოთი ვადინში ხომ არ წამიყვანთო, და მეთევზეები დათანხ-მდნენ. ისლანდიელები მდინარეს აუყვნენ, სადამდეც შესაძლებელი იყო, მერე კი ნაპირზე გადავიდნენ. ერთმა მეთევზემ ისინი ვადინში წაიყვანა.

უკვე კარგა ბნელოდა, სადგომს რომ მიადგნენ. გუნარი შინ დახვდათ. იგი დიდ დარბაზში, შემაღლებულ ადგილას იჯდა, მაგიდასთან. გუნარი წარ-მოსადეგი, ლამაზი, ჭალარა მამაკაცი იყო; გრძელი თეთრი წვერი მთელ მკერდს უფარავდა. კერიასთან ორი ქალი იჯდა. ერთი ალებული კუნძების შუაზე ართავდა; ახალგაზრდა ალარ ეთქმოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზი სახე და ქერა თმა ჰქონდა, თალხი ტანსაცმელი ეცვა. მეორე ყმაწვილი ქალი იყო, ხელები მუხლებზე ეწყო და უქმად იჯდა..

ვეტერლიდე სახლის პატრონს მიუახლოვდა და მიესალმა. ვერც კი მოას-წრო იმის თქმა, ვინ იყო და საიდან მოდიოდა, რომ გუნარი წამოდგა და გულითადად მიიპატიჟა. ვეტერლიდე და მისი ხალხი ჩემს სახლში სასურველი სტუმრები ხართო. შემდეგ კი ქალებს სუფრის გაშლა უბრძანა.

ქალიშვილი და ქალი წამოდგნენ, მაგრამ მხოლოდ ხანშიშესული ქალი ფუსფუსებდა, მოსამსახურე ქალებს უხმო და სუფრის გაწყობა დაიწყო. ქა-ლიშვილი კი კერიასთან იდგა და სტუმრებს უყურებდა.

იგი ძალზე ლამაზი, მაღალი და ტანადი იყო; წვრილი წელი, მაღალი მკერდი და დიდრონი ჭროღა თვალები ჰქონდა. ხშირი ქერა თმა მუხლებს უფარავდა; თეთრ, დიდ ხელებზე სამაჯურები და ბეჭდები ეკეთა. ოქრომკე-დით ნაქარგი მდიდრული წაბლისფერი ჯუბა ემოსა, თმაზე კი ოქროს სალტე ერტყა. და საერთოდ, ოქროს და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ბევრი სამ-კაული ჰქონდა ასხმული, რასაც სხვა ქალები ყოველდღიურად არ იკეთებ-დნენ.

ხახში შესულმა ქალმა თაფლუჭიანი ყანწი მოიტანა, ქალიშვილს გაუწო-და და უთხრა:

— ჩვენს სახლში, ვიგდის, შენ გმართებს სტუმრებს მიესალმო.

ქალიშვილმა ყანწი ჩამოართვა, სკამებზე ჩამომსხდარ სტუმრებს მიუახ-

ლოვდა და ყანწი ჯერ ვეტერლიდეს გაუწოდა, შემდეგ კი მის ხალხს. ლიოტი ბოლოსლა შეამჩნია.

ლიოტი ჯერ იქვე კარებთან იჯდა სკამზე, მერე კი თავისი [illegible] სამოსის გასაშრობად ბუხართან გადაჯდა. ისე გაშალა თავისი მოსასხამი ცეცხლის წინ, რომ მოსასხამის ზემოთა კიდე სახის ქვემო ნაწილს [illegible] შავი თმა შუბლზე ჰქონდა ჩამოყრილი და ვიგდისი მხოლოდ [illegible] [illegible] [illegible]

შენ მართალი თქვი,
კეთილო გუნარ,
მოღრუბლულა და
ტალღები თვლემენ —
უჩალისოა
მათთან თამაში,
სჯობს დასვენება
ამ მყუდრო სახლში,
აქ ლამაზმანმა,
ოქრომკედით და
თვლებით მორთულმა,
გაშალა სუფრა.
იმაზე ლამაზს
ვის ნახავ ქვეყნად.
მე მეამება
მთელი საღამო
მასთან ბუმრობა
და საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო სიტყვები ხმადაბლა წაიმღერა და შეზარხოშებულმა გუნარმა ვერაფერი გაიგო. ვეტერლიდეს კი კარგად ჩაესმა ლიოტის სიტყვები და გუნარს რაიმე რომ არ ეფიქრა, საქმეებზე ჩამოუგდო საუბარი. მალე ვიგდისი და დედაკაცები დარბაზიდან გავიდნენ და თავიანთ ოთახებს მიაშურეს.

ყველანი რომ დაწვნენ, ვეტერლიდემ გვერდით მწოლ ლიოტს უთხრა:

— არ მესმის შენი საქციელი, დისწულო. გუნარმა ასეთი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, შენ კი პირველივე საღამოს ლექსებს უთხზავ მის ქალიძვილს.

ლიოტმა არაფერი უპასუხა. ვეტერლიდემ განაგრძო:

— რაღაც არ მახსოვს, განსაკუთრებული ყურადღება გამოგეჩინოს ქალებისადმი, დღეს კი მთელი საღამო ვიგდისს მისჩერებოდი. ზღვაში არც ისე დიდხანს ვიყავით, რომ ქალის ერთმა შეხედვამ ჭკუა დაგაკარგინოს.

ლიოტმა არც ამჯერად უპასუხა, ზურგი შეაქცია ვეტერლიდეს და თავი მოიმძინარა.

III

მეორე დილას გუნარი და ვეტერლიდე ცხენებით მდინარის ნაპირისაკენ გაემართნენ. ლიოტმა დაღლილობა მოიმიზეზა და იქვე სკამზე ჩამოჯდა. მაგრამ როგორც კი ვეტერლიდე და გუნარი თვალს მოეფარნენ, ლიოტი ადგა და სახლიდან გავიდა. მას ადრევე განეზრახა დაღლილობა მოემიზეზებინა, რათა ვიგდისი მოეძებნა და მასთან ელაპარაკა.

ლიოტს სამგზავრო ტანსაცმელი ემოსა, რადგან გემიდან არაფერი წამოელო. მუქი ფერის კაპიუშონიანი მოსასხამი მოეხურა, მკერდზე ძვირფასი მოოქრული ბალთით შეკრული. მოსასხამის ქვეშ ვერცხლით ამოქარგული შავი ქურთუკი ეცვა, რომლის ყოველ ნაკერს ცისფერი ნაყშები გასდევდა. ლიოტს კოხტად ჩაცმაც უყვარდა და ბლომად ბეჭდები და ძვირფასი სამაჯურებიც ეკეთა. თამამადაც შეეძლო ხალხის წინაშე გამოჩენა, რადგან ტანადი და მხარბეჭიანი იყო. წელი კი ქალივით წვრილი ჰქონდა. დახვეწილნაკვთებიანი ლამაზი სახე ჰქონდა, შავგვრემანი იყო და მკრთალი ტუჩები ოდნავ წინ ჰქონდა წამოშვერილი. ლურჯი თვალები თამამად იმზირებოდნენ, ხშირი შავი თმა კი აბრეშუმის ბაფთით ჰქონდა გაკრული.

უამინდობისა და წვიმების შემდეგ მშვენიერი მზიანი დღე დადგა. ეზოში გავიდა თუ არა, ლიოტმა შორიახლო მდელოზე მაშინვე დაინახა ვიგდისი. ძისკენ გაემართა, ტყის პირას წამოეწია, მიესალმა და ჰკითხა, საით გაგიწევიათ. ვიგდისმა უპასუხა, ტყეში ჟოლოზე მივდივარო.

— მაშ გამოგყვები, — თქვა ლიოტმა. — მარტო სიარული საშიშია; ამბობენ, ამ ადგილებში დათვები იცისო.

— რომ მეშინოდეს, მსახურს წამოვიყვანდი, თანაც შეიარაღებული ვარ, — უპასუხა ვიგდისმა და სარტყლიდან დიდი დანა ამოიღო, რომლის ტარი ოქროთი იყო მოვარაყებული, პირზე კი რუნები იყო [illegible].

ლიოტმა დანა გამოართვა და ყურადღებით შეათვალიერა.

— რა უცნაური დანაა, — თქვა მან, — ეტყობა, ძველებური უნდა იყოს, საიდან ჩაგივარდა ხელში?

— ჩვენს გვარში ეგ დანა თაობიდან თაობაში გადადის, — მიუგო ვიგდისმა, — ჩვენი მოდგმის ქალები თურმე ამ ჭალაში სამსხვერპლოს ქურუმები ყოფილან. მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო; დანამდვილებით არავინ არაფერი იცის. ის კია, ჩვენი მონები დღემდე იქ კლავენ ცხვრებსა და მამლებს. მამაჩემს კი თავისი ლონისა და ძლიერების გარდა არაფრისა სწამს; ისიც გამიგია, პაპასაც არაფერი სწამდაო.

— ისევე, როგორც მე, — გაიცინა ლიოტმა,— თუმცა კი ქრისტიანულად ვარ მონათლული. სამხრეთ დანიაში რომ ვიყავი, ერთმა ღვთისნიერმა კაცმა ფეხზე ღრმა ჭრილობა მომირჩინა. გასამრჯელოს მიცემა მინდოდა, მაგრამ არაფერი აიღო, მეც ავდექი და მადლობის ნიშნად თავი მოვანათვლინე.

— რა არ გინახავს ალბათ ქვეყნად, — თქვა ვიგდისმა ღიმილით. — მითხარი ერთი, რატომ ნაპირზე არ წახვედი, ხომალდის გადმოტვირთვისთვის რომ მიგეხედა. ალბათ ძვირფასი ნადავლი გაქვს გადანახული; აბა ტყუილუბრალოდ ვინ შეგარქმევდა ვიგა-ლიოტს.

— კი, რაღაც-რაღაცები კი ვიგდე ხელთ, — მიუგო ლიოტმა, — მაგრამ ისე მაინც მგონია, რომ რის შეძენასაც ვერიდები. სწორედ ის უნდა იყოს ყველაზე ძვირფასი.

— ეგრეც იქნება, — შენიშნა ვიგდისმა, — აკი ამბობენ: ისლანდიელები ნადავლზე ხარბები, სიტყვის თქმაზე კი ძუნწები არიანო.

ლიოტმა უთხრა:

— ვინ არ იცის, რომ ადამიანებს ქონების მოხვეჭა უყვართ, ძუნწი კი შენ პირველმა მიწოდე.

ვიგდისმა გაიცინა:

— ასეთი ყმაწვილი ქალის სიტყვებს განა ყურადღება უნდა მიაქციო?

— მგონი, გძულვარ, ვიგდის, — ჩუმად წარმოთქვა ლიოტმა. — დღეს შეხვედრისას ისე პირქუშად შემომხედე.

— ჩვენში უცხოელებს სახეში არ მისჩერებიან, — უპასუხა მან. ლიოტი ღიმილით გამოეპასუხა:

— არა მგონია, თმაზე ოქროს სალტეს მარტო იმიტომ იკეთებდე , რომ შენი მსახურების ზურგს უკან დაიმალო.

— რატომაც არ უნდა ვატარო ოქროულობა, თუკი მამაჩემი მჩუქნის,— მიუგო ვიგდისმა.

ისინი სამსხვერპლოს მიუახლოვდნენ, რომელიც მთის ფერდზე, ხშირი ტყის შუაგულში იდგა. პატარა ბორცვს ირგვლივ ქვები ჰქონდა შემოწყობილი,შუაში კი სამსხვერპლო აღემართათ. ნიშის ქვების დიდი ნაწილი ჩაძოძლილიყო და სამსხვერპლო შამბს დაეფარა. პატარა ვაკეზე, ქვებით შემოკავებულ წრეში ნორჩი არყის ხეები, პატარა მუხები და ცირკელი ხარობ-

და ქვებს შუა აქა-იქ ყვავილებს ამოეყოთ თავი. ბევრი უკვე გაშლილიყო და ქარის დაბერვაზე მათი ბუსუსები ვიგდისის კაბას და თმას ეკრობოდა. ვიგდისმა ბუსუსები ჩამოიბერტყა თმიდან და კაბიდან.

მათ ფოლოს კრეფა დაიწყეს, თან ჭამდნენ. ლიოტმა საუბარი განაგრძო:

— ბიძაჩემს გუნარისათვის პურის ყიდვა უნდა ეთხოვა, სანამ ხე-ტყეს შევისყიდით. ისე კი ვატყობ, დიდად არ ინაღვლებდი, მალე რომ მოგშორდეთ და სულაც გავეცალოთ აქაურობას. თვალში არ მოგდივართ.

— მამაჩემის ნებაა ისე მოიქცეს, როგორც სურს და სახლში ვინც უნდა ის შემოუშვას, — უპასუხა ვიგდისმა, — ამას მე არასოდეს მეკითხება. სამაგიეროდ არც თვითონ ერევა ჩემს საქმეებში.

— ეგ კი მჯერა, რადგან თავნება და ჯიუტი ქალიშვილი ჩანხარ, — თქვა ლიოტმა.

— აი, თურმე რას ფიქრობ ჩემზე, მაგრამ არა მგონია, შენც გიყვარდეს რჩევა-დარიგებები. ალბათ თამამად და უყოყმანოდ იღებ გადაწყვეტილებებს.

— ჰო, აგრე ამბობენ ჩემზე, — დაუდასტურა ლიოტმა, — ის მაინც მითხარი ერთი, ერთმანეთის მტრები ხომ არა ვართ მე და შენ?

— სამაგისო არაფერი გვჭირს, — მიუგო ვიგდისმა.

ისინი ერთ მომცრო ქვაზე ჩამოსხდნენ და ვიგდისის დაკრეფილ ძირტკბილას ფესვების ჭამა დაიწყეს. შინ დაბრუნება რომ გადაწყვიტეს, ვიგდისს თავისი რუნებიანი დანის წამოღება დააავიწყდა. ლიოტმა ვიგდისის შეუმჩნევლად აიღო და უბეში ჩაიდო. შინისაკენ მიმავალნი მხიარულად და არხეინად საუბრობდნენ.

IV

ვეტერლიდემ გუნარისაგან ხე-ტყე შეისყიდა. გუნარმა უარი უთხრა პურის მიყიდვაზე, მაგრამ სთხოვა სტუმრად დარჩენილიყვნენ, რამდენ ხანსაც მოისურვებდნენ. როცა ვეტერლიდემ სიტყვა ჩამოუგდო, მალე გზას უნდა გავუდგეთო, გუნარმა უთხრა, რა გეჩქარებათო. ლიოტსაც ასე მიაჩნდა და ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა არც ერთი შემთხვევა ვიგდისთან დასალაპარაკებლად.

ერთხელ, როცა ვეტერლიდე და ლიოტი მარტონი დარჩნენ, ბიძამ მის მომავალსა და ვიგდისთან ურთიერთობაზე წამოუწყო საუბარი. ლიოტმა ასე უპასუხა:

— კი, გულით მინდა ვიგდისი ცოლად წავიყვანო. ჯერ არ ყოფილა, ქალიშვილი ისე ჩამვარდნოდეს გულში, როგორც ვიგდისი. მაგაზე ლამაზი ქალი ჯერ არ შემხვედრია; კეთილი გულისაც არის და ენაც უჭრის. თანაც მასზე მდიდარი საცოლე არსად მეგულება — ეგ ხომ გუნარის ერთადერთი ასულია. მგონი, გუნარიც კარგი თვალით მიყურებს.

— მაინც არა მგონია ეგ იოლად მოხდეს, — შენიშნა ვეტერლიდემ, — რაკი ასე შორს წაყვანას უპირებ. თუმცა თუ ვიგდისსაც მოსდიხარ თვალში, ალბათ საქმე განაღდებულად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან ეგ გოგო ნებას არავის მისცემს მის პირად საქმეში ჩაერიოს. შენ კი თავად უნდა ხვდებოდე, როგორი თვალით გიყურებს, ამ ბოლო დროს ხომ ხშირად დადიოდით ერთად.

ლიოტი ჩაფიქრდა და მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ თქვა:

— არც ისე ადვილი საქმეა, ქალს რას გაუგებ! ხშირად მეჩვენება, რომ კარგად მექცევა, მაგრამ ძალიან ფიცხი კია! ქალის ტკბილ-ტკბილ ლაპარაკს განა რამე დაეჯერება?

— ვფიქრობ, ვიგდისის სიტყვა სარწმუნოა, — შენიშნა ვეტერლიდემ. — ძაგრამ ძალზე ახალგაზრდაა და მეუღლეს ადვილად ... ...

და ცეცხლის ალმა ოქროსფრად აუელვარა. ლიოტმა შეხედა და გაიფიქრა: ასეთი სილამაზე არც ერთ მამაკაცს არ უხილავსო. მიუახლოვდა ქალიშვილს, ხელით რკინის ლატანს მოეჭიდა, კერიასთან უხმოდ დადგა და თვალმოუშორებლივ უყურებდა ვიგდისს. ბოლოს თქვა:

— ცუდად მომივიდა, ჩემო ლამაზო; მაპატიე, თუ გაწყენინე. იქნებ პასუხი მაღირსო.

— მოფიქრება მაინც მაცალე, — სთხოვა ვიგდისმა, — წადი, ჩამოუარე შენს ნათესავებს, როგორც განზრახული გქონდა, ხოლო როცა მობრუნდები, სადაც ხომალდი გელოდება, პასუხს დაგახვედრებ. მინდა ისეთი პასუხი მოგცე, შენ რომ გაგეხარდეს, მაგრამ მაშინებს იმაზე ფიქრი, რა შორს უნდა წავიდე მამაჩემისაგან და მარტო დავტოვო იგი. თანაც ძალზე მოულოდნელად და ჩქარა მოხდა ეს ყველაფერი.

— არც ისე ჩქარა მოხდა, — შენიშნა ლიოტმა, — კაი სამი კვირაა, რაც აქა ვარ. არ ვიცი, ვინ განაგებს ადამიანთა ბედს, ის კი ვიცი, რომ ჩემი და შენი ბედი მჭიდროდ გადაეჭდო ერთმანეთს; ეს იმ დღეს ვიგრძენი, ტყეში სამსხვერპლოსთან რომ ვლაპარაკობდით მე და შენ.

— გატყობ, გული მოგივიდა — თქვა ვიგდისმა, — მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ახალგაზრდა ვარ და ჩემთვის ჯერ ადრეა გათხოვებაზე ფიქრი.

ლიოტი მოტრიალდა და წასვლა დააპირა.

— ახალგაზრდობა აქ არაფერ შუაშია, — თქვა ჩუმად. — ვხედავ, შენ თვითონ ვერ გაგიგია, რა გინდა.

— მეც არ მინდა ტყუილუბრალოდ იცადო, მაგრამ ჯერ ხომ კარგად არ გიცნობ, შენ კი მომაცილებ ყველაფერს, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის.

ასე მიმართა ვიგდისმა, შემდეგ თვითონვე მოეხვია და აკოცა. მაგრამ მაშინვე კარისაკენ უბიძგა და სთხოვა, ახლა წადიო.

VI

ამის შემდეგ ვიგდისი ორი დღე არ გამოსულა თავისი ოთახიდან. მოხდა ისე, რომ ვადინს სწორედ მაშინ ეწვია გრეფსინელი კორე.

კორე ის-ის იყო დაბრუნდა ჩრდილოეთიდან, ტროდიემიდან და შეეძლო ბევრი რამე მოეთხრო ლადელ იარლ ჰოკონზე, რომელიც სწორედ იმ ხანებში მოკლა მონა კარკმა. მეფე ოლავის ამბებიც იცოდა. საღამოთი ვიგდისი დიდ დარბაზში ჩამოვიდა, კორეს მიუჯდა და მეგობრული მასლაათი გაუბა. კორე ქერათმიანი, ტანადი და ლამაზი ჭაბუკი იყო. ლიოტს არ მოეწონა, რომ ვიგდისი მასთან საუბრობდა და სვამდა. პირდაპირაც მიახალა ვიგდისს, როცა მასთან ახლოს მისვლა შეძლო.

— ეტყობა, გასარკვევი არა გვაქვს, მოგწონს გრეფსინელი კორე თუ არა.

— მართალი ხარ, — უპასუხა ვიგდისმა, — მე და კორე ერთად გავიზარდეთ და მისი ნახვა ყოველთვის მიხარია.

ამის შემდეგ ლიოტი ავი თვალით უმზერდა კორეს და იმ საღამოს რაც უნდა ეთქვა კორეს, ლიოტი ცდილობდა საწინააღმდეგო ეთქვა. ან თუ რაიმეს შეაქებდა კორე, თვითონ სხვა რამე შეექო უფრო მეტად. ბოლოს საუბარი ცხენებზე ჩამოვარდა. კორემ ქებით მოიხსენია თავისი ულაყი სლენგვე. ეს ცხენი თვით გუნარს ჰყავდა გამოზრდილი და მეგობრობის ნიშნად კორეს აჩუქა.

ლიოტმა თქვა: ცხენების მოსაყვანად ჭალაში რომ ჩავედი, ეგ ულაყი ვნახეო, თანაც დასძინა, ჩემი ცხენი გრიმელუნდელ არნესონებისაგან რომ ვიყიდე, ბევრად უკეთესიაო; თავსაც დებდა, ჩემს ორვაკზე ლამაზი და უკეთესი ცხენი მთელ ამ მხარეში არ მოიძებნებაო.

— მართალია, შენი ცხენის ცქერა სიამოვნების მომგვრელია, — წარმოთქვა ლიოტის გვერდზე მჯდარმა მოხუცმა, — მაგრამ კორეს ცხენმა შარშანაც და წელსაც დოღში უკან ჩამოიტოვა იგი... შენ კი, ეტყობა, არაფერი იცი... — დაუმატა მან ხმადაბლა, — რაკი არნესონების საქონელს აქებ.

— მაინც რა მოხდა?

— ვადინსა და გრიმელუნდს შორის დიდი მტრობა ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც ეიოლვ არნესონმა ვიგდისის ხელი ითხოვა და უარი მიიღო, — განუმარტა მოხუცმა.

— არაფერი მსმენია ამის თაობაზე, — თქვა ლიოტმა.

მოხუცმა განაგრძო:

— გუნარს შეიძლება მიეღო კიდეც სიძედ ეიოლვი, მაგრამ ამბობენ, თვითონ ვიგდისმა არ ისურვაო. თუმცა კი რა არის გასაკვირველი, არნესონებს ცუდი სახელი აქვთ გავარდნილი. ხალხი იმასაც ამბობს, ვიგდისს კორესთან ბავშვობიდანვე დიდი მეგობრობა აქვსო, ასე თუ ისე, არნესონები გუნარს საძაგიეროს გადახდით ემუქრებიან. მაგრამ ძალი არ შესწევთ ჭიდილისა, რადგან კარგად იციან, გუნარი ხანში შესული კია, მაგრამ ჯერ მაგარი კბილები აქვს.

ლიოტმა არაფერი უპასუხა. ყურადღებით აკვირდებოდა ვიგდისს და კორეს. ბოლოს წამოდგა, თავზე დაადგა კორეს და უთხრა:

— დღეს ბევრი კამათი იყო ცხენებზე. მოდი ავდგეთ და ჩვენი ულაყები შევაჯიბროთ. მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, რომელი სჯობია.

— აგრე იყოს, — უპასუხა კორემ ღიმილით, — მაგრამ რა საჭიროა. ჩვენში ყველამ იცის, რომ ჩემი ცხენი შენსას სჯობს.

მაშინ ვიგდისმა ლიოტს მიმართა:

— ნუ წააზდენ შენს ძვირფას ცხენს, სხვა ცხენი მას თუ სჯობია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ შენი ცხენი ცუდია.

ლიოტი ფიქრობდა და ბრაზმორეულმა უპასუხა:

— სრულებითაც არ დავკანკალებ ჩემს ავლადიდებას, როგორც გგონია. ერთი გვაჩვენოს კორემ, რა მებრძოლიც არის მისი ცხენი. შევყაროთ ხვალ ჩვენი ულაყები. თუკი ჩემი ორვაკი არ გაიმარჯვებს, ისლანდიაში აღარ წავიყვან.

— არა მგონია, ეიოლვმა უკან დაიბრუნოს, — სიცილით უთხრა ვიგდისმა.

— არც ვაპირებ მაგის თხოვნას, ავდგები და მოვკლავ, — თქვა ლიოტმა, მაჯიდან ოქროს სამაჯური მოიძრო და ცეცხლში ისროლა.

— მეტი არ დამცინო, ვიგდის, და აღარ დაგცდეს, რომ ჩემი ქონება მენანება, — შესძახა მან გაბრაზებით.

ვიგდისი ცეცხლს მივარდა, სტაცა ხელი სამაჯურს, ლიოტს გაუწოდა და უთხრა:

— არ არის კარგი, აგრე უგუნურად რომ იქცევი.

ლიოტმა სამაჯური გამოართვა და კარებში შეგროვილ მონებისაკენ ისროლა, თახაც დაიძახა, ვინც პირველი აიღებს, იმისი იყოსო.

მონებს შორის ისეთი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, გეგონებოდათ, ეიღაცას კლავენო. ვეტერლიდე ლიოტს მივარდა, მაჯაში ჩაავლო ხელი და შეგონება დაუწყო. ლიოტი კი იცინოდა.

ბოლოს და ბოლოს აყალმაყალსა და ხმაურში გადაწყდა, რომ კორე და ლიოტი თავის ულაყებს მეორე დღეს შეაბრძოლებდნენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

ცხენების ორთაბრძოლაზე ახლომდებარე სოფლების ყველა მკვიდრი შეიკრიბა. მათ შორის ქალებიც იყვნენ. ცხენების შებრძოლება ვადინის შორიახლოს მინდორზე უნდა გამართულიყო.

ლიოტი პირველი გამოცხადდა. თავისი ჯიშიანი ცხენი სადავით მოჰყავდა, მარცხენა ხელში კი მათრახი ეჭირა. თავზე მუზარადი ეხურა, წელზე მახვილი ეკიდა. ოქრომკედით ამოქარგული მშვენიერი ძოწისფერი წამოსასხამი ლამაზად ჰქონდა მხარზე მოგდებული. ლიოტმა წრეში შესვლისთანავე მოსასხამი მოიხსნა და იქვე ქვაზე დადო. მოსასხამის ქვეშ მოკლე წითელი ქურთუკი ეცვა. ახალგაზრდები უკვე მოსულიყვნენ; ლიოტს მიესალმნენ და ხელი ჩამოართვეს.

ლიოტის შავრა ორვაკი იშვიათი სილამაზის ულაყი იყო. ხალხიც ირწმუნებოდა, გამარჯვება მას დარჩებაო. ის ფლოქვებს სცემდა მიწაზე და ჭიხვიხით ძოედნის გარშემო ხეებზე მიბმულ სხვა ცხენებს ეხმაურებოდა.

კორე კარგა ხანი არ ჩანდა. არნესონები ხმამაღლა დასცინოდნენ და ამბობდნენ, ალბათ უკვე ნანობს, რომ ბრძოლაზე დათანხმდაო. ლიოტიც იცინოდა.

ბოლოს გუნარისა და ვიგდისის თანხლებით კორეც გამოჩნდა. ის მთლად ნარალასხმული იყო და აბჯარიც ეცვა. მხრებზე დათვის ტყავი ჰქონდა მოგდებული. ერთ ხელში შუბი ეჭირა, მეორეში კი მათრახი.

ორვაკმა მეორე ცხენი რომ დაინახა, განზე გახტა, ლიოტს აღვირი ხელიდან გამოგლიჯა და წრიდან გავარდნა სცადა. მაყურებლებმა გადაიხარხარეს. ლიოტი ცხენს გაეკიდა, მარცხენა ხელი ფაფარში ჩაავლო, მარჯვენათი კი მკერდსა და ბარძაყებზე მათრახი გადაუჭირა. სახე მთლად შეუჭარხლდა დაძაბვისაგან, როდესაც ცდილობდა ცხენი წრის შუაგულში შემოეყვანა. სწორედ მაშინ კორეს ულაყი სლენგვე ორვაკს დაეტაკა, ქვეშ მოიქცია და წინა ფეხებით ცემა დაუწყო. თანაც კბენდა. ორვაკი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა ლიოტს და კიდევ ერთხელ სცადა მოედნიდან გაქცევა. მაშინ ბრაზისაგან გონდაკარგულმა ლიოტმა მახვილი იშიშვლა და ცხენს მოუქნია, მაგრამ ფეხი დაუცდა და მახვილი ყალყზე შემდგარ სლენგვეს მუცელში მოხვდა. ლიოტი დაეცა და ცხენების ფეხებს შუა აღმოჩნდა. გარდუვალი დალუპვა ემუქრებოდა. ვიგდისმა შეჰკივლა და იხვეწებოდა, ცხენები გააშველეთო. კორემ ცხენებთან მიირბინა და მთელი ძალით დაჰკრა თავის ცხენს შუბის ტარი. სლენგვე მყის ყალყზე შედგა და ორვაკს დაეხსნა. ორვაკი წამოხტა და ტყისაკენ მოჰკურცხლა. იგი მთლად დასისხლიანებული და დაბეჟილი იყო. სლენგვეს კი გამოფატრული მუცლიდან შიგნეულობა გადმოეყარა.

კორემ ხელი გაუწოდა ლიოტს ფეხზე წამოსაყენებლად, რადგან ამ უკანასკნელს თავი ჰქონდა გატეხილი და მთლად გასისხლიანებული იყო. კორემ თქვა:

— ჩემს დღეში არ მინახავს ასე მოქცეულიყოს ვინმე ცხენების ორთაბრძოლის დროს. ცხენის საზღაურის გადახდა მოგიწევს ჩემთვის.

— აი შენი საზღაური, — წამოიყვირა ლიოტმა და ფეხით მიწა შეაყარა, — თვითონ დამიფრთხე ულაყი მაგ შენი დათვის ტყავით.

— ვერ შეგვაშინებ ვიგა-ლიოტ, თუნდ ისლანდიაში მოკლული გყავდეს ვინმე, — უპასუხა კორემ და შუბის წვერი პირდაპირ ვიგა-ლიოტს მიუშვირა.

ლიოტმა მახვილი აუქნია და შუბს წვერი მოკვეთა, თან უნებურად კორეს ხელი გაუკაწრა. მაშინ კორემ შუბის ტარი გადააგდო და ლიოტისაკენ წაიწია. მაგრამ სწორედ ამ დროს ლიოტს ძალა გამოელია, პირიდან სისხლი წასკდა და ნახევრად გონდაკარგული მიწაზე დაეცა. ცხენებს მაგრად დაებეჭითა იგი.

მათ ვეტერლიდე მიუახლოვდა, კორეს მხრებზე მოჰკიდა ხელი და წყნარად დაუწყო საუბარი, უთხრა, რომ მოკლული ცხენის საზღაურს გადაუხდიდა, ჭრილობისასაც, და ყოველმხრივ დააკმაყოფილებდა კორეს.

— შენგან არაფერს მივიღებ, ისლანდიელო, — უპასუხა კორემ. — კარგად ვხედავ, რომ შენს ნათესავს ჩემი მოკვლა სურს.

— არ მინდა გუნარის მეგობრებთან შუღლი ჩამოვაგდო, — თქვა ვეტერლიდემ, — გუნარი ჩვენგან მხოლოდ დიდი პატივისცემის ღირსია.

მან გვერდზე გაიყვანა კორე და დიდხანს ელაპარაკებოდა.

ამასობაში გუნარმა თავის შუბს წამოავლო ხელი და მკერდში ჩასცა სლენგვეს.

კოლ და ეიოლვ არნესონებმა ლიოტი წამოაყენეს და ისიც მალე მოეგო გონს. კორეს უკვე მოესწრო ვეტერლიდესთან ერთად იქაურობას გასცლოდა. ლიოტმა სახიდან სისხლი მოიწმინდა და აქეთ-იქით მიმოიხედა. ვიგდისს ეძებდა. ვიგდისი მკვდარი ცხენის წინ ჩაცუცქულიყო, ნაზად უალერსებდა დრუნჩზე და მწარედ ტიროდა.

ლიოტი მიუახლოვდა და ღიმილით ჰკითხა:

— რას იტყვი, ვიგდის, ულაყების შებრძოლებაზე.

ვიგდისი უფრო მწარედ ატირდა და თქვა:

— არ მწადია შენთან ლაპარაკი.

— იმის ხომ არ გეშინია, რომ გრეფსინელ კორეს იგივე ბედი ელის, რაც მის ცხენს მოუვიდა? — ჰკითხა ლიოტმა.

— დღეს კორეს თავი არ შეურცხვენია, — უპასუხა ვიგდისმა; ცხენს ფაფარი უკან გადაუყარა და კისერზე ხელი მოუთათუნა, — ხომ გითხარი, შენთან საუბარი არ მსურს-მეთქი.

ძას ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა; წამოდგა, მამას მიუახლოვდა და ისინი ერთად წავიდნენ.

არნესონები ლიოტს შემოეხვივნენ და მათთან ერთად წასვლა შესთავაზეს.

— არ შემიძლია, — უპასუხა ლიოტმა, — ასე ვერ გავწყვეტ მეგობრობას გუნართან.

— ეს კიდევ საკითხავია, — შეეპასუხა ეიოლვი, — იქნებ გუნარს თავის სიძესთან წაჩხუბებისა უფრო ეშინია?

— სიძეს ვის უწოდებ? — ჰკითხა ლიოტმა.

— კორეს, აბა სხვას ვის უნდა ვუწოდო? — ჩაერია ლაპარაკში კოლი. —

თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველია, მოინდომებს თუ არა ვიგდისის ყიდვას, ის ხომ ისედაც დანებდა ჯორეს.

— ტყუი! — თქვა ლიოტმა.

— არა, მართალს ამბობს, — კვერი დაუკრა ეიოლვმა. — ჩვენმა მწყემსმა ამ გაზაფხულზე ვიგდისი და კორე მდინარესთან ნახა. ისიც დაინახეს, ერთად რომ იწვნენ.

— შენს მწყემსს ყველაფერი მოუჩმახავს, — გაიმეორა ლიოტმა. მოტრიალდა და წასვლა დააპირა. ეიოლვი ახლომახლო მდგარ ხალხს მოუბრუნდა:

— გრეფსინელი კორე სად წავიდა? ვიგა-ლიოტს მასთან საუბარი სურს.

— ვადინში წავიდა მეორე ისლანდიელთან ერთად, — უპასუხა ერთდროულად რამდენიმე კაცმა.

რამდენიმე წამს ლიოტი იდგა და დაჟინებით იმზირებოდა გუნარის სახლისაკენ. სისხლით მოსვრილი მისი მიტკალივით თეთრი სახე საშინელი სანახავი იყო, ცოტა ხნის შემდეგ მოტრიალდა, მაგრამ კინალამ წაიქცა. არნესონები შეეშველნენ, ხელი მოჰკიდეს და ცხენზე შესვეს. ლიოტს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ისინი დასავლეთისაკენ, არნესონების მამულისაკენ, გრიმელუნდისაკენ გაუდგნენ გზას.

VIII

ვეტერლიდე ძალიან უკმაყოფილო იყო ლიოტის გრიმელუნდში წასვლით. რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ გაემგზავრა იქით. დისწული ზემოთა ოთახში მწოლიარე დახვდა; იგი ავად იყო.

— კორესთან ყველაფერი მოვაგვარე, — უთხრა ვეტერლიდემ. — ახლა კი გთხოვ, მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა აღარ დაარღვიო.

ლიოტმა არაფერი უპასუხა. მცირე ხნის შემდეგ კი შეეკითხა:

— რას ამბობენ ვადინში ამის თაობაზე.

— ბევრს არაფერს, — მიუგო ვეტერლიდემ, — სხვას არც მოველოდი, რადგან გუნარი კეთილშობილი კაცია, თანაც არც ჩემთვის იქნებოდა სასიამოვნო შენზე ცუდი რამ მომესმინა.

ისევ სიჩუმე ჩამოდგა. ლიოტი თითებს ათამაშებდა ტყავზე, ზედ რომ ეხურა და რაღაცაზე ფიქრობდა. შემდეგ კი ლაპარაკი წამოიწყო და ვეტერლიდეს უამბო, რაც არნესონებისაგან გაეგონა.

— ეიოლვის ვიღაც მწყემსის სიტყვებს რა ყურს უგდებ, თუნდ მთელი ქვეყნის მწყემსებმაც დაუდასტურონ, — შეესიტყვა ვეტერლიდე. — ასეთი ჭორების გავრცელება ხომ ენაჭარტალა დედაკაცებს სჩვევიათ. ცუდია, დისწულო, რომ ასეთ ხალხთან დაგიჭერია საქმე.

— იქნებ სცადო გამიგო, როგორ არის გუნარი ჩემდამი განწყობილი... ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ? — ჰკითხა ლიოტმა მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ.

— უხერხულია მაგაზე ლაპარაკის წამოწყება, სანამ აქ წევხარ, — უპასუხა ვეტერლიდემ, — კარგი იქნებოდა, ახლავე წამომყოლოდი ვადინში.

— ზურგი მტკივა, — თქვა ლიოტმა, — ცხენზე ჯდომაც არ შემიძლია.

— თუკი აქ ჩამოსვლა შეძელი, წასვლაც უნდა შეძლო, — სიტყვა შეუბრუნა ვეტერლიდემ. — თუმცა რა გასაკვირია, ვადინში გამოჩენა რომ გიმძიმს. შენი საქციელი ვერაფერი ბიჭობა იყო. მაგრამ მაინც გირჩევ წამოხ-

ვიდე. არნესონებმა უდავოდ მიზნად დაისახეს, შენ და გუნარი წაგაჩხუბონ, მარტო ვერ ბედავენ შებმას და უნდათ შენ გაგხვიონ ხათაბალაში, თვითონ მოუარონ თავიანთ საქმეს, შენ კი მაგათ შეხლა-შემოხლაში ნუ ჩაერევი.

ლიოტი ჯიუტად იმეორებდა, ცხენზე ჯდომა არ შემიძლიაო. არნესონებმა ვეტერლიდეს შესთავაზეს მათთან დარჩენილიყო, ესადილა და დაელია, მაგრამ ვეტერლიდემ ყველაფერზე უარი უთხრა და ვადიზში დაბრუნდა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვეტერლიდე ვარაუდობდა. როცა გუნარს ლაპარაკში შეაპარა, ლიოტს ვიგდისის ხელის თხოვა უნდაო, გუნარმა თქვა:

— ისლანდიელო, მე არა ვარ მოსურნე ჩვენ შორის უსიამოვნება ჩაძოვარდეს. კარგი ვაჟკაცი მგონიხარ და ისიც მინდა დავიჯერო, რომ ლიოტ გისურსენი ბევრად უკეთესი ვაჟკაცია, ვიდრე თავის საქციელით გვაფიქრებინებს. მართალი რომ გითხრა, არ მინდა ჩემი ასული ზღვის გადაღმა გავატანო, შორეულ მხარეში; რაღა დაგიმალო და, არც ის მინდა, სიძე გრიმელუნდელი მყავდეს.

— შენს ნათქვამში გასაკვირი არაფერია, — უპასუხა ვეტერლიდემ და ეს საუბარი აღარ განახლებულა. ვიგდისმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

IX

ვეტერლიდე რამდენჯერმე ეწვია ლიოტს და სთხოვა გრიმელუნდიდან წამოსულიყო, ლიოტი კი სულ ავადმყოფობას იმიზეზებდა. მართლაც ჯერ კიდევ სისხლიან ნახველს იღებდა და გამუდმებით თავი სტკიოდა. ვეტერლიდე იძულებული იყო მარტო დაბრუნებულიყო რომერიკში. ხოლო როცა მოგზაურობიდან მობრუნდა, რათა ლიოტთან ერთად ისლანდიაში დაბრუნებულიყო, ლიოტმა უთხრა, ნორვეგიაში ვრჩებიო. მაშინ ვეტერლიდემაც გადაწყვიტა დარჩენა.

— აქ მარტო თუ დარჩები, — უთხრა მან დისწულს, — არნესონები ისეთ საქმეებში ჩაგითრევენ, რომ მერე შენ თვითონ შეგრცხვება.

— არხეინად გაუდექ შენს გზას, — უთხრა ლიოტმა — უკვე ისე მოვმჯობინდი, როცა ცოტა ხნის შემდეგ რომერიკში წასვლას შევძლებ, იქიდან კი მეფე ოლავთან მინდა გავემგზავრო. იქ ჩემს თანამემამულეებს შევხვდები, ოძელთა ნახვა დიდი ხანია მინდა. რაც შეეხება არნესონებს, ჯერ არც არაფერი უთხოვნიათ და არც რამეზე მაგულიანებენ. სამაგიეროდ დიდი ყურადღება და სითბო ვიგრძენი მათგან.

— მაშ სიტყვას მაძლევ, რომ ჩრდილოეთში წახვალ? — ჰკითხა ვეტერლიდემ.

ლიოტი შეჰპირდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლიოტი მართლაც გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ და მაშინ ვეტერლიდემაც გადაწყვიტა სახლში დაბრუნება. ვეტერლიდე და გუნარი საუკეთესო შეგობრებად დაშორდნენ და ძვირფასი საჩუქრები უძღვნეს ერთმანეთს. ვეტერლიდემ ვიგდისს ოქროს სამკერდე სამკაული და სამხრეთის ქვეყნებიდან ჩამოტანილი სარკე აჩუქა. ვიგდისმა კი გამომშვიდობებისას მდიდრულად ამოქარგული წითელი აბრეშუმის მოსასხამი მიართვა.

X

გვიანი შემოდგომა იდგა. სოფელში ხმა დაირხა, ვიგა-ლიოტი მოგზაურობიდან დაბრუნდაო. იგი ერთ გლეხთან დაბინავდა, რომელსაც სახელად თურბიერნი ერქვა. ამ გლეხს ჰესტეკენის ხშირ ტყესთან ჰქონდა კარმიდამო, გარშემოვლილი და ვადინს შუა. დროდადრო ლიოტი არნესონებს ხვდებოდა.

ერთხელ, საღამო ხანს ვადინში პატარა ბიჭი მოვიდა და თქვა, ბატონს ეახვა ძიხდაო. ბიჭს ჰელგე ერქვა. იგი ვადინის მახლობლად მცხოვრები ერთი ღატაკი დედაკაცის შვილი იყო. ბიჭმა ვიგდისს სთხოვა, დედაჩემი ძლიერ ავადაა და ინახულეო. ვიგდისმა უპასუხა, ესა, — ასე ერქვა მის დედობილს, ქალს, ოდესღაც ვადინის კარმიდამოს უძღვებოდა, — ბევრად უკეთ მკურნალობს ავადმყოფებს და ის გამოგყვებაო. მაგრამ ბიჭი დაჟინებით მოითხოვდა ვიგდისი გაჰყოლოდა, რადგან დედას სწორედ ვიგდისი უნდოდა, რაღაცაც აქვს სათქმელიო. ვიგდისი აღარ გაჯიუტებულა, მოსასხამი მოიხურა და ჰელგეს გაჰყვა.

უკვე ბნელოდა, როცა სახლიდან გავიდნენ. ცოტა ხანს გზას მიუყვებოდნენ, შემდეგ კი ბიჭმა ტყეში გადაუხვია, ნესტიან ყანაში სიარული ძნელიაო. ვიგდისს არ გაჰკვირვებია, რადგან ოქტომბრის მიწურული იყო და დაბლობი ადგილები დატბორილი იყო. როგორც კი ტყეში შევიდნენ, ტევრიდან მათ შესახვედრად მამაკაცი გამოვიდა. ვიგდისმა იკითხა, ვინ არისო.

— ძე ვარ, ლიოტი, — მიუგო მამაკაცმა.

ჰელგემ, რომელიც ხელჩაკიდებული ჰყავდა ვიგდისს, ხელის გაშვება მოინდომა, მაგრამ ვიგდისმა უფრო მაგრად ჩაჰკიდა ხელი და ჰკითხა:

— მაშ, ამ კაცმა გამოგგზავნა ჩემთან?

ბიჭმა იყუჩა, მის მაგივრად ლიოტმა უპასუხა:

— დიახ, ასეა. ეგ ესას წამოსაყვანად მოდიოდა, მე კი ვთხოვე შენთვის დაეძახა, რადგან მინდა მოგელაპარაკო. ვადინში მოსვლა ხელს არ მაძლევს, მარტო მინდა გესაუბრო.

— უცხაური გზა გამოძებნე ჩემ სანახავად.

— სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, — უპასუხა ლიოტმა, — რამდენიმე დღე თქვენი კარმიდამოს გარშემო დავბორიალობ შენთან შეხვედრის იმედით.

ბიჭმა სცადა ხელის გამორთმევა და გაქცევა, მაგრამ ვიგდისს მაგრად ჩაეჭიდა მისთვის ხელი.

— გაუშვი ბიჭი, — სთხოვა ლიოტმა, — ჩემთან დარჩენისა ხომ არ გეშინია. მერე სახლამდე მიგაცილებ.

— კარგი, წადი, — უთხრა ვიგდისმა ბიჭს. მერე ლიოტს მიუბრუნდა. — რა საქმე უნდა გქონდეს ჩემთან, ამ ტყეში ჩემი შემოტყუება რომ გიფიქრია?

— თვითონაც იცი, რა საქმე მაქვს შენთან, — უპასუხა ლიოტმა.

ვიგდისმა პასუხი არ გასცა, ლიოტმა კი განაგრძო:

— ახლა ჩემთვის უკვე ნათელია, რომ რაც უფრო დიდი ხნით გშორდები, მით უფრო მეტად მენატრები; და არც როდის დადგება დღე, რომ შენი გულიდან ამოგდება შევძლო.

ვიგდისი ატირდა და თქვა:

— რად მოიქეცი ისე, რომ მამაჩემს აღარ სურს შენი სახელის გაგონება.

— ასე გამოვიდა, — თქვა ლიოტმა, — აქ ხმები დადის, რომ გრეფსინელი კორე გთხოულობს.

— როგორ გგონია, ასე რომ იყოს, იმ სალამოს ასე მოგიღებდი, ჩემ ოთახში რომ შემოხვედი? — ხმადაბლა წარმოთქვა ვიგდისმა. შემდეგ დაუმატა: — შენ თვითონ აჩქარდი და ყველაფერი გააფუჭე.

— ძალიან ცუდად მომივიდა, — დაეთანხმა ლიოტი. — მაგრამ რაც ოლეს ძეებება, ეტყობა, მამაშენი გადაწყვეტს ყველაფერს.

— არა, მამაჩემი ვერ მაიძულებს მიმათხოვოს კაცს, რომელიც არ მიყვარს. შემპირდა კიდეც, ძალას არ დაგატანო, — ცხარედ თქვა ვიგდისმა.

— მე, კი გამომყვები?

ვიგდისმა ჩუმად უპასუხა:

— ჰო... თუკი შესაძლებელია ამის მოგვარება.

— უცნაური იქნება, ახლა რომ არ მოგვარდეს, — თქვა გახარებულმა ლიოტმა და მოეხვია. იგი განიერ ჯირკვზე ჩამოჯდა და ვიგდისი მუხლებზე დაისვა. ვიგდისმა კისერზე ხელები შემოხვია და აკოცა. ლიოტს მისი გაშვება აღარ სურდა და ისე გახელებით დაუწყო კოცნა, რომ ვიგდისი დაფრთხა. ბოლოს თქვა, შინ უნდა წავიდეო, და მკლავებიდან გაუსხლტა.

— სახლამდე მიგაცილებ და ვეცდები დღესვე ვინახულო მამაშენი, — თქვა ლიოტმა, — მინდა რაც შეიძლება ჩქარა დავიყოლიო გუნარი.

— ჯერ ნუ იზამ მაგას, — სთხოვა ვიგდისმა. — მარტო ხარ და ამ შუბის გარდა სხვა იარაღი არა გაქვს.

ლიოტმა გაიცინა:

— ძენ ფიქრობ, ამ შუბით ვერ გავუმკლავდები? მაგრამ ეგეც არ იყოს, რაში მარგებს გუნართან შებმა.

ვიგდისი ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— გამიგონია, მეფის კარზე ბევრი ისლანდიელი არისო. არავის იცნობ?

— კი, ზოგიერთს ვიცნობ, — უპასუხა ლიოტმა. — იქ თორალეე და გისურ თურბიერსონები ცხოვრობენ, ჩემი მამობილის ვაჟიშვილები.

— მათთან რომ წახვიდე და მოელაპარაკო? თუ დაგთანხმდებიან, გიშველიან, იქნებ ყველაფერი მოგვარდეს და მამაჩემი დაიყოლიონ.

— როგორ გეჩქარება ჩემი აქედან გაგდება, — თქვა ლიოტმა და კიდევ ერთხელ მოეხვია.

ვიგდისს ტირილი აუვარდა და თქვა:

— ვაითუ ვერაფერს გახდე, მამაჩემს მარტო თუ დაელაპარაკები. შენ ფიცხი ხარ, გუნარი კი შემომწყრალია შენზე. უმჯობესი იქნება, ვინმე ისეთი გახლდეს, ვინც მხარში ამოგიდგება და კარგ რჩევასაც მოგცემს.

ლიოტმა ხელი გაუშვა ვიგდისს. იგი ტირილით მიდიოდა წინ, ლიოტი კი უკან მიჰყვებოდა. ბოლოს მან თქვა:

— კარგი, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გწადია, ვიგდის. თუმცა ხომ იცი, ჩრდილოეთისაკენ რა მძიმე გზაა, ზამთარიც კარზე მოგვდგომია. მეეჭვება კიდეც თურბიერნსონები დამთანხმდნენ და უმალ აქეთ გამომყვნენ.

— მაშ, ისე მოიქეცი, როგორც გული გეუბნება, — თქვა ვიგდისმა. იგი მოტრიალდა, ხელი ჩაჰკიდა ვიგა-ლიოტს და ასე ხელჩაკიდებულნი ვადინისაკენ გაემართნენ.

ლიოტი შეპირდა, ჩრდილოეთისაკენ ხვალვე გავემგზავრებიო. ჭიშკართან

ვაჩერდნენ. ლიოტმა სთხოვა, წასვლამდე ერთხელ კიდევ შემხვდიო. მის თმას წაეტანა, კისერზე და ხელებზე შემოიხვია.

— ხვალ სამსხვერპლოსთან მოდი, — უთხრა გამომშვიდობებისას, — რამდენი ხანია არ მინახიხარ. დღეს კი მაგარი სიბნელე იყო. ხვალ მზის ჩასვლამდე იქ დაგელოდები... თანაც ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას შენ იქ ერთი ნივთი დაგრჩა. მე ვიპოვე. მეგონა, შენი ნახვის საბაბად გამოგადგებოდა.

— რა ნახე ასეთი? — ჰკითხა ვიგდისმა.

ლიოტმა გაიცინა და უპასუხა, ხვალ ნახავო. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

XI

ვიგდისი ისე გვიან დაბრუნდა სახლში, რომ ყველას უკვე ეძინა. ის პირდაპირ თავის ოთახში შევიდა. ესამ პური და რძე გამოუტანა. სანამ ვიგდისი ჭამდა, ესამ ჰკითხა, ბიჭის დედა ასტრიდი როგორ არისო.

— ხვალ შენ თვითონ მოგიხდება მასთან წასვლა, — უპასუხა ვიგდისმა, ცოტა დააყოვნა და დაუმატა, — ამ საღამოს შორს ვერ მოვახერხე გასვლა.

— გზა ხომ არ აგებნა? — ჰკითხა ესამ.

— არა, — მიუგო ვიგდისმა, ისევ გაჩუმდა და მერე დაუმატა, — ტყის პირას ლიოტს შევხვდი და მას ველაპარაკე.

ამ დროს მათ მიუახლოვდა ქალი, რომელიც ჭურჭელს რეცხდა, მას თურბიერგს ეძახდნენ — იგი ერთ-ერთი მუშის ცოლი იყო. მან თქვა:

— ესეც ახალი ამბავი! მაშ ლიოტი ისევ ჩვენს კარმიდამოს უტრიალებს? ეტყობა, ცუდი განზრახვა უდევს გულში.

— მაგისა, მგონი, არ უნდა გვეშინოდეს, — სიცილით თქვა ვიგდისმა.

— უფრთხილდი მაგ ვაჟბატონს, ვიგდის, — განაგრძო დედაკაცმა, — რა იცი, იქნებ მალე ხმა დაგიყაროს, რომ მანაც შეგაცდინა.

ესამ დედაკაცი გააჩუმა და თქვა:

— ისე კი, მართლაც უკეთესი იქნება, ვიგა-ლიოტს რომ აღარ აჰყვე საღამოობით. რა იცი, რას გიქადის მასთან ლაპარაკი.

— ვიგდისი პატარა აღარ არის, უკვე 18 წლისაა, — წაიბურტყუნა თურბიერგმა. — დაე ყველაფერი იცოდეს. მაშინ უფრო გაფრთხილდება. ჭკვიანი ხალხი კი ირასოდეს დაიჯერებს, რასაც ლიოტი თავის სიმღერებში ამბობს. დიახ, აქ ცხოვრობდა და ლექსებს თხზავდა, თანაც სულ ვიგდისზე. ეგ ის ლიოტი არ ბრძანდება, ამ გოგოს ჭორებს რომ უვრცელებს, კორემ შეაცდინაო. ყველას ესმის, რომ ის ლაწირაკივით იქცევა და თანაც აძაგებს იმას, რისი ხელში ჩაგდებაც არ შეუძლია.

— ლიოტს ეგ არ უთქვამს, — შენიშნა ესამ. — ეგ ხმა არნესონებმა გავრცელეს; ისინი ავსიტყვაობენ და მთელ არემარეს მოსდეს ჭორები.

ვიგდისი გაუნძრევლად იჯდა სკამზე და ქალების ყბედობაზე ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა.

— ვერ დავიჯერებ, რომ ლიოტს ერთი სიტყვა მაინც ეთქვა ჩემზე, — ჩაილაპარაკა მან ბოლოს.

იმ ღამეს ვიგდისს თითქმის არ სძინებია, ჩუმად იწვა ესას გვერდით და

ხმას არ იღებდა. მეორე დღეს ვიგდისი მამასთან შევიდა, მის პირდაპირ დაჯდა და ჯიქურ ჰკითხა:

— რას იტყოდი, მამაჩემო, ლიოტ გისურსენი, ვეტერლიდეს დისწული, შენთან რომ მოსულიყო და შენი ასულის ხელი ეთხოვა?

— ერთი გაბედოს აქ მოსვლა, — უპასუხა გუნარმა, — შევხვდები, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდეს. მაგრამ არა მგონია, [illegible] ეგენაროს.

— კი მაგრამ, მისი უთანხმოება კორესთან ხომ მოგვარებულია, — შენიშნა ვიგდისმა.

— კორესთან ყველაფერი ვეტერლიდემ მოაგვარა, — უპასუხა მამამ, — ლიოტი კი განზე დარჩა. მაგასავით უმადურად ჯერ არავინ მომქცევია.

— ჰო, მაგრამ, თუ არ იცოდა, რა მოხდა ჩვენსა და ეიოლვს შორის? — უთხრა ვიგდისმა.

— მართალია, მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი იცის, — მიუგო გუნარმა. — ისიც იცის, რაც არ მომხდარა. მაგრამ გვეყოფა! მე და კორე ვაპირებთ მოვძებნოთ იგი ჰესტლეკენში და ცხვირპირს ამოვუნაყავ! წავიდეს მაშინ და თხზას თავისი სიმღერები.

— ეგ არ მოხდება, — შიშით ჩაილაპარაკა ვიგდისმა.

გუნარმა მკაცრად დასძინა:

— მასთან ლაპარაკი ალარ გაბედო; არც მისი სახელი გამაგონო.

ვიგდისმა არაფერი თქვა და ოთახიდან გავიდა.

XII

ვიგდისმა მთელი ღამე შიშსა და ყოყმანში გაატარა თავის ოთახში. ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა ლიოტთან პაემანზე. მაგრამ როცა მზე ცის კიდურისაკენ დაეშვა, მუქი ფერის მოსასხამი მოიგდო მხრებზე და გარეთ გავიდა.

იმ ღამეს ყინავდა და ფიორდებზე თეთრი ნისლი იყო გაფენილი. მზე მწვერვალებს აკაშკაშებდა. ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო. ერთბაგს ვიგდისი გაუბედავად იდგა, მერე კი ჭიშკრიდან სწრაფად გავიდა და ტყისკენ გაემართა. მისი წასვლა არავის შეუმჩნევია. სამსხვერპლოს რომ მიუახლოვდა, მაშინვე დაინახა საგზაოდ გამოწყობილი ლიოტი. მოსასხამი და მახვილი გვერდზე დაედო, ცხენი ხეზე მიება. სწორფად გამოეშურა ვიგდისისაკენ, ხელით მზე მოიჩრდილა და თქვა:

— ამ მზის წყალობაა, რომ შემიძლია შენი სილამაზით დავტკბე, ვიგდის.

ლიოტი მოეხვია ქალიშვილს და ისე მოატრიალა, რომ მზის სხივები თვალებში არ მოხვედროდა. მაგრამ ვიგდისი განზე დადგა, ხელები ზურგზე დაიწყო და თქვა:

— აი, მეც მოვედი. მაგრამ უცნაური საუბარი უნდა წამოვიწყო. სიმართლე მითხარი, ჩემსა და კორეს შესახებ აქ ჭორები დადიოდა?

ლიოტი წამოენთო და თქვა:

— გუშინ არ იყო, სწორედ მაგას რომ გეკითხებოდი? მართალია, კორეა ცოლად მიჰყვები-მეთქი?

— ხეტაე სულაც არ მოვსულიყავი, — ჩაილაპარაკა ვიგდისმა, — ვაითუ მართალი აღმოჩნდეს ყველაფერი, რაც ტყუილი მეგონა.

— ნუ ამბობ მაგას, — სთხოვა ლიოტმა, — ამას იქით აღარასოდეს ითგაყვახინებ გულს ჩემზე მაგნაირი სისულელეებით.

— ეგ კი მართალია, — უპასუხა ვიგდისმა, — რადგან მე და შენ ეცნ-ნასკნელად ვლაპარაკობთ ერთმანეთთან.

ლიოტი მოეხვია, მაგრამ ვიგდისმა ორივე ხელი მკერდზე მიაბჯინა და მოიცილა.

— ჩემზე ერთი ავი სიტყვის გაგონებაც კი საკმარისი გამოდგა შენთვის, რომ დაიჯერე და გაიმეორე კიდეც, — წამოიძახა ვიგდისმა.

— მე არაფერი მითქვამს შენზე, — უპასუხა ლიოტმა, — და არც არასოდეს დამიჯერებია სხვისი ნალაყბევი.

— რა იცი, იქნებ მართალიც გითხრეს ბოლოს და ბოლოს, — თქვა ვიგდისმა და ვაჟის მკლავებიდან თავის დაღწევა სცადა.

მაგას ნუ ამბობ, — უყვირა ლიოტმა და კიდევ აკოცა, — ნუთუ დაგავიწყდა, რასაც მეუბნებოდი, მუხლებზე რომ მეჯექი?

პასუხის ნაცვლად ვიგდისმა ისე მწარედ უკბინა კისერზე, რომ წამით ლიოტმა სახე მოარიდა.

— ჩემი გადაწყვეტილება შეუცვალე, — თქვა ქალიშვილმა.

— კორესი არასოდეს იქნები, — კბილებში გამოცრა ლიოტმა, — თუ შენ დაგკარგავ, სიცოცხლეც აღარ მინდა.

ამ სიტყვებით ვიგდისი ხელში აიყვანა და მიუხედავად ქალიშვილის წინააღმდეგობისა, ჭალისაკენ გაემართა... იქ მან საწადელი აისრულა, თუმცა კი ვიგდისი დიდხანს იცავდა თავს.

მერე კი ვიგდისს ხმა არ ამოუღია, არც უტირია. ლიოტმა ხელი შეახო მის ლოყებსა და მკლავებს. ისინი ყინულივით ცივი იყო.

ლიოტი წამოდგა, მოსასხამი აიღო, ვიგდისს დაახურა და აკოცა. ისე ყინავდა, რომ პირიდან ორთქლი გამოდიოდა. მზე ჩავიდა, მაგრამ ტყის უკან ცა ისეთი წითელი იყო, თითქოს ზედ სისხლი დაუღვრიათო.

— დროა წავიდეთ აქედან, — თქვა ლიოტმა და დაიხარა, რომ წამოდგომაში შეშველებოდა. — დღეს მხოლოდ სტურვანდამდე მოვასწრებთ ჩასვლას. იქ ალბათ ღამის გასათევ ადგილს ვიპოვით.

ვიგდისმა, როგორც იქნა, სიჩუმე დაარღვია:

— ღირსი კი იქნებოდი, არამზადავ, მამაჩემი დაგწეოდა და საკუთარი ხელით გამოესალმებინე სიცოცხლეს.

იგი წამოდგა და წინ წავიდა. ლიოტი უკან მიჰყვა.

— ორივესათვის უმჯობესი იქნება, თუ ჩემთან ერთად წამოხვალ, — თქვა მან. — ძალიან ცუდად მოვიქეცი. მაგრამ დიდი უსამართლობა იქნება, მე და ძეხ ერთმანეთს არ ვეკუთვნოდეთ.

ვიგდისი არც ახლა მობრუნებულა. ლიოტს ავად ენიშნა, რომ იგი არც ხმას იღებდა და არც ტიროდა. ასე სდია ვიგდისს ვადინამდე.

ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ვიგდისი დაიხარა, ხელი დაავლო ქვას და ლიოტს ესროლა.

— გაეთრიე აქედან... ძაღლო! — დაიყვირა მან.

ქვა ლიოტს ტუჩში მოხვდა. დარტყმა ძლიერი არ იყო, მაგრამ მაინც ტუჩიდან სისხლი წამოუვიდა. მან თქვა:

— ერთხელ კიდევ ვითხოვ შენს ხელს, მაგრამ ახლა გადროვებ მოფიქრე-

ბას. ზაფხულში ისევ დავბრუნდები და მაშინ გკითხავ, გინდა თუ არა ჩემი ცოლი გახდე.

— ნახავ, ვიგა-ლიოტ, — უპასუხა ვიგდისმა, — რომ შენზე ბაკლები ჯიუტი არც მე ვარ.

ეს თქვა და წავიდა. ოთახში შესვლისთანავე დაწვა. ესამ შეამჩნია, რომ ვიგდისს ღამე ცუდად ეძინა და ძილში ბორგავდა. [illegible] ამჯერადაც არაფერი უთქვამს მისთვის.

ლიოტი სამსხვერპლოსთან დაბრუნდა, ცხენი ახსნა და წავიდა. მთელი ღამე იარა და ჰაკედალს მიაღწია. იქიდან რომერიკში გაემართა. რომერიკიდან კი თრონდიემში. ის არაფრად აგდებდა საშინელ ამინდს, რომელიც მთელი მგზავრობის მანძილზე თან სდევდა. მთებში კინალამ დაიღუპა და მისმა ძმობილებმა, თურბიერსონებმა, სასწაულად მიიჩნიეს მისი გადარჩენა და თრონდიემში ჯანმრთელად ჩასვლა.

XIII

ვიგდისი ფეხმოუცვლელად იჯდა შინ, ვადინში. ძალიან დანაღვლიანდა და ალარაფერი ახარებდა. თითქმის არაფერს ჭამდა, არც სვამდა; ჩაცმა-დავარცხნასაც ალარ აქცევდა ყურადღებას. ერთი წამითაც ვერ ივიწყებდა ლიოტის მიერ მიყენებულ შეურაცხყოფას. ყოველდღე ძრწოლვით ფიქრობდა, რომ სალამოთი ისევ ამ საშინელი ფიქრებით მოცული უნდა დაწოლილიყო; გათენება თავზარს სცემდა, რადგან დღე მოდიოდა, უნდა ემუშავა, ესაუბრა და სხვებთან ყოფილიყო. თავის თავს ეუბნებოდა:

— მე სწორედ იმ ჩიტს ვგავარ, რომელიც ძლივსღა იქნევს მოტეხილ ფრთებს, ის ვერც იმ ადგილიდან იძვრის, სადაც დაეცა და ვერც ველარაფერს ხედავს, გარდა სისხლისა, ჭრილობიდან რომ მოსთქრიალებს. მინდა გავიხსენო, რა იყო ადრე, მაგონდება კი მხოლოდ ის, რაც დამემართა... საკმარისია ალვადგინო მეხსიერებაში დრო, როცა არაფრის დარდი მქონდა, მაშინვე მეჩვენება, რომ ეს იყო მხოლოდ სამზადისი იმისა, რაც ახლა მოხდა.

იყო დღეები, როცა გაუელვებდა ხოლმე ფიქრი, რომ ყველაფერს მდინარეში თავის დახრჩობა ერჩია.

შუა ზამთრის ერთ დღეს ვიგდისმა უცბად იგრძნო, რომ ბავშვს ატარებდა მუცელში.

ერთხელ ღამით, როცა ესას და სხვა ქალებს ეძინათ, ვიგდისი ჩვეულებისამებრ თვალგახელილი იწვა. უცებ ადგა, მოსასხამი მოიხურა, გარეთ გავიდა, და მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს აუყვა.

აქამდე ვიგდისი შუალამისას მარტო არასოდეს გასულა სახლიდან. იგი შიშმა და ძრწოლამ აიტანა. მარტის თვე იდგა, წვიმდა და ქარი ზუზუნებდა. ირგვლივ ისეთი უკუნეთი იყო შემომდგარი, რომ ვიგდისი ვერ არჩევდა მიწას ცისაგან. მხოლოდ სწრაფმავალი ღრუბლები ირეოდა ერთმანეთში და ზოგჯერ თითო-ოროლა ვარსკვლავი თუ გამოკრთებოდა ცაზე. ვიგდისი შორს არ იყო წასული, გზა რომ აებნა; ბილიკს ასცდა და მინდორზე გადადიოდა. ვერ ხედავდა, სად აბიჯებდა: ფეხი ხან გამდნარი თოვლის ნამქერში უვარდებოდა, ხან კი ღრმა ტალახში ეფლობოდა. მაგრამ უფრო დიდხანს მიაბიჯებდა ველზე, რომელიც ყინულის ქერქით დაფარულ მდინარე ფრუსისაკენ ეშვებოდა. მალე

ისე აებნა გზა, რომ აღარ იცოდა, საით იყო სახლი და საით მდინარე. უცებ ისეთ გაყინულ ზედაპირს დააბიჯა, რომ დალმართზე დაქანდა და მხოლოდ ქვემოთლა მოახერხა რაღაცას მოსჭიდებოდა. სიბნელეში მიხვდა, ნაძვისა-გის წაეცლო ხელი, რადგან წიწვმა სახე გაუკაწრა. როცა ქვემოთ მიექანებოდა, მაშინ იგრძნო პირველად, რომ მუცელში ბავშვი იძრა.

ვიგდისი ძვლებამდე იყო გალუმპული და გათოშილი, თითქოს ესეს ბერის წყლიდან ამოვიდაო. ნაძვს მიეკრა, რომ ოდნავ მაინც დაელწია თავი წვიმისაგან და ასე უძრავად იჯდა იქამდე, სანამ არ დაათენდა. ახლა კი დაინახა, რომ მთელი ღამე ღრმა ხრამის პირზე გაეტარებინა, რომელიც ზედ მდინარეს დაჰყურებდა. თეთრ ნაპირებს შორის მდინარის წყალი შავად მოჩანდა და უშველებელი ყინულები დაცურავდა. ვიგდისმა საშინელი დაღლა იგრძნო; ნელი ნაბიჯით, თავჩაქინდრული გაემართა შინისაკენ. უკვე თენდებოდა, ვიგდისი რომ ოთახში შევიდა, კაბა გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. მთელი ტანით კანკალებდა; ალბათ რაღაც მომაკვდინებელი ავადმყოფობა შემეყარაო, გაიფიქრა და ღან უხაროდა.

დილით ესამ ჰკითხა:

— ეგ კაბა ასე რამ დაგისველა, ვიგდის?

ვიგდისმა უპასუხა, ღამე გომურში ვიყავი ავადმყოფი ძროხის მისახედად. ეზოში ისეთი უკუნეთი იდგა, რომ სახლისაკენ გზა ძლივს გამოვიგენიო. ესას აღარაფერი უკითხავს, გუნებაში კი გაიფიქრა, ვიგდისისათვის უკეთესი იქნება ყველაფერი გულახდილად მიამბოსო.

იმ ზამთარს გუნარი სულ ავადმყოფობდა და ამიტომ ვადინში სტუმრობამ იკლო. ზამთრის მიწურულს ესამ ისე მოახერხა, რომ ვადინში მხოლოდ ორი ქალი დარჩა, ის და ვიგდისი. ვიგდისმა ზონრებიანი, გრძელი ლიფი შეიკერა, რომელსაც კაბის ქვეშ ატარებდა. სახლიდან ფეხს აღარსად ადგამდა, ისიც ერავინ იცოდა, რის მოლოდინში იყო. მხოლოდ ესა ხვდებოდა, მაგრამ ისიც ვერ ბედავდა ვიგდისთან ამის თაობაზე სიტყვის ჩამოგდებას.

XIV

გაზაფხული რომ დადგა, ვიგდისმა განაცხადა, ზაფხული ესასთან ერთად სეტერზე[1] მინდა გავატაროო. მართალია, გუნარს დიდად არ ეამა, მაგრამ ესამ დაიყოლია და ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც ვიგდისს უნდოდა.

ქალები დილიდანვე გაემგზავრნენ. მათ მხოლოდ ერთი მუშა გაჰყვა, სახელად სკოფტეს ეძახდნენ. სკოფტე ესას შვილი და გუნარის გააზატებული მონა იყო. მას საქონელი და თხები უნდა ემწყემსა, თანაც გარეული ნადირისაგანაც დაეცვა.

ერთხელ ესა სეტერში გომურის კართან იდგა და საძოვრიდან დაბრუნებულ ძროხებს ბაკში ერეკებოდა. უცბად დაბნეულმა და შეშინებულმა ვიგდისმა მოირბინა და უთხრა:

— ფერდობზე გუნარი გამოჩნდა... მეშინია, რაიმე არ მოხდეს... ამ დღეში რომ მნახოს, ცოცხალი ვერ გადავურჩები.

— სასწრაფოდ ჩაწექი ლოგინში, — ურჩია ესამ, — ვეტყვი, რომ ავად ხარ... ეგ აქ დიდხანს გამჩერებელი არ არის.

---

[1] სეტერი — პატარა სადგომი ალპიურ საძოვრებში.

ვიგდისი ისე მოიქცა, როგორც დედობილმა ურჩია. ორი დღე იწვა, სანამ გუნარი სეტერში დარჩა. გუნარს არ გაკვირვებია თავისი ასულის ავადმყოფობა, რადგან ქალები ძალიან ადრე ავიდნენ მთაში, როდესაც ძროხებს ჯერ ბევრ რძეს არ იწველებიან და ღამღამობით ყინვა იცის. გუნარის წასვლის ძეძდეგ ესამ გადაწყვიტა აუცილებლად მოლაპარაკებოდა ვიგდისს და რაიმე ერჩია მისთვის. ერთხელ, როცა ვიგდისი რიყეზე რძიან ბოლოებს რეცხავდა, ესამ უთხრა:

— დაეხსენ მაგას, ყველაფერს მე გავაკეთებ. შენ არ გარგებს ასეთი გარჯა.

ვიგდისმა ხის ჩამჩა ბორცვისაკენ მოისროლა. თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა და სახე ისეთი ბრაზით აენთო, რომ ესას შეეშინდა. ვიგდისმა შეცვლილი ხმით დაიყვირა:

— არ გაბედო ამის შესახებ ჩემთან საუბარი, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ.

ამის შემდეგ ესა გადაკვრითაც კი ვერ ბედავდა რაიმე ეთქვა.

შუა ზაფხული იყო. ერთხელ ღამით ვიგდისი ადგა და სეტერიდან გავიდა. ბნელი და წყნარი ღამე იყო. ცოტა ხანს მდელოს მიუყვებოდა, მერე კი ძალამ უმტყუნა და მიწაზე დაეშვა. ტყის პირას ამლაყი ცხენი მოდიოდა. რემას ჩამორჩენოდა და ცდილობდა შენობებთან ახლოს ეარა. ეს ცხენი ყველას უყვარდა და ანებივრებდნენ, ყველაზე მეტად კი ვიგდისი ეფერებოდა ხოლმე. ვიგდისი ცხენს მიუახლოვდა; ცხენმა ყნოსვა დაუწყო; სულ თავზე ადგა, სანამ ვიგდისი მიწაზე იწვა. როცა ტკივილმა გაუარა, ვიგდისი ადგა და იმ ბილიკს გაჰყვა, რომელზეც საქონელი დადიოდა. ცხენი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა; როცა ტკივილი გულ-მუცელს უტრიალებდა, ვიგდისი თავს ადებდა ცხენს და კისერზე ეხვეოდა, ცხენი კი მისკენ თავს ატრიალებდა და დრუნჩით ნაზად ულოკავდა მხარსა და ზურგს ისე, რომ ადგილიდან არ იძვროდა.

ბოლოს ვიგდისი დიდ, მუქ ტბასთან მიცოცდა. ორად გახლეჩილ ღრუბელს შორის ლურჯად მოკიაფე ცის ნაგლეჯი წყალში ირეკლებოდა; ირგვლივ ჩამომდგარ პირქუშ სიბნელეში ეს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო. ერთხელ, როცა ტკივილი აუტანელი გახდა, ვიგდისმა ვერ მოითმინა და ხმამაღლა დაიყვირა. მთებმა იდუმალი და ავბედითი ექო გამოსცეს; ვიგდისს შეეშინდა და რომ აღარ დაეყვირა, კბილები მოსასხამს ჩაავლო. თანდათანობით მოსასხამი ნაფლეთებად აქცია, პირი შალით ამოევსო ისე, რომ სუნთქვა უჭირდა. ბურანში წასულს, რუს რაკრაკი ჩაესმა. თვალი გაახილა და დაინახა, რომ თენდებოდა, ტბას ჭავლი მოჰკიდებოდა. წყურვილი კლავდა, მაგრამ ძალა არ ეყო წყლამდე მიცოცებულიყო: საშინელი ღამე გაატარა, ღამე, რომელსაც დასასრული არ უჩანდა.

ბოლოს მზე ამოვიდა და თვალებში შეანათა. ცოტა ხნის შემდეგ ვიგდისმა მოიმშობიარა, და ისევ რული მოეკიდა. მზემ რომ გაათბო, თვალები გაახილა და ბავშვის ტირილი გაიგონა. ვიგდისმა შეხედა ახლად შობილს — ბიჭი იყო. ხელით არ შეხებია. მერე მოიხსნა ოფლით, ღამის ნესტით დასველებული და გასისხლიანებული მწვანეზოლებიანი თეთრი თავსაფარი, მხრებზე და თავზე რომ ეფარა, მიწაზე გაშალა, ბავშვი შეახვია და ორ ქვას შორის დადო, ზემოდან კი ტოტები და ხავსი გადააფარა. ამის შემდეგ რის ვაივაგლახით რუსთან მიცოცდა და წყალი დალია.

ტბის ნაპირას ციცაბო კლდე იყო აღმართული, მზეს უკვე მოესწრო მისი გათბობა. ვიგდისი ზურგით მიეყუდა და ცოტა ხანს ასე იდგა, სანამ ძალას მოიკრეფდა. შემდეგ ნელა, ბარბაცით სეტერისაკენ გაემართა.

ესა საშინლად აფორიაქებული დახვდა. სკოფტე მის საძებნელად წასულიყო. ვიგდისი ხმაამოუღებლივ შევიდა ქოხში და ლოგინში ჩაწვა. ძალიან ციებ-ცხელება დაეწყო და რამდენიმე დღე ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. ესა თავს ევლებოდა, გამთბარი ქონით მკერდს უზელდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია იმის თაობაზე, რაც მოხდა.

ძორჩენის შემდეგ ვიგდისი არც ერთხელ არ წასულა ტყეში და ქოხში ჯდომას ამჯობინებდა. ესამ გამხიარულებისა ვერაფერი შეატყო. ვიგდისი უწინდელივით დაღვრემილი და სევდიანი იყო.

XV

ზაფხულის მეორე ნახევარში ისეთი თბილი ამინდი დაიჭირა, რომ ძროხები საღამოობით არ ბრუნდებოდნენ და ტყეში რჩებოდნენ. ესა და სკოფტე დიდხახს დაეძებდნენ საქონელს მთებში და ტბებთან, რომ ნახირი შინ მოერეკათ.

ვიგდისს არ უყვარდა სეტერში მარტო დარჩენა; ტყის შიში დასჩემდა და სახლი ენატრებოდა. ხშირად იჯდა ქოხის ზღურბლზე და მის წინ გაშლილ სივრცეს გასცქეროდა. სეტერი შემაღლებულ ადგილას იდგა, გარშემო ხშირი ტყე ერტყა. ქოხის წინ ტყე გაკაფული იყო და იქიდან ფიორდები და მის ნაპირებზე მდებარე სოფლები მოჩანდა.

ერთ საღამოს ფიქრებში წასული ვიგდისი ქოხის წინ იჯდა და სივრცეს გაჰყურებდა. მის ფეხებთან ძაღლს ეძინა, დრუნჩი კი ვიგდისის მუხლებზე დაედო. უცებ ძაღლი აცმუკდა, მერე წამოხტა, მთის ფერდისაკენ გაიხედა და ხმამაღლა ყეფა დაიწყო. ვიგდისმა დაინახა, რომ ლობეს მხედარი მოადგა, ჩამოქვეითდა და ცხენი ლობეს გამოაბა. ვიგდისს ძალიან შეეშინდა, წამოხტა და ტყეში გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს მხედარი შემოტრიალდა და ვიგდისმა ლიოტი იცნო. ლიოტმა დაუძახა და სთხოვა, არ შეშინდე. შენთან ლაპარაკი მინდაო.

ვიგდისი ზღურბლზე შეჩერდა და უპასუხა:

— მეც ვიცი, რომ შენი აღარ უნდა მეშინოდეს.

ლიოტი გაჩერდა, ერთხანს ხმაამოუღებლად შესცქეროდა მას და მერე მშვიდად შეეკითხა:

— მაგით რისი თქმა გინდა?

ვიგდისმა გაიცინა და არაფერი უპასუხა, ლიოტი წირთხლს მიეყუდა, სივრცეს დაუწყო ცქერა, შუბით კი მიწას ჩიჩქნიდა. ბოლოს ხმა ამოიღო:

— საშშობლოში მივემგზავრები... თუნსბერგში ჩემი ნათესავების ხომალდია ჩამომდგარი. ვიცი, რომ შეუძლებელს გთხოვ. მაპატიე ყველაფერი, რაც კი შენთვის დამიშავებია. ოღონდ ერთს გეტყვი: თუ თან გამომყვები, იმდენ პატივსა და სიყვარულს მოგაგებ, რაც არც ერთ ქალს რგებია დედამიწის ზურგზე.

ვიგდისმა გაიცინა და უპასუხა:

— შენი დაპირებები, ლიოტ, ჩალის ფასად ღირს. მაგ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით მეორეჯერ ველარ მომხიბლავ. ისიც მეყოფა, რომ იძალადე ჩემზე

და ისეთ დღეში ჩამაგდე, არც ერთ ქალს რომ არ უნახია. დიდი არაფერი ბატივია, ცოლად გავუხდე და დავუკავშირო ბედი კაცს, რომელიც ახერხებს სხვისი გულის მონადირებას, აუპატიურებს ქალიშვილებს, ოთცელებს ჭორებს და თხზავს ბაქია სიმღერებს. მოკლედ, ყველაფერზე ბატონობა, რა ბიჭიც ხარ და რა საგმირო საქმეების ჩადენა შეგიძლია!

ლიოტი მოტრიალდა და თქვა:

— მართალია, მიზეზი გაქვს ასე მელაპარაკო, მაგრამ საგმირო საქმენიც ბევრი ჩამიდენია და ოდესღაც შენც ძალიან გიყვარდა მათი მოსმენა, როცა არ გეჯავრებოდი და მკოცნიდი კიდეც... რაც მე და შენ უკანასკნელად დავშორდით ერთმანეთს, სიხარული აღარ ვიცი რა არის... მხოლოდ ერთი სურვილითღა ვსულდგმულობდი, როგორმე კიდევ ერთხელ მენახე.

— იქნებ გგონია, — ჰკითხა ვიგდისმა, — რომ შენზე ფიქრის და ლოდინის მეტი არაფერი გამიკეთებია?

ლიოტმა პირდაპირ შეხედა თვალებში და უთხრა:

— დიახ, მგონია,

ამას ხანგრძლივი სიჩუმე მოჰყვა. არც ერთი არ იღებდა ხმას. ბოლოს ლიოტმა ჰკითხა:

— მითხარი, ვიგდის, ამ მხარეში შვილი ხომ არ მყავს?

— შეიძლება გყავს კიდევაც... საიდან უნდა ვიცოდე? ეგლა მაკლია უკან გდიო და გითვალთვალო, ვისთან სეირნობ და ვის ეარშიყები.

ლიოტი აილეწა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ვიგდისმა კი განაგრძო:

— ჰოდა, აღარ დაიშალო სიმღერების შეთხზვა საკუთარ ვაჟკაცობაზე და იტრაბახე, რა დიდ გულზე ხარ, ქალს რომ მოიგდებ ხოლმე ხელში მარტო; მაგრამ არ იფიქრო ვინმე ჩვენებურმა დაგიჯეროს; აქ არაფრად აგდებენ ქალისაგან ხელნაკრავი კაცის ლაყბობას,

ლიოტი უძრავად იდგა ენაჩავარდნილი და საქციელწამხდარი. მიხვდა, რომ ველარაფრით მოიგებდა ვიგდისის გულს და სამუდამოდ დაკარგა იგი. უცებ გაახსენდა რუნებიანი დანა. უბიდან ამოიღო, ვიგდისს გაუწოდა და ჰკითხა:

— გახსოვს, ეს დანა მაშინ დაკარგე, პირველად რომ შევხვდით სამსხვერპლოსთან.

ვიგდისმა დანა გამოართვა, უეცრად მისწვდა და პირდაპირ კისერში დაჰკრა ლიოტს; ლავიწში მოახვედრა, სარჩული გაუხია და კანი გაუკაწრა. მაგრამ სისხლი ბლომად წამოვიდა. ლიოტი მოეხვია ვიგდისს, მაგრად ჩაიხუტა და უთხრა:

— მე ახლაც შემიძლია დაგიმორჩილო, მაგრამ არ მინდა შენი ნების გარეშე. გემუდარები, ნუ მიმატოვებ; რაგინდ დიდი ზიანი მომაყენო, მაინც ყოველთვის სიკეთით გადაგიხდი. — ლიოტს გულში ჩაკრული ჰყავდა ვიგდისი, რომელმაც უპასუხა:

— ცოცხალი თავით არ წამოგყვები ზღვის გალმა.

მაშინ ლიოტმა აკოცა და უთხრა:

— მაშ ქარგი, გისურვებ დიდ ბედნიერებას და ბევრ სიხარულს. მე კი სამუდამოდ შენზე დარდი გამყვება.

ვიგდისმა უპასუხა:

— მე კი საზარელ სიკვდილს გისურვებ. დიდხანს იცოცხლე და ყველა-

ნაირი ტანჯვა განიცადეთ შენ და შენმა ახლობლებმა; დაე შენი ბავშვებიც თვალწინ დაგელუპონ საშინელი სიკვდილით.

ლიოტმა ხელი გაუშვა ვიგდისს და ღობისაკენ წავიდა. ცხენი ახსნა. მერე ერთხელ კიდევ მობრუნდა და დიდხანს უყურებდა სეტერს. ბოლოს ცხენი ტყეში შეიყვანა, ზედ შეახტა და გაქუსლა. გამოხდა დიდი ხანი და ბევრი რამ მოხდა, სანამ იგი ისევ შეხვდება ვიგდისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI

შემოდგომას ესა და ვიგდისი სეტერიდან ვადინში ჩამობრუნდნენ.

ვიგდისმა მთელი ზამთარი შიშში გაატარა. გრეფსინელმა კორემ და მისმა ნათესავებმა არაერთხელ მიმართეს გუნარს ვიგდისის ხელის სათხოვნელად. ვიგდისმა მამას სთხოვა მოლაპარაკება გადაედო, ჩემი გათხოვება ჯერ აღრეაო. ბოლოს და ბოლოს გუნარი დაპირდა კორეს, საბოლოო პასუხს მომავალი წლის შემოდგომაზე მოგცემო. ვიგდისი კარგად ხედავდა, როგორ სურდა მამამისს კორესთვის მიეთხოვებინა თავისი ასული.

როცა გაზაფხული დადგა, ვიგდისმა გამოაცხადა, ამ ზაფხულს სეტერზე არ ავალო. ერთ საღამოს იგი სასეირნოდ წავიდა. მზის ჩასვლა ძალიან ლამაზი იყო; თბილი დარიც იდგა. ის დრო იყო, როცა არყის ხეები ჰყვავიან, ჩიტები გალობენ, ჰაერი კი ყვავილების სურნელითაა გაჟღენთილი.

კარ-მიდამოს სამხრეთით ერთ ღარიბულ ქოხში ღატაკი დედაკაცი ცხოვრობდა. იგი გუნარის მოჯამაგირის ცოლი იყო. ის კართან იჯდა და ართავდა, როცა ვიგდისმა სახლს ჩაუარა. ვიგდისი შეჩერდა და გამოელაპარაკა. ქოხში ბავშვი ტიროდა. ვიგდისმა თქვა:

— ეს ბავშვი ისე ტირის, თითქოს დიდი რაღაც აწუხებსო. ეტყობა, არც ისე პატარაა. შემჩნეული მაქვს, ახლად დაბადებულები რაღაც სხვანაირად ჰყვიან. თითქოს კატა კნავის ან ბუ კივისო. მათ ხმაში ადამიანური არაფერია და ძალიან უსიამოვნოცაა.

დედაკაცი ქოხში შევიდა და ბავშვი ხელში აიყვანა. გოგონა ორ წელს ოდნავ თუ იქნებოდა გადაცილებული. ის მაშინვე დამშვიდდა, დედის მუხლებიდან ჩამოხტა, აქეთ-იქით სირბილი და ყვავილების შეგროვება დაიწყო. მას გრძელი კაბა ეცვა და როცა დაიკუზა, კაბის კალთას ფეხი წამოსდო და დაეცა. ვიგდისი მივარდა და წამოაყენა; გოგონამ ყვავილები მიაწოდა. მაგრამ ყვავილებს ღეროები არ ჰქონდა და ვიგდისს ისინი მაშინვე დაუცვივდა. დედამ დაინახა და თქვა:

— ამ ყვავილებს დღისა და ღამისა ჰქვია. ვიგდის, აირჩიე ერთ-ერთი და გიმკითხავებ.

ვიგდისმა ერთი ყვავილი აიღო და ქალს გაუწოდა. ქალმა შეხედა ყვავილს, და თქვა:

— აი, ორი მუქი ფურცელი და ორიც ღია ფერისა, უკანასკნელი ფურცელი შუაში ღია ფერისაა, კიდეებზე კი მუქი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ბევრ მწუხარებას გადაიტან, მერე კი დიდი სიხარული გექნება. ეს კი ვერ არის კარგი, რომ ფურცელს მუქი კიდეები აქვს: ეს იმის მაუწყებელია, რომ სიბერე სევდიანი გექნება.

ვიგდისი ჩაფიქრდა და თქვა:

— ცუდი რამ მიმკითხავე, მე კი შენთვის არაფერი მითხოვია. მაგრამ

მაინც დაგასაჩუქრებ. — ამ სიტყვებით მოიხსნა ვერცხლის ბატარა საკინძე და ქალს გაუწოდა. მერე ისევ თავის გზას გაუდგა.

მდელოს შუაგულში ქვების გროვა ეყარა, რომელთა შორის ცირცელისა და ასკილის ბუჩქებს ამოეყოთ თავი. ბალახიდან კი დღისანი და ღამისანი იყვიტებოდნენ. ვიგდისი ქვაზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო, და ფიქრს დაუწყო ცქერა. ჩამავალ მზეს მდინარე ვერცხლისფერად ციმციმებინა. ვიგდისი დიდხანს უძრავად იჯდა და ღრმა ფიქრებს მიცემოდა. ლიოტზე ფიქრობდა და იმაზეც, რაც სეტერის მახლობლად მიატოვა. ხშირად ეკითხებოდა თავის თავს, ნეტავ გადარჩა ბავშვი თუ ნადირმა შეჭამაო. კარგად ახსოვდა, რომ იქ, სადაც საბედისწერო ღამე გაატარა, ბევრი ჭიანჭველა და მწერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის არავითარი სიბრალული არ ჰქონდა, მაინც ძრწოლას გვრიდა ფიქრი იმაზე, რომ ჭიანჭველებს შეეძლოთ მისი შეჭმა, სანამ იგი მოკვდებოდა.

როცა ბინდი ჩამოწვა, წამოდგა და შინისაკენ გაემართა. გამალებული მიდიოდა, ხანდახან კი გარბოდა, რადგან სიბნელისა ეშინოდა.

სალამოს, როცა ესა და ვიგდისი მარტო დარჩნენ ოთახში, ვიგდისმა ჰკითხა:

— შენ არასოდეს გაგჩენია სურვილი სამხრეთისაკენ გამგზავრებულიყავ და შენი ნათესავები მოგეძებნა? აკი არაერთხელ გითქვამს, რომ ისეთივე დიდგვაროვანი ნათესავები გყავს, როგორიც ჩვენა ვართ.

— არ ვიცი, ჯერაც ცოცხლები არიან ჩემი მშობლები თუ დიდი ხანია დაიხოცნენ, — უპასუხა ესამ, — ახლა რაღა დროსია მათი ძებნა და ცხოვრების არევა. მაინც რატომ წამოიწყე ამაზე ლაპარაკი?

— უწინ, როცა რაიმე ამტკივდებოდა, მუხლებზე ამოგაცოცდებოდი ხოლმე და შვებას ვგრძნობდი. ახლა კი, ესა, ყველაფერი შეიცვალა და შენ უფრო გაგირბი, ვიდრე სხვას.

ესამ პასუხი არ გასცა და ვიგდისმა განაგრძო:

— ახლა ვნანობ, რომ ბავშვი გადავაგდე. ყოველ ღამე მაღვიძებს და საშინლად ყვირის. ბავშვი რომ არ გადამეგდო, იგი შურს იძიებდა ჩემ მაგივრად.

— რა გაქვს გუნებაში? — ჰკითხა ესამ.

— ლიოტის ვაჟი მისივე სიკვდილი იქნებოდა, — უპასუხა ვიგდისმა. — ისეთ სიძულვილს ჩავუნერგავდი გულში, რომ როგორც ნადირის ლეკვი, ისე სწვდებოდა ვიგა-ლიოტს ყელში და სულს ამოხდიდა.

ესა ცოტა ხანს ჩუმად იყო, თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო, შემდეგ ამადაბლა წარმოთქვა:

— ნეტავ ვიცოდე, მართლა თუ ნანობ ბავშვის გადაგდებას?

— კი, ვნანობ, — მიუგო ვიგდისმა.

— მაშ იცოდე, — ჩაილაპარაკა ესამ, — ბიჭი, რომელიც შენ შარშან ზაფხულში შობე, ჩემს ვაჟთან, სკოფტესთან არის.

ვიგდისი ნელა წამოდგა სკამიდან, მთელი ტანით წამოიმართა და ერთხანს გაფითრებული და უსიცოცხლო იდგა, როგორც ქანდაკება, შემდეგ სკამზე დაემხო, თავი მაგიდაზე დადო და აქვითინდა.

— ნურავინ გაიგებს ამ ამბავს, — თქვა ესამ, — ყველაფერი ძველებურად დარჩეს. მე კი იმიტომ გითხარი, რომ ინახულო შენი შვილი, თუ მოისურვებ.

ვიგდისი მწარედ ტიროდა.

— მეგონა, ჩემზე უბედური არავინაა-მეთქი. ახლა კი აქ რაღა გამაჩერებს, როცა ვიცი, რომ ის ბიჭი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შემომხვდეს. ვაი, რომ ცუდად ვიყავი და თავი აღარ მქონდა ტბაში გადამეგდო; ან იქნებ ტყუილი მითხარი?

პასუხის ნაცვლად ესამ თავისი სკივრი გახსნა, მწვანეზოლებიანი დიდი თეთრი თავსაფარი ამოიღო და ვიგდისს მიაწოდა. სწორედ ის თავსაფარი იყო, რომელიც თავზე ეკეთა ვიგდისს მშობიარობისას. თავსაფარი გასისხლიანებული იყო და ზედ ხავსი და ტალახი ჰქონდა მიკრული. ვიგდისმა თავსაფარი მიწაზე დააგდო და ისევ აქვითინდა.

— დაე, ახლა მამამ ყველაფერი გაიგოს.. ასე ველარ ვიცხოვრებ, რაკი სკოფტეს ან სხვა ვინმეს უნდა ვთხოვო არ გამამხილოს. შენგან კი ასეთ ღალატს ვერ ვიფიქრებდი.

ესამ თქვა:

— იმ დილას რომ გავიღვიძე და სეტერში ვერ გნახე, ძალიან შემეშინდა. სკოფტეს ვთხოვე შენს საძებნელად წამოსულიყო. ტყეში ბავშვი ეპოვა და აქ მოიყვანა. ბიჭი ისეთი ლამაზი იყო, რომ სკოფტემ მთხოვა, მე გავზრდიო. დღეს კი გითხარი, მეგონა, გაგეხარდებოდა ასეთი მშვენიერი ბიჭის ყოლა, და ისიც, რომ ცოცხალია და უვნებელი.

— რაც არის არის, — თქვა ვიგდისმა, — მაგრამ ასე ყოფნა აღარ შემიძლია.

— მაგას ნუ ამბობ, — მიუგო ესამ. — სახელის გატეხა ადამიანს ძალზე ამძიმებს. მე ეს უკვე გამოვცადე. მოგიყვები ჩემს ცხოვრებას და შენ კი ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიიჩნევ.

XVII

აი, რა უამბო ესამ:

მამაჩემს ჰერალდ გულშეგს ეძახდნენ. ის ზელანდის სამხრეთში ცხოვრობდა. შენთვის უკვე მიამბნია ჩემი ბავშვობის ამბავი. მე და ჩემს დებს ლაღი და მხიარული ბავშვობა გვქონდა. ინგრიდი და ასტრიდი, ორივენი ჩემზე უფროსები იყვნენ. მე მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი. ერთხელ ზღვის ყურეში წავედით საბანაოდ მოახლე ქალებთან ერთად. სწორედ იმ დროს ელანდელი ვიკინგების გემებმა ჩამოიარეს. ისინი ნაპირზე გადმოვიდნენ და გემში ჩაგვსვეს. ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ მოახერხა გაქცევა. ხომალდები სამ ძმას ეკუთვნოდა; თვითეულმა თითო და წაგვიყვანა, რადგან მათ გამოარჩიეს ბელადის ქალიშვილები მოახლე ქალებისაგან. უფროს ძმას არნგრიმი ერქვა. მასთან გავატარე პირველი ღამე და ორი წელი მასთანვე ვცხოვრობდი. მალე ძმები ერთმანეთს დასცილდნენ, უმცროსები სახლისაკენ გაემართნენ, არნგრიმი კი ზამთარ-ზაფხულ ზღვებს სერავდა. ის გულადი, ძლიერი და ლამაზი მამაკაცი იყო, მაგრამ მე სასტიკად მეპყრობოდა, რადგან ჩემგან სიყვარულს ვერ გრძნობდა. დები აღარ მინახავს, არც რაიმე მსმენია მათზე; არნგრიმი არაფერს მპასუხობდა, როცა მათზე ვეკითხებოდი. მან მთელი ქვეყნიერება მოიარა და ბევრი გამარჯვებაც მოიპოვა. მე დამწყვდეული ვყავდი გემბანის ქვეშ, რადგან ეშინოდა, რომ გაეექცეოდი, ტანისამოსს არ მაძლევდა, სამაგიეროდ აურაცხელი მქონდა ძვირფასი ბეწვი. ხალიჩები და ყოველნაირი სამკაული. გემზე ახალგაზრდა დანიელი იყო, ასბიერნს ეძახდნენ. მე დავიყოლიე,

რომ ერთად გავქცეულიყავით, გაგვეტაცა მთელი ოქრო და ძვირფასეულობა. მაგრამ არნგრიმმა ყველაფერი შეიტყო, ასბიერნი მოკლა, მე კი უფრო ცუდად მეპყრობოდა.

ერთხელ სიუდერის კუნძულებთან ვიდექით. ნორვეგიელი ვიკინგები დაგვესხნენ თავს და ბრძოლაში არნგრიმი მოკლეს. მამაშენი გუნარი ნორვეგიელი ვიკინგების ბელადი იყო. მან გემბანზე გამიყვანა და როცა მკვდარი არნგრიმი დავინახე, მუხლებზე დავეცი და თმა სისხლში დავისველე. გამახსენდა, ღამღამობით ჩემს თმას როგორ შემოიხვევდა ხოლმე კისერზე.

გუნარმა მკითხა, რა მერქვა და ვინ ვიყავი. მითხრა, მაშინვე მივხვდი, რომ ისეთივე მაღალი წარმოშობისა ხარ, როგორიც მშვენიერიო. იმ დღეს და საღამოს ბევრი ვილაპარაკეთ. დამპირდა, დანიაში წაგიყვანო, და მდიდრული ტანისამოსი მომცა. ძალიან კეთილად მეპყრობოდა და მე შემიყვარდა. გუნარმა მითხრა, ცოლს უნდა გავეყარო და შენს მშობლებს შენს ხელს ვთხოვო. არ მინდოდა მასთან განშორება და დანიაში დაბრუნებაზე უარი ვუთხარი. და დავრჩი მასთან გემზე, სანამ არ ვიგრძენი, რომ ბავშვი უნდა გამეჩინა. მაშინ გუნარმა უფრო შემიყვარა, რადგან მას ალვსოლთან, თავის ცოლთან შვილები არ ჰყავდა.

გუნარმა ვადინში ჩამომიყვანა, მაგრამ სწორედ იმ დროს იარლმა ბრძანა ლაშქრობა და გუნარს ჩემი დატოვება მოუხდა. ალვსოლს უბრძანა კარგად მოეარა ჩემთვის და ბავშვისათვის, რომელსაც დღე-დღეზე ველოდი. ასე დავცილდით ერთმანეთს. მარტო დავრჩი ჩემი სევდითა და მწუხარებით. როცა ვიმშობიარე, ალვსოლი და მისი დედობილი თავზე მადგნენ; მაშინვე ხელი დაავლეს ბავშვს და მისი წაყვანა ბრძანეს. სახლში ყველა მკაცრად გააფრთხილეს, გუნარისათვის ეთქვათ, მკვდარი დაიბადაო. მე კი მემუქრებოდნენ, წამებით მოგკლავთ, თუ ჩვენს გაბედავო. მალე ამბავი მოვიდა, რომ გუნარი მძიმედ დაიჭრა და დიდხანს შინ ვერ დაბრუნდებოდა. მაშინ ალვსოლმა იმ სახლში გადამიყვანა, სადაც მონები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ მონას სვარტი ერქვა. იგი სხვა მონებისაგან მიცავდა, კეთილად მექცეოდა და მისი ცოლი გავხდი. ალვსოლმა ტყეში სახლი აუშენა, ის სახლი, სკოფტე რომ ცხოვრობს ახლა და გამოაცხადა: ესა მონის ცოლი გახდაო.

როცა გუნარი დაბრუნდა, ალვსოლმა ჩემზე უთხრა, სვარტთან გაიქცაო. გუნარი ისე განრისხდა, რომ ორივეს მოკვლა დაგვიპირა. მაგრამ მე ყველაფერი მოვუყევი ბავშვზე, ალვსოლმა რომ გადააგდებინა, ისიც, რომ მონებთან დამასახლა. მაშინ გუნარმა ალვსოლი გააგდო, მე კი შემომთავაზა სვარტი მიმეტოვებინა და მისი დიასახლისი ვყოფილიყავი. მე ვურჩიე, სხვა ქალი მოეყვანა ცოლად; მაშინ მან ჰერდისი შეირთო, დედაშენი, რომელიც ჩემზე ლამაზი და ახალგაზრდა იყო. დედაშენი იმ დღეს მოკვდა, შენ რომ დაიბადე. გუნარს ნებართვა ვთხოვე, შენს ბავშვს გავზრდი-მეთქი, და ისიც დამთანხმდა. მას შემდეგ, როგორც იცი, თქვენთან ვდიასახლისობ. გუნარმა ჩემს ვაჟებზე იზრუნა და თავისუფლება მიანიჭა. ბევრი სიკეთე გამიკეთა იმ დღიდან, რაც მას შევხვდი.

XVIII

— ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ დარჩი მონასთან, რომელსაც ძალად გაგაყოლეს, — თქვა ვიგდისმა; — შენს ადგილას გუნარს ვთხოვდი, გარეული ცხენებისათვის გამოებათ ეს მონა და დაეგლიჯათ.

ესამ უპასუხა:

— გუნარისათვის უფრო საპატიო იქნებოდა ახალგაზრდა და დიდგვაროვანი ცოლი მოეყვანა, ვიდრე მე დავეტოვებინე თავისთან. ის უფრო მაკადებდა, რომ სვარტისაგან ბავშვი მყავდა. ბავშვის დაკარგვა კი აღარ მინდოდა.

— მე კი სულ სხვანაირი ხასიათი მაქვს, — შენიშნა ვიგდისმა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა: — დედაჩემთან დიდი ბედნიერება არ [illegible] მაჩემს. კიდევ ნაკლებ სიხარულს ნახავს ჩემგან, როცა გაიგებს, [illegible] მყავს.

— ბიჭი სკოფტესთან დარჩეს — ურჩია ესამ, — ხოლო როცა გუნარი მოკვდება, მაშინ შენთან წამოიყვანე. კორესთან კი როგორმე მოვრიგდებით.

ვიგდისმა ხელები მუხლებზე დაიწყო და ცეცხლს მიაშტერდა.

— ძალა აღარ მაქვს, სულ ერთთავად წუხილსა და შიშში ვიყო, — თქვა ჩაფიქრებით. —უნდა გავუძლო. ამაზე უარესი რაღა იქნება.

მან იატაკიდან თავსაფარი აიღო, მუშას დაუძახა, რომელიც გარეთ იდგა და შეშას ჩეხავდა.

— ეს თავსაფარი სკოფტეს წაუღე, — უბრძანა მან, — და უთხარი, ამაღამვე მომიტანოს, რაც ამ თავსაფარში იპოვა.

თქვა ეს და ისევ კერიას მიუჯდა.

ესა პირდაპირ იჯდა. სიჩუმემ დიდი ხნით დაისადგურა. ბოლოს ესამ თქვა:

— სკოფტე დიდხანს არ მოვა. აჯობებს დასაძინებლად დავწვეთ.

— დაწექი თუ გინდა, — უპასუხა ვიგდისმა.

ესა გაჩუმდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ცოტა ხნის შემდეგ ვიგდისმა ისევ უთხრა:

— წადი-მეთქი, ესა, დაწექი.

ესა მიხვდა, რომ დაჯერება აჯობებდა და დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა. ვიგდისი ისევ უძრავად იჯდა ცეცხლთან და ხანდახან შეუკეთებდა ხოლმე ცეცხლს. ღამე ილეოდა, უკვე მამლების ყივილიც გაისმა.

კარზე ვილაცამ დააკაკუნა.

— ესა, მიდი გააღე, — უბრძანა ვიგდისმა. ესამ კარი გააღო და ოთახში სკოფტე შემოვიდა. ხელში ტყავში გახვეული ბავშვი ეჭირა. ვიგდისი ადგა. კვარი აიღო და აანთო. სკოფტემ ტყავი გაშალა და სინათლესთან მიიტანა ბავშვი. ბავშვი ატირდა, რადგან ღრმა ძილიდან გამოაღვიძეს.

ვიგდისი ჩუმად უყურებდა ბავშვს, მაგრამ არ შეხებია. პატარა, გამხდარი ბიჭი იყო. გრძელი, შავი თმა ჰქონდა და ცისფერი თვალები. ძალიან ჰგავდა ლიოტს.

სკოფტემ იგი იატაკზე ჩამოსვა, რათა ეჩვენებინა, თუ ხელს შეაშველებენ, უკვე დგომა შეუძლიათ, სიარული კი ჯერ არ იცოდა. ბავშვი გაუთავებლად ტიროდა და თავის მამობილს ებღაუჭებოდა.

ვიგდისმა კვარი ცეცხლში ჩააგდო და ისევ თავის ადგილს მიუბრუნდა. სკოფტემ, თითქოს ბავშვის გამართლება უნდათ, რაკი იგი განუწყვეტლივ ტიროდა, თქვა:

— იმიტომ ტირის, რომ ეძინება, ისე კი ძალიან ჩუმი და საყვარელი ბავშვია.

— შენც ადექი და დააწვინე, — უპასუხა ვიგდისმა, — თორემ მთელ სახლს ფეხზე დააყენებს.

ესამ ბავშვი ხელში აიყვანა და ლოგინისაკენ გაემართა, მაგრამ ვიგდისმა გააჩერა და უთხრა:

— იქ არ დააძინო, სადმე სხვაგან დააწვინე. შენ კი, სალომე, ქოხში წადი და დაწექი. მე შენ უფრო უხვად დაგასაჩუქრებ, ვიდრე ეს ბიჭი ლიტს...

ესამ ბავშვი სკამზე დააწვინა და გვერდით მიუწვა.

ერთ ენ ულ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

XIX

ესა ჰარალდსდატერი დილით გუნართან შევიდა, როცა ის ჯერ ლოგინში იწვა. ყველას უბრძანა ოთახიდან გასვლა და საწოლზე დაუჯდა გუნარს. ისინი მარტონი იყვნენ და დიდხანს ილაპარაკეს. შემდეგ გუნარი ადგა და ვიგდისის ოთახისაკენ გაემართა.

ვიგდისმა შემოსული მამა რომ დაინახა, შეშინდა და გაფითრებული წამოდგა. გუნარს ბევრი არაფერი უთქვამს, ესა კი გვერდიდან არ მოსცილებია. გუნარი ბავშვს მიუახლოვდა, დახედა და თქვა:

— ზედვე ეტყობა, ვისი შვილიც არის.

ვიგდისს ხმა არ ამოუღია, გუნარმა კი განაგრძო:

— ხანდახან გული მწყდებოდა, რომ ვაჟები არ მყავდა და ერთადერთი ქალიშვილი მარგუნა ბედმა. მაგრამ, მგონი, მხოლოდ სიყვარული მიგრძნობინებია შენთვის და არასოდეს მოგპყრობივარ მკაცრად. მევგონა, გიხილავდი ბედნიერსა და ყველასაგან დაფასებულს, სანამ თვალებს დავხუჭავდი. ნეტა სულაც უშვილო ვყოფილიყავ და ასეთი სირცხვილი არ მეჭამა. ყველას ექნება უფლება ჩემს შვილს კახპა უწოდოს; თანაც ამ სიბერეში უნდა ვუყურო, როგორ იზრდება ჩემს სახლში შენი ბუში.

ვიგდისმა უპასუხა:

— მართალს ამბობ, მამაჩემო, უმჯობესი იქნებოდა ქალიშვილი არ გყოლოდა.

გუნარმა აღარაფერი თქვა და ოთახიდან გავიდა.

XX

დრო გადიოდა. ვადინში სიწყნარე სუფევდა. ყარ-მიდამოში შინაყმანი ცოტანი დარჩნენ და აღარც მეზობლები შემოდიოდნენ ხშირად გუნართან. თავზე დამტყდარმა უბედურებამ ისე ატკინა გული და წელში გატეხა გუნარი, რომ იგი უცებ დაბერდა და მთლად დაუძლურდა.

ბიჭი სახლში დარჩა. ესა უვლიდა და ძალიან მიეჩვია. ვიგდისი არავითარ გრძნობას არ ამჟღავნებდა ბიჭის მიმართ, სახელიც კი არ შეურქმევია. ერთთავად დასევდიანებული იყო და ეზოდან ფეხს არ ადგამდა.

ერთხელ ვიგდისი და ესა დიდ ქოხში პურს აცხობდნენ. ბიჭი წინ და უკან დარბოდა იქვე და თამაშობდა. უკვე ორი წლისა იყო. ესამ ორი პატარა პური მოზილა, უჩვენა ბიჭს და უთხრა: შენთვის ვაცხობო. ბიჭს ისე გაეხარდა, რომ ხტუნაობა და სირბილი განაგრძო, თანაც წამდაუწუმ კითხულობდა, ჩემი პურები გამოცხვა თუ არაო. ის ისე გაერთო თამაშში, რომ ფქვილით სავსე თაბახი გადააყირავა. ვიგდისმა ხელი მოჰკიდა, ერთი მაგრად შეანჯღრია და მიტყიპა.

— შენ აქ ყველას ხელს უშლი და მოსვენებას არ გვაძლევ, — უთხრა ბიჭს.

ბიჭი მწარედ ატირდა. მაშინ ვიგდისმა სკამზე დასვა და უბრძანა:

— აჭ იჯექი და ტირილი არ გაბედო. არ გამაგონო ტირილი ასეთ უბრალო რამეზე. — მერე ვარცლს მიუბრუნდა, ზელვა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ ესას უთხრა:

— ამ ბიჭისაგან სიხარული არ მელირსება, რადგან მაგისაგან შურისმაძიებელი არ გამოვა. მაგას ჩემი არაფერი სცხია; მე ცრემლი არ გადმომიგდია, როცა იგი ჩამესახა, მამამისს კი ტირილს ალარაფერი უკლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გეკადრება ასე ლაპარაკი, — უთხრა ესამ.

ვიგდისი გაჩუმდა და გამალებით მიჰყო ხელი ცომის ზელვას. ბიჭი ისევ ტიროდა. მაგრამ სახეზე ხელები აიფარა და დედა რომ შეხედავდა ხოლმე, სკამზე წვებოდა და იქვე მიყრილ ტომრებში მალავდა სახეს.

მალე ესა ქოხიდან გავიდა. მაშინ ვიგდისმა აიღო ორი პატარა პური, რომლებიც ის-ის იყო ღუმელიდან გამოიღეს. ბიჭს მიუახლოვდა და მისცა:

— გეყოფა ტირილი და ჭამე, — უთხრა და მუხლებზე დაუწყო პურები.

ბიჭი ჩაჩუმდა და დედას შეხედა. პურებს დააკლო ხელი, მაგრამ ძალიან ცხელი იყო და შეეშინდა. მაშინ ვიგდისმა თავზე ნაზად გადაუსვა რამდენჯერმე ხელი და უბრძანა, ესასთან წადით.

XXI

ეს ზამთარიც მიიწურა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთი არაფერი მომხდარა, მოსაყოლად რომ ღირდეს.

დღე გადიდდა. ბუნიობაც გავიდა. მზე უკვე ისე აცხუნებდა, რომ დღისით სახურავიდან წყალი წვეთავდა. ტყეში შეშას ჩეხავდნენ. ერთ დილას გუნარი ცხენით ტყისაკენ გაემართა; უნდოდა ენახა, როგორ მიდიოდა მუშაობა.

შუადღემ რომ მოაწია, ესა და ვიგდისი სადილისათვის სუფრის გაშლას შეუდგნენ დიდ ოთახში. ესამ გარეთ გაიხედა და თქვა:

— აგერ გუნარიც ბრუნდება შინ... რა უცნაურად ზის ცხენზე. ან ავად არის, ან მთვრალია.

ამ სიტყვებით ესა გუნარის შესახვედრად გაეშურა. ვიგდისმა ცეცხლიდან ფაფა გადმოიღო და მაგიდაზე კოვზები დაალაგა. უცებ ესას ყვირილი შემოესმა. ოთახში სკოფტე და კიდევ ერთი კაცი შემოვიდნენ; მათ გუნარი მოჰყავდათ. ესა გვერდით მოსდევდა, ტიროდა და ხელებს შლიდა. ვიგდისმა დაინახა, რომ მამას სახეზე მიწისფერი ედო. გრძელი თეთრი წვერი კი, წელამდე რომ სწვდებოდა, სისხლში იყო ამოსვრილი.

ვიგდისს ხელიდან გაუვარდა ყველაფერი, რაც ეჭირა, მამას მიეარდა და ჰკითხა: 'რა მოხდაო.

გუნარმა ანიშნა, სკამზე დამსვითო. ცოტა ხანს კედელზე თავმიყრდნობილი ჩუმად იჯდა. ბოლოს თქვა:

— მოხდა ისე, რომ გრიმელუნდელ ეიოლვს შევხვდი და ლაპარაკი მოგვიდა; ისე რომ, ჩვენ ერთმანეთს ალარ შევხვდებით.

ვიგდისმა მაშინვე ჰკითხა:

— მაშ ეიოლვი მოჰკალი?

— ჯერ, — უპასუხა გუნარმა, — მაგრამ ჩემი ალსასრული მოვიდა.

ესამ და ვიგდისმა გუნარს გაჰხადეს და ჭრილობას დახედეს. მიხვდნენ, რომ მან მართალი თქვა. ვიგდისმა უთხრა:

— ახლა კი, მამაჩემო, გვიამბე ყველაფერი, რა როგორ მოხდა.

გუნარმა უპასუხა:

— მე და ეიოლვი ტყეში შევხვდით, შენზე გამიბა ლაპარაკი. ვიგდის, შენთვის ხომ გასაგებია, რომ ვერ ავიტანდი ჩემი სახელგატეხილი ასულის აუგს.

ვიგდისი ხმას არ იღებდა. შემდეგ გუნარი ლოგინში ჩაიკვინეს. გუნარმა მაშინვე უბრძანა სკოფტეს სასწრაფოდ გაქცეულიყო ტყეში ცხენით, სადაც მისი ხალხი მუშაობდა და ყველა სახლში გამოეგზავნა, რადგან არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდნენ არნესონები. მან თქვა:

— ეიოლვის ბოლო სიტყვები იყო: ვიგდისს ჩემს ხარჯად გადავაქცევო.

ესა სასთუმალთან დაუჯდა გუნარს, ვიგდისმა კი მუშა ილავს დაუძახა, რომელიც გუნარს ახლდა ტყეში, კუთხეში დასვა და ყველაფერი გამოჰკითხა.

— როგორ იცავდი შენ ბატონს, ოლავ? — ჰკითხა მან.

— რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, — უპასუხა მან. — გუნარი კი ისე იცავდა თავს, როგორც მისგან იყო მოსალოდნელი. თითომ თითო კაცი მოვკალით, მაგრამ ისინი ექვსნი იყვნენ. როცა გუნარი სასიკვდილოდ დაიჭრა, მე მივვარდი და ხელი შევაშველე, ცხენიდან რომ არ ჩამოვარდნილიყო. მაშინ ყველანი გაიქცნენ.

— იცი, სად დაიმალნენ? — ჰკითხა ვიგდისმა.

— ვიცი, რომ არნესონების ხალხი ახლა გაუტში ცხოვრობს, ტყის პირას, — უპასუხა მუშამ, — იქ მდინარეზე ხე-ტყეს აცურებენ.

ვიგდისმა წამით იყუჩა. შემდეგ თქვა:

— ეიოლვს ალბათ მიაჩნია, რომ ამ დილას დიდი საგმირო საქმე ჩაიდინა. დარწმუნებული ვარ, იმ მუცელამოყორილ ლორს ახლა სძინავს.

ვიგდისი გავიდა და თავის ოთახში აირბინა. სკივრი გააღო, რუნებიანი დანა ამოიღო, თავზე მუქი თავსაფარი გაიკეთა და შავი მოსასხამი მოიხურა. შემდეგ ეზოში გავიდა, ფარდულიდან თხილამურები გამოიტანა, გაიკეთა და ტყისკენ გაქანდა. ცდილობდა ტყის პირს არ გასცილებოდა და ბოლოს სოფელ გაუტესტადის შორიახლო აღმოჩნდა. სოფელს ჩრდილოეთიდან მოუარა, მთის ქედის მხრიდან და დაბლობზე შენიშნა დიდი ძელურები; არნესონებს აქ ჰქონდათ სადგომი თავის მუშებთან ერთად ხეების დაცურების დროს.

თოვლის კვალს ეტყობოდა, რომ აქ გახურებული მუშაობა იყო; ყველგან მოჭრილი ხეების ნაფოტები და ქერქი ეყარა. ხალხი კი არსად ჩანდა. ვიგდისი მსხვილ ხეებს ეფარებოდა და ასე მიიწევდა ნელ-ნელა ძელურებისაკენ. როცა დიდ ქოხს მიაღწია, თხილამურები მოიხსნა და შიგ შეიხედა.

იქვე კართან ეიოლვის ფარი და ნაჯახი იდო. ქოხი დაბალი და ვიწრო იყო. ვიგდისი შევიდა შიგ და ორი მამაკაცი დაინახა, რომლებსაც ღრმად ეძინათ. ერთ-ერთი მათგანი ეიოლვი იყო. ვიგდისი ჯერ მეორე მძინარე კაცს მიუახლოვდა. მისივე მოსასხამი გადააფარა თავზე და ელვის სისწრაფით რუნებიანი დანა ჩასცა. მძინარემ დაყვირებაც კი ვერ მოასწრო. შემდეგ ვიგდისი ეიოლვს მიუახლოვდა. ხელი მკერდზე დაადო და გააღვიძა:

— გაიღვიძე, ეიოლვ... სანატრელი ოცნება აგისრულდა. ვიგდისი გეახლა ვადინიდან, შენთან ხუმრობა და თამაში სურს.

ეიოლვი წამოხტა, ქოხში უკუნი სიბნელე იყო და ის ვერ ხედავდა ვიგდისს, რომელმაც ლაპარაკი განაგრძო.

— რაკი სახელგატეხილი ქალიშვილი ვარ, ხომ ხედავ, თვითონ მოვედი აქ, შენს სარეცელთან.

ამ სიტყვებით დანა კისერში დაჰკრა. ეიოლვი პირქვე დაეცა და ყელიდან მადრევანივით ამოხეთქა სისხლმა. ვიგდისმა კიდევ ორჯერ ჩასცა დანა და ბოლო დარტყმისას არ ამოუღია ჭრილობიდან. ტარს ხელი უშვა და დაიხარა, რომ დაენახა, როგორ კვდებოდა ეიოლვი. ხელი დაისველა მის სისხლში და მისსავე თმას შეაწმინდა. მერე ქოხიდან გამოვიდა, თხილამურები გაიკეთა და ტყეს მიაშურა.

აცივდა. მთელი გზა მთის ძირში გადიოდა და ვიგდისი ქარიგით მიჰქროდა. რამდენჯერმე გაჩერება მოუხდა, ფეხები უკანკალებდა და თვალწინ ეიოლვის ჩამქრალი მზერა ედგა.

პატარა ბორცვზე რომ ავიდა, შემთხვევით იმ გზაზე მოხვდა, რომლითაც ტყიდან ხეებს ეზიდებოდნენ. აქ კოლე არნესონი შემოეყარა მუშებთან ერთად იყო, რომლებსაც კუნძები აჰქონდათ მთაზე. კოლე და ერთი მუშა მარხილიდან გადმოხტნენ და ვიგდისს გამოეკიდნენ. მაგრამ ყინულის ფენა ისეთი თხელი იყო, რომ ფეხქვეშ ჩაუტყდათ, რადგან თხილამურები არ ეკეთათ. ვიგდისი წვრილიანში მიჰქროდა, შემდეგ კი ქვემოთ დაეშვა ნაკადულისაკენ. ყინული მონაცრისფრო იყო და ჩაჩვრეტილი. მაგრამ ვიგდისი არ შეშინდა და ზედ შედგა, მშვიდობიანად გადაირბინა მეორე ნაპირზე, თუმცა კი გადასვლის შემდეგ ყინული ჩაიმტვრა.

ვიგდისი არ გაჩერებულა, სული მხოლოდ თავის ეზოში მოითქვა. მაშინვე ოთახში შევარდა, სადაც გუნარი იწვა. გუნარს ეძინა. ესა გვერდზე ეჯდა. ვიგდისმა დაიყვირა:

— გაიღვიძე, მამა, სასიხარულო ამბავი მოგიტანე. ჩვენი სირცხვილი ჩამოვირეცხე, როგორც შევძელი, — ეიოლვ არნესონი მოვკალი!

გუნარმა ბრძანა, წამომსვითო. ვიგდისმა უამბო, რაც მოხდა. მაშინ გუნარმა ვიგდისს უთხრა მისკენ დახრილიყო, აკოცა და უთხრა:

— შენ გულადი და კეთილშობილი ქალი აღმოჩნდი. იმედი მქონდა, რომ ოდესმე ასეთს გიხილავდი. აღარ ვჯავრობ შენზე, იმ ისლანდიელს რომ დანებდი. ღმერთმა დიდხანს და კარგად გამყოფოთ შენ და შენი ბავშვი.

ვიგდისმა კოლესთან შეხვედრაც უამბო. გუნარმა ჰკითხა, გიცნო თუ არაო.

— არ ვიცი, — უპასუხა ვიგდისმა, — მაგრამ ჩემს რუნებიან დანას კარგად იცნობს. მე კი დანა ეიოლვთან დამავიწყდა.

გუნარმა თქვა:

— მე ძალა აღარა მეყოფა თქვენს დასაცავად, სკოფტე და მისი ხალხი კი მალე ვერ დაბრუნდებიან. აიყვანე შენი ბიჭი და ახლავე წადი გრეფსინში. ვიცი, კორე არ დაივიწყებს ჩემს სიკეთეს. ოლავმა კი მთელი ჩვენი ქონება დამალოს მდინარის თავზე გამოქვაბულში, იმ ადგილას, სადაც მდინარე მკვეთრად უხვევს.

— მე შენ არ მიგატოვებ, — უთხრა ვიგდისმა.

გუნარმა უპასუხა:

— მე ის მინდა, რომ ეს ბიჭი გადაარჩინო, თორემ ჩვენი გვარი სულ ამოწყდება. მე მოვითხოვ ამას შენგან.... მე საკმაო ხანს ვიცხოვრე. ესა, შენც ახლავე წაჰყვები ამათ გრეფსინში.

ესამ თქვა:

— სად შემიძლია თხილამურებზე სიარული, არც შენი დატოვება მინდა, გუნარ. შენ ხომ ყოველთვის კეთილი პატრონი იყავი ჩემთვისაც და ჩემიანებისთვისაც. არც ის ვიცით, დღეს საღამოსვე გამოჩნდება თუ არა კოლე. ვიგდისი

უნდა წავიდეს გრეფსინში. კორე ყოველმხრივ დახმარებას აღმოგვიჩენს.

ესას ვერ გადაათქმევინეს გუნართან დარჩენის გადაწყვეტილება და ის დარჩა. ვიგდისი თავის ოთახში შევიდა, ბიჭი გაალვიძა და ჩაიცვა. შემდეგ მთელი თავისი ძვირფასეულობა ტყავის პარკში გამოკრა. პაული და ლორის ნაჭერი აიღო, რადგან ბიჭის დაპურების დრო აღარ [illegible] ბიჭი ხელში აიყვანა, მამასთან შევიდა და გამოემშვიდობა. [illegible] ორივე გადაკოცნა, მერე ვიგდისი ნაზად გამოემშვიდობა ესას.

XXII

ვიგდისი ეზოში გამოვიდა, თხილამურები გაიკეთა და თასმებით მიიმაგრა ფეხებზე. ხელში რკინის ბუნიკიანი გრძელი ჯოხი დაიჭირა. ბიჭი თავსაფრით ზურგზე მიიბა და სწრაფად გასრიალდა დალმართზე.

მზე ჩადიოდა; თოვლის ზედაპირი მოლიპული იყო და თხილამურების კვალიც კი არ რჩებოდა ზედ, მიუხედავად იმისა, რომ ვიგდისს ზურგზე ბიჭი ჰყავდა მოკიდებული. ვიგდისი მდინარისაკენ დაეშვა და დინებას აუყვა, რადგან ყინული მდინარეზე საკმაოდ მაგარი იყო. შემდეგ ნაპირზე გადავიდა და მთაზე დაიწყო ასვლა, რაც ძალზე ძნელი აღმოჩნდა. დილიდანვე თხილამურებზე იდგა და ძლიერ დაიღალა. ბოლოს, ვაკეს როცა მიაღწია, გაჩერდა და უკან მიიხედა. ფიორდების თავზე მთელი ცა ჩამავალ მზეს წითლად შეეღება. არსად, სადაც კი თვალი მიუწვდებოდა, ქაცის ჭაჭანება არ იყო. ყველგან მხოლოდ ტყე და წვრილნარი ჩანდა.

ვიგდისმა გრეფსინისაკენ აიღო გეზი. წინ ნელა მიიწევდა და როცა, როგორც იქნა, კარ-მიდამოს მიაღწია, ცაზე ვარსკვლავები აინთო. ეზოში შევიდა და დაინახა, რომ ყველა კარი დაკეტილი იყო, ფანჯრებში კი სიბნელე ჩამდგარიყო. ვიგდისმა თხილამურის ჯოხით დააკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო, სახლი უკაცრიელს ჰგავდა. მხოლოდ ბოსლიდან ისმოდა ძროხების ზმუილი. ვიგდისი მიხვდა, რომ შინ არავინ იყო.

ბიჭი თოვლზე ჩამოსვა, რომ სული მოეთქვა და ჩაფიქრდა. რა ექნა, საით წასულიყო. უცებ ბიჭმა მოსასხამზე მოსწია და შორს, სოფლისაკენ მიახედა. ვიგდისმა იქით მიიხედა; იმ მხარეს, სადაც ვადინი იმყოფებოდა, ცა წითლად იყო გაჩახჩახებული. ყოველ წუთს ეს სინათლე მთელ ცას ედებოდა; და უფრო კაშკაშა ხდებოდა. მის ზემოთ კი შავი კვამლი ბოლქვებად იშლებოდა. ბიჭს შეეშინდა, აკანკალდა და დედის მუხლებში ჩამალა თავი. ვიგდისმა ხელში აიყვანა და უთხრა:

— აი, იქ, ბოროტი ადამიანები შენს პაპასა და შენს დედობილს, ესას, წვავენ... კარგად უყურე, ბალლო, რომ არასოდეს დაგავიწყდეს!

ვიგდისმ ხედავდა, როგორ ღვივდებოდა ალი. აი, მაღლა ცაში ავარდა ცეცხლის უშველებელი სვეტი, და ბოლის შავი ბოლქვები წითლად და ოქროსფრად აგიზგიზდნენ. ვიგდისი მიხვდა, რომ ცეცხლი საბძელსაც წაეკიდა. ისიც კი დაინახა, როგორ იტყორცნებოდა ცაში ცეცხლოვანი ბურთებივით თივისა და ჩალის კონები; როგორ იშლებოდნენ ათას ცეცხლოვან ვარსკვლავად და ძირს ცვიოდნენ. სინათლის ათინათი დღის შუქივით მოეფინა გარემოს და გაანათა ის ადგილიც, სადაც ვიგდისი იდგა. უცებ თოვლით დაფარულ ვაკეზე თვალი მოჰკრა უამრავ ბალს, სწრაფად რომ მიჰქროდნენ თხილამურებით მდინარისა-

ლენ. ვიგდისმა გადაწყვიტა. აქ დარჩენა აღარ შეიძლება, თავი ტყეს უნდა შეეფაროთ.

მან ბიჭი ისევ ზურგზე მიიკრა და ისეთი სისწრაფით გაუდგა გზას, რომ ყურებში ჰაერს ზუზუნი გაჰქონდა. ჯერ თავისი კარ-მიდამოდან მომავალ კვალს გაჰყვა, რათა გზა აებნია მდევრისათვის, შემდეგ კი ტყეში ჩრდილოეთისაკენ გაუხვია. რადგან იმედი ჰქონდა, სტურვანდთან ბარში საცხოვრებელ სახლს წავაწყდებიო. იმის იმედიც ჰქონდა, ასე შორს არ გამოეკიდებოდნენ.

ტყეში სრული სიბნელე იდგა. ხეებს შორის მხოლოდ თეთრ თრვლს ხედავდა და ამ თეთრი ლაქებით იკვლევდა გზას. ახლა გზა მთისაკენ უხვევდა და ვიგდისიც აუყვა მოყინულ ზედაპირს. ხშირად ეცემოდა, სახე და ხელები დეეკაწრა და სისხლი სდიოდა. ღამე ძალიან ცივი იყო, ყინვა თანდათანობით უეცრად. მაგრამ ვიგდისი ველარაფერს გრძნობდა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, გული კი ისე უცემდა, ეშინოდა, არ გამისკდესო. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ბიჭს მაგრად შემოეჭდო ხელები ყელზე და როცა მთაზე ასვლა დაიწყო, შეეშინდა, არ დამახრჩოსო.

ბოლოს მთის ქედს მიაღწია. ახლა უფრო ეადვილებოდა წინსვლა, მაგრამ ადგილი მთლად მიყრუებული იყო და ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, ადამიანს ფეხი აქ არასდროს დაუდგამსო. როცა ვიგდისმა უკან მოიხედა, ცა ისევ წითლად ენთო, მაგრამ ახლა უკვე ბევრად მკრთალი ჩანდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭს ისევ კანკალი დააწყებინა. მას სცივოდა და შიოდა.

— ნუ ტირი, ბალლო. — უთხრა დედამ. — ცოტაც მოითმინე და საცაა კეთილ ადამიანებთან მივალთ, ისინი ფაფას გაჭმევენ და დაგაძინებენ.

— მალე მივალთ? — ჰკითხა ბიჭმა.

— მალე, — უპასუხა ვიგდისმა.

ვიგდისმა მოსასხამი გაიძრო, ბავშვი გაახვია შიგ როგორც ტომარაში და ისევ ზურგზე მიიკრა. ბნელში ტყის განაკაფი შეამჩნია, რომელიც თავქვე ეშვებოდა. ჯოხებზე დაყრდნობილი ციცაბო დალმართზე დასრიალდა, მაგრამ იმდენი ქვა და ჯირკი ეყარა, რომ რამდენჯერმე წაბორძიკდა და დაეცა. მუხლები უკანკალებდა, ოფლად დაიღვარა. ცა თუმც ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ტყეში მაინც ბნელოდა; რადგან მთვარე მხოლოდ გათენებისას ამოვიდოდა.

როცა ვიგდისმა მთის ძირს ჩააღწია, თვალწინ გადათეთრებული ვაკე დაინახა და მიხვდა, რომ ტბასთან მისულიყო; ზედ გადარბენა რომ მოინდომა, ხეს დაეჯახა და წამსვე იგრძნო, როგორ მოსძვრა მარჯვენა თხილამური. დანა ამოიღო, ტირიფის წნელი მოჭრა, თოკი დაწნა და თხილამური ისევ დაიმაგრა. ბიჭი ამ დროს თოვლზე დასვა.

საკმაო ხანი გავიდა, სანამ ყველაფერს მოაგვარებდა, გზის გაგრძელება გადაწყვიტა. ბიჭი ხელში აიყვანა და ჰკითხა:

— ხომ არ გაიყინე, შვილო?

— არა, — უპასუხა ბიჭმა.

ვიგდისმა ხელები მოუსინჯა. ყინულივით ცივი ჰქონდა და ბიჭმა შეხება ვერ იგრძნო. ვიგდისი მიხვდა, რომ ბიჭს ხელები მოეყინა. მუხლებზე დაისვა და ხელების სრესა დაუწყო. იქამდე უსრესდა, სანამ ბიჭუნამ ტკივილისაგან ტირილი არ დაიწყო. შემდეგ რაც შეეძლო თბილად შეფუთა და ტბაზე გადავლით ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაემართა, რადგან იქ სადგომი რამე ეგულებოდა.

ვიგდისმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ თვითონაც მთლად გათოშილიყო ბავშვის მოვლაში. ტბაზე ჩრდილოეთის ქარი დაჰქროდა, რომელიც სახეზე კბენდა და ოფლით დასველებულ ტანისამოსში ძვლებამდე ატანდა. იგი ტბის მარცხენა ნაპირს აუყვა, თანაც თვალებს აცეცებდა, ეძებდა სადმე სადგომს თვალი მოვკრაო, მაგრამ არსად არაფერი ჩანდა. ბოლოს ერთ კაცებო შემაღლებაზე რაღაც ნაგებობა დაინახა. სასწრაფოდ გაეშურა ეკენი, მაგრამ ეს ერთი პატარა ლია საბძელი გამოდგა. ამ უკაცრიელ ადგილას ვიგდისი მთლად ქანცგამოლეული გაჩერდა. სიარული აღარ შეეძლო. თხილამურები მოიხსნა და ლია კარით საბძელში შევიდა. იქ უკუნი სიბნელე იყო და ისევე ცივოდა, როგორც გარეთ. მაგრამ ვიგდისმა ხელის ფათურით კუთხეში ცოტაოდენ თივას მიაგნო და შიგ ჩაწვა ბიჭთან ერთად. მაგრამ თივა ცივი იყო და სრულიად არ ათბობდა.

ბიჭმა ჰკითხა. კეთილ ადამიანებთან მივედით თუ არა და ფაფას თუ მომცემენო.

— პატრონები შინ არ არიან, — მიუგო ვიგდისმა, — შენ ხომ დაღლილხარ, ცოტა დავიძინოთ და როცა გავიღვიძებთ, ისინიც გამოჩნდებიან.

— ძალიან მშია, — თქვა პატარამ.

ვიგდისმა თოფრაკში პური და ხორცი მოძებნა, ოდნავ დაღეჭა და ბიჭს პირში ჩაუდო. ბავშვი თანდათან დაწყნარდა, მაგრამ სიცივისაგან მთელი სხეული უკანკალებდა, ვიგდისიც ცახცახებდა. ცოტათი მაინც რომ გაეთბო ბიჭი, კაბა გადაიხსნა და ბიჭი შიშველ მკერდზე მიიკრა, შემდეგ კი მაგრად გაეხვია ბიჭთან ერთად მოსასხამში და გარშემო თივა შემოიყარა. ბიჭმა ჩაიძინა და მისმა თბილმა სუნთქვამ ვიგდისი ცოტათი გაათბო. დროდადრო თვითონაც ჩასთვლემდა ხოლმე, მაგრამ მაშინ ეჩვენებოდა, რომ ბნელ, ულრან ტყეში დაბორიალობდა და დამფრთხალი იღვიძებდა. მაშინ ბიჭიც ახელდა თვალებს. ვიგდისი ამშვიდებდა და ეუბნებოდა ისეთ რამეებს, რასაც საერთოდ ქალები ეუბნებიან ხოლმე ბავშვებს დასაწყნარებლად.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ და ვიგდისს ესმოდა, როგორ ტაცუნებდა ყინვისაგან საბძლის კედლები. ჭუჭრუტანიდან დაინახა, როგორ ამოვიდა მთვარე და თოვლი გააბრწყინა. ბიჭმა გაიღვიძა და წყალი მოითხოვა.

წყურვილი ვიგდისსაც ახრჩობდა და გადაწყვიტა თოვლი მოეტანა და თანაც გათოშილი ფეხები გაემართა. ეშინოდა, ველარ გავინძრევიო. ბიჭი ატირდა, დედის გაშვება არ უნდოდა. მაშინ ვიგდისმა ხელში აიყვანა იგი და გარეთ გავიდა.

— აგერ, აქაური კეთილი ადამიანები შინ ბრუნდებიან, — თქვა ბიჭმა და ტყისკენ გაიშვირა ხელი. ვიგდისმა იქით გაიხედა და დაინახა შორს, სამხრეთით, ადამიანების ჯგუფი, რომლებიც მაშხალებით ინათებდნენ გზას. ვიგდისმა მყის თხილამურები გაიკეთა და სასწრაფოდ გაეცალა საბძელს. თხილამურებით სწრაფმა სრბოლამ ოდნავ გაახურა და ისიც კი იფიქრა, უარესი იქნებოდა, საბძელში რომ დავრჩენილიყავიო. მაგრამ ძრწოლით ეკითხებოდა თავის თავს, რითი დამთავრდებოდა ეს ღამეული ხეტიალი. გზაზე მდინარე შემოხვდა და დინებას დაუყვა. გაგონილი ჰქონდა, ჰაკედალის ტბიდან მდინარე გამოდისო, და გაიფიქრა, დინებას თუ გავყვები, ბოლოს და ბოლოს რაღაც სადგომს მივადგებიო. მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენი უნდა ევლო კიდევ, რომ რაიმე თავშესაფარი ეპოვა. დაღლილობა სულ უფრო და უფრო ერეოდა. ბოლოს გაიფიქრა, ეს მოგზაურობა იმით დამთავრდება, სადმე ნაძვის ქვეშ მი-

ვწვები ბიჭთან ერთად და სამუდამოდაც იქვე დავრჩებიო. ისიც კი გაიფიქრა, ალბათ ასე აჯობებსო. მაგრამ მაინც ძალას იკრეფდა და წინ მიდიოდა. უცებ მგლების გაბმული ყმუილი მოესმა. სირბილს უმატა და თან ცდილობდა თავი დაემშვიდებინა, ასეთ ყინვაში მგლებმა ადამიანის სუნი იქნებ ვერ იგრძნონ.

ცოტა ხნის შემდეგ მგლების ყმუილი მიწყდა. ღამის სიჩუმეს მხოლოდ წყაროს რაკრაკი არღვევდა, იქვე, სადღაც ფერდობზე რომ მოედინებოდა. კაშკაშა მთვარის ცივი, თვალისმომჭრელი შუქი თოვლზე გრძელ, [illegible] ლებს აფენდა. ხშირ ნაძვებს შორის ვიგდისმა შავი სივრცე შეამჩნია, რომელსაც თოვლი არ ფარავდა. აქ ძალამ უმტყუნა, ნაძვებქვეშ შეძვრა, რამდენიც შეეძლო ტოტები დატეხა, თბილად შეფუთა ბიჭი, თვითონაც შეიფუთა, ფეხები მოკეცა და ჩათვლიმა. ბავშვი მუხლებზე დაისვა ისე, რომ დედის სხეულს რაც შეიძლება მეტად გაეთბო. მალე ყველაფერი დაავიწყდა და ღრმა ძილი მოერია.

XXIII

გათენებისას ვიგდისმა გაიღვიძა და დაინახა, რომ მაღალი მთის ფერდზე იჯდა. მთა ცამდე აღმართულიყო, ქვემოთ კი, ვიწრო ხეობაში, მდინარე მირბოდა. ბიჭს ეძინა, ეტყობა, ამ ღამეს მისთვის კარგად გაევლო. ვიგდისი მიხვდა, რომ დრო იყო ამდგარიყო და გზა განეგრძო თავშესაფრის საძებნელად,, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იმყოფებოდა ამჟამად. თანაც საშინელ დაღლას გრძნობდა და მთელი სხეული გათოშილი ჰქონდა. ასე იჯდა და არ ინძრეოდა.

მცირე ხნის შემდეგ მაინც მოიკრიბა ძალა და წამოდგომა გადაწყვიტა. მაგრამ გაინძრა თუ არა, გვერდზე ისარმა ჩაუქროლა და მის გვერდით ხავსით დაფარულ მიწაში ჩაესო. ისარი ჯერ კიდევ ირხეოდა, როდესაც მის წინ თხილამურებზე შემდგარი კაცი გაჩერდა. ის იქიდან მოვიდა, საიდანაც ისარი იყო ნასროლი. ვიგდისის დანახვაზე ისე გაოცდა, რომ ადგილზევე გაშეშდა. ბოლოს იკითხა:

— მანდ რომელი ხარ?

ვიგდისს პასუხის გაცემის თავიც არ ჰქონდა. კაცი მიუახლოვდა და ბავშვიც რომ დაუნახა ხელებში, მთლად გაოგნდა.

ეს იყო მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცი, ქერა ხვეული თმა-წვერით; თავიდან ფეხებამდე ბეწვეულით შემოსილს, ქამარში ნაჯახი ჰქონდა გარჭობილი, მხარზე მშვილდი ეკიდა, ხელში კი შუბი ეჭირა.

უცნობი ვიგდისს გამოელაპარაკა, ჰკითხა, აქ როგორ მოხვდიო. ვიგდისი უხმოდ უყურებდა მას. სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. მაშინ ბიჭმა ამოიღო ხმა:

— ბოროტმა ხალხმა პაპაჩემის სახლი დაწვა.

— როდის? — იკითხა მამაკაცმა. — და სად იყო ეგ სახლი?

— მე ვადინიდან ვარ, — როგორც იქნა, გაიღო ხმა ვიგდისმა, — ეგ ამბავი წუხელ მოხდა.

— ნუთუ ამ ღამეში აქამდე მოხვედი? — გაუკვირდა მამაკაცს. — პირველად მესმის, ქალს შეძლებოდეს თხილამურებით ასეთი დიდი და მძიმე გზის გავლა და ისიც ღამით.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მან თქვა:

— შენ სითბო და დასვენება გესაჭიროება... ჩემი სახლით ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ იქ ყოფნა მაინც აჯობებს შენთვის.

იგი ვიგდისს წამოდგომაში დაეხმარა. მხრებზე მოხვია ხელი და ბიჭის აყვანაც უნდოდა ხელში, მაგრამ ბავშვი დედას ჩაებღაუჭა და [illegible] კაცთან მისვლა არაფრით არ ისურვა. მაშინ ვიგდისმა თქვა, ბიჭის ასაყვანად ძალა ჯერ კიდევ მეყოფაო. მდინარისაკენ დაეშვნენ; მამაკაცი ხელს [illegible]ებდა. მაგრამ მალე შეამჩნია, რომ ქალი ძლივს იდგა ფეხზე და ყოველწამს შეიძლებოდა წაქცეულიყო. მან თხილამურები შეხსნა ქალს, ხელში აიყვანა ბიჭთან ერთად, მისი თხილამურებიც აკრიფა და ასე გაუდგა გზას. საკმაოდ დიდხანს მიჰქონდა ტვირთი, მაგრამ ვიგდისს ცნობა ჰქონდა მიხდილი და არაფერი ესმოდა. ბოლოს ვიწრო ხეობას მიაღწიეს, სადაც პატარა ქოხი იდგა. მამაკაცმა ვიგდისი ოთახში შეიყვანა და იატაკზე დასვა.

— აგერ, ხელი რა დღეში გაქვს. — ამ სიტყვებით მარცხენა ხელი აუწია და ვიგდისმა დაინახა, რომ მის ხელს სულ თეთრი და მწვანე ფერი დასდებოდა. მამაკაცმა იგი სკამზე დასვა, ფეხსაცმელები და წინდები გაიხადა, ხელებისა და ფეხების ზელა დაუწყო თოვლით. მაგრამ მარცხენა ხელს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. შემდეგ ლოგინში ჩააწვინა და ყანწიდან რაღაც სასმელი დაალევინა. ვიგდისს მაშინვე ღრმად ჩაეძინა. თუმცა ხელი საშინლად სტკიოდა. ვიგდისს მხოლოდ საღამო ხანს გაეღვიძა. კერიაში ცეცხლი ენთო და მის გარშემო სამი კაცი იჯდა. ტანზე დაძონძილი სამოსელი ეცვათ, მაგრამ კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და ძვირფასი სამკაულები ეკეთათ. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ის იყო, ვიგდისს ტყეში რომ შეხვდა.

ხელი ისე სტკიოდა, რომ ვერც კი გაეკარა საჭმელს. მასპინძლებმა რომ შესთავაზეს, ღამე ტკივილმა იმატა. მარტო მკლავი კი არ ტკიოდა, არამედ მკერდიც.

დილაზე მასთან ის მამაკაცი მივიდა, რომელიც ტყეში შეხვდა — მას ილუგეს ეძახდნენ — და ჰკითხა, თავს როგორ გრძნობო. ვიგდისმა უპასუხა, ჯერ არასოდეს ასეთი ტანჯვა არ განმიცდიაო, და ჰკითხა, ხელი თუ მომირჩებაო. ილუგემ ხელს შეხედა და თქვა, საქმე ცუდად არისო.

მაშინ ვიგდისმა უთხრა:

— მაშ მომეხმარე ამ სამი თითის მოკვეთაში. — ილუგემ უხმოდ შეხედა, მერე კი უპასუხა, — ალბათ ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებაო.

ასეც მოიქცნენ. ილუგეს ერთ-ერთმა ამხანაგმა ვიგდისი მუხლებზე დაისვა და მაგრად ეჭირა, რომ ვერ გახძრეულიყო. ილუგემ კი მარცხენა ხელის შუა სამი თითი მოკვეთა. ვიგდისს არც დაუყვირია, არც დაუკვნესია; როცა ყველაფერი დამთავრდა, მან მხოლოდ თქვა:

— ძალიან ღონიერი ყოფილხარ, ილუგე. ხელი კი მსუბუქი გქონია.

ილუგემ ჭრილობა გადაუხვია და ლოგინში ჩააწვინა. რამდენიმე დღე ვიგდისი ავად იყო, მაგრამ მალე გამომჯობინდა და უკეთ რომ გახდა, ყველაფერი უამბო ადამიანებს, რომლებმაც ის შეიხიზნეს.

XXIV

ვიგდისს ადრეც გაეგონა, რომ ჩრდილოეთის ულრან ტყეებში ცხოვრობდა ხალხი, ვისაც „ტყის ძმებს" ეძახდნენ. მათ გამო ტყეებში სიარული საშიში იყო. აი, სწორედ მათთან მოხვდნენ ვიგდისი და მისი ბიჭი. ორი ამ ძმათა-

განი — ილე ჰერმონდი და ეინარ ჰადელენდინგი სამხრეთიდან მოსულიყვნენ და ღვიძლი ძმები იყვნენ, ილუგე კი უკიდურესი ჩრდილოეთიდან იყო.

ილუგე ტანადი და ლამაზი მამაკაცი იყო; სახის სწორი ნაკვთები და ალწვისებური ცხვირი ჰქონდა; ცისფერი თვალები, გრძელი ხუჭუჭა ქერა თმა და ისეთივე წვერი ამშვენებდა მის სახეს.

ერთ დილას, როცა ვიგდისი უკვე თითქმის მორჩენილი იყო [illegible] იჯდა თავის ბიჭთან ერთად, შემოვიდა ილუგე და ლაპარაკი გაუბა. როცა მთისა და ბარისა თქვეს, ილუგემ უთხრა:

— მე და ჩემს ამხანაგებს სჯა-ბაასი გვქონდა ამ საქმეზე. აქ, ამ უდაბურ და მიყრუებულ ადგილებში ძნელია ქალის ხელში ჩაგდება. ჩვენზე უკეთეს დღეში არც შენ ყოფილხარ, რადგან შენც მოკვეთილი ხარ სოფლიდან. ჩვენ ასე განვსაჯეთ: შენ ჩემს სარეცელს გაიზიარებ, გაზაფხულზე კი მოშორებით ცალკე ქოხს ავიშენებ ტბის ჩრდილო ნაპირზე. ჰერმონდს და ეინარსაც სურთ ცოლები მონახონ და აქ მოიყვანონ.

ვიგდისს ბავშვი მუხლებზე ეჯდა, როცა უპასუხა:

—შენ რომ გიყურებ, ასე მგონია, ილუგე, ძალის დამტანებელი არ უნდა იყო.

ილუგემ მცირე ხანს იყუჩა, მერე კი უპასუხა:

— არა, ძალას არ დაგატან... მაგრამ მართალი რომ გითხრა, არ ვიცი, რას უნდა უცადო. ბოლოს მაინც ერთ-ერთი ჩვენგანის არჩევა მოგიწევს, მე კი მეტი უფლება მაქვს შენზე, ვიდრე სხვას. ტბის ნაპირას, დათვის ტბას რომ ეეძახით, კარგი ადგილია თევზის საჭერადაც და სანადიროდაც. შენ, ვფიქრობ, უფრო კარგად მოეწყობი შენს ვაჟთან ერთად, ვიდრე იმედი გექნებოდა, როცა გიპოვე.

ვიგდისმა უპასუხა:

— ვხედავ, რომ შენ და შენი ამხანაგები ისეთი მომთხოვნები არ ყოფილხართ, როგორც ველოდი იმ ხალხისაგან, ამ მივარდნილი ადგილების გაწმენდას რომ აპირებენ და ულრან ტყეებში ასე განმარტოებულან. არ მესმის, რატომ არ გინდათ სხვა ადამიანებთან ერთად დასახლდეთ, დარწმუნებული ვარ, ჩემს სოფელში ვერავინ გაბედავს რაიმე გაკადროს თქვენ, რადგან იქ არავინ მეგულება ისეთი, ლონით რომ დაგჯაბნოთ.

ილუგემ მიუგო, არც ისე ადვილია ტყიდან წასვლა, როგორც შენ გგონია.

ვიგდისმა თქვა:

— აზრადაც არ მომსვლია, რომ კოლე არნესონი, რომელმაც მამაჩემი დაწვა, ჩემს ვაჟთან ერთად სახლიდან გამომაგდებდა, თუმცა კი მარტოხელა ქალი ვარ, თანაც ახალგაზრდა. კარგად ვიცი, სად დამალა მამამ ოქრო-ვერცხლი სიკვდილის წინ და წამოღება მინდა. შენ და შენი ამხანაგები თუ დამეხმარებით, სამართლიანად გაგიყოფთ და დაე, ყველამ ერთი ბედი გავიზიაროთ.

— ვაჟკაცი ქალი ყოფილხარ, — უპასუხა ილუგემ, — მაგრამ სოფელი ოსლო აქვეა და ჩვენი ამბავი იქ კარგად იციან. ამ ზამთარს ჰადელანდში მეფე ოლავი რომ არ გაჩერებულიყო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ბედი გვეცადა.

ამაზე ვიგდისმა უპასუხა:

— იქნებ ეს უკეთესიც არის ჩვენთვის. მეფესთან საჩიენელი საქმეოდ მაქვს, ისიც გამიგონია, ახალ რწმენას ქადაგებს და ყველას თურმე კარგად ეჭაცევა, ვინც კი მოინათლება. ჩვენს სოფელში ბევრი ჯიუტად იცავს ძველ რწმე-

ნას და ისევ თავისი ღმერთები სწამთ. მე მგონი, კარგი იქნებოდა მივიდე მეფე ოლავთან, ერთ-ერთი თქვენთაგანი გამაცილებს, ხოლო თუ მეფისა გეშინიათ, ტყით წამიყვანეთ. დარწმუნებული ვარ, თუ მეფესთან შეხვედრას მოვახერხებ, ყველაფერი მოგვარდება. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ისევე გულმოდგინედ გავირჯები თქვენთვის, როგორც საკუთარი თავისთვის.

ამის შემდეგ ვიგდისი კიდევ ერთხელ ელაპარაკა ... ...

მოეთხრო, როგორ მოკლა ეიოლვ არნესონი და როგორ გაიქცა შვილთან ერთად.

ვნების შაბათს მეფემ ვიგდისი იხმო. ის მარტო იჯდა დარბაზში და სტუმარი ქალი გვერდით მოისვა. საღამო ხანი იყო. ილუგეს შესახებ ეკითხებოდა, ეგ ხომ არ არისო ბიჭის მამა. არაო, მიუგო ვიგდისმა და ისიც დასძინა, ილუგეს შორის არაფერი მომხდარაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მეფე ოლავმა ჰკითხა, ვინ იყო ბიჭის მამა და რატომ გათხოვილი არა ხარო.

— ბევრი არაფერი ვიცი მის შესახებ, ხელმწიფეო, — უპასუხა ვიგდისმა, — აქაური არ გახლდათ. სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, ჭკუა არ მქონდა და შევცდი... არ მსიამოვნებს ამაზე საუბარი და გთხოვთ ნულარაფერს მკითხავთ ამის შესახებ.

ვიგდისმა ადგომა დააპირა, მაგრამ მეფემ ხელი მოკიდა და მუხლებზე დასვა. მაშინ ვიგდისმა თქვა:

— ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ აღარავისი სიყვარულის თავი აღარა მაქვს. ახლა კი გთხოვ, ბატონო, გამიშვა, რადგან გვიან არის.

მეფემ გაიცინა, აკოცა და უთხრა:

— მე კი მინდა, რომ ჩემთან დარჩე. განა ერთმანეთს არ შევეფერებით, ვიგდის? შენთვის სამარცხვინო არ იქნება, ჩემი საყვარელი გახდე. კარგად დაგასაჩუქრებ ამ სიყვარულისათვის.

— ხელმწიფეო, — უპასუხა ვიგდისმა, — რომელ ქალსაც თვალს დაადგამ, შენი იქნება, და არ გეკადრება იმ ფიალიდან სვა, რომლიდანაც უკვე სხვებმა დალიეს.

მეფემ უფრო გულიანად გაიცინა და ერთხელ კიდევ აკოცა.

— მერე რა ვუყოთ, შენი ბაგეები მაინც ტკბილია ჩემთვის.

მეფემ ვიგდისი აიყვანა, სკამზე დააწვინა და მოუალერსა.

მაშინ ვიგდისმა ორივე ხელი მკერდზე მიაბჯინა და უთხრა:

— ის, ვისი რწმენაც მიგიღია, განა იმისათვის იტანჯა, რომ ასე მალე დაგვიწყებინა მისი მოძღვრება.

მეფე ოლავმა ხელი გაუშვა. მცირე ხანს იყუჩა და უთხრა, შეგიძლია წახვიდე, თუ გსურსო.

ვიგდისი წამოჯდა. წამით გაუელვა, რომ შეეძლო მეფესთან დარჩენილიყო, მაგრამ მეფე სკამზე იჯდა და აღარაფერს ამბობდა. ვიგდისი ადგა, დარბაზი დატოვა და საქალებოსაკენ გაემართა.

აღდგომაც დადგა. ბოლო დღეებში მეფეს არ უნახავს ვიგდისი. მესამე დღეს ისევ თავისთან იხმო, ამ შეხვედრას ესწრებოდა მეფესთან დაახლოებული მრავალი პირი.

მეფემ თქვა, რომ ვიგდისს გრეფსინში თავის ხალხს ვაყოლებდა და დეხმარებოდა თავის უფლებების აღდგენაში. ილუგეს და მის ამხანაგებსაც შეჰპირდა მშობლიურ ადგილებში დაბრუნებას. შემდეგ ვიგდისი განზე გაიყვანა, თვალებში შეხედა და ჰკითხა:

— მართალი მითხარი, ვიგდისს, კარ-მიდამოს რომ დაიბრუნებ, ილუგე ქერათმიანს უნდა გაჰყვე ცოლად?

ვიგდისმა მეფეს შეხედა და უპასუხა:

— ცუდი აზრისა ყოფილხარ ჩემზე, ხელმწიფეო, თუ გგონია, რომ უფრო ადვილად გავეთამაშები მგელს, ვიდრე ლომს. ახლა, როცა ვხედავ, რა მოწ-

ყალე თვალით მიყურებ. ვრწმუნდები, რომ შენი სწორი მეფე არ არსებობს და კიდევ ერთი თხოვნით მინდა მოგმართო: გამაყოლე ვადინში მღვდელიც, რომელიც ახალ რწმენას მასწავლის და მომნათლავს. ახლა კი ვხედავ, მამაჩემს მარტო თავისი ძალის იმედი რომ ჰქონდა იმიტომაც დაიღუპა. მეც ასე მეგონა: უწინ. მაგრამ შენი რწმენა უკეთესი ყოფილა.

მეფე ოლავს გული აუჩუყდა. ვიგდისის თხოვნა [illegible] მოისმინა. [illegible] ილუგემ და ეინარ ჰადელენდინგმა შეწყალება მიიღეს და მეფის კარზე დარჩნენ. ჰერმონდმა კი ხომალდი შეიძინა და უცხო მხარეებისაკენ გასწია.

მეფემ ვიგდისს თავისი ხალხი გააცალა, მღვდელიც გააყოლა, ისინი გრეფსინში ჩავიდნენ და კორემ კარგად მიიღო ვიგდისი. მაშინლა გაიგო ვიგდისმა, რომ იმ ღამეს, ვადინი როცა იწვოდა, გრეფსინის ყველა მაცხოვრებელი შორსნადიმზე იყო წასული. როცა კორემ ხანძრის ალი დაინახა, თავისი ხალხი შეკრიბა და კოლე არნესონს გაეკიდა, დაეწია და მოკლა იგი... ვიგდისი დიდხანს უძებნიათ. ბოლოს იფიქრეს, ალბათ დაიღუპაო.

ვიგდისის საქმეზე სასამართლომ დიდხანს იმსჯელა და არნესონებს დიდი ჯარიმა დაადეს. მემკვიდრეებს ესას სიკვდილის საზღაური უნდა გადაეხადათ და მთელი იმ ზარალის გამოც, რაც ვადინს მიაყენა ხანძარმა. გადასახდელი ჯარიმა ძალიან დიდი გამოვიდა.

იმ ზაფხულს ვიგდისმა თავის კარ-მიდამოში ახალი სახლები ააშენა. თანასოფლელები დიდი პატივით განიმსჭვალნენ მის მიმართ ჭკუისა და გამბედაობის გამო, რაც მან გამოიჩინა. ვიგდისმა შვილი მონათლა და სახელად ულვარი შეარქვა იმ ღამის სამახსოვროდ, მგლები რომ მისდევდნენ. შემდეგ კარგი ხისაგან ეკლესია ააშენა მდინარე ფრუსიეს ნაპირზე, შემაღლებულ ადგილას. სოფელ ოსლოს მაცხოვრებლებმა სიამოვნებით მიიღეს ახალი რწმენა და ვიგდისიც მტკიცედ მისდევდა მას, ოღონდ წესებს ისე გულმოდგინედ ვერ იცავდა, რადგან მამულს უძღვებოდა და ბევრი საქმე ჰქონდა.

ასე, დიდი ხნის განმავლობაში ვადინში სრული სიმშვიდე სუფევდა. ახლა კი დროა ლიოტზე გიამბოთ.

XXVI

თურბიერნ ჰოლეგი ადრეც ვახსენეთ. ლიოტ გისურსენი მისი აღზრდილი იყო. ამ ბელადს ყველა იცნობდა და დიდ პატივს სცემდა. თურბიერნს ბევრი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ამჯერად მათზე ლაპარაკი არ გვექნება. უფროსს ლიუტინგი ერქვა და ცოცხალი აღარ იყო. ლიუტინგის ქვრივს გუდრუნი ერქვა, მეტსახელად აღმოსავლეთ ფიორდების მზეს ეძახდნენ, რადგან ისლანდიაში ულამაზეს ქალად ითვლებოდა. ჭკვიანი და გამრჯე ქალი იყო, თანაც ძალიან მდიდარი, მეგობრების მიმართ კეთილი და ერთგული. მსაბურებზეც ზრუნავდა, მაგრამ ფიცხი იყო, თავნება და ამაყი. ლიუტინგისა და გუდრუნის ერთადერთ ქალიშვილს ლეიკნი ერქვა. ამბობდნენ, დედისაგან ლეიკნის მარტო კარგი დაპყვაო, და ლეიკნი ლიუტინგსდატერი ყველას უყვარდა. სიკვდილის წინ ლიუტინგმა ქალიშვილს დაუბარა, შეგიძლია იმას გაჰყვე ცოლად, ვისაც თვითონ აირჩევო. ბევრი თხოულობდა ლეიკნის ხელს, მაგრამ ის ყველას უარს ეუბნებოდა.

ლიოტი ისლანდიაში სწორედ იმ შემოდგომას დაბრუნდა, როცა სეტერში

ვიგდისთან ლაპარაკი ჰქონდა. პირველივე, რაც სამშობლოში შეიტყო, ის იყო, რომ ვეტერლიდეს გუდრუნი დაენიშნა და ქორწილი ზამთრის მეორე ნახევარში უნდა გადაეხადათ. ლიოტი პირდაპირ თავის მამულში, სკუმედალში წავიდა, სადაც მთელი ზამთარი ისე გაატარა, რომ არავინ უნახავს და არც არავის ეჩვენებოდა. თავისი ნათესავის ქორწილზეც კი არ ჩასულა, რაც ძალიან გაუკვირდა ყველა მის ახლობელს.

ზაფხულში, როცა ყველა ალთინგზე[1] გაემგზავრა, ლიოტი შინ დარჩა. ვეტერლიდე და გუდრუნი ალთინგზე იყვნენ და მობრუნებისას სკუმედალში შეუხვიეს. არაფრით გამოუხატავთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ ლიოტი მათ ქორწილზე არ ჩასულა. პირიქით, ძალიან ეფერებოდნენ და ისე გულით სთხოვეს სტუმრად სწვეოდა მათ ხოლტარში, რომ დაიყოლიეს და ლიოტიც მათთან ერთად გაემგზავრა.

ვეტერლიდემ დიდი წვეულება გამართა; ბლომად ხალხმა მოიყარა თავი. ნადიმი რამდენიმე დღე გაგრძელდა. ისეთი უხვი და მდიდრული სუფრა იყო, რომ სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ. ბევრმა შეამჩნია, რომ ლიოტი გუნებაზე ვერ იყო და საერთო დროსტარებაში არ ერეოდა, არავისთვის გაუცია ხმა და ახალგაზრდების თამაშებშიც არ მიუღია მონაწილეობა.

წვეულების ერთ-ერთ პირველ დღეს, ვეტერლიდემ მდიდრული ოქრომკედით ამოქარგული მოსასხამი ჩაიცვა, სწორედ ის მოსასხამი, ვიგდისმა რომ აჩუქა. ლიოტი თვალს არ აცილებდა მოსასხამს. საღამოთი ვეტერლიდემ მოსასხამი გაიხადა და სკამზე დადო. ლიოტი მიუჯდა, მოსასხამი აიღო და მუხლებზე დაიფინა. ვეტერლიდე რომ მიუახლოვდა, მან თქვა:

— დამითმე, მეგობარო, ეგ მოსასხამი და სანაცვლოდ რასაც გინდა იმას მოგცემ.

— ნაჩუქარს არ გავყიდი, — უპასუხა ვეტერლიდემ.

— მაშინ მაჩუქე, — უთხრა ლიოტმა, — შენთვის ხომ ჯერ არაფერი მითხოვია.

ვეტერლიდემ ამაზე არაფერი უპასუხა. მათ გუდრუნი მიუახლოვდა, საუბრის ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური და თქვა:

— არ გეკადრება, ვეტერლიდე, უარი უთხრა შენს დისწულს. სტუმარს პატივი უნდა სცე; იცოდე, ლიოტ, ძალიან გვიყვარხარ, დარდი გადაიგდე, ახალგაზრდებს თამაშში შეუერთდი და ლონეც მოსინჯე ტოლებთან, — თქვა და ლიოტს სთხოვა, ადექით; მერე მოსასხამი მოახურა. მოსასხამი ისე უხდებოდა ლიოტს და ისე კარგად მოადგა, თითქოს მის ტანზე იყო შეკერილი. ამის შემდეგ გუდრუნი წავიდა, ლიოტი კი იდგა და, არ იცოდა რა ექნა. სიჩუმე ვეტერლიდემ დაარღვია.

— ამ მოსასხამს არ მოგცემდი, გუდრუნი რომ არ ჩაგვრეოდა. ისე კი აღობებდა ეს მოსასხამი შენ არ დაგრჩენოდა... და ამასაც გირჩევ: გულიდან ამოიგდე ის, ვინც ეს მოსასხამი შეკერა.

ლიოტმა უპასუხა:

— მართალია, ის გოგო გულში ჩამივარდა, მაგრამ ეს მოსასხამი თავისთავად მომწონს, თითქოს საჩემოდ შეუკერიათო. მე მაინც მადლობას მოგახსენებ შენს უნებლიე ძღვენზე, მეგობარო, და საჩუქარზე უარს არ ვამბობ.

---

[1] ალთინგი — ისლანდიელების საერთო თავყრილობა. იგი აღჭურვილი იყო უმაღლესი საკანონმდებლო და სამსჯავრო უფლებებით და ევროპის უძველეს პარლამენტად ითვლება.

ეს სიტყვები ლიმილით წარმოთქვა, მოსასხამი მკლავზე გადაიგდო და მის შესანახად წავიდა. შემდეგ ეზოში გავიდა, სადაც ახალგაზრდები თამაშობებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ჭაბუკებში ოდი და სიგურდ ბეინესონები გამოირჩეოდნენ. ისინი საუკეთესო მოჭიდავეებად ითვლებოდნენ. ოდი ყველაზე ლონიერი იყო იმ მხარეში. ლიოტი იარალის ხმარებაში გაწაფული იყო, მაგრამ დიდი ხანი-არ ევარჯიშა. ნელ-ნელა მაინც გახურდა და ბოლოს ყველამ აღიარა, რომ ლიოტი ყველაზე მარჯვე იყო; ლონეში კი პირველობა ოდს დარჩა.

— ახლა მინდა, ოდთან ვცადო ლონე, — თქვა ლიოტმა.

ოდმა გამოწვევა მიიღო და ისინი შეიბნენ. ლიოტმა მალე შენიშნა, რომ მეტოქე ბევრად უფრო ლონიერი იყო მასზე და მთელი ძალა მოიკრიბა, ოდს კი, პირიქით, მეტისმეტად დიდი იმედი ჰქონდა თავისი თავის. ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ ლიოტმა იგი ბეჭებზე დასცა. თამაშობებიც ამით დამთავრდა იმ დღეს.

იმ ღამეს ლიოტს ცივ ოთახში ეძინა. დილით, ლოგინში მწოლიარეს, მეზობელი ოთახიდან ორი ქალის საუბარი მოესმა. ერთ-ერთი მათგანი ამბობდა:

— რას იტყვი, ოდ ბეინესონი რომ ზურგზე გააკრეს გუშინ. წავიდეს ახლა და იძახოს, ჩემი მომრევი არავინ არისო.

მეორემ გაიცინა და უპასუხა:

— ჩემთვის სულერთია, ვინმე მოერევა თუ არა ოდს, მაგრამ ძალიან კი გამეხარდა, იმ ლამაზმა ბიჭმა რომ აჯობა.

— რა, ლიოტს ლამაზს ეძახი? — ჰკითხა პირველმა. — ჯერ ერთი შავგვრემანია და მეორეც მიცვალებულივით ფერმკრთალია.

— დიახაც, სწორედ იმაზე ვამბობ, — მიუგო მეორემ, — ოდს ხომ მან აჯობა!

ლიოტი ადგა, ჩაიცვა და მეზობელ ოთახში გავიდა. აქ თავი მოეყარათ რამდენიმე ყმაწვილ ქალსა და დედაკაცს. ლიოტმა ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ მათგანს, რომელიც აქ ადრე არ ენახა. მას ლია მწვანე ამოქარგული კაბა ეცვა და ძალიან ლამაზი იყო. მაღალი არ იყო, მაგრამ მოხდენილი ტანი ჰქონდა, პაწია ხელ-ფეხი, ლია წაბლისფერი თმა და მშვენიერი ცისფერი თვალები. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მხრებზე ოქროს მოსასხამივით დაფენილი გრძელი და ხშირი თმა შვენოდა. ლიოტი ოთახში რომ შევიდა, ის იდგა და სწორედ თმას ივარცხნიდა.

ლიოტი ქალიშვილებს გაესაუბრა, მაგრამ თვალი არ მოუცილებია ოქროსთმიან მზეთუნახავისათვის. ქალიშვილი ვარცხნას რომ მორჩა, ლიოტი მასთან მივიდა და სავარცხელი სთხოვა. ქალიშვილმა მიაწოდა, ლიოტმა კი ჰკითხა:

— შენ იყავი, ჩემზე რომ თქვი, ლამაზი ბიჭიაო?

ქალიშვილი ოდნავ წამოწითლდა, მაგრამ გაიცინა და უპასუხა:

— მცოდნოდა მაინც, არ გეძინა და ყურს გვიგდებდი. მაგრამ როცა ადამიანს პატარაობიდანვე იცნობ, მასზე ხომ მხოლოდ კარგს იტყვი?

ლიოტს გაუკვირდა, მცირე ხანს იყუჩა, მერე კი ჰკითხა:

— მითხარი, რა გქვია, მე არ გიცნობ.

— სულ ერთი არ არის შენთვის? — უპასუხა ქალიშვილმა, ლიოტმა ხმაზე გაბრაზება შეატყო და დაუმატა:

— ახლა კი გამახსენდა... მაგრამ უკანასკნელად რომ გნახე, ასეთი ლამაზი არ იყავი. მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ლეიკნი ლიუტინგსდატერი ხარ.

— მაშინ ყურადღებას სულ არ მაქცევდით, არც შენ და არც სხვა ბიჭები, როცა პაპაჩემთან, ეირეში ვცხოვრობდი, — მიუგო ლეიკნიმ.

სხვა ქალიშვილებმა გაიცინეს, მაგრამ იმას კი მიხვდნენ, რომ ლეიკნის ესიამოვნა ლიოტის სიტყვები.

ლიოტმა გაიგო, რომ ლეიკნი სტუმრად იყო წასული თურბიერნთან და მხოლოდ წინა საღამოს დაბრუნებულიყო სახლში. ლიოტმა გამოკითხა, ეირეში როგორ არიანო, და დიდხანს ისაუბრეს, რადგან ლეიკნი ჭკვიანი გოგო იყო და ენაც უჭრიდა. ლიოტი მთელი საღამო მის გვერდზე იჯდა და მასთან ერთად სვამდა. სხვათა შორის კი აღნიშნა:

— უცნაურია, ლეიკნი, რომ აქამდე არ გათხოვდი, თუმცა კი შენთვის შესაფერი ქმრის მოძებნა არც ისე ადვილია.

— ეგ არც ისე ძნელია, — უპასუხა ქალიშვილმა, — მაგრამ ამ საქმეში სიფრთხილეა საჭირო. არ მინდა ისე მოვიწყო ცხოვრება, რომ მერე მისი გადასხვაფერება მომიხდეს.

ლიოტმა გაიცინა და თქვა:

— შენი გულის მოგება ადვილი არ უნდა იყოს და ვერც მე გავბედავდი აქ ჩემი ბედის ძიებას.

ლეიკნიმ ამაზე არაფერი უპასუხა და მათ სხვა რამეზე განაგრძეს საუბარი. მეორე დღეს ლიოტი შინისაკენ გაემგზავრა.

XXVII

გვიან შემოდგომით გუდრუნს ვაჟი ეყოლა. ვეტერლიდემ მონათლა და ატლი დაარქვა. გუდრუნი რამდენიმე დღე იწვა. ერთხელ ლეიკნი და გუდრუნი მარტონი დარჩნენ. ლეიკნი დედის ლოგინზე იჯდა და ახლად დაბადებულს ახვევდა. შეხვევას რომ მორჩა, ბავშვი ხელში აიყვანა, ჩაკოცნა და ალერსიანად ჩაილაპარაკა:

— რა მშვენიერი ბიჭია.. რა კარგი იქნებოდა, დედა, ეს ბავშვი შენი კი არა, ჩემი ყოფილიყო.

გუდრუნმა გაღიზიანებით უპასუხა:

— მომეცი აქ ბავშვი და სისულელეს ნუ ამბობ. სიმართლე თუ გინდა, დროა ოჯახი შექმნა, უკვე ოცი წლიხა ხარ, და არ მესმის, რას უცდი, რატომ არ თხოვდები, როგორც ყველა სხვა ქალიშვილი? ადექი და ოდ ბეინესონს გაჰყევი. ბედნიერიც იქნები და კარგადაც იცხოვრებ.

— რამდენჯერ გითხარი, რომ ცოლად ჰკუადამჯდარ კაცს გავყვები, რომელსაც ყველა პატივს სცემს-მეთქი.

— მაშინ რუნოლვს გაჰყევი, — უთხრა დედამ.

ლეიკნიმ სიცილით უპასუხა:

— შენ ალბათ ხუმრობ, დედაჩემო. იმ ბებრუხანას თურმე მსახურები აწვენენ და აყენებენ.

— მერე რა, — თქვა გუდრუნმა, — ოდესმე შენც დაბერდები, ხალხს კი ბოლოს და ბოლოს მოსწყინდება შენი დევნა და თავს აღარავინ გაგასულელებინებს.

— არა! უშავს, მეც ერთხელ იქნება და ვიშოვი ქმარს, — უპასუხა ლეიკნიმ, შემდეგ დაუმატა: — აი, სკუმედალელი ვიგა-ლიოტი რომ ჩამოსულიყო ჩემი ხელის სათხოვნელად, გასიამოვნებდი და დავთანხმდებოდი; შენც აღარ გამიჯავრდებოდი, არ თხოვდებით.

დედამ უპასუხა:

— ისე უგუნურად ლაპარაკობ, რომ საწყალი მამაშენიც კი გაგიკვირდებოდა, ცოცხალი რომ იყოს. ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, სწორედ რომ ამ სიშორეს არ გადავსახლდებოდი. გაგიგონია იმ უდაბურ მხარეში ცხოვრება, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის?

— მე კი მსმენია, ძალიან კარგი მამული აქვსო, — ერეკვნელი ეგ-ბურუკელეიკნიმ, — პაპაჩემი და ყველა ჩემიანიც კმაყოფილი დარჩებოდნენ.

— ცხადია, ვეტერლიდეც კმაყოფილი იქნებოდა, — უპასუხა დედამ, — რატომ არ ენდომება ასეთი კარგი ქალიშვილი გაატანოს თავის დისწულს? მე შენთვის სხვა მინდოდა, უფრო მდიდარი და ძლიერი ქმარი.

— ისედაც საკმაოდ მდიდრები ვიქნებით, როცა ჩვენს ქონებას გავაერთიანებთ, — უპასუხა ლეიკნიმ, — ისიც გამიგია, ლიოტი ნამდვილი საბელადო ვაჟკაციაო. — მცირე ხანს გაჩუმდა, მერე კი დაუმატა:

— დედა, მოელაპარაკე ვეტერლიდეს... ოღონდ ნუ ეტყვი, რომ მე გთხოვე.

XXVIII

ლიოტი შინ იყო, სკუმედალში, როცა ვეტერლიდე ჩამოვიდა. შუა ზამთარი იდგა და ვეტერლიდემ უთხრა, სტუმრად გეწვიეო. ლიოტი ძალიან კარგად შეხვდა და ბიძა-დისწული ორივენი დიდად კმაყოფილნი იყვნენ ამ შეხვედრით.

ლიოტის მამული ხეობაში მდებარეობდა, რომელსაც აგრეთვე სკუმედალი ერქვა ხეობას ორივე მხარეს მაღალი მთები ერტყა. შუაში კი მდინარე ჩაუდიოდა. მდინარის ერთ ნაპირას კარგი არყის ჭალა იყო და მშვენიერი საძოვარი. მდინარეში თევზი მრავლობდა. ლიოტს საქონელი ბლომად ჰყავდა და ვეტერლიდე დაკვირვებით ადევნებდა თვალს, როგორ უძღვებოდა მეურნეობას ლიოტი. ის დარწმუნდა, რომ ლიოტი ძალიან კარგად უვლიდა საბლაკარს, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო ასეთი ახალგაზრდა კაცისაგან. ერთხელ, როცა ისინი სეირნობდნენ, ვეტერლიდემ უთხრა:

— დოვლათით სავსე ხარ, დისწულო, თუმცა ერთი რამ გაქლია.. დროა ქალი მოიყვანო და დიასახლისად დასვა. საქმეც უკეთ წაგიეა, ცოლი რომ გეყოლება. მართალია, კარგი მოურავი გყავს, მაგრამ უკვე ბერდება. კარგი ქორწინებით ბარაქასაც გაიმრავლებ.

ლიოტმა უპასუხა, ეგ ხანშიშესული ქალი მშვენივრად უძღვება საქმეს, მით უმეტეს, რომ ამ მამულში მამაჩემის გარდაცვალებიდან გვიყენიაო.

— ცოლის შერთვას ყოველთვის მოვასწრებ, — დაუმატა ლიოტმა.

— ახლა მაგას ამბობ? — ჰკითხა ვეტერლიდემ.

ლიოტი დუმდა. მაშინ ვეტერლიდემ დაუმატა:

— შეუძლებელია აქამდე ვიგდის გუნარსდატერზე ფიქრობდე.

ლიოტი გაწითლდა და უცბად უპასუხა:

— არც კი ვიცი, ვინ ვითხოვო... კიდეც რომ გადამეწყვიტა ცოლის მოყვანა.

— ზაფხულში, მგონი, ლეიკნი ლიუტინგსდატერს ელაპარაკებოდი. როგორ მოგდის თვალში ეგ გოგო?

— ძალიან მომწონს, — თქვა ლიოტმა ჩაფიქრებით. — ლამაზია და ლაპარაკიც კარგი იცის, მაგრამ აზრადაც არ გამივლია მისი შერთვა.

— ჭკვიანიც არის და ლამაზიც, — შენიშნა ვეტერლიდემ. — კეთილია,

თანაც ძალიან გამრჯე. შენზე ველაპარაკე და, მგონი, უარს არ გეტყვის. არც მისი პატრონები თურბიერნი და გუდრუნი. თუ დამიჯერებ, მგონი, ერთმანეთს ხამდვილად მოუხდებით. ბევრს გაეხარდებოდა კიდეც თქვენი შეუღლება.

— მესმის, რომ ჩემთვის კარგი გინდა, — უპასუხა ლიოტმა, — მადლობელი ვარ, რომ კარგი საცოლის ძებნაში ხელს მიმართავ. მაგრამ, ეს, მინდა, ქალის შერთვა ასე ადრე.

ვეტერლიდემ სთხოვა, იფიქრეო, და ამ საკითხზე კრინტი აღარ დაუძრავს. შეამჩნია, რომ ლიოტს ღამღამობით ცუდად ეძინა, თითქოს მძიმე ფიქრები აწუხებსო.

სკუმედალში ყოფნის ბოლო დღეს ვეტერლიდემ თავისი ნათქვამი შეახსენა და ჰკითხა, მოიფიქრე თუ არაო?

ლიოტმა უპასუხა:

— კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას, მეგობარო, ჩემზე ზრუნვისათვის; გთხოვ დამეხმარო ამ საქმეში და მოელაპარაკო ლეიკნის. ვიცი, რომ ჩემთვის მხოლოდ კარგი გინდა.

ლიოტი ვეტერლიდეს გაჰყვა. გუდრუნი და ლეიკნი ალერსიანად შეეგებნენ, და საქმეც მოგვარდა. გაზაფხულზე ლიოტმა ლეიკნი შეირთო და ვეტერლიდემ დიდი ქორწილი გადაუხადა. ქორწილის შემდეგ ლიოტი და ლეიკნი სკუმედალში გაემგზავრნენ და შეხმატკბილებული და მშვიდი ცხოვრება დაიწყეს.

ზაფხულის ერთ დილას ლიოტი სათიბში წავიდა. თბილი, მზიანი დღე იდგა. ლიოტმა ორი მუშა წაიყვანა; ისინი მდინარის ერთ მხარეს თიბავდნენ, ლიოტი კი მეორე ნაპირზე გავიდა სათიბად. ჭურთუკი გაიხადა, პერანგისა და მოკლე შარვლის ამარა დარჩა. სათიბი ისე შორს იყო სახლიდან, რომ სადილად შინ წასვლას აზრი არ ჰქონდა. ლიოტმა გადაწყვიტა სამხრობას მუშებთან გადასულიყო და მათთან ერთად ეჭამა პური. უცებ ლეიკნი დაინახა, რომელიც მეორე ნაპირზე მოდიოდა. მორთულ-მოკაზმული იყო, ეცვა ღია მწვანე ფერის კაბა, რომელსაც მხოლოდ სტუმრებთან იცვამდა ხოლმე. ხელში დიდი ფუთა ეჭირა. ლეიკნი მუშებს გამოელაპარაკა, ფუთიდან რაღაც ამოიღო და მათ მიაწოდა, მერე ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით მდინარეზე გადმოვიდა და ლიოტს მიუახლოვდა.

— დედამ თაფლი გამომიგზავნა, — თქვა მან, — მეც ვიფიქრე, რომ ყველას გესიამოვნებოდათ ამ სიცხეში ნამუშევრებს პირის ჩაგენრიელება.

— მაგისათვის თავი რამ შეგაწუხებია, — უთხრა ლიოტმა.

— ეგ არაფერი, — მიუგო ლეიკნიმ, — ასეთ დარში, ამ გახურებულ მუშაობაში ხალხის შეწუხება არ ღირს. ეგეც არ იყოს, თავადაც მინდოდა მენახა, როგორი თივა გვაქვს წელს.

ლიოტმა უთხრა, მეორე ნაპირზე მომიხდება გადასვლა მუშებთან პურის საჭმელადო. ლეიკნიმ გაიცინა და ფუთაზე მიანიშნა:

— რამ გაფიქრებინა, რომ შენს საჭმელზე არ ვიზრუნებდი. მაშ, ამ სიშორეს რა წამომიყვანდა. წამო, იმ ბორცვზე დავსხდეთ, იქ ჩრდილია და გრილა.

ისინი ბორცვისაკენ გაემართნენ. გზაში იღებდნენ ბღუჯა-ბღუჯა თივას და ყნოსავდნენ. მდელობის ბოლოში ბორცვზე არყის ხეები იდგა და ლეიკნი სიამოვნებით ისუნთქავდა არყის ხის ნორჩი ფოთლების სურნელით გაჟღენთილ ჰაერს. მან მყუდრო ადგილი მოძებნა, სადაც რბილი ბალახი ბიბინებდა და ჩრდილიც მეტი იყო. მერე ლიოტს გასძახა:

— აქ შეგიძლია დაისვენო და ნასადილევს წაიძინო კიდეც.

ისინი კარგად დანაყრდნენ და სასმელიც დააყოლეს. ლეიკნი ძალიან გაბიარულდა და სულ ხუმრობდა. ლიოტი ბალახზე დაწვა და დაძინება გადაწყვიტა. თვალები ხელით მოიჩრდილა მზისაგან. ეს რომ ლეიკნიმ დაინახა, თავსაფარი მოიხსნა და სახეზე დააფარა. მერე უთხრა:

— მუხლებზე დამადე თავი, უფრო კარგად მოისვენებ.

ლიოტმა კალთაში ჩაუდო თავი და დიდხანს უცქერდა ცოლს. მზის სხივები ოქროსფრად აელვარებდნენ ლეიკნის თმას. ლიოტმა თქვა:

— აი, ახლა ხარ სწორედ ისეთი, ჰოლტარში რომ გნახე.

ლეიკნიმ გაიცინა და ჰკითხა:

— ლიოტ, მითხარი, კმაყოფილი ხარ ჩვენი მაშინდელი შეხვედრით? კმაყოფილი ხარ საერთოდ, მე აქ, შენთან რომ ვარ?

— შენც კარგად იცი, რომ კმაყოფილი ვარ, — უპასუხა მან.

ლეიკნი შეეპასუხა:

— აბა საიდან უნდა ვიცოდე? ხანდახან მეჩვენება, რომ გულზე რაღაც ტვირთი გაწევს. შენ ხომ ისეთი აღარა ხარ, ოდესღაც რომ იყავი. გახსოვს, რა თავაწყვეტილები ვიყავით და როგორ ვერთობოდით! შენ მაინც რას გაილაღებდი ხოლმე! ახლა კი თითქმის სულ ჩუმად ხარ.

— აბა რა იქნებოდა, — უპასუხა ლიოტმა, — ადამიანი რომ არ იცვლებოდეს და სულ ერთნაირი იყოს ბალღობაშიც და დიდობაშიც.

— შენზე გამიგია, კარგად მღერის და ლექსებსაც თხზავსო, —, განაგრძო ლეიკნიმ, — იქნებ ერთი რომელიმე მაინც გეთქვა ჩემთვის.

— მოუტყუებიხართ, — მიუგო ლიოტმა, — ჩემი ლექსები არაფრად არ ვარგოდა.

— ერთი მაინც მითხარი, — შეეხვეწა ლეიკნი.

— აღარაფერი მახსოვს, — უპასუხა ლიოტმა, — მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა.

ლეიკნიმ ორივე ხელი შემოხვია თავზე და ხმადაბლა თქვა:

> როს მაგონდება ქერა ასული,
> სევდიან ღამეს ვათენებ თეთრად,
> ჩემი ფიქრები ვით ფრთაშესხმულნი
> ზღვათა გადაღმა ილტვიან მისკენ.

— ეს ლექსი, როგორც ყური მოვკარი, შენ დაგიწერია.

— იქნებ აგრეც იყოს, — უპასუხა ლიოტმა. — მე არ მახსოვს.

— ვინ იყო ის ქალიშვილი? — ჰკითხა ლეიკნიმ, — რაო, უარი გითხრა?

— განა შეიძლება გულთან ახლო მიიტანო, რასაც ლექსად იტყვიან? — მიუგო ლიოტმა — რა არ მოგივა თავში კაცს. შეიძლება ეს ლექსი ერთსაც ეხებოდეს, მეორესაც, და ვისაც გინდა იმას.

ლეიკნი გაჩუმდა, მერე კი ჰკითხა:

— შენ ალბათ იმ გოგოს მოყვანა უფრო გინდოდა ცოლად ,ვიდრე ჩემი, არა?

— არა, არ მინდოდა, — უპასუხა ლიოტმა.

ლეიკნი დაიხარა და აკოცა; ლიოტმა კი ლოყასა და ყელზე მოუთათუნა ხელი.

— ახლა მეც მომინდა წამოწოლა, — თქვა ლეიკნიმ და მუხლებიდან ლიოტის თავი ნაზად მოიცილა.

— აბა, დაწექი, — უთხრა ლიოტმა და გვერდზე მიიწია, — აქ კარგია წოლა.

ლიოტმა სახეზე მისი თავსაფარი დაიდო ისევ. ლეიკნი გვერდზე მიუწვა, ხელზე დაეყრდნო თავით და მას უყურებდა.

— რა ძილის გუდა ხარ, — თქვა ქალმა.

ლიოტს პერანგი მკერდზე გადაღებული ჰქონდა და ლეიკნმა ბალიშიანი ტოტით მოუცაცუნა. ლიოტმა მისი ხელი დაიჭირა, მოეფერა, მაგრამ თვალები არ გაუხელია.

— ეგ რა ნაიარევი გაქვს კისერზე? — ჰკითხა ცოლმა, დაიხარა და ნაიარევზე აკოცა.

— მელიტინება, — თქვა ლიოტმა, — თანაც სულ ოფლში ვარ! გაწურული.

— ხომ გეძინებოდა, — შეახსენა ლეიკნიმ.

— წყნარად რომ მჯდარიყავი, კი წავიძინებდი ცოტას, — გაიცინა ლიოტმა, — შენც ხომ გეძინებოდა?

— დაიღალე? — ჰკითხა ლეიკნიმ.

— ჰო, ძალიან დავიღალე, — უპასუხა ლიოტმა.

ორივე გაჩუმდა. ლიოტმა ჩათვლიმა, ლეიკნი კი გვერდით ეჯდა და თვალს არ აცილებდა მას.

XXIX

ალთინგის შემდეგ ლიოტი და ლეიკნი ვეტერლიდესთან გაემგზავრნენ ჰოლსტარში სტუმრად და რამდენიმე ხანი იქ დაჰყვეს. ერთხელ ლიოტი შორს საძოვარზე გაემგზავრა, ვეტერლიდეს ცხენების რემის დასათვალიერებლად. გზაზე ოდ ბეინესონი შემოხვდა, რომელსაც თან მუშა ახლდა. ოდი მიესალმა და უთხრა:

— მგონი, მე და შენ ერთი გზა გვაქვს.

ლიოტმა უპასუხა, ერთად ვიაროთ, თუკი ასე გსურსო. ოდმა ჰკითხა, ჰოლტარში როგორ არიან და ლეიკნი ჯანმრთელად ხომ არისო. ლიოტმა უპასუხა, კარგად არიან და ლეიკნისაც არა უშავსო.

ცხენების რემა მოძებნეს და მათი ცქერით ტკბებოდნენ. შემდეგ უკან გამობრუნდნენ. ოდი ბევრს ლაპარაკობდა და ძალიან გულითადად იქცეოდა. ლიოტი კი ძლივს იღებდა ხმას. ბოლოს ცხენებიდან ჩამოხტნენ და თან წამოღებულ საგზალს შეექცნენ.

— მართალია, ლიოტ, რასაც ხალხი ამბობს — ბრაზდება, ჩაშლილ ნიშნობას რომ აგონებენო?

— შენ თუ მართლა მეგობრობას აპირებ ჩემთან, ჯობია მაგაზე ლაპარაკი არ დამიწყო. ან იქნებ თვითონ ავრცელებ ამ ჭორებს?

— არა, ამაზე ისინი ლაპარაკობენ, ვინც შენ ნიდაროსში გნახა, როგორ ფერქვევდი ცრემლებს ერთი ნორვეგიელი გოგოს გამო.

ლიოტი წამოხტა და ნაჯახს სტაცა ხელი. ოდიც წამოდგა, ფარი აიფარა და შუბი მოიმარჯვა.

— არ დაგინდობ, რაკი თვითონ ინდომე ასე, — გაშმაგებით შეჰყვირა ლიოტმა, ოდს ფარი გაუპო და ნაჯახი მხარში ჩასცა ღრმად. სასიკვდილოდ დაჭრილი ოდი დაეცა.

მუშა, რომელიც ოდს ახლდა, სულ ყმაწვილი იყო. იგი შეშინდა და გაიქცა. ლიოტი ჰოლტარში მივიდა და იქაურებს ამცნო, რაც მოხდა. ვეტერლიდე შეეკითხა, ახლა რას აპირებო. არაფერსო, უპასუხა ლიოტმა, მაგრამ ის ხალხი, ოდის საქმეს რომ განსჯის, ვერავითარ ხეირს ვერ ნახავსო.

მცირე ხნის შემდეგ ვეტერლიდე ოთახიდან გავიდა. ლიოტი მარტო დარჩა ლეიკნისთან ერთად, კუთხეში კი ბავშვები ატლე და ლიზა თამაშობდნენ. ლიოტი ლოგინზე წამოწვა. ლეიკნი ოთახს ალაგებდა: დროდადრო ეკითხებოდა, რა მოხდაო. ლიოტი მიკიბულ-მოკიბულად პასუხობდა, ხან კი სულაც არაფერს ამბობდა. ბოლოს ლეიკნიმ შენიშნა:

— მე მგონი, აჯობებს, თუ მეტყვი რა ლაპარაკმა მიგიყვანა მაგ მკვლელობამდე?

— ო, სისულელეა ეს ყველაფერი, — მიუგო ლიოტმა, — საქმე ის არის, რომ ოდი საჩხუბრად იყო ატეხილი.

— იმედია, ჩემ გამო არ მოგსვლიათ ჩხუბი?

— არა, — უპასუხა ლიოტმა, — მაგრამ ოდი შენზე ფიქრობდა.

ლეიკნი მიუახლოვდა და ლოგინზე ჩამოჯდა. ცოტა ხანს ლიოტს უყურა, მერე კი თქვა:

— არა, ლიოტ, ეგ აგრე არ იყო.

ლიოტი ოდნავ შეკრთა, პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ ლეიკნიმ გულზე ხელი დაადო და განაგრძო:

— ერთი ვიცი მხოლოდ, ჩემ გამო არ გახდი ასეთი სევდიანი და ჩუმი. ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც ნორვეგიიდან დაბრუნდი. მთელი დღეები რომ ფიქრებში ხარ წასული, არც ეგ არის ჩემი მიზეზით. ეგ კარგად ვიცი.

ლიოტმა უპასუხა:

— გულით მინდოდა, ლეიკნი, რომ კმაყოფილი ყოფილიყავი და ყოველთვის ვცდილობდი მეამებინა შენთვის. რამე სევდა თუ მაწევს გულზე და არავის ვუმხელ, ჩემთვის ეს ხომ უფრო მძიმეა, ვიდრე სხვისათვის. კარგს იზამ, თუ ჩამომეხსნები.

ლეიკნის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თვალი მოჰკრა ლიოტის ფეხთით დაგდებულ მოსასხამს, რომელიც ვიგდისმა ვეტერლიდესათვის ამოქარგა. ლეიკნიმ ხელი სტაცა, ძირს მოისროლა და შეჰყვირა:

— ათჯერ უფრო მეტს ფიქრობ ინ ნორვეგიელ გოგოზე, რომელსაც თურმე გამოუგდიხარ, ვიდრე ჩემზე; მე კი სულ შენ ფერებასა და ლოლიაობაში ვარ.

ლიოტი წამოხტა, უნდოდა მოსასხამი აეღო, მაგრამ ლეიკნიმ დაასწრო და ცეცხლში ჩაგდება დაუპირა. ლიოტი ეცადა, მოსასხამი ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ ლეიკნის მაგრად ჩაებღუჯა იგი, მაშინ ლიოტმა ერთი ხელი წელზე მოხვია. მეორეთი კი ხელები დაუჭირა. ლეიკნიმ ტკივილისაგან შეჰყვირა, მაგრამ მოსასხამი არ გაუშვა ხელიდან, სანამ ლიოტმა ხელებზე მაგრად არ დაჰკრა. ლეიკნის მოსასხამი გაუვარდა და ტირილი აუვარდა. ლიოტმა ხელი დაავლო მოსასხამს და ოთახიდან გავიდა.

ლეიკნი კარის ზღურბლზე ჩამოჯდა, ხელები სახეზე აიფარა და მწარედ ატირდა. დედის მოახლოება ვერ შეამჩნია. გუდრუნმა ჰკითხა, რა დაგემართაო. ლეიკნიმ უპასუხა, არაფერიო, მაგრამ ატლე მიცოცდა ზღურბლთან და თქვა:

— დედა ტირის, რადგან მამამ მაგრად სცემა და ხელები ატკინა, აი იქ, კერიასთან.

— ტყუილია! — დაიყვირა ლეიკნიმ.

გუდრუნი ოთახში შევიდა და დაინახა, რომ ლიუტინგი იატაკზე იჯდა და და ისიც მწარედ ტიროდა. გუდრუნმა მასაც ჰკითხა და ბიჭმა უპასუხა, მამამ დედას აწყენინაო. გუდრუნი მოთმინებიდან გამოვიდა და ლიოტის საყვედურად თქვა:

— ჩემს პირველ ქმარს, ეგილს, კარგად ვუჩვენე, რას ნიშნავდა ჩემი ცემა, — თქვა მან, — როგორც კი გაბედა ხელის დაკარება, მაშინვე [illegible] ქეცი. ხოლო ჩემი ქონების დაბრუნება რომ არ ისურვა, სიცოცხლეს გამოსალმეს. ამის შემდეგ აღარც ლიუტინგს გაუბედია ხელის ხლება ჩემთვის და აღარც ვეტერლიდეს.

— გაჩუმდი, დედაჩემო, — უთხრა ლეიკნიმ, — ლიოტს არ ვუცემივარ. მხოლოდ ხელი მკრა, კინკლაობა კი მე წამოვიწყე.

ამ დროს ოთახში ლიოტი შემოვიდა. გუდრუნის ნათქვამი არ გაუგონია. ლეიკნისთან მივიდა და უთხრა:

— ძალიან ცუდად მოგექეცი, ლეიკნი, საყვარელო. შენ მართალი თქვი: ვერებისა და ალერსის გარდა შენგან არაფერი მახსოვს.

ლეიკნის ტირილი აუვარდა, სახეზე წინსაფარი აიფარა და გარეთ გავარდა. ლიოტი უკან მიჰყვა. დიდხანს არც ერთი მობრუნებულა, ხოლო როცა ორივენი დაბრუნდნენ, ლეიკნი აღარ ტიროდა. ლიოტს ეკრობოდა და ბედნიერი იერი ჰქონდა.

მეორე დღეს ისინი შინისაკენ გაემართნენ. თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ ლეიკნი დედასთან დარჩებოდა მთელ ზაფხულს, სანამ შვილს არ გააჩენდა. გუდრუნს მიაჩნდა, რომ კარგი იქნებოდა ლიოტისთვის, ცოტა ხანს მარტო, უცოლოდ ყოფნა. მაგრამ ლიოტს და ლეიკნის სკუმედალისაკენ მიეჩქარებოდათ. ვეტერლიდემ და გუდრუნმა შესთავაზეს, პატარა ლიუტინგს ჩვენ გავზრდითო. ლიუტინგი ერთი წლით უმცროსი იყო ატლეზე. ლიოტი და ლეიკნი აქაზე დაჰყაბულდნენ და შინისაკენ გაემგზავრნენ.

მგზავრობის დროს მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა. მაგრამ აი, დადგა უკანასკნელი დღე, როცა ხეობა უნდა გაევლოთ. მსახურები წინ მიდიოდნენ, ამიტომ ლიოტი ცხენიდან ჩამოხტა და აღვირზე ხელჩაკიდებულს მიჰყავდა ლეიკნის ცხენი. მოღრუბლული იყო და წვიმდა. უცებ ლეიკნიმ ლიოტს მიმართა:

— ბევრი ვიფიქრე იმაზე, რაც ჰოლტარში მითხარი. თუ ყველაფერი ისე მოხდა, თუკი ყველაზე მეტად ის გეწყინა, რომ იმ ხალხმა უარი გითხრა, მაშინ უნდა დამშვიდებულიყავი — მე ხომ შესაშურ საპატარძლოდ ვითვლებოდი და ჩემს მდიდარ მზითევზეც ბევრს ეჭირა თვალი.

— მე ეგ კი არ მწყინს, — უპასუხა ლიოტმა, — უბრალოდ მწყინს, რომ ბეინესონები და მისი მეგობრები ყოველნაირ ჭორებს ავრცელებენ ამის თაობაზე.

— აი, კიდევ რა არ მესმის, — განაგრძო ლეიკნიმ სიჩუმის შემდეგ, — რატომ არის ეგ მოსასხამი შენთვის ასე ძვირფასი, თუ მართლა აღარ ფიქრობ მაგის მომქარგავზე.

— რატომ და იმიტომ, რომ კარგად მადგია და მოსახერხებელია, — თქვა ლიოტმა.

სწორედ ამ დროს თოვლი წამოვიდა და ქარმაც პირდაპირ სახეში დაუბერა. ქარის ქროლვამ რომ იკლო, ლეიკნიმ ისევ ჰკითხა:

— ის ნორვეგიელი გოგო ჩემზე ლამაზი იყო?

— არა, — უპასუხა ლიოტმა. თან თვალს არიდებდა. — უმრავლესობა იტყოდა, რომ შენ უფრო ლამაზი ხარ.

— იქნებ ჩემზე მდიდარი იყო? — არ ეშვებოდა ლეიკნი.

— არა მგონია, შენზე მდიდარი ყოფილიყო. — უპასუხა ლიოტმა იმავე ხმით.

— კი მაგრამ, შენ ის უფრო გიყვარდა, — წყენ[illegible]კნიმ, — [illegible] რითილა მჯობდა?

— თუ მაინცადამაინც არ იშლი, იმითი მაინც გჯობდა, რომ ამდენი შეკითხვებით არ მიწყალებდა გულს, — ნაძალადევი სიცილით უპასუხა ლიოტმა.

ლეიკნი დაიხარა და ლიოტს მიაჩერდა. შეამჩნია, რომ სახე ფრიალო ქლდის ქვებივით განაცრისფერებოდა. კარგა ხანს არც ერთს ხმა არ გაუღია.

ხეობიდან რომ გავიდნენ, ქარი ჩადგა და თოვლიც შეწყდა. დიდი ვაკე უნდა გაევლოთ. ლიოტმა აღვირი მიაწოდა ლეიკნის და ის-ის იყო ცხენზე უნდა შემხტარიყო, რომ ლეიკნიმ თქვა:

— დღეიდან ამაზე აღარასოდეს გვექნება ლაპარაკი, სიტყვას გაძლევ. მხოლოდ ერთს გთხოვ: მისი სახელი მითხარი.

ლიოტი ცხენს იყო მიყრდნობილი და კარგა ხანს ხმას არ იღებდა. გაშტერებული სადღაც შორს იმზირებოდა. ბოლოს ძალიან ჩუმად წარმოთქვა:

— ვიგდისი. — და უნაგირს მოახტა. ერთმანეთის გვერდით მიდიოდნენ და არც ერთს კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ სახლში რომ მივიდნენ, ლეიკნის სევდა მოერია და ჩუმად იყო. ასე გაგრძელდა შემოდგომამდე, როდესაც მას ვაჟი ეყოლა. ლიოტმა ბავშვი მოანათვლინა და სახელად გისური დაარქვა. ამის შემდეგ ლეიკნი გამხიარულდა.

XXX

შემოდგომაზე, როცა მთიდან სკუმედალში ცხვრები ჩამორეკეს, აღმოჩნდა, რომ ფარას რამდენიმე კრავი აკლდა. ლიოტმა გადაწყვიტა თვითონ წასულიყო მათ საძებნელად; თან ერთი მონა გაიყოლა.

სამოდე დღის შემდეგ მონა დაბრუნდა და ბატკნებიც მოიყვანა. ლეიკნიმ ჰკითხა, პატრონი სად არისო. მსახურმა უთხრა, სეტერში დარჩა, რომ ბუხარი შეაკეთოს და კედლები დაგმანოსო.

ლეიკნი ერთხანს ყოყმანობდა და მთებს გასცქეროდა. ნათელი მზიანი დღე იდგა და ახლად დადებული თოვლი მთების ფერდობებზე ვერცხლივით ბზინავდა. ცოტა ხნის შემდეგ ლეიკნიმ მსახურებს უთხრა, მეც სეტერში წავალო. თან მხოლოდ ერთი მოხუცი მონა წაიყვანა, რომელიც ბავშვობიდანვე მასთან იყო და ძაღლივით უკან დაჰყვებოდა ხოლმე. მოკლედ, ორივენი გაუდგნენ გზას.

მზის ჩასვლამდე სეტერს მიაღწიეს, მაგრამ ლიოტი იქ არ დახვდათ. ნახეს, რომ დღისით მას ბელტები დაეჭრა და მეზობელი ჭაობიდან ამოეტანა. ქოხთან ბარი და თოხი ეწყო. ქოხში შევიდნენ; კერიაში ნაკვერჩხლები იღვალფებოდა.

ქოხი ქვით იყო ნაგები, გარედან კი ბელტებით დაფარებული, როგორც ჩვეულებრივად ისლანდიაში აკეთებენ. შიგნით კედლებს ხავსით დაფარული ქვის სკამი ჩასდევდა. იგი ისეთი განიერი იყო, რომ ზედ ორ კაცს შეეძლო

დაწოლა. ამ სკამზე საწოლი იყო მოწყობილი; ბოლს რომ არ შეეწუხებინა იქ მყოფი და კარიდან ორპირ ქარს არ დაებერა, სკამის თავზე კადონი იყო გამართული და ზედ ფარდის მაგივრად ტყავები და საბანი ეკიდა.

ლეიკნიმ დიდხანს იცადა, მაგრამ ლიოტი არ გამოჩნდა. მაშინ მრნას უთხრა, შენ წადი და გომურში დაწექიო. ქოხში ციოდა. ლეიკნის ცეცხლის ანთება ქმრის მოსვლამდე არ უნდოდა, ვაითუ შეშა არ გვეყოსო, და ლოგინში ჩაწოლა არჩია. საწოლს საბანი ჩამოაფარა, რომ სიცივეს არ შეეწუხებინა და ღრმა ძილს მისცა თავი.

შუალამეს ქოხში ლაპარაკმა გამოაღვიძა. საბანი გადასწია და კერიაზე ცეცხლი დაინახა. ლიოტი სკამზე იჯდა მისკენ ზურგშექცეული, პირდაპირ ვიღაც ეჯდა, მაგრამ ლეიკნიმ ვერ გაარჩია, ვინ იყო; ხმა რომ ამოიღო, მამინაცვლის ხმა იცნო.

ვეტერლიდე ამბობდა:

— ძალზე წინდაუხედავად იქცევი, ჩემო დისწულო, ამ მთაში რომ დაგიდგია ბინა, როცა სიგურდ ბიენესონსა და მის ნათესავებთან შუღლი გაქვს. ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ლეიკნისათვის დიდი უბედურება იქნება შენი დაკარგვა. ბიჭებიც სულ პატარები გყავს და მათთვის ჯერ კიდევ საჭირო ხარ.

ლიოტი იჯდა და კედელზე თავი ჰქონდა მიდებული. მან თქვა:

— ფეხებზე მკიდია ჩემი მტრები, მათ გამო გამცილებლებით არ ვივლი. ისიც კარგად ვიცი, რომ მათი ხელით სიკვდილი არ მიწერია. ყველაზე საშინელი სიკვდილი ერთმა ადამიანმა მისურვა.. და ერთხელაც იქნება, მე და ის ერთმანეთს შევხვდებით. სხვა ყველაფერი კი არაფრად მიმაჩნია.

— რაზე ამბობ? — ჰკითხა ვეტერლიდემ. ლიოტმა არაფერი უპასუხა. მცირე ხანს გაჩუმდა, მერე კი თქვა:

— ლეიკნის ერჩია, ადრე დაქვრივებულიყო, აქამდე დარდიც გაუვლიდა.

— ცუდად გცნობია ლეიკნი, — შენიშნა ვეტერლიდემ, — მე მგონია, რომ მეორეჯერ გათხოვებას აღარ ინდომებს, რადგან პატივსა სცემს იმათ ხსოვნას, ვინც უყვარს.

ლიოტი უძრავად იჯდა და ხმას არ იღებდა. ვეტერლიდემ განაგრძო:

— ცხადია გესმის, შენ რომ ცოლი შეგხვდა, ისეთს ვერსად იპოვიდი, მთელი ქვეყანა რომ მოგევლო.

— მართალია, — მიუგო ლიოტმა, — მაგრამ რა ვქნა. ასჯერ მირჩევნია შავი ხალი იმ ქალის მკერდზე, ვიდრე ლეიკნის მთელი სიტურფე. მე ის გოგო უფრო მიყვარდა, დანა რომ დამარტყა კისერში, ვიდრე ლეიკნი მიყვარს, როცა ყელზე მეხვევა. ისე არ დავულრღნივარ სევდას, ზამთარში დოვრის ულრან ტყეში რომ მივლია და ყურში ჩამესმოდა მისი განრისხებული სიტყვები, ვიდრე ახლა, როცა სკუმედალში ვბრუნდები და ვიცი, რა ალერსიანად შემხვდება ლეიკნი ჩვენი სახლის კართან. მირჩევნია თეთრ დათვს ჩავუვარდე თათებში, ვიდრე წარმოვიდგინო ის კორეს მკლავებში მწოლიარე.

ვეტერლიდემ გაშმაგებით შეჰყვირა:

— ცუდად მოგიწყვია შენი ცხოვრება, დისწულო; მაგრამ უფრო ცუდი ის არის, რომ ამაზე არაფერი გითქვამს მანამ, სანამ შენს ცხოვრებას ლეიკნის დაუკავშირებდი.

— მართალი ხარ, — უპასუხა ლიოტმა, — მაგრამ იმედი მქონდა, რომ დავივიწყებდი იმ ქალს, ცოლს რომ ვითხოვდი. ახლა კი ვხედავ, ის სიგლახე,

რაც მას გავუკეთე, მევე მომიბრუნდა და ამიტომ ვიტანჯები ასე. ჩემი ცხოვრების ბოლო დღემდე უნდა ვიდარდო, რომ ჩემი იყო ქერათმიანი ქალიშვილი და სამუდამოდ კი დავკარგე.

— შენ მე მაშინებ. — უთხრა ვეტერლიდემ, — ნუთუ ასე ბოროტად გადაუხადე გუნარს სტუმართმოყვარეობა?

— უფრო უარესად, ვიდრე შენ გგონია, — უპასუხა ლიოტმა. — ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთები მაშინ იყო, როცა მე და ვიგდისი ეოლოს ვკრეფდით ტყეში სამსხვერპლოსთან; უფრო დიდ ბედნიერებას განვიცდიდი, ვიდრე მაშინ, როცა თითქმის ბავშვმა მამაჩემის მკვლელი მოვკალი. მაგრამ როდესაც ის გოგო უკანასკნელად დამცილდა, თან გაიყოლა დიდი წუხილი. თუმცა მოგვიანებით მივხვდი, რომ საკუთარ თავს უფრო მეტი უბედურება დავატეხე.

— შენ თუ გუნარის ქალიშვილი ძალით დაიმორჩილე, სიგლახე ჩაგიდენია, რომელსაც შენგან არ ველოდი.

ლიოტს მწარედ ჩაეცინა:

— იქნებ ყველაზე ნაკლებად თვითონ ველოდი ამას საკუთარი თავისაგან.

ვეტერლიდემ შენიშნა:

— ცუდად მოქცეულხარ, ჩემო დისწულო.

ლიოტმა ისევ მწარედ ჩაიცინა და ჩაილაპარაკა:

— ჰო, ვერაფერი ბიჭობაა.

ამის შემდეგ ორივე დუმდა. ბოლოს ლიოტი ადგა და ტანზე გახდა დაიწყო. ვეტერლიდეს ჰკითხა, როგორ ფიქრობ, დრო არ არის დავიძინოთო.

ეს რომ გაიგონა, ლეიკნი კედელს აეკრა. ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა, მაგრამ თვალები დახუჭა და თავი მოიმძინარა.

ლიოტმა ტანისამოსი გაიხადა, სკამს მიუახლოვდა, რომელზეც ლეიკნი იწვა და საბანი გადასწია. ის იყო ლოგინში უნდა შეწოლილიყო, რომ ცოლი დაინახა. მთლად აილეწა და საბანი დაუშვა. შემდეგ ისევ გადასწია, დაიხარა და ჩუმად დაუძახა. ლეიკნიმ არ უპასუხა, ღრმად სუნთქავდა და თავი მოიმძინარა. ლიოტი მოტრიალდა და ვეტერლიდეს უთხრა:

— ლოგინს მეორე სკამზე დაგიგებ, თურმე ლეიკნი მოსულა და აქ დაუძინია.

ვეტერლიდემ შეჰყვირა, მაგრამ ლიოტმა ჩააჩუმა:

— მგონი, რაც ჩვენ აქა ვართ, მას შემდეგ მაგრად სძინავს. — თქვა ჩუმად.

მან ვეტერლიდეს ლოგინი დაუგო და ხმა აღარ ამოუღია. შემდეგ ლეიკნის მიუწვა, უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა ეძინა თუ არა და ხელი დაადო მკერდზე. ლიოტმა იგრძნო, როგორ უკანკალებდა ქალს მთელი სხეული, გული კი ისე უფართხალებდა, როგორც ბადეში გაბმულ თევზს.

ლიოტი იწვა და ფიქრობდა, რა ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. იმ ღამეს ორივე თავს იმძინარებდა, მაგრამ თითოეულმა იცოდა, რომ მეორეს არ ეძინა. გათენებისას ლიოტს ჩათვლიმა. მაშინ ლეიკნი მთლად მოეშვა და ტირილით იჯერა გული. ბოლოს მასაც ჩაეძინა.

როცა გაიღვიძა, ლიოტი მის გვერდით არ იყო. ის და ვეტერლიდე ადრე ამდგარიყვნენ და საუზმეს ამზადებდნენ. ლეიკნიმ სწრაფად ჩაიცვა და მიესალმა მათ. ვეტერლიდემ ჰკითხა, სეტერზე როდის მოხვედი და ჩვენი დაბრუ-

ნება გაიგე თუ არაო. ამ დროს ლიოტი უცებ წამოდგა და გარეთ გავიდა, რომ ცხენებისათვის მიეხედა.

ლეიკნიმ ვეტერლიდეს უპასუხა, საღამო ხანს მოვედი, დაცდა მინდოდა, მაგრამ ძილი მომერია, დავწექი და დილამდე ღრმად მეძინაო.

— ლიოტ, თქვენ კი სად იყავით, შენ და ვეტერლიდე? — ჰკითხა მან.

ლიოტმა უპასუხა, კაკანათების დასათვალიერებლად ვიყავი წასულიო. ტყეში სკუმედალისაკენ მომავალ ვეტერლიდეს შევხვდიო.

ლიოტმა კარიდან ორი კაკაბი ჩამოხსნა, ლეიკნის მიაწოდა და სთხოვა, ეხმარეო. ცოტა ხნის შემდეგ ლეიკნი და ვეტერლიდე სკუმედალში გაემგზავრნენ, ლიოტი კი სეტერში დარჩა.

საღამო ხანს ლიოტი შინ რომ ბრუნდებოდა, ლეიკნი კარებში იდგა, მაგრამ ლიოტის დანახვაზე საფეიერო ოთახში შებრუნდა. ლიოტი უკან მიჰყვა, ხელები მხრებზე დაადო და შემოაბრუნა. ლეიკნის ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ლიოტმა აკოცა და უთხრა:

— მეც კარგად ვიცი, რა ბედნიერი ვიქნებოდი, შენი სიყვარული რომ ეხეოდეს. შენზე კეთილი ქალი მთელ ქვეყანაზე არ მეგულება.

ლეიკნიმ უპასუხა:

— რომ იცოდე, გუშინდელ თქვენს ლაპარაკს ისე არ გავუმწარებივარ, როგორც შენ გგონია. ჩემთვის ყველაზე საშინელი იყო შენი ხმა, როცა მისი სახელი წარმოთქვი იქ, ჭალაში, ჰოლტარიდან შინ რომ ვბრუნდებოდით.

— ახლა როგორღა ვიცხოვრებთ? — ჰკითხა ლიოტმა.

ლეიკნიმ უპასუხა:

— როგორც შენ მოისურვებ.. მე ხომ ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც შენ გსურს.

ცოტა ხანს ლიოტი იდგა და სადღაც იყურებოდა, შემდეგ ლეიკნის აკოცა და გავიდა.

XXXI

დრო ყველანაირ დარდს აშუშებს. ასე მოუვიდათ ლიოტსა და ლეიკნისაც. გადიოდა წლები. საზრუნავი ბევრი ჰქონდათ და საერთო დარდსაც ერთად ეღლებდნენ. სრული თანხმობა და სიმშვიდე სუფევდა მათ შორის. არცერთხელ არ წაკინკლავებულან. მეტწილად სკუმედალში ცხოვრობდნენ. სტუმრები ამშვიათად ჩადიოდნენ ხოლმე მათთან.

ლიოტსა და ლეიკნის სამი ბავშვი ჰყავდათ. უფროსი ბიჭი, ლიუტინგი, დიდედასთან იზრდებოდა, ჰოლტარში, მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია და სულ პატარა მოკვდა. მეორე ბიჭს გისური ერქვა, უმცროს გოგონას კი სტეინგერი. გოგონა მამას გამორჩეულად უყვარდა. ეს ორი ბავშვი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ეს ასე მოხდა.

გაზაფხულის ერთ საღამოს გისური და სტეინვორი სკუმედალის სახლკარის შორიახლოს თამაშობდნენ. გისური მიზანში ისროდა ისარს თავის ტოლ მეზობელ გლეხის ბიჭებთან ერთად. ის შვიდი წლისა იყო, სტეინვორი კი ოთხის. გოგონა ძმას ჩამორჩა და მარტო დაიწყო თამაში ნაკადულის პირას, რომელიც იქვე ღობის უკან მიედინებოდა და მდინარე სვარტოს ერთვოდა. ნაკადული ისე პატარა იყო რომ ზაფხულობით შრებოდა, გაზაფხულობით კი ბის კალაპოტში წყალი ბლომად გროვდებოდა. ახლა ბიჭებს დაეგუბებინათ,

უნდოდათ დიდი მდინარესათვის დაემსგავსებინათ. ამის გამო ყველაზე ლრმა ადგილი მოზრდილ ადამიანს მუხლამდეც კი სწვდებოდა.

პატარა სტეინვორი ნაკადულის ნაპირზე დადიოდა და კენჭებს აგროვებდა. მეორე ნაპირზე ჩამავალი მზის სხივებით განათებული ლოტა ბორცვი დაინახა. რაკი ვერ მოისაზრა, რომ ჯერ ყვავილები არ იქნებოდა და იფიქრა, იმ გორაკზე უფრო იქნებაო, მოძებნა წყალმცირე ადგილი, გადავიდა ნაპირზე და ავიდა.

ყვავილები ვერ ნახა, მაგრამ აქ კარგი სათამაშო ადგილი იყო: შეაგროვერიკა, კენჭები და კარ-მიდამოს შენებას შეუდგა ბოსლებით და თავლით.

ლოტა ხნის შემდეგ ბიჭები თამაშს მორჩნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. გისური კი მეორე ნაპირზე გადავიდა, რომ ენახა რას აკეთებდა მისი დიკო.

— ამ ცხენებს ვერაფერი მოვუხერხე, — თქვა გოგონამ და მუქი კენჭების გროვაზე მიუთითა. მომეხმარე ეს ცხენი დავიჭირო, ხელიდან მისხლტება და თავს ვერ ვუჭერ. — ამ სიტყვებით სტეინვორმა კენჭი ბორცვს გადალმა ისროლა და თვითონაც გაეკიდა.

გისურიც მაშინვე ჩაება თამაშში, მაგრამ დის აშენებული კარ-მიდამო არ მოეწონა და გადაწყვიტა თვითონ აეშენებინა მეორე კარ-მიდამო.

— ნორვეგიაში გავემგზავრები, — თქვა მან, — კარგი სამშენებლო ხეტყის ჩამოსატანად.

მან დას ფეხსაცმელები გახადა, მშრალი ტოტებით გაავსო და მდინარეში ჩაუშვა. მალე ახალი კარ-მიდამო ააგეს, მაგრამ როცა მშენებლობა დაამთავრეს, მზე უკვე დიდი ხნის ჩასული იყო. ბავშვები დასველდნენ და გაითოშნენ. გადაწყვიტეს შინ დაბრუნებულიყვნენ და ეევახშმათ. მაგრამ სტეინვორის ფეხსაცმელი დაიკარგა და აკანკალებული გოგონა ნაკადულის ნაპირზე იდგა, ვერ გაებედა ცივ წყალში ფეხი ჩაეყო.

— მოდი, მე გადაგიყვან, — უთხრა გისურმა. — ხელში აიყვანა თავისი და და მდინარეზე გადასვლას შეუდგა.

— აგერ მამაც ბრუნდება, — დაიყვირა სტეინვორმა და ორივემ ხელების ქნევა მოართო, რომ დანახვებოდნენ ლიოტს, რომელიც მეორე ნაპირზე გამოჩნდა ცხენზე ამხედრებული. მაგრამ გისურს უეცრად ფეხი მოუცურდა ნაკადულის ფსკერის ყინულოვან ქერქზე და დაეცა დასთან ერთად.

ლიოტმა, რომელიც მდინარის ფონისაკენ ეშვებოდა, დაინახა ბავშვები და თვითონაც ხელი დაუქნია. უცებ თვალი შეასწრო, რომ ბავშვები დაეცნენ და ალარ დგებიან. ცხენიდან ჩამოხტა და მდინარისაკენ გაიქცა. დინებამ კინალამ წაიღო, მაგრამ მაინც მშვიდობიანად გავიდა მეორე მხარეს, ბორცვზე აირბინა და დაინახა, რომ ბავშვები უძრავად იწვნენ ჩალრმავებულ ადგილას. ლიოტმა ისინი ამოიყვანა და დაინახა, რომ გისურს საფეთქელი ქვისთვის დაერტყა, გოგონა კი ქვეშ მოჰყოლოდა. ორივე მკვდარი იყო.

ლიოტი უმალ მიხვდა, რომ მათი გადარჩენა ალარ შეიძლებოდა, მაგრამ ხელში აყვანილი ბავშვებით მაინც სახლში მიიჭრა და ბრძანა რძე გაეცხელებინათ და თბილი ტყავები მოეტანათ.

ლეიკნი მიტკალივით გაფითრდა, როცა ბავშვები დაინახა, მაგრამ თქვა, არაფერია, მალე გონს მოვლენო. ბავშვები დაზილეს, რა არ გაუკეთეს, მაგრამ მათ სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. ბოლოს ლიოტი მოსცილდა მათ. კერიასთან დაჯდა და სახეზე ხელები აიფარა. ლეიკნი კი იმედს არ კარ-

გავდა. ზელვას განაგრძობდა, ცდილობდა თბილი რძე ჩაესხა მათთვის პირში, თუმცა ყველა ეუბნებოდა, მაგათ აღარაფერი ეშველებათო.

მაგრამ ლეიკნიმ გულში ჩაიკრა ბავშვები და იყვირა:

— არა, არ გავჩერდები, სანამ არ გავაცოცხლებ, აუცილებლად გაცოცხლდებიან.

მან ბავშვები საწოლში ჩააწვინა, დაიხარა და პირში ჰაერის ჩაბერვა დაუწყო. ლიოტი ადგა, მხრებში მოკიდა ხელი და უთხრა:

— მოეშვი, მიცვალებულებს ასე არ ეჭცევიან.

ლეიკნი ხელიდან გაუსხლტა და საზარლად შეჰყვირა. თავსაფარი მოიძრო და თმის გლეჯა დაიწყო. შემდეგ კარს მივარდა და დაიყვირა, მეც თავს დავიხრჩობო. ლიოტმა დაიჭირა იგი, ხელში აიყვანა და ლოგინზე დასვა. მერე ძალით გაბადა და დააწვინა. მთელი ღამე არ მოსცილებია, გვერდით ეჯდა და ხელით ეჭირა. ლეიკნი უგონოდ იყო და ლიოტს ეგონა, სამუდამოდ შეიშალაო ჭკუიდან.

დილას ლეიკნი ოდნავ დამშვიდდა. დღისით ადგა კიდეც, მაგრამ სულ ჩუმად იყო, აღარც ტიროდა. მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის კუბოდან წამოდგაო.

XXXII

სკუმედალს მძიმე დრო დაუდგა. ასე გავიდა დრო ალთინგამდე. ლიოტი ალთინგზე აუცილებლად უნდა წასულიყო, რადგან საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. ლეიკნის წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ლეიკნიმ უარი განაცხადა, მგზავრობის თავი არა მაქვსო, და ლიოტს მარტო მოუხდა წასვლა.

შინ რომ დაბრუნდა, ლეიკნიმ პირველივე საღამოს უთხრა, რამდენიმე დღე საფეიქროში მეძინა და გთხოვ კიდევ რამდენიმე ხანს ნება მომეცი ღამე იქ გავატაროო.

ზაფხული იწურებოდა, ლეიკნი კი ისევ საფეიქროში ცხოვრობდა, საოჯახო საქმეებს თავი მიანება, აღარაფერს აკეთებდა. ყოველ საღამოს სამლოცველოში დადიოდა, რომელიც ლიოტმა ააშენა იქვე სახლთან, და გვიან ღამემდე ლოცულობდა.

ერთ საღამოს, როცა ლეიკნი სამლოცველოში წასასვლელად ემზადებოდა, საფეიქროში ლიოტი შევიდა და ლეიკნის სთხოვა ცოტა ხანს მოეცადა.

— ჩემთან როდის აპირებ გადმოსახლებას? — ჰკითხა მან.

ლეიკნიმ არაფერი უპასუხა და ლიოტმა განაგრძო:

— არც შენთვის და არც ჩემთვის არ ივარგებს, რომ ასე ცალ-ცალკე ვიცხოვროთ და თითოეული თავის მწუხარებას გულში იკლავდეს. ორივესთვის უკეთესი იქნება, თუ შინ დაბრუნდები, სახლსაც მიხედავ და შვებასაც იგრძნობ.

— ოჯახის მოვლის თავი აღარა მაქვს, — მიუგო ლეიკნიმ, — იქ, სახლში, სულ მეჩვენება, რომ რაღაც დამავიწყდა, მერე უცებ გამახსენდება, რომ აღარ არიან ბავშვები, რომლებსაც მე ვჭირდები.

ლიოტი ჩაფიქრდა და თქვა:

— მაშ იქნებ დედის ესტუმრო? მე გაგაცილებდი.

ლეიკნიმ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— მე ერთ რამეს ვნატრობ.. შენ თუ ნებას მომცემ.

— განა შემიძლია რამეზე უარი გითხრა? მზად ვარ ყველა თხოვნა შეგისრულო. — უპასუხა ლიოტმა.

— ალარ მწადია შენი ცოლობა. — ხმადაბლა წარმოთქვა ლეიკნიმ: — ნება მომეცი აქედან წავიდე.

ლიოტმა წარბები შეიკრა:

— ვიცი, რომ ჩემთან კარგი ცხოვრება არ გქონია [illegible] ეს არ წამოგიყვანდი სკუმედალში, რომ მცოდნოდა ასე აეწყობოდ[illegible]. მაგრამ გახსოვს, ერთხელ აკი გკითხე — ამის შემდეგ როგორღა ვიცხოვროთ-მეთქი, და შენ ჩემთან დარჩი. იქიდან მოყოლებული ყოველთვის ვცდილობდი შენი ცხოვრება რაც შეიძლება უკეთ მომეწყო. არც ერთხელ არ გვიჩხუბია და ერთი უხეში სიტყვა არ მიკადრებია შენთვის. იმ ერთადერთი შემთხვევის გარეხელით არ შეგხებივარ. აქ, სახლში, ჩემი ტოლი და სწორი იყავი ყველაფერში და შენ საქმეებშიც არასოდეს ჩავრეულვარ. სხვა ქალებს არ გავკარებივარ და ბავშვებიც მხოლოდ შენგან მყავდა.

— ახლა ალარც ჩემთან გყავს ბავშვები, — უპასუხა ლეიკნიმ. ჩელები სახეზე მიიფარა და აქვითინდა.

— ჰოდა, სწორედ მაგიტომ არის, რომ მეც შენსავით ვნაღვლობ და მიკვირს, ჩემთან ცხოვრება რატომ ალარ გინდა.

ლეიკნი წამოდგა და მტკიცედ თქვა:

— უნდა გამეყარო. მიზეზად ისიც იკმარებს, რომ მე ვამბობ უარს შენთან ცხოვრებაზე. შეგიძლია სხვა ქალი შეირთო და ამ უდაბურ ადგილსაც გეცალო. მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც ერთად ვართ, ერთხელაც არ მინახიხარ მხიარული.

ლიოტი ერთხანს გაჩუმებული იყო. მერე კი ძალიან ჩუმად ჰკითხა:

— მართალი მითხარი, ლეიკნი, შენ თვითონ გინდა აქედან წასვლა? ალარც ჩემთან დაწოლა გინდა?

ეს თქვა ლიოტმა, ლეიკნის მოეხვია და მუხლებზე დაისვა. ლეიკნი თრთოლდა და ხმა ვერ ამოიღო. მაშინ ლიოტმა დაუმატა:

— გახსოვს, ლეიკნი, შენ ერთხელ თქვი: ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც შენ გსურსო.

ლეიკნი ისევ აქვითინდა, ლიოტის ხელი სახეზე მიიხუტა და თქვა:

— მეგონა, თვითონ გინდოდა ჩემი დატოვება.

ლიოტი დაიხარა და უთხრა:

— ეს დიდი ხნის წინათ იყო, ლეიკნი... ახლა კი მიკვირდი, რომ უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია.

იმავე საღამოს ლეიკნი სახლში შევიდა და ვახშამზე ძველებურად თავისი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ მათ შორის ფაქიზი სიყვარული სუფევდა. ბავშვებზე ალარ ლაპარაკობდა ლეიკნი, მაგრამ მწარედ იგლოვდა მათ.

ერთ საღამოს მთელი ჯალაბობა ტანს იბანდა. ბანაობის შემდეგ ლეიკნი ოთახში რომ შევიდა, თმა გასაშრობად ჩამოიშალა. ლიოტი მას მიუახლოვდა, ხელი მოკიდა ჩშირ თმაზე და უთხრა:

— იცი ლეიკნი, შენი თმა ახლა უფრო ლამაზი და ლია ფერისა მეჩვენება.

ლეიკნი წამოენთო და თმა გამოსტაცა. ლიოტმა ახლალა შეამჩნია, რომ ლეიკნის თმას ჭალარა შეპპარვოდა. საფეთქლებზე კი მთლად გათეთრებულიყო.

XXXIII

კიდევ ერთი წელი გავიდა ლიოტმა შეამჩნია, რომ ლეიკნი ღამღამობით ხშირად ტიროდა. ალერსიანად ეკითხებოდა, რა დაგემართაო. მაგრამ ლეიკნი პასუხს თავს არიდებდა.

ერთხელ ლიოტმა უთხრა:

— როგორც კი ბავშვი გაგიჩნდება, რომელზედაც ახლა ფიქრობ, ისევ გამხიარულდები.

ამაზე ლეიკნი უფრო მწარედ ატირდა.

ერთხელ ლიოტი ბელელში შევიდა და დაინახა ლეიკნი, რომელიც სკივრს ალაგებდა. ლიოტმა სთხოვა, ფრთხილად იყავი, ამ წვრილმანების გამო თავს ნუ იწუხებო.

— არა უშავს, — უპასუხა ლეიკნიმ, — არ მინდა ჩემს შემდეგ არეულობა დარჩეს. სანამ ძალა მეყოფა, ყველაფერს დავალაგებ სახლში.

— ნუ ამბობ მაგას, — თქვა ლიოტმა და გაღიმება სცადა. — რაო, სიკვდილს ხომ არ აპირებ?

იგი სკივრზე დაჯდა და ლეიკნი მუხლებზე დაისვა. ლეიკნიმ თქვა:

— იცი, გისური და სტეინვორი ყოველდღე ოთახში დადიან და მეველრებიან, თქვენს ლოგინში დაგვაწვინეო, წყალი კი წურწურით ჩამოსდით.. ხანდახან კი მთხოვენ, ჩვენთან მოდიო, გვერდით მოგვიწექ, მოგვეხვიე და გაგვათბეო. მე კი ვპასუხობ ხოლმე: არ შემიძლია, რადგან ბავშვს მუცლით ვატარებ-მეთქი. ამაზე მეუბნებიან: კარგი, მაგრამ როცა ჩვენი ძმიკო დაიბადება, შენ ჩვენთან უნდა მოხვიდე და გაგვათბო, აკი შეგვპირდიო.

— ეგ ყველაფერი სიზმარში ნახე, — უთხრა ლიოტმა, — ძალიან კარგად იცი, რომ ჩვენი ბავშვები უფალმა წაიყვანა. მიწაზე მხოლოდ კერპთაყვანისმცემლების მოუსვენარი სულები დაძრწიან, ჩვენი ბავშვები ხომ მონათლულები იყვნენ და წმინდა მიწაში განისვენებენ. მოეშვი მაგ ლაპარაკს და თავიდან გამოიგდე ეგ აზრები.

— ისინი ისევე ნათლად ვნახე, როგორც ახლა შენ გხედავ, — უპასუხა ლეიკნიმ, — ხელიც კი მომკიდეს და ამ შეხებისას ძვლებამდე დამიარა სიცივემ.

— კარგი ერთი, ცუდი დარი იყო და ალბათ გციოდა, — ამშვიდებდა ლიოტი და ნაზად ეხვეოდა. — შენს ლოგინთან კედელს დავაგმანინებ. შენ კი სიკვდილზე ხმა აღარ ამოიღო. ბავშვები კარგად არიან იქ, სადაც ახლა იმყოფებიან, შენ კი მე უფრო მჭირდები, ვიდრე იმათ.

ამ საუბრის შემდეგ მალე ლეიკნიმ ბიჭი დაბადა. ლიოტი ბებიაქალს განუწყვეტლივ ეკითხებოდა, როგორი მშობიარობა აქვსო, ისიც პასუხობდა, უკეთესი რომ არ იქნებაო. როცა ბავშვი დაბანეს და მამას მოუყვანეს, ისეთი სუსტი და უსუსური აღმოჩნდა, რომ ყველა გადაგდებას ურჩევდა. ხალხი ლიოტს ეუბნებოდა:

— ამ ბიჭიდან არაფერი გამოვა, კიდეც რომ გადარჩეს, ხეიბარი იქნება, თქვენც მძიმე ტვირთად დაგაწვებათ და თვითონაც უბედური იქნებაო.

— მე ქრისტიანი ვარ, — პასუხობდა ლიოტი, — ბავშვის მიმართ ეს სიბოროტე იქნება; მე მაგის გამკეთებელი არა ვარ. იქნებ გვიშველოს ღმერთმა და კაცად აქციოს.

ბიჭი მონათლეს და თურბიერნი დაარქვეს.

ლეიკნი მწარედ ატირდა, როცა გაიგო ბავშვი ძალზე სუსტი და უსუსურიაო. მასაც მიაჩნდა, რომ აჯობებდა, ბავშვს არ ეცოცხლა.

ბიჭს მგლის ხახა ჰქონდა, მარჯვენა ხელი — მარცხენაზე მოკლე, თანაც დასახიჩრებული.

ლეიკნიმ ლიოტს ეს რომ უთხრა, ლიოტმა გაიღიმა და თქვა, დიდი ბრე მარცხენა ხელი აქვსო.

ლეიკნი თავს კარგად გრძნობდა და მეათე დღეს წამოდგა. მაგრამ იმავე საღამოს დიდი სიცხე მისცა და ისევ დაწოლა მოუხდა. მეორე დღეს უარესად გახდა. ლიოტი სულ ფერხთით ეჯდა ლოგინზე. ლეიკნიმ თქვა:

— ვშიშობ, რომ, მგონი, სწორედ ის მოხდება, რისიც ყოველთვის მეშინოდა.. მე კი სულ ლოცვაში ვიყავი, რომ ახლა არ დავცილებულიყავით ერთმანეთს. იმასაც ვწუხვარ, რომ ავადმყოფ, ხეიბარ ბიჭს გიტოვებ. ყველაზე მეტად კი ის მადარდებს, რატომ უფრო ადრე არ მოვკვდი, მაშინ ხომ ასე არ მიგლოვებდი.

ლიოტმა აკოცა და უთხრა:

— შენი სიზმრების და ზმანებებისა არ მჯერა, მაგრამ იცოდე, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შენთან მაქვს გატარებული.

ლეიკნიმ ჩაიძინა, ლიოტი კი მთელი ღამე გვერდზე ეჯდა, დილით ლეიკნიმ უცბად გაიღვიძა და ლოგინში წამოჯდა. ორივე ხელი კარისაკენ გაიშვირა, მერე ლიოტს ყელზე შემოეხვია. ისევ ლოგინზე დაეცა გულალმა და ლიოტიც თან გადაიყოლა. წამის შემდეგ ხელი გაუშვა და ლოგინში გაშეშდა. იგი მკვდარი იყო.

ლიოტმა მწარედ გამოიგლოვა ცოლი. მაგრამ ხალხი ამბობდა, ვაჟკაცურად იტანს მწუხარებას და არავის შესჩივისო. ლიოტი თვითონ უვლიდა ბავშვს და უზომოდ უყვარდა. ყველას ეუბნებოდა, ბიჭი გამოკეთდებაო, მაგრამ სხვებს კი ისევ მიაჩნდათ, რომ ამ ბავშვის ცოცხლად დატოვება არ ღირდა. თურბიერნმა ერთი ზამთარი იცოცხლა, გაზაფხულზე კი კრუნჩხვებისაგან მოკვდა.

ალთინგზე ლიოტმა თავისი კარ-მიდამოს გაყიდვა გამოაცხადა. მერე ხომალდი შეიძინა და ზღვაში გავიდა. ნორმანდიაში დაშორდა იმ ისლანდიელებს, რომლებიც ზღვაში გამოჰყვნენ. ამის შემდეგ ისლანდიაში მის შესახებ აღარაფერი სმენიათ.

XXXIV

იმის შემდეგ, რაც მეფე ოლავ ტრიუგვესენი მოკლეს, ილუგე ქერათმიანი ოსლოში ჩავიდა. ამ სახელოვანი მეფის შემდეგ მას აღარ სურდა ემსახურა არც ერთ ბელადთან, რომელიც ნორდლანდში მბრძანებლობდა. ილუგემ გადაწყვიტა ერთ ადგილზე დამკვიდრებულიყო და მან ისევ ხელი სთხოვა ვიგდისს. ვიგდისმა კარგად მიიღო, დიდი ნადიმი გამართა მის პატივსაცემად, სადაც გრეფსინელი კორეც იყო მოპატიჟებული. ამ ორ სტუმარს განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა.

ერთხელ ვიგდისმა ორივეს შესთავაზა ბეღელში გაჰყოლოდნენ, რადგან ცალკე უნდოდა მასთთან საუბარი. ბეღელში რომ შევიდნენ, ვიგდისმა უთხრა:

— თქვენ ორივეს ჩემი შერთვა გსურდათ. ასეთ პატივს არც ველოდი. ორივენი ღირსეული ვაჟკაცები ხართ. მაგრამ როგორც არ უნდა გაფასებდეთ,

გთხოვებას არ ვაპირებ, რადგან მინდა ჩემმა ვაჟმა მიიღოს მთელი ჩემი ქონება და უმამობა არ იგრძნოს. რომ გავთხოვდე, მაშინ ქონება უნდა გაინაწილოს ჩემს კანონიერ შვილებთან. ორივეს იმდენი სიკეთე გაქვთ გაკეთებული ჩემთვის, რომ უპირატესობას ვერც ერთს ვერ მოგანიჭებთ. ამიტომ ჩემი რჩევა ასეთია: კორე, შენს დას, ჰელგეს, ილუგეს მიათხოვებ, ილუგე იყიდის ბაუგსდადირის კარ-მიდამოს, მთის გაღმა რომ მდებარეობს; კორე კი ითხოვს რაგნა გიოტგარდსდატერს, ჩემს ნათესავს, დღეს რომ აქ ნახეთ. რაგნა ულამაზესი და უმდიდრესი გოგოა ჩვენს მხარეში. თუ ერთმანეთს დაუმეგობრდებით და დაუნათესავდებით, თქვენ ხელში იქნება მთელი ეს მხარე და მოუვლით კიდეც. ჰოდა, გთხოვთ ისმინოთ ჩემი რჩევა და მითხრათ, თქვენ რაღას ფიქრობთ იმაზე, რაც მე გითხარით.

პირველმა კორემ თქვა:

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ ილუგე ჩემი სიძე გახდეს, თუკი ისე მოიქცევა, როგორც შენ ურჩევ. მეც მგონია, რომ ორივესათვის სასარგებლო იქნება დანათესავება. მე ჩემდათავად, არაფერს დავიშურებ დის გასათხოვებლად.

ილუგემ უპასუხა:

— კარგი, მაგრამ იმავე დღეს, მე რომ ჰელგეს დავნიშნავ, შენ რაგნაზე უნდა დაინიშნო.

კორემ პასუხი არ გასცა, ვიგდისმა კი თქვა:

— ნუ გეშინია, გწამდეს, რომ მე არასოდეს გავთხოვდები. თქვენ ორივენი კი გაზრდით თქვენს ბარაქას და გაძლიერდებით, თუ ისე მოიქცევით, როგორც გირჩიეთ. ცალ-ცალკე ბევრს ვერაფერს მიაღწევთ, ერთად კი ასჯერ უფრო მეტი ძალა მოგემატებათ.

კორემ და ილუგემ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და დაწვრილებით დაიწყეს ამ საქმეზე სჯა-ბაასი.

ვიგდისი ძვირფასი ნივთებით სავსე სკივრს მიუახლოვდა და ორივეს შესთავაზა, აიღეთ რაც მოგეწონებათო.

— თქვენი მეგობრობა არ მომაკლოთ, — თქვა მან, — და უარი არ მითხრათ ჩემს ერთ თხოვნაზე: ასწავლეთ ჩემს ვაჟს, ულვარს, იარაღის ხმარება და ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს ყოველმა კეთილშობილმა ჭაბუკმა, რათა თქვენ დაგემსგავსოთ, როცა გაიზრდება.

ორივემ მეგობრობა აღუთქვა და მადლობა მოახსენა ძვირფასი ძღვენისათვის.

ყველამ, ვინც კი ესწრებოდა ამ ნადიმს, გამომშვიდობებისას მიიღო ძვირფასი საჩუქარი და ამის შემდეგ ვიგდისის სახელი უფრო დიდი პატივით შეიმოსა.

XXXV

ულვარმ გაიზარდა და ლამაზი ჭაბუკი დადგა. ის მაღალი და ტანადი ყმაწვილი იყო, მაგრამ გამხდარი. დახვეწილნაკვთებიანი გრძელი სახე და ცისფერი თვალები ჰქონდა. მუქ წაბლისფერ თმას წითური ელფერი გადაჰკრავდა. ადრე დავაქაცდა, რადგან პატარაობიდანვე დედა ყველაფერზე ელაპარაკებოდა, რაც მეურნეობას ეხებოდა და რჩევასაც ეკითხებოდა. ელაპარაკებოდა, როგორც ტოლს და მისი მხარში ამოდგომის იმედი ჰქონდა. ამიტომ იყო,

რომ ულვარი ადრე დავაჟკაცდა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ გულითადობით გამოირჩეოდა და ყველა პატივს სცემდა. დედა-შვილსაც ერთმანეთი ნაზად უყვარდა.

ულვარს არაერთხელ უკითხავს დედისათვის, ვინ იყო მამამისი, მაგრამ ვიგდისი ჯიუტად არ პასუხობდა. მხოლოდ იმას ამბობდა, ვერაფერ კარგს ვერ ვიტყვი მასზე და იმედი მაქვს, მის სახელს აღარ გავიგონებო. ასეთი ლაპარაკის შემდეგ ის ყოველთვის სევდიანი ხდებოდა და ულვარიც აღარ აცივდებოდა.

კორე, ილუგე და ვიგდისი მეგობრობდნენ და ყოველ წელს ერთმანეთის პატივსაცემად ნადიმებს მართავდნენ. კორე და ილუგე ულვარს სიმარჯვესა და იარაღის ხმარებაში წვრთნიდნენ და ყოველნაირ თამაშობას ასწავლიდნენ. ულვარი ხშირად ჩადიოდა გრეფსინში, რადგან ეს კარ-მიდამო ვადინთან ყველაზე ახლო მდებარეობდა. მაგრამ უფრო უყვარდა ბიუგსტადირში სტუმრობა, რადგან ილუგეს მთელი ქვეყნიერება ჰქონდა მოვლილი და თავისი თავგადასავლის კარგი მოყოლა იცოდა.

ერთ საღამოს, როდესაც ულვარი ილუგესთან იყო, იქ ჩამოვიდა მღვდელი ერიკი, რომელიც ვიგდისის აგებულ ეკლესიაში წირავდა. მღვდელმა მათ მოუთხრო, როგორ სძლია გიორგი ძლევამოსილმა ურჩხულს. ილუგემ შენიშნა: იმის შემდეგ, რაც ქრისტემ ეშმაკი დაამარცხა, ეგ ყველაზე დიდი გმირობაო. მერე დასძინა: მეც გიამბობთ ერთი გმირობის ამბავს, რომელიც ქალმა ჩაიდინა. მეორე ასეთ ქალს მთელ ქვეყანაზე ვერ იპოვით; იქნებ შენ, ულვარ, რაიმე გსმენია კიდეც ამ ქალზე, მაგრამ ალბათ ყველაფერი არ იცი. მაშ მისმინეთო:

ილუგემ მათ მოუთხრო, როგორ გარბოდა ვიგდისი უდაბურ ტყეში ზამთრის სუსხიან ღამეს, როცა ვადინი იწვოდა. ვიგდისი არ დაუსახელებია, მაგრამ როცა თხრობა დაამთავრა, ულვარს მიმართა:

— იცი, ვის ამბავს გიყვები? ალბათ იცნობ ქალს, რომელსაც მარცხენა ხელზე სამი თითი აკლია.

ულვარმა უხმოდ დაუქნია თავი და ილუგეს ხელი ჩამოართვა. ილუგემ განაგრძო:

— თუ დედას დაემგვანე, ოდესმე შენ საგმირო საქმეებითაც ისახელებ თავს.

მეორე დღეს, როდესაც ულვარი სახლს უახლოვდებოდა, დაინახა, ეზოში დედამისი ცხენებს აჭმევდა. ულვარი ცხენიდან ჩამოხტა, დედასთან მიირბინა და მაგრად გადაეხვია. ვიგდისმა გაიცინა და ჰკითხა, რა დაგემართაო.

— არაფერი, — მიუგო ულვარმა, — მგონი, შენნაირი ქალი მეორე არ დადის დედამიწის ზურგზე.

ამ სიტყვებით დედის მარცხენა ხელს მისწვდა და მოკვეთილ თითებზე აკოცა.

— რაზ გელაქლაქა ილუგე? — ჰკითხა ღიმილით ვიგდისმა.

— იცი, რას ვფიქრობ? — უპასუხა ულვარმა, — შენ მეფე ოლავ ტრიუგვესენს უნდა გაჰყოლოდი ცოლად. ერთმანეთს შეეფეროდით კიდეც.

ვიგდისი გაწითლდა, მაგრამ არაფერი უპასუხა. შვილს აკოცა და უთხრა, შინ შედი და ისადილეო.

XXXVI

ერთ სალამოს, ვადინში ორი ისლანდიელი ჩამოვიდა. ისინი თუნბერგში მიემგზავრებოდნენ. ნება ითხოვეს ვადინში გაეთენებიათ ღამე. ვიგდისმა ისინი კარგად მიიღო და დიდებულად გაუმასპინძლდა. ორივე სტუმარი თავაზიანი და გულღია ხალხი გამოდგა და ვიგდისი დიდხანს მუსაიფობდა მათთან.

ბოლოს ვიგდისმა ჰკითხა მათ, ხომ არ იცნობთ ადამიანს, რომელსაც გა-ლიოტს ეძახიან და ცოცხალია თუ არაო.

— როგორ არა, — უპასუხა ერთმა სტუმართთაგანმა, — მსმენია ერთ რაუდასანელ ვიგა-ლიოტზე, მაგრამ იგი მოკლეს, ჩვენ რომ პატარები ვიყავით.

ვიგდისმა უთხრა, ეგ მაგდენი ხნის წინათ ვერ იქნებოდა, რადგან მახსოვს, ამ შხარეში ის კაცი რომ იყო ჩამოსულიო.

მაშინ მეორე ვაჭარმა ამხანაგს მიმართა:

— განა ასე არ შეარქვეს სკუმედალელ ლიოტ გისურსენს, რომელმაც მამისათვის შური იძია. მაშინ სულ პატარა ბიჭი იყო და ეირელ თურბიერნის ცხვრებს მწყემსავდა.

— ვისზეც გეკითხებით, იმასაც ლიოტ გისურსენი ერქვა. ხომ არ იცით ცოცხალი თუა?

ულვაში სკამზე იჯდა და ისმენდა; მან უცებ თავი ასწია, მაგიდაზე გადაიხარა და სტუმარს შეეხვეწა:

— მიამბეთ რა, როგორ იძია მამისათვის შური მწყემსმა ბიჭმა.

ვიგდისმა ვაჟს შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ერთ-ერთმა ვაჭარმა თქვა:

— უამბე, ჰელგე, თუ დიასახლისიც ისურვებს ამის მოსმენას.

— რატომაც არა, მოგისმენთ, — თქვა ვიგდისმა ჩუმად და თვალები დახარა.

ჰელგემ დაიწყო:

— ის ლიოტი, გისურის ერთადერთი ვაჟი გახლდათ, რომელიც გეიტობაკელმა გუნარმა მოკლა. ამ მკვლელობაში გუნარის ნათესავებსაც ერიათ ხელი. სულ რვანი იყვნენ, ერთ-ერთი არნე კოლსენი იყო, სწორედ ის გახლდათ მთავარი მკვლელი. გუნარმა საზღაური გადაიხადა ამ მკვლელობაზე და ფიქრობდა, რომ ვისაც გისურის საქმე მიჰყავდათ, ასეთი დიდი საზღაურით კმაყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან გისურის ნათესავები წვრილფეხობა იყო გუნარის გვარსა და ნათესავებთან შედარებით. მაგრამ არნე დაუსჯელი დარჩა, რადგან მის წინააღმდეგ საქმის აღმძვრელი არავინ ჩანდა. ლიოტი სულ სამი წლისა იყო, როცა მამა მოუკლეს. და აი ერთხელ, ზამთარში, ლიოტი ცამეტი წლისა რომ გახდა. რამდენიმე ბიჭთან ერთად მთაში დაკარგულ ცხვრებს ეძებდა. ბიჭები კლდის შვერილის ქვეშ ისხდნენ და სახლიდან წამოღებულ საგზალს შეექცეოდნენ. ბიჭები ტრაბახობდნენ, არა მე უკეთესად ვიცი იარაღის ხმარება, არა მეო. ლიოტი ამტკიცებდა, ისე ზუსტად ვისვრი ისარს, რომ მიზანს არასოდეს ვაცდენო. ერთმა ბიჭმა გზას გაჰხედა და თქვა:

— ხედავ, რამდენიმე კაცი მთიდან ჩამოდის. მათ შორის არნე კოლსენს ვხედავ; თუ მართლა ეგრე კარგად იცი ისრის სროლა, ლიოტ, აბა მოახვედრე იმ კაცს. მამაშენს ეს უფრო გაეხარდებოდა, ვიდრე გუნარის მიერ გადახდილი ოქრო. ბიჭებს სამი ისარი ჰქონდათ. ლიოტმა სამივეს ხელი დაავლო და მთის ძირისაკენ გაიქცა. იგი ვიწრო ხეობიდან ვაკეზე გავიდა, იქიდან კი აცოცდა

ოთხი კაცის სიმაღლის ფრიალო კლდეზე. იქ დიდი ქვის უკან დაიმალა და გაირინდა. ცოტა ხნის შემდეგ კლდეს არნე მოუახლოვდა ოთხი მსახურის თანხლებით. იმ ლოდს რომ გაუსწორდნენ, რომლის უკან ლიოტი ჩასაფრებულიყო, ბიჭი გამოხტა და პირველი ისარი სტყორცნა. ისარი არნეს უკან მიმავალ მხედარს მოხვდა. ლიოტი ისე ამოეფარა ქვასვარსებულ ადგილს, რომ ვერავინ შეამჩნია, საიდან იყო ისარი ნასროლი. ოთხივე მხედარი [illegible] გაოგნებულებმა აქეთ იქით დაიწყეს ცქერა. ლიოტი ისევ გამოხტა და ორი დანარჩენი ისარი სტყორცნა. ერთმა მათ გვერდით ჩაუქროლა, მეორემ კი ის კაცი მოკლა, არნეს წინ რომ მიდიოდა. ლიოტმა დაუყვირა: — მე უფრო იღბლიანი ვყოფილვარ, ვიდრე მამაჩემი, არნე, რადგან მის წინააღმდეგ რვა კაცი იყავით, მე კი მხოლოდ სამი დამრჩით. — ლიოტს ქამარში პატარა ნაჯახი ჰქონდა გარჭობილი და როცა არნე ცხენიდან ჩამოხტა და ქვისაკენ გაიქცა, ლიოტმა პირდაპირ კეფაზე დასცხო ნაჯახი. ერთ-ერთმა მსახურმა შუბი სტყორცნა ლიოტს, მაგრამ ბიჭმა ჰაერშივე დაიჭირა იგი. ამის შემდეგ მოჰკურცხლა ტყის ტევრისაკენ, თან ქვებს ეფარებოდა და ვერც ისრები და ვერც შუბები ვერ აღწევდნენ მიზანს. როცა ვიწრო ხეობის ბოლოში გავიდა, შუბის ტარს დაეყრდნო და მეორე ნაპირზე გადახტა. შემდეგ ხეობის გასწვრივ გაუყვა და მთის ქედს მიაღწია. უმხედრებოდ დარჩენილი ცხენები დაინახა, ერთი მათგანი დაიჭირა, მოახტა და ეირესაკენ გაქუსლა, სადაც მაშინ ცხოვრობდა. ყველა გაოცდა ამ ბიჭის გმირობითა და გაიფიქრეს, დროთა განმავლობაში ვინ იქმნული ვაჟკაცი დადგებაო; ძველი გოლიათის სახელის მიხედვით, ხუმრობით ვიგა-ლიოტი შეარქვეს.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ვიგდისმა იკითხა:

— არ იცი, ჰელგე, რა მოუვიდა მერე?

— ამ ბოლო დროს, — მიუგო ჰელგემ, — მასზე იმდენს როდი ლაპარაკობენ. ამბობენ, რაც ცოლი შეირთო, თვინიერი გახდაო.

— მაშ, ცოლი ჰყავს? — ჰკითხა ხმადაბლა ვიგდისმა.

— დიახ, — მიუგო ჰელგემ.

— იცნობ მის ცოლს? — ჰკითხა ვიგდისმა.

— არა, მინახავს კი, — უპასუხა ჰელგემ. — იმ მხარეში ყველაზე ლამაზ გოგოდ ითვლებოდა, თანაც ძალიან მდიდარი იყო; კარგი ხასიათისა და კეთილი ქალი გამოდგა. ჰოდა, მას შემდეგ, რაც ლიოტმა ის შეირთო, არის თავისთვის და წყნარად ცხოვრობს თავის მამულში.

ვიგდისს დიდხანს ხმა არ ამოუღია. მერე ისევ იკითხა:

— თუ იცი, ბავშვები ჰყავს?

— ჰო, ამბობენ, სამი თუ ოთხი შვილი ჰყავთო, — უპასუხა ჰელგემ.

ვიგდისს ალარაფერი უთქვამს.

ისლანდიელები დასაძინებლად რომ დაწვნენ, ვიგდისი დიდხანს იდგა კერიასთან და გავარვარებულ ნაკვერჩხალს დასცქეროდა. ულვარი იქვე სკამზე იჯდა. უცებ ვიგდისმა მიმართა მას, ისე, რომ თავი არ აეწევინა.

— ხომ გაიგონე, რაც ამ ხალხმა ილაპარაკა? ეგ მამაშენის ამბავი იყო.

ულვარი წამოხტა და შეჰყვირა:

— მაშ, ეგ მამაჩემი იყო.. სამი კაცი რომ მოკლა ჩემი ხნისამ?

— მამაშენია ის, ცოლად ლამაზი ქალიშვილი რომ ითხოვა.

ულვარმა თქვა:

— ჰო, მაგრამ თუ იმასაც ვიტყვით, როგორ მოგექცა შენ, დედა, მაინც

სულმდაბალი კაცი ყოფილა. და თუ ოდესმე შევხვდი დავარწმუნებ, რომ მეც მას დავემსგავსე.

ვიგდისმა უპასუხა:

— თუ მას დაემსგავსე... და თუ ჩემი შვილი ხარ, ეს შეხვედრა იმით უნდა დამთავრდეს, რომ ვიგა-ლიოტის თავი უნდა მომიტანო და მუხლებ[illegible]

ბიბლიოთეკა

ულვარი გაფითრდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ჯერ არ მსმენია, რომ შვილს მამა მოეკლას.

ვიგდისმა ხელები ასწია, მკერდზე მჯიღი დაირტყა და თქვა:

— იქნებ, არ გინდა შური იძიო, როგორც მე ვიძიე შური მამაჩემისა? გეუბნები და მისმინე, იმ კაცის გამო ენით აუწერელი ტანჯვა გადავიტანე. საძაგლად მომექცა. ყველაფერი რომ გითხრა, მანამდე ვერ მოისვენებ, სანამ სიცოცხლეს არ გამოასალმებ.

XXXVII

დრო გადიოდა, ულვარი ჩვიდმეტი წლისა გახდა. ერთხელ დედას უთხრა, მინდა წავიდე და შორეული ქვეყნები მოვინახულო. ვიგდისმა სერვილი მოუწონა და დაბირდა, კარგ ხომალდს გაგიმართავო. მაგრამ მოსთხოვა გამოცდილი და ხნიერი ხალხის თანხლებით გამგზავრებულიყო.

როცა ილუგემ ეს ამბავი შეიტყო, განაცხადა, რომ სიამოვნებით გაივიდოდა ზღვაში, მით უფრო, რომ დაქვრივებულიყო და სახლში ალარაფერი აკავებდა. ვიგდისს ძალიან გაეხარდა და დაწვრილებით განსაჯეს ყოველივე, რაც კი ამ მოგზაურობას ეხებოდა.

ერთხელ ზამთრის მიწურულს, ილუგე ვადინში ჩამოვიდა. ის და ვიგდისი მარტონი ისხდნენ და საუბრობდნენ. ვიგდისმა ჰკითხა, ჯერ საით გაემგზავრებითო.

ილუგემ უპასუხა:

— შენც კარგად იცი, რომ ულვარს ჯერ ისლანდიაში წასვლა უნდა.

ვიგდისმა ამაზე არაფერი უპასუხა და ილუგემ განაგრძო:

— შენ, რა თქმა უნდა, ისიც იცი, რად მიდის იქ. შენ არ უნდა გაგიკვირდეს, რომ დიდი ხალისით არ მივყვები.

ვიგდისმა ჩუმად თქვა:

— ულვარი ჩქარად დადიოდა შენთან და ალბათ ყველაფერზე გელაპარაკებოდა... თავის მამაზე თუ უკითხავს რამე?

— ძალიან ჩქარად, — უპასუხა ილუგემ. — სწორედ მის სახახავად მიდის, რომ გაიგოს რა კაცია. შენ რას იტყვი მის განზრახვაზე, უწონებ?

— არა, — უპასუხა ვიგდისმა. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ განაგრძო: — ლიოტმა არ იცის, რომ შვილი ჰყავს. უკეთესი იქნება, ულვარი იქ არ მიდიოდეს.

ამ დროს ულვარმა კართან გაიარა. ილუგემ დაუძახა და უთხრა:

— მე და დედაშენი ისლანდიაში შენს წასვლაზე ვბაასობთ.

ულვარი გაწითლდა და სწრაფად წაილაპარაკა:

— არ უნდა გაგიკვირდეს, დედაჩემო, რომ მინდა მოვინახულო ადამიანი, რომელიც ჩემი სისხლი და ხორცი ყოფილა. და ვნახო, როგორ მიმიღებს.

— იმას არასოდეს უკითხავს ჩვენი ამბავი, — გაბრაზებით თქვა ვიგდისმა. — ცოლიც ჰყოლია და შვილებიც... თუ მოსძებნი მასხრად აგიგდებს და ეგ იქნება.

— აბა, მაშინ რაღა შენი შვილი ვარ. — უპასუხა აგზნებულმა ულვარმა. — ნუთუ გგონია, რომ თავს მასხრად აკეთებინებ? შენ ხომ ეგული შურისძიების გრძნობით ამივსე... ერთხელ ხომ ისიც მითხარი, რომ მხოლოდ მაშინ დამშვიდდები, როცა ვიგა-ლიოტის თავს დაგიდებ მუხლებზე.

თქვა და გავიდა. ვიგდისს გულიდან ოხვრით ამოხდა:

— ნეტავ სულაც არ გამეგონა მისი სახელი.

ილუგემ შეხედა და უთხრა:

— ეტყობა, მაგრად გყვარებია ეგ ლიოტი, აქამდე რომ გამოგყვა მისი სიძულვილი. მე ისიც კი მგონია, რომ დღემდე გიყვარს.

— ისე მაგრად მიყვარს, როგორც ტყეში მოწყანწალე მგელი, თუ ოდესმე შევხვდები, ერთ-ერთი ჩვენგანი ცოცხალი არ გადარჩება.

ილუგემ ჰკითხა:

— მართალი მითხარი, ძალიან გინდა შური იძიო ლიოტზე?

— ჰო, ძალიან მინდა. — უპასუხა ვიგდისმა.

ილუგე წუთით ჩაფიქრდა. მერე კი თქვა:

— წაეალ ულვართან ერთად ისლანდიაში, თვალს დავიჭერ მასზე, როგორც საკუთარ შვილზე. სამაგიეროდ როცა დავბრუნდები, ცოლად უნდა გამომყვე.

ვიგდისმა პასუხი დააყოვნა. მაშინ ილუგემ განაგრძო:

— არ გეყო მაგდენი ქვრივობა და იმ კაცის ღალატის გამო ტანჯვა? ჯერ ახალგაზრდა ქალი ხარ, ლამაზი, და კიდევ შეგიძლია ბედნიერი იყო. ისიც ხომ იცი, რომ ყოველთვის კარგად მოგეპყრობი და ყველაფერში დავეხმარები შენს ვაჟს, რითაც კი შემიძლია.

ვიგდისმა ხელი გაუწოდა და ილუგემ ტუჩებში აკოცა. მერე დიდხანს ილაპარაკეს, როგორ მოაწყობდნენ ახალ ცხოვრებას. ვიგდისმა ყველაფერი აუწყა ულვარს და იმანაც უთხრა: შენი; თავის ამბავი შენვე იცი.

XXXVIII

მოხდა ისე, რომ ულვარი ისლანდიაში ვერ ჩავიდა. ჩრდილოეთის ზღვაზე ბედმა უმტყუნა. გამუდმებული ბურუსი იდგა და პირქარი უბერავდა, მერე კი ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ იძულებულნი გახდნენ ხომალდიდან ტვირთის დიდი ნაწილი გადაეყარათ, რომ გადარჩენილიყვნენ. ბოლოს საჭემ მიმართულება დაკარგა და ტალღები ხომალდს აქეთ-იქით ახეთქებდა, სანამ კლდოვან ნაპირთან არ გამოაგდო. ილუგემ თქვა, ეს ალბათ შოტლანდიის ნაპირია. იალქანი ამმართეს, ნიჩრები ღონივრად მოუსვეს და კუნძულებს უკანიდან მოუარეს, სადაც ზღვა შედარებით წყნარი იყო. საღამო ხანს ღუზა ჩაუშვეს პატარა, უდაბურ და მაღალხაპირებიან ყურეში.

ღამე ქარიშხალი ისევ გაძლიერდა. ღუზა მოწყდა და ხომალდი პირდაპირ კლდეს მიეხეთქა. ხომალდი დაიმსხვრა. ხომალდზე მყოფნი კი ყველანი გადარჩნენ და ნაპირზე გამოვიდნენ. ილუგემ თქვა, თუ ნაპირს ხალხი მოადგა, რომელსაც უფლება აქვს გამორიყულ ქონებაზეო, აუცილებლად დაგვხოცავენო. ამიტომ ურჩია, როგორაც შეეძლებთ, ხომალდი შეეკეთოთ და ისევ ზღვაში გავიდეთო.

მუშაობას მთელი დღე მოანდომეს და საღამოთი ხომალდზე ავიდნენ. მაგრამ ბევრი სანოვაგე გათავებულიყო. ულვარმა თქვა, ნაპირს მოვშორდეთ და რომელიმე დასახლებული ადგილი დავეძებოთო.

ყურესთან შორიახლო დასახლებული ველი შენიშნეს, იქით გაემართნენ, პირველივე დიდ კარ-მიდამოს დაეცნენ, ხალხი გამოყარეს, გაიტაცეს სანოვაგე და ტანისამოსი, რაც სჭირდებოდათ. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

როცა ნაპირზე დაბრუნდნენ, თავიანთ ხომალდზე უცხო ხალხი დაინახეს. ილუგემ თქვა, შოტლანდიელები იქნებიანო. ეტყობა, ყურეს მეორე მხრიდან მოადგნენ და ჩვენი ხალხი, გემს რომ სდარაჯობდა, დახოცესო. ამ დროს დაინახეს როგორ მოაჭენებდა ველზე ცხენებს რამდენიმე მხედარი. ილუგემ თქვა:

— აბა, რას იტყვი ამ მოგზაურობაზე, ულვარ, როგორ მოგწონს?

— უფრო კარგ დროს ვატარებთ, ვიდრე ზღვაზე უთავბოლო ხეტიალით და წუწაობით, — სიცილით უპასუხა ულვარმა, — ახლა კი სასწრაფოდ უნდა გავყაროთ ეგ ხალხი გემიდან, სანამ ვინმე მოეშველებოდეს.

ილუგემ სიტყვა ჩაურთო: მხედრების უკუგდება უფრო ადვილია, ვიდრე ხომალდის ხელში ჩაგდებაო.

— გემზე მყოფი ხალხისა არ მეშინია, — უპასუხა ულვარმა, — უარესი იქნება ჩვენი ხომალდით რომ გაგვექცნენ. ჩვენ კი აქ შევრჩებით და მახეში ამოვყოფთ თავს.

ამ სიტყვებით წყალში გადახტა. რამდენიმე კაცი თან მიჰყვა. აღმართული ფარებით თავს იცავდნენ ისრებისაგან და ხომალდს უახლოვდებოდნენ. ულვარი მალე დარწმუნდა, რომ ხომალდის ხელში ჩაგდება იოლი საქმე არ იყო, რადგან შოტლანდიელები ზემოდან ესროდნენ და ჩეხავდნენ. ნორვეგიელები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ წინ ვერ მიიწევდნენ. ამ დროს ნაპირიდან იმ შოტლანდიელებმაც შემოუტიეს, ველის მხრიდან რომ მოდიოდნენ. ყოველი მხრიდან გარშემორტყმული და მკერდამდე წყალში მდგომი ნორვეგიელები არნახული ვაჟკაცობით იბრძოდნენ. ულვარმა ილუგეს უთხრა:

— შენთვის უნდა დამეჯერებინა.

— გულადი მეომარი ყოფილხარ, ულვარ, — უთხრა ილუგემ, — დასანანი იქნება, ვიგდისმა ასეთი შვილი დაკარგოს. — ამ სიტყვებით იგი ხომალდის ქიმისაკენ გაიჭრა, სადაც მალალი, წითური მამაკაცი, შოტლანდიელების ბელადი იდგა. ილუგემ თავისი ფარი გადააგდო, ახტა და ბელადს ფეხებში სწვდა, მაგრამ ბელადმა მოასწრო და თავში დაჰკრა მახვილი; ორივენი წყალში ჩაცვივდნენ და ულვარმა შოტლანდიელი მოკლა. შოტლანდიელების რიგები აირია და ზოგიერთი მათგანი ბელადს გადაჰყვა წყალში. ამით ისარგებლეს ნორვეგიელებმა და ბევრმა ხომალდზე აძრომა მოახერხა. ბოლოს ულვარიღა დარჩა წყალში, რადგან გულით სწადდა ილუგე ხომალდზე აეყვანა. ილუგემ უთხრა:

— ჩემთვის ტყუილად ირჯები. სჯობს თავს უშველო. ჩემგან კი დედაშენი მოიკითხე და უამბე როგორ დავიღუპე.

— რაღა სიხარულს ნახავს, უშენოდ თუ მიუვალ სახლში, — უპასუხა ულვარმა. იგი ხომალდთან მივიდა და სხვების დახმარებით ილუგე გემბანზე აიყვანა. მაგრამ როგორც კი ხომალდზე აღმოჩნდა, ილუგე დაეცა და მოკვდა.

ულვარი ხომალდზე ცამეტ კაცთან ერთად დარჩა. ყველა დაჭრილი იყო. შოტლანდიელები კი ორმოცდაათზე მეტი იყვნენ. გემს გარს შემოწყობოდნენ და გვერდებს ულეწავდნენ ისე, რომ ხომალდში უკვე წყალი შემოდიოდა. ამასობაში სხვები ფარებით იცავდნენ მათ და ისრებს აყრიდნენ ნორვეგიელებს.

უცებ ულვარმა შენიშნა დიდი ხომალდი, რომელიც ქუნძულების უკანა მხრიდან გამოჩნდა და მათკენ მოდიოდა. ულვარმა თავის ხალხს შესძახა:

— ჩვენი მოგზაურობა მალე დამთავრდა, მაგრამ მაინც ამაყოფილები უნდა ვიყოთ, ამ სალამოს შოტლანდიელებმა დიდი ზარალი ნახეს.

ამ დროს დიდი ხომალდი ნორვეგიელების ხომალდს [illegible] ამოუდგა და ღუზა ჩაუშვა. იქიდან ხალხი ულვაროან გადმოხტა [illegible]ბლად. წინ შავთმიანი, მალალი მამაკაცი მოუძღოდათ. იგი ანძისაკენ გაეშურა, სადაც ულვარი იდგა და ნორვეგიულად შესძახა:

— ვაჟკაცური ბრძოლა შეგძლებია, ჭაბუკო ბელადო! ბედნიერნი ვართ, რომ დროზე მოგისწარით ასეთ გულად ხალხს და შეგვიძლია დაგეხმაროთ.

ერთ წამში ალყაშემორტმული ხომალდი ხალხით გაივსო და ამჯერად გამარჯვება ნორვეგიელების მხარეს დარჩა. შოტლანდიელები ხომალდიდან წყალში გადახტნენ და გაქცევით დააპირეს თავის შველა, მაგრამ სულ რამდენიმემ თუ მოახერხა ნაპირზე გადასვლა.

როცა ბრძოლა დამთავრდა, შავთმიანმა უცნობმა ბრძანა დახოცილი შოტლანდიელები ზღვაში გადაეყარათ და ულვარის ხომალდი ბუქსირზე აიყვანა. მაგრამ ხომალდი ისე იყო დაზიანებული, რომ წყალზე ვერ იდგა. მაშინ უცნობმა ულვარს შესთავაზა, შენ და შენი ხალხი ჩემს ხომალდზე გადმოდითო, იალქნები აღმართა და ზღვაში გავიდა.

ქარიშხალი ჩადგა და სასიამოვნო სიომ დაჰბერა.

უცნობმა ჭრილობები შეუხვია ულვარსა და მის ხალხს. ულვარმა უამბო მას, როგორ ებრძოდნენ შოტლანდიელებს. უცნობმა თქვა, უსპაკი მჭვია, ირლანდიაში დავიბადე, მაგრამ ნორთუმბერლანდში ვცხოვრობო, ჩემი ხალხი კი ნორვეგიელები და დანიელები არიანო.

როცა ჩამობნელდა, ღუზა ერთ წყნარ ყურეში ჩაუშვეს და დასაძინებლად დაწვნენ. უსპაკი და ულვარი ერთ სადგომში იწვნენ, გემბანის ქვეშ. ულვარს არ ეძინა, რადგან ჭრილობები აწუხებდა. უსპაკმა ლაპარაკი გაუბა:

— მამაცურად იბრძოდი დღეს, ულვარ. ვხედავ, კარგი გვარისა უნდა იყო. სადაური ხარ და ვინ არის მამაშენი.

ულვარმა უპასუხა:

— ვიხგულმარკიდან ვარ, მამული ვადინში მაქვს, ფოლდენის ფიორდების ნაპირას.

უსპაკი უმალ მოტრიალდა მისკენ და ჰკითხა:

— მამაშენი, ულვარ, რა ერქვა მამაშენს?

— არ დაგიმალავ, ბატონო, — უპასუხა ულვარმა, — მე უკანონო შვილი ვარ. ამიტომაც ულვარ ვიგდისენს მეძახიან დედაჩემის სახელის მიხედვით.

უსპაკი დიდ ხანს ჩუმად იყო, რამდენჯერმე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ულვარმა ვერაფერი შეამჩნია. ბოლოს უსპაკმა ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, ულვარ ვიგდისენ?

— თვრამეტისა გავხდები ბუნიობის დღის შემდეგ, — უპასუხა მან. უსპაკი საკმაო ხანს ჩუმად იწვა. შემდეგ ჰკითხა:

— დედაშენი... ჯერ კიდევ ცოცხალია.. ჯერაც გაუთხოვარია ვადინელი ვიგდისი?

ულვარმა უპასუხა, გაუთხოვარიაო. უსპაკმა ჰკითხა:

— ძალიან მინდა გავიგო რამე დედაშენზე.. საოცარი ქალი უნდა იყოს, ასეთი ვაჟი მარტომ რომ გაზარდა. დედაშენს ძალიან უყვარხარ?

— თხუთმეტი წლისა რომ გავხდი, მთელი ვადინი და თავისი ქონების ნახევარზ მაჩუქა, რომ არავის გაებედა ჩემი დაცინვა სილარიბისა და უმწეობის გამო, რაკი უკანონო შვილი ვიყავი. თავისთვის კი ტყეში აიშენა ერთ მიდამო, რომელსაც ბერგი ჰქვია. ცხოვრებით კი ვადინში ცხოვრობს. მართალი ხარ, საოცარი ქალია, მისი ბადალი ქვეყნად არ მოიძებნება. ამიტომაც ძალიან არ გავუტანჯივარ უმამობას.

ულვარი დიდხანს ყვებოდა დედის ამბავს და რაც უფრო მეტს ჰყვებოდა, მით უფრო მეტს ეკითხებოდა უსპაკი. მან შეიტყო, როგორ მოკლეს გუნარი და როგორ იძია შური ვიგდისმა, როგორ გაექცა იგი მტერს, ამ ლაპარაკში თითქმის თავზე დაათენდათ. ბოლოს უსპაკმა თქვა:

— დიდზე დიდი ვალი გდებია დედაშენისა, ულვარ. თავდავიწყებით უნდა გიყვარდეს დედაშენი და ყველაფერს გერჩიოს იგი. მისი სიმამაცისა და ჭკუის ქალი ქვეყანაზე არ მოიძებნება და არა მგონია, ვინმეს ყვარებოდეს თავისი შვილი ისე, როგორც მას.

— მართალს ამბობ, — უპასუხა ულვარმა, — იმედიცა მაქვს, რომ დადგება დღე, როცა შევძლებ გადავუხადო ყველაფერი, რაც ჩემთვის გაუკეთებია.

უსპაკმა უთხრა:

— შენ ხომალდი და მთელი ქონება დაკარგე. თუ დამთანხმდები და მთელ ზაფხულს ჩემთან დარჩები, ნორვეგიაში ხელცარიელს არ გაგიშვებ. აყდგეთ დაჯ მე და შენ ერთად ვუპატრონოთ ამ ხომალდს და ნადავლის ნახევარიც შენი იყოს.

ულვარმა მადლობა გადაუხადა უსპაკს და დაეთანხმა. ცოტა ხნის შემდეგ თქვა, ისლანდიაში ვაპირებდით წასვლას. უსპაკმა ჰკითხა, იქ რა საქმე გქონდათ. ულვარმა უპასუხა:

— შენ ხომ ისლადიიდანა ხარ, უსპაკ, ხომ არ იცნობ ერთ კაცს, ვიგა-ლიოტ გისურსენს რომ ეძახიან, სკუმედალიდან.

— მასთან რამე საქმე გაქვს? — ჰკითხა უსპაკმა.

— ჰო, მისი ნახვა მინდა, — მიუგო ულვარმა.

— დედაშენის მეგობარია? — ჰკითხა ისევ უსპაკმა.

— მეგობრობისა რა მოგახსენო, — თქვა ულვარმა, — მისგან კარგს არაფერს ველი. მაგრამ მინდა კი ვნახო, როგორ მიმიღებს, ის ხომ... მამაა ჩემი.

— უცნაური კაცი იქნებოდა, — ღიმილით თქვა უსპაკმა, — ასეთი ლამაზი და ვაჟკაცი შვილის დანახვა რომ არ გაეხარდეს, არც ის მგონია. ისეთი ქალი დავიწყებოდა, როგორიც დედაშენია.

— არ ვიცი, მაგრამ არასოდეს უკითხავს ჩვენი ამბავი, — უპასუხა ულვარმა, — გარდა ამისა, ვიცი, რომ ისლანდიაში ცოლ-შვილი ჰყავს. მაგრამ მაინც მინდა მისი ნახვა, მოკითხვას გადავცემ დედაჩემისაგან, რომელიც შეაცდინა და მიატოვა.

მცირე ხნის შემდეგ უსპაკმა თქვა:

— ლიოტი ისლანდიაში აღარ ცხოვრობს. როგორც გავიგე სამუდამოდ მიუტოვებია მშობლიური მხარე შარშან წინ... ცოლიც მოუკვდა და შვილებიც.

— შენი მეგობარი იყო? — ჰკითხა ულვარმა.

— არა, — უპასუხა უსპაკმა, — ისეთივე მეგობარი იყო ჩემი, როგორც დედაშენისა.

ულვარი მოხერხებულად მოეწყო და მალე თვლემა მოერია. უცებ იგ-

რძნო, რომ ვილაც სახეზე შეეხო. ულვარმა თვალები გააბილა. უსპაკს ფანჯარა ისე გაელო, რომ დილის სინათლე ულვარს პირდაპირ სახეზე ეცემოდა. თვითონ კი მისკენ დაბრილი იჯდა.

— ჩაგძინებია ულვარ. — თქვა მან. — მიხდოდა მენახა სიცხე ხომ არ გაქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXXIX

ულვარმა მთელი ზაფხული გვიან შემოდგომამდე უსპაკთან ერთად გატარა. დანიელ ვიკინგებთან ერთად ებრძოდნენ ინგლისელებსა და ფრანგებს და დიდი ნადავლიც ჩაიგდეს ხელში. ულვარ ვიგდისენმა უდიდესი სიმამაცე გამოიჩინა და საგმირო საქმეებით სახელი გაითქვა.

შემოდგომით უსპაკი და ულვარი იარლ სიგვარდს ესტუმრნენ ნორთუმბერლანდში. იარლი უსპაკის მეგობარი იყო .მან სტუმრები ძალიან კარგად მიიღო და დიდებული საჩუქრები უბოძა მათ.

ერთხელ უსპაკი და ულვარი ერთად ისხდნენ და სვამდნენ. უცებ უსპაკმა ჰკითხა:

— მითხარი ულვარ, ძალიან გინდა მამის ნახვა?

— სანამ შინ ვიყავი, — უპასუხა ულვარმა, — ამ ქვეყანაზე მაგაზე ძალიან არაფერი მდომებია. მაშინ ძალიან მაშფოთებდა ფიქრი იმაზე, რომ უკანონო შვილი ვარ და სხვებზე უარესი მეგონა თავი, იმათზე უარესი, ვისაც მამები ჰყავდათ და შეეძლოთ ეამაყნათ ამით. სულ იმას ვფიქრობდი, ოდესმე მომეძებნა მამაჩემი და პასუხი მომეთხოვა დედის გამო და მთელი იმ ბოროტების გამო, რომელიც მან დედაჩემს დაატეხა თავს.

— იქნებ იპოვო კიდეც როდისმე, — ჩაილაპარაკა უსპაკმა თავისთვის, — როგორ მოიქცევი, თუ მოგესიყვარულა და გაეხარდა შენი ნახვა, ასეთი შვილი რომ ჰყავხარ?

— ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდეს, რომ მისი წყალობით არა ვარ ასეთი. ერთადერთი რამ, რაც მან მომცა, სიცოცხლეა. ხოლო ჩემი სიცოცხლე იმდენჯერ ჩამიგდია საფრთხეში, რომ ახლა დიდ მნიშვნელობას აღარ ვანიჭებ მას. ახლა უკვე კაცად ვიქეცი და ეს უიმისოდ მოხდა. ამას შენ უნდა გიმადლოდე. უსპაკ, ახლა აღარც მამა მჭირდება და აღარც მისი სიყვარული. ამიტომ ჩემთვის უკვე სულერთია, ულირსი კაცია იგი თუ არა.

უსპაკი იჯდა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და ისე უსმენდა. ბოლოს თქვა:

— დედაშენი... რას იზამს, მამაშენი ვადინში რომ ჩამოვიდეს და ისევ ცოლობა სთხოვოს?

— მართალი რომ გითხრა, — უპასუხა ულვარმა, — უმჯობესი იქნებოდა არ გარჯილიყო. ერთხელ დედაჩემმა მითხრა, მხლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა მის გასისხლიანებულ თავს კალთაში ჩავიდებო. საერთოდ კი არ უყვარს მასზე ლაპარაკი და როცა კი გაახსენდება, დიდი ხნით უფუჭდება ხოლმე გუნება. მისი სურვილით არ წამოვსულვარ ისლანდიაში მამის საძებნელად.

უსპაკი გაუნძრევლად იჯდა. ბოლოს თქვა:

— შენი სიტყვები სასტიკია, ულვარ.

ულვარმა უპასუხა:

— ისიც სასტიკად მოექცა ჩემს ახალგაზრდა დედას. როცა ჩვენს მხარეს

გასცილდა და დედაჩემი ბავშვიანად მიატოვა. მას შემდეგ არასდროს უკითხავს ჩვენი ამბავი.

— აგრე გგონია? — ჰკითხა უსპაკმა.

— ასე ვიცი დედაჩემისგან, — უპასუხა ულვარმა.

ამის შემდეგ საუბარი შეწყვიტეს. მაგრამ უსპაკი არასოდეს ყოფილა ისე ფიქრებში წასული და მდუმარე, როგორც იმ დღეს. დაბაწოლად, ლომ გამ-ზადნენ. მან თავისი სკივრიდან ამოიღო ოქრომკერდით ოსტატურად ნაქარგი აბრეშუმის წითელი მოსასხამი. ულვარს მიაწოდა და სთხოვა, ჩემგან საჩუქ-რად აიღეო. ულვარმა მადლობა გადაუხადა.

როდესაც დადგა ულვარის შინ გამგზავრების დრო, უსპაკმა კარგად ალ-ბერვილი ხომალდი აჩუქა და კიდევ ბევრი სხვა ძღვენიც უბოძა — ჯავშანი და ოქროს მუზარადი, ორი თოვლივით თეთრი შევარდენი, მოოქრული სამმა-გი სარტყელი, რომელიც მეგობრობის ნიშნად დედისათვის უნდა გადაეცა, დაბოლოს მწვანე აბრეშუმის მოსასხამი ოქროს საკინძებითა და ძვირფასი ბეწვეულით გაწყობილი. მაგრამ ეს მოსასხამი რომ მისცა, სთხოვა ულვარს, წითელი დამიბრუნე, უკვე დაძველებულია და საჩუქრად არ ვარგაო.

ულვარმა მადლობა გადაუხადა უსპაკს ძღვენისა და დიდი სიყვარულისა-თვის და თავის მხრივ სთხოვა სამახსოვროდ რამე აერჩია მისი ნადავლიდან.

— მე ისედაც ბევრი ქონება მაქვს, — უპასუხა უსპაკმა, — მაგრამ მარ-ცხენა ხელზე რომ სამაჯური გიკეთია, მაგას შენგან სახსოვრად მივიღებ, თუ არ დაგენანება.

ულვარმა სამაჯური მოიხსნა, უსპაკს გაუწოდა და უთხრა:

— ეს სამაჯური ძვირფასი არ არის, მაგრამ დედაჩემის ნაჩუქარია და იმი-ტომ ვატარებ. მისთვის კი დედამისს უჩუქებია. საჩუქრად ეგ არ ივარგებს. სხვა რამე აირჩიე.

— სხვა არაფერი მინდა, — უპასუხა უსპაკმა და სამაჯური მაჯაზე გაიკე-თა. — იმიტომ მომწონს, რომ შენ ატარებდი და ხელზე გეკეთა, როცა ასე ვაჟკაცურად იცავდი თავს შოტლანდიელებთან ბრძოლაში.

ულვარი ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე კი უთხრა:

— ვადინში არ არის ისეთი ფუფუნება, როგორც იარლების სასახლე-ებშია, მაგრამ დედაჩემის სახლში თუ მესტუმრები, უდიდეს სიხარულს მომა-ნიჭებ.

— აუცილებლად ჩამოვალ, — უპასუხა უსპაკმა, — მაღლე ჩამოვალ, რა-დგან შენ რომ არ დაგეპატიჟე, ისედაც ჩამოვიდოდი.

უსპაკმა ხელი ჩამოართვა ულვარს, შუბლი და ტუჩები დაუკოცნა და ბედნიერი მგზავრობა უსურვა. ულვარი თავისი ხომალდით ნორვეგიისაკენ გა-ემართა და მეოთხე დღეს უკვე ფოლდენში იყო.

XL

ვიგდისი დიდი სიხარულით შეეგება თავის ვაჟს და გაუთავებლივ აამ-ბობინებდა თავის თავგადასავალს. ულვარი ყველაზე მეტს უსპაკზე უყვებოდა. ასულ იმეორებდა. მეორე ასეთი ადამიანი ქვეყანაზე არ დადისო, თანაც დას-ძენდა, ის ჩემი საუკეთესო მეგობარიაო. ვიგდისმა თქვა, ჩემთვის უდიდესი ბე-დნიერება იქნებოდა, ის კაცი ოდესმე ჩემს სახლში მიმეღო, თუმცა არ ვიცი, როგორ უნდა გადავუხადო სიკეთე კაცს, რომელმაც ჩემი ვაჟი სიკვდილისაგან იხსნა და ამდენი რამე გაუკეთაო.

ვიგდისმა გულწრფელად გამოიგლოვა ილუგე და დიდებული ქელეხიც გადაუხადა. ილუგეს ბავშვები ოლავი და ინგებორგი აღსაზრდელად აიყვანა, დედობას უწევდა მათ და იმ დროიდან მოყოლებული ეს ბავშვები ვადინში ცხოვრობდნენ.

ახლოვდებოდა შობა. მაცხოვარის დაბადების წინა [illegible] მბარის ყველა მცხოვრები ეკლესიაში შევიდა. ულვარი და ვიგ[illegible] შინაურის თანხლებით ცხენებით გაემგზავრნენ ეკლესიაში. იმ წელს შობის წინა დღეებში დიდი თოვლი მოვიდა და ციოდა. მოწმენდილ ცაზე სავსე მთვარე ანათებდა. მთვარე ისეთი კაშკაშა იყო, რომ როცა ვიგდისი ეკლესიაში შევიდა, მოეჩვენა, თითქოს შიგნით ძალიან ბნელოდა, თუმცა კი ხატების წინ უამრავი ცვილის სანთელი ენთო. ყველა, ვინც ეკლესიაში შედიოდა, ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე, მუხლს იდრეკდა, წმინდა წყალში თითებს ისველებდა. პირჯვარს იწერდა და ლოცულობდა.

როცა ვიგდისმა თავი ასწია და წამოდგა, მოპირდაპირე კუთხეში კედელთან უცნობი მამაკაცი შენიშნა. მას მუქი მოსასხამი ეცვა, რომელიც ხელით ეკავა ნიკაპთან. უძრავად იდგა, ოდნავ დაეხარა თავი და ჩანდა მხოლოდ მისი თვალები შუბლზე ჩამოყრილ შავ თმების ქვემოდან რომ უელავდნენ. ვიგდისმა წამსვე იცნო ლიოტი. იგი დაჟინებით უმზერდა ვიგდისს და როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ვიგდისმა შეამჩნია, როგორ აუკანკალდა და ძირს დაუშვა ხელები ლიოტმა, თან მიტკალივით გაფითრდა.

ვიგდისი შეტორტმანდა და იძულებული გახდა კარებს მიყრდნობოდა. მოეჩვენა, რომ იატაკი შექანდა და თვითონ იატაკზე კი ალარ იდგა, არამედ სისხლის ნიაღვარში, საკურთხეველის წინაც ზღვა სისხლი იყო დაღვრილი...

უცნობის დანახვისთანავე ულვარი წამოდგა, გაბრწყინებული სახით სწრაფად გაემართა მისკენ და ხელი გაუწოდა. მაშინლა მიხვდა ვიგდისი, ვინ იყო უსპავი.

ვიგდისს საკურთხეველთან მისვლა შუა გასასვლელით უნდოდა, მაგრამ ძალა არ ეყო, კედელს მიეყრდნო და ასე ნელ-ნელა მიიწევდა წინ. კუთხემდე რომ მიაღწია, დაჩოქება მოინდომა, მაგრამ ქალებმა მიიწ-მოიწიეს და საკურთხევლისაკენ გზა დაუთმეს. ვიგდისმა თავი მოაბრუნა და დაინახა, რომ ლიოტი იქვე იდგა და თვალს არ აშორებდა. გვერდით ულვარი ედგა. ვიგდისი საკურთხეველს მიუახლოვდა. მუხლებზე დაეცა და ხელები სახეზე აიფარა.

ეკლესიაში გალობდნენ, მაგრამ ვიგდისს არაფერი ესმოდა და არც არაფერს გრძნობდა. სისხლი მოაწვა გულზე, მთელი სხეული უცახცახებდა ამ შეხვედრის მოლოდინში. ეჩვენებოდა, რომ პირველად წინა საღამოს შეხვდა ლიოტს და უცებ იგრძნო, როგორ შემოეცალა მის გულს რაღაც გარსი მთელი ამ ხნის განმავლობაში, ზედ რომ ჰქონდა შემოხვეული და მოეჩვენა, რომ ხანგრძლივი წლების მანძილზე მხოლოდ იმას ელოდა, ლიოტსა და მას შორის ბოლოს და ბოლოს ეს თამაში შეწყვეტილიყო.

მას სულ უფრო და უფრო აფრთხობდა ლიოტთან შეხვედრის წუთი. კედელს, სადაც ვიგდისი მუხლმოდრეკილი იდგა, თითქმის იატაკთან დატანებული ჰქონდა დარაბამოხსნილი ჰატარა ფანჯარა. ვიგდისი ხედავდა თოვლით დაფარულ ეზოს, ესმოდა ცხენების ჭიხვინი და ეჟვნების ყღარუნი. შუა წირვის დროს ის უცებ წამოდგა და სწრაფად გავიდა ეკლესიიდან.

მთვარე ისევ ანათებდა. ვიგდისმა თავის ცხენთან მიირბინა, აუშვა და სასაფლაოს ჭიშკრისაკენ წაიყვანა უცებ მოესმა, რომ უკან ორი ადამიანი მო-

ყვებოდა. ისინი ისე ჩქარობდნენ, რომ ეკლესიის კარი ღია დარჩათ, საიდანაც ფსალმუნის გალობა ისმოდა.

ის-ის იყო ვიგდისი ცხენს მოახტა, რომ ლიოტი დაეწია და ხელი ჩაავლო აღვირს. მან თქვა:

— ნება მომეცი, ორიოდე სიტყვა გითხრა, ვიგდის.

ვიგდისმა შეხედა და უთხრა:

— იმდენი რა დანაშაული გაქვს ჩადენილი, რომ სახელს მალავ, ლიოტ!

ლიოტმა პასუხის გაცემაც კი ვერ მოასწრო, რომ ვიგდისმა აღვირი გამოსტაცა და ცხენი გვერდზე გახტა. ლიოტმა აღვირს ხელი უშვა და ვიგდისმა გააჭენა. ვადინში არ გაჩერებულა, გზა განაგრძო და მხოლოდ ბერგში ჩამოხტა ცხენიდან. იქ, დარაჯი, მისი ცოლი და რამდენიმე მსახური ცხოვრობდნენ. ვიგდისი დარბაზში შევიდა, რომელიც თითქმის ცარიელი იყო, რადგან სახლის მშენებლობა სულ ახლახან დაემთავრებინათ. კედლების გასწვრივ სკამები ეწყო, შუაში კი მრგვალი მაგიდა იდგა. ვიგდისმა ბრძანა, ცეცხლი დაანთეთ და კარი ჩაკეტეთო; და ასე, სულ მარტომ, გაატარა შობის მთელი ღამე.

XLI

ვიგდისის წასვლის შემდეგ ლიოტი და ულვარი ერთხანს დაბნეულნი იდგნენ და გზას გასცქეროდნენ. შემდეგ ლიოტი მოეხვია ულვარს, აკოცა და უთხრა:

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო ძვირფასო ძეო, რამეთუ არ ვიცი, შევხვდებით კია ოდესმე ერთმანეთს?

ულვარი ხელზე ეამბორა, მერე მან თქვა:

— არ ვიცი, რისი თქმა გინდა, მაგრამ თუ მართლა მამა ხარ ჩემი, ხომ აღარ მიგვატოვებ?

ლიოტმა ჩაილაპარაკა:

— იმედი არა მაქვს, რომ დედაშენი ჩემთან ლაპარაკს მოისურვებს. ის, რასაც ამასწინათ მამაშენზე ამბობდი, ის სასტიკი სიტყვები შენი არ იყო. იმ საღამოს მინდოდა გული გადამეხსნა შენთვის, მაგრამ მერე გადავწყვიტე, ჯერ ვიგდისს მოვლაპარაკებოდი, სანამ ჩემს ვაჟს დაგიძახებდი. ერთი რამ კი უნდა იცოდე, წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ შენ არსებობდი, სანამ ვიგდისს დედა არ უწოდე. უთხარი მას, რომ უკვე საკმაოდ იძია ჩემზე შური იმით, რომ შენ უნდა დაგკარგო... ხოლო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ველაპარაკე ვიგდისს, ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ.

ულვარი მოეხვია მას და შეეხვეწა ვადინში დარჩენილიყო მასთან. მან თქვა, ვიგდისი ვერ დაივიწყებს, რომ ლიოტმა სიცოცხლე გადამირჩინა და დახმარება აღმომიჩინაო. როგორც იქნა დაიყოლია ლიოტი და ისინი ერთად გაემგზავრნენ ვადინში. მაგრამ ვიგდისი იქ არ დახვდათ. ლიოტს გუნება წაუხდა. ცხენიდან არ ჩამოსულა, ისე მიმართა ულვარს:

— ხედავ, ულვარ, ტყუილ-უბრალოდ არ გამომიცვლია სახელი. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ; ველარასოდეს გამოვასწორებ ჩემს დანაშაულს.

ულვარი ცხენიდან ჩამოხტა და სთხოვა ლიოტს სახლში შესულიყო:

— დედა, ეტყობა, ბერგშია, მაგრამ გემუდარები, შემოდი, დაისვენე და დაწყნარდი.

ულვარმა ეს იმიტომ სთხოვა, რომ ლიოტს დატანჯული სახე ჰქონდა. რო-

გორც იქნა ლიოტი დათანხმდა შინ შესულიყო. ულვარმა იგი საპატიო ადგილას დასვა.

მაგრამ ლიოტს პირი არ გაუკარებია არც რძისათვის, არც [illegible]ისათვის და არც კრინტი დაუძრავს. გათენებისას ულვარმა უთხრა, ბერგში წავალ და დედას მოველაპარაკებიო. ლიოტს კი სთხოვა ვადინში [illegible].

მაგრამ ლიოტი ადგა და თქვა:

— არა. დაე, ახლავე დამთავრდეს ყოველივე. მოსახდენელი უნდა მოხდეს. მე დაველაპარაკები დედაშენს. ამ წუთს მთელი ჩვიდმეტი გრძელი წელი ველოდი.

ამ სიტყვებით ეზოში გავიდა და ცხენზე შეჯდა. ორივენი ბერგისაკენ გაეშურნენ და მალე იქ იყვნენ.

ოთახის კარი დაკეტილი დახვდათ. ულვარმა დააკაკუნა და დაიძახა:

— გააღე, დედა, ერთ მნიშვნელოვან საქმეზე უნდა გელაპარაკო.

— მარტო ხარ? — ჰკითხა ვიგდისმა.

— ჩემთან ერთად მამაა, — მიუგო ულვარმა.

— არ მსურს მასთან ლაპარაკი. — თქვა ვიგდისმა.

აქ ულვარმა ველარ მოითმინა და შეჰყვირა:

— დედაჩემო, შენგანაც და მისგანაც მოვითხოვ გამაგებინოთ, რატომ არა მყავს მამა. აქედან ფეხს არ მოვიცვლი და არც ლიოტს გავუშვებ, სანამ კარს არ გააღებ.

მაშინ ვიგდისმა ურდული გადასწია და ისინი დარბაზში შევიდნენ. ულვარი ხან მამას უყურებდა, ხან დედას. მან თქვა:

— მამაჩემს თმა გაჭაღარავებია, შენ კი, დედაჩემო, სახე დაგიბერდა... გეტყობათ, ბევრი გადაგიტანიათ თქვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. რომ შეიძლებოდეს იმის გამოსწორება, რაც მოხდა, ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან ერთნაირად მიყვარხართ ორივენი.

ვიგდისმა თავი ასწია და თქვა:

— დიახ, დავბერდი და გავჭაღარავდი და, შენს გარდა, ლიოტ არავის მოუყენებია ჩემთვის მწუხარება.

ლიოტმა უპასუხა:

— და მაინც, ვიგდის, შენ უკეთესი ცხოვრება გქონდა, რადგან შენი ნუგეში შენი შვილი იყო. მესმის, რომ ალარ შეგეძლო გყვარებოდი, რადგან გიღალატე და ვერც მოგენატრებოდი. მე კი ვიგლოვდი ყოველ ნაბიჯს, რომელიც გადამიდგამს, ყოველ ტალღას, რომელიც გადამისერია, თუკი ამ ნაბიჯს და ტალღას შენსკენ არ მოვყავდი.

ვიგდისმა გესლიანად გაიცინა და თქვა:

— შენი ცოლი... რა გუნებაზე დგება, როცა სტოვებ და ძველი საყვარლების სანახავად მიემგზავრები?

— ჩემი ცოლი საუკეთესო ქალი გახლდა მთელ ქვეყანაზე და უდიდესი სიყვარულის ღირსიც, — უპასუხა ლიოტმა. — ის ცოცხალი ალარ არის და უმძიმესი იყო მისთვის ჩემთან გატარებული წლები. მე დღენიადაგ მხოლოდ შენზე ვფიქრობდი და მის წილად ძალიან ცოტა სიყვარული მრჩებოდა; სინდისი ჩემი დამძიმებულია მასზე ფიქრით, რადგან ჩემ გამო დაკარგა მან სიხარულიცა და ბედნიერებაც... შეგიძლია დამშვიდდე, მთლიანად შურნაძიები ხარ, რადგან ჩემს თვალწინ დაილუპნენ ჩემი მშვენიერი ბალღები და დავკარგე ყველა, ვინც ჩემთვის ძვირფასი იყო. შენ ხომ ეს მისურვე.

აქ ვიგდისმა ისეთი ძალით მოქაჩა თავისი მოსასხამი, რომ ბალთა მოწყდა. მან დაიყვირა:

— შენ საიდანღა იცი, ლიოტ, რაოდენ დიდი იყო ჩემი ტანჯვა, ან შენ, ჩვილო ჩემო, ულვარ, რა იცით, როგორ მაწვალებდა შურისგების წყურვილი, ან გაიგებ შენ, ლიოტ, რას ნიშნავს მუცლით ატარო ბავშვი იმ კაცისაგან, რომელიც გინდა ორ ცხენს შუა გაგლეჯილი ნახო? მდინარის პირას, ... ლამეს არ გივლია და წყალში თავის დახრჩობა არ გაგივლია გუნებაში ... ონდ კი იმ საშინელებისათვის დაგელწია თავი. ან იქნებ ფიქრობ, რომ უნდა უყვარდე ამ ჭაბუკს, რომელიც უკუნი ღამით ქვებზე, ულრან ტყეში ვშობე, როცა გვერდით არავინ მყავდა, რომ გახურებულ ბაგეზე წვეთი წყალი ესხურებინა. ზღვებში დაცურავდი და ჩემზე ნაღვლობდი? ძალიან არ დამეხმარა ეგ ყოველივე, როცა შემომიყვანეს სასიკვდილოდ დაჭრილი მამა, რომელმაც საყვედურებით ამავსო იმ თავსლაფის გამო, ჩვენს გვარს რომ დავასხი ჩემდა უნებურად. ძალიან არ დამეხმარა შენი სიყვარული, როცა მე და ჩემი ვაჟი ტყეში გავრბოდით, ვადინი კი იწვოდა მამაჩემთან ერთად? მითხარი, რაში გამომადექი მაშინ, როცა უკუნი ღამით ულრან ტყეში გავრბოდი თხილამურებით, ზურგზე ბავშვი მეკიდა, უკან კი მგლების ხროვა მომდევდა და ავაზაკებთან მოგვიხდა თავის შეფარება? შენ ალბათ გგონია, ყველაფერი გამოასწორე იმით, რომ ჩამოხვედი აქ და ისლანდიაში წაყვანა შემომთავაზე. მალე გინუგეშებია თავი, უარი გითხარი თუ არა, მაშინვე სხვა ქალიშვილი დაისვი ცოლად, ლამაზი და მდიდარი და ისიც გაგიწამებია... მე კი აქ ჩავრჩი და ვიტანდი მამაჩემის საყვედურებს... ხმას ვერ ვიღებდი ვერც მაშინ, როცა ჩემი ვაჟი მეკითხებოდა თავისი მამის ვინაობას, რადგან გამბედაობა არ მყოფნიდა მომეთხრო მისთვის რა დღეში ჩამაგდე. ცუდად გცოდნია, ლიოტ, იმათი ფასი, ვისაც ჰყვარებიხარ, და შენზე ზნეწამხდარი კაცი ამქვეყნად არ მეგულება.

ლიოტს მიწის ფერი ედო. მან უპასუხა:

— შენი სიტყვები იმ გალესილ დანასავით მხვდება გულში, ჩვენი ბოლო შეხვედრისას რომ დამკარი. სიხარულით გამოვეთხოვებოდი სიცოცხლეს, თუკი ეს შვებას მოგანიჭებს. და მაინც, ვიგდის, ვიმეორებ ,რომ ჩემი მწუხარება შენსაზე ნაკლები არ ყოფილა, რადგან შენ ვერ წარმოიდგენ, რა სატანჯველად ექცევა სიცოცხლე კაცს, ვინც თავის შეყვარებულზე დარდობს.

— მართალს ამბობ, — ჩაილაპარაკა ვიგდისმა, — სიყვარულის შესახებ მე მხოლოდ ის ვიცი, რაც შენ იმ საღამოს, სამსხვერპლოსთან მასწავლე. მას შემდეგ ვუფრთხოდი ყოველ მამაკაცს, ვისაც ჩემი ხელი უთხოვია.

აქ ულვარმა თქვა:

— თქვენდა საბალალოდ შეხვედრიხარო ერთმანეთს მაშინ... მაგრამ, დედაჩემო, არ დაგავიწყდეს, რომ მე მაგან სიცოცხლე გადამირჩინა და არც ერთ მამას ისე არ ყვარებია ვაჟი, როგორც მას შევუყვარდი, — თქვა ულვარმა და ტირილი აუვარდა.

ვიგდისმა ვაჟს შეხედა და თქვა:

— ხომ არ დაგავიწყდა შენი პირობა, რომ შური უნდა იძიო ჩემთვის.

აქ ლიოტმა თქვა:

— მეგონა, ულვარის გულისათვის მაინც შევრიგდებოდით. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩემი პატიება არ შეგიძლია: ძალზე დიდი მწუხარება მომიყენე-

ბია შენთვის. წავალ იქ, საიდანაც მოვედი, ოლონდ ულვარს დავუტოვებ მთელ ჩემს ქონებას.

ვიგდისმა დაიყვირა:

— ოდესღაც ყველაფერი წამართვი, ახლა მოდიხარ და ისევ უნდა გამძარცვო. მე მგლებსა და არწივებს გადავუგდე საჭიჭანად, ბავშვი, შენ ძალით რომ ჩამასახვინე... მონებმა იპოვეს იგი და გადაარჩინეს. მერე დადგა წამი, როცა ბავშვი შემეცოდა, რადგან იმდენად უმწეო იყო, როგორც მე ვიყავი შენს მკლავებში. თავს ვევლებოდი ამ ბიჭს, გადავარჩინე და სამაგიეროდ ხელიბრად ვიქეცი. გავზარდე, ზრუნვას არ ვაკლებდი... ახლა შენ გამოჩნდი და გინდა წამართვა მისი თავი.

— არ გართმევ, — მიუგო ლიოტმა. — შენთან დარჩეს და შენს სიტყვას იგონებდეს. მე მასზე უფლება არ მაქვს. მაგრამ, ხომ შეგიძლია ნება დამრთო, მეც ასევე მიყვარდეს და ვუკეთებდე იმას, რაც შემიძლია. სულერთია, მე ხომ მას ველარასოდეს ვნახავ.

— მე შენთან გასაყოფი არაფერი მაქვს. — თქვა ვიგდისმა და თან დასახიჩრებულ ხელს უქნევდა. — არ მინდა მე და შენ საზიარო ბავშვი გვყავდეს. ულვარ, აირჩიე ერთ-ერთი ჩვენგანი.

— არ შემიძლია, — თქვა ულვარმა და ცრემლები გადმოღვარა.

— მაშ ლიოტი აგირჩევია, — თქვა დედამისმა და კარისაკენ გაემართა.

— სად მიდიხარ, დედა?

ვიგდისმა უპასუხა:

— არ ვიცი, ნეტავ იმ ღამეს ტყიდან ცოცხლები არ გამოვსულიყავით... მაშინ ამ სიბერეში აღარ მიმატოვებდი და უცხო კაცს არ გაჰყვებოდი. ნამდვილად მამაშენს დამგვანებიხარ და არ მიკვირს, რომ მისი თავი არჩიე.

— დედა, — შესძახა ულვარმა, — შენ ხომ კარგად იცი, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მომთხოვ! მე მას აღარასოდეს შევხვდები...

— არ ვიცი, დედა თუ ვარ შენი, — უპასუხა ვიგდისმა, — ჩემი ვაჟი ასე არ მოიქცეოდა ,ჩემი ვაჟი, რომელიც სიძულვილსა და მრისხანებაში გავზარდე. შენ უფრო ესას მოდგმის მონას ჰგავხარ. მაშინვე თავს ხრი იმის წინაშე, ვინც შენზე ძლიერია.

ამ დროს ლიოტი მიუახლოვდა მათ და ათრთოლებული ხმით თქვა:

— მართალი გითხრა, არ ვიცი, ეს მართლა ჩემი ვაჟია თუ გრეფსინელი კორესი. მაგრამ ისე მოიქეცი, ულვარ, როგორც დედაშენს ეგბავს.

ვიგდისი უცებ მოუტრიალდა ლიოტს, მაგრამ ლიოტმა ხელი სტაცა ულვარს და მასთან ერთად ოთახიდან გავიდა.

XLII

ლიოტი და ულვარი ტყეში მიდიოდნენ ცხენებით. ერთმანეთს არ უყურებდნენ და არც ხმას იღებდნენ. ბოლოს ულვარმა თქვა:

— არ მეგონა, რომ დედაჩემს განშორებისას ისევ შეურაცხყოფას მიაყენებდი... მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე ასე ულირსად მოექეცი.

— ო, იმას სწორედ ეგ უნდოდა, — უპასუხა ლიოტმა. — ჰოდა, აღსრულდეს ბარემ ნება მისი.

ამ სიტყვებით ცხენიდან ჩამოხტა და ხეს გამოაბა იგი. მახვილი იშიშვლა, ფარი აღმართა და ულვარს შესთავაზა იგივე გაეკეთებინა. ლიოტმა თქვა, აქ

ახლოს სამსხვერპლოა, ჯობია იქ წავიდეთ, ხელს არავინ შეგვიშლისო. ულვარმა არაფერი უპასუხა და მიჰყვნენ თოვლით დაფარულ გზას.

სამსხვერპლოსთან რომ მივიდნენ, ლიოტმა ორთაბრძოლისათვის ადგილი შეარჩია. პირველად ლიოტმა დაჰკრა, მაგრამ ულვარის ფარს მოახვედრა. ულვარმა უთხრა:

— ადრე უფრო მარჯვედ სცემდი მახვილს, ლიოტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაღლილი ვარ და არაფერი მიჭამია დღეს, — უპასუხა ლიოტმა, — შენ კი ახალგაზრდა და გამოუცდელი ხარ ორთაბრძოლებში და ბარი ბარსა ვართ. მაგრად დამცხე, იცოდე, არ დაგინდობ, დაე, ვიგდისმა გაიხაროს, რომ მისი ნება აღსრულდება.

ულვარმა დაჰკრა, ლიოტმა ფარი გადააგდო და ორივე ხელით მახვილი ჩაბღუჯა.

მაშინ ულვარმა კიდევ დაჰკრა მარცხენა მხარში, ლიოტს ხელი ამოუვარდა, შეტორტმანდა და ხეს მიეყუდა. ულვარმა მახვილი ხელიდან გააგდო, როცა დაინახა, როგორ წაუვიდა ლიოტს ფერი და ჭრილობიდან თქრიალით წამოუვიდა სისხლი.

მან თქვა:

— კმარა, აღარ მინდა შენთან ბრძოლა.

— არა, ეს არ გვეყოფა, — უპასუხა ლიოტმა და მუხლებზე დაეშვა. ულვარი ისე მოტრიალდა, რომ მზე თვალებს სჭრიდა და ამიტომ კარგად ვერ დაინახა, რა მოხდა. ლიოტმა მახვილის ტარი ქვას ისე მიაბჯინა, რომ წვერი მისი მკერდისაკენ იყო მიშვერილი და პირდაპირ ზედ დაეგო. მერე თოვლზე დაეცა და უძრავად იწვა.

ულვარმა მიირბინა მასთან, წამოაყენა და ქვას მიაყრდნო.

მან თქვა:

— შენზე იარაღს არასოდეს აღვმართავდი, დედისათვის შეურაცხყოფა რომ არ მიგეყენებინა და გრეფსინელი კორე არ გეხსენებინა.

მომაკვდავმა ლიოტმა ოდნავ გაიღიმა და თქვა:

— ასეც მეგონა და... ამიტომაც ვთქვი. შენ ამაზე არ იდარდო, რადგან მე თავად მინდოდა ასე დამთავრებულიყო. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ჩვენი უბედურება დაგებედოს. ახლა კი დედის ნება აღასრულე.. მაინც ოცნებად მქონდა თავი მის კალთაში მდებოდა.

თქვა ეს ლიოტმა, თავი ჩაქინდრა და სული ამოხდა.

XLIII

ვიგდისი მოუსვენრად დადიოდა ოთახში. ხან მოსასხამს მოიგდებდა, ხან კი მოისვრიდა. თუმცა ოთახში ისე ცივდა, რომ კედლებზე ჭირხლი ბრწყინავდა. ხან კერიას მიუჯდებოდა, ხან წამოხტებოდა და კარებს მიადგებოდა. ბოლოს ფანჯარასთან გაჩერდა და ეზოში გაიხედა. მზე სწრაფად ეშვებოდა ჰორიზონტისაკენ და მეწამულ ბურთად მოჩანდა სუსხიან ნისლში.

და აი, ტყის პირას მხედარი გამოჩნდა. მაშინვე იცნო ულვარი. ის მარტო იყო და ნელი ნაბიჯით მოჰყავდა ცხენი. ვიგდისს ისე აუკანკალდა მუხლები, რომ კარს მოსცილდა და კერიას მიუჯდა.

თავის მაღლა აწევის ძალა აღარ ჰქონდა, როდესაც მოესმა, როგორ შემოვიდა ულვარი ოთახში. ხელში ფუთა ეჭირა, დედასთან მივიდა და ფუთა

მუხლებზე დაუდო. ვიგდისს ფუთა ემძიმა. ულვარს ხმა არ ამოუღია, თავის საძინებელ ოთახში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

ვიგდისი არ განძრეულა. მხოლოდ ხელი შეახო ფუთას, რომელიც წითელი აბრეშუმის ნაჭერში იყო გახვეული. მაშინვე იცნო მის მიერვე მოქარგული მოსასხამი, რომელიც ვეტერლიდე გლუმსენს [illegible] მოსასხამი გაყინულიყო და ატკაცუნდა. როგორც კი მის გახსნას შეუდგა, ვიგდისი გაშეშდა. ცოტა ხნის შემდეგ ფუთამ დნობა დაიწყო და იქიდან სისხლმა და წყალმა გამოჟონა. მუხლები სულ დაუსველდა ვიგდისს. მოსასხამი გადაშალა, ლიოტის თავს ხელებით დასწვდა და დააცქერდა.

ჯერ თავის მოკვეთის ზოლი დაინახა. მერე ლიოტის სახე თავისაკენ მოატრიალა; თმები სახეზე მიჰკროდა. ვიგდისმა თმები უკან გადაუყარა და მოსასხამის ბოლოთი სისხლის ლაქები მოსწმინდა სახეზე. ერთხელ ბაგეებზეც გადაატარა თითები — ისინი თხელი და საცოდავი ეჩვენა; ცოტა წინ იყვნენ გამოშვერილნი და ნაცრისფერ სახეზე ლურჯ ზოლად მოჩანდნენ. შემდეგ ქუთუთოები აუწია და თვალებში ჩახედა. მაგრამ მათ უაზრო და უსიცოცხლო გამომეტყველება ჰქონდათ და ისევ დახუჭა.

ვიგდისს გაახსენდა ის წუთები, როცა ეიოლვ არნესონს თავზე ადგა და სიამოვნებით ისუნთქავდა სისხლის ტკბილ სურნელს. მაშინ იმ სისხლმა დაუცხრო შურისძიების წყურვილი და მწუხარებაც გაუნელა. ახლა კი, რაც უფრო დიდ ხანს დასცქეროდა ლიოტის თავს, მით უფრო უმძიმდებოდა სული. ლიოტის სახე ისეთი დაბერებული და სევდიანი იყო... და უცბად ვიგდისი მიხვდა, რომ ეს საცოდავი ჭაღარა თავი არ გამოისყიდიდა მის უბედურებას და უკვირდა, რომ ამ თავის გამო, ამ წუთის გამო იბრძოდა და იტანჯებოდა მთელი ეს წლები მამის სიკვდილის შემდეგ.

ვიგდისმა ლიოტის თავს მოსასხამი გადააფარა და ფუთა ფეხებთან დაიდო. შემდეგ ადგა, ულვარის ოთახს მიადგა,და დაუძახა, მაგრამ მის ძახილს ულვარი არ გამოხმაურებია. მცირე ხანს იდგა და მერე ისევ დაუძახა. პასუხი რომ არც ახლა მიიღო, კერიას მიუბრუნდა, დაჯდა და ხელები გასისხლიანებულ მუხლებზე დაიწყო.

დალამდა. ულვარმა მაშინღა გააღო კარი და ოთახში შემოვიდა. დედა არ დაუნახავს, რადგან კერიაში ცეცხლი ძლივს ბჟუტავდა. სამგზავროდ ჩაცმული ულვარი გარეთ გავიდა. ვიგდისი წამოდგა და უკან გაჰყვა. ულვარმა ცხენი გამოიყვანა თავლიდან და შეკაზმა. ვიგდისი მიუახლოვდა.

მთვარე კაშკაშებდა. დედას მოეჩვენა, რომ ულვარი არასოდეს ისე არ ჰგვანებია ვიგა-ლიოტს, როგორც იმ წუთებში. სახეც ისეთი გაფითრებული ჰქონდა, როგორც მკვდარ ვიგა-ლიოტს. ვიგდისს ორთაბრძოლაზე უნდოდა ეკითხა. მაგრამ ვერ შებედა.

მხოლოდ ეს ჰკითხა:

— მიდიხარ?

— ჰო, — უპასუხა შვილმა.

— ვადინში წახვალ? — ჰკითხა ისევ დედამ.

— ჰო, მაგრამ ხვალ დილით უფრო შორს გავემგზავრები, რადგან აქ ვეღარ გავჩერდები. — უპასუხა მან.

წუთით ვიგდისი ჩუმად შეჰყურებდა სახეში, მერე ისევ ჰკითხა:

— ჩემთან ცხოვრება აღარ გინდა?

— დედა, — უპასუხა ულვარმა, — შენს სიყვარულზე ისე გიპასუხე, რო-

ყორც შენ მოითხოვე, არ ვიცი, რაღა სიხარულს ელი ჩემგან, ამიტომ, ნება მომეცი გავეცალო აქაურობას.

— ნუ ამბობ მაგას, — ჩუმად ჩაილაპარაკა მან, — თუ ჩემი ყურება არ გსიამოვნებს, აქ, ბერგში დავრჩები, რამდენ ხანსაც შენ ისურვებ, ოღონდ შშობლიურ მხარეს ნუ მიატოვებ.

— აქ დარჩენა აღარ შემიძლია, — თქვა ულვარმა, — ახლა, როცა ვიცი რამდენი სიავე მოხდა აქ, სიმშვიდეს ვეღარ ვპოვებ.

ვიგდისმა ხელები მოხვია ცხენის კისერს და მიეკრა მას. ვეღარ ბედავდა ეთხოვა შვილისათვის, აქ დარჩი, და გული აუტანელი ტკივილისაგან შეეკუშშა. მიხვდა, რომ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. უფრო მაგრად მიეხუტა ცხენს და უცებ ის ღამე გაახსენდა, შვილი რომ შობა. მაშინაც ცხენი იყო ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც მიეკრა მტკივანი ტანით.

— აღარ გიყვარვარ, შვილო? — ჰკითხა მან მიმქრალი ხმით.

— არა, მიყვარხარ, — უპასუხა ულვარმა, — მაგრამ გამიშვი წავიდე, დედაჩემო, — ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა:

— მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ; თუ ჩემი ხათრი გაქვს, ლიოტი ისე დაამარხვინე, როგორც მას შეეფერის.

— კარგი, მივხედავ, — უპასუხა ვიგდისმა.

ულვარმა თქვა:

— მის სიკვდილს მე ნუ მიმადლი; თვითონ გამოესალმა სიცოცხლეს.

თქვა და ალვირს მოჰკიდა ხელი. უცებ დედას მოუბრუნდა და ჰკითხა:

— მართალი მითხარი, დედაჩემო, ოდესმე თუ გყვარებია მაინც ვიგალიოტი?

ვიგდისს ტირილი აუვარდა, ცხენის კისერს მიეკრა და ჩაილაპარაკა:

— ამდენ ხანს მის სიძულვილში რა გამაძლებინებდა?.. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ამქვეყნად ეგ ერთი მიყვარდა.

ულვარი გადმოიხარა, ვიგდისს სახე აუწია და ტუჩებში აკოცა. მაშინ დედამ შეჰხედა და ჰკითხა:

— როდისმე დამიბრუნდები?

— თუ ცოცხალი დავრჩი, — უპასუხა ულვარმა. — ოდესმე დავბრუნდები შენთან. ახლა კი გამიშვი, დედა.

□

ალექსანდრ პუშკინი

ლექსი

თარგმნა ლია ყიფიანმა

ყურანის მიბაძვა

I

ვფიცავ კენტის და ლუწის ქარაგმას,
ვფიცავ მახვილს და ძალას სჯულისას,
ვფიცავარ ვარსკვლავს, ცისკრის
თანამგზავრს,
ვფიცავ მიმწუხრის
ლოცვა-გულისთქმას —
მფარველი შენი ვარ განუყრელი,
ჩემად შეგრაცხე დასაბამიდან,
გარე მოგადგა ვით საჭურველი,
წყალობა ჩემი დღით და ღამითაც.
ბაგედაშრეტილს შეგასვი ცვარი,
ურწყველ ქვიშაში გამონახადი,
და ენა მჭევრი აღგივსე ძალით —
კაცთა გულს ესმას შენი ღალადი.
შემომიდექი! ობლები იძმე,
გაკვერე ნათლით ტევრი ულრანი.
სამწყსოს უმეცარს მიაგე სიბრძნე
და უქადაგე ჩემი ყურანი.

II

მისანის წმინდა ცოლებო — გეტყვით:
გამორჩეულებს ასულთა შორის,
გამორჩეული მოგეცათ ბედი.
ერთგულებაში არა გყავთ სწორი,
დიდია თქვენი სიწმინდის ძალაც —
ქალწულთ საბურველს მოიხდენთ
კვლავაც.
გზარავთ მზაკვრობის ოდნავი ჩრდილი,
სულს ვერ აცდუნებს გვამი ვნებული,
მხოლოდ კანონით მომადლებული
გწამთ ხორციელი გულისთქმა ტკბილი.
თქვენ კი, სტუმარნო მოჰამედისა,
არ განარისხოთ ჩემი მისანი
და მასთან შეყრა რაკი გელირსათ,
დაგმეთ ცოდვანი ამ სოფლისანი.
არმიწიერი მისი ზრახვანი
არ წარიბილწოს ფუჭი ნათქვამით:
თავმდაბლად უქეთ ნადიმი, შემდეგ,
უნაზეს მხევლებს შეასხით ხოტბა,
რამეთუ ეგე სიწმინდე მოკვდავთ
უკუნისიდან არ ახსოვთ დღემდე.

III

წარბი შეყარა მწყრალად მისანმა,
ოდეს უჩინოს წააწყდა მზერას,
გარე მიიქცა უმალ ბრმისაგან —
არ ჰყო განგებამ ცოდვილთა მხსნელად.
— ქეთილთ გადუხსენ სულის მკურნავი
წიგნი — ღვთიური სიბრძნის სალარო,
არ ამცნო ცოდვილთ, ჩემი ყურანი,
კვლავ მათდა წყევად და სავალალოდ,
რატომ გულზვავობს ადამიანი —
არ უწყის განა, რომ ლერწამივით
იშვა სუსტი და ცოდვილიანი
და გათვლილია მისი წამები?
ანთუ იმად, რომ ცათა მეუფე
აღადგენს მკვდრეთით, მოაშთობს
ცოცხლად,
მიწყივ მფარველობს თავის რჩეულებს,
ლხინში ახარებს და ჭირში ლოცავს?
უხვი მიაგოს მან საბოძვარი,
მიწის ბარაქით ალუვსოს კალთა,
ყოველი ნიჭის არს დამმოძღვრავი,
მაკურთხეველი მთათა და ბართა.
მაგრამ რისხვის დღეს ცის ბჭენი
დახსნას,

პირი აჩინოს ყოვლისმპყრობელი,
დასცეს საყვირი ანგელოსთ დასმა,
ძმას ძმა განელტვეს, შობილს მშობელი,
და წარსდგეს მის წინ ყოველი სული,
იძრან ფუძენი ძრწოლვით და შიშით,
განსაცრწნელს შიგან დაინთქას კრული
უკეთურობის მოდგმა და ჯიში.

IV

ხეო ცხოვრების, ოდეს უგნური
წინაშე შენდა აზავთდა ქიშპად,
დასტურ განქარნე მისი რუდუნი,
ამპარტავნული მოაშთე იშტი.
ბრძანე: ჩემით არს სიცოცხლის კვალი
და ოდენ ჩემით იქნების მშთვარი
მიწა ცოდვილი, მენებოს ოდეს!
მან თქვა: მეც შემწევს სიცოცხლის
კვალი
ვაჩინო, ანდა შენს ფერხთით მშთვარი
დავსცე ყოველი, შენ რასაც ფლობდე.
მაგრამ ცითგამო ხმასხივოსანი
მოისმა სიტყვა და დადრკა ყიფი:
აღმოვაბრწყინო მზე აღმოსავლით,
შენ დასავლიდან აღმართე იგი!

V

დგას დედამიწა — ზეცით მუქარა
გარდმოდის, შემწე მხოლოდ ღმერთია.
მისი ღვთიური ნება რომ არა,
დაგვემხობოდა თავზე ერთიან.
შენით ანთია ცაზედ, უფალო,
მზე მაცოცხლებად ცისა და მიწის,
ისე, თითქოსდა ფრთილა უბრალო
ბროლის კანდელში ციმციმით იწვის.
იწამეთ ღმერთის უშრეტი ძალა,
ქარიც დაუნჯდეს მისი სურვილით,
ჭექა-ქუხილმა დააცხროს გვალვა
და დაიოკოს მიწამ წყურვილი.
წყალობა უფლის დიდია, მისანს
ყურანი იგი აუწყა ჩვენთვის.
რომ შევინივთოთ სიკეთე ღვთისა
და, უწინარეს, გვიყვარდეს ღმერთი.

VI

მესიზმრა გრძნეულს ჯერ არნახული
მეხთატეხა და ვიხილე სისხლით,
ნაწრთობ-ნაგეში ბასრი მახვილი
მუხლი უდრეკი და გული ბრტყელი.
და ჰა, ისმინეთ ხმა სიხარულის,
ომში ნახვეჭიც გაიზიარეთ,
ტყვედქმნილ მხევალთა მზერა
კრძალული
მყის დაგიამებთ ბრძოლის იარებს.
გამარჯვებულნო, დიდება თქვენდა!
წყეული იყოს ყოველი მხდალი,
ბრძოლის საყვირზე რომელი შედრკა,
რომელმა მოძმეს უქცია მხარი.
თვალი უძღები გაურბის იქით,
ნაალაფევი სად ეგულება.
ამბობს — შევითქვათ საქმით და
სიტყვით,
მაგრამ ვით ძალუძს მხდალს
ერთგულება?!
ნეტარ არს იგი, ომში რომელი
შეება სიკვდილს. მისი კარავი
ცად დგას კაცთაგან მიუწვდომელი
და ცოდვათაგან შეუბღალავი.

VII

აღსდექ, სულმხდალო —
ამ შენს მღვიმეში,
წმინდა კანდელი
დილამდე ბრწყინავს.
ურვა და ზაკვა
გაშფოთებს მძინარს.
ღვთის სიახლოვეს
დაიდე ბინა!
აზრი და ლოცვა
ზე აღავლინე.
ისმინონ შენი
ხმა ცათა შინა!

VIII

არა ევაჭრო სინდისს შენსას წინაშე მწირთა,
გაეც წყალობა აურწყველი, რამე თუ ითქვა
ზეცაში სიტყვა შენდა მომართ: — იყავ ზნექველი!
და განკითხვის დღეს, როგორც მთესვარს მსუყე თავთავი

მოგეგოს მადლი აურაცხავი,
თესლის საზღაურ ჭირნახული აულებელი.
მაგრამ თუ ერთხელ იძუნწე და განსაკითხავად
გაწვდილი ხელი მეყსეულად შედგა, ვფიცავარ,
გწევ უსასტიკეს მისაგებელს, ვითარცა მიწას
ზაფხულის წვიმა ჩამორეცხავს კლდეთაკენ ფლეროვ
ასე წყლად გექმნას ავლა-დიდება: ბიბლიოთეკა
მოიხვეჭ მცირედს, წარწყმედილი დაჰკარგავ დიდძალს.

IX

მავანი უფალს უდაბნოში ჰყვედრიდა მწყრალი —
ვერ ჩრდილი ნახა თავშესაფრად, ვერც წვეთი წყალი.
სამი დღე-ღამე გვალვასა და ხვატში იარა,
მტვერი და ბუღი თვალთ ჩაუდგა ნათლის ზიარად —
ბოლოს უღმერთოდ დაქანცულმა წყარო დალანდა
იქვე ხის ძირში, გაიხარა და გათამამდა.
იმედნეულმა მიაშურა ბინულს კამკამას,
ხარბად დააცხრა, ლამის სულიც შიგ მიაკარგა —
ალმურიანი განიგრილა ბაგე და თვალი
და თავის ერთგულ სახედრის წინ როგორც რომ მშთვარი
ძილად მიეგდო, გაღვიძება ალარ ელირსა —
ასე ენება განმგებელსა კაცთა ბედისა.
თვალნი ალალო, ოდეს განვლეს მრავალთა ჟამთა,
ხმა შემოესმა, თუმცა ირგვლივ არავინ ჩანდა:
„მითხარი, მგზავრო, ასე ტკბილად როდის ჩაგთვლიმა?“
კაცმა მიუგო: — დამაოსა მზემ ცად აწვდილმა,
ახლაც იმავე მცხუნვარებით დამყურებს მაღლით —
მთელი დღე-ღამე მძინებია ულმერთოდ დაღლილს.
კვლავ ესმა: „მგზავრო უმეცარო, მთელი ცხოვრება
ძილში გალიე, აბა რაღა გემახსოვრება —
ხარ ბერიკაცი რახანია; გახსოვს ხის ჩრდილი
ფარავდა წყაროს აწ დაშრეტილს, მასაც სიკვდილის
აჩნია დამღა, მტვრად მიიქცა შენი მეგზურიც —
ხვატში ჩაიწვა სახედარი, მოკვდა დღეკრული“.
შეძრწუნდა მგზავრი: — ნუთუ ასე დიდხანს ვიძინე? —
ატირდა მწარედ, დაცალეწა დარდის სიმძიმემ.
და აი, ნახეთ, საოცრება დიდი — რამ მოხდა —
არ მოსწრებია კაცთა მოდგმას, არ ახსოვთ მოკვდავთ
სხვა მისი სწორი სასწაული: წარსული აღდგა,
ხე აიქოჩრა როგორც მორჩი დარგული ახლად,
გაცოცხლდა წყარო, ნაპირებზე მოიკრა ნამი,
ვირიც ყროყინებს, სიხარულით ატროკდეს ლამის.
სადღაა იგი ბერიკაცი? კვლავ ძველებურად
ერჩის ჯან-ღონე, განა მართლა დაბერებულა?! —
სულს ჩაელვარა წმინდა სხივი — იცნა უფალი
და მასთან ერთად განვლო გზანი თვალშეუდგამი.

□

ლიტვურიდან
თარგმნა თეიმურაზ-აბულაძემ

დავდგი ოდა

ზღვის ნაპირას დავდგი სიმწრით
აწაწინა ოდა.
მერე სული თორმეტი წლის
გოგოს გასძახოდა...

— დამაცადე, გავიზარდო,
დამაცადე, ბიჭო!
შენთან ყოფნას ჯერ დედიკოს
თბილი კალთა მიჯობს.

— შენ რა გიჭირს, გოგონია,
დედა გეხუტება.
მე კი უცხო მიწის ბულში
სული მეხუთება.

თავს გადგამენ მწვანე გვირგვინს,
გატარებენ ციმციმ.
მე საბრალოს ჯარისკაცის
რკინის ქუდი მიმძიმს.

შენს შხვართალა თითებს ნათელს
აფრქვევს ბეჭდის თვალი.
ჩემს თავზე კი შემართულა
ვეებერთელა ხმალი.

შენთან ფუტკრის გუნდი ბზუის,
დღე თაფლისფრად ღვივის.
ჩემს ახლოს კი გრუხუნია,
ტყვიის წვიმა წივის.

ფეხქვეშ მოლი გიხასხასებს,
მზე საკინძეს გიხსნის...
ჩემს ფერხთით კი ამღვრეული
დის მდინარე სისხლის.

ჩემო მშობელო დედავ

მადლობას ვწირავ შენს ხელებს, დედა,
რომლითაც ციმციმ დამატარებდი;
ყველგან რომ ჩემზე ოცნება გდევდა
და ცივ ნიავსაც არ მაკარებდი.

მადლობას ვწირავ შენს ბაგეს, დედა,
რომლითაც ვიგრძენ ალერსი ტკბილი.
და როცა თვალში გამოვიხედე,
თავს მადგა შენი მალალი ჩრდილი...

მადლობას ვწირავ შენს გონს და ნამუსს, —
უმანკოება მომმადლე რითაც...

მზისფერი ნამით გზა დამინამე
და მიამებდი ტკივილებს დიდხანს...

...ობლად ვარ ახლა და ცრემლი მახრჩობს,
მტეხს უშენობა შიგ გულში, დედა,
საბადებელი ჩემი და სარჩო
დარდია ახლა, დარდი და სევდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისლა შევჩივლო ნადველი აწი,
ვინ გაიმეტებს ნუგეშს და ალერსს.
ჩემი სიმდიდრე და ჩემი განძი
წაპყვა შენს ბინდში ჩაქცეულ თვალებს...

დიდხანს გეძახდი წუხელის, დედა,
კი არ გეძახდი, — ვყმუოდი თითქოს...
დავყურებ შენს ცივ, გალიგვულ ცხედარს,
ამაოდ ვითხოვ კვლავ შენგან სითბოს...

თეთრი ფიცრებით გიგებენ ბინას —
უკარფანჯრებოს და უსინათლოს.
სად შეგხვდე აწი!
სად მოვირბინო!
სად დაგელოდო!
სად მოგინატრო!

რომელი მხრიდან გელოდო უნდა?
მოხვალ?
თუ მოხვალ, რომელ უბნიდან?
ვაი, რომ ალარ მოხვალ... დრომ უნდომ
შენს გზას სიცოცხლე გადაუბინდა.

ვინ დამიამებს მე აწი ტკივილს,
ვის დავუჯერო ფიცი და მტკიცი...
ვივლი დღედაღამ,
ვივლი და ვივლი,
მაგრამ ველარსად შეგხვდები, ვიცი!

როცა ვიზრდებოდი

ჩემს მშობლებთან ვიზრდებოდი,
და თავს ვგრძნობდი ნეტარად.
ვიზრდებოდი, შემნატროდა
მთელი სოფელ-ქვეყანა.

ძმებთან ერთად ჭვავსა ვმკიდი,
დებთან ერთად სელს ვთხრიდი.

ასე ლაღად სიყმაწვილის
გეიმაქ წლებში შევფრინდი.

ყანიდან რომ ვბრუნდებოდით
სიმღერა-სიმღერ მარხილით, —
ჩამესმოდა დედაჩემის
თბილი, წყნარი ძახილი:

— შემოგევლოს დედა, შვილო,
რა საამოდ კისკასობ!
წადი ახლა და ბელელში
ნოისვენე, ძვირფასო!

იქ ფუმფულა ლოგინს ვშლიდი,
მივცურავდი სიზმარში...
მაღვიძებდა ცის ნათელი
და გიჟმაჟი რიჟრაჟი.

არემარე გაზაფხულის
ფარჩა-ატლასს იცვამდა.
ბრიალა მზე ოქროს სხივით
ოქროს გვირგვინს, მიწნავდა.

...ის დღეები ოქროსფერი
მართლა ოქროდ დაფასდა...
...გადავსახლდი დედამთილთან,
დედამთილთან კაპასსთან.

ჭვავსა ვმკიდი მაზლებთან და
სელსა ვთხრიდი მულებთან.
უმადური დედამთილი
წყევლით მანადგურებდა.

ყანიდან რომ ვბრუნდებოდი
ქედდახრილი,
დაღლილი, —
ჩამესმოდა დედამთილის
ღვარძლიანი ძახილი:

— წადი ახლა და მინდორში
აბალახე ხარები!
ვიყავ მართლა გულმოკლული,
მართლა გაუხარები.

მაგრამ მაინც მივდენიდი
ხარებს საბალახოდა.
კვლავ როკაპი დედამთილის
მკვახე ხმა მომძახოდა.

ხარებს ვედექ,
თან ვმღეროდი,
ჯავრს სიმღერით ვიკლავდი.
ვოცნებობდი და იმედის
ყვავილს ვკრეფდი ცისკრამდი...

მზე ბრწყინავდა,
მაგრამ გვირგვინს
უკვე აღარ მიწნავდა...
ჩემი ბედი უკვე სევდის,
ფარდის კაბას იცვამდა...

საძოვრიდან ვბრუნდებოდი
უსაშველოდ დაღლილი.
ჩამესმოდა დედამთილის
გულბოროტი ძახილი:

— წადი ახლა,
ჭვავი დაფქვი,
ჭვავი დაფქვი, ტიალო,
თუ გინდა რომ შენი ბედი
წაღმა შევატრიალო!

ჭვავს ვფქვავდი და ვაბრუნებდი
გაჭირვების დოლაბებს...
სახელოთი ვიმშრალებდი
ცრემლებს, სიმწრით მონადენს.

გაიგონა ჩემმა ქმარმა
ჩემი მოთქმა-ქვითინი.
უცებ სახე მოეღრუბლა
და გაუხდა ფითრივით.

დედას უთხრა:
— ეს ქვითინი
კაცს ქვის გულსაც შეურხევს...
ვატყობ, უჭირს,
ძლიერ უჭირს
ჩემს საცოდავ მეუღლეს.

შენს ქალიშვილს ნებივრობით
სხეული უთიმთიმებს...
ჩემი ცოლი
ტანჯვით ჭვავს ფქვავს,
გულმოკლული ქვითინებს.

შენი ქალი ღვინით იბანს
ხელ-პირს,
დადის კუნკულით...
ჩემს მეუღლეს ცრემლებით აქვს
სახე ჩამოლუმპული.

შენს ასულს რომ აბრეშუმში
ხვევ, (ესაა ქალობა?)
დედაჩემო, გაიმეტე
ჩემს ცოლზედაც წყალობა!

წუხელ არ მძინებია

წუხელ არ მძინებია,
მინდვრად რემას ვმწყემსავდი,
მინდვრად რემას ვმწყემსავდი.

წუხელ რემას ვმწყემსავდი,
სოფლის ასულს ვუხმობდი,
ტურფა ასულს ვეძახდი:

— ცოლად არ გამომყვები,
სოფლის ტურფა ასულო,
დედისერთა ასულო, ცისკენ ალვად წასულო?

— ფრენით გამოგყვებოდი,
მაგრამ როგორ დავტოვო
ჩემი თბილი კერია, მშობლიური კერია?

— დედისერთა ასულო,
მამაჩემის მამული
თქვენს მამულზე ვრცელია, დიდია და ვრცელია.

— ჩვენს მამულთან ვერ მოვა,
ნეკერჩხლები ჰყავიან
ირგვლივ, ჩვენთან, ჭაბუკო, დოვლათი და ხვავია.

მამულის შუაგულში
ცეკვავს ახალგაზრდობა,
სადმე თუა, იქაა სიმღერა და გართობა.

...სატრფოსთან რომ ვცეკვავდი,
ხელით დამატარებდა,
ისე დამატარებდა, ნიავს არ მაკარებდა.

თავზე გვირგვინს მადგამდა,
ოქროს ბეჭდებით მიმკობდა,
მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა, მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა.

ცულლუტ ბიჭთან ცეკვისას
სიმშვიდე არ მელირსა,
აქეთ-იქით მისროდა, თითქოს მაბურთავებდა.

გვირგვინი დამეშალა,
მხედავს მთელი თემ-შარა...
და ბეჭდებიც დამცვივდა, საყვარელი ბეჭდები.

...ფრენით გამოგყვებოდი,
მწყემსო, მაგრამ კერია,
მითხარ, როგორ დავტოვო, მშობლიური კერია.

ვის ჩაეძინა?

ტყეა ოქროსფერ ფერში მფეთქავი,
ვის ჩაეძინა ტყეში ნეტავი?

ტყესთან მზეს თვალი გაბრწყინებია,
ტყეში მელიას ჩასძინებია.

ტყე მონადირის აჩლობელია...
ვინ გააღვიძებს ახლა მელიას?

კურდღელი მელას მეზობელია,
ის გააღვიძებს, ალბათ, მელიას.

ვერ გაიმეტებს დასამიწებლად...
მიდის მელიას გასაღვიძებლად.

— ადექ, მელიავ, რა დროს ძილია,
შენი მოძმენი დახოცილია.

ადექ, უშველე თავს, შე საწყალო!
ჩვენ თოფიანი კაცი არ გვწყალობს.

გასწი, მელიავ, ირგვლივ მტერია,
მონადირენი შენ მიგელიან.

ტყეში მწევრები დაწანწალებენ,
გასწი, სიცოცხლეს ჩაგამწარებენ.

გასწი, შიშისგან მთლად ნუ წახდები,
თორემ დღეს ტყვიის წერა გახდები.

ტყეში კაცები დახირხაცობენ,
მიგაკლავენ და ტყავს გაგაძრობენ.

...გახვეულია დღე მზის ალმურში,
ვის ჩაეძინა ნეტავ მამულში?

მზეს ოქროს თვალი გაბრწყინებია,
მამულში ასულს ჩასძინებია.

ასულს სიზმარი აკრთობს ნეტარ,
ვინ გააღვიძებს ასულს ნეტავ?

ასული სიზმრის დენამ წაიღო...
ძმა გააღვიძებს, ალბათ, დაიკოს.

ჯერ ვერ ჩაუქრობს ცისფერ იმედებს...
ჯერ გასათხოვრად ვერ გაიმეტებს.

და ეგულება დასაფიცებლად,
მიდის დაიკოს გასაღვიძებლად.

— ადექ, დაიკო, და გაიქეცი,
ადექ, ფრინველად გადაიქეცი;

გადაიფრინე ტყე და კორდები,
გაგათხოვებენ და დამშორდები.

უახლოვდება ეზოს მაყრები —
მხიარულები და ამაყები.

ეზო გაივსო უკვე სტუმრებით,
შენ მათ სტუმრობას ნუ ეხუმრები...

შენ თუ ვგონია აქ გაცხოვრებენ, —
საყვარელ მამულს დაგაშორებენ.

ეს დღე მუდამდღე გემახსოვრება...
იქ დაიწყება სულ სხვა ცხოვრება.

ადექ, დაიკო, და გაიქეცი,
ადექ, ფრინველად გადაიქეცი!

გამაგზავნა დედამთილმა

გულბოროტმა დედამთილმა
გამაგზავნა სისხამ დილას:
— ზამთრის ბალახს მომიტანდე!
ზაფხულის თოვლს მომიტანდე! —
დამაბარა დედამთილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდიოდი,
მივტიროდი,
ქვასაც ცრემლი მოვადინე...
გზად შემომხვდა ჩემი ძმაი,
ჩემი ძმაი მონადირე.

— დაო, დაო, საით მიხვალ?! —
გაკვირვებით ძმამ იკითხა.

— გულბოროტმა დედამთილმა
გამაგზავნა სისხამ დილას:
— ზამთრის ბალახს მომიტანდე!
ზაფხულის თოვლს მომიტანდე! —
დამაბარა დედამთილმა.

— ჰე, შროშანო, საცოდაო,
ზღვის ნაპირას მიდი, დაო;

მოიცილე დარდის ლოდი,
ჩაიწყნარე გულში შფოთი;
ამოხაპე ზღვის ქაფი და
დაამტვრიე ფიჭვის ტოტი, —
მიაშავე შენს დედამთილს,
მიაქვავე იმის ლოდინს.
ზაფხულის თოვლს ნიშნავს ქაფი,
ზამთრის ბალახს — ფიჭვის ტოტი.

— რძალო, რძალო, გულთმისანავ,
გამომავლე პირში ჩალა?..
ვინ ოხერმა გიკარნახა,
ვინ ეშმაკმა მიგასწავლა?!

— მიკარნახა უფლის ძალამ,
გაჭირვებამ მიმასწავლა!

□

ნაირა გელაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კაკაბაძე — მთარგმნელი

ზურაბ კაკაბაძის პიროვნება სულიერი მრავალმხრივობის ამ ბედნიერი ნაშნით იყო აღბეჭდილი, რომელიც რაც უფრო აუცილებელია, მით უტრო იშვიათია დღეს: დიფერენცირებული აზრის ეპოქაში, როდესაც ადამიანის გონისმიერი თუ პრაქტიკული ქმედების ყოველმა ცალკეულმა სფერომ იმით დამოუკიდებელ განვითარებას მიაღწია, რომ თანდათან აღმოჩნდა ყოველად იზოლირებული არსებობის საფრთხის წინაშე. იდეალურს, ანუ ჰარმონიულს ახე მიაბლოებული ადამიანი, — რომელიც თავად თავში აერთიანებს ფილოსოფოსსა და პოეტს, ლიტერატორსა და მთარგმნელს, უცხო ენებისა და მშობლიური ენის ბრწყინვალე მცოდნეს, ესთეტს, ინტელექტუალს და უშუალობა-ბუნებრიობით აღბეჭდილ, ცხოვრების სიღრმეებში ჩაბედულ კაცს, — შესაძლებელს ხდის და აიძულებს დიდი პრობლემის გადაჭრას: ყოველი ცალკეული დარგის მონაპოვარი თუ ადამიანური ცხოვრების რთული პრობლემები გაჭერდეს ფილოსოფიური აზრის წიაღში; რელიგიის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებმა ასევე მოიყარონ თავი ხელოვნის ხათეისტომოში — ფილოსოფიის ხავანეში, ფილოსოფიისა, რომლის მეტაფორულ სიმბოლოდ რა ხანია უკვე საშეფოდაქსასული, მაბუღებდაკარგული მეფე ლირი ჭკეულა.

ბედნიერება ასეთი პიროვნების არსებობა ერის სულიერ ცხოვრებაში და მისი ნაადრევი წასვლით გაჩენილ ნაპრალს წელთა დენა პირს კი არ უკრავს, არამედ სულ უფრო აშიშვლებს, რამეთუ მზოლოდ თანდათან, ნელ-ნელა ჩნდება მისი ნაშოლეკარის მთელი მნიშვნელობა და კიდევ იმიტომ, რომ მიზეზია და მიზეზია გამო ვერ და ვერ დაგვიღწევია თავი განათლების ცალმხრივობისთვის. გადაუხედოთ ჩვენს სულიერ ყოფას: მცირე გამონაკლისის გარდა (და ეს გამონაკლისი ვერ განსაზღვრავს ბედნიერ დონეს) ლიტერატურის მცოდნეები და კრიტიკოსები შორს არიან ფილოსოფიისაგან, ნაკლებად ფლობენ უცხოურ ენებს, რის გამოც უშუალოდ ვერ უკავშირდებიან ევროპის ხელოვნურ კულტურას; ფილოსოფოსებს ნაკლებად აინტერესებთ (უცხო თუ ეროვნული) ლიტერატურის პრობლემები. ნაკლებ წარმართავენ თავიანთ ცოდნა-განათლებას ამ მიმართულებით, ხაზლვარგარეთის ლიტერატურის სპეციალისტები იშვიათად ამბობენ პროფესიულ სიტყვას ეროვნული ლიტერატურის პრობლემებზე. ბშირად სულ არ იცნობენ მშობლიური ლიტერატურის მიმდინარე პროცესებს, მუსიკოსები და მუსიკათმცოდნეები შორს არიან ლიტერატურისა და ფილოსოფიისაგან, ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებიც სუსტად არიან დაკავშირებული პოეზია-ხელოვნების საუფლოსთან, ნაკლებად ითვალისწინებენ, არ აპყრობენ გულისყურს პოეტთა და ხელოვანთა ღაღადისს (მაშინ, როდესაც აინშტაინი ამბობდა, დოსტოევსკი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე ყველა სხვა მოაზროვნე, მეტს, ვიდრე გაუსიო. ესეც ზ. კაკაბაძის წერილების წიგნებიდან გახლავთ), და ბოლოს ყველანი მეტ-ნაკლებად დილეტანტები ვართ აზროვნების ისეთ სერიოზულ სფეროში, როგორიცაა თეოლოგია (რაც განაპირობა თეოლოგიური ფაკულტეტის არარსებობამ უნივერსიტეტებში, — განსხვავებით თუნდაც დემოკრატიული რესპუბლიკებისგან, რელიგიური ლიტერატურის შეზღუდვამ და ა .შ.), რაც დაღს ახვამს როგორც ჩვენს ფილოსოფიურ აზროვნებას, ისე ლიტერატურათმცოდნეობას, ხელოვნებათმცოდნეობას, ისტორიოგრაფიას, პალეოგრაფიას და ა. შ.

და აი, იყო ადამიანი, ვინც ფილოსოფიური აზრის სპექტრში გარდატეხდა ხელოვნებისა და ცხოვრების პრობლემებს, ვინც ფილოსოფიურ სიტყვას აწვდენდა პოეზიის, მწერლობის, მხატვრობის, კინოხელოვნების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, მეცნიერება-ტექნიკის მონაპოვართ; ისწრაფვოდა, თანაბედროვე ფილოსოფიისა და ხელოვნების რთული მეტყველება საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენებისთვის გაეხადა გასაგები, რადგან ზ. კაკაბაძე რომელიმე მრავალრიცხოვანი და უფრო ცივილიზებული ხალხის წარმომადგენელივით ვერ მისცემდა თავის თავს ფუფუნების უფლე-

ბან: ვერ ჩაიკეტებოდა ფილოსოფოს-ესთეტის ეზოთერულ საუფლოში, რომლის მერმეტიული, პროფესიული ენა და ტერმინოლოგია მხოლოდ განდობილთათვის, ერთი მუჭა სულიერი ელიტისათვის იქნებოდა გასაგები. იგი მცირერიცხოვანი ხალხის შვილი იყო, კარგად მოეხსენებოდა, რომ ასეთი ხალხის ფიზიკური არსებობა მეტისმეტად დამოკიდებულია მის მორალურ-სულიერ თვითგამორკვევაზე და მთელი ძალებით ცდილობდა გამოეფხიზლებინა მშობლიური ხალხოგადოება გონებრივ-მორალური ლეთარგიისაგან, აეყვანა იგი სერიოზული, აზრიანი ცხოვრების მაღალ საფეხურზე (ამიტომაა, რომ თავის ნაწერებში იგი ხშირად განმარტებულ-ადაპტირებული ფორმით აწვდის მკითხველს იმ ჰეშმარიტებებს, რაც მისთვის აქსიომატურია: მაგ. როგორ უნდა აღვიქვათ მოდერნისტული ხელოვნების ესა თუ ის ძეგლი, და სხვ.). ამ სწრაფვას გვამცნობენ უკვე სათაურები მისი წიგნებისა თუ წერილებისა: „ხელოვნება. ფილოსოფია. ცხოვრება", „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა", „ადამიანის გასხვისების პრობლემა", „ხანგრძლივი ხელოვნების სწორი შეფასებისათვის", „მანქანა და პოეზია", „ფელინის ფილმი რვანაბეჭერი", „არის მკითხველი", და სხვ.

ზურაბ კაკაბაძე არ ეკუთვნოდა იმ ცალმხრივ თეორეტიკოს-ინტელექტუალებს, რომლებიც რუდუნებით იკვლევენ, დავუშვათ, „გრძნობის ფენომენს" ან „გაგება-კომუნიკაციის პრობლემებს" ამა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემაში და ვერასოდეს მიხვდებიან, რა ტანჯვით აღვსილა, რას ამბობს მათი უახლოესი ადამიანი. იგი ღრმად მჭვრეტელი და დამკვირვებელი გახლდათ, რომლის პოეტურ სულსა და სათუთ გუმანს არ ეპარებოდა „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური" საუფლოს პრობლემები. და ბოლოს ურთულეს ფილოსოფიურ აზროვნებას ზიარებულ ამ ადამიანს შეეძლო ისე უბრალოდ, უეშმაკოდ, ალალად გადაეშალა გული თავის ლექსებში, და ეს უბრალოებაც — გამოფლენილი თავდაჭერისა თუ ფილოსოფიურ-პოეტური მეტყველების სისადავეში იმ სულიერი სიღრმიდან მოდიოდა, რომელიც გამორიცხავს ბრეკვიალა სიტყვაკაზმულობითა თუ ხელოვნური სირთულით თავმოწონების სურვილს, მოდიოდა იქიდან, რომ ამ ადამიანის ინტელექტი ორგანული და ხასხლეტორცეული იყო და არა ხაბელდაბელოდ შეკოწიწებული რაღაც დანამატი, ბირკასავით გარედან რომ აკკვრიათ მავანთ და მავანთ.

მაშასადამე, გულისა და გონების სინთეზზე ვლაპარაკობთ, ანუ მგრძნობიარე აზროვნებაზე ანუ გულით აზროვნებაზე. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი კი გამაჩერებს არა მხოლოდ იდეალური მოაზროვნის ტიპს, არამედ იდეალური მთარგმნელის ტიპსაც, რომელიც, როგორც ყველაფერი იდეალური და ხანიმუშო, ესოდენ იშვიათია ჩვენს ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კაკაბაძემ ფარგმნა და გამოაქვეყნა: რაინერ მარია რილკეს ლექსები და ფრანც კაფკას სამი მოთხრობა. ამ თარგმანებით მან ბევრი რამ უთხრა თავის ერს. უთხრა ისიც, რაზეც თვითონაც ეუბნებოდა თავისი ფილოსოფიური ნაშრომებიდან თუ საკუთარი ლექსებიდან, რადგან კაფკასა და რილკეს ხამყაროთა უმძაფრესი პრობლემები — ეს თავად ზურაბ კაკაბაძის, როგორც ფილოსოფოსის, დაუცხრომელი კვლევის საგანი და სატკივარ-საფიქრებელი იყო.

ამიტომ მისი თარგმანების ხაზით ჩვენ წინაშეა ბედნიერი და იშვიათი შემთხვევა: აქ ხორციელდება ორი სულიერი პიროვნების შეხვედრა, თანაზიარება და დიალოგი: ფ. კაფკასი და ზ. კაკაბაძის, რ. მ. რილკესი და ზ. კაკაბაძის. და თარგმანი, სადაც არ ხორციელდება მსგავს სულთა ასეთი შეხვედრა, თანაბარ სიმაღლეზე მხედველ-მოაზროვნე ორი ადამიანის ასეთი დიალოგი, ხაუკეთესო შემთხვევაში წარმოადგენს, ნოვალისის სიტყვებით რომ გითქვათ, „ნაწარმოების ხმეულის" თარგმანს. რადგან იქ მთელი მიხვევ-ბულობისა და სიზუსტის მიუხედავად გამოტოვებულია ხოლმე სული: ეს უბილავი და უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ქმნილებისა, რომელიც მთლიანად არც მხოლოდ სინტაქსურ-ლექსიკურ, არც შინაარსობრივ-აზრობრივ, არც ინტონაციურ-რიტმულ თუ ბგერწერულ პლასტებშია დაუნჭებული, არამედ მათ უსახელო ერთიანობაში დალივლივებს და იმ იდუმალ ატმოსფეროში, რომელსაც ნაწარმოების ყველა ასპექტის ერთმანეთში გაჯერებულობა ქმნის და რომელიც მაინც რაღაც კიდევ სხვაა, ამ ასპექტებზე არ დადის და მათ ზემოთ ირხევა. ნაწარმოების სულის (რომელიც ასეთივე აშკარა, მაგრამ უბილავ-მოუბელთესელია, როგორც სურნელი ყვავილების ბაღში) „დაბერა"-გადმოტანა მხოლოდ იმ მარადიული კანონის ძალით ხდება, რომელიც გვაუწყებს, რომ მსგავსი აღიქმება მარტოდენ მსგავსით.

უაღრესად მრავალისმეტყველია, თუ რას თარგმნის მთარგმნელი. ეს, შეიძლება ითქვას, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ზ. კაკაბაძეს არ შეეძლო მთარგმნელობა თავის მთავარ, არსებით საქმიანობად ეფქცია, რადგან ასეთი რამ მისთვის ფილოსო-

ფია იყო. ამიტომ აქ მოქმედებდა შერჩევის უფრო მკაცრი კანონი. მისი არჩევანი შეჩერდა კაფკასა და რილკეზე. მან პირველმა შემოიყვანა და დაამკვიდრა ეს ორი სული ახალ, უცხო ენობრივ სამშობლოში, გზა გაუკაფა უცხო მკითხველისაკენ (1936 წელს გამოქვეყნებული იყო გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი რილკეს მხოლოდ ორი პატარა ლექსი). ძნელი არ არის მიხვედრა, რატომ: კაფკა და რილკე თვისობრივად ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლები არიან, რომელთა გავლენაც განუსაზღვრელად დიდია მთელ ევროპულ ლიტერატურაზე. იხინი მკითხველისთვის გაცილებით უფრო მოულოდნელნი, უცხონი, ძნელად შესაღწევადნი არიან, ვიდრე ის მწერლები, რომელნიც მსოფლმხედველობრივი თუ სტილური თვალსაზრისით შეტად ინარჩუნებენ კავშირს კლასიკურ ტრადიციებთან. ამიტომ იტვირთა ზ. კაკაბაძემ სწორედ მათი მეგზურობა ქართული ენის საუფლოში, რათა მაშინდელი ინფორმაციული სიმწირის პერიოდში (უცხოელ ავტორთა წიგნებიც კი არ იშოვებოდა) შეეტანა ის უზარმაზარი ხარვეზები, რაც იყო და არის ჩვენს მთარგმნელობით ხელოვნებაში. გარდა ამისა, არსებობდა ალბათ უფრო ფარული მიზეზიც: თუ კაფკასთან უკიდურესად გამოუვალი სინამდვილე, ღირებულებათა სრული რღვევა, ადამიანის სრული სულიერი გაპარტახებაა გადმოცემული, რილკეს საშუალოში ასეთი სინამდვილის აღიარება პირველი საფეხურია და უფრო მაღალი კი გახლავთ — თითქმის კატეგორიული მოწოდება გამოხავლის ძიებისაკენ, საფეხური, სადაც იკვეთება სულიერი მოძღვრის სილუეტი მომავლისაკენ გაწვდილი ხელით, თითქმის მბრძანებლური ეესტით — სულის აღორძინებისაკენ რომ მოუწოდებს ადამიანს, ანდა: მწუხარებით შემოწერილი უნაზესი სილუეტი პოეტისა, ეპოქის ხაშინელი ნიაღვრისაგან დასაცავად რომ გადამფარებია უძვირფასეს ღირებულებებს: სიტყვას, სიყვარულს, ღმერთს, წიგნს, ბავშვს, მცენარეს, დედამიწას, ხაგნებს:

გარდა ამისა: ამ ორი ავტორის, განსაკუთრებით კი რილკეს თარგმნით ზ. კაკაბაძემ გადალახა ფსიქოლოგიური ბარიერი და აჩვენა, რომ რილკეს თარგმნა შესაძლებელია; გვიჩვენა ნიმუში, გზა: როგორ უნდა თარგმნილიყო იგი. სწორედ ამ ფსიქოლოგიურ შემზადებასა და ნაჩვენებ გზას უნდა ეუმადლოდეთ ყველანი, რილკეს დღეგანდელი მთარგმნელნი ჩვენს მცდელობას.

ზ. კაკაბაძემ თარგმნა ფ. კაფკას სამი მოთხრობა: „მეტამორფოზა", „განაჩენი", „მომსენებითი ბარათი აკადემიას". პირველი ორი მოთხრობა დაიბეჭდა 1964 წელს. ჟურნალ „მნათობში". ფ. კაფკა გარდაიცვალა 1924 წელს, და როგორც ჩანს, მთარგმნელმა საგანგებოდ დაამთხვია თარგმანების გამოქვეყნება დიდი მწერლის გარდაცვალების 40 წლის თავს. თუმცა ჟურნალში ეს აღნიშნული არ არის, ალბათ მაშინ არ ეგებოდა. მოთხრობებს ამბავს ზ. კაკაბაძის ვრცელი წერილი „ფრანც კაფკა", სადაც იგი ჭეშმარიტი ლიტერატურული პროფესიონალიზმით განიხილავს კაფკას შემოქმედების მსოფლმხედველობრივსა და მხატვრულ სპეციფიკას. ჟურნალის რედაქტორი მაშინ გახლდათ გრიგოლ აბაშიძე. ამ ფაქტსაც იმიტომ აღვნიშნავ, რომ ჩვენ ყველას კარგად მოგვეხსენება, რა ძნელი იყო იმ პერიოდში კაფკას მსგავსი ავტორების ბეჭდვა, „გატანა", მით უმეტეს მათი პოზიტიური შეფასება, — და ყველა რედაქტორის ხელში ეს არ მოხერხდებოდა.

მე, პირადად, მაშინ საშუალო სკოლას ვამთავრებდი და კარგად მახსოვდა, რომანტიზმი რომ გავიარეთ, როგორ გვიბეჭდავდა ტვინში ჩვენი სახელმძღვანელო მომაკვდინებელ კატეგორიულ მსჯავრს: ნოვალისი — რეაქციონერი, ზატობრიანი — რეაქციონერი რომანტიკოსი. რადგანაც „რეაქციონერი" მესმოდა და მეხმის როგორც კაცობრიობისა და ადამიანის მტერი, ადვილი წარმოსადგენია, რა შეხედულებისა ვიქნებოდი ხსენებულ მწერლებზე (რისთვისაც შემდეგ არაერთხელ მომიხდია მათთვის ბოდიში გულში). და მოხდა ისე, რომ სწორედ იმხანად ერთმა განათლებულმა, ჩემზე უფროსმა ადამიანმა დაწერილებით მიამბო ნოვალისის რომანის („მაინრიხ ფონ ოფტერდინგენი") შინაარსი და გონების ვერანაირი დაძაბვით ვერ მივხვდი, რატომ იყო ეს რწმენით, სინათლითა და სიბრძნით გახსივსნებული ნაწარმოები რეაქციული. მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორი ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველზე იდგა? მაშინ ილია? გურამიშვილი? ვაჟა? რა გამოდიოდა? ერთი სიტყვით: თავგზა ამებნა და ეს გაოგნება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა, როცა მალე ამის შემდეგ კაფკას ეს მოთხრობები წავიკითხე ჟურნალში (მაშინ არც მწერლისა და არც მთარგმნელის გვარი არაფერს მეუბნებოდა). ნოვალისს, რომელსაც სულის უკვდავება, ადამიანის ღმერთთან თანაზიარება, ყოველისშემძლეობა და მისი საბოლოო ზეობა სწამდა — რეაქციონერი ერქვა, ხოლო კაფკას — რომელიც ყველანაირად შავბნელ და გაუკუღმართებულ ცხოვრებას ასახავდა, და არც იმედი უბყუტავდა სადმე (ყოველ შემთხვევაში ხსენებულ მოთხრობებში), მთარგმნელი და მკვლევარი ზ. კაკაბაძე არათუ არ უწოდებდა „რეაქციო-

ნერს", არამედ პირიქით: ხიყვარულით, პატივისცემით, თანალმობით ეკიდებოდა და პოზიტიურად აფასებდა. ზანი უნდა გასულიყო, რომ მივმხვდარიყავი: რეაქციონერი მწერალი საერთოდ არ არსებობს. ეს არის „წინააღმდეგობა განსაზღვრებაში". (სხვათა შორის, დღესაც იმ სახელმძღვანელოებით ასწავლიან სკოლაში, მაგრამ ის მაინც გახდა შესაძლებელი, ჩვენი აზრი გმოვთქვათ მოვლენებზე და რაც მთავარია, ვთარგმნოთ დიდი ხნით ტაბუდადებული მწერლები). ცხადია, იმ პერიოდში ზ. კაკაბაძის ლექსებიც რომ მცოდნოდა, კიდევ უფრო გასაგები გახდებოდა ჩემთვის, რომ მწერლის მსოფლგანცდის სიბირჭეში, დაუნდობელი მხილება დაცემული ადამიანისა — მწერლის ჰუმანიზმს არათუ არ გამორიცხავს, არამედ (შეიძლება ძალზე ფარულად, მაგრამ მაინც) მიხგან იღებს სათავეს; მეცოდინებოდა ეს ზ. კაკაბაძის თუნდაც ასეთი ლექსის წყალობით: „ადამიანი თუკი გიყვარს, უნდა გძულდეს ის, რაც იქნება არაადამიანი. ბევრი რამ არის ადამიანში არაადამიანის, — გძულდეს იგი უზარმაზარი სიძულვილით. უზარმაზარი სიძულვილი უზარმაზარი ხიყვარულის გამო — ასე გამიგე". ჩვენ კი მთელი სტუდენტობის წლები ყალბად გაგებულ ჰუმანიზმსა და რეალიზმს ჩაგვჩიჩინებდა ბროდსკი-მასწავლებელთა და სახელმძღვანელოთა დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ მძლავრობდა ლიტერატურის ვულგარულ-სოციოლოგიური გაგება, სიტყვა „მოდერნისტული" ჯერ კიდევ „რეაქციულს" უტოლდებოდა, და ჩვენ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ დიპლომის დაცვაზე დაუნდობელი კამათით, ბრძოლით (ხშირად ცხოვრების გართულებებით) უნდა გვემტკიცებინა, რომ რეალიზმი მხოლოდ ცხოვრების სიმართლის ერთგულებაა და როცა ეს ცხოვრება დეფორმირებული, ყოშმარულად დაუჯერებელი ხდება, არარეალურ ხასიათს იძენს, — რეალისტი ის არის, ვინც მას სწორად ახასიათებს: დაუჯერებლობის, ირეალობის ნიშნით აღბეჭდილს; ახლა დაუჯერებლად მეჩვენება, რომ იმავე კონფერენციებზე ჩვენ კბილებით უნდა დაგვეცვა დღეს უკვე აქსიომატურად ქცეული ჰეშმარიტებანი, დავუშვათ ის, რომ მნიშვნელოვანი და ხერიოზული მოვლენაა ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი; რომ დიდი მწერლები არიან: ნოვალისი, ჰოლდერლინი, ნიცშე, კაფკა (ფანსაკუთრებით კაფკა იყო დახაცავი), ბ. რილკე და ა. შ. ყველანი, ვინც სხვაზე ადრე, სხვაზე მძაფრად იგრძნეს უდიდესი საფრთხე: სულიერობის ხიკვდილი, ადამიანის გადაგვარება და განგაშად აქციეს თავინთი შემოქმედება. და აი, ასეთ დროს სულიერ ბურჯად და მცველად გვევლინებოდნენ ზოლმე ჩვენი უფროსი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც მიარღვევდნენ ლიტერატურულ რუტინას და რომელთა ნააზრევი შეგვეძლო ჩვენი ლიტერატურული თუ ადამიანური პოზიციის განსამტკიცებლად დაგვემოწმებინა; „რეალისტური პრინციპის აღიარება იმას კი არ მოანწავებს, რომ ზუსტად იქნას დაცული კლასიკური რეალიზმის დამახასიათებელი ფორმალური ნორმები, არამედ ახალი სამყაროს შესატყვისი გამომხატველი ფორმებისა და „ენის" გამომუშავებას გულისხმობს. საერთოდ კლასიკური რეალიზმისადმი ზედმეტი ერთგულება, რომელიც თანამედროვე ხელოვნებისაგან მოითხოვს კლასიკური ტრადიციული ნორმების უპირობო დაცვას, ნამდვილად არარეალისტური ტენდენციაა... კლასიკური, ტრადიციული ფორმა, მიღებული კორექტივის გარეშე, ძველი სინამდვილის, ძველი სამყაროს შესატყვისია და იგი ნაკლებად შეეფერება ჩვენს დროს". — წერდა ზ. კაკაბაძე ჯერ კიდევ 1961 წელს. წერდა თუნდაც იმიტომ, რომ ნათელი გაეხადა კაფკას და მის მსგავს მწერალთა მნიშვნელობა და თეორიულად შეემზადებინა მათი დამკვიდრება ქართულ ენობრივ და სულიერ სამყაროში.

კიდევ ვიმეორებ: ზ. კაკაბაძე მთარგმნელობას თავის მთავარ საქმიანობად ვერ გადააქცევდა. მას არ ჰქონდა დრო თანმიმდევრულად ეთარგმნა კაფკას ყველა მოთხრობა, მაშასადამე, შერჩევის მკაცრი კანონით უნდა ემოქმედა. და ამ მოთხრობების არჩევანშიც იგრძნობა დიდი მოაზრებულობა. ხურვილი: ქართველ მკითხველს მიეწოდოს ისეთი მოთხრობები, რომლებიც რაც შეიძლება სრულ წარმოდგენას შეუქმნიან კაფკას მსოფლმხედველობაზე, თავმოყრილად აჩვენებენ მწერლის არსებით სათქმელს. მართლაც გავიხსენოთ, რას გვაუწყებენ ხსენებული მოთხრობები: „მეტამორფოზა" გვამცნობს, როგორ გადაიქცევა ადამიანი მწერად, ხოჭოდ. ეს მოთხრობა უმეტესად უბილავად მიმდინარე, დროში გაბანგრძლივებული, შემაძრწუნებელი კატასტროფის მაუწყებელი განგაშია, იგი გვეუბნება: ტოტალური სახელმწიფო რეჟიმის, ადამიანური ღირსების შემლახავი ყოფის, სულიერობისაგან დაცლილი, სატანურად ერთფეროვანი, მარადიულ განზომილებას მოწყვეტილი, მექანიკური ყოველდღიურობის პროდუქტია: ადამიანი-მწერი — არამარტო გულგრილი სოციუმის, არამედ მაბლობელთა თვალშიც და რაც მთავარია: საკუთარ წარმოდგენაშიც (ამიტომაა, რომ გრეგორ ზემზას ხოჭოდ გადაქცევა მოსალოდნელ გაკვირვებას კი არ იწვევს ოჯახის წევრებში, არამედ შიშს მოსალოდნელი უსიამოვნებებისა და

ზარალის გამო). „მოხსენებითი ბარათი აკადემიას“ კი იმავე აზრის ილუსტრაციაა, ოღონდ შებრუნებულ პროცესს გვიჩვენებს: აქ მაიმუნი გადაიქცევა ადამიანად და თანამედროვე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდება. ტუვეობაში მოხვედრილი მაიმუნი ისე ბაძავს ადამიანს, რომ ამ ვარჯიშის წყალობით აღწევს სრულ მსგავსებას მასთან: რადგან ადამიანსა და მაიმუნს შორის დიდი განსხვავება აღარ არის; რადგან თავად ადამიანი დამსგავსებია ცხოველს. მოთხრობის ცენტრალური ფრაზა, მატარებელი მთავარი ლოგიკური მაბვილისა, გვაცნობს: „ადამიანთა მიბაძვა სულაც არ აღმოჩნდა ძნელი“. რადგან ეს ადამიანები ყველანი ერთმანეთს გვანან; ისინი ჭეშმარიტად პრიმიტიულ, ავტომატიზებულ არსებებად. ამავე დროს იგრძნობა ირონია მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიურ მეცნიერებათა მიმართ: ადამიანი მილიონი წლის წინ წარმოიქმნა მაიმუნისაგან თუ ბუთი წლის წინ (მოთხრობის გმირივით) — ამას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ის ისეთი არსებაა, რომელსაც თავის თავში არ ეგულება არაფერი მარადიული, აღარც ეძიებს მას და სწორედ ამიტომ ემსგავსება ცხოველს. ხოლო მოთხრობაში „განაჩენი“ ნათქვამია: მთელი უბედურება ადამიანის დღევანდელი ყოფისა ისაა, რომ ეს ადამიანი გარდაუვალად იქცევა მხვერპლადაც და დამნაშავედაც; რომ თანამედროვე ცხოვრების წესით მცხოვრები ადამიანი თუნდაც არავითარ იურიდიულ დანაშაულს არ სჩადიოდეს, ცხოვრობდეს ჩვეულებრივად, ისე როგორც ყველა, — დანაშაულითაა დაღდასმული, რადგან თავად ეს ცხოვრების წესი აგებულია მორალურ დანაშაულზე მეორე ადამიანის მიმართ და ახალი „დამნაშავე“ (რაგინდ უდანაშაულოც არ უნდა სჩანდეს) — წყევლას და სასჯელს ვერ გაექცევა. („განაჩენი“ — შეკუმშული, ოდნავ სახეცვლილი ფორმით მოიცავს რომან „პროცესი“-ს აზრობრივ ბირთვს. ადამიანს მოულოდნელად ატყდება თავს აუხსნელი, წინაღუდგომელი მსჯავრი, უეცრად იბლართება მოუმზელთებელ, კოშმარულ სახამართლო პროცესში).

და ჩვენ ვიცით, რომ ზ. კაკაბაძის ფილოსოფიური აზროვნება სწორედ ადამიანს, როგორც ცენტრალურ პრობლემას, დასტრიალებს თავს. იგი იკვლევს მანქანურ-მექანიკური საუკუნის არასულიერ ტოტალობაში ადამიანური ხაწყობის კარგვის საშიშროებას, ეძიებს გზებსა და გამოსავალს სულის ავტონომიის გადასარჩენად. იგი წერს: „თანამედროვე ადამიანური საშეაროს ელემენტარული წესი მდგომარეობს შემდეგში: თანამედროვე ადამიანი აჩჩნევს მხოლოდ იმას, რაც კერძო, დროებითი არსებობით არსებობს, იგი მხოლოდ ამ სახით არსებულზე იღებს გეზს და ამის შესატყვისი კერძო, დროებითი, წარმავალი მიზნებით მოქმედებს.“ ხოლო თუ პოეტ ზ. კაკაბაძეს მივუგდებთ ყურს, იგივე შიში და შფოთი შემოგვესმება ადამიანში ადამიანის სიკვდილის გამო, — და დაუნდობელი, მაბრალებელი სიტყვა თანამემამულის, თანამოკალმის მისამართ, რომლის ყოფიერება და შეგნება ისე დავიწროებულა, რომ ჩამტკბარ-ჩამდორებული ოჯახური ცხოვრების არეს ვეღარ სცილდება: „ოჯახურ ალერსით თავს იგრძნობ მშვენივრად. არცთუ შეგიძლია სხვა ფიქრით ღელავდე... ეგ შენი ცოლია, ეგ ბავშვიც შენია — და ხარ კმაყოფილი ყველამდე. არასდროს არა ხარ შენ გულდაწყვეტილი, რიცა გაქვს ცხოვრება მდორე და მშვიდი. მხოლოთ რუკაზე შენ ორი წერტილი, გაქვს მიგნებული: ცოლი და შვილი. არცთუ შეგიძლია სხვა რასმე ხედავდე, და ხარ კმაყოფილი ყველამდე. მკვდარი ხარ, მკვდარი ხარ, დაგდგები თავდებად. მკვდარი ხარ და ცოცხლებს ამბოდ ეძრები. ხიცოცხლე იწყება, იქ სადაც მთავრდება მაგ შენი პატარა ოჯახის კედლები“. საქართველოში ამის თქმა ხაშიში გაბედულებაა, იმდენად ზენა, უმაღლესი მორალის გამოხატულებად, კაცობის უწმინდეს ხაზომად იქცა უმეტესობისათვის — ეს ელემენტარული რამ — ოჯახზე ზრუნვა, რომ ამის იქით თუ რაიმე არსებობს კიდევ, რაღაც უფრო დიდი, უფრო ხაპასუხისმგებლო — აზრადაც კი აღარ მოსდით. არადა, ვაი, რომ ვერც ერთ ხამსჯავროში ვერ გავმართლდებით: სულისთვის, ხამშობლოსთვის, კაცობრიობისთვის იმიტომ ვერ მოვიცალე, რომ ოჯახზე ვზრუნავდიო. და რა გამართლებულია ამ ლექსის გაშიშვლებული ხათქმელი, მარტივი ენა: განა ამ ლექსის ადრესატი კაფკასა და რილკეს რთულ წიგნებს დაიკლავს თავს? ან რაიმეს გაიგებს, კანტის, კიერკეგორის, ბუსერლის, ჰეგელისა თუ ჰაიდეგერის ფილოსოფიის ხიმაღლიდან რომ მიმართო მას, ვის არსებასაც ხისხლ-ხორციელი იმპულსები ამოძრავებენ და ტვინიც უნუგეშოდ გადაგლუვებია? ამ „ყველამდე კმაყოფილ“ ანუ „მკვდარ“ ფენომენს პირდაპირ, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ელაპარაკო და მაინც ღვთის წყალობად მიიჩნიო, თუ ოდნავ შეტოკდა. პოეტმა ზ. კაკაბაძემ გაბედა უმკაცრესი მსჯავრი გამოეტანა ქართველი კაცისათვის: ბრწყინვალე მამაცა და მეოჯახეც მკვდარია, ცოცხლებში არ არის ჩასათვლელი, უკეთუ საკუთარი ოჯახი მთლიანად ავსებს მის გულსა და გონს და იქ დიდი მატერიებისთვის აღარ სტოვებს ადგილს.

და სწორედ იმიტომ, რომ ფილოსოფოსი ზ. კაკაბაძე ადამიანში ადამიანის კარგვის ძირის-

ძირს ეძებს, ფ. კაფკას შემოქმედებას განიხილავს პირველ რიგში და უპირატესად მარადიულ საწყისთან მიმართებაში, თუმცა კაფკას შემოქმედებას ძირითადად მიიჩნევენ სრული ნეგატივიზმის, პესიმიზმის გამოვლენად და მარადიულის უარმყოფელ ანდა ვერდამნახავ მსოფლმხედველობად. ზ. კაკაბაძისათვის ამოსავალია კაფკას ცნობილი 50-ე აფორიზმი. „ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ისე, თუ მტკიცედ არა სწამს რაღაც დაუნგრეველი საწყისის არსებობა საკუთარ თავში". მიუხედავად იმისა, რომ კაფკასთან წარუვალი, გაუნადგურებელი, მარადიული საწყისი ასე პრინციპულად ერთადერთხელ იხსენიება, ზ. კაკაბაძისათვის საყრდენი სწორედ ეს გამონათქვამი ხდება. რადგან მისთვის, როგორც ფილოსოფოსისთვის ხომ ცხადზე ცხადია, რომ ჭეშმარიტება არ განიხილვრება მისი ხდომილება-გამოვლენის სიმბოლოთ, მისი გავრცელებულობით: სულაც არ არის აუცილებელი, ნამდვილი ანუ არსებითი ხშირად გამოვლინდეს თავის თავის იგივეობრივი ფორმით, სახელდებულად. ბიოლდერლინისა და გ. ირაკლის პოეზიაში ქრისტე ერთადერთხელაა ნახსენები, მაგრამ სრულიად აშკარაა მათი შინაგანი მზერის მიმართულება — ეს მზერა ნიადაგ მაცხოვარს ეძებს.

და კიდევაც რომ დაკარგულიყო ეს აფორიზმი, ისევე როგორც დაიკარგა და დაიწვა კაფკას უამრავი ნაწერი, განა ცხადი არ არის, რომ აბსოლუტური ნიმილიზმი ბერწია და ყოველგვარ შემოქმედებით ნაყოფიერებას გამორიცხავს? და რომ ერთი ხელოვანი სიკეთეს სიკეთის გამოხატვით ემსახურება, მეორე კი — ბოროტების კონსტატაციით? კაფკასეული ახალგის წესს შეიძლება პირობითად, ძველი თეოლოგიური ტერმინის გამოყენებით მწერლურ-მხატვრული პოეტიკა ეუწოდოთ, რაც გულისხმობს ღმერთის დაბასიათებას უარყოფითი მაჩვენებლებით: კაფკა ხომ ფაქტიურად ამას გვეუბნება: აი, იმ ადამიანის საბოლოო სახე, რომელსაც აღარ მყავს ღმერთი, აი, ცხოვრება, — საიდანაც განდევნეს ღმერთი. ის შედეგებული წყვდიადი, რაც გაბატონებულა კაფკას საშყაროში, სწორედაც რომ უმძაფრესად გვაგრძნობინებს ნათელს, რომელიც გაჭრალა. აკი თომას მანიც ამბობს კაფკაზე, არაფრისაკენ არ ილტვოდა ისე, როგორც ღმერთის სიაბლოვეში, ღმერთის სიმართლით ცხოვრებისაკენო. და ზ. კაკაბაძეც აღნიშნავს: „მის ნაწარმოებებში ადამიანთა ბედის რადიკალური შეკიწროება ჩანს როგორც შედეგი იმ გარემოებისა, რომ ადამიანებმა დაკარგეს სწორედ ეს „დაურღვეველი", აბსოლუტური, მარადიული მნიშვნელობის გეში, იდეალი და რომ ამგვარად მათ განკარგულებაში მყოფ ხაშუალებათა შორის მათ არ გააჩნიათ ამისი მიგნების საშუალება".

ბოლო პოეტი ზ. კაკაბაძე გვეუბნება: „სუსტი და კუნთაკლული . სული, მისი, საკუთარი არსებობის გამოცანათა ძიებე ტვირთს რომ ვეღარ უძლებს, ნელა, დეეშვა ტელევიზორის მოციმციმე ეკრანის წინაშე, რბილი და ფაფუკი სავარძლის სილრმეში და გალეშვამდე სვამს სიცარიელეს". „გალეშვამდე სვამს სიცარიელეს" — სიცარიელით გალეშილი ადამიანი: ე. ი. სიცარიელით დაბანგული, გამაძღარი, მოდუნებული: აი, უმძაფრესი, ბრწყინვალე პოეტური ფორმულირება იმ ადამიანისა, ვისაც დასტირიან თანამედროვე ფილოსოფოსები, მწერლები, პოეტები, კინორეჟისორები, მხატვრები, ისინი, რომელთა სულიერი ხაძმოს ერთიანი ხაუბარი და ღაღადისიც გაისმის ზურაბ კაკაბაძის მთელ ნაკაზრევში. და დავუკვირდეთ: ამ სიცარიელის ერთ-ერთი წყარო ტელევიზორის ეკრანია: კულმინაცია იმ ყველაფრისა, რაც დაუპირისპირდა, ჩაენაცვლა წიგნს, მარტოობას, ფიქრს, სევდიანობას, ყვავილებისა და ვარსკვლავების აუჩქარებელ ბგრეტას — ყველაფერს, რაც საკუთარი „არსებობის გამოცანებს" გვახსენებს, ყველაფერს, რისი წყალობითაც საკუთარ წიალს ჩახედავს ხოლმე ადამიანი: ამის ნაცვლად კი იგი ახლა აჩქარებით გარბის ყველანაირი გართობ-ხანახობისაკენ, დიდი ქალაქის ჭრელ-ჭრელი ატრაქციონებისაკენ, — რომელთაც რილკე „ხმაურის ყალიბში ჩამოსხმულ სიცარიელეს" უწოდებს, — ოღონდ კი არ დარჩეს მარტო, ოღონდ კი არ დაფიქრდეს „არსებობის გამოცანაზე" და, მაშასადამე, არ გამოერკვეს.

და ზ. კაკაბაძე ზუსტად იაზრებს იმ მიმართებას, რომელიც დამყარდება ამ ობიექტელურ მასასა და ახლად თარგმნილ „ძველ მწერალს" შორის, თუკი ამ მწერლის ნაწარმოები საერთოდ მოხვდა ამ „ზედაპირზე მოზიმზიმე მოდგმის" თვალთამზედვაში. აი, რას წერს იგი შეხანიშნავ ესსეში „არის მკითხველი..."—„მისი უგულითადესი სიყვარული ეკუთვნის კეთილმოწყობას, კომფორტს... იგი ეძებს დროის მოკვლის საშუალებებს, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და უხიფათოდ მიიტანოს თავი ხაუზმიდან ხადილამდე, სადილიდან ვახშამდე. იგი ეძებს რაიმე ისეთს, რაც ამ ინტერვალებში ფიზიოლოგიური პროცესების აკომპანიმენტის როლს შეასრულებს — იგი ეძებს თავშესაქცევს. ამ თავისებური გზით მის ცხოვრებაში მოულოდნელად იჭრება წიგნი. ოღონდ წიგნიც არის და წიგნიც. არის წიგნი, რომლის წაკითხვა ისეთ შინაგან დაძაბვას მოითხოვს, რის შედეგადაც შესაძლოა რამდენადმე შე-

ფერხდეს კუბის წვენის ნორმალური მუშაობა... ის, რაც მას ხძულს მძულვარე სიძულვილით, ეს არის ე. წ. „სერიოზული წიგნი", წიგნი, რომელიც... ეუბნება, შენი ცხოვრება სრულიადაც არ არის მოგვარებული, შენი ცხოვრების გზა არ არის ადამიანის გზა, იგი არის დაცემის, დანაშაულის, გადაგვარების, კატასტროფის გზა. შენ გეკალება გარდაქმნა შენი ცხოვრება". და აქ ფილოსოფოსი საინტერესო ფსიქოლოგიურ აღმოჩენას აკეთებს: „ასეთი ობივატელი თავდაპირველად მხარს უჭერს ტრადიციულ, ჩვეულ ლიტერატურას და უგულვებელყოფს თანადროულს. ეს იმიტომ, რომ ძველ ლიტერატურაში გამოხატული ცხოვრების კონკრეტული პრობლემები ჩვენი დროისთვის გადაწყვეტილი და მოგვარებული ჩანს. ჩვენს დროს სხვა სიძნელეები და პრობლემები ახასიათებს. ამიტომაც კლასიკური ლიტერატურა ნაკლებ ეშუქრება მის სიმყუდროვეს, ნაკლებად არღვევს ცხოვრების მოგვარებულობის განცდას". მაგრამ რაკილა ასეთ სნობს ეშინია, ჩამორჩენილისა და პრიმიტიულის სახელი არ გაუვარდეს, რაკილა გაუგია, რომ წიგნიერება, საერთოდ, და კერძოდ თანამედროვე მწერლების ცოდნა აუცილებელია, იგი იძენს ახალ ლიტერატურასაც, ხშირად ძალიან ძვირად. და რათა ამ თანამედროვე მწერლობის განსაკუთრებით მძაფრი და ტრაგიკული ტონით გუნებ-განწყობა არ აიმღვრიოს, იგი იწყებს ამ „სერიოზული ლიტერატურის მოთვინიერებასა და ნეიტრალიზებას:" „თავდაპირველად შეეცდება, თანადროული ლიტერატურა რაც შეიძლება დაუახლოვოს და დაამსგავსოს ტრადიციულს. შეეცდება, მაგალითად, არ შეამჩნიოს, რომ თანადროულ დასავლურ ლიტერატურას ტრადიციულ-კლასიკურისაგან მკვეთრად განსხვავებული, განსაკუთრებით ტრაგიკული ინტონაცია ახლავს. იტყვის: წინათაც იყვნენ ტრაგიკული ტემპერამენტის მწერლები, წინათაც იწერებოდა ტრაგედიები, მაგრამ მათ გვერდით იყვნენ შედარებით ლაღი, აღუშფოთებელი ტემპერამენტის მწერლები... ჩვენს დროში არაფერია განსაკუთრებით შემაშფოთებელი და საგანგაშო. მუდამ იყვნენ და იქნებიან მწერლები, რომლებიც რატომლაც შფოთავენ და განგაშს სტეხენ; ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. ჩვენ გვრჩება უფლება მივეჭიროთ იმათ, ვინაც ნაკლებ შფოთავს და ნაკლებ „განგაშობს". იგი ზოგჯერ არ სჯერდება ამგვარ შედარებით ზომიერ, კომპრომისულ საშუალებას და უფრო რადიკალურს მიმართავს. შეეცდება ლიტერატურა წარმოიდგინოს სრულიად უწყინარ საქმიანობად, ირწმუნება, ლიტერატურას ვალად ჰქონდა ის ადევს, რომ თვალი, ყური, გუნება, ფანტაზია გაგვირთოს და დაგვიამოს, რომ ლიტერატურას არაფერი ესაქმება ნამდვილი ცხოვრების პრობლემებთან... ამგვარი ოპერაციის შემდეგ მას აღარ ეშინია „სერიოზული წიგნისა", შეუძლია მიენდოს მას, როგორც ნაზი ოდალისკა უვნებელ საგურას. ეიდეულობს, იძენს, რაც აქ ყველაზე [illegible] ფასობს: პროუსტს, ჯოისს, [illegible] კითხულობს, ახსენებს, აქებს, ადიდებს, რა ენაღვლება, არც ერთი მათგანი ხომ არაფერს ამბობს მისი ცხოვრების თაობაზე... თუკი ეპვს შეიტანს და ეტყვი, კაცის საზარელ მწერად ქცევის ამბავი, ფრანც კაფკა რომ მოგვითხრობს, ნაკლებად შეეფერება ჩვენი გარეობისა და გუნება-განწყობილების დაამების მიზანსო — იგი არ დაიბნევა და გაიფიქრებს (თუ თქმას ვერ გაბედავს): გასაოცრად გამოდგება ყველაფერი, რაც უცნაური და უჩვეულო ჩანს. განა ასე არ ხდება ცირკში?... შემოვა კაცი, თავდაყირა დადგება და ხელებით გაივლის. ამით სრულიადაც არ უნდათ იმის თქმა, რომ ვიღაცის ცხოვრება რაღაცა აზრით თავდაყირა დამდგარა. არა, ეს უბრალოდ უჩვეულო და უცნაური რამაა და სწორედ ამითი ართობს მაყურებელს... ამიტომ მან, ცირკისა არ იყოს, თავდაყირა დააყენა ცხოვრებისათვის ჩვეული ვითარება, აიღო და თქვა: „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის სარეცელში რაღაც საშინელ მწერად ქცეულიყო". ამით კაფკას სრულიადაც არ უნდოდა ეთქვა, რომ ნამდვილ ცხოვრებას მსგავსი მიფათი ახასიათებს, ამას სრულიადაც არა აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, არა, ეს უბრალოდ უცნაურია, უჩვეულოა და ამიტომაც გვართობს და გვსიამოვნებს. დიახ, მას უნდა ლიტერატურა ცირკს გაუთანაბროს..."

სულიერ ლირებულებათა ეს გაუფახურება, ზედაპირული მახის შეუვალი ატროფია ზურაბ კაკაბაძის, როგორც მოაზროვნის, ერთ-ერთი უმძაფრესი სატკივარი გახლდათ. ამ სულიერი ატროფიის გარღვევის მიზნით ითარგმნა ყველაზე მწარე, დაუნდობელი, ტრაგიკული ხედვის მწერალი ფრანც კაფკა. ამ გარეობა-სანახაობას დაწაფებული, „სიცარიელით გალეშილი" ობივატელების „გამორკვევისათვის იყო, ისევ და ისევ რომ იმეორებდა ფილოსოფოსი ზ. კაკაბაძე: „საერთოდ, ობივატელური მახასიათვის ფრიად დამახასიათებელია, სერიოზულად არ მიიღოს ცხოვრების რადიკალურ შეფერხებასა და კატასტროფის სიახლოვეზე მინიშნება, რაც არ უნდა რეალისტური და დამაჯერებელი იყოს ეს მინიშნება. ამის თაობაზე წერდა სორენ კიერკეგორი: „კულისებში ხანძარი გაჩნდა, კლოუნი სცენაზე გამო-

ვარდა ბალბის გასაფრთხილებლად, ბალბმა ბუმრობად მიიღო და ტაში დასცხო, კლოუნმა გაფრთხილება გაიმეორა, ბალბმა აღტაცებასა და ტაშიხცემას უმატა... ვფიქრობ, მოვა დრო, როცა ეს გონებამახვილი ბალბი ბუმრობად მიიღებს და აღტაცებით შეეგებება ქვეყნის აღსასრულს".

ამლა, კაფკას სტილს რაც შეეხება, კაფკას ნაწარმოებებზე საერთოდ, განსაკუთრებით კი მცირე პროზის თაობაზე მკვლევარნი შენიშნავენ, რომ მათ მკაცრი აზრით ეანრული გამოკვეთილობა არ გააჩნიათ და ეანრული დიფუზიურობით არიან აღბეჭდილნი. თუმცა ეს შემოქმედება თემატურ-შინაარსობრივად „ყველაზე უფრო პროზაული პროზაა", მახასიათებელ კონსტრუირებისა და ასახვის მეთოდით ლირიკას უახლოვდება. მხედველობაში აქვთ ის, რომ კაფკას შემოქმედებას არ გააჩნია პროზისათვის ესოდენ ნიშანდობლივი დისტანცია სინამდვილესთან, გაშანძილება, საგაზეთო ობიექტივაცია, რომ აქ სინამდვილისაგან მიღებული შთაბეჭდილება უფროა ახასული, ვიდრე ობიექტური რეალობაა: უფრო ატმოსფერო, ვიდრე ემპირია; რომ მკითხველის მხედველობის არე მთლიანად ეთმობოდა პერსონაჟისას. ამის გამო მიიჩნევენ, რომ მისი ნაწარმოებები, ოდით რომანებიც კი განეკუთვნება იმ ეანრს, რომელიც ცნობილია როგორც „ლექსი პროზად", ეს ეანრი ბოდლერის შემოქმედებაში იღებს სათავეს და მთელ ევროპულ ლიტერატურაში ვრცელდება (ლირიკულ-ეპიკურის ახალი ურთიერთშეკრა XX საუკუნის პროზის ერთ-ერთი ნიშანია), ცხადია, კაფკას, — რომელსაც მიაჩნდა, რომ ობიექტური ჭეშმარიტების ცოდნა შეუძლებელია, — უნდა აესახა შთაბეჭდილება, მიღებული ამა თუ იმ მოვლენისაგან. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენად კონცეპტუალურ-ფსიქოლოგიური ფენომენია საერთოდ მწერლური სტილი.

კაფკა თავად ლექსს უწოდებს საკუთარ მოთხრობას, კერძოდ „განაჩენს". მას სურდა ეს მოთხრობა ისე დაებეჭდათ (სთხოვს ამას გამომცემელს), რომ მის ირგვლივ მეტი ცარიელი ადგილი დარჩენილიყო (ლექსის მსგავსად), რადგან, როგორც ამბობს: „განაჩენი" უფრო ლექსია, ვიდრე მოთხრობა". და სხვაგან: „ამ მოთხრობას უფრო ლექსის ბუნება აქვს, ვიდრე ეპიკური" და როგორ ესმის კაფკას „ლირიკული", ქარგად გვიჩვენებს მისივე სიტყვები: იგი ასე ესაუბრება ერთ მწერალს მის ნაწარმოებებზე: „თქვენი მოთხრობები უფრო იმ შთაბეჭდილებებს აღწერენ, რასაც საგნება აღძრავენ თქვენში, ვიდრე თავად მოვლენებსა და საგნებს. ეს კი ლირიკაა".

სწორედ აქ არის საძიებელი კაფკას სტილის ძირები.

კაფკას ენა ნათელია, ეკონომიური, მკაფიო, სადა: „საქმიანი თქმა" — როგორც იტყოდა რ. მ. რილკე. ფრაზები ზუსტია და კონკრეტული ინფორმაციის მომცველი, დაკრისტალებული, ცხადი ენით [illegible] კომშარულად გაუგებარი. [illegible] სიტუაციები. მაშასადამე: შინაგანად მიუწვდომელ-გაუგებარი გარეგნულად გარკვეულად არის გადმოცემული. ამავე დროს, რაკი მეტაფორა ნაწარმოების შიგნითაა შეტანილი (როგორც პარაბოლას ახასიათებს საერთოდ), და როგორც ფაბულური ბირთვი გაფრცობილ, ეპიკურ მეტაფორადაა ქცეული — ეწიდან ჭრება მეტაფორულობა, პოეტური მეტუველების ნიშნები.

როგორც ცნობილია, პროზის რიტმი უფრო რთული ფენომენია ვიდრე პოეზიისა, რადგან უფრო შინაგანი, უფრო ფარული ბუნებისაა (ლექსების წერისას გარეგანი საგნების რიტმი გუბმარება.. და ჩაგითრევს ხილვაში, რადგან ლირიკული საზომი ბუნებიდან მოდის. ეს არის წყლების, ქარის, ღამის რიტმი. პროზის რიტმის მოსაძებნად კი საკუთარ თავში უნდა ჩაღრმავდე და აღმოაჩინო სიხბლის უცნობი და მრავალფეროვანი რიტმი..." — რ. მ. რილკე). დიდი ეურადღებაა ხაზირო ამ რიტმის დასაჭერად, კაფკას მოთხრობებს, განსაკუთრებით „განაჩენს" ახასიათებს საგრძნობი რიტმი.

მათი ტონალობა ნეიტრალურია: არც ზეაწეული, არც მძაფრი, არც ენერგიული, არც ეგზალტირებული-მოთქმითი. ეს ფატალური ნეიტრალობა იმ ადამიანის უსასოო სიმწვადე გახლავთ, რომელსაც გამოსავალი არსად ეგულება და ამიტომ აღარ იძაბება მისი ძიებით.

თვალში საცემია ჭარბი, დაეანებული დეტალიზაცია, წვრილმანების ზუსტი აღწერა, მაგრამ მსგავსება ნატურალიზმთან მოჩვენებითია, რამეთუ წვრილმანების, დეტალების ფიქსაცია სინამდვილის თანმიმდევრულ ერთგულებას კი არ გამოხატავს, არამედ ისევ და ისევ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას გამოკვეთს, რასაც ახდენს საგანი, ადამიანი, სიტუაცია. იგი სიზმრის დეტალების ზემოქმედებას იმეორებს. ამასთან: „წვრილმანები ერთადერთი რეალობაა, რაც ვიცით" — წერს კაფკა, რადგან სინამდვილის არსი მიუწვდომელია. ამდენად დეტალები კაფკასთან გამოხატავს არა სინამდვილის ცოდნის პრეტენზიას (როგორც მიხთვის აუტანელ ბალზაკთან), არამედ პირიქით: სინამდვილის არსის პრინციპულ არცოდნას, გაუგებრობას. ამიტომაც გარეგნულად მკაფიოდ, დეტალურად აღწერილი სინამდვილე ნიადაგ გაბნეულია სიზმრისეულ ბურუსში,

ფაქტიურად სიზმრის ლოგიკით ლაგდება. ეს წერილის სიმწაკმპულური შედგომარეობაა: თან ზუსტი, თან გაფანგული, აუხსნელ-გაუგებარი მიძრაობა.

მაშასადამე, მთარგმნელმა უნდა დაიცვას ოქროს ზომიერება, წონასწორობა: ენა უნდა იყოს ხადა, ზუსტი, თანამედროვე, მაგრამ არა პრიმიტიული, არა დაშტამპული. რიტმი — არც ძალიან მელოდიურ-გამოკვეთილი, მაგრამ საგრძნობი, ტონალობა ნეიტრალური, მაგრამ არა ბლუვი (ჩუმად, ხილრმეში — დაძაბული), და რაც მთავარია, ზუსტად უნდა იქნას დაცული ფარული ლოგიკური მაბეილები და მოთხრობის ხიზმრისეული აურა.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ. კაკაბაძის თარგმანში მიღწეულია სრული ადეკვატურობა დედნის სტილთან, მთარგმნელის ენა ეს არის ხადა, ეკონომიური, თანამედროვე ქართული. მთარგმნელს არაოდეს სძლევს ესოდენ გავრცელებული ცდუნება: შეალამაზოს, „გააპოეტოროს" წერილის, ამ შემთხვევაში კაფკას არაპოეტური, ხაქმიანი მეტყველება. არადა, ჩვენში ხაკმაოდ ფეხმოკიდებული იყო და არის შეხედულება, რომ რაც უფრო დიდია მწერალი, მით უფრო ბატოვანი, მჩქეფარე, ლექსიკურად უმდიდრესი, მკვეთრი პოეტური აქსესუარით დატვირთული უნდა იყოს მისი მწერლური ენა. შესაბამისად, მიიჩნიათ, რომ ასეთი ზოგადი, უნივერსალური, ბატოვანი ქართულით უნდა „თარგმნოს ყველანაირი ნაწარმოები. ასეთი თარგმანი ითვლება კარგ თარგმანად, და ბშირად, თუ მთარგმნელი იცავს დედნის სტილს, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ გრძნობათხიბარებს, მეტაფორულობას, უამლოვდება ქრონიკის თუ დოკუმენტურ ოხრობას, არღვევს გრამატიკულ ნორმებს — მთარგმნელს ცუდ ქართულს, ენის უცოდინარობას უკიცინებენ. ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივ მბოლოდ ტრადიციული გემოვნების ჩარჩოებში მომწყვდეული ადამიანები არიან, რომელნიც ნაკლებად იცნობენ უცხოურ მწერლობას და მისი მხატვრული მეტყველების განვითარების კანონზომიერებებს. მაშასადამე, როგორ ბრწყინვალე ქართულსაც არ უნდა ფლობდნენ, თარგმნის, როგორც მკაცრად ორგანზომილებიანი ხელოვნების (მიმართება დედანთან, მიმართება ქართულ ენასთან) შემფასებლებად ვერ გამოდგებიან. ასეთი ცალმხრივი ესთეტიზმით, გარეგანი ბრწყინვალეებით აღბეჭდილმა ენობრივმა პოზიციამ ყარკვეულად დაამარცხა მკითხველის გემოვნება და დაუკვეთა მას უნარი შეიგრძნოს უბრალო სიტყვის, ხადა ნთქვამის ფერი, სტილური სიმკაცრისა და ხიზუსტის ხიდამაზე. მოლოდინად ნარმართა მკითხველის ყურადღება ფორმიხაკენ, გარეგანი ეფექტებისაკენ და ააცდინა იგი ნაწარმოების შინაგან სიღრმეს, თუ როგორ უპირისპირდება ამ ნაოალფარდოვან ენობრივ პოზიციას [illegible] ლეტერილკე (რომ აღარაფერი [illegible] გად გვიჩვენებს მისი ერთ [illegible]: „ო, როგორ მიყვარს ეს ხაწყალი, ჩემი სიტყვები, ყოველდღიურმა ცხოვრებამ რომ ცვითა, ათრია, მათ ჯმოხავ ჩემი ზეიმებით ნაირფერებით, ვეფერები და იღიმიან და უბარიან"... ხაკმარისია, ზოგჯერ მთარგმნელმა „ამუდ"-ს ნაცვლად დაწეროს „მზერა ალაპერო", ან „შეზედ"-ს ნაცვლად „თვალი ბკიდ", რომ უბრალოდ ხიხულელე მივიღოთ და სხვა არაფერი: ასეთი „მაღალი სტილი" ბშირად მბოლოდ პაროდიულ ხასიათს ძენს ამა თუ იმ კონტექსტს.

ცხადია, ზ. კაკაბაძეს, როგორც გერმანული ენის, გერმანული ხელოვნების ხამეარის, და კერძოდ, კაფკას შემოქმედების ბრწყინვალე მცოდნეს, ასეთი ჰეშმარიტებები არ ეხწაელებოდა. მაგრამ ასეთი გაუყალბებელი, მაღალმხატვრული თარგმანის აუცილებელი პირობა მთარგმნელის ტალანტთან ერთად მისი ბინდიხიერებაც იყო; აკ არ არის გამოტოვებული ან მიფუჩეჩებული ერთი ნაწილაკიც კი, რაიმე მცირე აზრობრივი ნიუანსი, არა მბოლოდ უნიკობა, არამედ უპატიოსნობაცაა ხოლმე ყალბი თარგმანის მიზეზი. მხოლოდ უპატიოსნო ადამიანს შეუძლია დაამაბინძოს სხვისი ნათქვამი და ასე გაყალბებულად გადაცეს სხვებს.

ახლა კი გავიხსენოთ, როგორ ფლერს კაფკას საბელგანთქმული მოთხრობის („მეტამორფოზა") დასაწყისი ქართულად: „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შეოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში რაღაც საშინელ მწერად ქცეულიყო. იგი ჯავშანივით მაგარ ზურგზე იწვა და თავის ოდნავ წამოწეულსა ხედავდა ამობურცულსა და ყავისფერ, მორკალული ქერქით დანაწევრებულ მუცელს, მუცელზე საბანი ძლივს უჩერდებოდა და ლამის მთლად ჩამოცურებულიყო. მის თვალწინ საცოდავად ფუსფუსებდნენ სხეულთან შედარებით შეუფერებლად წვრილი მრავალრიცხოვანი ფეხები".

ასე უბრალოდ, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე (რაც კიდევ უფრო აძლიერებს ხიპირქუშეს სინამდვილისას) გადმოცემულია ადამიანის გაარარავებული, უწყნო მდგომარეობა, ზურგზე მწოლიარე მწერი, რომელიც საცოდავად ახავსავებს ფეხებს და ვერაფერს უხერხებს საკუთარ სხეულს; საგნები კი მშვიდად აგრძელებენ თავიანთ ჩვეულებრივ ყოფას:... „მისი ოთახი, ზედმეტად პატარა, მაგრამ ნამდვილად

ადამიანის საცხოვრებელი ოთახი მუუდროდ სუფევდა კარგად ნაცნობ ოთხ კედელს შუა. მისი მაგიდის ზემოთ, რომელზედაც მაუდის ნიმუშების გახსნილი კომბლექტი ელაგა — ზამზა ბომ კომივოიაჟერი იყო — სურათი ეკიდა...'' დედანში ამ მონაკვეთის პირველი წინადადება ასეა დალაგებული: „მისი ოთახი, ნამდვილი, ოღონდ მეტიხმეტად პატარა ოთახი ადამიანისა''... „ადამიანის ოთახი'' — ეს გერმანულში ერთი სიტყვაა (მენშენციმმერ). ცნობილია, რომ ამ ენაში ორი არსებითი სახელი უმტკივნეულოდ უერთდება ერთმანეთს და იქცევა ერთ სიტყვად, ერთ ცნებად, რაც ქართულში არ ხერხდება და მთარგმნელი გონივრულად ცვლის სინტაქსურ რიგს და ამავე დროს უმატებს სიტყვას, რათა არც ერთი ნიუანსი არ გამოტოვოს. „მისი ოთახი, ზედმეტად პატარა, მაგრამ ნამდვილად ადამიანის საცხოვრებელი ოთახი''. ხოლო სიტყვა „სუფევდა'' უადრესად ზუსტად მიგნებული საშუალებაა გერმანული ზმნის „ლიეგენ''-ის გადმოსაცემად ამ შემთხვევაში. „ლიეგენ'' — ნიშნავს წოლას, დებას (იწვა, იდო), რაც ქართულში უაზრობას გამოიწვევდა. იქ „ოთახში'' ოთახის სივრცე იგულისხმება, და ნათქვამია, რომ ოთახი „ლაგ''ოთხკედელშუა — მაშასადამე, „სუფევდა'', ერთადერთი სწორი გზაა, თან განსაკუთრებით აძლიერებს ოთახისა და საგნების უძრავ, უცვლელ სიმშვიდეს.

ახლა, მოთხრობის სათაურს რაც შეეხება: „მეტამორფოზა''. დედანში მოთხრობის სათაური ხაკუთრივ გერმანული სიტყვაა: „დი ფერვანდლუნგ'' — რაც ნიშნავს „ფერისცვალებას'', რატომ აირჩია მთარგმნელმა უცხო ტერმინი, როდესაც არსებობს ასეთი მშვენიერი ქართული სიტყვა? სწორედ იმიტომ, რომ ეს სიტყვა მშვენიერია. ფერისცვალებას — ქართულში დადებითი ემოციური ველი, გნებავთ, სემანტიკაც აქვს: იწვევს ჩუნების ფერისცვალების, გონიერი კანონზომიერებით მოქმედი ცვლილების ასოციაციას; აღნიშნავს ქრისტიანული რელიგიის დღესასწაულს; მაშასადამე, დღესასწაულის ემოციური კონტექსტი შემოაქვს, გერმანული სიტყვა „ფერვანდლუნგ'' — კი სრულიად ნეიტრალურია, არა აქვს დადებითი ემოციური ველი, ყველანაირი ცვლილება შეიძლება იგულისხმო, იქამდე, ვიდრე აზრი დაკონკრეტდება. და რადგან მოთხრობა პირქუშ, კოშმარულ ცვლილებას ეხებავს, მთარგმნელმა გამოიყენა უცხო, ნეიტრალური სიტყვა: „მეტამორფოზა'', რათა უნებურად მხატვრულ ხერხად არ ექცია სათაური, და მწერლისათვის არ „დაებრალებინა'' ზედმეტი მხატვრული ეფექტი: დადებითი მოლოდინის აღმძვრელი სათაური მაპროვოცირებელ ფუნქციას შეიძენდა, რაც დედნის სტილის დარღვევა იქნებოდა.

ერთი ასეთი დეტალიც: კაფკა ფრჩხილებს არ ხმარობს, ჩართული წინადადებები ტირეებითაა გამოყოფილი. მთარგმნელი კი ჩართულ წინადადებას ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, ფრჩხილებში ათავსებს. [illegible] დადებითად, აქაც გააზრებულ კანონზომიერებას აღმოვაჩენთ: ქართველი მკითხველი გერმანულთან შედარებით ძალზე გავრცობილ სინტაქსურ პერიოდებს ნაკლებადაა შეჩვეული (გერმანული პროზისთვის ეს ტიპიურია, თან იმ პერიოდში, ე.ი. 1984 წელს გერმანული პროზის ნიმუშები ნაკლებად იყო თარგმნილი. მაშასადამე, ქართველი მკითხველი მაშინდა უნდა შესჩვეოდა ამ სპეციფიური სტრუქტურული სირთულის წინადადებებს). ხოლო ფრჩხილები გრაფიკულად იპყრობს მკითხველის უყურადღებას; სწორედ იმ მიზნით, რომ მკითხველი აზრობრივად შეჩერდეს (პაუზა გააკეთოს) ჩართულ წინადადებაზე, მთარგმნელს შემოაქვს ფრჩხილები და უმეტესად მაშინ, როდესაც ეს ჩართული წინადადება ძირითად წინადადებაზე უფრო მნიშვნელოვანი აზრისა თუ ინფორმაციის შემცველია. დავუკვირდეთ: „გრეგორის მძიმე ჭრილობა, რომელიც მას ერთ თვეზე მეტ ხანს სტანჯავდა (ვაშლი სხეულზე დარჩენოდა, როგორც თვალსაჩინო სახსოვარი, რამდენადაც ვერავის გაებედა ვაშლის სხეულიდან მოცილება), ყველას, მათ შორის მამასაც მოაგონებდა, რომ გრეგორი, მიუხედავად თავისი ამჟამინდელი, ხაცოდავი და ხაზიზღარი გარეგნობისა, მაინც მათი ოჯახის წევრი იყო...'' ხოგოდ ქცეული ვაუისთვის განრისხებული მამის მიერ ნასროლი და სამუდამოდ მის სხეულში ჩარჩენილი ვაშლი — ეს მთელი მოთხრობის მთავარი ლოგიკურ-ემოციური ბირთვია. და მთარგმნელი ზრუნავს იმაზე, რომ მკითხველმა განსაკუთრებული უურადღებით წაიკითხოს იგი. „ერთხელ დილით ადრე (ფანჯრებზე ძლიერი წვიმა ურტყამდა, რაც ალბათ მოახლოებული გაზაფხულის ნიშანი იყო) მოახლე ქალმა თავისი ჩვეულებრივი საუბარი წამოიწყო''. გაზაფხულის მოახლოება—აქ მთავარი ინფორმაციაა. მაშასადამე, ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელი ინარჩუნებს დედნისეულ ვრცელ პერიოდს. მაგრამ ხშირად იგი გერმანული ენისათვის დამახასიათებელ გრძელ სინტაქსურ ჯაჭვს წყვეტს და ორ ან მეტ წინადადებად ანაწილებს. მაგალითად: „გრეგორი შეაშინა საკუთარმა ხმამ, რომელიც უდავოდ მისი ადრინდელი ხმა იყო, მაგრამ რომელსაც თითქოს შიგნიდან რაღაც დაუხშობელი, საცოდავი ჭრიპინი ერთვოდა. ამის

�o მის სიტყვებს მხოლოდ ერთი წამით ჰქონდათ გასაგები ელერადობა, ხოლო შემდეგ კი იმდენად მაბინჯდებოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი სწორად გაგება. გრეგორს ხურდა დაწვრილებით ეპასუხა და უველაფერი აებსნა, მაგრამ ასეთ ყოფაში მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ თქვა: „ჰო, ჰო, გმადლობ, დედა, ახლავე ავდგები". ამ მონაკვეთის პწკარედული თარგმანი ასეთი იქნება: „გრეგორს შეეშინდა, როდესაც თავისი მოპასუხე ხმა (ე. ი. ხმა, რომელიც პასუხობდა) გაიგონა, რომლის ვერცნობაც არ შეიძლებოდა, ეს მისი ადრინდელი ხმა იყო, მაგრამ მას თითქოს ქვემოდან დაუხშობადი რაღაც წრიპინი ერთვოდა, (წრიპინი) რომელიც სიტყვებს მხოლოდ პირველ წამს უნარჩუნებდა სიმკაფიოვეს, რათა შემდგომი ელერადობისას ისე დაემაბინჯებინა, რომ კაცმა არ იცოდა, ნამდვილად გაიგონა თუ არა ისინი. გრეგორს ხურდა, დაწვრილებით ეპასუხა და უველაფერი აებსნა, მაგრამ ასეთ გარემოებაში, თავი იმით შეიზღუდა, რომ თქვა:..."

დედნის 2 წინადადება ქართულში 3 წინადადებადაა ქცეული. ამით მთარგმნელი, ჯერ ერთი, ინარჩუნებს რიტმს, რასაც ზედმეტი სიტყვები (თუნდაც კავშირები: რომელიც, საიდანაც, როგორც და ა. შ.), რაც დასჭირდებოდა გრძელი ხინტაქსური პერიოდის შენარჩუნებას, დაარღვევდა (ქართული სიტყვები ისედაც გრძელია გერმანულთან შედარებით): მეორეც: თავიდან იცილებს (ამ შემთხვევაში) ზედმეტ ხირთულეს, აღწევს ნათქვამის სიცხადეს, გამოკვეთილობას, ისე რომ ინარჩუნებს უველა ეზრობრივ, ემოციურ ნიუანსს. ახლა ცალკეული მომენტები: „ხმა... რომლის არ ცნობა არ შეიძლებოდა... ეს მისი ადრინდელი ხმა იყო", „არცნობა არ შეიძლებოდა" გერმანულში ერთი სიტყვაა, ქართულად ასეთი ერთსიტყვიანი ადეკვატი არა გვაქვს. მთარგმნელი წერს: „ეს უდავოდ მისი ადრინდელი ხმა იყო", „თავი იმით შეიზღუდა, შემოიხაზღვრა (он ограничился тем...), რომ თქვა..." თარგმანში: „მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ თქვა..." „ასეთ გარემოებაში" — თარგმანში: „ამგვარ ყოფაში". აი, ასეთი ზუსტი, მოკნილი და სადაა ხამივე მოთხრობაში მთარგმნელის ენა. ახლა კი მოვისმინოთ გრეგორ ზამზას აღსარება:

„ახლა რაღა ვქნა" —გაიფიქრა გრეგორმა და სიბნელეში მიმოიხედა. მალე აღმოაჩინა, რომ საერთოდ ველარ ინძრეოდა და ეს არც გაკვირვებია. თუმცა მთელი სხეული სტკიოდა, ამასთან აღმოაჩინა, რომ ტკივილი თანდათან უკუჩდებოდა და საცაა მთლად გაუვლიდა. ზურგში ჩაჭედილ დამპალ ვაშლსა და მის გარშემო ანთებულ სხეულს, რომელიც რბილი მტვრით იყო დაფარული, თითქმის ველარ გრძნობდა. ოჯახის წევრებს ახლა გულაჩუყებითა და სიყვარულით იგონებდა. მისი გადაწყვეტილება ოჯახის დატოვების შესახებ დის გადაწყვეტილებაზე უფრო მტკიცე იყო. იგი უსაგნო და ნეტარი ფიქრებით იყო გართული, როცა ქალაქის საათმა ლამის სამი დარეკა. როცა ფანჯარაზე გარიჟრაჟის [illegible] ლენა, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი [illegible] მოუკარდა თავი და ნესტოებიდან უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდა".

აქ დავუკვირდეთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში უაღრესად ნატიფ ნიუანსს: „იგი უსაგნო და ნეტარი ფიქრებით იყო გართული" — ასეა დახასიათებული გრეგორ ზამზას სიკვდილისწინა მდგომარეობა. დედანშია: „ლეერე უნდ ფრიიდლიხე გედანკენ". „ცარიელი და მშვიდი (უშფოთველი, მშვიდობიანი), ფიქრები". მაშასადამე „ნეტარი" — აქ არ არის. მთარგმნელი იურიდიულად მართალი იქნებოდა „ფრიიდლიხ" რომ ეთარგმნა: „მშვიდი", „უშფოთველი", მაგრამ აქ ხომ ზამზას სიკვდილისწინა წუთებია ასახული. ნათქვამია, რომ მისი სული სიყვარულით აღვსილა თავიხიანთა მიმართ. იგი გულაჩუყებით ფიქრობს მათზე და მათ სახიკეთოდ მიუღია კეთილშობილური გადაწყვეტილება: დახტოვოს ოჯახი. მაშასადამე, შემზადებულია ემოციური ველი სიტყვისათვის „ნეტარი". და თან ამ გრძნობათმოჭარბებულობასა და გულაჩუყებას — სიტყვა „მშვიდი" მაინცდამაინც აღარ უზდება. ამასთან სიტყვა „ფრიიდენ" გერმანულში არის მშვიდობა, „ფრიიდლიხ" — მშვიდი, მშვიდობიანი, მაგრამ ეს ძირი აწარმოებს აგრეთვე სიტყვასაც „ფრიიდჰოფ" — „სასაფლაო (სიტყვასიტყვით „სიმშვიდის, მშვიდობის ეზო"), ე. ი. გერმანელი მკითხველის ასოციაციათა წრეში ეს სიტყვა ქვეცნობიერად (და მით უმეტეს შესაბამის კონტექსტში) შემოიტანს სიკვდილის ემოციურ ველს (ისევე როგორც სიტყვა „გულმოდგინედ" და „გულდასმით" უფრო ემოციური სიტყვაა, ვიდრე „ბეჯითად", „მუყაითად" — ან „ყურადღებით"— რადგანაც ქვეცნობიერად მაინც „გულს" — გვახსენებს). მაშასადამე, სიკვდილის კონტექსტში სიტყვა „ნეტარი" — უაღრესად ფართო მნიშვნელობას იძენს: გულისხმობს წვალებისა და შფოთისაგან დახსნას, სიყვარულით აღვსებას, სულის ბედნიერ სიმსუბუქეს, უველაფერ იმას, რასაც მოიცავს ზამზას აგონიის ამსახველი მონაკვეთი.

„ეს მოხდა მშვენიერი გაზაფხულის კვირა დილით. ახალგაზრდა სოვდაგარი გეორგ ბენდემანი იჯდა თავის კაბინეტში, მეორე სართულზე. ეს ხახლი მდინარის პირას, ერთმანეთისაგან მხოლოდ ხიმაღლითა და შეფერილო-

ბით განსხვავებული, დაბალი და მსუბუქად ნაგები შენობების გრძელ რიგში იდგა. მას ახლახან დაესრულებინა წერილის წერა საზღვარგარეთ მყოფი სიყრმის მეგობრისადმი, დაეკეცა იგი ნებიერი აუჩქარებლობით და ფანჯარაში იხედებოდა საწერ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი. უცქეროდა მდინარეს, ხიდსა და გალმა ნაპირის ოდნავ ამწვანებულ ბორცვებს".

ახე იწყება მოთხრობა „განაჩენი". „მეტამორფოზისაგან" განსხვავებით მოულოდნელად თავს დატეხილ ხაშინელებას, კოშმარულ ცვლილებას წინ ასეთი მშვიდი, იდილიური ვითარება უძღვის. ეს ადგილი დედანში სამი წინადადებისაგან შედგება, თარგმანში — ხუთისაგან. ისევ და ისევ მთარგმნელი მოერიდა ზედმეტ ხიშტიმეს. გრძელ სინტაქსურ რიგს შეიძლება რიტმიც შესწირვოდა. ამასთან მოკლე წინადადებებმა უფრო მეტი სიმკაფიოვე, გამოკვეთილობა შესძინა ხურათს, უფრო დასამახსოვრებელი გახადა იგი. არადა, ეს გამოკვეთა აუცილებელია: გეორგ ბენდემანი ბომ სწორედ იმ მდინარეს გასცქერის ასე ნებიერად და არხეინად, რომელშიც რაღაც ერთი ხათის შემდეგ თავს დაიხრჩობს. ამ ადგილას დედანში ვხვდებით ერთ სათარგმნელად ძნელ მომენტს: ეს არის „spielerische Langsamkeit" (игривая медлительность). ეს სიტყვა „spielerisch" ძალზე ხშირად იხმარება გერმანულ ლიტერატურაში და (ისევე როგორც სხვა მრავალი) თარგმნიხას სპეციფიკურ სიძნელეს ქმნის (მაგ. игривая серьезность, игривая легкость, игривость და ა. შ.) ზ. კაკაბაძე თარგმნის: „ნებიერი აუჩქარებლობა" — ნებიერი: მაშასადამე: აუცილებელ, მიზანდასახულ მოქმედებას კი არ ასრულებს, არამედ თავისუფლად, დაუძახავად აკეთებს რაღაცას. ნებივრობს, ე. ი. თამაშობს.

შემდეგ: გეორგი ეუბნება მამას, ჩემი პეტერბურგელი მეგობრისთვის არ შემიტყობინებია ჩემი დანიშვნის ამბავი, რადგან ანგარიშს ვუწევდი (მხედველობაში ვიღებდი) მის მდგომარეობასო. ხაუბარში ეს გამოხატულია ასე: „Rücksichtsnahme", თარგმანში ვკითხულობთ: ტაქტისთვის ვიქცეოდი ასე, ტაქტისთვის". ეს არაჯართული, მაგრამ, ქართულ მეტყველებაში უაღრესად გავრცელებული სიტყვა ჩნდება იმიტომ, რომ შენარჩუნებული იქნას სადაპარაკო, ხასაუბრო მეტყველების კონკრეტულობა, უბრალოება და ლაპიდარობა. რაკიღა ქართულში გერმანული ენისაგან განსხვავებით არა გვაქვს ერთი სიტყვა, თანაც არსებითი სახელი, რომელსაც რაიმეს გათვალისწინებას ან მხედველობაში მიღებას გამოხატავდა, ისე რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ასე სმარება: „ტაქტისთვის ვიქცეოდი ასე, ტაქტისთვის".

„გეორგმა უსაყვედურა თავის თავს, რომ მამა ასე უყურადღებოდ მყოლია მიტოვებული". დროთა შესაბამისობის თვალსაზრისით, გრამატიკულად ალბათ უფრო გამართული იქნებოდა: „გეორგმა უსაყვედურა თავის თავს, რომ მამა ასე უყურადღებოდ მყავდა მიტოვებული." მაგრამ საქმე [illegible] რომ გეორგს ეს იქამდე არ [illegible]ერებული, იმ წუთამდე ეს არ იცოდა. სწორედ ამიტომ იყენებს მთარგმნელი თურმეობითს.

„გეორგმა ახედა საფრთხობელასავით აღმართულ მამას" — ვკითხულობთ თარგმანში, და „საფრთხობელა" ემოციურად ზუსტად მოძებნილი სიტყვაა კონტექსტისათვის. თუმცა იქ არის: „გეორგმა ახედა მამის შემაშინებელ (თავზარდამცემ) სახეებას".

ახლა ვნახოთ მოთხრობის ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი, როდესაც მამა მოულოდნელად გაამეღავნებს წლობით დაგუბებულ გულისწყრომას, ბრაზს, ბოღმას, მძვინვარებას ვაჟის მიმართ. აქ შემაშინებელი დაძაბულობის მთელი ხიმძიმე მოდის სიტყვა „დახურვაზე" (მახურავს), რომელიც მოულოდნელად ორაზროვანი ხდება.

„კარგად მახურავს?" — კიდევ მკითხა მამამ და ისე ჩანდა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით ელოდა პასუხს.

„დამშვიდდი, მამა, კარგად გახურავს".

„არა!" — იყვირა მამამ ისე, რომ პასუხი კითხვას მიენარცხა, ხანანი ისეთი ძალით გადადაიხროლა, რომ მაერში მთლად გაიშალა, და მოხუცი ზეზე წამოდგა. ცალი ხელით მსუბუქად მიეყრდნო ჭერს. „შენ კი გინდა კარგად დამხურო, ჩემო ძვირფასო ნაყოფო, მაგრამ ჭერ კიდევ არა ვარ დახურული. ძალაც შემწევს საკმარისი, საკმარისზე მეტიც. დიადაც, ვიცნობ შენს მეგობარს. იგი სწორედ საჩემო შვილი იქნებოდა".

აი, აქ სწორედაც უნდა იყოს: „შენ კი გინდა, კარგად დამხურო"... და არა „დამახურო" (თუმცა დედანში ეს ერთი და იგივე სიტყვაა), რადგან მამამ ვაჟის პასუხში: „კარგად გახურავს" — თავისი საწინააღმდეგო აზრი ამოიკითხა (რაც არსებითად სწორე იყო: გეორგი გაუცნობიერებლად მამას ანშობდა, ივიწყებდა, და (უთქმელად) უპირებდა ძველ სახლში მარტო დატოვებას, როდესაც თვითონ ცოლთან ერთად ახალ ბინაში გადავიდოდა), რომ ვაჟს ხურს მისი დახუფვა, ჩაკეტა, ჩაჩქმალვა. „ჩემო ძვირფასო ნაყოფო" — დედანშია ნაყოფის კნინობითი ფორმა, ირონიულ-სარკასტულ მნიშვნელობას რომ ანიჭებს სიტყვას; რადგან ნაყოფის კნინობითი ფორმა ქართულად არ გამოდის, და რადგან კნინობითს-მოფერების ფუნქციაც აქვს, ასე გაჩნდა ირონიული „ძვირფასო

ნაყოფო", თუმცა დედანში „ძვირფასო" არ არის. „ხაჩემო შვილიც" — კარგად გამოძებნილი, სხარტი და სრული ეკვივალენტია გერმანული გამოთქმისათვის „ein Sohn nach meinem Herzen."

ამ მოთხრობის დასასრული კი ასე ულერს: მაშასადამე, მამის მიერ დანაშაულში მხილებული და დაწყევლილი („მე შენ წყალში დაბრჩობით სიკვდილს გისჯი") გეორგ ბენდემანი გაექანება იმ მდინარისაკენ, რომელსაც ცოტა ხნის წინ „ნებიერი აუჩქარებლობით", უშფოთველად გასცქეროდა თავისი ფანჯრიდან და ხიდიდან წყალში გადაეშვება: „ერთბაგს მოაჯირზე ეკიდა ხელებით, მკლავებში ძალა ელეოდა, მოაჯირის რიკულებს შორის ავტობუსი დალანდა. მანქანის გრუხუნი იოლად დაფარავდა წყალში ჩავარდნის ხმას: წყნარად დაიძახა: „ძვირფასო მშობლებო, მე ხომ მუდამ მიყვარდით", მოაჯირს ხელი შეუშვა და მდინარეში გადავარდა. აქ „დალანდა" ენაცვლება სიტყვას „erspähte" (высматривать, выслеживать, узреть) და ზუსტად ჯდება ბენდემანის სიკვდილისწინა მდგომარეობის ამსახველ კონტექსტში.

ასევე კარგად მოძებნილი მიმართვის ფორმაა: „უფალო აკადემიკოსებო" („მოხსენებითი ბარათი აკადემიას"). დედანშია: „მაღალო ბატონებო აკადემიიდან", არქაული „უფალო" აძლიერებს ირონიულ ქვეტექსტს.

სიტყვები, რომელთაც გერმანულში ორი (ან მეტი) მნიშვნელობა აქვს და კონტექსტში კი ორივე (ან ყველა) მნიშვნელობა იკითხება, მთარგმნელს გადმოაქვს ორი (ან მეტი) სიტყვით, რათა არც ერთი ნიუანსი არ გამოტოვოს. მაგალითად, „აიგენზინნ" ნიშნავს თავნებობასაც, სიჯიუტესაც, მთარგმნელი წერს: „სწორედ ხწორედ ყოველნაირი თავნებობისა და სიჯიუტის დათმობა გავიხადე უმაღლეს ნორმად".

მაგრამ ეს ყველაფერი თარგმანის, ასე ვთქვათ, ტექნიკური დეტალებია, რომელთაც დასაბუთება-ანალიზის აუცილებლობა მოიძიებს ხოლმე, ხოლო ის უმთავრესი, რისი წყალობითაც განხილული თარგმანები მშვენიერი თარგმანებია — მოუხელთებელია: თუმცა იგრძნობა, მაგრამ ანალიზს არ ექვემდებარება.

კაფკას მოთხრობების ზურაბ კაკაბაძისეულმა (და შემდგომდროინდელმა) თარგმანებმა, ისევე როგორც ზურაბ კაკაბაძისა და ნოდარ კაკაბაძის წერილებმა განაპირობეს ამ რთული მწერლის დროული დამკვიდრება ქართველი მკითხველის ცნობიერებაში.

1982 წელს ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნდა ზ. კაკაბაძის მიერ თარგმნილი რაინერ მარია რილკეს რვა ლექსი. აქედან ოთხი ლექსი რილკეს ადრეული ლირიკის ნიმუშებია. ამ პერიოდის ლექსები (1895-97), რამდენადაც ისინი სუბიექტური შთაბეჭდილების, ემოციების უშუალო, პირდაპირ გადმოცემას ესწრაფვიან და ინარჩუნებენ მკვეთრად გამობატულ ბგერწერულ-მელოდიურ მუსიკალობას — ტრადიციულ პოეზიის საუფლოში რჩებიან, ისინი იმპრესიონისტულ ჩანახატებს, „განწყობილების ჟატარპატარა სურათებს" — წარმოიდგენენ, და აკლიათ ის მედიტაციური თვითმადრეკილება, განზოგადება, აზრობრივი ტევადობა, სიზუსტე და ობიექტურობა, რისკენაც ასე მიზანდასახულად ილტვოდა რ. მ. რილკე და რაც მის გვიანდელ ლირიკაში ხორციელდება.

ერთ-ერთი ამ ადრეული ლექსებიდან პოეტისა და მასის მარადიულ კონფლიქტს, ტრაგიკულ განხვავებულობას გადმოგვცემს. პოეტი სულის სამყოფელია, სულის კანონებით მცხოვრები არსება, მასა — სულიერობაჩამკვდარი, ყოფითი ცხოვრების ვულგარულობაში ჩაკარგული: არარას კერძი (მაგრამ ვიტალური და გამძლე). ამ ლექსის პწკარედული თარგმანი ასეთია: „სულს უწოდებთ თქვენ იმას, რაც საცოდავად წრიპინებს თქვენში, იმას, მასხარას ეფვნებივით ტაშსა და დაფასებას რომ ეძებს, და ბოლოს უბადრუკად კვდება უბადრუკი სიკვდილით გოთური ეკლესიის საკმევლის ბოლის მწუხრში, —ამას უწოდებთ სულს? — როდესაც შევცქერი ლურჯ ღამეს, მაისით დათოვლილს, რომელშიც (ღამეში) სამყაროები შორეული გზებით მოგზაურობენ, ისეთი განცდა მაქვს: (რომ) მარადისობის ერთ ნატეხს ვატარებ მკერდით. აი, ეს (ნატეხი) იძვრის, (ირყევა), და კივის (ჩემში) და ზემოთ მიიწევს და სურს იმ (ზედა) სამყაროებთან ერთად იტრიალოს (იბრუნოს) ... და ეს არის სული" ყური მივუგდოთ თარგმანს:

სულია განა, თქვენში მოელარუნე რომ არი
თითქოს მასხარას ეჟვანის ხმებად,
წარჩინების და ტაშის მათხოვარი,
ბოლოს რომ ისევ უმწეოდ კვდება
გოთურ ეკვდერის საკმევლის ბოლში
ეხვევა, ქრება...
სულია განა?
მე როცა ვუმზერ ლურჯთვალა ამინდს
მაისისაგან დათოვლილ ღამით,
რომლის სილრმეში იმთავით თურმე
სამყაროები მოგზაურობენ —
ისეა, თითქოს შევმართე მკერდით
მარადისობის ნატეხი ერთი:
და აკეკლებულ ვნებით ვნებული
აბორგებული, დაუდეგარი
იმ სამყაროებს დადევნებული —
სულაც ეგ არი.

ზმნები, რომლებითაც დედანში აღწერილია „მარადისობის ნატეხის" ანუ ადამიანის სულის მოძრაობა: ცახცახი, ზემოთ სწრაფვა მარადი-

ულ სამყაროებთან შესართველად, „თარგმანში მიმდინარეობებითაა გადმოცემული („აბორგებული, დაუდეგარი, იმ სამყაროებს დადევნებული“) და ამით მიღწეულია განსაკუთრებული დინამიურობა და კომპაქტურობა. კარგად არის მოძებნილი ზმნა „რიუთელნ“-ის შემცველი სიტყვა — ბორგვა („აბორგებული“), ხოლო სიტყვა „დადევნებული“ („იმ სამყაროებს დადევნებული“) კი საუცხოოდ ენაცვლება მთელ ფრაზას: „რომელსაც უნდა მათთან (იმ სამყაროებთან) ერთად ბრუნვა-ტრიალი“.

თარგმანის ბუნებრივი მღელვარება, წრფელი, პოეტური პათოსი კიდევ ერთხელ გაგვახსენებს მთარგმნელის პიროვნებისა და პოეტის შინაგან, სულიერ ნათესაობას, კიდევ ერთხელ გაგვახსენებს იმას, თუ რამდენად ორგანული იყო ზ. კაკაბაძისთვის სულიერი პიროვნების ეს ტკივილიანი სიამაყე, გამიჯნულობა არასულიერი ყოფისგან, რამაც მისი თარგმანი ასეთი დამაჯერებელი ინტონაციით გამსჭვალა და მის საკუთარ ლექსებში კი ჯერ კიდევ უმაწვილობის ხანს ასე წარმოჩინდა:

ღვთის წყევლა არი მუდამ გხედავდეთ,
მისთვის გამირბის თვალები მაღლა,
შმორიან ტბორში დგეხართ ყელამდე
და ბედნიერი ღიმილი გახლავთ

თქვენ აღტაცებას ძაღლივით ელით
როცა გულდაგულ დგეხართ ტალახში
და როგორც ცივი შეხება გველის
მე მეშინია თქვენი დანახვის.

ასევე ზუსტადაა შენარჩუნებული აზრი, ტონალობა და სახეობრიობა რილკეს ერთი თითქმის პროგრამული ხასიათის უსათაურო ლექსის თარგმანში; ამ ლექსის წყალობით მკითხველი კიდევ ერთხელ დგება იმ ფაქტის წინაშე, თუ როგორ უარყოფენ თავად სიტყვის დიდოსტატნი, სიტყვით შემოქმედნი სიტყვას, თქმას როგორც საგანთა მრუმე, მიუწვდომელი არსის არაადექვატურ, გამამარტივებელ გამოხატვას, და როგორ აღიარებენ სიტყვაზე უფრო მაღალ განზომილებას: უსიტყვო საუბარს, დუმილს როგორც ჭეშმარიტ ხედვას, ჭეშმარიტ სმენასა და ყოფნას. და აქ, ცხადია, მკითხველს მაშინვე გაახსენდება ტიუტჩევთან კატეგორიულ ფორმულად ჩამოყალიბებული: „«Мысль изречённая есть ложь».

კაცთა სიტყვებისაგან შიში და ძრწოლა
ამიტანს: ყველაფერს დაარქვეს სახელი
ეგ ძაღლი არისო და ის კიდევ სახლი,
აქ თავი არისო და იქ კიდევ ბოლო.
მე აზრიც მაშინებს სიტყვებში ნათქვამი.
მათ ყველა იციან, რაც იყო, იქნება,
მათ არ გააოცებთ მწვერვალთა მიგნება,
მათი საბრძანისი მიატანს ცათამდი.

განზე გავუდექი, სიტყვებს მოვერიდე,
მე თავად საგანთა სიმღერას ვისმენ,
სიტყვით ხელყოფილი მუნჯდება მყისვე,
კვდება და მუნჯდება ორგანული ყოველივე.

დედნის ბოლო სტროფი საინტერესოდაა შეცვლილი. დედანში: „მე სულ მინდა გაგაფრთხილოთ: დარჩით შორს, ხაგზები მღერიან, და მე სიხარულით ვუსმენ (მათ). როგორც კი შეეხებით, ისინი მაშინვე ზევდებიან და მუნჯდებიან. თქვენ მე ყველა ხაგანს (და)მილუპავთ“. მაშასადამე: აქ „სიტყვა“ აღარაა ნახსენები. მაგრამ „შეხებაში“ — სიტყვით შეხება იგულისხმება, ე. ი. ხაგნის სიტყვადქცევა. და ეს შეხება მომაკვდინებელია ხაგნებისათვის, ის კლავს მათ ხულს, ახევებს და ამუნჯებს მათ შინაგანობას. ამიტომ ჩნდება თარგმანში შესანიშნავი „სიტყვით ხელყოფილი“. თარგმანი წინ არ წამოსწევს ამ სტროფში მოცემულ პოეტისა და დანარჩენების ოპოზიციას: მე — თქვენ, რადგანაც პოეტის ხულიერი პოზიციის — შემოქმედებითი განდეგილობა-გარინდების გამოკვეთით, ეს ოპოზიცია თავისთავად იგულისხმება.

ამ ადრეული ლექსებიდან ორი, რომლებზედაც ახლა ვისაუბრებთ, სიყვარულზეა და შესულია კრებულში „ხიზმრების გვირგვინოსანი“ (თუ „ზმანებებით შუბლშემკობილი“), ეს კრებული ორი მიკრო-ციკლისაგან შედგება: „ხიზმრები“ და „სიყვარული“ (უფრო სწორად, მრავლობითში: „სიყვარულები“). აი, ამ მეორე ციკლიდანაა ეს ორი ლექსი, ციკლი 22 ლექსისაგან შედგება და სხვადასხვაგვარად განცდილ სიყვარულს წარმოგვიდგენს. ხან შეყვარებულნი გვიხსნიან გულს, ხან კი თავად პოეტი გვიამბობს, თუ ვისთან როგორ მივიდა სიყვარული, რა მიუტანა, როგორ დასტოვა, რა დაუტოვა; ვინ ბედნიერებად განიცადა იგი, ვინ ხაშინელებად და თავზარად და ა. შ. ამ ციკლის პირველი ლექსის პწკარედული თარგმანი ასეთი იქნება: „როგორ მოვიდა შენთან სიყვარული? მოვიდა იგი როგორც მზისა და ყვავილთა თოვა, თუ მოვიდა ლოცვასავით? — მიამბე; რაღაც (ერთი რომელიღაცა, ერთ-ერთი) ბედნიერება სინათლის ფრქვევით (ნათებით) გამოეყო ცებს (მოხწყდა) და გაშლილი (ფრთების) რხევით დაეკიდა ჩემს აყვავებულ ხულს...“ მაშასადამე, აქ სიყვარული განცდილია რაღაც სხივოსან, დამაბრმავებელ, ციდან ჩამოფრენილ ბედნიერებად, ხულის გაზაფხულად. ახლა ყური მივუგდოთ თარგმანს:

როგორ მოვიდა, მოგეახლა სიყვარული
მაინც თავიდან,
იქნება ისე როგორც თოვლი მზის თუ
ყვავილთა,
იქნება ისე, როგორც ლოცვა? — მიამბო,
მინდა....

ბედნიერება მოსკდა ცათა, ტანმოელვარე,
და აფეთქებულ, აყვავებულ სულის
მწვერვალზე
გადმომეკიდა მოკნეულ ფრთითა...

ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენ წინაშეა აზრობრივ-ემოციურად ადექვატური თარგმანი. (დაცულია დედნისეულ რითმათა სქემაც: aab ccb). სადაც მთარგმნელის შემოქმედებითი თავისუფლება ამ ლექსის (და საერთოდ რილკეს პოეტიკის) რადიუსით ვრცელდება მხოლოდ, ეს თავისუფლება იმით გამოიხატება, რომ ემოციურად აზუსტებს დედნისეულ ხატს, ან ავსებს კონტექსტს იმ ხატით, რასაც ჩვენს წარმოსახვაში აღძრავს დედნის ესა თუ ის სიტყვა. ასე მაგალითად, თარგმანში ჩამატებული სიტყვა: „მინდა" („მიამბო, მინდა") ნაცვლად დედნისეული ერთი სიტყვისა: „მიამბე" აძლიერებს ლექსის დიალოგურ ხასიათს. (ლექსის I სტროფი ხომ პოეტის შეკითხვას წარმოადგენს, II კი — შეუყვარებულის პასუხს), ამ კითხვა-პასუხს მეტ სითბოს, სასაუბრო ინტონაციას ხძენს. ხოლო მეორე სტროფში ჩამატებული სიტყვა „ტანმოელვარე" (ბედნიერება) გამოკვეთს იმას, რომ ბედნიერება აქ დამოუკიდებელ რაღაც არსებობაცით „იქცევა". ხაერთოდ გერმანულში უკუქცევითი ზმნები (დედანში ასეთი ზმნაა „sich loslösen" — გამოეშვა, განთავისუფლდა, გამოეყო) უპირატესად სულიერ არსებებთან, დამოუკიდებლად, თავისიანებით მოქმედ არსებებთან იხმარება, და არა აბსტრაქტული, ზოგადი ცნებების მიმართ. მაგრამ რილკეს პოეტური აღქმა-ასახვის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ის გახლავთ, რომ არა მარტო ნივთები და საგნები, არა მხოლოდ ცხოველები და მცენარეები, არამედ მოვლენებიცა და ზოგადი ცნებებიც (როგორიცაა სიყვარული, სიხარული, ბედნიერება, ჭეშმარიტება, ან ხანძარი, ცეცხლი თუ წვიმა) — ყველაფერი აღამიანივით „იქცევა", ყველაფერს ადამიანისთვის დამახასიათებელი „ქცევა" და ზნე მიეწერება. მაგალითად, მის პროზაში: „ეს ჭეშმარიტება იმიტომ მეწვია, რომ სურდა (ე. ი. ჭეშმარიტებას სურდა) მე ის ვინმესთვის გამეზიარებინა". „სიცილმა შეწყვიტა ჩემი გაგუდვა". „მისი ცხოვრება მასთან არ მივიდა და ამით გამოტოვა შესაძლებლობა: დიდებულად ყოფილიყო ნაცხოვრები". მაშასადამე: ჭეშმარიტება იქნება ბედნიერება, ცოდვა თუ შიში— რილკესთან ყველაფერი დამოუკიდებლად არსებული და მოქმედი ფენომენებია და სულიერი არსებებივით „იქცევიან" (ამდენად აქტიურ ქვემდებარეებად გვევლინებიან ხოლმე წინადადებაში), ამიტომ სიტყვა „ტანმოელვარე" გამოკვეთს ბედნიერების როგორც ცოცხალი არსების სახეს. ზმნა „მოსკდა" („ბედნიერება მოსკდა ცათა") მაქსიმალურად ენერგიულ, მძაფრ მოძრაობას ანიჭებს სახეს, ხოლო თარგმანში წარმოქმნილი, არადედნისეული სიტყვა „მწვერვალზე" („სულის მწვერვალზე") იმდენად ლოგიკურ-ემოციური შეგრძნებაა კონტექსტისა, ხატისა, რომ წარმოუდგენელიც კი ხდება უიმისობა: სული აყვავებულია, მაშასადამე, აღტაცებული, ზემოთ მიმწვრაფი, ასე ზეაზიდულ სულს (სულის მწვერვალს) სიმაღლეში ეგებება და ზედ ეკიდება ციდან დაშვებული ბედნიერება. ეს ჩანართი („მწვერვალზე") დედნის ემოციურ-ვიზუალური კონტექსტით ნაგულისხმევი სახეა. თარგმანში ისეთი სიტუაციურ-სასაუბრო უშუალობა და ინტიმურობაა შენარჩუნებული, რომ მკითხველს ადვილად ამახსოვრდება ზეპირად, თან მიბყვება და ამა თუ იმ გრძნობად სიტუაციაში ახსენდება. ხოლო მრავალს ალბათ ზ. კაკაბაძის ერთ ადრეულ ლექსს გაახსენებს ეს თარგმანი: („როგორ მოვიდა, მოგეახლა სიყვარული მაინც თავიდან?").

„მოვიდა... — სიზმარში ნახული მეგონა —
ბალღის თვალებით და ქალწულის ტანითა,
დედოფალივით ლამაზი გოგონა
ჰადასტანიდან".

მეორე (ხსენებული ციკლის რიგით მეცხრამეტე) ლექსი კი სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავს: წინა ლექსში ნადღესასწაულები, სულის აფეთქებულ-აყვავებული გაზაფხულის ნაცვლად აქ სიყვარულის შემოდგომა დგას: ზიზით აღვსილი, ცრემლიანი და გაწბილებული. ლექსის პწკარედული თარგმანი ასეთია: „მას (ქალს) არ ჰქონდა არავითარი ისტორია (ამბები), (ყოველგვარი) მოვლენების (ამბების) გარეშე მისდევდა წელიწადი წელიწადს — ერთბაშად მოვიდა დიდი ხანათლით (ერთიანად ხინათლედ ქცეული) — სიყვარული, თუ რაც იყო. შემდეგ კი უცბად მან (ქალმა) იხილა იგი (სიყვარული) ზიზნეულად დაღვრილი (დაქცეული)... და დგას გუბურა (ტბორი) მისი სახლის წინ... (თითქოს) სიზმარივით იწყება (ხოლმე) ეს (სიყვარული) და ბედისწერასავით მთავრდება (მიდის). ე. ი. მოსვლისას სიზმარსა მგავს, წასვლისას კი (ვხვდებით, რომ უკვე) ბედისწერაა. აი, როგორ ეღერს თარგმანი:

მას მუდამ ჰქონდა ცხოვრება მშვიდი,
ამბებით დიდით,
არა ყოფილა გალალებული,
წლები წლებზე ისე აღესრულებია.
და მერე უცებ დაეშვა თვალწინ
შუქიანი და გაჩალებული
სიყვარული, თუ რაც იყო, სულერთია.
ქალმა თვალი გაუშტერა ზიზნარევი

გუბეად დამდგარს და სახლის წინ
მინატბორევს...
ასე იცის, დაიწყება სიზმარივით,
მერე როგორც ბედისწერა მიგატოვებს.

მთარგმნელი, იხევე როგორც ყველგან, ამ ლექსშიც ზუსტად ინარჩუნებს არა მარტო აზრობრივ-სახეობრივ კონტექსტს, არამედ ლექსის ერთ-ერთ უმთავრეს მომენტსაც: ტონალობას: სიყვარულის მოსვლამდე და მისი წასვლის შემდეგ გამეფებულ შემოდგომის ხალამოს, გუბურაში არეკლილი მწუხრის სევდიანი, თუმცა არა მძაფრი, არა ეგზალტირებული განწყობა გაჟღენთავს ლექსს. მაგრამ გადასვლა (თარგმანში) პირველი სტროფიდან მეორეზე აუცილებლად ითხოვს დეღნისეულ: „შემდეგ"-ს (ან ცოტა ხნის შემდეგ), რაც გვეუბნება, რომ სიყვარულის მოსვლის შემდეგ გარკვეული ხანი გავიდა და ეს სიყვარული (შემოდგომის) გუბურას დაემსგავსა. ამ სიტყვის გარეშე არ ჩანს და არ იგრძნობა დროის მონაკვეთი, ხანის გასვლა. სამაგიეროდ, ბრწყინვალეა გადასვლა მეორე სტრიქონიდან მესამეზე, როდესაც ზოგადდება სიყვარულის ბუნება: „ასე იცის", „ასე იცის: დაიწყება სიზმარივით". „ასე იცის" — აღიარებაა (სიყვარულის ბედისწერული ივითნებობისა. იგი არავის და არაფერს არ ემორჩილება. თავად უმორჩილებს ყველაფერს თავის შეუვალ, თავნება კანონს. „ასე იცის" — აღიარებაცაა და შეგუებაც. და ასე, აღიარებისა და შეგუების ხიდად ერთი ინტონაციური რეგისტრით ძლიერდება თარგმანში.

აქ ერთ დეტალზე ღირს ყურადღების გამახვილება: „ქალმა თვალი გაუშტერა შიშინარევი გუბეად დამდგარს და სახლის წინ მინატბორევს:" „მინატბორევს" მთარგმნელის მიერ წაწარმოები სიტყვაა, პოეტური ნეოლოგიზმი, რომელიც მაშინვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მას ერითმება „მიგატოვებს" და რითმის თვალსაზრისითაც ძლიერდება ორიგინალურობა, მაგრამ ზ. კაკაბაძე ყველა სხვა შემთხვევაში თავს არიდებს უჩვეულო, მოულოდნელ ნეოლოგიზმებსაც და თვალში საცემ, ეფექტურ, მრავალმარცვლიან რითმებსაც, რადგან ძალზე ადვილად მოეხვენება, რომ რილკეს პოეტიკა, როგორც ერთიანი, შეკრული ფსიქოლ-მხედველობრივ-ესთეტიკური სისტემა, მსგავს მოვლენების გამორიცხავს. რითმის ესთეტიკური ფუნქცია და ზემოქმედება გვიანდელ რილკესთან (და უმეტესად გერმანულ ლირიკაში) მინიმალურია. რითმას აქვს არა ესთეტიკურ-ფორმალური, არამედ სტრუქტურული მნიშვნელობა. იგი შემაკავშირებელ-მომაწესრიგებელი ხაშუალებაა, აზრისთვის მტკიცე კალაპოტის მიმცემი: ყალიბი. რილკეს გვიანდელი ლექსის არცერთი კომპონენტი ცალკე არ გამოეყოფა მთლიანობას, არც მეტაფორა, არც რითმა, არც მუსიკა. არც ერთმა დეტალმა გამოცალკევებულად არ უნდა მიიპყროს მკითხველის ყურადღება, დეტალები ჩაკარგულია, ჩაფლულია ლექსის მთლიანობაში, რომელიც ერთმანეთში შედნობილი აზრისა [illegible] ელემენტის წარმოადგენს. მკითხველის ყურადღებას ეს შინაგანი ერთიანობა იპყრობს, მთლიანი სათქმელი, ნათქვამი, რომელიც ერთმანეთში გაჟღენთილი აზრობრივ-ემოციური ელემენტების თანაზომიერებითაა ალბედეული და გვეგულინება აზრის განვითარების უჩვეულო, უმძლავრეს დინამიკად, აზრისა, რომლის ხიდრეშიც ჩაფლეკილი განცდა. ეს განცდა არ გახლავთ არც მოხეთქილი ლავა, არც პირველი შოამეგდილება, არც წამიერი განწყობილების ტალღები, იგი დაწმენდილია, დაურეცხულია ობიექტური ხედვის წონახწორობით. ქართულ ლირიკაში რითმას მეტი ესთეტიკური დატვირთვა აქვს, ენაში რითმის რესურსები გერმანულთან შედარებით უსახსრულოდ მეტია, ეს რესურსები, განსხვავებით გერმანული ენისაგან, ამოწურული არ არის, ამიტომ ძიებებს, მიგნებებს რითმის მრავალფეროვნებისა და ორიგინალურობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ზშირად კი ფორმალობად და თვითმიზნად იქცევა. რაც შეეხება რილკეს ლექსს, საკმარისია თარგმანში რითმა თავისი მოულოდნელობით, ეფექტურობით, ერთი სიტყვით, თვალში საცემი ორიგინალურობით ამოვარდნილი იყოს ლექსის ერთიანი თანაზომიერებიდან, წონასწორობიდან, რომ რილკეს მცოდნე მკითხველმა მაშინვე წამოიძახოს: „ეს შეიძლება ძალზე ლამაზი და ეფექტური, მაგრამ რილკე ნამდვილად არ არის. ასეთი რამ აყალბებს რილკეს ლექსის ბუნებას, მისთვის ბუნებრივ ზემოქმედებას." ამიტომ საგანგებო მარეგულირებლად იქცევა ზ. კაკაბაძე (და რილკის სხვა, დღევანდელი მთარგმნელებიც). როდესაც უბრალო, ხადა, არა თვალში საცემ რითმებს მიმართავენ, რათა რითმამ და სხვა კომპონენტმა ცალკე არ წარიტაცოს მკითხველის გულისყური, რომლის მთლიან კონცენტრაციასაც ლექსის სათქმელი. შინაგანი ხიდრე ითხოვს. (ალბათ ასეთი ბუნება და ფუნქცია აქვს რითმას ბარათაშვილთან და ვაჟა-ფშაველასთან).

რითმასთან დაკავშირებული ეს ეპიზოდური იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეთქვა: თუ ადრეულ ლექსებში, რომლებიც ამ მკაცრი სტრუქტურით არ გამოირჩევიან, ზ. კაკაბაძე უფლებას აძლევს თავს — აწარმოოს ასეთი სიტყვები: „მინატბორევს" (მიგატოვებს) — გვიანდელ ლექსებში იგი სრულყოფილად იცავს რილკეს ლექსის შინაგან-გარეგანი ერთიანობის, თანაზომიერების მკაცრ პრინციპს

და აი, შედარებით გვიანდელი ლექსებიდან ერთ-ერთი, ისევ სიყვარულზე, და რამდენად უფრო გალრმავებულია პოეტის ხედვა, განცდა! ლექსი სათაურით „ხიჩუმე" მარტოობის ფუნარ, უჩუმარ საუფლოში გარინდებული შეყვარებულის უსათუთეს ეესტიკულაციასა და შეგრძნებებს გადმოგვცემს, როდესაც სიმარტოვით, მონატრებითა და მწუხარებით განატიფებულ-გამჭვირვალებული სული ასეთ უხილავ აღმოჩენებთან მიდის; რომ „სულის ყოველი ოდნავ გაურეოლება სივრცეთა ფარდებზე აჩნდება ზოლებად". ლექსი შესულია ციკლში „სურათთა წიგნი". სადაც საგრძნობლად დაძლეულია განწყობილების ლირიკის სიმსუბუქე და პოეტის დახრულებული მზერა საგან-მოვლენათა სიღრმისაკენ მიიკვლევს გზას. სათაური „სურათთა წიგნი", ცნება „სურათი" გულისხმობს მიანიშნოს ხატი და საბე, დამოუკიდებელ სურათად წარმოადგინოს, როგორც კონკრეტული საგნები, მოვლენები, ისე განცდები, სულიერი მდგომარეობანი, ზოგადი ცნებები. ლექსებში „ხიჩუმე", „ძრწოლა", „წინათგრძნობა", „წინსვლა" და ა. შ. გამოძერწილია მედიტაციურ-სახეობრივი სურათი ამა თუ იმ მოვლენისა: ეს სურათი სცილდება კერძოს, წამიერსა და შემოხვევითს და განზოგადოებული, უსახრულოსთან მიახლოებული, გალრმავებული ხასიათით იძენს თავის ლირებულებას. „სურათთა წიგნი" — პოეტის სერიოზული წინსვლაა ობიექტური ხედვა-ასახვისაკენ. „საქმიანი თქმისა" და „საგანთა პოეზიისაკენ" მიმავალ გზაზე. მისი მეტყველება უფრო ბერმეტიული, (ნაკლებად გალვრილი), ლექსი უფრო შეკუმშული და აზრობრივად ტევადი ხდება. „ხიჩუმე" ამ ციკლის ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსია და ზ. კაკაბაძის თარგმანი ტოლს არ უდებს დედანს. თარგმანი, როგორც წინა შემთხვევებში, ძალზე ზუსტია, ამიტომ პწკარედული თარგმანით აღარ შევაწუხებ მკითხველს. (ასეთი აუცილებელი განსხვავებებია მხოლოდ: დედანში „უმცირესი აღელვება", თარგმანში: „სულის ყოველი ოდნავ გაურეოლება", ანგელოზთა ხელების ხანსრები", — „ანგელოზთა ხელის მტევნები"). მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას: დასაწყისის მესამე-მეოთხე სტრიქონების აზრი ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული, იმისდა მიხედვით, თუ სად წარმოვიდგენთ მძიმეს (რომელიც დედანში არ არის): „რა ეესტებს (აღარ) იპოვის (მიმართავს, აღმოაჩენს) მარტოსული კაცი, რომელსაც არ უყურადებს (უსმენს) მრავალი საგანი" მე პირადად ასე მესმის. მეორენაირად ზუსტად ხაპირიხპირო აზრი იკითხება: „რა ეესტებს (ეესტიკულაციას, მოძრაობებს) აღარ მიმართავს მარტოსული კაცი, რომელსაც უსმენს მრავალი საგანი". ასე იგებს მთარგმნელი ამ სტრიქონებს. ჩემი აზრით, მარტოსული, შეყვარებული მამაკაცი ათასგვარ მოძრაობას, ეესტს მიმართავს თავისი მონატრებისა და მწუხარების გადმოსაცემად. და ამ ეესტებს (თვალების დახუჭვა, გაბერა, ხელების ზემოთ აღმართვა და ა. შ.) იმიტომ მიმართავს თავისუფლად, რომ დარწმუნებულია: სრულიად მარტოა, საგნები (ადამიანები) თვალებენ, არ უყურადებენ, გარიდებულია ყველაფერს. (ან: თვითონ ჩგონია ასე), სხვა შემთხვევაში ამ ეესტებს თავს აარიდებდა, მოერიდებოდა, თავს არ გაამჟღავნებდა. მთარგმნელის გაგებით: მარტოობის ჟამსაც კი ადამიანი არ არის მარტო, მას გარს ახვევია საგნები, რომლებიც უთვალთვალებენ, უყურადებენ. საქმე ის გახლავთ, რომ ორივე ეს გაგება რილკეს მხატვრული აზროვნების წრეშია მოქცეული. მარტოობის ეს უკანასკნელი (მთარგმნელისეული) გაგება ძალზე არსებითია რილკესათვის და უაღრესად ხშირად იჩენს თავს მის შემოქმედებაში. მაგალითად, ერთ-ერთ ადრეულ ლექსში პირდაპირ ფორმულასავითაა ჩამოყალიბებული: „არასოდეს არა ვარ მარტო. . რადგან ყველანი, ვინც ჩემ (თვალ) წინ ცხოვრობდნენ, მერე კი მშორდებოდნენ (სადღაც შორს მიისწრაფოდნენ), ქსოვდნენ. ქსოვდნენ ჩემს არსებობას (ყოფიერებას). ამიტომ ისინი სულ ჩემთან არიან, ჩემთანაა ჩემი ბავშვობაც, საგნებიც და ჩემში ჩალექილი წლებიც. არასოდეს არა ვარ მარტო". მარტოობის ამ კონცეფციის საფუძველზე კითხულობს მთარგმნელი ხსენებულ კონტექსტს ისე, როგორც კითხულობს. მაშასადამე, პოეტის მსოფლგანცდას კი არ არღვევს, არამედ მისი რადიუსით მოქმედებს. (მე, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ აქ განსაკუთრებულ მარტოობაზეა ლაპარაკი, როდესაც მარტოხული მამაკაცი იმდენად მარტოა, იმდენად შორსაა ყველაფრისაგან, რომ საგნებიც კი ველარ უყურებენ. ან ყოველ შემთხვევაში, თვითონაა დარწმუნებული ასე, რაც განსაზღვრავს მისი ეესტების განსაკუთრებულ მგრძნობელობას). აი, სწორედ ეს ხაკამათო სტრიქონებია ხოცრად ლამაზად, შემოქმედებითი თავისუფლებითა და სინატიფით ნათარგმნი. ეესტიკულაციის, საერთოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი მოძრაობების აღმნიშვნელი სიტყვა გერმანულ ენაში საკუთრივ გერმანული, ძირეული სიტყვაა „გებერდე", რაც თარგმნისას, განსაკუთრებით კი პოეტურ ტექსტში, დიდ სიძნელეს ქმნის (ზ. კაკაბაძე იყენებს სიტყვას „მიმოხვრა" რომელიც ბგერწერულ მუსიკას ქმნის სიტყვებთან „ნაირხმა" და „დაირხა".

„ხმამ მუდამ მოისმენს საგანი მრავალი
მარტოობის ჟამს დაცდენილ მიმოხვრის
ნაირხმას..."

ლექსი წარმოადგენს შეყვარებული, მარტოსული მამაკაცის უჩუმარ-ფსიტყვო მიმართვას შორეული სატრფოსადმი და იწყება სიტყვებით „გესმის, სატრფოვ...“ მაგრამ მიმართვა „სატრფოვ“ თანამედროვე პოეტის ენა არ არის. გალაკტიონისთვის ასეთი მიმართვაა „ძვირფასო“ („ძვირფასო, ვხედავ, ვხედავ შენს ხელებს“, და სხვ.). ზ. კაკაბაძე კი წერს: „გესმის, სიყვარულო“, რადგან „სიყვარულო“ (ან: „სიცოცხლევ“) ჩვენთვის უაღრესად ინტიმური ფორმაა მიმართვისა.

ახლა კი შემდგომი კომენტარების (ასე რომ კლავენ და ახშობენ ხელოვნების ქმნილებას) გარეშე წავიკითხოთ ეს მშვენიერი თარგმანი, იმ სიჩუმითა და გარინდებით, რასაც ხათაური გულისხმობს:

სიჩუმე

გესმის, სიყვარულო, შეეგმართე ხელები
მაღალი,
ხომ გესმის: შრიალი დაირხა
ხომ მუდამ მოისმენს საგანი მრავალი
მარტობის ჟამს დაცდენილ მიმოხვრის
ნაირხმას.
გესმის, სიყვარულო, დავხურე წამწამი,
ესეც შრიალია შენკენ და შენამდე.
გესმის, სიყვარულო, გავხსენი კვლავ წამით...
...მაგრამ არსაით ხარ, თვალით რომ გხედავდე.
ყოველი მიმოხვრა სხეულს დაცდენილი,
რხევა უმცირესი
როგორც ანაბეჭდი რჩება დაჩენილი
აბრეშუმივით სიჩუმის პირზე
და სულის ყოველი ოდნავ გაკრთომლება
სივრცეთა ფარდებზე აჩნდება ზოლებად
და ვარსკვლავთ ციმციმი სუნთქვას
აპყოლია ჩემსას
და სურნელებანი მელვრება ტუჩებზე შესმად.
და შორ სივრცეებში თვალის გადეკვნებით
ვიცან ანგელოსთა მე ხელის მტევნები...
მხოლოდ შენ,
რომელსაც გეკუთვნის ფიქრები ჩემი,
კვლავაც უხილავი რჩები.

და ეს ნატიფი, ესოდენ სულიერი თარგმანი განა ბუნებრივად არ გაგვახსენებს, თუ რა ხერხოზული, რა ღრმა და მნიშვნელოვანი განცდა იყო სიყვარული თავად ზურაბ კაკაბაძისთვის, როგორც ადამიანისა და როგორც პოეტისათვის? მისი ლექსები გვიმეღავნებენ სულის მარადიულ განმბულობას: სიყვარულის დიდი, წამლეკავი გრიგალის მისაღებად: სულის მზადყოფნას, ამ გრიგალში ჩაკარგვისათვის: პირთამდე ასავსებად, თვითგანსახორციელებლად:

„სუნთქვაშეკრული ვდგევარ და ველი
როდის წამლეკავს
სიყვარულის დიდი გრიგალი“

და „ამფეთქებია გული ვარდივით, მე სიყვარული, როცა მიცდია...“ [illegible] „სიყვარული კი ზ. კაკაბაძისათვის ორი [illegible] ყოფიერი იყო, აზრით გაშუქებული კავშირი ორთა:

იყავი ქალი და მაინც შენთვის
უცხო არ იყო აზრი ნათელი

ქალის „ნამდვილი სილამაზე“ ზ. კაკაბაძისათვის გადაჯაჭვული იყო აზრისა და ფიქრის სიცოცხლესთან ქალის არსებაში: „არ ვიცი, შენში მე მოვიგონე, თუ სილამაზე იყო ნამდვილი: მიყვარდა აზრით ჩანაფიქრალი და ბინდიანი თვალების ძილი“. და თუნდაც ამ „ნამდვილ სილამაზეს“, სულის გიზგიზს, სულის კივილს ქალში ავადმყოფობა და სიკვდილის სიახლოვე აჩენდეს: პოეტს მაინც ეყვარება სწორედ ასეთი ქალი: „მე მიყვარს ქალი ჭლექიანი და მომაკვდავი“, ოღონდ კი: „ცოდეს სული“.

ამავე კრებულიდანაა ლექსი „ძრწოლა“. აქ ძრწოლითაა განცდილი ფრინველთა ძახილი განძარცვილ, მკვნობარე ტყეში, სადაც ეს ძახილი უაზრო ჩანს. ფრინველთა ძახილი (ან ფრინველის ძახილი) დედანში ერთი სიტყვაა და განსაზღვრებად უძღვის — „მრგვალი“. „მრგვალი ძახილი ფრინველთა ასვენია ამ დროში (დროის ამ მონაკვეთში), რომელმაც ის წარმოქმნა. იგი (ძახილი) ზეცახავით იშლება, ივრცობა გადამბმარი ტყის თავზე“. „მრგვალი“ ძახილთან მიმართებაში გერმანული ენისთვისაც იხევე უცნაური და მოულოდნელია, როგორც ქართულისთვის. რაკი შემდეგ ეს ძახილი ზეცასაა შედარებული, როგორც ჩანს, იგი უნდა გაიგოთ: როგორც ირგვლივ, გარშემო განფენილი (წრიული). მთარგმნელი ადგილის ზმნიზედას „გარეშემო“ გადააქცევს ზედსართავად, „მრგვალის“ სინონიმად, ოღონდ „მრგვალსაც“ ინარჩუნებს: — „უცნაურ მრგვალი და გარეშემო, ვითარცა ზეცა დაუხაბამო“. შემდეგ დედანი გვეუბნება, რომ ყველაფერი ამ ძახილში შედინდა, შეეიდა. მთელი ქვეყანა უბმოდ ასვენია მასში, დიდი ქარიც მასში ჩატეულა, და წუთი, რომელიც ილტვის (რომელსაც სურს, გზა განაგრძოს, წარდინდეს) (ისე) გაფითრებული და გარინდებულია, თითქოს იცოდეს, ის საგნები, რომელთაც შეაკვდება ყოველი (მაშასადამე, მომაკვდინებელი, იდუმალი საგნები), საგნები, რომლებიც იმ ძახილიდან ამოიზრდებიან. თარგმანის ერთი ხტრიქონი: („უკან დაიხევს, გადადგება მის (ქარის) წინ ყოველი“) მეტ დაზუსტებას მოითხოვდა. დედანშია: „ყველაფერი მორჩილად გაანთავისუ-

ფლებს ადგილს, გადაადგილდება" და ნაჩვენებია მიმართულება: „ინ დენ შრაი" ე. ი. იმ ძახილში შედინდება, მასში შთაინთქმება. ეს ძახილი იმორჩილებს ყველაფერს, ადგილიდან ძრავს და შეიწოვს. ამიტომ სტრიქონი: „უკან დაიხევს, გადადგება მის წინ ყოველი" უნდა შევსებულიყო აზრით, რომ: „ეს ყოველი ქარში შედინდება" და მაშინ გადასვლა მომდევნო სტრიქონზე უფრო გასაგები იქნებოდა. თუმცა ეს აზრი მაინც იკითხება მომდევნო სტრიქონის საშუალებით. თარგმანში შენარჩუნებულია ლექსის საიდუმლოებით მოცული, დაძაბული, შიშით და ძრწოლით აღვსილი განწყობილება, იძერწება ფრინველთა მაგიური ძახილის შემაშინებელი სურათი:

ძრწოლა

გადამხმარ ტყეში დგას გაშლილი ფრინველთ
ძახილი,
ფრინველთ ძახილი უცნაური ისე მოისმა,
როგორც უაზრო, უსახელო და უსაგანო:
გამხმარ ტყის შიგნი
და მაინც იგი
წარმომდგარი ამა დროისგან,
უცნაურ მრგვალი და გარეშემო,
ეითარცა ზეცა დაუსაბამო —
გადამხმარ ტყეში ასვენია, — ფრინველთ
ძახილი.
უკან დაიხევს, გადადგება მის წინ ყოველი,
მასში შთაინთქა მთლად ქვეყანა, ქვეყნად
რაც არი,
მასში შთაინთქა ქარი დიდი, უზარმაზარი
და წუთი ერთი, დრო-დინებას მისდევს
რომელიც, —
გაფითრებულა იდუმალის რისმე გაგებით,
თითქოს იცოდეს უსახელო მისი სახელი,
რაც წარმომდგარა იმა ძახილით
და გარდუვალის რისიც განგებით
აღესრულება ქვეყნად ყოველი.

ამავე კრებულიდანაა ლექსი „დერ ლეზენდე" რაც ქართულად იქნება: „კაცი, რომელიც წიგნს კითხულობს". (ЧИТАЮЩИЙ). მაშასადამე, აქ მთარგმნელი ვერ გამოიყენებდა სიტყვას: „მკაითხველი", (რაც გერმანულად არის „დე ლეზერ") და არ გადმოგვცემს უშუალოდ წიგნის კითხვის პროცესს. ამიტომ ჩნდება სათაურად: „წიგნის კითხვისას". პირველი ორი სტრიქონი დედანში ასე ეღერს: „მე უკვე დიდი ხანი იყო ვკითხულობდი, მას შემდეგ, რაც ნაშუადღევი, რომელმაც წვიმა ააშრიალა, ფანჯრებთან ესვენა". შემდეგ კი გატაცებული და თავდავიწყებული კითხვის პროცესია გადმოცემული, როდესაც მკითხველს აღარაფერი ესმის, რა ხდება გარეთ. ამ (კითხვის) პროცესის სრულად გადმოცემისა და რითმის შენარჩუნების მიზნით, მთარგმნელი დედნის ორ სტრიქონს ხუთ სტრიქონად აქცევს, რომლებიც ერთსა და იმავე სიტუაციას აზუსტებენ და გამოკვეთენ.

მე ვკითხულობდი დიდხანს [illegible]
თავმიცემული ეინიან კითხვა[illegible]
დაბმული თვალით და ყურადღებით,
მას შემდეგ, რაკი ნაშუადღევი
წვიმის წვეთებად ეცემ აშხეფდა
და ისე მოდგა სახლის ფანჯრებთან.
დაიხშო მაშინ სამყარო გარე,
დაყრუვდა მაშინ შრიალი ქარის,
ველარ ატანდა ჩემამდე შიგნი,
ისე მიმძიმდა მე ჩემი წიგნი.

(დედანშია: „ჩემი წიგნი იყო მძიმე".)

მაგრამ ამ თავდავიწყებულ კითხვაზე, რომელმაც დააგუბა დრო, მაინც მძლავრობს სალამო... და რადგან სალამო, მწუხრი, (ანუ როგორც რილკე იტყოდა, დრო „დღესა და სიზმარს შუა") პოეტისთვის ყველაფერზე მაგიურია, მისი სამშობლოა, ამიტომ წიგნშიც სტრიქონები წაიშლება და იქაც ჩაიწერება: „სალამო".

მე ჩავყურებდი წიგნს ფურცლებში,
ვუმზერდი ფურცლებს
როგორც სახეებს ფიქრითა და გარე
შემოსილით
და დრო დაგუბდა ჩემი კითხვის
გარეშემოხე...
მერე, როდესაც კიდევ ერთხელ ინათა ეცემ,
ინათა წამით
და შუქი ერთი გადაფურცელილ წიგნებში
ჩაწვა,
მე ჩავიკითხე ადრეული სიტყვების ნაცვლად:
სალამო ქამი, სალამო ქამი.

აქ მთარგმნელი ზუსტად ინარჩუნებს დედნისეულ სახეს: „ჩემი კითხვის ირგვლივ" („კითხვა" დედანში გაარსებითებული ზმნაა, მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა გაარსებითება კი, როგორც ცნობილია, გერმანულში საერთოდ ადვილად ხდება და ვიზუალურადაც მკვეთრად გამოიხატება, რაკი არსებითები ასომთავრულით იწერება). „ჩემი წიგნის ირგვლივ" — სწორი არ იქნებოდა, რადგან დრო დაგუბდა მკითხველის ცნობიერებისთვის (მის ირგვლივ), რომელიც დაძაბულია. კითხვამ გამოიწვია დროის შეჩერება. „კითხვა" მკითხველის წარმოსახვაში ერთიანებს: მკითხველს, წიგნს და კითხვის პროცესს. წიგნი კი ამ ერთიანობას ვერ გამოხატავს, ამიტომ „კითხვის ირგვლივ" (გარშემო) უნდა შენარჩუნებულიყო. მით უფრო, რომ, როგორც ზემოთაც მოგახსე-

ნეთ, ეს რილკესთვის უაღრესად დამახასიათებელი შეტყველების მანერაა (მაგალითად: „ტირილის მიღმა", „ჩემი ტირილის პირისპირ", „სიცილის შუაგულში" — არა შუა სიცილში, რაც ტემპორალური გაგება იქნებოდა, არამედ: „სიცილის შუაგულში", რაც სივრცობრივი, მაშასადამე, ვიზუალური სახეა). მაგრამ მთარგმნელი უბრალოდ არ ამბობს: „ჩემი კითხვის გარშემო" — არამედ: „გარეშემოზე" თუ წინა ლექსში („ძრწოლა") ადგილის აღმნიშვნელ არსებით სახელად: „გარეშემოზე" — (როგორც ვიტყოდით, მაგალითად: კიდეზე, (ტყის) პირზე და ა. შ.). ამან გაძლიერა მოულოდნელობის ეფექტი.

ისევ ვკითხულობ, მაგრამ ჩაწყდა სტრიქონი
სწორი,
მოწყდნენ, მოეშვნენ და გაგორდნენ
სიტყვები შორით
და ვიცი, ახლა გაჩაღებულ ბაღებს გადალმა
მზე გადაკანდა, უბოლოო ზეცას გადაჰყვა,
გადასცდა ბაღებს, შემობრუნდა მერე იქედან
და ღობეებზე კიდევ ერთხელ გადმოიხედა...
მერე დაბნელდა, ჩამოეშვა ზაფხულის ღამე...

მზის მიდრეკისა და წამიერად კვლავ შემოქცევის სურათი საოცარი შემოქმედებითი თავისუფლებითაა თარგმნილი, თავისუფლებით, რომლის ერთადერთი მიზანია: ხიზუსტე. დედანშია: „მე ვიცი: სავსე (რითი, არა ჩანს: ხალხით? მცენარეულით? შუქით?), მბრწყინავი, (გაჩახჩახებული) ბაღების თავზე ცები (ახლა) ძალზე შორია (ფართოა). მზე კიდევ ერთხელ დაბრუნდა და ახლა ყველგან, სადაც კი თვალს მიაწვდენ, ჩამოწვება ზაფხულის ღამე". თარგმანში არა მხოლოდ ზუსტადაა გადმოცემული დედნის ემოციურ-ხასიათობრივი ველი (თარგმანის ემოციური რეგისტრი ოდნავ უფრო მაღალია), არამედ იგი შევსებულია წარმოსახვის პერსპექტივით, იმით, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რიხი წარმოსახვაც შეიძლება აღგვიძრახ ერთმა სურათმა. (ამიტომ თარგმანში სახე, სურათი — გავრცობილია). ასეთი: ფერებით, სახეებით, მოძრაობითა და ემოციურობით შევსებული თარგმანი ასეთ შედარებას გამოიხმობს: თითქოს დედნისეული კონტექსტი გრაფიკაა, თარგმანისა — ფერწერა. თარგმნის ეს მეთოდი, ცხადია, ყოველთვის არ არის დასაშვები და მისაღები, მაგრამ სწორედ მთარგმნელის ნიჭი, ინტუიცია და უსახელო უნარია, ზუსტად რომ გრძნობს, სად შეიძლება „გაფერადება" და სად არა. დედნისეული კონტექსტის ემოციურ-ხასიათობრივი გაძლიერება (გაფერადება) ზოლოდ რითმის შენარჩუნების იმპულსითა და აუცილებლობით როდი ხდება, არამედ ხერიოზულ მიზეზად იქცევა ხოლმე, ის გარემოებაც, რომ რაც პოეტურია დედანში, უაღრესად სადა, ლაპიდარული ფორმით, თარგმანში ამგვარი ლაპიდარობა-სიძუნწე, ხშირად, პოეტური ზემოქმედებისაგან დაცლილია, მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ ღირებულებას. და კიდევ ერთი რამ: ეს ლექსი სურათი-ლექსია. ადრეულ ლექსებთან შედარებით გართულებული (კომპაქტურობის, შეკუმშულობის თვალსაზრისით). მაგრამ მომდევნო ციკლებთან შედარებით მაინც ადვილი, რადგან „სურათი" ასე თუ ისე მაინც გავრცობილ, განფენილ პოეტურ მატერიას გულისხმობს. მაშასადამე, შესაბამისად შესაძლებლობას იძლევა, თარგმანში ლექსის ესა თუ ის სახე განივრცოს, ხოლო სხვა შეიკუმშოს (კომპენსაციის მეთოდით), რაღაც დაემატოს, რაღაცით შეივსოს, რაც თითქმის შეუძლებელი ხდება უფრო გვიანდელი ლექსების, მაგალითად, „საგან-ლექსების" თარგმნისას, სადაც პოეტური მატერია ისე შეკუმშულ-შემჭიდროებულია, სათქმელი ისე დაწურულია, ლექსი ისე ხაგანივითაა გამკვრივებული, რომ მთარგმნელი ვერც ერთ ზედმეტ სიტყვას (სიტყვას კი არა, ლამის ნაწილაკსაც) ვერ ჩაუმატებს, რადგან მისი „ზედმეტობა" და „ჩამატებულობა" მაშინვე მძღავნდება.

ახლა ისევ ჩვენს ლექსს დავუბრუნდეთ და მის დასასრულს მივადევნოთ თვალი:

და ახლა როცა წიგნს წავართვი თავი და
თვალი
როგორც ახლობელს, ისე ვიცნობ თვითეულ
საგანს,
გარეთ დამხვდება, რაც ჩემს შიგნი ცოცხალი
არი
და უსაზღვროა ყოველივე იქაც და აქაც.
მაგრამ როგორც კი ჩემი მზერა ბოლომდე
მისწვდა
დინჯად უბრალო, უზარმაზარ სიდიდეს
ნივთთა,
მაშინ ალივსო, ალიმართა ცათამდე მიწა
ცათამდე მისწვდა
დედამიწა ისე ადიდდა,
და სულ პირველი ცის ვარსკვლავი იმ სხივად
იქცა
რომელს მოისვრის დედამიწა ბოლო
ფანჯრიდან.

მაშასადამე: როდესაც მკითხველი მიწიერ საგანთა ,ნივთთა სიღრმეს ჩასწვდა, დედამიწამ ისეთი სიდიადე მოიპოვა, რომ ცას მიხწვდა; იმდენად შეერთო ზეცას, რომ პირველი (მახთან ყველაზე ახლოს მდებარე) ვარსკვლავი ც-

დამიწის ბოლო. გაშუქებულ ხაზლს დეემზგავსა. ხაზლის ნაცვლად ლედანში ჩნდება „ფანჯარა“, რაც თავისთავად გულისხმობს ხაზლს. თარგმანში უშუალოდ ხინათლეანთებული ხაზლი და ვარსკვლავი კი არ იგივეობდა ერთმანეთთან, არამედ ხაზლიდან გამოტყორცნილი ხბივი და ვარსკვლავი, ამით შედარება ცოტა შორეული გახდა (თითქოს ხაზეობრივად ნაკლებად შუხტი: რადგან ხბივთან ხიგრძეს ვაკავშირებთ, ვარსკვლავთან — მაინც ხიმრგვალეს, მისი შუქი მაინც წრეში ჩაკეტილი წარმოგვიდგენია. სწორედ ამიტომ ადარებს პოეტი გაშუქებულ ხაზლს, ხაიდანაც ხინათლე ბნელში ხბივად კი არ გამოდის, თითქოს თავისთვის, თავის თავში ანთია), მაგრამ აზრი მაინც იგივეა: დედამიწა იმდენად შეუერთდა ცას, რომ მისი ბოლო ხაზლიდან გამოსული შუქია თუ ცის პირველი ვარსკვლავი, ველარ გაარჩევ.

და აი, ბოლოს „ხაგანი — ლექსიც“, ეს გახლავთ „ესპანელი მოცეკვავე ქალი“ ციკლიდან „ახალი ლექსები“. ლექსები, რომელთა თარგმნისას ოდნავაც ვერ დაარღვევ ხინტაქსს თუ პოეტური ენის მაქსიმალურ ხიზუსტეს, ხიმკაცრეს, და აზრის ოდნავ გაუალბებაზეც ბომ ლაპარაკი ზედმეტია, ისეთ მონოლითურ, ყველა წერტილით ერთმანეთში ჩადნობილ-გადაქსოვილ ერთიანობად ქცეულა აზრი და ფორმა. „ესპანელი მოცეკვავე ქალი“ ხუნთქვის შემკვრელი ლექსია, ისევე როგორც ესპანური ცეკვა. ამოხუნთქვის ხაშუალებას რომ არ აძლევს მნახველს, იქამდე ვიდრე არ დამთავრდება. ეს არის უაღრესად დრამატული, დაძაბული, თითქოსდა რაღაც განსაცდელისა და ფათერაკის პირას მიმდინარე. ცეცხლის ხტიქაითა და მისი დაურვების ხურვილით გათანგული ესპანური ცეკვის პოეტური ბატი, დუბლი. და ზ. კაკაბაძის თარგმანის ხახით ჩვენ წინ ხრულყოფილი, ადექვატური მოვლენაა. მე აღარ შევუდგები ცალკეული დეტალების ანალიზს (თარგმანში მხოლოდ ამ რადიუხის თავისუფლებას აღმოვაჩენთ: დედანშია: „მზერით აინთო თავისი თმა“. თარგმანში: „თმებში ცეცხლს გაიჩენს თვალთა ნაპერწკლებით“ — და ეს იმდენად აზუსტებს, ახილვადებს ხაბეს, ისე გამოკვეთს ცეცხლის ხტიქიას, რომ აუცილებლობად აღვიქვამთ) და პირდაპირ წარმოგიდგენთ ამ მშვენიერ ლექსს:

ესპანელი მოცეკვავე ქალი

როგორც ასანთი გაკვრის უმალვე
სანამ მოასწრებს ალი მოდებას,
აცახცახებულ ენებს გაიწვდენს —
ისევ მისი ცეკვა მხურვალე,
აძგერებული გაფართოვდება
ამ ვიწრო წრეში მაყურებელთა
გარს რომ ერტყმიან
და მერე უცებ გადიქცევა ალად ერთიან,
თმებში ცეცხლს გაიჩენს თვალთა
ნაპერწკლებით
და მერე ერთბაშად ამ მღელვარ ბასიანი
დაატრიალებს კაბას გადაშლილს,
თითქოს გველებია, ცეცხლში დაფეთებული,
ცეცხლში გაგებული
გარეგამოწვდილან, გაოესავსავებენ
ფხიზლად მოტკრეიალე შიშველი მკლავები.

ერთბაშად თითქოსდა შეაკლდა ცეცხლი,
სხეული შემართა დედოფლის ეშხით,
ერთად მოკრიბა და დაიგდო ფერხთით
ნარჩენი ცეცხლი,
დაიგდო ფერხთით და დახედა იმწამსვე,
როგორ გახელებით კვლავ ენთო მიწაზე,
გამარჯვებულის შემართა მზერა და
სახეზე დამტკბარი ღიმილის შერბევით
მიწას წაუშინა პატარა ფეხები.

და ბოლოს მინდა წარმოგიდგინოთ ზ. კაკაბაძის მიერ თარგმნილი ლექსები რილკეს ცნობილი ციკლიდან „ეამნი“. ეს თარგმანები არ გამოქვეყნებულა, ხელნაწერად დარჩა, მაგრამ დასრულებულ ნამუშევარს წარმოადგენენ. ციკლი „ეამნი“ რ. მ. რილკეს პოეზიის ადრეული პერიოდის ეგვირგვინებს, ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. იგი დგას ადრეულ ლექსებსა და „ხორცთთა წიგნს“ შორის. მთელი ეს დიდი მოცულობის კრებული წარმოადგენს ბერის, უფრო სწორად ხელოვანი, პოეტი-ბერის ლაღადიხს, მიმართვას ღმერთისადმი. ახალგაზრდა ბერი კითხულობს ხამყაროს, ბუნების, ცხოვრების, ქალაქის დიდ წიგნს და აღმოაჩენს ამ წიგნის უველა მუქ თუ ნათელ სტრიქონში ჩაშალულ ღმერთს, ცდილობს იგი მიდგანივით მოიპოვოს საკუთარ გულში, ეხაუბრება მას თავისი დრო-ეამის ჭირ-ვარამზე, დაატარებს მას გულით, ხიტყვით თუ ცრემლით. გერმანულად „stundenbuch“ კათოლიკურ ხაგალობელთა კრებულს ჰქვია და ერთად იწერება. რილკე დეფიზით ა

ცდილ მოკიბელლოებ) პლასტიკურ (ე. ი. მოკნილ, დენად) დღეს.

ზურაბ კაკაბაძეს „ეაშნი"-ს ამ პირველივე ლექსის თარგმნა დაუწყია, მაგრამ ამ ხაზსტროფიანი ლექსის მხოლოდ პირველი სტროფის თარგმნა მოუსწრია:

ილეთა წეთი და ლითონის ნათელი დარტყმით
უეცრად შემავლებს ხელს
ცაბცახი აიტანს შეგრძნებებს. მე ვგრძნობ:
მე ძალმიძს
და ვწვდები პლასტიურ დღეს.

ამ ციკლის მეორე ლექსი კი ბოლომდე უთარგმნია. ლექსის აწყარედული თარგმანი ასეთია: „მე ეცხოვროს ჩემს ცხოვრების მზარდ წრეებში, რომლებიც წრეებად ეფინებიან თავზე ხაგნებს(ხაგნების თავზე იკრცობიან). მე ალბათ ბოლო წრეს ველარ შევასრულებ, მაგრამ ბაინც მინდა ვცადო. მე გარს ვუვლი ღმერთს — ძველთაძველ ციხე-კოშკს (ციხესიმაგრეს) და ანე ვბრუნავ უკვე ათასი წელია, და ჯერაც არ ვიცი: შეკარდენი ვარ, ქარიშხალი თუ დიდი ვალობა." ამ ლექსის ყველა მთარგმნელმა აუცილებლად უნდა გააცნობიეროს, თუ რას ნიშნავს პირველი ორი სტრიქონი: რა არის ეს „მზარდი წრეები", რომლებიც იკრცობიან ხაგნების თავზე. როგორც მეორე სტროფი განმარტავს, ეს არის არა ფიზიკური, არამედ ადამიანური ცნობიერების, შემეცნების წრეები: ადამიანი ჯერ მიკროსამყაროს, პატარა ხაგნებს შეიმეცნებს, შემდეგ კი მისი შემეცნების ჰორიზონტი, დიაპაზონი იზრდება და უახლოვდება ღმერთს. მაშასადამე, უკანასკნელი, ყველაზე დიდი წრე არის წრე ღმერთის გარშემო, რომლის შემოწერაც შეუძლებელია. მაშასადამე: შემმეცნებელი ადამიანის ცხოვრება ზემოთკენ (ზეცისკენ) მიმსწრაფ, თანდათანობით გაკრცობად წრეებში მიედინება. ეს ხაგნების თავზე განფენილი ცნობიერების წრეები რამდენადაც მაღლდებიან, იმდენად ფართოვდებიან. ახლა თვალი მივადევნოთ, როგორ ინარჩუნებს აზრობრივ ხიზუსტეს თარგმანი და ამავე დროს გარეგნულად როგორ გაწსბვავებულად გადმოსცემს მას:

ეცხოვროს და ცხოვრება ზეცისკენ წასული
წრეებად ბრუნვაა ზეგარდმო ნიგთთა.
მე ალბათ ბოლო წრეს ველარ შევასრულებ,
მაგრამ რომ ვცადო კი მინდა.
გარს ვუვლი მე უფალს — უძველეს
ციხე-კოშკს
და ათასწლეული ათასწლეულზე მიდის
და ჯერაც არ ვიცი, ვინ ვარ: ქარიშხალი
ეგებ შეკარდენი, ან ეგებ გალობა დიდი.

თუ აქ ღმერთი ძველთაძველ, უდიდეს ციხე-კოშკსაა შედარებული (ეს ძველი აღთქმის ცნობილი მეტაფორაა ფსალმუნებიდან), რომლის გარეშემოც ხაუკუნეთა მანძილზე ტრიალებს ადამიანის გონება, ამ ციკლის ერთ ყველაზე უცნაურ, მძაფრსა და მოულოდნელ ლექსში ღმერთი დახასიათებულია ალეგორიულად ყველაზე ხაწყალი, განწირული ადამიანის ხაშუალებით, უფრო სწორედ, ხიკვალალიხა და ვაებიხ ნიშნით აღბეჭდილი ხაგნები და არსებები აქ ზუსტად გადმოსცემენ ღმერთის მდგომარეობას ადამიანთა შორის, იმ მდგომარეობას, რომელშიც ის აღმოჩნდა ადამიანების მახთან მიმართების გამო: ანდა, ხაერთოდ, მარადიულად არსებობს ხედვის ის კუთხე, ხაიდანაც ღმერთი ყველაზე მცირე რამ არის (რაკი ყველაზე დიდიც თავადაა), ყველაზე ხაწყალი, განწირული, უქონელი (რაკი ყველაფერი თვითონაა). რა ხაკვირველია, რომ ამ ლექსის თარგმანი დაუმთავრებელი დარჩა! — (ყოველ შემთხვევაში ხელნაწერებში დასახრული არ აღმოჩნდა) — რადგან ის, რაც დარჩა, მშვენიერია: (მკითხველს შევახსენებ, რომ „ეაშნი"-ს მთელი ციკლი მიმართულია ღმერთისადმი, ამიტომ II პირი აქ მუდამ ღმერთს გულისხმობს):

ხარ უპოვარი, უბედური და უსაშველო
ქვა ხარ ნასროლი, უალაგო და უპატრონო
კეთილი, რომელიც განუზრახავთ გადააშენონ,
ეძვანშებმული გააძევონ და მიატოვონ.

ალარაფერი მოიძევა ქვეყნად საშენო,
ხარ ნიავივით უქონელი და უსაშველო,
შენს ქონებასთან დაცვეთილი ობლის ძონძები
არის წყალობა და სიმდიდრე რამ ნაბოძები.

ხარ განწირული, უსასოო, უძალო სულმთლად
ჩანასახივით, რომელს დედამ უარი უთხრა,
დედამ, რომელსაც თეძოებით ჩაახშოს უნდა
საბედისწერო ფეხმძიმობის პირველი სუნთქვა.

ხარ უსუსური ისე როგორც აპრილის წვიმა,
საბურავებზე უზრუნველი წვეთით რომ ცვივა,
ხარ უსასოო ვით პატიმრის ჩუმი ოცნება
დახშულ საკანში გამომწყვდეულს რომ
წამოსცდება,

როგორც სნეული, რომლისთვისაც ნანატრი
ბედი
ისაა თუკი მოინაცვლა საწოლში გვერდი,
ვით ხელისგული, რომელშიაც ტირიან
ცრემლით,

ხარ საცოდავი, ისე როგორც ყვავილი ნაზი
ამღვრეულ ქარში მოგზაურთა შემხვედრი
გზაზე...

რათა მკითხველი ლექსის (თანაც ასეთი მძაფრის) გაწყვეტით წარმოშობილმა დაუკმაყო-

ცილებლობის განცდამ არ შეაწუხოს, თავს უფლებას მივცემ, დარჩენილი ნაწილი ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანით წარმოვადგინო. ვ. კოტეტიშვილისთვის უცნობი იყო ზ. კაკაბაძის მიერ თარგმნილი ლექსები ციკლიდან „ეამნი". ისინი პირველად ახლა ქვეყნდება. მაგრამ როდესაც ნამდვილი ნიჭით მომადლებული მთარგმნელები აბსოლუტურად ზუსტად გრძნობენ დედნის ბუნებას და კეთილსინდისიერად ცდილობენ მისი პოეტიკის, მისი მსოფლგანცდის შენარჩუნებას, რა განსხვავებული პიროვნებანიც არ უნდა იყვნენ თავად, მათ მიერ თარგმნილი ჰაშინვე გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე პოეტის ერთი და იგივე ლექსი უთარგმნიათ. ეი, ამიტომ ინტონაციურად და საერთოდ, მთელი პოეტიკით საოცრად ენათესავებიან ზ. კაკაბაძისა და ვ. კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი ლექსები ერთმანეთს:

შენს უმწეობას არაფერი უკვე აღარ ჰგავს
რა არის ჩიტი გაყინული, მშიერი ძაღლი
ან დამწყვდეული ცხოველები, მზირალნი
ნაღვლით,
აღარავინ რომ არ იხსენებს ტყვეობით
დაღლილთ,
ანდა რა არის საკუთარი თავის დაკარგვა?
ვერ შეედრება შენს სისაპყრეს —
დილაადრიან
მათხოვრები რომ აითრევენ ცარიელ აბგას
წისქვილნი არა, სულ პატარა ქვები არიან,
მაგრამ ისინი მაინც ფქვავენ ერთ მუჭა
საფქვავს.
შენ კი ულრმესად უსახსრო ხარ და უპოვარი,
სახეფარულად მოგლახავე, მარად მთხოვარი,
ვარდად გაშლილი სიღატაკე მარად მლმობელი
და ოქროების მზის სხივებად გადამდნობელი.
ხარ უსამშობლოდ დარჩენილი, ისე ვით ჭარი,
გახველ გარეთ და გაიხურე სამყაროს კარი,
ესოდენ მძიმე ყველასათვის,
დამქცევ-დამნგრევი,
გრიგალში გრგვინავ, შენ ხარ თითქოს
გრძნეული ქნარი,
რომლის სიმებსაც შემოემსხვრა ყველა
დამკვრელი.

„ეამნი"-ს მეორე წიგნი („პილიგრიმობის შესახებ") მთავრდება ლექსით, სადაც ღმერთის მაძიებელი ადამიანის ძალისხმევა ახეთ მეტაფორულ გამოხატულებას პოულობს: ღმერთის ძიება შედარებულია განძის (მადნის) თხრას, მოპოვებას: მთების ნაცვლად ღამეთა უფსკრულებში, უძირო წყვდიადში. მაგრამ ღმერთი მარტოობაა, იგი მარტოა, იგი მაერივითაა განფენილი მთელ სამყაროში და თხრით დაწყლულებულ ხელებს ბერი ისევ ზემოთ აღაპყრობს, რათა ისინი ხესავით გაიშალონ და ვითარცა წვიმა ისე შეისრუტონ ღმერთი (აქ თითქოს მექანიკური, შემთხვევითი უზუსტობა ჩნდება თარგმანში: „თალ" (ბარი, ვაკე, დაბლობი) წაკითხულია როგორც „თათ" (ხელი), რის გამოც დედნისეული სტრიქონები „შენ ხარ მარტო, შენა ხარ მარტოობა" [illegible] „ეულიც მიიწევ შორეული ველებისაკენ" — ნაცვლად ჩნდება: „გულო, მინდობილო შორეულ ხელებთ". მაგრამ ამით აზრი არათუ არ შეხიბჭდება, არამედ ზუსტდება, რადგან: შორეული ველი ღმერთის შორეული, მარტოობაში მიმდინარე ქმედების ადგილია, იქ: სიშორეში, მარტოობაში ხორციელდება ხეუფლო ხელი, ისე რომ შეიძლება შეგნებულ ინტერპრეტაციასთანაც კი გვაქვს ხელი).

ახლა კი გავეცნოთ ამ შესანიშნავი ლექსის შესანიშნავ თარგმანს:

შიშველი ხელებით ჩავეშვი სილრმეში
ღამეთა,
დაგეძებ საუნჯევ, დაგეძებ, რამეთუ
ამქვეყნიური სიმდიდრე ყოველი
რაგინდრა უხვადაც დაფასდეს,
მხოლოდ უბადრუკი და საწყალობელი
სანაცვლო ყოფილა
ჯერ აუხდენელი შენი სილამაზის.
მაგრამ რა საშინლად შორია გზა შენსკენ
და რადგან ძველთაგან ზედ აღარ უვლიათ,
მთლად დაფარულია
ნისლივით ნამქრით...
ო, აგრე მარტო ხარ, მარტო ხარ სრულიად,
გულო, მინდობილო შორეულ ხელებთ.
და რადგან სილრმეში ძიება მიმძიმდა,
სისხლიან ხელებს აღვაპყრობ ქარში,
დაბინდულ ხესავით ტოტებად გავშლი
და ასე შეგიწოვ შორეულ სივრციდან,
თითქოსდა ერთხელ დაიმსხვერ
იქ სადღაც
მოუთმენელი შერხევისაგან
განიბენ ცისკენ
და ეხლა ისევ
ეშვები დაბლა რბილად, უჩუმრად
როგორც აპრილის წვიმა ქუქუნა".

თუ აქ ღმერთია ზედარებული განძსა და მადანს, ლექსში, რომლის თარგმანსაც ახლა გაგაცნობთ, თავად ადამიანია მთის მაგარ, მკვრივ ტინებში ჩაქედილ მადნად წარმოდგენილი: იგი მოსაპოვებელია. მას უპირს,რადგან სიბნელეში, სიმაგრესა და სივიწროვეში ჩაქედილი და ეს-წრაფვის სივრცეს, შორეთსა და შორეულს. იმისათვის, რომ მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, თუ რა სინდისიერებითა და მაღალნიჭიერებით ინარჩუნებს მთარგმნელი ლექსის

აზრობრივ-ხაზოობრივ ელასტებს, მოგაწვდით პირველი ხტროფის მწკარედულ თარგმანს: „ალბათ (ვინ იცის, ეგებ) მე მძიმე მთებში მივედინები, მაგარ (უხეშ) ძარღვებში, მადანივით მარტო და ისე ღრმად ვარ, რომ ველარ ვხედავ ბოლოს და სიშორეს: ყველაფერი გადაქცეულია სიახლოვედ და ყოველი სიახლოვე გადაქცეულია ქვად“.

მე ალბათ ვგავარ უმძიმეს მთათა
უხეშ ძარღვებში ჩამწყვდეულ მადანს
მივდივარ ისე ვიწროდ და ღრმად
რომ აღარსაით არა ჩანს ბოლო
არ ჩანს შორეთი:
  სიახლოვე მიგრძვნია მხოლოდ
და სიახლოვე ყოველივე ქცეულა ქვად.
არაფრის მცოდნე და არაფრის მხედველი
  არა ვარ
ამ დიდმა სიბნელემ დამპატარავა
და თუკი შენი ხარ, რომელმა იცი და რომელი
  ხედავ,

დამძიმდი,
  ჩამოსკდი,
    დამატყდი თავზე:
    აღსრულდეს შენი ხელი ჩემ ზედა
    და ჩემი მოქცევა კვილით სავსე“.

დასასრულ მინდა აღვნიშნოთ, რომ ბელნაწერებში მოძიებული ეს თარგმანები, როგორც ჩანს, პირველი ვარიანტებია, რადგან ხავსია ჩასწორებებით, გადაბაზული სიტყვებით და ასე შემდეგ. ესე იგი გადათეთრებული არ არის (გასარჩევადაც ძნელი იყო). მაგრამ შემდგომი გადამუშავება მათ არ ხვირდებათ: დასრულებულ ნამუშევარს წარმოადგენენ. ერთ-ერთ ფრაგმენტს ზ. კაკაბაძის ბელით აწერია: „ხასვენი ნიშნები ორიგინალიდანაა, რიტში ორიგინალისას ჰგავს. თუ რაიმე არ გაკმაყოფილებს, გამოიცარე, სხვა ვარიანტები ვცადოთ“. არ ვიცი, ვის სწერს ამ სიტყვებს, მაგრამ რა საქმიანი უბრალოება და ბრძენი ადამიანისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობა შეელავნდება აქაც.

და როდესაც ისევ და ისევ ვკითხულობ ხოლმე კაკაბაძის მიერ თარგმნილ რილკის ლექსებს, ასეთი შინაგანი, სულიერი, გაშასადამე, ზუსტი თარგმანის ნიმუშებს, ნამუშევრებს ამბობ, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რილკე. თავიდან ფართოვდება ამ დიდი [illegible] ნაკადული სიკვდილით გაჩენილი ნაპრალი, თავიდან გაისენები გულდაწყვეტითა და სინანულით: რადგან მისი დაკარგვით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ნამდვილი ფილოსოფოსი, არამედ ნამდვილი მთარგმნელიც: და ეს — ამ ტოტალურ არანამდვილობაში, როდესაც მასიური, ფართო მომხმარების ლიტერატურულმა პროდუქციამ ლამის წალეკოს ცხოვრება: როდესაც იქმნება ზღვა ლიტერატურა, რომელიც ლიტერატურას მ გ ა ვ ს, მაგრამ ის არ არის; თარგმანი, რომელიც თარგმანს მგავს, მაგრამ თუ გულდასმით გასჩხრეკ—ფალსიფიკაციაა, რადგან შეურყეველ აქსიომად რჩება ფეშმარიტება: მსგავსი აღიქმება მსგავსით; და კარგი თარგმანის აუცილებელი პირობა ისაა, რომ მთარგმნელი ხათარგმნელ მწერლის სულიერ დონეზე იდგეს. ყველა სხვა შემთხვევაში წარმოიქმნება ან აშკარად მდარე, ან მოჩვენებითად კარგი თარგმანი. მაგრამ ამ მოჩვენებითობის აღმოჩენა-დადგენა ისევ მაღალ სულიერ სიმაღლეზე მდგომ სპეციალისტს ხელეწიფება. როგორც ნამდვილ მთარგმნელთა, ისე ნამდვილ შემფასებელთა დეფიციტი კი ლია გზაა არანამდვილი პროდუქციის დამკვიდრებისათვის.

და ზურაბ კაკაბაძის თარგმანების ნამდვილობა სწორედ იმან განსაზღვრა, რომ თავად მისი ცხოვრებაც ამ სულიერი რუდუნებით, ძიებითა და გამიზნულობით იყო აღბეჭდილი, რაც მის მიერ თარგმნილ რილკეს ლექსებში მოებიცა თუ ღამეების წიაღ ჩამარხული მადნის მტანჯველი მოპოვებით გამოიბატა, სადაც მადანი ხან ადამიანია, ხან — ხამყარო: გამგებელი უმაღლესი ძალა, რადგან ჯერ კიდევ ხრულიად ყმაწვილს, ზ. კაკაბაძეს მტკიცედ სჯეროდა... და წერდა: „ბედნიერი ხარ — როცა მიაგნებ მას — მარადიულს შენში — უზომოდ ბედნიერი“.

□

ზურაბ ჯაფარიძე

შეცდომის ფასი

რამდენიმე ათეულ წელიწადს ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ჩვენში წყვეტდნენ ადამიანები, რომლებსაც ისეთივე ფსიქიკური წყობა, მუშაობის ისეთივე სტილი და მეთოდები ჰქონდათ, როგორიც ხაბალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უველა ძირითადი სფეროს ხელმძღვანელებს. სად მიგვიყვანა ასეთმა მეთოდებმა და სტილმა, დღეს უველამ ვიცით. და შრომისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულების იძულებითი გარდაქმნის ფონზე გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნაციონალურ საკითხებში, ე. წ. „ენობრივ მშენებლობაში" ისეთი ულრუბლო და მოწმენდილი ცა გვადგას თავზე, როგორსაც საზეიმო ანგარიშებსა და სოციოლოგიურ გამოკვლევებში გვიხატავენ.

ცხოვრებამ დაგვანახა, რომ სხვაგვარად უნდა შეფასდეს ორენოვნობასთან დაკავშირებული ბევრი თეორიული დებულება და პრაქტიკული მოქმედება. ამათგან ზოგი განხილულია მ. პინტის პატიოსნური მოქალაქეობრივი პოზიციებიდან დაწერილ, ვფიქრობ, უდავოდ სწორ სტატიაში («Радуга» 1987, № 6, ტალინი).

მ. პინტის მსჯელობა იმაზე, თუ რა ზიანს აუენებს ბავშვს მეორე ენის არადროული სწავლება, ისევე როგორც მსჯელობა ჩვილ ბავშვთა ადრეულ კავშირებზე მშობლიურ ენასთან, დასაბუთებული და დამაჯერებელია. სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული გამოკვლევები ამაგრებენ ამგვარი ვარაუდების შესაძლებლობას. ჩემი მხრივ შემიძლია დავუმატო, რომ სხვადასხვა ეროვნების ახალშობილ ბავშვთა ტირილში შეინიშნება განსხვავებები, რომლებიც შეიძლება ავხსნათ მშობლიური ენის ბგერით წყობასთან კავშირით. მაგრამ მე შეგნებულად ვიკავებ თავს მსგავსი ფაქტების დეტალური განხილვისაგან. მათ შეიძლება მოეძებნოთ სხვადასხვა — სწორი და მცდარი — ახსნები, რომლებიც მეცნიერებაში ერთმანეთის გვერდზე არსებობით სტიმულს მისცემენ ჭეშმარიტების ძიებას და ამით ხელს შეუწყობენ პროგრესს. ამისაგან განსხვავებით „ენობრივი მშენებლობის" თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების შეცდომები ხალხს ძვირად უჯდება. ამიტომ აზრი აქვს სწორედ ამ საკითხებზე შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით.

1976 წელს დაიბეჭდა ავტორთა კოლექტივის სოლიდური გამოკვლევა „ნაციონალურ-რუსული ორენოვნობის განვითარება" («Развитие национально-русского двуязычия», გამომცემლობა Наука, მოსკოვი, გვ. I — 288). ამ მონოგრაფიაში ერთიანი მეთოდით ახახულია და შეფასებული ორენოვნობის საკითხი (უფრო ზუსტად — რუსული ენის შესწავლის ხერხთი) საბჭოთა კავშირის ოთხ რესპუბლიკაში: აზერბაიჯანში, ლიტვაში, ესტონეთსა და ბურიატიაში. ამასთანავე, როგორც ჩანს, ამოცანა საკითხის უბრალო შესწავლით არ იყო შემოსაზღვრული, რადგან ცალკეული თავების დასკვნით ნაწილებში დასახულია საპროგრამო ხასიათის მიზნები.

ნაშრომში გატარებული დედააზრი ამაზე დაიყვანება: ორენოვნობის საქმე (ე. ი. რუსული ენის შესწავლის საქმე — ზ. ჯ.) ბურიატიაში კარგადაა, აზერბაიჯანში — უარესად, ლიტვასა და ესტონეთში — ცუდად. ორენოვნობის სხვადასხვა საფეხურზე დადასტურებული ამ სხვაობის მიზეზები ასეა ახსნილი: „ორენოვნობის განვითარების პირველ საფეხურზე ბურიატული სკოლის მოსწავლეები რუსული ენის ცოდნით არსებითად აღემატებიან აზერბაიჯანული, ლიტვური და ესტონური სკოლების მოსწავლეებს. ეს იმით აიხსნება, რომ სწავლება ბურიატული სკოლის IV-VIII კლასებში რუსულ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო მშობლიური ბურიატული ენა შეისწავლება როგორც საგანი. ამის საპი-

რისპირად, აზერბაიჯანული, ლიტვური და ესტონური სკოლების IV-VIII კლასებში სწავლების ენად შესაბამისად გვევლინება აზერბაიჯანული, ლიტვური და ესტონური ენები, რუსული ენა კი შეისწავლება როგორც საგანი" (გვ. 278). „ნაციონალურ-რუსული ორენოვნობის მესამე საფეხურის დაძლევა იდეალში უნდა ნიშნავდეს რუსული და მშობლიური ენების თავისუფლად ფლობას", — აღნიშნულია 318-ე გვერდზე. მაგრამ, როგორც იმავე გვერდზეა ნათქვამი, ორენოვნობის მესამე საფეხურზეც „ბურიატული სკოლების მოსწავლეები რუსული ენის ბევრად უფრო სრულყოფილ ცოდნას აღწევენ, ვიდრე აზერბაიჯანული, ლიტვური და ესტონური სკოლების მოსწავლეები. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ (ბურიატიაში — ზ. ჯ.) რუსული ენა არა მარტო სწავლების ენაა არასრულ და სრულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში, არამედ ფართოდ გამოიყენება ბურიატი ხალხის ყოველდღიურ შრომით და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში" (გვ. 318).

შემდეგ კი კეთდება დასკვნა: „ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე განვითარება, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ყველა იმ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორის მოსპობას («устранения» — ზ. ჯ.), რომელიც ხელს უშლის საბჭოთა კავშირში ორენოვნობის ძირითადი ტიპის განვითარების მესამე საფეხურის ფინაზე მდგომი მიზნების მიღწევას" (გვ. 314, ხაზი ჩემია — ზ. ჯ.).

ყველაფერი ნათელია! თურმე, მაგ., ესტონელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ მან შეავიწროოს სკოლაში მშობლიური ენის გამოყენების სფერო, არ გამოიყენოს ესტონური ენა სწავლების ენად, შეზღუდოს მისი გამოყენება სახელმწიფო დაწესებულებებში, შრომით საქმიანობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ა. შ. და მაშინ ყველაფერი იდეალური იქნება! თუ სულ იდეალურად არა, ისე მაინც, როგორც ბურიატიაშია!

მინდა მჯეროდეს, რომ ამ უაზრო დასკვნამდე მიგვიყვანა უბრალოდ ავტორთა გატაცებამ ბოლომდე გაუაზრებელი ლოზუნგებით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა გააზრებულ და მიზანდასახულ ცდასთან — დაარწმუნონ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, რომ მათივე ბედნიერებისათვის ისინი (ცხადია, რუსი ხალხის გარდა) უნდა ებრძოდნენ თავიანთ მშობლიურ ენებს. არამშობლიური ენის გამოყენების სფეროს თანდათანობითი გაფართოება მშობლიური ენის გამოყენების სფეროს თანდათანობით შევიწროებას ნიშნავს (ყოველ შემთხვევაში, საშუალო სკოლაში ეს სხვაგვარად შეუძლებელია), ეს კი, თავის მხრივ, მის თანდათანობით კვდომას ნიშნავს. შეიძლება ამისათვის ბრძოლა? რაღა დაგვრჩება მაშინ ჩვენ მიერ გამოცხადებული ხალხებისა და ენების თანაბარუფლებიანობისაგან?

ყველასათვის ნათელია, რა დიდი შენაძენია ადამიანისათვის მეორე ენის შესწავლა. ითუმცა, ისეთი ენისა, როგორიც რუსულია. და ეს ასეა არა იმიტომ, რომ მას გაუადვილდება ეს მუშაობა და ცხოვრება, სადაც მისი მშობლიური ენა არავის ესმის. მთავარია ის სულიერი გამდიდრება, რომელსაც მეორე ენის შეცნობა ვვაძლევს. მაგრამ ცოტა ვინმეს თუ ესმის, რამდენს კარგავს მშობლიური ენის მიმტოვებელი კაცი. იგი კარგავს სამყაროს თავისებურ გაგებასა და ხედვას, ამ ენაში რომაა ასახული, კარგავს ფსიქიკის განუმეორებლობას, რომელიც ხშირად ასახულია სიტყვებსა თუ გამოთქმებში, ანდაზებში, სხვა ენაზე რომ ვერ ითარგმნება, კარგავს სახეებს, შედარებებს, რომლებიც მხოლოდ ამ ენაზეა შესაძლებელი. ენის დამკარგველი კაცი თავის სახეს, თავის „მე"-საც კარგავს. სრულიად აშკარაა, რომ, როდესაც ასეთი რამ მთელ ხალხს ემართება, ამას მივყავართ მისი, როგორც ნაციის, გაჭრობამდე, თუმცა მასში შემავალი ადამიანების მემკვიდრეები განაგრძობენ ბიოლოგიურ არსებობას. თუნდაც ამიტომ ერთადერთ მისაღებ ორენოვნობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი, რომლის დროს ყოველ ენას, როგორც მინიმუმი, შენარჩუნებული აქვს გამოყენების ყველა სფერო, შეუძლია თანაარსებობა მეორე ენასთან და არ შეიძლება გამოიდევნოს ამ ენით.

ორენოვნობის დროს შექმნილი სიტუაცია უნდა შეფასდეს ორივე ენის და არა მხოლოდ ერთი, არამშობლიური ენის მონაცემებით. ამავე დროს, არ შეიძლება ერთი და იმავე კრიტერიუმებით მივუდგეთ, ერთი მხრივ, იმ ხალხებს, რომლებსაც მშობლიურ ენაზე ბოლო დრომდე არც დამწერლობა ჰქონდათ და არც სკოლები და, მეორე მხრივ, — იმ ხალხებს, რომელთა ხაუნივერსიტეტო ტრადიციები საუკუნეებით განაზომება და რომლებსაც ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეყნებთან უშუალო, სხვა ენების დაუხმარებლად, კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვთ. ამ გარჩევის აუცილებლობა კარგად ჩანს სკოლაში სწავლების ენის მაგალითზე. საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა — მშობლიურ ენაზე სწავლება — ჯერჯერობით პირველი ჯგუფის ხალხებისათვის რეალური არაა. მაგრამ ნუთუ საეჭვოა, რომ ამ ხალხების სასიცოცხლო ინტერესებიც (თუნდაც მოსწავლეთა ფსიქიკის

განვითარების ნორმალური ტემპებისათვის) მოითხოვს, რომ სწავლება თანდათან მშობლიურ ენაზე იქნას გადაყვანილი. საბედნიეროა, რომ პედაგოგიკის ამ ანბანური პეშმარიტებებისათვის გზის გაკაფვა გვიხდება.

მახსენდება კოლეგა-ენათმეცნიერის სიტყვები: ჩვენ გვაქვს წითელი წიგნი მცენარეებისათვის, ცხოველებისათვის, მაგრამ არა ენებისა და ხალხებისათვის. და მართლაც, ჩვენ განგაშს ავტეხთ ხოლმე, თუ შეიწროვდა ბალახის ან ბუჩქის, მწერის ან ფრინველის გავრცელების არე, ვახამართლებთ ბრაკონიერებს, ვაჯარიმებთ საწარმოებს გარემოს მოწამვლისათვის, მაგრამ პრაქტიკულად არანაირად არ ვრეაგირებთ ენათა გავრცელების არეების შეიწროებაზე, მათ კვდომაზე. არადა, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ენა და მასზე მოლაპარაკე ადამიანები ცოტათი მეტ ღირებულებას წარმოადგენენ, ვიდრე გადაშენების გზაზე დამდგარი ნებისმიერი ხვლიკი და თვით პრეგვალსკის ცხენიც კი, რომლის გადარჩენისა და წმინდა სახით შენარჩუნებისათვის საერთაშორისო თანბირებს იწვევენ.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ხელი მოჰკიდეთ მაგ., „ენათა გადარჩენის საზოგადოების" ან „ხალხთა შენარჩუნებისათვის მებრძოლთა კავშირის" ორგანიზაციას. რა მოჰყვება ამას? უახლოესი შედეგები ძნელი წარმოსადგენი არაა — მოიძებნებიან დემაგოგები, რომლებიც დემაგოგს გიწოდებენ, თვითონ აზრებს დაგიმახინჯებენ და თქვენ კი ფაქტების დამახინჯებას დაგწამებენ, დაგაპირისპირებენ საბჭოთა მეცნიერებთან და მადლობელი იყავით, თუ საქმე არ გაგრძელდა ნაცნობი სქემით: არაჩემნაირი, ე. ი. არასაბჭოთა, ე. ი. ანტისაბჭოთა, მტრული და ა. შ.

განა არ ცდილობს ს. სმირნოვი დემაგოგად წარმოგვიდგინოს მ. ჰინტი ბევრად ნაკლები „ცოდვის" გამო — უბრალოდ, ბილინგვიზმის შესახებ საჭირო, პრინციპული სტატიის დაწერის გამო? განა არ მიაწერს იგი მ. ჰინტს ყოველად უაზრო ქვეტექსტიან მოწოდებას: „მშობლებო! თქვენი შვილები რომ დებილებად არ იქცნენ, ნუ აიძულებთ მათ სხვა (იგულისხმეთ — რუსული, — ზ. კ.) ენის შესწავლას". («Советская Эстония»«, 15 ივნისი, 1987). სინამდვილეში კი მ. ჰინტი ამის მსგავსს არაფერს არ წერს — ის ლაპარაკობს მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც მოაქვს არადროულად და არაგონივრულად შემოტანილ ორენოვნობას, და ამასთანავე აღნიშნავს, რომ „მტკიცე ფსიქიკური წყობის ბავშვები ორენოვან სიტუაციაში მოგებულნი რჩებიან — ითვისებენ მეორე ენას ისე, რომ არ აღენიშნებათ შესამჩნევი გადახრები ენობრივ ინტელიგენტურობაში" („Радуга»", № 6, 1987, გვ. 76). განა არ უწოდებს ო. ნ. ტრუბაჩევი მათ, ვისაც არ ეთანხმება, „ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს"? საინტერესოა კონტექსტიც: „სწორედ ენობრივი კავშირის თეორია დაგვეხმარება განვიარაღოთ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეები, რუსიფიკაციის საფრთხეებლათი რომ გვაშინებენ (ᲒᲐᲐᲠᲘᲦᲔᲗ ᲠᲣᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ). ავტორიტეტული ენის ზემოქმედება გადადის კულტურის ზემოქმედებაში და პირუკუ. ასე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაიწყო რუსული ანთროპონიმიური მოდელების (ᲝᲕ-ზე დაბოლოებული გვარებისა და სხვ.) გავრცელება სხვაგვარი სტრუქტურის ენებში". და იქვე: „...ისეთი ფაქტორების გამოიცხვაში, როგორიცაა ნაციონალური პრეტენზიები და პოლიტიკური ბრალდებები, გვეხმარება ენობრივი კავშირის იდეა, რომელიც რესპუბლიკებში რუსული ენის პოზიციის გამაგრების საშუალებას იძლევა" („Известия АН СССР, Серия литературы и языка", 4, 1987, გვ. 298, 299).

უკვე პირველად არა ცდილობს ო. ნ. ტრუბაჩევი ვიღაც დაარწმუნოს, რომ რუსულ ენასა და რუსებს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ნაციონალური პრეტენზიებისა და მოქმედებებისაგან დაცვა სჭირდებათ. ეი, სწორედ მისთვის, და არა მ. ჰინტისათვის უნდა ეკითხა ს. სმირნოვს: „რას ბრძანებთ? ხად, როდის იყო ეს ყველაფერი?"

არა, რუსულ ენასა და ხალხს საბჭოთა კავშირში არავინ და არაფერი ემუქრება. ანდა ვინ დაუშვებდა ამას? ეს ალბათ არც თვითონ ო. ნ. ტრუბაჩევს ეეჭვება. ამიტომ ენობრივი კავშირის მის მიერ წამოყენებულ „მხსნელ" იდეას თუკი მიზნად აქვს გააშაგროს რაიმე პოზიცია, ეს „რესპუბლიკებში რუსული ენის პოზიცია" არაა.

რაც შეეხება მსჯელობის აზრს და არა მიზნებს, რომც ჩავთვალოთ საბჭოთა რესპუბლიკების ენები ენობრივ კავშირს ქმნიანო, ალბათ ამ კავშირის საწყისები რევოლუციამდელი რუსეთის პოლიციური ადმინისტრაციის ღონისძიებებში არ უნდა ვეძიოთ. და, ცხადია, დაუშვებელია მშობლიურ ენაზე და მის ხოციალურ ფუნქციათა შენარჩუნებაზე ზრუნვა გამოვაცხადოთ „ნაციონალურ პრეტენზიებად" და „პოლიტიკურ ბრალდებებად", რომლებიც უნდა „გამოირიცხონ".

აქტიური მოქმედება ან ისეთი უმოქმედობა, რომელიც ხელს უწყობს ენის გამოყენების სფეროს შეიწროებას, უდავოდ, დანაშაულია. იგი კანონით არ იხჯება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანაშაულად რჩება. ამიტომ ყოველი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის მოვალეობაა ებრძოლოს ამ დანაშაულსაც და ადამიანებსაც, რომ-

ლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ამას სჩადიან. ესაა ადამიანები, რომელთაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ მშობლიური ენა იდევნება სასწავლო დაწესებულებებიდან, საქმის წარმოებიდან, მომსახურების სფეროებიდან. ესაა ადამიანები, რომლებიც ამას თეორიულ ბაზისს უსადაგებენ და მშობლიური ენისათვის ბრძოლას რუსული ენის წინააღმდეგ ბრძოლად აცხადებენ.

ეჭვი არაა, რომ ბოლოს და ბოლოს სცენიდან ჩამოვა ყველა ეს ადამიანი, რომელიც ხელს უშლის ხალხის მიერ ბრძოლით მოპოვებული უფლების რეალიზაციას, თუმცა სიტუაციით კი თვითონაც ადიარებს ამ უფლებას. მაგრამ გამარჯვება შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს. ენობრივ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები ხომ, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისაგან განსხვავებით, შეიძლება [illegible] — ვერავითარი „[illegible]" და ხაზღვარგარეთული შესყიდვები ხაკმეს ვერ უშველის.

□

კარლო კაჭარავა

რობერტ რაუშენბერგი

ოცავის დროზე „პოპ-არტის მამად" მონათლული, თვალსაჩინო ამერიკელი მხატვრის, რობერტ რაუშენბერგის შემოქმედება ყოველთვის იწვევდა დიდ ინტერესს მთელ მსოფლიოში; მისი შემოქმედებითი პრაქტიკა კარგი მაგალითია ავანგარდისტული ხელოვნების ბევრი უმნიშვნელოვანესი, თავისი დროისათვის საეტაპო ღირებულებათა წინააღმდეგობრივი დამკვიდრებისა.

რობერტ რაუშენბერგი დაიბადა 1925 წლის 22 ოქტომბერს, პორტ-არტურში, ტეხასში. 1946—1947 წლებში კანზას — სიტის ხელოვნების ინსტიტუტში სწავლობდა. 1947 წელს პარიზს გაემგზავრა და ერთი წელი ჟულიანის აკადემიაში დაჰყო. 1948—1949 წლებში იხევ ამერიკაში აგრძელებს სწავლას ცნობილი ოსტატების: იოზეფ ალბერსის და ლაკ ტვორკოვის ხელმძღვანელობით.

1951 წელს რ. რაუშენბერგს პირველი გამოფენა მქონდა ბეტტი პარსონსის გალერეაში. ამ გამოფენაზე რაუშენბერგმა თეთრად შეღებილი ტილოები, ე. წ. „თეთრი ხურათები" გამოიტანა. იმ დროს აშშ-ში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი იყო გაბატონებული, როგორც სახელიდანაც ჩანს — აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მიმდევრები ამკვიდრებდნენ შინაგან, ტრანსცენდენტურ ხატებს, პერსპექტივის, კომპოზიციის და ფიგურატიული რეალისტური მხატვრობის ყველა სხვა ხერხის მიღმა. დიდი ზომის, დახვეწილი ფერადოვნებით გამორჩეულ ტილოებზე მთლიან გამოსახულებებად იკითხებოდა კოლექტიური არაცნობიერის გამაცხადებელი არქეტიპები — ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით მარკ როტკოს განცხადება: „ხურათი თვითგამოხატვის ფორმა არაა. ხელოვნების ნებისმიერი სხვა სფეროს მსგავსად ისიც ენობრივი სიხტემაა, რომლის მეშვეობით თქვენ რაღაცას იტყობინებით გარემომცველი სამყაროს შესახებ". აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენლებსაც, თავიანთ წინამორბედთა მსგავსად, ხელოვნების განსაზღვრული მიხიის, ობიექტურობისა სწამდათ და ამაღლებულის ესთეტიკას ქმნიდნენ მხოლოდ ფერწერული საშუალებებით. ბევრი მათგანი მართლაც რომანტიკოსებთან ამყარებდა სიახლოვეს. იგივე როტკო, რომლის ხელოვნებაც იმთავითვე დაიწმინდა თვითმიზნური დეკორატიზმის საშიშროებისაგან და ტრანსცენდენტურზე მისანიშნი გახდა, ხურათებში მხოლოდ საკუთარი ხუბიექტური ფანტაზიის განსავითარებელ არეს

კი არ ხედავდა აუტანელი პირობებიდან გა-
ხაქცევად, არამედ რეალურ შესაძლებლობათა
გათვალისწინებას ცდილობდა. სხვაგვარად ვერ
იტყოდა: „პირველყოფილ პრიმიტიულ ხალხთა
მითებს შეუძლიათ გამობატონ რაღაც, რაც რეა-
ლურად არსებობს ჩვენში". აბსტრაქტული
ექსპრესიონიზმის გამოჩენილი ოსტატების: ჯექ-
სონ პოლლოკის, ფრანც კლაინის, რობერტ მო-
ზერუელის, მარკ როტკოს და ვილემ დე კუ-
ნინგის იდეალები ამაღლებული უნივერსალობის
იერს ატარებდა.

ამგვარ პირობებში რაუშენბერგის მხოლოდ
თეთრი ხალებავით დაფარული ტილოების დე-
მონსტრირება ხაზოგადოების აღშფოთებას თუ
არა, გულგრილობას მაინც იწვევდა. ახალგაზრდა
რაუშენბერგი ამბობდა: „თეთრი ტილოები ყო-
ველთვის ზემგრძნობიარეა... მათზე დაცემუ-
ლი ჩრდილების მიხედვით შესაძლებელია ვიმს-
ჯელოთ ადამიანთა რიცხვზე ოთახში და დღის
დროის შესახებ". ხურათის შექმნა აქ შესაძლე-
ბელი იყო მხოლოდ მის გარეთ, გარემოს შემ-
თხვევითი ზემოქმედებით: მაგალითად შუქ-
ჩრდილის მონაცვლეობით დარბაზში. გამოჩე-
ნილი რეალისტი მხატვარი ენდრიუ უაიეტი
ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „მხატვარს შე-
უძლია გამობატოს მთლიანად თეთრი ზედაპირი
და მიანიჭოს მას გარკვეული ღირსებები თეთ-
რის უფაქიზესი ნიუანსებით". ენდრიუ უაიეტი-
სეული თეთრი ხურათის წარმოსახულ იერში
განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ფერ-
წერას, ფერწერულის საშუალებით მნიშვნე-
ლოვან განცდათა გაცხადებას მხოლოდ ერთი
ფერის, თეთრის დიაპაზონში. უაიეტის განსაზ-
ღვრა ათვალსაჩინოებს პოპ-არტიზმამდელი
მხატვრობის ზოგად წარმოდგენას მხატვრუ-
ლობისა და ესთეტიზმის აუცილებლობის შესა-
ხებ. პახიურად შელებილი თეთრი ზედაპირე-
ბით რაუშენბერგმა საგრძნობლად თამამად ხელ-
ყო აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის გამოცდი-
ლება და მიზანდასახულობა. ამ თეთრ ხურა-
თებში გამოჩნდა რ. რაუშენბერგის შემოქმე-
დების დამახასიათებელი ნიშანი: სხვადასხვა
საშუალებათა თავმოყრა , კომბინირების შიგ-
ნით ზუსტი ინტუიციით მიგნება სამომავლოდ
ღირებულისა და მხოლოდ წლების შემდეგ
სხვათა მიერ სრულად გაცნობიერებულისა და
ტირაჟირებულისა. დღევანდელი დამკვირვებლი-
სათვის ცხადად ჩანს იმ თეთრი ხურათების,
მალევიჩის „თეთრ კვადრატს თეთრ ფონზე"
და მ. დიუშანის ექსტრავაგანტურ უმოქმედობას
რომ ადარებდნენ (როგორც ცნობილია მ. დიუ-
შანს 45 წლის განმავლობაში არაფერი შეუქმ-
ნია), კავშირი მინიმალარტის წარმომადგენელთა
სტერილურ, ხუფთა ზედაპირებთან.

ასეთივე განსხვავებას ვნახავთ მის ე. წ.
„შავ ხურათებსა" და ფრანც კლაინის მხო-
ლოდ ნაწერ ხურათებს შორის. ამ უკანასკნელს
ექსპრესიული მონასმებით ნაწერი კონფიგუ-
რაციების თავისთავადი, ძლიერ ემოციური
მნიშვნელობაც აინტერესებდა, თუმცა თვი-
თონაც, რაუშენბერგის მსგავსად, ზოგჯერ ქა-
ღალდსაც აკრავდა ტილოს. ზედაპირზე შეგრამ
ესეც მხოლოდ განსხვავებული. ფაქტურული
დეტალის წარმოჩენა იყო.

რაუშენბერგის მხატვრობის ამ ადრეულ ნი-
მუშებში: თეთრ, შავ და შემდეგ მსგავსივე ბერ-
ხით შექმნილ წითელ ხურათებში კარგად ჩანს
ახალგაზრდა მხატვრის მიერ აბსტრაქტული
ექსპრესიონიზმის თავისებურად გადააზრების
პროცესი. ამ ხურათთა განმსაზღვრელი მნიშვნე-
ლობაც თითქოს მხოლოდ ესაა, თუმცა უკვე
წითელი ხურათების პერიოდში ჩნდება ხურა-
თი „შარლინი", რომელშიც ე. წ. კომბინირე-
ბული ფერწერის კოლაჟური ელემენტებიც
ჩნდება. სწორედ ამ დროიდან გვეულინება ახ-
ალგაზრდა მხატვარი პოპ-არტის, იმ ახალი,
ძალზე მნიშვნელოვანი მიმდინარეობის ერთ-
ერთ შემქმნელად, რომლის კლასიკოსადაც ითვ-
ლება დღეს რაუშენბერგი ამერიკულ და მსოფ-
ლიო ხელოვნების ისტორიაში.

პოპ-არტის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია
ინგლისელი მხატვრის რიჩარდ ჰამილტონის ხუ-
რათი: „რა აქცევს ჩვენს საცხოვრებლებს
ეხოდენ სახიამოვნოდ, მოსახერხებლად და
მომხიბვლელად?", რომელიც 1956 წელსაა შექ-
მნილი. XX საუკუნის ცივილიზაციით, მექანი-
კურ-მანიფულირებელი, ზედაპირული ყოფისად-
მი ირონიული დამოკიდებულებისა და ანალი-
ზის პათოსი, რომელიც ინგლისში ჩაისახა,
განსაკუთრებით გავრცელდა და განვითარდა
აშშ-ში, ხარეკლამო ინდუსტრიისა და კაპიტა-
ლისტური კეთილდღეობის კულტის ყველაზე
განვითარებულ ქვეყანაში. პოპ-არტის კლასი-
კური იერი, რ. რაუშენბერგთან ერთად, სწო-
რედ აღიარებულმა ამერიკელმა მხატვრებმა —
ენდი უორჰოლმა, როი ლიხტენშტაინმა, ლარი
რივერსმა და კლას ოლდენბურგმა ჩამოაყა-
ლიბეს და შექმნეს.

პოპ-არტი, რომელიც დაიწყო, როგორც რე-
აქცია აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ელიტა-
რულობაზე და ხარეკლამო ფეტიშების პირდა-
პირი ციტირებით, ბანალურის ახალ, მოულოდ-
ნელ მნიშვნელობათა წარმოჩენით ინტელექტუ-
ალებისათვის, იმავდროულად ფიგურატულობის
დაბრუნების ყველაზე პლებეურ მოთხოვნი-
ლებებსაც კი აკმაყოფილებდა. ამ ნიშნის გა-
მო, პოპ-არტის თეორეტიკოსები ბევრს ლაპა-
რაკობდნენ ახალი მიმართულების „უმაღლეს
სინთეზზე", რომელიც მასობრივ კულტურას-
თან ასიმილაციის გზით ავანგარდის ახალ მი-

მართულებას მნიშვნელოვანი სოციალური ანალიზის საშუალებას უტოვებდა. ამგვარად, ეს ხელოვნება ელიტარულიც იყო და მაინობრივიც. გაცილებით უფრო გვიან გაცხადდა, რომ პოპ-არტი აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მემკვიდრეც გახლდათ და მხოლოდ მისადმი დაპირისპირების გარეგნული ეინით არ მკვიდრდებოდა.

სტილისტური პრობლემატიკის თვალსაზრისით, ეს გახლდათ უპირველესად მაქსიმალური სიბრტყოვანების უჩვეულო კულტი, როცა აბსტრაქტულ ექსპრესიონისტთა ლოკალური ფერადებით ნაწერი სურათები გამოცხადებულ იქნა ფერადოვან კოსმიურ სივრცეთა თავის თავში მატარებლად, რის გამოც ჯასპერ ჯონსმა სიბრტყეზე მხოლოდ კონკრეტული, ბუნებით ბრტყელი გამოსახულებების, ციფრების, ასოების, ამერიკის დროშის გრაფიკული ნახატის ციტირება დაიწყო. ჯ. ჯონსის პირველი გამოფენა 1958 წელს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო პოპ-არტის განვითარებაში.

რობერტ რაუშენბერგს უკვე მზად ჰქონდა თავისი ხახელგანთქმული „ხაწოლი", რომელიც 1955 წლით თარიღდება. მხატვრის გადმოცემით, ზაფხულის ერთ დილას, თავის ხახელოსნოში (პერლ-ხტრიტზე, მანხარდაში, რაც. ჯ. ჯონსის ხტუდიაც იყო) რაუშენბერგმა ხუფთა ტილო ვერ იპოვა და, რადგან მუშაობის დიდი ხურვილი ჰქონდა, ქვეჩარჩოზე თავისი პლედი გადააკრა. პლედის დანაწევრებული, ორნამენტირებული ზედაპირი ცუდად ღებულობდა ზეთის ფერადებს და მხატვარმა ზედა ნაწილზე თეთრი ბალიში მიაკრა. ამან საგრძნობლად გაუადვილა საქმე, რადგან მთელ „ხასურათო არეზე" ფერადების დასატანი თეთრი ფონი გაუჩნდა.

რაუშენბერგის „ხაწოლი", რომელიც ქვეჩარჩოზე გადაკრულ, სხვადასხვა ხაღებავდასხმულ პლედსა და ბალიშს წარმოადგენს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაბმაურებული, თითქმის ქრესტომათიული ნიმუშია ავანგარდისტული მხატვრობისა. „ხაწოლის" მნახველს დღესაც აოცებს ექსპრესიული, თავისუფალი, ფერწერული მონასმები ფუნქციურად ხულ სხვა დანიშნულების ხაგნებზე — პლედსა და ბალიშზე; თუკი ჯასპერ ჯონსი ციფრებით და ხამიზნეებით ქმნიდა თავის იკონოგრაფიას, რაუშენბერგმა მარხელ დიუშანის რეიდი-მეიდის პრინციპის მსგავსად, ტრადიციული ხასურათო სიბრტყის ნაცვლად ხაწოლი აქცია ხაკმაოდ ჭრელი, ხპონტანური ფერწერის საფუძვლად.

50-იანი წლების მეორე ნახევარში ყალიბდება რ. რაუშენბერგის დამახასიათებელი მანერა. მის სურათებზე რეპორტაჟული ფოტოინფორმაციის, კლასიკურ შედევრთა რეპროდუქციების ფრაგმენტები, ხაყოველთაოდ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტები ჩართულია თავისებურ, თითქოს ხპონტანურად კომბინირებულ სისტემაში, ხადაც ოსტატი ხშირად იყენებს ხათის ციფრებლატებს, ქოლგის ნაჭრებს, სხვადასხვა ფრინველთა ფიტულებს. ყველაფერ ამას ახლავს ასევე დამახასიათებელი თავისუფალი [illegible] ზეთის ფერადებით. გარკვეულ [illegible] ოსტატი გაცილებით მეტ ხაღებავს ხმარობს, ვიდრე საჭიროა, რის გამოც ჩამონაღვენთებიც ჩნდება, რაც სწრაფი ხელით მონიშნულ ფერადოვან ზონებს ავტორისეულ, იოლად ხაცნობ განხაკუთრებულობას ძენს.

კოლ ლაეის პრინციპით შექმნილ ამ დამახასიათებელ ნიმუშებში, რომლებსაც კომბინირებულ ფერწერასაც უწოდებენ, რეალობის იმიტაციას, კონკრეტული გარემოს, სივრცის ნამუშევარში ჩართვის მცდელობა ცვლის. რაუშენბერგი აღნიშნავდა, რომ მას ძალიან მოსწონდა სხვადასხვა ფრინველთა ფიტულებით მუშაობა, რადგან მათი მეშვეობით „სურათი თითქოს ტოვებს ტილოს და ოთახში შედის" (საგულისხმოა, რომ ფრინველთა, ყველაზე ხშირად კი არწივის გამოსახულება ამ პერიოდის მის სურათთა ნაცნობი იკონოგრაფიული დეტალია). ამ ნიშნით, დადაიზმის პრინციპების ერთგვარი აღორძინებით, რეალობის ფრაგმენტთა მხატვრულ სისტემაში ჩართვით, რაუშენბერგის ხელოვნება თითქოს პოპ-არტსაც გაცდა და თავისი განხაკუთრებული ინტუიტიურობით კონცეპტუალურ ხელოვნებაში თავისთავადი ობიექტის წინწამოწეული, დამოუკიდებელი თვითღირებულების წინამორბედიც აღმოჩნდა.

პოპ-არტის ყველა გამოჩენილ წარმომადგენელს თავისი განხაკუთრებული თემები, იოლად ხაცნობი, დამახასიათებელი იკონოგრაფია და სტილისტური ხერხები ჰქონდა. უეჭველია, ყველაზე მწყობრი, სუბიექტური და იმავ დროს უნივერსალური, XX ს-ის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანესი ზეგავლენის მომხდენი პოპ-მითოლოგიის შექმნა ენდი უორჰოლმა შეძლო. ამგვარივე სუბიექტური იდეოლოგიური მითი უფრო „ვიწრო სპეციალიზაციით" ტომ ვისელმანთანაცაა, რომლის მთელი შემოქმედება „დიდი ამერიკელი შიშველი ქალის" გრანდიოზულ ციკლს წარმოადგენს. როი ლიხტენშტაინის მითად იქცა კომიქსების ბეჭდვის დამახასიათებელი მანერა, რომელიც მხატვარმა ფერწერულ მონასმთა ცნობილ სერიასაც მოარგო (ლიხტენშტაინის „მონასმების" სერია გაბმაურებული პაროდია იყო ფერწერაზე, ფერადებით მუშაობის ტრადიციულ, კლასიკურ წესზე) და მოდერნისტული ხელოვნების კლასიკურ ნიმუშებსაც: მაგალითად: ამგვარი მარცვლოვანი

ბუჭდვის წესით დიდ ზომებში დაბეჭდა პიტ მონდრიანის ერთი სურათი.

რაუშენბერგს თითქოს არც დაუსახავს მიზნად ამგვარი ჩამოყალიბებული იდეოლოგიის შექმნა და მისთვის იკონოგრაფიის ჩამოყალიბება. თუმცა მის ცნობილ ნამუშევრებში: „კამეჩი", „კვოტა" და 1959 წელს შექმნილ დანტეს „ჯოჯოხეთის" ილუსტრაციებში ჩნდებოდა დამახასიათებელი, განუმეორებელი ხატები: პრეზიდენტი კენედი, წინ გაწვდილი, რაღაცაზე მიმანიშნებელი ხელით, პარაშუტისტები, არწივის თავები, პარალელოპიპედი ზემოთკენ მიმართულების მიმანიშნებელი ისრით და წყვეტილი ბაზის თანხლებით.

დანტეს „ჯოჯოხეთის" სიმღერების ილუსტრირებისას რაუშენბერგი თავს უყრის აპოკალიფსური დროის თანამგზავრებს: მძიმე წონიან ძალოსნებს კვარცხლბეკზე, მებრძოლებს, აირწინაღიან ჯარისკაცებს, იხევ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. დანტე ამ ილუსტრაციებში გოლფის მოთამაშესთანაა იდენტირებული. მხატვრის თანადროული პოლიტიკური და სოციალური რეალობის ამსახველი მახობრივი ვიზუალური ინფორმაციის ფრაგმენტებით ამგვარი ოპერირება დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ილუსტრირებისას თემატური გადაწყვეტის მოთხოვნილებებსაა დაქვემდებარებული. მაგრამ ამდროინდელ სურათებში ჩამოყალიბებული იკონოგრაფიის უარყოფაც მუდამ სტილისტურ ხაშუალებათა განახლებისაკენ მიდრეკილი ოსტატის დამახასიათებელია; ერთგან რაუშენბერგს აღუნიშნავს, რომ მას განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს გარემოში შემთხვევით ნაპოვნი ნივთების გამოყენება. მეტწილად ეს ნიშანი ანიჭებს მის შემოქმედებას, ჰერბერტ რიდის აზრით, მოდერნისტული ხელოვნებისათვის ხაზოგადოდ დამახასიათებელ ვიტალურობას, ანუ, მისივე განსაზღვრით, განსაკუთრებულ სახიცოცხლო ძალას.

რაუშენბერგის ისეთი სურათები, როგორიცაა, მაგალითად „პილიგრიმი" (1962), „რეზერვუარი" (1961), „ტუში" (1961), რომლებშიც სასურათო სიბრტყე ძირითადად ფართო, დინამიკური ფერადოვანი ზონებითაა დაფარული და კოლაჟის ელემენტები უფრო იშვიათადაა გამოყენებული (ისიც საგნობრივ ფრაგმენტთა: სკამის, ხათის ციფერბლატთა, შესაერთებლის და ასოთა შაბლონების ჩართვით), მხატვრის დაუყოვნებელი რეაქციაა ხაყურნალო ფოტოთა კომბინირებებით შექმნილ კოლაჟთა მოძრაველებაზე. ამგვარი რეაქცია ხაზოგადო საგამოფენო პოლიტიკის ცვლილებაზე კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს, რომ პოპ-არტის ერთ-ერთი კლასიკოსი მეტწილად მაინც სტილისტიკურ ხაშუალებათა გადახალისებით ახდენდა ახალი მიმდინარეობის ხატოვნულირებას. იქნებ ამიტომაც უწოდეს რაუშენბერგს „პოპ-არტის მამა", — რომ ბანალური, საყოველთაო ყოფის ატრიბუტთა ხესხების პროცესი ძალზე თვალსაჩინოდ, გამომწვევად პირველად სწორედ რაუშენბერგთან გამოჩნდა. ნიშანდობლივია ევროპელ კრიტიკოსთა აღშფოთება 1964 წელს ვენეციის ბიენალეზე რაუშენბერგისათვის „გრან პრის" მინიჭების გამო. ევროპაში რაუშენბერგის „ანტიხელოვნება" ხანგრძლივ ხელოვნების ლამის მთელი ტრადიციის შეურაცხოფად მიიღეს. მაშინვე დაუპირისპირეს მის ხელოვნებას დადაიზმის გამოცდილება — ნიშნად იმისა, რომ ევროპაში ამგვარიც უნახავთ და ისიც არცოუ ისე მოკლე ხნის წინ. უეჭველია დადაიზმის და პოპ-არტის შინაგანი სიახლოვე. მაგრამ მათი ერთმანეთთან გაიგივება, ცხადია, სიმცდარეა. დადაიზმისგან განსხვავებით, რომელიც მწვავე, სპონტანურ პროტესტს წარმოადგენდა თავისი დროის პოლიტიკურსა და სოციალურ სინამდვილეზე, პოპ-არტი ყოველდღიურობის ირონიულ მითადქცევის საკმაოდ ხანგრძლივი, თანმიმდევრული პროცესი აღმოჩნდა. პოპ-არტის უნიკალურობა დღესაც რეალურად საგრძნობი და საცნაურია თუნდაც დევიდ ხალლის, ჯულიან შნაბელის, გერჰარდ რიხტერის და ფერარდ ჰემსვორტის შემოქმედებაში.

თავისი ფორმალური ხაშუალებებით, გარეგნულად რაუშენბერგი პოპ-არტის ყველა ხხვა წარმომადგენელზე უფრო ახლოს დგას აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმთან (მხედველობაში გვაქვს მისთვის დამახასიათებელი, ენერგიულად რიტმიზირებული, ჩამონაღვენთებიანი ფერადოვანი ზონები), რის გამოც მისი ფერწერული მონახაზები თავის დროზე ყველაზე უფრო აშკარა გამოწვევად, ირონიზირებად აღიქვეს. თვით მომხრეთათვის, ისევე, როგორც ჟაკ ტვორკოვიანთვის, ეს კიდევ ერთი ნიშანი იყო იმის გასაცხადებლად, რომ რაუშენბერგს მუდამ ძალუძს გადალახოს ხაზოგადო წარმოდგენებში ხელოვნებისათვის დაწესებული ყველა ზღვარი.

ერთგან რაუშენბერგმა განაცხადა: „ფერწერა ეკუთვნის ხელოვნებასაც და ცხოვრებასაც. არც ერთის, არც მეორის გაკეთება არ შეიძლება. მე ვცდილობ წ�შორის არსებულ არეში ვიმუშაო". თავის დროზე ამ ბუნდოვანი განსაზღვრების გაგებას ხელ მალე ხელი შეუწყო პროფესორ აღლეგ კაპროეს ცნობილმა იერიზმმა: შსაზღვრელი ხაზი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის ძალზე მერყეული უნდა იყოსო.

ჩვენში ხალმაო ხნის განმავლობაში ავანგარდის ზერელე, ტენდენციური კრიტიკის გამო ფეშენებლად ჰეშმარიტებად იყო მიჩნეული აზრი, რომ ავანგარდისტული ხელოვნება ფორმალიზმია და მხოლოდ ფორმალურ ხიახლეებს მიისდევს.

ისტორიულად კი ხვაგვარადაა: ფორმალური განახლების განუწყვეტელი მოთხოვნილება სწორედ გათავისებული, ტრადიციული ფორმისადმი უნდობლობის ნიშანი იყო. ავანგარდისტული ხელოვნების ერთი შეხედვით ყველაზე ფანტასტიკური იერით სტილიზებული ფორმებიც კი მუდამ გულისხმობდა რაღაც მიღმეულ შინაარსს და არასოდეს არ იყო თვითკმარი.

ავანგარდის სოციალური აქტივობაც რთული და არაერთგვაროვანია, მაგრამ ყოველთვის გულისხმობდა არსებული სოციალური ხინამდვილისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამერიკელ ავანგარდისტთა ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქციაში 1970 წელს სენ ფრანსისთან, ჯახპერ ჯონსთან, როი ლიხტენშტაინთან, ენდი უორჰოლთან და კლას ოლდენბურგთან ერთად რაუშენბერგმაც მიიღო მონაწილეობა. იმ წელს, ომისა და რასიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, სულ ოცდაცამეტმა ამერიკელმა მხატვარმა, თქვა უარი ვენეციის ბიენალეზე.

აქ ჩვენ ვხოლოდ რობერტ რაუშენბერგის შემოქმედების იმ პერიოდს შევეხეთ, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს ტრადიციის მიხეული გადაალაგება და იმ უმნიშვნელოვანეს სიახლეთა დამკვიდრების რთული პროცესი, რომელმაც მხატვარს იმთავითვე მოუპოვა ალიარება. ცალკე განხილვის საგნად შეიძლება იქცეს მისი ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ნაშუშევრები, როგორებიცაა „მონოგრამა“ და „აპოლონის ხანჯარი“. ასევე უაღრესად საინტერესოა რაუშენბერგის მიერ შელკოგრაფიის გამოყენების წესი, რეპროდუქციირებული ხელოვნების ეპოქაში მისი გამორჩეული წვლილი და ამ პრაქტიკის შედარება პოპ-არტის სხვა ცნობილ ოსტატთა გამოცდილებასთან.

ერთხელ რობერტ რაუშენბერგს უთქვამს: „თუკი სურათის ნახვის შემდეგ ადამიანი თუნდაც რაიმეში არ შეიცვლის საკუთარ აზრს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ან ჭიუტი ხულელია ან სურათი არ ვარგა“. — ამ სიტყვებიდან, რომლებიც შეხაძლოა ბევრს შედმეტად კატეგორიულად ეჩვენოს, კარგად ცხადდება ხაქვეყნოდ გამოჩენილი მხატვრის მომთხოვნელობა და პრინციპულობა საკუთარი თავისა და გარემოს მიმართ.

შარშან რობერტ რაუშენბერგი პირველად იყო თბილისში. რესპუბლიკის მთავრობისა და კულტურის მოღვაწეებთან შეთანხმებით მხატვარს გადაწყვეტილი აქვს წელს თავისი პერსონალური გამოფენა მოსკოვის შემდეგ თბილისშიც მოაწყოს. ვფიქრობ, ეს გამოფენა ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

□

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1989 № 1

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

რაუშენბერგი. *კონსტრუქცია*

რაუშენბერგი. კონსტრუქცია

76132